ბიზნეს-ინჟინერინგი

ყოველკვარტალური სამეცნიერო ჟურნალი

1(2)
2012

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
საქართველოს საინჟინრო აკადემია

ბიზნეს-ინჟინერინგი

ყოველკვარტალური სამეცნიერო ჟურნალი

უაკ (UDC) 338.22+62
ბ-666

№1(2), 2012 წელი

ა. სიჭინავა (მთავარი რედაქტორი)
შ. ვეშაპიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე)
ზ. ჩხაიძე (ელექტრონული ვერსიის რედაქტორი)
ა. ნიდენსი (ელექტრონული ვერსიის ტექნიკური რედაქტორი)
თ. ლომინაძე (ელექტრონული ვერსიის რედაქტორის მოადგილე)

სარედაქციო კოლეგია: გ. აბდუშელიშვილი, გ. აბრამიშვილი, რ. არველაძე, ე. ბარათაშვილი, თ. ბაციკაძე, ბ. ბოქოლიშვილი, ზ. გასიტაშვილი, გ. გამსახურდია, ჯ. გახოკიძე, ა. გლუშეცკი (რუსეთი), ვ. გორგიძე, ი. გუჯაბიძე, უ. დემირაი (თურქეთი), ზ. ვაშაკიძე, რ. ვინთერი (შვეიცარია), ო. ზუმბურიძე, დ. თავხელიძე, ლ. იმნაიშვილი, ა. ინგოროყვა, ირ. ვოუთერ თენ ჰაფი (ნიდერლანდი), ი. კაკუბავა, ი. კვესელავა, ლ. კლიმიაშვილი, ე. ლობანოვა (რუსეთი), შ. ლომინაშვილი (ქუთაისი), ზ. ლომსაძე, ი. ლომიძე, გ. მალაშხია, მ. მაცაბერიძე, გ. მჭედლიშვილი, შ. ნაჭყებია, რ. ოთინაშვილი, ი. ჟორდანია, გ. სალუქვაძე, კ. სოხაძე, რ. სტურუა, გ. ტყეშელაშვილი, ა. ფრანგიშვილი, ლ. ქარჩავა, რ. ქუთათელაძე, გ. ღავთაძე (ქუთაისი), ლ. ღოღელიანი, დ. ჩომახიძე, ა. ჩხეიძე, ბ. ცხადაძე, გ. ძიძიგური, დ. ჯაფარიძე, გ. ჯავახაძე, დ. ჯანგულაშვილი, გ. ჯოლია.

EDITOR : A. Sichinava
DEPUTY OF CHIEF EDITOR: Sh. Veshapidze
EDITOR: Z. Chkhaidze
DEPUTY EDITOR: T. Lominadze
TECHNICAL EDITOR: A. Nidens

EDITOR STAFF: G. Abdushelishvili , G. Abramishvili, R. Arveladze, E. Baratashvili, T. Batsikadze, B. Boqolishvili, Z. Gasitashvili, G. Gamsakhurdia, J. Gakhokidze, A. Glushetsky (Russia), V. Gorgidze, I. Gujabidze, U. Demirai (Turkey), Z. Vashakidze, R. Winter (Sweden), O. Zumburidze, D. Tavkhelidze, L. Imnaishvili, A. Ingorokva, Ir. Wouter Ten Haap (Netherlands), I. Kakubava, I. Kveselava, L. Klimiashvili, E. Lobanova (Russia), Sh. Lominashvili (Kutaisi), Z. Lomsadze, I. Lomidze, G. Malashkhia, M. Matsaberidze, G. Mchedlishvili, Sh. Nachkebia, R. Otinashvili, I. Jordania, G. Saluqvadze, K. Sokhadze, R. Sturua, G. Tkeshelashvili, A. Frangishvili, L. Qarchava, R. Qutateladze, G. Gavtadze (Kutaisi), L. Gogeliani, D. Chomakhidze, A. Chkheidze, B. Tskhadadze, G. Dzidziguri, D. Japaridze, G. Javakhadze, D. Jangulashvili, G. Jolia.

პასუხისმგებელი მდივნები: დალი სეხნიაშვილი, ნინო ჩიკვილაძე

გარეკანის დიზაინის ავტორი: დალი სეხნიაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ნონა ცაბაძე

რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს ავტორისას.
სტატიაში მოყვანილი ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

მისამართი:
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
კოსტავას 77, კორპ. VI, სართ. VI, ოთ. 613ბ.
ტელ.: 595 71 91 77; 599 51 80 84;
555 36 61 01; 593 30 07 65.
ვებ გვერდი: www. bpengi.com
ელ-ფოსტა: info@bpengi.com

Editorial office address:
Georgian Technical University
Tbilisi, Kostava str. 77. 613 b.
Tel.: 595 71 91 77; 599 51 80 84;
555 36 61 01; 593 30 07 65.
www. bpengi..com
E-mail: info@bpengi.com

ISSN 1512-0538

ბიზნეს-ინჟინერინგი

შინაარსი

ბიზნეს-ინჟინერინგის თეორიული ასპექტები

ალექსანდრე სიჯინავა, ზურაბ ჩხაიძე, შოთა ვეშაპიძე,
დალი სეხნიაშვილი, ნინო ჩიკვილაძე
ბიზნეს-ინჟინერინგის თანამედროვე კონცეფცია 7

ROBERT WINTER
An Executive MBA Program in Business Engineering:
A Curriculum Focusing on Change 13

ევგენი ბარათაშვილი
ბიზნეს-ინჟინერინგის დეფინიციის საკითხისათვის 20

როზეტა ასათიანი
ბიზნეს-ინჟინერინგი – სერვისული წარმოების
განვითარების თანამედროვე მიმართულება 28

ივანე ჯაგოდნიშვილი
ინჟინერინგის ცნების გააზრებისათვის თანამედროვე
ქართულ ენობრივ ცნობიერებაში 30

სწავლების გაუმჯობესების ტექნოლოგიები

გიორგი ძიძიგური, ზურაბ ზურაბიშვილი, ნუგზარ ჩადუნელი, მარიამ
კვაჭანტირაძე, შორენა ლომიძე
პერსონალის შეფასების ავტომატიზაციის ერთი ალგორითმი 35

ლევან იმნაიშვილი, მაგული ბედინეიშვილი,
ალინა ტიტვინიძე
ბიომეტრია: მითები და რეალობა 43

აკაკი გიგინეიშვილი, თემურ ჩიჩუა, იური პაპავა
სასწავლო-კვლევითი თანამედროვე ლაბორატორია საქართველოს ტექნიკური
უნივერსიტეტის სტუდენტების განკარგულებაში 51

ბადრი ცხადაძე
სტუ-ს ახალი საგანმანათლებლო გეზის (სტრატეგიის) კვალდაკვალ 53

საინჟინრო-საკონსულტაციო საქმიანობის ეკონომიკური შეფასებები

ალექსანდრე ედიბერიძე, მიხეილ ქანთარია
ხელმძღვანელისთვის ობიექტის ან მოდელის სამართავად საჭირო შეფასებები 57

ALEKSI BURDULADZE, MANUCHAR SHISHINASHVILI, PETRE NADIRASHVILI
Optimization of Asphalt-concrete Pavement in the Conditions Mountainous Relief 60

მანანა თავხელიძე, თემური თათარიშვილი,
მედიანის მეთოდების გამოყენება საინვესტიციო ქალაქთმშენებლობის პროექტების ანალიზისა და ექსპერტიზისას 65

გიორგი სალუქვაძე, მამუკა სალუქვაძე
თბილისის ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება და ანალიზი ქალაქგეგმარებითი რეგულირების ჭრილში 71

КЕТЕВАН АРЧВАДЗЕ
Теоретическое исследование влияния фотонов солнечного излучения на белковые молекулы грибов в процессе сушки 77

ბიზნეს-ინჟინერინგი ენერგეტიკაში

დავით ჯაფარიძე, ზვიად გაჩეჩილაძე, ნინო მაღრაძე
საქართველოს ელექტროენერგეტიკის მენეჯმენტის ბიზნეს-ინჟინერინგის პრინციპებზე ფორმირების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები 83

ოთარ ვეზირიშვილი, ელენა კოტორაშვილი
ენერგოეკოლოგიური ეფექტური ტექნოლოგიების გამოყენება საქართველოს ენერგეტიკის მდგრადი განვითარებისათვის 98

ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნეს-ინჟინერინგში

თინათინ კაიშაური, ოთარ შონია, ზებურ ბერიძე
უსადენო ქსელების ინფორმაციული უსაფრთხოება და მათი ანალიზი 102

მანანა ვასაძე
საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემა ტურიზმის ინდუსტრიაში 106

თინათინ ზაქარაშვილი
ინფორმაციული საბაბიდან ინფორმაციულ შეტყობინებამდე. 114

გლობალური გამოწვევები და სოციალური პროგრესი

გიორგი მალაშხია
გლობალური გამოწვევები და ცხოვრების მოდერნიზაცია ამოსავალი პოსტულატები 117

კახაბერ ციმინტია
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა - პოპულარობიდან პროფესიონალიზმისკენ . . . 130

ბესიკ ბარკალაია
ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემის ფორმირების
თანამედროვე პრინციპები 133

რამაზ ოთინაშვილი, გიორგი ბაბრატიონი
კონკურენტული დაზვერვა თანამედროვე მენეჯმენტის სისტემაში 141

ნინო ვანიშვილი
სახელმწიფოსა და ბიზნესის პარტნიორობა: თეორიისა და პრაქტიკის ზოგიერთი
აქტუალური საკითხი 147

ნატო გეგენავა
თანამედროვე გლობალური ბიზნესის თავისებურებები 159

თინათინ ღოლაძე
კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგიები 164

სამართალი და პოლიტიკა

იგორ კვესელავა
თანამედროვე კაპიტალიზმის დასასრული? 167

ჯემალ გახოკიძე
კონფლიქტებისა და ბიზნეს-ურთიერთობების პოლიტიკა და სამართალი 181

ნინო ჩუხრუკიძე
დასავლეთის სახელმწიფოების ანტირუსული დიპლომატია და საქართველო
1722-1724 წლებში 185

ვალერი მოსიაშვილი
არაკომერციული (არასამეწარმეო) ორგანიზაციების ფინანსების ორგანიზაცია
საქართველოში 188

ჯემალ გახოკიძე, მიხეილ მამნიაშვილი
სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური
ღონისძიებები 191

ინვესტიციები, ტექნოპარკები და თავისუფალი ეკონომიკური ზონები

თამაზ გაციკაძე, დავით თავხელიძე, კობა სოხაძე
ტექნოპარკის ფუნქციონირების უცხოური გამოცდილების ზოგიერთი ასპექტი . . 195

გურამ ჯოლია, ნინო ჯოლია
საერთაშორისო თანამეგობრობის ანტიოფშორული პოლიტიკის შეფასება 202

გიორგი როდონაია
საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გაუმჯობესების
პერსპექტივები 217

ლევან ტატიშვილი
უძრავი ქონების კონკურსის საფუძველზე გაყიდვის სოციალური და
საინვესტიციო პირობები 220

ზურაბ ვაშაკიძე, მერაბ მიქელაშვილი
უილიამ პეტის, როგორც კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი
ფუძემდებლის ეკონომიკური შეხედულებები 224

ფსიქოლოგია და ბიზნესი

ინგა სიჯინავა
წარმატებული ადამიანების მორალურ-ფსიქოლოგიური თვისებები 228

ვანო ჯიაურელი, რუსუდან სტრელკოვა
რეკლამის როლი და მნიშვნელობა სოციუმში 231

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი - 90

ბორის ბოქოლიშვილი
სამანქანათმშენებლო განათლების მოკლე ისტორია და პერსპექტივები 234

ბადრი ცხადაძე
ხალიბების ნაკვალევს არ ეღალატების... 242

ნიკა ბოჯორიშვილი
მადნის მიწისქვეშა მოპოვების მათემატიკური მოდელის შემუშავება ფენობრივი

ტიპის მადნეული საბადოების პირობებისათვის 245

ახალი წიგნები

წიგნი «საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება
(საინჟინრო-ჰიდროეკოლოგიური და ეკონომიკური პრობლემები)» 249

ალექსანდრე სიჭინავა
ზურაბ ჩხაიძე
შოთა ვეშაპიძე
დალი სეხნიაშვილი
ნინო ჩიკვილაძე

ბიზნეს-ინჟინერინგის თანამედროვე კონცეფცია

თანამედროვე ეპოქისათვის დამახასიათებელმა მაღალტექნოლოგიურმა მართვამ, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში იხვეწებოდა და ვითარდებოდა, საფუძველი მოამზადა ბიზნეს-ინჟინერინგის, როგორც კომპანიების მართვის ახალი მეთოდის ცალკე სფეროდ გამოყოფისათვის. გასული საუკუნის 80-ან წლებში იაპონიაში, ხოლო შემდეგ ამერიკასა და ევროპაში ფართოდ გავრცელდა საწარმოთა საქმიანობის რევოლუციური და ბიზნესის რადიკალური გარდაქმნის მეთოდი, რომელსაც რეინჟინერინგი ეწოდა. მ. ჰამერმა და ჯ. ჩამპმა მისი არსი განმარტეს, როგორც ბიზნეს-პროცესების ფუნდამენტურად ახლებური გააზრება და დაპროექტება, რომელსაც შედეგად მოაქვს მკვეთრი და ნახტომისებური ცვლილებები საქმიანობის ისეთი ძირითადი მაჩვენებლების მიხედვით, როგორიცაა ღირებულება, მომსახურება, ხარისხი და ზრდის ტემპები.

რეინჟინერინგს უკავშირდება ბიზნეს-ინჟინერინგის ძირითადი კონცეფციის, შეხედულებათა სისტემის, მოვლენათა გაშუქების წარმმართველი იდეის, მისი ძირითადი აზრის, ჩანაფიქრის ანუ "ბიზნეს-პროცესების" ჩამოყალიბება. ამ უკანასკნელის სრულყოფა წარმოების ეფექტიანობის ამაღლების უდიდესი რეზერვია. აუცილებელია კარგად გაანალიზდეს ბიზნეს-პროცესები და გაირკვეს, როგორია მათი როლი და როგორ უნდა შეიცვალოს ისინი.

რეინჟინერინგი, როგორც ბიზნესის რეორგანიზაციის, არსებული ბიზნეს-პროცესების გარდაქმნის მეთოდი, თანამიმდევრულად გადაიზარდა ბიზნეს-ინჟინერინგის კონცეფციაში. ჩამოყალიბდა მისი ცნება: ბიზნესის, როგორც საინჟინრო მეცნიერების შექმნის სისტემა, ბიზნეს-პროცესების ახლებურად, ინოვაციურ საფუძველზე დაპროექტების და მართვის საშუალება. აქ გადამწყვეტია მიდგომა, როდესაც დაწესებულებაში მართვის მთავარი ობიექტია ბიზნეს-პროცესები, მათდამი პროცესული, ან პროექტული მიდგომა.

რეინჟინერინგი ბიზნესის რეორგანიზაცია და გარდაქმნაა, რაც ბიზნეს-ინჟინერინგის ნაწილია. ეს უკანასკნელი კი – პროექტების ოპტიმიზაციისა და ბიზნესის სისტემური მართვის განსაზღვრული ტექნოლოგიები და წესებია, რომლის საფუძველია პროცესული ან პროექტული მართვა. მისი ძირითადი მდგენელები ფუნქციონალური, ორგანიზაციული, ტექნოლოგიური, ინფორმაციული და სხვა საშუალებების ურთიერთდაკავშირებული ერთობლიობაა. როგორც ინტეგრირებული სისტემა იგი განსაზღვრავს: ა) ბიზნესის განვითარების მიზნებსა და მიმართულებებს; ბ) ბიზნეს-პროცესებსა და ტექნოლოგიებს; გ) ბიზნესის სტრუქტურას; დ) ბიზნესისათვის საჭირო ინფორმაციებსა და რესურსებს.

მართვის ეს მეთოდი მჭიდროდაა დაკავშირებული ბიზნეს-პროცესების ფორმალიზებულ აღწერასთან და მოდელირებასთან, რომელიც ასევე გვევლინება მის ნაწილად და მოიცავს საქმიანობის სხვადასხვა ბიზნეს-მოდელების, როგორც მართვის განუყოფელი ნაწილის, დამუშავების პროცესს (სტრატეგია, ძირითადი, დამხმარე და მართვის პროცესები, ორგანიზაციული სტრუქტურა, რესურსები, პროცესების შეფასების სისტემა და ა.შ.). მმართველებმა, რომლებსაც მისი გამოყენება სურთ, უნდა დაიწყონ საკუთარი შეხედულებების, აზროვნების ძირეული გარდაქმნით, რაც ადვილი არ არის. უკვე გამჯდარი, გამყარებული, დალექილი ცნობიერების, შეხედულებების, რწმენის შეცვლა საკმაოდ რთულია. ეს მხოლოდ ინოვაციური ტიპის მენეჯერებს შეუძლიათ, რომლებიც მართვის სრულყოფის მიზნით გამუდმებით იმყოფებიან სიახლის ძიებაში.

რაში მდგომარეობს ბიზნეს-ინჟინერინგის ძირითადი კონცეფციის, მართვაში პროცესული, ან პროცესებისადმი მიდგომის არსი? საყოველთაოდ ცნობილია, რომ, აქამდე დომინირებდა ფუნქციონალური მიდგომა. ითვლებოდა, რომ ფირმა არის გარკვეული მექანიზმი, რომელიც შედგება ფუნქციათა ნაკრებისაგან. ეს ფუნქციები გადანაწილე-

ბულია ქვეგანყოფილებებზე, სადაც ისინი სრულდება დაწესებულების თანამშრომელთა მიერ მათი სპეციალიზაციიდან გამომდინარე. შრომის დანაწილების პრინციპის თანახმად, რომელიც თავის დროზე შეიმუშავა ადამ სმითმა, ფუნქციათა შესრულება წარმოების სირთულის მიხედვით ნაწევრდება ოპერაციათა სულ უფრო მეტ რაოდენობაში (სიმრავლეში).

ვიწრო სპეციალური დავალების შესრულებისას თანამშრომლები ვერ ხედავენ საქმიანობის შედეგს და ვერ აცნობიერებენ თავიანთ ადგილს საქმიანობის მთლიან ჯაჭვში. ასეთი სისტემა ავალდებულებს პერსონალს კარგად შეასრულოს დაკისრებული ფუნქციები, მაგრამ არ არის ორიენტირებული საბოლოო შედეგის მიღებაზე. არადა, სწორედ საერთო მაღალი შედეგიანობა არის ბიზნესის წარმატების საზომი. უმეტეს შემთხვევაში საქმიანობა წარმოებაში არ შემოიფარგლება ერთი ქვეგანყოფილების ჩარჩოებით. სამსახურები ერთმანეთს სამუშაოს ეტაპობრივად გადასცემენ და ამ ურთიერთმოქმედებებში ქვეგანყოფილებებს შორის ხშირად ყველაზე მეტი დრო იხარჯება, ვიდრე კონკრეტულად საქმის შესრულებას სჭირდება, რადგან, ერთი ქვეგანყოფილების წარმომადგენლები შედარებით ნაკლებად არიან დაინტერესებულნი ეფექტური თანამშრომლობით მეზობელ ქვეგანყოფილებასთან. ეს იწვევს სხვადასხვა სახის უთანხმოებას, რასაც საერთო ინტერესების მივიწყება მოჰყვება. სამაგიეროდ, მძაფრადება საკუთარი ინტერესების დაცვის ტენდენცია. ინტერესთა კონფლიქტი, შრომის ფუნქციონალური ბუნებიდან გამომდინარე, დიდი პრობლემაა.

საჭირო ყურადღება უნდა მიექცეს ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესებს. ამ პროცესებში ჩართული ქვეგანყოფილებისა და სამსახურების თანამშრომლები პროცესის საბოლოო შედეგზე არიან ორიენტირებულნი. ჩვენ ვმართავთ პროცესებს და ვაგებთ მათ ისე, როგორიც სჭირდება დაწესებულებას. პროცესული მიდგომის თვალსაზრისით, ორგანიზაცია არის პროცესთა ნაკრები (ფუნქციონალური მიდგომით კი, ფუნქციათა ნაკრები) და შესაბამისად, დაწესებულების მართვა პროცესების მართვაა. ყოველ პროცესს თავისი მიზანი აქვს. სწორედ მათ ეფექტურობაზეა დამოკიდებული სასურველი შედეგის მიღება. ყველა პროცესის მიზანია ქვედა დონის მიზნები, რომელთა რეალიზაციის შემდგომ მიიღწევა ზედა, მაღალი დონის მიზნები, საბოლოოდ კი – კომპანიის მიზნები. პროცესების მართვით და მათი მუდმივად განახლებით მიიღწევა ფირმის საქმიანობის მაღალი ეფექტიანობა.

ადრე ბიზნესის მართვისას ფუნქციონალური და პროცესუალური მიდგომები ერთმანეთს უპირისპირდებოდა. ასეთი მიდგომებისაგან განსხვავებით, გაჩნდა ბიზნეს-ინჟინერინგის მიდგომები, კერძოდ: ფუნქცია და ორგანიზაციული სტრუქტურა „არ იკარგება“, ვინაიდან თანამშრომლები მაინც პროფესიული სპეციალიზაციის მიხედით ჯგუფდებიან. სხვა საქმეა, რომ ისინი სხვადასხვა პროცესში მონაწილეობენ და ყოველ პროცესში განსაზღვრულია მათი როლი, ხოლო რამდენ როლს შეითავსებს თითოეულ პროცესში მონაწილე ესა თუ ის თანამშრომელი – ეს ორგანიზაციის რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხია.

სწორედ დაწესებულების მართვის ფუნქციონალური და პროცესული მიდგომების კომბინაცია არის „ოქროს შუალედი“. დაწესებულების ფუნქციონალური სტრუქტურა განსაზღვრავს „რა უნდა გაკეთდეს“, და პროცესული კი – „როგორ გაკეთდეს“. ეს მართვის ორი განუყოფელი მხარეა. თუ მენეჯერი, მმართველი, ხელმძღვანელი შეხედავს ორგანიზაციას ამ თვალთახედვით, მაშინ ბიზნეს-ინჟინერინგი მისთვის მართვის ყველაზე ეფექტიან და ნამდვილად სასარგებლო ინსტრუმენტად გადაიქცევა.

პროცესული მიდგომა არის ,,საბოლოო პროდუქტზე ორიენტირებული, ანუ მთლიანობითი მიდგომა, რომელშიც ცალკეული პროცესები თავიანთი ქვემიზნებით უშუალოდ ექვემდებარებიან საბოლოო მიზანს''[1].

ასეთი ორიენტირება იმან კი არ განაპირობა, რომ წინათ ბიზნესის მართვა არასწორად ხდებოდა, არამედ ტექნოლოგიურსა და საბაზრო სტრუქტურებში მომხდარი ცვლილებებით წარმოშობილი მოთხოვნების გაცნობიერებამ. გარდატეხა გასული საუკუნის შუა ხანებში დაიწყო, რაც საინფორმაციო ტექნოლოგიების და ინტერნეტ-ვაჭრობის განვითარებამ განაპირობა. ახლა უკვე, ფირმას მთლიანობაში აქვს წარმოდგენილი საკუთარი განვითარების სტრატეგია და მისი ბიზნეს-პროცესები, როგორც სტრატეგიულ მიზანზე გამიზნული ეტაპები''. თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები მენეჯერს შესაძლებლობას აძლევს სხვა დეპარტამენტების მუშაობაშიც გაერკვნენ და წარმატების მიღწევის ახალი გზები აღმოაჩინონ. მათ შეუძლიათ მოიპოვონ უფრო მეტი და მრავალმხრივი ინფორმაცია. სწორედ ამან მოახდინა დიდი

[1] გველესიანი მ. ,,მარკეტინგული ხედვა – ბიზნეს-ინჟინერინგის ფუძეთაფუძე''. ჟურნ.: ,,ბიზნეს-ინჟინერინგი''. №1, 2001, გვ. 27.

გავლენა მენეჯერთა როლების, ანუ სპეციფიკურ ამოცანათა განხორციელებაზე. იმ ათასობით ფუნქციიდან, რაც მმართველებს სჭირდებათ, შეიძლება გამოიყოს სხვადასხვა როლები ორგანიზაციის სტრატეგიების განსახორციელებლად.

ბიზნეს-ინჟინერინგი არკვევს, როგორ უნდა მოხდეს ტექნოლოგიურ-ორგანიზაციული სტრუქტურების სისტემატური ძირეული განახლება. ეს აუცილებლობა მარკეტინგის განვითარებამ წარმოშვა – საჭირო გახდა ,,მომხმარებლის ცვალებადი მოთხოვნებისადმი წარმოების სტრუქტურების მორგება, რაც ამ სტრუქტურების პრაქტიკულად უწყვეტ განახლებას ხდის გარდაუვალს: თუნდაც ერთ რგოლში მიმდინარე ცვლილება დაემყაროს სპეციფიურ მეთოდსა და თანამიმდევრულ ცოდნას''.[2]

საქონლის ან მომსახურების მწარმოებელი ყველა ფირმა შეიძლება განვიხილოთ როგორც საქმიანობის სისტემა. ასეთი სისტემები მოიხმარენ რესურსებს, სახეს უცვლიან მათ და შედეგად იღებენ პროდუქტს – საქონელს ან მომსახურებას. საქმიანობის ეს ჯაჭვი არის პროცესთა ნაკრები. მათ ჩარჩოებში ხორციელდება გარკვეული ქმედებანი, რომლებითაც მიიღწევა მაღალი შედეგები, ანუ ორგანიზაციის მიზნები. ამ შემთხვევაში წარმოების პროცესის შინაარსს და ფორმას კომპანიის მიზანი განსაზღვრავს.

შეიძლება დავასკვნათ, რომ: ფუნქციონალური ორგანიზაცია ხასიათდება სტატიკური (უძრავი, უცვლელი) ელემენტებით, ისეთებით, როგორიცაა: ფუნქციები, ორგანიზაციული სტრუქტურა, რეგლამენტი. პროცესული კი – დინამიურით. მიუხედავად ამისა, მათ შორის მჭიდრო კავშირი მაინც არსებობს: კონკრეტულ საქმეს პროცესის ჩარჩოებში ასრულებენ სხვადასხვა ფუნქციონალური ქვეგანყოფილების თანამშრომლები. ეს კავშირი განისაზღვრება ისეთი რეგლამენტური დოკუმენტების საფუძველზე, როგორიცაა მომსახურების პროცედურები, ქვედანაყოფების დებულებები, თანამდებობრივი ინსტრუქციები და სხვ. მათში ერთის მხრივ, განისაზღვრება ფუნქციონალური შემადგენლობა და ფუნქციათა განაწილება ქვეგანყოფილებებსა და თანამშრომლებს შორის, ხოლო მეორეს მხრივ – პროცესთა აღწერისას დგინდება კონკრეტულ თანამშრომელთა საქმიანობის მკაფიო თანამიმდევრობა მათ მიერ ფუნქციონალური მოვალეობის შესრულების მიხედვით.

[2] გველესიანი მ. ,,მარკეტინგული ხედვა - ბიზნეს-ინჟინერინგის ფუძეთაფუძე''. ჟურნ.: ,,ბიზნეს-ინჟინერინგი''. №, 2001, გვ. 27.

ბიზნეს-პროცესების მართვისა და სრულყოფის ყოველი მოქმედება ხორციელდება ბიზნეს-ინჟინერინგის ინსტრუმენტების საშუალებით, რომელიც განაპირობებს: ა) ბიზნეს- პროცესების შექმნას (კონსტრუირება); ბ) ბიზნეს-პროცესების ცვლილებას; გ) ბიზნეს-პროცესების ანალიზს; დ) ბიზნეს-პროცესების ოპტიმიზაციას; ე) ბიზნეს-პროცესების აღწერას.

ბიზნეს-პროცესების აღწერისათვის გამოიყენება სპეციალური ფორმალური და გრაფიკული ენები, რომლებიც საშუალებას იძლევა აღვწეროთ არსებული პროცესები („რაც არის''), და ასევე, შევქმნათ მომავლის მოდელი. იგი ყველა შემადგენელი ელემენტის აღწერას მოიცავს მიზნების, შედეგების, როლების, ფუნქციების, სტრუქტურის, რესურსების, მონაწილეების, ინფორმაციის, მოვლენების, ურთიერთკავშირების, ქმედებათა ჯაჭვის მიხედვით. ამგვარად, იგი ასახავს არსებულ რეალობას, ან მომავლის ხედვას. პროცესის ყველა მონაწილე თავის ფუნქციონალურ მოვალეობებს ამ მოდელის შესაბამისად ასრულებს. ყველა თანამშრომელმა ზუსტად იცის თავისი მოქმედება იმ პროცესთა ჩარჩოში, რომლებშიც არის ჩართული. ვინაიდან აღწერას გააჩნია მრავალდონიანი იერარქიული სტრუქტურა (თავიდან ხდება მაკროდონეზე აღწერა, ანუ ზოგადად ძირითადი საქმიანობის დონეზე, შემდეგ გადადის ქვედა დონეზე, დეტალიზაციის გაცილებით მაღალი ხარისხით).

ეს კი უზრუნველყოფს სტრუქტურული ურთიერთდამოკიდებულების სისტემურობას. წარმოების მოდელის შესაბამისად თანამშრომელთა და ქვეგანყოფილებების საქმიანობა, რომლებიც თავიანთ მოვალეობებს ასრულებენ, კოორდინირებული და მიმართულია პროცესთა საერთო კალაპოტისაკენ ერთიანი შედეგის მისაღწევად.

ბიზნეს-გარემოს ნებისმიერი ცვლილება – საქმიანობის ახალი მიმართულების გამოჩენა, პროდუქტების ხაზის გაფართოება, ცვლილებები ბიზნესის მხარდაჭერის სისტემაში, ტექნიკური და ტექნოლოგიური განახლება, – ბიზნეს-პროცესების დაუყოვნებლივ ტრანსფორმაციას მოთხოვს. ამ დროს ხდება არსებული მოდელის კორექტირება და უშუალო ცვლილებები შემსრულებლებამდე დაიყვანება. ისინიც, ახალი პირობების (გარემო-ების) შესაბამისად იწყებენ ფუნქციონირებას. ბიზნეს-პროცესების მუდმივი ადაპტაცია ცვალებადი პირობებისადმი (გარემოსადმი) – ბიზნესის ეფექტური მართვის გარანტია.

ბიზნეს-პროცესის მოდელი (არსებული ან პროექტირებული), ეფექტიანი ანალიზის საშუალებას იმის მიხედვით იძლევა, თუ რამდენად ოპ-

ტიმალურად მიემართება იგი დასახული მიზნისაკენ. გასაანალიზებელი ფაქტორების როლში შეიძლება გამოვიდეს პროცესთა ლოგისტიკა, მისი ხანგრძლივობა და ღირებულება (მათ შორის მათი განაწილება ეტაპების მიხედვით და სხვა), რაზეც შეიძლება დამოკიდებული იყოს ეფექტიანი შესრულება. ანალიზის მონაცემები საშუალებას იძლევა შეიცვალოს პროცესი, და მუდმივად იქნას უზრუნველყოფილი მისი მაღალი ხარისხი.

ხშირი მონიტორინგის ჩატარებით, ბიზნეს-პროცესების მუდმივი ანალიზით და მათი ოპტიმიზაციის გზით, ორგანიზაცია თავისი საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების სულ უფრო მეტ რეზერვს პოულობს. შეიძლება გამოვავლინოთ და თავიდან ავიცილოთ შემდეგი არასასურველი ფაქტორები: დუბლირებული ფუნქციები, ვიწრო ადგილები (სივრცეები), რაიმე ოპერაციის გადაჭარბებული ღირებულება (ფასი), ოპერაციული შესრულების დაბალი ხარისხი, ზედმეტი ოპერაციების არსებობა, მონაწილეთა საქმიანობის შეუთავსებლობა და ა.შ. ოპტიმიზაცია შეიძლება იყოს ორი ტიპის: პროცესების მუდმივი სრულყოფა (ევოლუციური გზა) და პერიოდული რადიკალური შეცვლა (რევოლუციური გზა). პირველი მეთოდი გამოიყენება საქმიანობის მიმდინარეობის პროცესში, როდესაც ორგანიზაცია არ საჭიროებს მკვეთრ ცვლილებებს ან არ გააჩნია სათანადო რესურსი რადიკალური ცვლილებების განსახორციელებლად. მეორე მეთოდი კი გამოიყენება მაშინ, როდესაც აუცილებელია გარდაქმნა საქმიანობათა რიგითობის არსებითად შეცვლასთან დაკავშირებით, მაგალითად ტექნოლოგიის მოდერნიზაციის ან კომპლექსური ავტომატიზაციის გატარებისას. ასეთ შემთხვევებში თითქოს დგება საკითხი „დავიწყოთ ყველაფერი თავიდან“. ეს მიდგომა საშუალებას იძლევა თავი ავარიდოთ ძველი პროცესების მიმართ ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას.

ბიზნეს-პროცესების მართვისას ნებისმიერი მოქმედება და ცვლილება უნდა აისახოს შესაბამის დოკუმენტებში. ბიზნეს-პროცესების მოდელებს აქვთ აღწერილობითი სახე და შესაძლოა ქაღალდზე ან ელექტრონულ მატარებლებზე დიაგრამების სახით მათი წარმოდგენა. ნებისმიერი ცვლილება აუცილებლად უნდა აისახოს მოდელებში, რათა წარმოებამ მუდმივად შეძლოს შეინარჩუნოს ბიზნეს-პროცესთა სრული კომპლექსის არსებული ვერსია. ანალოგიურად შეიძლება დავგეგმოთ მომავალი პროცესები და შევინახოთ ისინი ვერსიის სახით, რომლებიც გაანალიზდება, გადამოწმდება, შეინახება და მხოლოდ შემდეგ გადავა სამუშაო მდგომარეობაში.

მსჯელობამ იმის შესახებ, თუ რატომ უნდა მივაქციოთ ყურადღება ბიზნეს-პროცესებს, მიგვიყვანა მისი შინაარსის ფორმულირებამდე: პროცესი – არის საქმიანობის (სამუშაოები, ოპერაციები) შესრულების ურთიერთდაკავშირებული ჯაჭვი, რომელიც მიზნად ისახავს მაღალი სამომხმარებლო მნიშვნელობის (ღირებულების) შედეგის მიღწევას. ეს ფორმულირება საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ მნიშვნელოვანი პროცესები.

სიტყვათა თანწყობა „სამუშაოების შესრულების ჯაჭვი“ ყურადღებას აქცევს იმას, რომ მნიშვნელოვანია დავამყაროთ წესრიგი და დავიცვათ რეგლამენტი. გადავხედოთ, როგორ არის აგებული (მოწყობილი) პროცესთა შესრულების რიგითობა საწარმოში – სისტემურად თუ სტიქიურად?

ცნებაში „შედეგის მისაღებად მიმართული“ – იგულისხმება, რომ არ არსებობს (არ შეიძლება იყოს) პროცესი შედეგის გარეშე, და თუ ასეთი პროცესი მაინც არსებობს, გაუგებარია, რისთვის?

შევხედოთ პროცესებს – როგორც „შედეგს, რომელიც ფასეულობას წარმოადგენს მომხმარებლისთვის“ – ახდენს მომხმარებელზე ფოკუსირებას, ასევე მთლიანად ფირმის ორიენტაციის ფორმირებას. ეს ნიშნავს იმას, რომ შესრულებული სამუშაოს ღირებულებას, გაწეულ მომსახურებას აფასებს არა შემსრულებელი, არამედ მომხმარებელი, პროცესის კლიენტი. ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა მყიდველი (მომხმარებელი), გარედან არის თუ შიგნიდან (მეზობელი განყოფილება). აინტერესებს კი რომელიმე კერძო ქვეგანყოფილებას, თუ როგორ აფასებენ მის სამუშაოს ისინი, ვისთვისაც ეს კეთდებოდა? თუ არა, მაშინ არც იმაზე იფიქრებს ვინმე, თუ რამდენად იქნება მომხმარებელი კმაყოფილი.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პროცესების მართვისას ჩვენ უზრუნველვყოფთ ეფექტიან ურთიერთქმედებას (კომუნიკაციებს) როგორც ფირმის შიგნით, ისე გარე სამყაროსთან. შესაბამისად, ეს საშუალებას იძლევა შევამციროთ ტრანსაქციური ხარჯები (ხარჯები უხარისხო ურთიერთმოქმედებებისა) – როგორც შიდა (თანამშრომლებსა და ქვეგანყოფილებებს შორის), ისე გარე (ფირმებსა და მყიდველებს, მომწოდებლებს, ინვესტორებს და ა.შ. შორის) ხარჯები.

არ არსებობს პროცესების დასრულებული (სრული) და სტანდარტული სია. ისინი იმდენია, რამდენიც ესაჭიროება განსაზღვრული სახის საქმიანობის განხორციელებას. გამოყოფენ პროცესების სამ ძირითად ჯგუფს: მართვის, ძირითადს და

დამხმარეს. ძირითადი პროცესების შედეგად იქმნება დამატებითი ღირებულება (ახალი ხარისხი); ისინი კროსფუნქციური ხასიათისაა (ვინაიდან მათ ჩარჩოებში იმართება კომუნიკაციები კლიენტებთან და მომწოდებლებთან). დამხმარე პროცესებია – ბიზნესის ინფრასტრუქტურის შექმნა: (ინფორმაციული, ადმინისტრაციული, მატერიალური და ა.შ., უზრუნველყოფა) და ახალი პროდუქტებისა და მომსახურების დამუშავების პროცესები. მართვის პროცესებია: დაგეგმვა, აღრიცხვა, ანალიზი, ხარისხის სისტემა, პროცესის სრულყოფა. პროცესების განვითარების არსებული ტენდენცია – მათი „გასვლა“ ფირმის საზღვრებს მიღმა, ნიშნავს კროს- და ელექტრონული კომერციის პროცესის ორგანიზაციის (ბიზნესი) შექმნას. კროს-ორგანიზაციული პროცესების შექმნა და ოპტიმიზაცია მიმართულია დაწესებულების გარე ტრანსაქციური ხარჯების შემცირებისაკენ. პროცესების სისტემის მართვისათვის აუცილებელია შეიქმნას პროცესული სტრუქტურა, სადაც მოხდება მათი აგება განსაზღვრული ურთიერთდაკავშირებული მიმდევრობით. ყოველი პროცესი მიზნად ისახავს გარკვეული შედეგის მიღებას, რომელიც გამოიყენება უფრო მაღალ ეტაპებზე შემდგომი შედეგის მისაღებად. ამიტომ, საბოლოო ჯამში, აღნიშნულმა სტრუქტურამ უნდა უზრუნველყოს კომპანიის საერთო მიზნების მიღწევა. პროცესების სტრუქტურის ამგვარი ფორმით ვადგენთ კომპანიის მიზანთა ხის სტრუქტურას. ამავე დროს, უნდა შეიქმნას ორგანიზაციის სტრატეგიული რუკა.

კომპანიის სტრუქტურებს შორის ურთიერთკავშირის მოწესრიგება სისტემურ დონეზე კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ შეუძლებელია საქმიანობის ცალკეულ სფეროებში განხორციელდეს ეფექტიანი მუშაობა. ეს ნიშნავს, რომ ვერ შეიქმნა ეფექტიანი მართვის სისტემა. სწორედ ამ დროს მიზნების მისაღწევად, პროცესების სრულყოფა განსაკუთრებით ეფექტიანი საშუალებაა. ბიზნეს-პროცესების რეინჟინერინგის გამოიყენება მართებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც წარმოება საჭიროებს მივაღწიოთ მკვეთრ (ნახტომისებურ) გაუმჯობესებას მართვის ძველი მეთოდების ახალი მენეჯმენტით ჩანაცვლების გზით. მიზანშეწონილად მიგვაჩნია გამოიყოს სამი ტიპის კომპანია, რომლებისთვისაც აუცილებელი და მიზანშეწონილია რეინჟინერინგი: ა) კომპანიები, რომლებიც დაშლის პირას იმყოფებიან იმის გამო, რომ საქონლის ფასები საკმაოდ მაღალია და ხარისხი კონკურენტებზე გაცილებით დაბალი. თუ ეს კომპანიები არ მიიღებენ გადამჭრელ ზომებს, ისინი აუცილებლად გაკოტრდებიან. ბ) კომპანიები, რომლებსაც მოცემულ მომენტში არ გააჩნიათ რაიმე სახის სირთულე, მაგრამ მათთვის გარდაუვალია ძნელად მოსაგვარებელი პრობლემების წარმოქმნა, რაც შეიძლება იყოს დაკავშირებული ახალი კონკურენტების გამოჩენასთან, მომხმარებელთა მოთხოვნების თუ ეკონომიკური გარემოს ცვლილებასთან და ა.შ.; გ) კომპანიები, რომლებსაც არანაირი პრობლემა არ აქვთ მიმდინარე პერიოდში, და არც პროგნოზის მიხედვით მოელიან მათ ახლო მომავალში. ეს არის ლიდერი კომპანიები, რომლებიც ეწევიან აგრესიულ მარკეტინგულ პოლიტიკას, არ კმაყოფილდებიან დღევანდელი კარგი მდგომარეობით და სურთ ინჟინერინგის დახმარებით კიდევ უფრო უკეთეს შედეგებს მიაღწიონ. ამგვარად, რეინჟინერინგი ინოვაციურ დავალებათა ანალოგიურია: სიახლეთა ათვისება მნიშვნელოვანია პროდუქციის კონკურენტუნარიანობის უზრუნველსაყოფად და საბოლოო ჯამში, კომპანიის გადასარჩენად.

"ბიზნეს-ინჟინერინგი" მრავალ მეცნიერებასთან არის დაკავშირებული. ეს ურთიერთდაკავშირებულობა, (სხვადასხვა სფეროში დაგროვილი ცოდნის საფუძველზე ამოცანების გადაჭრისა და მიზნის მიღწევის შესაძლებლობა) იმაზე მიგვანიშნებს, რომ იგი ინტერდისციპლინალური ფენომენია. მისი ცალკე მიმართულებად გამოყოფა იმან განაპირობა, რომ თანამედროვე ეტაპზე, მაღალი შედეგების მისაღწევად აუცილებელია მჭიდრო ურთიერთკავშირის უზრუნველყოფა ზუსტ და საბუნებისმეტყველო, საინჟინრო, ჰუმანიტარულ, ეკონომიკურ, სამართლებრივ დისციპლინებს შორის: მათემატიკას, ფიზიკას, ქიმიას, საინჟინრო, სამშენებლო საქმეს, ეკონომიკასა და ბიზნესს, მარკეტინგს, მენეჯმენტს, სამართალმცოდნეობას, თანამედროვე ფინანსურ, საინფორმაციო და საკომუნიკაციო, სამართალპოლიტტექნოლოგიურ, სოციოკულტურულ და კროსკულტურულ სფეროებს, ფსიქოლოგიას, სოციოლოგიას, მეგაეკონომიკის გლობალურ ტექნოლოგიებსა და სხვათა და სხვათა მრავალთა შორის.

ბიზნეს-ინჟინერინგის უმთავრესი მიზანია ინტელექტუალური კაპიტალის, შრომითი და სხვა რესურსების მაღალი შედეგიანობით გამოყენება, მისი მიღწევა შესაძლებელია ინოვაციების, როგორც პროდუქტის რეალიზაციის შედეგად, ახალი ტექნოლოგიების შექმნის და განხორციელების გზით.

წინა პლანზე უნდა წამოიწიოს ბიზნეს-ინჟინერინგის პრაქტიკული ასპექტები, რაც ინოვაციური ტიპის აზროვნებას ეფუძნება. ახალი ტექნოლოგიების შექმნის ნებისმიერ კონკრეტულ საქმეში სიახ-

ლეების ძიებისა და გააზრებისკენ უნდა ვისწრაფოდეთ. ასეთი აზროვნება კი, უპირველეს ყოვლისა, მისი თითოეული სტრუქტურული ქვედანაყოფის საქმიანობის საბოლოო შედეგებზე ორიენტირებულ გათვლას საჭიროებს. სწორედ სამომავლო ხედვათა ჭრილში უნდა განხორციელდეს მენეჯმენტი: დაგეგმვა, ორგანიზება, განკარგვა, კოორდინირება და კონტროლი. ამას ასევე სჭირდება შესაბამისი მოტივირება, ლიდერობა, კომუნიკაცია, გადაწყვეტილების მიღება და შესრულება.

SICHINAVA ALEXANDER
CHKHAIDZE ZURAB
VESHAPIDZE SHOTA
SEKHNIASHVILI DALI
CHIKVILADZE NINO

THE MODERN CONCEPT OF BUSINESS ENGINEERING

Summary

Business engineering has resulted from highly technological management, development information technology and electronic trade characteristic a modern epoch. These are rules of optimization business of projects and certain technologies, information, building, etc. company activity in which basis the remedial approach lies. Its main things making is set interconnected organizational, technological, information means. It is organizational system which defines the purposes and directions of development of business, business processes and technologies, structure of business, its information and resources.

Business engineering application should is begun by radical restructuring of own sights which managers of innovative type being in eternal search of innovations and innovations can only. According to the business engineering concept, the main object of management are business processes, or the remedial, system approach. More often it apply when it is necessary to achieve sharp (spasmodic) improvement of old management methods by means of its replacement by new management.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გარეთ რ. ჯონსი, ჯენიფერ მ. ჯორჯი, თანამედროვე მენეჯმენტის საფუძვლები. თბ., 2006.
2. გველესიანი მ. მარკეტინგული ხედვა – ბიზნეს-ინჟინერინგის ფუძეთაფუძე, ჟურნ. „ბიზნეს-ინჟინერინგი“, №1, 2011.
3. ფრანგიშვილი ი. სისტემური მიდგომა, სისტემური აზროვნება და მართვის საკითხები. “კომენტარი”, №1, ზამთარი, 2003-2004, 01.12.03.-29.02.04.
4. ფრანგიშვილი ა., ნამიჩეიშვილი ო. საუბრები მეცნიერების ფილოსოფიის შესახებ. თბ., 2009.
5. Горелик С., Бизнес-инжинеринг и управление организационным развитием. http://www.big.spb.ru
6. Бизнес-инжинеринг. Не роскошь, а средство управления. http://business.rin.ru

Robert Winter
University of St. Gallen, Switzerland

An Executive MBA Program in Business Engineering: A Curriculum Focusing on Change

Introduction

In many industries, business structures considered as stable over many decades have started to change rapidly, leading to a large bundle of complex, often radical and dramatic transformation needs in affected orgaizations. During the last decade, as an example, industry structure in financial services has been shifting from a traditional, production-oriented appoch (universal banks vs. insuance companies) over a short 'total finance' consolidation phase to a

component- based approach where few large, efficient 'factories', many customer-oriented distribution units and many specialized services understand themselves as nodes of an open, flexible business network. In contrast to the consequences of change that are equally covering strategy, processes, leadership, company culture, and information systems (Kelly, 1998), most of the triggers and enablers of change can be located in IT (Evans, Wurster, 1999). Although deregulation and globalization also play an im -portant role, the transformation in the financial services example has been largely enabled by new 'personal' devices that allow customer multi-channel access to financial services anytime and anywhere, by new standardized software packages, by automatic clearing and settlement mechanisms, by powerful data integration and data mining solutions, etc. The emergence of a new layer of service intermediaries is enabled by common access to the Internet and a growing independence of services from physical restrictions that result from paper-based „production'' processes and non-electronic, location-based distribution channels (Hagel, Singer, 1999). Business networking and value chain optimization are enabled by new standardized software packages and particularly by the development of business-oriented negotiation, processing and communication standards (Österle, Fleisch, Alt, 2000).

The management discipline faces massive challenges. Entirely new business models are enabled, while many traditional business models become obsolete. Moreover, integration and automation require a radical redesign of internal processes (Davenport, 1993). Managing alliances, distributed process management, and application integration are recent entries on nearly every top management agenda (Österle, Fleisch, Alt, 2000). In addition, an in-depth understanding of IT innovations is imperative to assess potential business potentials, and soft skills are needed to align company culture with industry transformation, to influence corporate policy- making, and to implement change.

Universities seem not well prepared to 'educate' transformation skills. Like undergraduate programs, most MBA programs focus on traditional, disciplinary knowledge (e.g. marketing, accounting / finance, human resources, operations management, and information systems), although complex transformations require cross-disciplinary skills. Even at renowned business schools, integrated, cross-disciplinary programs focusing on change are hard to find (Team Denzler, 2002). If they exist at all, 'change' programs often are restricted to soft factors and exclude technology issues. 'Techno' MBA programs, on the other hand, focus on technical issues (e.g. communication systems and networks, management information systems, information management, systems development - even programming), and thereby often ignore soft skills. We were not able to identify university programs that offer coverage over the complete range of topics from the potential assessment of IT innovations to strategy making and from process management and systems development to soft factors.

Instead of assembling a new MBA program from existing courses, we chose to first develop a conceptual foundation that tries to integrate these components based on a common vision and a common set of methods and models. Parallel to the 'Enterprise Engineer' approach by Martin (1995), Business Engineering was been proposed initially in the mid 1990s as a holistic methodology for the conceptualization, design, and implementation of IT-enabled business transformation. 'Holistic' means that methodology support is not restricted to information systems development, but that issues like corporate strategy- making, quality management and organizational development as well as organizational psychology are incorporated (Österle, 1995). In addition, a holistic approach requires covering not only technical aspects, but also

cultural and political issues that are crucial for the successful implementation of change. Business Engineers must apply technical competencies as well as social skills to envision, design, communicate, lead and implement change projects.

In this paper, we describe the Executive MBA in Business Engineering program that is intended to qualify professionals for all aspects of business transformation. As a conceptual foundation of this program, the Business Engineering approach is described in the next section. The layout and curriculum of the program are described in the third section. A summary of experience from the first four completed and another two running classes concludes the paper in the fourth section.

Business Engineering

Business Engineering integrates methods from the following fields:

- ·technology and innovation management,
- ·strategic planning,
- ·systems engineering,
- ·total quality management, and
- ·organizational design.

Due to their focus on business or technology, respectively, general managers or systems engineers are not able to holistically conceptualize and manage large transformation projects. Business engineers should have skills 'from both worlds', enabling them to assess business potentials of IT innovations, create strategic visions, analyze and redesign business processes, plan and control transformation projects, and get people actively involved in change processes (Martin, 1995).

Figure 1 illustrates the relationships between transformation, IT, and Business Engineering. Traditional general management know- how is needed to run traditional companies. Various types of IT innovations (as well as other change triggers like deregulation) lead to new business models and to the transformation of existing companies. The core of the Business Engineering methodology is a set of methods and models for transformation management. In addition, new business models and business architectures as well as new business processes and new information systems architectures are provided to envision the utilization of IT innovations.

The overall Business Engineering process (Österle, Winter, 2000) is illustrated by Figure 2. As described above, the transformation is triggered by IT innovations and other enablers that need to be monitored and assessed with regard to new business opportunities. The transformation process covers a business strategy, a business process, and finally an information systems level in a top-down way. Parallel to these three levels, strong links to a „soft" sector covering leadership, attitudes and power have to be considered (Winter, 2001).



Figure 1: Transformation, IT, and Business Engineering.



Figure 2: Business Engineering process.

Program Layout and Curriculum

In order to qualify professionals to holistically approach complex change problems in business, an innovative, cross-disciplinary layout for educating Business Engineering at the university level had to be developed. In the following, we start with describing the role model 'Business Engineer'. Based on that role model, general layout features of the developed program are derived. Finally, the most important components of the curriculum are summarized.

Role Model

Our role model for Business Engineers is based on James Martin's 'Enterprise Engineer'. His core qualifications (Martin, 1995)

- ·technical / management training
- ·business experience
- ·systems development experience
- ·understanding of human factors

imply the focal issues of the progam: Besides mastering the Business Engineering methodology, Bus i-ness Engineers need to have a broad tehnical background (current IT trends and business potentials of IT innoaions) and a business backgro-nd (straegic management, process manageent). They should be able to (re-) esign companies on the strategy level as well as on the process level and on the information systems level. With regard to transformation proees, they should take into account political issues as well as organizational deveopment issues. With regard to human factors, they should be capable of change management and leadership in transforming organizations.

General Layout

With the Business Engineering approach, we are addressing change projects involving potentially very lare numbers of employees and high investment volumes. The average Business Engineer is an experi-enced professional with a university degree in management/business adminitraion, computer science or engineering, at least 3-5 years post-degree work experience, and project management ex-perience. A Business Engineering university program has therefore to be positioned as a post-graduate progam, the most appropriate degree for Business Engineers being an Executive MBA degree.

We are developing methods and models to support professionals in practical problem situations. To allow for a direct, continuous exchange between work experience on the one hand and research and teaching on the other hand, these activities should happen simultaneously. We therefore need to offer the program as a part-time program to allow participating Business Engineers to maintain their careers and stay involved in suitable change projects.

If different knowledge areas are to be integrated (e.g. different perspectives of 'change'), a small faculty with shared vision and common background should work with students reflecting a broad range of different industries and majors. Hence students have to be selected very carefully based on their management and project experiences rather than on grades or standardized tests (e.g. GMAT). Instead of

a formal assessment, structured interviews have been chosen to assess applicants.

Faculty should be involved in applied research projects rather than completely focus on teaching or pure academic research. First-hand experience in change projects outweighs didactic perfection as long as university standards are met. In addition to university faculty, experienced practitioners both from transforming companies and from IT vendors and change consultancies should be teaching.

Therefore an Executive MBA degree program was created that is open for management/business administration graduates as well as for graduates from other disciplines (e.g. computer science, engineering, economics, and psychology). The Executive MBA in Business Engineering program is offered as a part-time program. To guarantee an effective learning situation, two-week learning periods at the university alternate with six-week practice periods in which the students return to their jobs. For a curriculum that covers 20 weeks (100 days) of learning at the university, a total program duration of approximately 18 months is needed. Learning modules usually comprise six 75 minute segments on five days per week. Together with breaks, this adds up to a daily schedule from 8am through 6.30pm with many of the evenings used for high-profile guest speakers, group projects and/or work on the master thesis.

It is recommended that students stay assigned to an actual change project in their employing company and that they cover this project with their master thesis. In addition, the 'Business Engineering Center' as an Internet-based community platform is used as a common and continuous content/communications framework for the entire program duration.

Curriculum

The 20 learning weeks are organized in distinct modules that each focus on a specific aspect and/or level of Business Engineering or underlying disciplines, respectively. Initially, the entire program was developed independently from other Executive MBA programs and comprised one four-week and 14 one-week modules. Since selected modules of the Executive MBA in Business Engineering are identical with modules of other Executive MBA programs, a program structure comprising 'general' and 'specific' modules was adopted.

In contrast to other Executive MBA programs, the Executive MBA in Business Engineering addresses bus iness administration graduates. As a consequence, it was necessary to let students that already hold a management/business administration degree opt out of selected general modules.



Figure 3 illustrates a possible resulting program structure:

- **MBA Basics 1** comprises four one-week modules that students already holding a management/business administration degree can opt out of. For all other Executive MBA students (including those from programs other than Business Engineering), these modules are compulsory.
- **MBA Basics 2** comprises one two-week and one one-week module that have to be attended by all Executive MBA students.

- **Business Engineering** comprises nine modules (12 weeks) that are specific (and compulsory) for Executive MBA students in Business Engineering. In addition, every Executive MBA program includes a program specific kickoff week where the respective philosophy, the infrastructure and the way of learning are introduced.

The following subsections give an overview over core areas of the curriculum.

Information systems and change

The modules 'IT as an Enabler…', 'Methods and Models of Business Engineering', 'Information Management' and 'Business Models of the Information Age' constitute the information systems view on change.

Being potential enablers for new business models and reinvented processes, IT innovations and novel standardized software packages as well as appropriate information systems architectures are addressed. Also more technical topics like media convergence, platforms for electronic commerce, infrastructures for mobile work etc. are cove red. One week in the last quarter of the program is used to integrate all Business Engineering methods and models, thereby providing a holistic methodological view.

The final week 'Business Models of the Information Age' is used to work on all relevant aspects of a case holistically, thereby holistically covering change cases form different industries. Students' work is reviewed by board members of large companies.

General management and change

The modules 'General management', 'Corporate Governance' and 'Process Management' constitute the business administration disciplinary view on change.

Being presented by renown management faculty, state-of-the-art concepts for shareholder value creation, network management, strategy development, transformation management, and organizational development (Gomez, Lauper, Probst, 1991; Gomez, Rüegg-Stürm, 1997; Müller-Stewens, 1997) are complemented by computer-based simulations and support tool demos (e.g. balanced scorecard). Special emphasis is given to process management and process optimization.

Organizational psychology and change

The modules 'Psychology of Change Projects' and portions of the modules 'Project Management', 'Communication Management…' and 'Silicon Valley…' constitute the communications and leadership view on change.

Coordinated by experienced executives, students get in touch with tools and concepts for business case planning, project management, and financial aspects of change projects. Less theoretical, but valuable personal experience can be gained in a one-week outdoor module that takes place in the mountains. The goal of this week is to have personal encounters with uncertainties, conflicts, group dynamics, and other challenges for leadership in transforming companies.

Infrastructure, culture and change

The module 'Silicon Valley – A Change Ecosystem' focuses on the infrastructure and cultural view on change.

Switzerland and Germany may not be the best places to study rapid and radical business transformations. Although considerable attention is paid to organizational and personal agility also in Europe, the most comprehensive 'ecosystem' for IT-enabled change is Silicon Valley. This was true in the peak of the bubble economy and is still true in times of sharp economic downturn. We cooperate with a university in the center of Silicon Valley to offer a four-week in depth experience of the 'Silicon Valley way of change'. While formal sessions provide theoretical concepts for entrepreneurship, innovation management, creativity support, and cultural alignment, various high tech company visits allow students to get in touch with best practices and the people behind successful transformations.

Experience and Future Directions

Initially (from 1998) bearing the name Master of Business Engineering and subsequently Executive Master of Business Engineering, the program was renamed Executive MBA in Business Engineering in 2001. Total tuition fees for 20 weeks, thesis supervision and Intranet access are currently 60000 CHF (ca. 41000 USD as of July 2002) plus trave l and accommodation costs (see www.mbe.unisg.ch).

Applications and Participants

The program attracts between 60 and 110 applications per year. After one class with 45 students

was started in 1998, 1999 and 2000, two classes with together 85 students were started in 2001. On the average, employers contribute 50% to the tuition fees, the other expenses and the absences. Between 75% and 90% of the students of this mainly German language program work in Switzerland, the remainder mostly in Germany.

Figure 4 exhibits the graduation disciplines of the participants in the first six classes. Surprisingly 50% of the participants are management/ business administration graduates which is very unusual for an Executive MBA program.



Figure 4: Graduation discipline of program participants.

Figure 5 exhibits the industries where the participants were employed (at the time they were admitted to the program) for the first six classes. Banking and other financial services supply around 40% of the participants which is no surprise due to the extent of restructuring in these industries and their importance for Switzerland and Germany.



Figure 5: Industry of program participants.

Only few participants are self-employed. During the program, a large number of students change their jobs, most of them in order to exploit new career opportunities as Business Engineers within or outside their company, some to start their own consulting business.

Curriculum Developments

All modules are being extensively evaluated by students and by faculty. As a consequence, in the second year a one-week kickoff module has been introduced, and the project management module which initially was a two-week module has been

shortened to one week in order to create an additional one-week module for the analysis of change cases.

In a second curriculum adjustment after another two years, common modules with the Executive MBA in General Management program were identified. For every 'general management' module, one alternative module was offered in order to make the program more attractive for students that already held management/business administration degrees. During that phase, additional modules like technology and innovation management, public relations, international management, or international business law were offered. The program options, however, led to frequent changes in learning groups and made it difficult to maintain the Business Engineer profile throughout the program. As a consequence, the curriculum structure presented in the curriculum subsection is currently being developed.

Outlook

The combination of contributions of disciplines like management/ business administration, computer science and organizational psychology under a change focus is an innovative approach whose sound theoretical foundation is still a work in progress. We contribute to that progress in two different ways. On the one hand, the 'Business Engineering Center', a platform that allows a structured access to a vast amount of Business Engineering knowledge, is intended to support a growing Business Engineering community, thereby gaining empirical feedback on the proposed methods and models. On the other hand, various large research projects ('competence centers', e.g. for business networking, customer relationship management, application integration management, telematics, mobile commerce, etc.) bring together companies and researchers for a permanent enhancement of Business Engineering methodology. Therefore the Executive MBA in Business Engineering approach seems to us not only to be innovative with regard to its cross-disciplinary nature and its attraction to management/business administration graduates. Moreover, the tight integration of part-time executive education and applied research creates relevant results in an active network of professionals and academics.

References

1. Brinkkemper, S., Lyytinen, K., Welke, R. (1996).*Method Engineering*.London: Chapman & Hall.
2. Davenport, P. H. (1993). *Process Innovation: Reengineering Work through Information Technology*. Boston: Harvard Business School Press.
3. Evans, P., Wurster, T.S. (1999). *Blown to Bits - How the new Economics of Information transforms Strategy*. Boston: Harvard Business School Press.
4. Gomez, P., Lauper, P., Probst, F. (1991).*Networking Thinking in Strategic Management*.Basel: Ciba Geigy.
5. Gomez, P., Rüegg-Stürm, J. (1997). On the Essence, Emergence and Effects of Visions: Some Cautions. *Corporate Transformation* (Sinatra, A. ed.), 69-93, Dordrecht: Kluwer.
6. Hagel III, J., Singer, M. (1999).*Net Worth - Shaping Markets When Customers Make the Rules*. Boston: Harvard Business School Press.
7. Kelly, K. (1998). *New Rules for the new Economy - 10 radical Strategies for a connected World*.New York: Viking Penguin.
8. Martin, J. (1995). The Enterprise Engineer, *Computerworld*, 18.09.1995.
9. An Executive MBA Program in Business Engineering
10. Müller-Stewens, G. (1997). Fundamental change in highly complex organizations.*Corporate Transformation* (Sinatra, A., ed.), 132-152, Dordrecht: Kluwer.
11. Österle, H. (1995). *Business in the Information Age - Heading for New Processes*.New York: Springer.
12. Österle, H., Fleisch, E., Alt, R. (2000). *Business Networkin g - Shaping Enterprise Relationships on the Internet*.New York: Springer.
13. Österle, H., Winter, R. (2000). *Business Engineering - Auf demWegzumUnternehmen des Informationszeitalters*.Berlin: Springer.
14. Team Denzler (2002).Executive MBA: Zukunft des NDU St.Gallen.Internal Report, University of St. Gallen.
15. Winter, R. (2001).Working for e-Business - The Business Engineering Approach.*International Journal of Business Studies*, 9, 1, 101-117.

ევგენი ბარათაშვილი

ბიზნეს-ინჟინერინგის დეფინიციის საკითხისათვის

განსაზღვრეთ სიტყვის მნიშვნელობა და თქვენ
გაათავისუფლებთ კაცობრიობას გაუგებრობისაგან
რენე დეკარტე

უკვე წელიწადზე მეტია, რაც ფაკულტეტს სახელი შეეცვალა (იყო ჰუმანიტარულ-ტექნიკური, გახდა ბიზნეს-ინჟინერინგის), რამაც აღნიშნული მიმართულებით პროგრამების გადახალისება გამოიწვია – შემოღებულ იქნა ბიზნეს-ინჟინერინგის საფუძვლები, ბიზნეს-პროცესების მართვა და სხვა საგნები.

ჩვენი დღევანდელი სტატიაც სწორედ ბიზნეს-ინჟინერინგის დეფინიციისა და არსის განსაზღვრის საკითხებს ეძღვნება. გავეცანით როგორც სამამულო, ისე უცხოურ ლიტერატურას და გამოცდილებას, მოვუსმინეთ ჩვენს უნივერსიტეტში უცხოეთიდან მოწვეულ მეცნიერებს; ბევრი ვისაუბრეთ აღნიშნულ პრობლემატიკაზე, ვიკამათეთ და გადავწყვიტეთ, ზემოთ ხსენებულ საკითხზე ჩვენი პოზიცია-შეხედულებაც დაგვეფიქსირებინა. თავი მოვუყარეთ ამ სფეროში არსებულ მეცნიერთა ნაღვაწს, შემდეგ საკუთარი თვალთახედვით გავაანალიზეთ და წარმოვადგინეთ.[1] ზოგიერთი საკითხისადმი აქ ასახული ავტორის პოზიცია შეიძლება, საკამათო იყოს, მაგრამ ერთი რამ უდავოა – ჩვენი სტატიის გამოცემით ვეცადეთ, კიდევ ერთი მოკრძალებული წვლილი შეგვეტანა აღნიშნული საკითხის არსის განსაზღვრაში.

მაინც, რა არაერთგვაროვნად აღიქვამენ ადამიანები ყოველივე ახალს! ვიღაც სკეპტიკოსია, სიახლის გაგონებაც არ სურს. სხვა კმაყოფილებით იღებს ყველაფერს, რაც ამქვეყნად ჩნდება. ალბათ გახსოვთ, ერთმა ცნობილმა მოღვაწემ ხუმრობით როგორ აღწერა მათი ქცევა: თავიდან ამბობენ – ,,რა სისულელეა!", შემდეგ – ,,ამაში არის რაღაც...", და ბოლოს, ,,აბა ვინ არ იცის ეს?!". შეხედულება იცვლება იმისდა მიხედვით, თუ რამდენად მეტი ადამიანი სარგებლობს პრაქტიკაში სიახლით, რომელიც შემდეგ ცხოვრების ნორმად იქცევა ხოლმე.

ყოველივე ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა, როცა საუბარი მართვას ეხება. მართვის მეთოდის არჩევა დროის მოთხოვნებითაა ნაკარნახევი. ყოველი ეპოქისთვის დამახასიათებელია თავისი გარკვეული მეთოდები და მას ახორციელებს ფირმის ხელმძღვანელი, რომელიც საკუთარი შეხედულებებისა და რწმენის მიხედვით მოქმედებს. ხელმძღვანელთა უმრავლესობა მაშინ იწყებს მართვის ამა თუ იმ ინსტრუმენტით სარგებლობას, როცა ის განვითარება-დამკვიდრების მესამე სტადიაზეა (,,აბა ვინ არ იცის ეს?!"). მაშ როგორ?! ცხოვრებაში შემოწმებული და გამოცდილი მეთოდის გამოყენება ხომ ეფექტიანობისა და საიმედოობის გარანტიაა?! მაგრამ არსებობს მედლის უკანა მხარეც. ამ დროისთვის უკვე ყველა აღჭურვილია აღნიშნული მეთოდით, მათ შორის კონკურენტებიც და მისი გამოყენება აღარ ანიჭებს ფირმას კონკურენტულ უპირატესობას. სიახლის დამკვიდრება-დანერგვა მაშინაა საინტერესო, როცა უმეტესობის შემეცნებაში ის ჯერ კიდევ პირველ ორ სტადიას გადის და არც მასობრივი სახე მიუღია. სწორედ ამ პერიოდში იძლევა მეთოდი ან ინსტრუმენტები მაქსიმალურ ეფექტს, ანუ საშუალებასა და შანსს – გავუსწროთ კონკურენტებს. და მაშინ, როცა უკანასკნელნი ჯერ კიდევ მისი დანერგვის პროცესში არიან, მოწინავე ფირმები უკვე მორიგი სიახლის ათვისებას იწყებენ. ბუნებრივია, ისინი ამ გზით მუდმივად წინსვლას განიცდიან. ასეთ სტრატეგიას მისდევენ ეგრეთ წოდებული ინოვაციური ტიპის ხელმძღვანელები, მმართველები. ისინი გამუდმებით ეძებენ რაღაც ახალს, სწავლობენ, არასოდეს კმაყოფილდებიან მიღწეულით, ნერგავენ ყველაზე მოწინავე მიღწევებს, აქვთ გამძაფრებული სიახლის გრძნობა და მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ინოვაციათა დანერგვის გზაზე მათ მუდმივად კვალდაკვალ მიჰყვება მომუშავე პერსონალი. და თუ თქვენც ასეთი მძაფრი ყნოსვა და გამჭრიახი თვალი გაქვთ, მაშინ ეს წერილი სწორედ თქვენთვისაა.

ტერმინოლოგია ნებისმიერი პროფესიული ინფორმაციის საფუძველია; ამიტომ, ახალი დისციპლინისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია მისი ტერმინოლოგიისა და ძირითადი ცნებების განსაზღვრა. ტერმინი ,,ინჟინერინგი" – ინგლისური

---

1 ბიზნეს-ინჟინერინგზე მრავალი საინტერესო ნაშრომია შექმნილი. ამ კუთხით ქართველ და უცხოელ მეცნიერთა არა ერთი ყურადსაღები პუბლიკაციაა მიმოფანტული მთელ რიგ სამამულო თუ უცხოურ ლიტერატურაში. აღნიშნულ საკითხს ავტორმა ჯერ კიდევ 2010 წელს მიუძღვნა საგულისხმო სტატია _ ,,ბიზნეს-ინჟინერინგი _ პროცესული მიდგომა მართვაში, ფუნქციურის ნაცვლად", რომელიც გამოქვეყნებულია ჟურნალში (№6): ,,სოციალური ეკონომიკა (XXI საუკუნის აქტუალური პრობლემები).

სიტყვა ,,engineering“-საგან წარმოდგება, რაც ,,აღჭურვას,“ ,,პროექტირებას,“ ,,მოწყობას,“ ,,წამოწყებას,“ ,,გამოგონებას“ ნიშნავს. მას განსაზღვრავენ, როგორც ინტელექტუალური სახის საქმიანობათა ერთობლიობას, რომლის საბოლოო მიზანია კაპიტალური დაბანდებიდან და სხვა დანახარჯებიდან ოპტიმალური/საუკეთესო შედეგების მიღება, რაც სხვადასხვა დანიშნულების პროექტების რეალიზაციის, რაციონალური შერჩევისა და მატერიალური, შრომითი, ტექნოლოგიური და ფინანსური რესურსების ეფექტიანი გამოყენებით მიიღწევა. ამასთანავე, ყოველივე ეს ერთიანობასა და ურთიერთკავშირშია ორგანიზაციის მართვის მეთოდების, მოწინავე მეცნიერულ-ტექნოლოგიური მიღწევების, კონკრეტული პირობებისა და პროექტირების თვალსაზრისით. როგორც განმარტებიდან ჩანს, ინჟინერინგული საქმიანობა მთელ რიგ საწარმოო, კომერციულ და სამეცნიერო-ტექნოლოგიურ მომსახურებას მოიცავს.

უცხოეთის ზოგიერთ უნივერსიტეტში სთავაზობენ აკადემიურ პროგრამას ბიზნეს-ინჟინერინგში. ეს სწავლება მოიცავს: მენეჯმენტს, ბიზნესის ადმინისტრირებას, ფინანსებს, ეკონომიკას, მათემატიკას, სხვადასხვა მეცნიერებებსა და ტექნოლოგიებს, ასევე, კომპიუტერულ და სოციალურ მეცნიერებებს (ეთიკას, სამართალს, უცხო ენებს).

ბიზნეს-ინჟინერინგი, ისევე როგორც მართვის სხვა მეთოდები, ჩვენთან დასავლეთიდან შემოვიდა. იგი იქ 80-იან წლებში გაჩნდა და ფართო გავრცელება ჰპოვა საწარმოს საქმიანობის რევოლუციური გარდაქმნის მეთოდმა, ასევე, მის მიერ საფუძვლიანად შეცვლილმა ბიზნესმა, რომელსაც რეინჟინერინგი უწოდეს. მისმა იდეოლოგებმა – მ. ჰამერმა და ჯ. ჩამპმა – რეინჟინერნგის არსი შემდეგი სიტყვებით განსაზღვრეს: ,,ესაა კომპანიის ბიზნეს-პროცესების ფუნდამენტური ახლებური გააზრება და რადიკალური ხელახალი დაპროექტება ძირეული გაუმჯობესების მისაღწევად, თავისი საქმიანობის ძირითად აქტუალურ მაჩვენებლებში – ღირებულებაში, მომსახურებაში, ხარისხში, ტემპში".

რეინჟინერინგს საფუძვლად უდევს ერთ-ერთი ისეთი საკვანძო ცნება, როგორიცაა – ბიზნეს-პროცესები, რომელთა სრულყოფაც საწარმოს საქმიანობის ეფექტიანობის ზრდის უზარმაზარი რეზერვია. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, გავიაზროთ ბიზნეს-პროცესების ბუნება, გავიგოთ, თუ რა მნიშვნელობა ენიჭება მათ საწარმოსთვის და როგორ უნდა შევცვალოთ ისინი სწორად. ამიტომაც, თავად ბიზნეს-პროცესებისა და მათი სრულყოფის პროცესი მენეჯერებისგან არასტანდარტულ მიდგომას საჭიროებს.

თანდათანობით რეინჟინერინგი, რომელიც საწარმოში არსებული სისტემის ნგრევას და ბიზნეს-პროცესების ასეთი რევოლუციური ცვლილების საფუძველზე, მის ახლად შენებას გულისხმობს, გადაიქცა მართვის სისტემად, აღიჭურვა ტექნოლოგიით და მეცნიერულ დასაბუთებას დაეფუძნა. გაჩნდა შესაბამისი პროგრამული პროდუქტები. რეინჟინერინგიდან, როგორც არსებული ბიზნეს-პროცესების ძირეული ცვლილებით ბიზნესის რეორგანიზაციის მეთოდიდან, მმართველობითი აზრი გადავიდა ცნებაზე – ,,ბიზნეს-ინჟინერინგი", ანუ ბიზნესის, როგორც საინჟინრო მეცნიერების შექმნის სისტემა ბიზნეს-პროცესების დაპროექტებითა და მართვით.

ამგვარად, ბიზნეს-ინჟინერინგის გამოყენება იწყება იმით, რომ ხელმძღვანელებმა, რომელთაც სურთ მისი გამოყენება, უნდა გარდაქმნან თავიანთი შემეცნება. ჩამოყალიბებულ შეხედულებათა შეცვლა კი – ოჰ, რა ძნელია! ამის გაკეთება შეუძლიათ მხოლოდ ინოვაციური ტიპის მენეჯერებს, რომლებიც თავიანთ საწარმოთა მართვის სრულყოფისთვის მუდმივად ახლის ძიებასა და გააზრებაში არიან.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშვნეთ, ადამიანები სიახლესა და ცვლილებებს არაერთგვაროვნად აღიქვამენ, ამ ყველაფრის გააზრება და შეგუება სჭირდებათ, თუმცა, სიახლე მოდის და თანდათან იგი ცხოვრების ჩვეულ ნაწილად იქცევა ხოლმე. ეს წესი განსაკუთრებით თვალსაჩინოა მენეჯმენტის სფეროში. მართვის მოდელის არჩევანი სიტუაციისა და დროის საჭიროებებს ეფუძნება. ეპოქისათვის დამახასიათებელ მეთოდებსა და ხერხებს ასრულებს კონკრეტული მენეჯერი საკუთარი უნარებისა და შეხედულებების შესაბამისად. მასზეა დამოკიდებული, თუ რამდენად შეძლებს სიახლის ათვისებასა და ამოქმედებას მაშინ, როდესაც ეს სხვისთვის ჯერ კიდევ მიუწვდომელია.

მენეჯმენტი – ეს არის დაგეგმვის, ორგანიზების, მოტივირებისა და კონტროლის პროცესი, რომელიც აუცილებელია ორგანიზაციული მიზნების ჩამოსაყალიბებლად და მისაღწევად. მართვის ერთ-ერთი ცნობილი და წარმატებული თეორეტიკოსის, პიტერ დრუკერის აზრით, ,,მენეჯმენტი – საქმიანობის განსაკუთრებული სახეა, რომელიც არაორგანიზებულ ბრბოს ეფექტიან, მიზანდასახულ და პროდუქტიულ ჯგუფად აქცევს. მენეჯმენტი, თავისთავად, სოციალური ცვლილებების მასტიმულირებელი ელემენტია და – მნიშვნელოვანი სოციალური გარდაქმნების მაგალითი.“

90-იანი წლების დასაწყისში, ე.წ. პროცესული მიდგომა მენეჯმენტის სფეროში ძირეულ შემობრუნებად განიხილებოდა. იგი თავდაპირველად ადმინისტრაციული მართვის მიმართულებით ჩამოყალიბდა. მეცნიერები ცდილობდნენ მენეჯერის ფუნქციების დადგენას, რომლებსაც განიხილავდნენ, როგორც ერთმანეთისაგან დამოუკიდებელს.

ამის საპირისპიროდ, პროცესული მიდგომა მართვის ფუნქციებს ურთიერთდაკავშირებულად მიიჩნევდა.

ამ მიმართულების მეცნიერთა მიერ, მართვა განიხილება როგორც პროცესი, რადგან მიზნის მიღწევა სხვათა დახმარებითა და ერთჯერადი ქმედებით ვერ განხორციელდება. მართვა უწყვეტი ურთიერთდაკავშირებული მოქმედებების ერთობლიობა უნდა იყოს. ამასთანავე, თითოეული მათგანი პროცესს წარმოადგენს და ძალზე მნიშვნელოვანია ორგანიზაციის წარმატებისათვის. მართვის პროცესი კი მთლიანობაში – ყველა ფუნქციის ჯამია. ჰენრი ფაიოლი ეს ის მეცნიერია, რომელსაც ამ კონცეფციის თავდაპირველ დამუშავებას მიაწერენ. იგი მიიჩნევდა, რომ არსებობს მმართველის ხუთი ძირითადი ფუნქცია. ,,მართვა ნიშნავს სამომავლო ხედვასა და დაგეგმვას, ორგანიზებას, განკარგვას, კოორდინირებასა და კონტროლს“. სხვა ავტორები მართვის ფუნქციების განსხვავებულ ჩამონათვალს გვთავაზობენ და მათი შეჯერების საფუძველზე, გარდა ზემოთ მოტანილი ფუნქციებისა, იკვეთება: მოტივირება, ლიდერობა, კომუნიკაცია, გადაწყვეტილების მიღება, მოლაპარაკებები და სხვ.

მმართველის საქმიანობაში დიდ დროსა და ადგილს იკავებს ბიზნეს-პროცესები. მათი განხორციელება შესაბამის ცოდნასა და უნარ-ჩვევებს საჭიროებს, ხოლო ამ პროცესების ამოქმედებას შრომის ნაყოფიერების, მოგებისა და ეფექტიანობის ზრდა მოჰყვება. სრულიად ნათელი გახდა, რომ ადამიანებსა და ჯგუფებს შორის განვითარებული ურთიერთქმედება, სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები და კანონზომიერებები ბიზნესში მიმდინარე პროცესების საფუძველს წარმოადგენს და წარმატებული შედეგების წინაპირობაა.

დამოუკიდებელი საერთაშორისო კომერციული ოპერაციების სახით წარმოდგენილი ინჟინერინგი – ერთი მხარის (კონსულტანტის) მიერ, მეორე მხარისათვის (დამკვეთისათვის) ცალკეული სახის ან კომპლექსური საინჟინრო-ტექნოლოგიური მომსახურების გაწევაა. ამგვარი მომსახურება დაკავშირებულია – პროექტირებასთან, მშენებლობასთან ან ობიექტის ექსპლუატაციაში გადაცემასთან, ახალი ტექნოლოგიური პროექტების შემუშავებასთან, საწარმოში არსებული საწარმოო პროცესების სრულყოფასთან, ნაკეთობათა დანერგვისა და პროდუქციის გაყიდვის ჩათვლით.

შეთანხმების საფუძველზე, ახალი ობიექტების მშენებლობისათვის მომსახურებისა და მიწოდების ინჟინერინგის მთლიანი კომპლექსის გაწევას ,,კომპლექსურ ინჟინერინგს“ უწოდებენ.

,,კონსულტაციური ინჟინერინგი“, უმთავრესად, ობიექტის დაპროექტებასთან, მშენებლობის მიზნების შემუშავებასა და შესრულების კონტროლთან დაკავშირებულ ინტელექტუალურ მომსახურებას უკავშირდება.

ახალი მიდგომა თავდაპირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში გაჩნდა და პირველი ,,ინჟინერინგის დეპარტამენტი“ 1967 წელს მისურის ტექნოლოგიისა და მეცნიერების უნივერსიტეტში შეიქმნა. 1990 წელს მასაჩუსეტის ტექნოლოგიური უნივერსიტეტის პროფესორმა ”Harvard Business Review”-ში გამოაქვეყნა ოთხი სტატია, რომლებშიც მენეჯერების ძირითად გამოწვევაზე (პრობლემაზე) საუბრობდა. ჰამერს მიაჩნდა, რომ ავტომატიზაციისათვის დამატებითი ტექნოლოგიების მოზიდვის ნაცვლად, მათ უნდა ჩამოაშორონ სამუშაოს მისი ნაკლებად ღირებული ნაწილები. იგი ფაქტიურად, მმართველებს არასწორ საკითხებზე აქცენტირებაში ადანაშაულებდა. კერძოდ, მისი აზრით, ისინი ინფორმაციულ ტექნოლოგიას (იგი ამ სფეროს სპეციალისტი გახლდათ) იყენებდნენ არსებული პროცესების ავტომატიზაციისათვის და არა მოძველებული, არასაჭირო დამატებითი სამუშაოს თავიდან მოსაცილებლად. მიდგომა მარტივი იყო, ჰამერი მიიჩნევდა, რომ შესრულებული საქმის უმეტესი ნაწილი არაფერს მატებდა მომხმარებელს, შესაბამისად, საქმის ამ ნაწილის აჩქარებაზე კი არა, მის მოშორებაზე უნდა ეზრუნათ. მისი აზრით, კომპანიებმა უნდა გადახედონ პროცესებს, რათა მოხდეს, ერთი მხრივ, მომხმარებლისთვის მნიშვნელოვანი ღირებულებების მაქსიმალურად გათვალისწინება და ამავდროულად, იმ რესურსების მოხმარების მინიმიზაცია, რომელიც პროდუქტის ან მომსახურების წარმოებაზე იხარჯება. ეს იდეა, რომელიც კომპანიის ბიზნეს-პროცესების მიუკერძოებელ გადახედვას გულისხმობდა, დაუყოვნებლივ აიტაცა მრავალმა ფირმამ, რომლებიც დაკარგული კონკურენტუნარიანობის აღდგენაზე იყვნენ მომართული. აღნიშნული დარგის ისეთი დიდი მოაზროვნეები, როგორებიც არიან პიტერ დრუკერი და ტომ პიტერსი აღიარებენ ბიზნეს-პროცესების რეინჟინერინგს (BPR) და განიხილავენ მას, როგორც წარმატების მიღწევის ახალ საშუალებას, იარაღს, განსაკუთრებით თანამედროვე, მუდმივად ცვალებად სამყაროში.

ბიზნეს-ინჟინერინგი მოიცავს ყველა ქმედებას, რომელიც საჭიროა დამოუკიდებელი ბიზნესის განვითარებისა და მხარდაჭერისათვის. იგი სრულიად აერთიანებს ახალ ბიზნეს-ორგანიზაციას პერსპექტიულ ბიზნეს-გარემოში. მისი მიზანია მომავალზე ორიენტირებული ბიზნეს-ფორმების დაფუძნება და ახალი ტექნოლოგიების შექმნა. ბიზნეს-ინჟინერინგის აუცილებლობა განპირობებულია ტექნოლოგიების სფეროში თანამედროვე საქმიანი მსოფლიოს მაღალი დინამიკით. გასაღების ბაზარსა და მომხმარებელთა მოთხოვნილებებში არსებული უწყვეტი და არსებითი ცვლილებები

ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს და კომპანიები, ცდილობენ რა შეინარჩუნონ კონკურენტუნარიანობა, იძულებულნი არიან მუდმივად გარდაქმნან და განაახლონ თავიანთი სტრატეგია და ტაქტიკა. მართვის თეორიის ცნობილი ამერიკელი მკვლევარის ი. ანსოფფის აზრით: ,,იმისათვის, რომ გავუძლოთ გარემოს, კომპანიაში გადაწყვეტილებების მიღების სირთულე და სიჩქარე უნდა შეესაბამებოდეს გარემოში არსებული ცვლილებების სირთულესა და სიჩქარეს".[2]

ბიზნეს-ინჟინერინგის არსი გულისხმობს: საბაზრო ეკონომიკის პირობებში, კომერციულ საფუძველზე ცოდნის (ინოვაციის), როგორც პროდუქტის რეალიზებას. აქვე წარმოგიდგენთ ბიზნეს-ინჟინერინგის კონცეფციისა და არსის მიახლოებით გამომსახველ სქემას (იხ. სქემა №1).

სქემა 1



თუკი პროექტით გათვალისწინებული ტექნოლოგია და სხვა კომპონენტები მოითხოვენ არსებით ცვლილებებსა და ადაპტაციას ადგილობრივ გარემოსთან, კომპლექსური ინჟინერინგიც მოიცავს მომსახურების ამ ტიპს. საინჟინრო-საკონსულტაციო მომსახურება გულისხმობს წარმოების მართვის, ხარისხის კონტროლის, გასაღების სისტემების და ა.შ. ჩამოყალიბებას. თითოეულ კონკრეტულ კონტრაქტში შეიძლება გათვალისწინებული იყოს მომსახურების შესაბამისი სახეები. ვინაიდან, ინჟინერინგული კონტრაქტების ობიექტები კონსულტანტის მიერ დამკვეთისათვის გადაცემული ცოდნა და გამოცდილებაა, ინჟინერინგული მომსახურებიდან მიღებული ძირითადი უპირატესობა მსგავსია იმ მოგებისა, რომელსაც იღებენ მხარეები სალიცენზიო შეთანხმებების გაფორმებისას. **ინჟინერინგს,** როგორც საერთაშორისო ტექნოლოგიური გაცვლის ფორმას, გააჩნია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი თვისებები.

---

2 ინფორმაციის წყარო: Балабанов И.Т., Балабанов А.И. Внешнеэкономические связи. –М.: Финансы и статистика. 2000. стр. 49.

ცხრილი № 1

კლიენტის მიერ მიღებული უპირატესობა	**ხარვეზები**
პროექტის განხორციელების ვადის შემცირება სპეციალური ცოდნისა და გამოცდილების მიღების ხარჯზე და კაპიტალდაბანდების ეფექტიანი ზრდა.	ადგილობრივ ინჟინერინგულ კომპანიებთან შედარებით, ფირმა – კლიენტის დიდი დანახარჯები უცხოურ ინჟინერინგულ კომპანიებთან დადებულ კონტრაქტებზე.
კომპანიაში არსებული სიტუაციის ობიექტური შეფასება, ვინაიდან კონსულტანტი დამკვეთის ადმინისტრაციისგან დამოუკიდებელი პირია.	უცხოელი სპეციალისტების სიძნელეები და დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ადგილობრივი ტრადიციების, კულტურის და ა.შ. არცოდნასთან.
ფირმის საშტატო თანამშრომლების რიცხვის ზრდასთან ბრძოლის შესაძლებლობა, რომელიც ხშირად არასასურველია ბაზარზე კონიუნქტურის გაუარესების მუდმივად არსებული რისკის გამო.	

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ 12 თვე, ჩვეულებრივ, საკმარისია იმისათვის, რათა კომპანიამ გაიაროს გზა იდეების დეკლარირებიდან რეკონსტრუქტირებული პროცესების პირველი მოქმედი ვერსიის დასრულებამდე. აღნიშნული პროცესის განსახორციელებლად საჭირო დროის დიდი დანახარჯი იწვევს კომპანიის თანამშრომელთა უნდობლობას, ისინი ხდებიან მოუთმენელნი და ფიქრობენ, რომ ბიზნეს-ინჟინერინგი – ეს გარდაქმნის რიგითი ყალბი პროგრამაა.

კომპანიას, რომლის ხელმძღვანელებსაც ესმით ბიზნეს-ინჟინერინგის საფუძვლები და ემხრობიან ამ იდეას, წარმატების მიღწევის 100%-ნი შანსი აქვს.

ბიზნეს-ინჟინერინგში ძირითადი საყრდენია პროცესული მიდგომა, სადაც მართვის ობიექტი – საწარმოში მიმდინარე პროცესებია. რეინჟინერინგი, როგორც ბიზნეს-ინჟინერინგის ნაწილი, გარდაქმნის ტექნიკაა. იგი იმდენად არატრადიციულია, რომ დღემდე დასავლეთშიც კი ვერ იქცა მასობრივი გამოყენების ინსტრუმენტად.

თუკი რაიმე სიახლის შემოტანაზეა საუბარი, ყველაფერი ადამიანებში სწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბებით უნდა დაიწყოს. ადამიანებს აქვთ საკუთარი ცოდნა და გამოცდილება, დამოკიდებულება და ხედვა, რომლებიც ამ გამოცდილებას ემყარება. ეს ელემენტები საკმაოდ მყარია, ხოლო გამყარებული შეხედულებების, განწყობის შეცვლა კი – ძალზე ძნელი. ცვლილებებს ადამიანი უსიამოვნოდ განიცდის და მის უნდობლობასაც იწვევს. ახლის აღქმასა და გაგებას გარკვეული დრო და ძალისხმევა სჭირდება. ასეთი რამის განხორციელება მხოლოდ ისეთ მენეჯერებს შეუძლიათ, რომელნიც მუდმივად ახლის ძიებაში არიან, რომელთათვისაც ცვლილება – გამოწვევაა, რომელიც განვითარებისა და წინსვლის საწინდარი უნდა გახდეს.

რაში მდგომარეობს პროცესული მიდგომის სიახლე და არსი? ფუნქციური მიდგომა ბიზნესში ბოლო დრომდე არსებობდა. იგი ორგანიზაციას ფუნქციათა ნაკრებისაგან შემდგარ გარკვეულ მექანიზმად მიიჩნევდა და თვლიდა, რომ ეს ფუნქციები გადანაწილებულია ქვეგანყოფილებებში, სადაც მათ სპეციალიზაციის მიხედვით, საწარმოს მუშაკები ასრულებენ. ფუნქციები და მათი შესრულება, წარმოების გართულებასთან ერთად და შესაბამისად, სულ უფრო მეტ ოპერაციად იყოფოდა. ასრულებდნენ რა თავიანთ ვიწრო სპეციფიკურ ამოცანებს, მუშაკები ვერ ხედავდნენ შრომის საბოლოო შედეგს და ვერ აღიქვამდნენ საკუთარ ადგილს წარმოების პროცესის მთლიან ჯაჭვში. მსგავსი სისტემა აიძულებდა პერსონალს, კარგად შეესრულებინა თავისი ფუნქცია, მაგრამ საბოლოო შედეგის ხედვა და მასზე ორიენტაცია არ არსებობდა. ბიზნესის წარმატების საზომი კი, სწორედ რომ მიღწეული შედეგია. ამასთანავე, თანამედროვე მეწარმე კარგად აცნობიერებს, რომ უმეტეს შემთხვევაში, ქმედებების ჯაჭვი ერთი ქვეგანყოფილებით ვერ შემოიფარგლება. სამსახურები ურთიერთქმედებენ და პროდუქტს ეტაპობრივად გადასცემენ ერთმანეთს. მეწარმე ხედავს, რომ ხშირად, ურთიერთქმედება მეტ დროს იკავებს, ვიდრე უშუალოდ კონკრეტული საქმე, რადგან მუშაკები ვერ აცნობიერებენ პრობლემას, ან არ არიან დაინტერესებულნი მომიჯნავე ქვეგანყოფილებებთან თანამშრომლო-

ბით. ამგვარ უთანხმოებაში საერთო ინტერესები განზე რჩება. ხშირია აგრეთვე, ინტერესთა კონფლიქტიც – კიდევ ერთი პრობლემა, რომელსაც შრომის ფუნქციური ორგანიზაციის ბუნება ბადებს. სწორედ ასეთ დასკვნამდე მივიდნენ ექსპერტები, როდესაც ფუნქციური მდგომარეობის ნაკლოვანებებს იხილავდნენ. მათი აზრით, ყურადღება უნდა გამახვილდეს საწარმოში მიმდინარე პროცესებზე, რადგან ისინი ამთლიანებენ ყველა ქვეგანყოფილებას და საბოლოო შედეგზე არიან ორიენტირებულნი. საჭიროა ისეთი მართვის პროცესის შენება, როგორიც საწარმოს სჭირდება. პროცესული მიდგომის თვალთახედვით, ორგანიზაცია განიხილება, როგორც პროცესების ნაკრები (ფუნქციური მიდგომით – ფუნქციების ნაკრები), ხოლო საწარმოს მართვა – პროცესების მართვად იქცევა. ამასთან, ყოველ პროცესს აქვს თავისი მიზანი, რომლის შესრულებაც მისი ეფექტიანობის კრიტერიუმია.

პროცესულმა მიდგომამ პოზიციები გაიმყარა და ბევრმა ჩათვალა, რომ მართვის უნივერსალურ ინსტრუმენტს მიაგნო. მეორე მხრივ, არსებობს მოსაზრებები, რომლებიც ფუნქციურ და პროცესულ მიდგომებს აპირისპირებენ და მათ ურთიერთგამომრიცხავად თვლიან. მათი აზრით, ,,ფუნქციები უნდა დავივიწყოთ! ვიმუშავოთ მხოლოდ პროცესებით!“ მაგრამ ორგანიზაციის ბუნება არ შეცვლილა, ყველაფერი ისევ იქ არის, ეს ჩვენ შევძელით მოვლენების და ელემენტების სხვაგვარად დანახვა. ორგანიზაცია კი ისევ ის მექანიზმია, რომელიც გარკვეული ფუნქციების ერთობლიობას ასრულებს და მას მიმდინარე პროცესები უდევს საფუძვლად. შესაბამისად, რომელიმე მიდგომის უგულებელყოფა არ გვჭირდება. ეს ორი ხედვა უფრო ურთიერთშემავსებელია, ვიდრე გამომრიცხავი.

გარდა ამისა, ფუნქციურ მიდგომაზე უარის თქმა ,,ფუნქციის“ იგნორირებისაკენ გვიბიძგებს; შესაბამისად, რჩება მხოლოდ პროცესული სტრუქტურა. რა ჩაითვლება ასეთი სტრუქტურის ორგანიზაციულ ერთეულად და როგორ გავანაწილოთ ამ პროცესების მონაწილე თანამშრომლები? გამოდის, რომ სპეციალისტების განაწილება განხორციელდება პროცესისადმი მათი კუთვნილების მიხედვით. მაგრამ საწარმოში, როგორც წესი, ყოველი თანამშრომელი მრავალფუნქციურია. მაგალითად, მესაწყობე იღებს და ჩამოტვირთავს საქონელს, ანუ მონაწილეობს ლოგისტიკის – შესყიდვის და გაყიდვის პროცესში, ამავე დროს, აწარმოებს აღრიცხვას. ამ შემთხვევაში, მის საქმიანობასთან დაკავშირებით ,,იკვეთება“ ორი პროცესი: პროცესული მიდგომის ლოგიკა მოითხოვს ორ თანამშრომელს – ერთს ლოგისტიკის პროცესისათვის, ხოლო მეორეს – აღრიცხვისთვის. მუშაკების რაოდენობა იზრდება, რაც წინააღმდეგობაშია ეფექტიანობის ამაღლების ამოცანასთან.

ბიზნეს-ინჟინერინგი, როგორც მიდგომა, ზრუნავს ამგვარი პრობლემების დაბალანსებასა და გადაჭრაზე. ფუნქცია და ორგანიზაციის სტრუქტურა ,,არსად ქრება,“ თანამშრომლები პროფესიული სპეციალიზაციის პრინციპით არიან დაჯგუფებულნი. ისინი მონაწილეობენ სხვადასხვა პროცესებში, სადაც განისაზღვრება პერსონალის მიერ შესრულებული როლები. ხოლო, თუ რამდენ როლს შეითავსებს ესა თუ ის თანამშრომელი – ეს უკვე ორგანიზაციის რესურსების რაციონალური გამოყენების საკითხია. ორგანიზაციის მართვაში ხდება ფუნქციური და პროცესული მიდგომების შეხამება და ,,ოქროს შუალედის“ მონახვა. საწარმოს ფუნქციური სტრუქტურა განსაზღვრავს – თუ ,,რა ვაკეთოთ?“ ხოლო პროცესული – ,,როგორ ვაკეთოთ?“ ეს მართვის ორი განუყოფელი მხარეა. თუკი მენეჯერი, მმართველი, ფირმის ხელმძღვანელი შეძლებს, ასე შეხედოს ორგანიზაციას, მაშინ ბიზნეს-ინჟინერინგი მისთვის მართვის სასარგებლო და ეფექტიან ინსტრუმენტად იქცევა. ყოველი საწარმო, რომელიც დაკავებულია წარმოებით და საქონლის რეალიზაციით ან მომსახურებით, შეიძლება განვიხილოთ, როგორც სისტემა. ასეთი სისტემები მოიხმარენ რესურსებს, გარდაქმნიან მათ და შედეგად იღებენ პროდუქტს – საქონელს ან მომსახურებას. ეს საწარმოო ჯაჭვი, წარმოადგენს პროცესების ნაკრებს, მის ფარგლებში ხორციელდება გარკვეული ქმედებები, რომელთაც შედეგისაკენ, ორგანიზაციის მიზნებისაკენ მივყავართ. კომპანიის მიზანი განსაზღვრავს საწარმოო პროცესის ფორმასა და შინაარსს. ფუნქციური ორგანიზაცია უფრო ისეთი სტატიკური ელემენტებით ხასიათდება, როგორიცაა: ფუნქციები, ორგ.სტრუქტურა, რეგლამენტი. პროცესული ორგანიზაცია კი – დინამიურია. მიუხედავად ამისა, მათ შორის არსებობს მჭიდრო ურთიერთკავშირი. კონკრეტულ ქმედებებს პროცესის ფარგლებში ასრულებენ თანამშრომლები, რომლებიც განსხვავებულ ფუნქციურ ქვეგანყოფილებებში იმყოფებიან. კავშირი მყარდება შესაბამისი დოკუმენტების საშუალებით – დებულება სამსახურზე, ქვეგანყოფილებებზე, თანამდებობრივი ინსტრუქციები. მათში, ერთი მხრივ, განისაზღვრება შემადგენლობა და ფუნქციათა განაწილება ქვეგანყოფილებებს შორის, მეორე მხრივ კი, პროცესების აღწერისას ხდება კონკრეტული თანამშრომლების მოქმედების მკაფიო თანმიმდევრობის დადგენა, რათა მათი ფუნქციური მოვალეობები მოწესრიგებულად შესრულდეს. ამასთანავე, ყოველ პროცესს აქვს თავისი მიზანი. პროცესის ეფექტიანობის კრიტერიუმი არის ის, თუ რამდენად ოპტიმალურია ის გზა, რომელიც მის მისაღწევადაა არჩეული.

ბიზნეს-პროცესების მართვისა და სრულყოფის მთელი საქმიანობა ბიზნეს-ინჟინერინგის მეშვეობით ხორციელდება და მთელი რიგი შესაძლებლობების რეალიზებას უწყობს ხელს.

ბიზნეს-პროცესების შექმნა (დიზაინი). ბიზნეს-პროცესების აღსაწერად სპეციალური ენა გამოიყენება, რომელიც არსებული პროცესებს ასახავს ისე, ,,როგორც ეს არის" და მომავლის მოდელების შექმნის საშუალებასაც გვაძლევს. მოდელი მოიცავს ყველა შემადგენელი პროცესის – ფუნქციების, რესურსების, მონაწილეების, მიზნების, ინფორმაციის, შედეგების, მოვლენების, მოქმედების მიმართულების და თანმიმდევრობის აღწერას. ამგვარად, ხდება რეალობის ასახვა ან წარმოდგენა მომავალში. პროცესის ყველა მონაწილე თავის ფუნქციურ მოვალეობას მოდელის შესატყვისად ასრულებს. ყველა თანამშრომელმა მკაფიოდ იცის პროცესის ფარგლებში ყველა თავისი ქმედება. აღწერას მრავალდონიანი სტრუქტურა აქვს. თავდაპირველად პროცესი მაკროდონეზე (საწარმოს დონე) აღიწერება, შემდეგ – უფრო დაბალ დონეზე, დეტალიზაციის მაღალი ხარისხით, რაც სისტემურობასა და სტრუქტურულ ურთიერთდამოკიდებულებას უზრუნველყოფს. ასეთი მოდელის შესაბამისად დალაგებული ქვედანაყოფების მოქმედება კოორდინირებულია და საერთო პროცესის კალაპოტში, საერთო შედეგისკენაა მიმართული.

ბიზნეს-პროცესის ცვლილებები. ნებისმიერი ცვლილება ბიზნესის წარმოებისას – საქმიანობის ახალი მიმართულება, გაფართოება, ახალი ტექნოლოგიები და სხვ. – შესაბამისი სეგმენტების სწრაფ ტრანსფორმაციას მოითხოვს. ხდება არსებული მოდელის კორექტირება და ცვლილება შესრულებამდე მიჰყვება. ფუნქციების შესრულება ახალი პირობების შესატყვისად იწყება. ბიზნეს-პროცესების მუდმივი ადაპტაცია ცვალებად პირობებთან – ბიზნესის მართვის ეფექტური მექანიზმია.

ბიზნეს-პროცესების ანალიზი. პროცესის მოდელი თავისი თვალსაჩინოების წყალობით, იმის ეფექტიანი ანალიზის შესაძლებლობას იძლევა, თუ რამდენად ოპტიმალურია მიზნისაკენ დასახული გზა. ანალიზის ფაქტორებად, კრიტერიუმად, შეიძლება მივიჩნიოთ პროცესის ლოჯისტიკა, მისი ხანგრძლივობა და ღირებულება და ა.შ. ანალიზის მონაცემები პროცესის შეცვლის, მისი ხარისხის გაუმჯობესების საშუალებად წარმოგვიდგება.

ბიზნეს-პროცესების ოპტიმიზაცია. მუდმივი მონიტორინგი და ბიზნეს-პროცესების ანალიზი ავლენს ეფექტიანობის ამაღლების რეზერვებს, რაც ოპტიმიზაციის გზით მიიღწევა. შეიძლება გამოვლენილი და აღკვეთილი იქნეს: ფუნქციების დუბლირება, ოპერაციების ზედმეტი ღირებულება ან შესრულების დაბალი ხარისხი, ზედმეტი ოპერაციები ან ქმედების შეუთანხმებლობა და სხვ. ოპტიმიზაცია ორი ტიპისაა: პროცესების მუდმივი სრულყოფა (ევოლუციური გზა) და პერიოდული რადიკალური ცვლილებები (რევოლუციური გზა). პირველი – მიმდინარე საქმიანობის ფარგლებში გამოიყენება, ხოლო მეორე – როდესაც არსებითი ცვლილებებია საჭირო. ასეთი მიდგომა იძლევა საშუალებას, რომ თავი ავარიდოთ ძველ პროცესებში ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას, ანუ ,,ყველაფერს ვიწყებთ ნულიდან." ბიზნეს-პროცესების ეს რევოლუციური გზა რეინჟინერინგია, რომელზეც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

ბიზნეს-პროცესების დოკუმენტირება. ბიზნეს-პროცესების მართვაში ყველა განხორციელებული მოქმედებისა და ცვლილების დოკუმენტირება ხდება. ბიზნეს-პროცესების მოდელების აღწერა, დიაგრამები არსებობს ქაღალდზე და ელექტრონული სახით. ნებისმიერი ცვლილება მოდელში აისახება, რათა პროცესის მთელი კომპლექსის არსებული ვერსია ყოველთვის მისაწყდომი იყოს. ანალოგიურად შეიძლება დაიგეგმოს მომავალი პროცესები. შესაძლებელია მათი ანალიზი, შემოწმება, მოწესრიგება და სამუშაო ვერსიად ქცევა.

მაშასადამე, პროცესი – ფუნქციების შესრულების თანმიმდევრობაა, რომელიც მომხმარებლისათვის ღირებული შედეგის მიღწევაზეა მიმართული. ამ ფორმულირებაში იკვეთება პროცესის უმნიშვნელოვანესი ელემენტები: ,,ფუნქციის შესრულების თანმიმდევრობა", ანუ წესრიგი და შესრულების მიმდევრობა; ,,შედეგის მიღწევაზე მიმართული," ანუ ის, რომ პროცესი შედეგის გარეშე არ არსებობს, შედეგის მიღწევა მისი დანიშნულებაა; ,,მომხმარებლისათვის ღირებული," ანუ შესრულებულ სამუშაოს, ან გაწეულ მომსახურებას აფასებს არა შემსრულებელი, არამედ მომხმარებელი, პროცესის კლიენტი. ამასთანავე, ეს უნდა ეხებოდეს როგორც გარე (მყიდველი), ასევე შიდა (მეზობელი განყოფილება) ,,მომხმარებელს". თუკი ერთი განყოფილების თანამშრომლებს არ აწუხებთ ის, თუ როგორ აფასებენ მათ მუშაობას ისინი, ვისთვისაც ასრულებენ სამუშაოს, მათ არც ფირმის კლიენტების კმაყოფილების საკითხი შეაწუხებთ. პროცესების მართვა, ეფექტიანი ურთიერთქმედების ორგანიზებაა როგორც ორგანიზაციის შიგნით (თანამშრომლებსა და ქვეგანყოფილებებს შორის), ასევე მის გარეთ (მყიდველებთან, მომწოდებლებთან, ინვესტორებთან), რაც უხარისხო ურთიერთქმედების დანახარჯების შემცირების საშუალებას იძლევა.

არ არსებობს პროცესების სრული ან სტანდარტული სია. პროცესი იმდენია, რამდენიც გარკვეული საქმის განხორციელებას ესაჭიროება. პროცესების განვითარების არსებითი ტენდენციაა – გაშლა ორგანიზაციის საზღვრებს გარეთ, ანუ კროს-ორგანიზაციული პროცესები. მათი შექმნა და ოპტიმი-

ზაცია გარე ტრანსაქციული დანახარჯების შემცირებაზეა მიმართული.

პროცესებს, როგორც სისტემების მართვას პროცესული სტრუქტურის ფორმირება სჭირდება. ყოველი პროცესი შედეგის მიღწევაზეა ორიენტირებული, რათა ამ შედეგის გამოყენება შემდეგ ეტაპზე, მორიგი შედეგის მისაღებად მოხდეს, საბოლოოდ, საწარმოს საერთო მიზნების მისაღწევად. შესაბამისად, პროცესის სტრუქტურა განპირობებულია ორგანიზაციის ,,მიზნების ხის" სტრუქტურით, რაც თავი მხრივ, სტრატეგიასთანაა დაკავშირებული. ბიზნეს-ორგანიზაციაში თვალსაჩინოა ყველა სტრუქტურის ურთიერთკავშირი და შეუძლებელია საქმიანობის მოწესრიგება რომელიმე ცალკე აღებულ სფეროში, სისტემური მოწესრიგების, მართვის სისტემის აგების გარეშე. პროცესების სრულყოფა მიზნების მიღწევის ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა.

EVGENI BARATASHVILI

FOR DEFNITION OF BUSINESS-ENGINEERING

Summary

Business Engineering, just like other methods of management comes from Western experience. "Engineering" is an English word and is defined as a unity of intellectual activities that aims to pull out the best results from capital investments and expenses. Of course it is only achieved by several successful projects and affective use of material, financial, intellectual, human resources.

Business engineering holds all necessary actions for the development and support of independent business. It can be compared to beginner business level but it contains some new aspects. The goal of business engineering is the formation of a new, future-oriented formation but also is linked to present or emerged circumstances. Business engineering is no stranger to hi technologies. Making it more general we can say that **business engineering totally incorporates new business organizations to prospective business environment.**

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Григорьев Л. Ю., Кудрявцев Д. В., Спиридонов В. В., Кислова В. В. Новые подходы к моделированию процессов и корпоративной архитектуры предприятия. М., 2006.
2. http://ru.wikipedia.org
1. 3.Peter F. Druker, "A New Discipline", Success! January-February 1987, p.18.
3. Faiol H. General and Industrial Management, London, Pitman, 1949,
4. Hammer, M. and Champy, J. A.: (1993) Reengineering the Corporation: A Manifest for Business Revolution, Harper Business Books, New York, 1993., p. 104–112.

როზეტა ასათიანი

ბიზნეს-ინჟინერინგი – სერვისული წარმოების განვითარების თანამედროვე მიმართულება

ბიზნეს-ინჟინერინგი საინჟინრო-საკონსულტაციო მომსახურების შერწყმაა ბიზნესის ფილოსოფიასთან. იგი ინტელექტუალური საქმიანობის ერთობლიობაა, რომელიც გულისხმობს კომერციულ საფუძველზე სხვადასხვა სახეობის საინჟინრო-საკონსულტაციო მომსახურების გაწევას როგორც სპეციალიზებული ფირმების, ისე სამრეწველო, სამშენებლო და ა.შ. კომპანიებისა და სამეცნიერო-სასწავლო დაწესებულებების მიერ.

ბიზნეს-ინჟინერინგი ინტელექტუალური მომსახურების შედარებით ახალი დარგია. იგი ფართოდ განვითარდა XX საუკუნის 70-ანი წლებიდან და მოკლე დროში გადაიქცა ეკონომიკის მნიშვნელოვან სტრუქტურულ ელემენტად. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო მის ინტეგრაციას ბიზნესთან და წარმოების ოლიგოპოლიზაციას. მცირე და უმცირეს ფირმებთან ერთად, უმსხვილესმა სამრეწველო, სავაჭრო და სადაზღვევო კომპანიებმა, ბანკებმა, რომლებიც საქმიანი მომსახურების ამ სეგმენტში ხედავენ კაპიტალის დაბანდების მომგებიან სფეროს, შექმნეს ფილიალები და შვილობილი საზოგადოებები.

ბიზნეს-ინჟინერინგის სტრუქტურა გამოირჩევა სირთულითა და მრავალმხრივობით. იგი, როგორც სერვისული წარმოების განსხვავებულ სახეობათა ერთობლიობა, იყოფა ორ ჯგუფად: 1) პროდუქციის წარმოების პროცესის მომზადებასთან დაკავშირებული მომსახურება; 2) პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის პროცესის ნორმალური მსვლელობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული მომსახურება.

ბიზნეს-ინჟინერინგის პირველ ჯგუფს მიეკუთვნება: ა) **წინასაპროექტო მომსახურება**. მასში შედის: სოციალურ-ეკონომიკური გამოკვლევები, ტოპოგრაფიული გადაღებები და ადგილმდებარეობის დაგეგმარება; ნიადაგის, გრუნტის გამოკვლევა; წიაღისეულის ძიება; კაპიტალდაბანდების რეგიონების განაშენიანების, სატრანსპორტო ქსელის განვითარების გეგმების შემუშავება; პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთებულობის მომზადებისათვის გამოკვლევების ჩატარება და სხვ. ბ) **საპროექტო მომსახურება**, რომელიც, თავის მხრივ, იყოფა ბაზისურ და დეტალურ (დაწვრილებით) ინჟინერინგად. **ბაზისურ ინჟინერინგში** შედის: წინასწარი საინჟინერინგო გამოკვლევებისა და პროექტების, გენერალური გეგმისა და თანმხლები სქემების, რეკომენდაციების მომზადება, პროექტების ღირებულების, მის ექსპლუატაციასა და შექმნაზე გაწეული დანახარჯების წინასწარი შეფასება. **დეტალურ ინჟინერინგში** შედის: 1) პროექტის დაწვრილებითი გამოკვლევა, შემაჯამებელი საარქიტექტურო პროექტის შემუშავება, ტექნიკური სპეციალისტების, მხაზველებისა და ა.შ. მომზადება. ამ ჯგუფში შედის, აგრეთვე, სამუშაოთა წარმართვისათვის ზედამხედველობა და კონსულტაციები; ბ) პროექტის შემდგომ მომსახურება. იგი მოიცავს ობიექტის მშენებლობასთან დაკავშირებით კონტრაქტის დადებისათვის გაწეულ სამუშაოებს. მასში შედის: საკონტრაქტო დოკუმენტაციის მომზადება; საჯარო ვაჭრობის (აუქციონის) ორგანიზაცია; წინადადებების შეფასება; რეკომენდაციების შედგენა; კონტრაქტის დადება; პროექტის გაძღოლა-ზედამხედველობა; მშენებლობის მართვა; სამუშაოს დამთავრების შესახებ სერტიფიკატის შედგენა და გაცემა; მშენებლობის შესახებ ტექნიკური დასკვნის გაკეთება, ტექნიკური პერსონალის მომზადება; პროდუქციის გასაღებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა; გ) სპეციალური მომსახურება, განპირობებული მოცემული ობიექტის შექმნის კონკრეტული პრობლემებით (ნარჩენების უტილიზაციასთან დაკავშირებული საკითხების კვლევა, სხვადასხვა იურიდიული პროცედურები და ა.შ.).

ბიზნეს-ინჟინერინგის მეორე ჯგუფს მიეკუთვნება: წარმოების პროცესის მართვისა და ორგანიზაციასთან დაკავშირებული მომსახურება; მოწყობილობების გამოცდასთან დაკავშირებული მომსახურება; ობიექტის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული მომსახურება (კადრების შერჩევა და მომზადება, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანიზაცია, ხელფასისა და სამუშაოთა სტრუქტურის დადგენა, ექსპლუატაციის მეთვალყურეობა და სხვ.); საფინანსო საკითხში კვალიფიციური დახმარება (კონსულტაციები დაფინანსების ორგანიზაციაში, შემოსავლებისა და დანახარჯების შეფასება და რეკომენდაციები მათი ოპტიმიზაციის მიზნით, ფინანსური პოლიტიკის საკითხში კონსულტაციები და ა.შ.); პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებული მომსახურება (ბაზრების კონიუნქტურის გამოკვლევა, რეკლამის ორგანიზაციაში დახმარების გაწევა, გასა-

ღების სფეროში კონსულტაციები და ა.შ.); საინ-ფორმაციო უზრუნველყოფის სისტემის, ელექტ-რო-გამოთვლითი ტექნიკის დანერგვასთან დაკა-ვშირებული მომსახურება.

სამუშაოთა ასეთი მრავალფეროვანი სახეობ-ების გამო ინჟინერინგული ფირმები ჩვეულებ-რივ სპეციალიზდებიან მომსახურების განსაზღვ-რული ჯგუფის შესრულებაზე.

ბიზნეს-ინჟინერინგი ხასიათდება მრავალი თავისებურებით, რომლებიც განასხვავებენ მას მომსახურების სხვა სახეებისაგან. აქედან აღსანიშნა-ვია: პირველი, ინჟინერინგი, როგორც წარმოებრივი დანიშნულების მომსახურების ერთ-ერთი სახეობა, უშუალოდ გამოიხატება არა პროდუქტის ნივთობ-რივ ფორმაში, არამედ სასარგებლო ეფექტში, თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ ზოგიერთ შემ-თხვევაში შეიძლება ჰქონდეს მას მატერიალური ფორმაც. მაგალითად, ობიექტის დაპროექტების სფეროში მომსახურების სასარგებლო ეფექტის მატერიალური მატარებელია საპროექტო და ტექ-ნიკური დოკუმენტაცია, მაგრამ საინჟინერინგო მომსახურების ისეთ სახეებს, როგორიცაა, ობიექ-ტის მშენებლობის მართვა, ან სპეციალისტების მომზადება და სხვ., არა აქვთ ნივთობრივი გამო-სახულება; მეორე, ინჟინერინგის შემადგენლობა-ში არ შედის არაწარმოებრივი დანიშნულების მომსახურება. ამით იგი განსხვავდება საფინანსო და სავაჭრო მომსახურებისაგან. მაგალითად, საინ-ჟინერინგო მომსახურებაში შედის საფინანსო და სავაჭრო საწარმოების, საცხოვრებელი სახლებისა და სხვა ობიექტების შექმნისათვის განკუთვნილი საპროექტო სამუშაოები, ბაზრების დაგეგმვა, პრო-დუქციის რეალიზაციის ან საფინანსო ოპერაციებ-ის ორგანიზაციის სრულყოფა, მაგრამ მასში არ შედის საფინანსო და სავაჭრო ოპერაციები, მუ-შაკთა საქმიანობა საცხოვრებელი სახლების ექ-სპლოატაციის სფეროში და სხვ. ამრიგად, საინ-ჟინერინგო მომსახურება უშუალოდ დაკავშირე-ბულია მატერიალური დოვლათის და მომსახურ-ების წარმოებისა და რეალიზაციის პროცესის მომზადებასა და უზრუნველყოფასთან; მესამე, საინჟინერინგო მომსახურება კვლავწარმოებადია. ამით იგი განსხვავდება „ნოუ-ჰაუს“, ლიცენზიებ-ისა და ტექნოლოგიის სფეროში ცოდნის სხვა ფორმებისაგან. ამის გამო, საინჟინერინგო მომსა-ხურების ბაზარზე სახეზეა მრავალი აგენტი. რაც შეეხება „ნოუ-ჰაუსა“ და ლიცენზიებს – ეს არის წარმოებრივი დანიშნულების არაკვლავწარმოება-დი ცოდნის რეალიზაცია, რომელსაც ფლობს გამ-ყიდველთა შეზღუდული რაოდენობა. ასეთ შემთ-ხვევაში ყიდვა-გაყიდვის ობიექტი ხდება არა აღ-ნიშნული ცოდნის გამოყენების უზრუნველყოფი-სათვის გაწეული მომსახურება, არამედ თვით ეს ცოდნა, როგორც მონოპოლიური საქონელი. ამის შედეგად „ნოუ-ჰაუს“-ის ფასი განისაზღვრება არა შესაბამისი ცოდნის შეძენაზე გაწეული შრომის დანახარჯებით, არამედ მასზე მოთხოვნა-მიწო-დების თანაფარდობითა და წარმოადგენს მონო-პოლიური ფასს.

უკანასკნელ პერიოდში ბიზნეს-ინჟინერინგი ფართოდ იკიდებს ფეხს საერთაშორისო ეკონომიკ-ურ ურთიერთობებში. ეს არის წარმოებრივი, კო-მერციული და მეცნიერულ-ტექნოლოგიური ხასი-ათის მომსახურების კომპლექსი. თანამედროვე ტექ-ნოლოგიების მომხმარებელი ქვეყნების წრის გა-ფართოებამ განაპირობა ამ სპეციფიკური საქონ-ლის რეალიზაციის აუცილებლობა მსოფლიო ბა-ზარზე. ინჟინერინგის წამყვანი ექსპორტიორებია აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, გფრ-ის, იაპონიის წამყვანი კომპანიები, აგრეთვე კანადის, დანიის, შვეიცარიის, შვედეთისა და იტალიის ფირმები.

ბიზნეს-ინჟინერინგი, თავისი უნივერსალური ხასიათიდან გამომდინარე, გამოიყენება სამეცნი-ერო-კვლევითი, საპროექტო-სამშენებლო, წარმო-ებრივი, საყოფაცხოვრებო და ა.შ. პროექტების რე-ალიზაციისას. მისთვის დამახასიათებელია რო-გორც სპეციალიზაციის მაღალი დონე, ისე საექ-სპორტოდ წარდგენილი საინჟინერინგო მომსახურ-ების მრავალფეროვნება რამაც განაპირობა მსოფ-ლიო ბაზარზე საინჟინრო-საკონსულტაციო ფირ-მებისადმი მოთხოვნის არსებითი ამაღლება. მკვეთრად გაიზარდა მათი როლი საწარმოთა მოდერნიზაციასა და მართვის სისტემის შემუშა-ვებაში, ასაგები ობიექტების ტექნიკური დონის ამაღლებასა და ა.შ. თავის მხ,რივ საინჟინრო-სა-კონსულტაციო ფირმები, კონკურენტუნარიანობ-ის ამაღლების მიზნით, ახორციელებენ მომსახურ-ების დივერსიფიკაციას და ცდილობენ მიაღწი-ონ არსებით უპირატესობას მომსახურების რო-გორც ხარისხობრივ დონეში, ისე მის მწარმოებ-ლურობაში. მსოფლიო ბაზარზე მათ წარმატებას, მაღალ პროფესიონალიზმთან ერთად, განაპირო-ბებს კომპლექსური „დისციპლინათაშორისი“ ინ-ჟინერინგის განხორციელება, რის გამოც მათ აქ-ვთ გარკვეული უპირატესობები. ასეთ ფირმებს მიეკუთვნება, მაგ., კანადის „ლავალინ გრუპი“, აშშ-ის „ლუის ბრემერ ინტერნეშნლ“, „ბექტელ გრუპი“, „მარისონ ნადსონი“, „ფლუორ დენიელ“, საფრანგეთის „ფრამატონი“, „ტექნიკი“, დიდ ბრი-ტანეთში – „ჯონ ბრაუნი“, „ტაილორ ვუდროუ“ და ა.შ.

მსოფლიო ბაზარზე დიდი განვითარება ჰპო-ვა აგრეთვე ისეთმა დისციპლინართაშორისმა ფირმებმა, რომლებიც მომსახურების ფართო სპექტრს ქმნიან ტექნიკური დახმარების სფერო-ში. ამასთან, საერთაშორისო ინჟინერინგზე არსე-ბული მაღალი ფასები განაპირობებს მათ მიერ ამ სფეროში საკუთარი ბაზრის შექმნასა და ბიზნეს-ინჟინერინგის სწრაფ განვითარებას.

ივანე ჯაგოდნიშვილი

ინჟინერინგის ცნების გააზრებისათვის თანამედროვე ქართულ ენობრივ ცნობიერებაში

ინჟინერინგი, როგორც ცოდნისა და პროფესიული საქმიანობის კონკრეტული შინაარსის გამომხატველი ცნება, ჩვენს საგანმანათლებლო და სამეცნიერო სივრცეში დიდი ხანი არაა, რაც გაჩნდა და უპირატესად ბიზნესის სფეროს დაუკავშირდა. შესაბამისად, ქართული ენობრივი ცნობიერება ინჟინერინგის ცნებას ბიზნეს-ურთიერთობებს უკავშირებს და მკვიდრდება. შესიტყვება „ბიზნეს-ინჟინერინგი", როგორც კონკრეტული სახეობის გამომხატველი ტერმინი, თუმცა მისი შინაარსი, როგორც ნებისმიერი ტერმინოლოგიური ნოვაციისათვის არის დამახასიათებელი, ამ შემთხვევაშიც არაერთგვაროვნად ესმით. ამის ერთი მიზეზი ის არის, რომ ინჟინერინგის ტერმინოლოგიური შინაარსის განმარტება ამჟამად აღიარებულ ლექსიკონებში მაინცა და მაინც არ გამოირჩევა სიცხადით, ყოვლისმომცველობით და შესაბამისად, დამაკმაყოფილებლობის მაღალი ხარისხით. ზოგიერთი ტრადიციული ტერმინოლოგიური და განმარტებითი ლექსიკონი კი ინჟინერინგის ცნებას საერთოდ არ იცნობს.

ერთ-ერთი ავტორიტეტული განმარტებითი ლექსიკონი – ოქსფორდის ლექსიკონი ასე განმარტავს ინჟინერინგის ტერმინოლოგიურ შინაარსს:

– საქმიანობა, რომელიც მიმართულია მეცნიერული ცოდნის გამოყენებაზე პროექტირების, მშენებლობის, მანქანა-დანადგარების მართვისათვის.

ამ განმარტებით ინჟინერინგი, პირველ ყოვლისა, მეცნიერულ ცოდნაზე დამყარებული ინჟინერული საქმიანობაა. თუმცა, ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ ეს განმარტება არც ლექსიკონის შემდგენელთათვის არის ამომწურავი, რადგან იქვე ინჟინერინგის კიდევ ერთი განმარტებაც არის შემოთავაზებული, რომლის თანახმადაც ინჟინერინგი გამოყენებითი მეცნიერების საგანია. ამ შემთხვევაში სახეობრივი ინჟინერინგების არსებობაც აქცენტირდება, მაგალითად: ქიმიური ინჟინერინგი, მანქანათმშენებლობის ინჟინერინგი, ფინანსური ინჟინერინგი, სოციალური ინჟინერინგი და ა. შ. საყურადღებო აქ ისიც არის, რომ ინჟინერინგი გადაიტანება სრულიად სხვადასხვა სფეროებზე, მათ შორის სოციალურზე.

გაეროს ევროპული ეკონომიკური კომისიის განმარტებით ინჟინერინგი საწარმოებისა და ინფრასტრუქტურის ობიექტების შექმნასა და ექსპლოატაციასთან დაკავშირებული განსაკუთრებული საქმიანობაა.

ამ განმარტებათა თანახმად, ინჟინერინგს ადგილი ეძებნება მეცნიერებას და წარმოებას შორის და საწარმოო საქმიანობისათვის ტექნიკური და ტექნოლოგიური ბაზის ჩამოყალიბების ფუნქცია ენიჭება.

ცხადია, გავრცელებულია ინჟინერინგის სხვა განმარტებებიც, მაგრამ მათი მეტნაკლები შინაარსობრივი სხვადასხვაობის მიუხედავად, საერთო აქვთ საქმიანობის სფეროსა და საქმიანობის ფორმის განსაზღვრებები: საქმიანობის სფეროა მშენებლობა, ექსპლოატაცია, საქმიანობის ფორმაა მომსახურება. თუმცა, საქმიანობის ფორმის პროცესუალურობა (მომსახურეობა) სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მას სტრუქტურული ბუნებაც აქვს, რადგან პროცესუალურობის არსებობის პირობა სტრუქტურირებულობაა [არქუილა 1997: 36]. ეს კი იმასაც ნიშნავს, რომ ინჟინერინგის არსის აღწერა-დახასიათება ობიექტურად სრულიად შესაძლებელია.

მიუხედავად იმისა, რომ ინჟინერინგი, როგორც პროფესიული საქმიანობის სახეობა კარგა ხანია გასცდა თავდაპირველ სფეროს და ყურადღება თავისი ყოვლისმომცველობით მიიპყრო, ლექსიკოგრაფიას ეს მოვლენა ჯერაც არ დაუფიქსირებია და გარკვეულობა არ შეუტანია ჩვენს ენობრივ და მეცნიერულ-ინტელექტუალურ ცნობიერებაში.

ინჟინერინგის ტერმინოლოგიური პოლისემიურობის მიზეზად ზოგიერთი ავტორი ამ ტერმინის განსაზღვრისადმი მიდგომის სხვადასხვაობას ასახელებს. მიზეზი, აშკარაა, მოკლებულია არგუმენტირებულობას, თუნდაც იმიტომ, რომ ტერმინისადმი წაყენებული დეფინიციურობის მოთხოვნა განმარტება-განსაზღვრების უნივერსალურობას შეიცავს. აღნიშნული მიზნის მიღწევა კი თავად ინჟინერინგის ცნების თავდაპირველი შინაარსის და მისი ევოლუციური წაკითხვების გათვალისწინებას საჭიროებს. ბუნებრივია, მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი იმის გარკვევა,

რა შინაარსია ჩადებული „ინჟინერინგის“ ცნებაში, რამდენად ადეკვატურად გვესმის და გამოვიყენებთ მას არა როგორც მხოლოდ ტერმინს, არამედ ცოდნისა და ინტელექტუალური საქმიანობის საგნობრივი სფეროს მახასიათებელს.

გავრცელებული აზრის თანახმად, ინჟინერინგის, როგორც პროფესიული საქმიანობის, გამომხატველი ცნება თავიდან, XX საუკუნის დასაწყისში, სამოქალაქო მშენებლობის სფეროში გაჩნდა, როგორც საინჟინრო-საკონსულტაციო საქმიანობის სახეობის აღმნიშვნელი ტერმინი. ამ ეტაპზე და ცოტა მოგვიანებითაც საინჟინრო-საკონსულტაციო საქმიანობა, როგორც მომსახურების ფორმა, შეესაბამებოდა ბიზნეს-საქმიანობას მრეწველობის სფეროებშიც. ამ დროსვე დაიწყო ინჟინერთა საკონსულტაციო მომსახურების გაყიდვა, როგორც ახალი საწარმოების მშენებლობისა და არსებულების ფუნქციონირების გაუმჯობესებისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ინტელექტუალური კაპიტალისა.

ინჟინერინგი, როგორც პროფესიული საქმიანობის სახეობა, ინტენსიურად ვითარდება XX საუკუნის 60-ანი წლებიდან. განსაკუთრებით მყარად მოიკიდა ფეხი აშშ-ში. ამ ქვეყანაში თავიდან, როგორც მიუთითებენ, ინჟინერინგი მოიცავდა შიდა ბაზარს, ხოლო მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გასცდა აშშ-ს ფარგლებს და ეს დაკავშირებული იყო ამ ქვეყნის დიდი როლით მსოფლიოს მრვალ ქვეყანაში აეროდრომების, გზების, პორტების მშენებლობაში.

ინჟინერინგული საქმიანობა მთელს მსოფლიოში გავრცელდა საერთაშორისო ორგანიზაციათა საქმიანობის შედეგადაც. ცნობილია, რომ იმ პერიოდში გაჩნდა აგრეთვე ინჟინრული მომსახურების კომპლექსურობის მოთხოვნილება, ინჟინრული პროექტების ბოლომდე განხორციელების აქცენტირებით.

ინჟინერინგული პროფესიული საქმიანობის სფეროები სულ უფრო ფართოვდებოდა და, მაშასადამე, მრავალფეროვანი ხდებოდა, ბოლოს კი საერთაშორისო კომერციული საქმიანობის თავისთავად სფეროდ ჩამოყალიბდა.

ინჟინერინგის პროფესიული საქმიანობის სფეროები განსაკუთრებით გაფართოვდა 1970-1980 წლებში. ახალი პრაქტიკის გათვალისწინებით აუცილებელი გახდა ინჟინერინგის ცნებითი შინაარსის გადააზრება და დაზუსტება, მისი ახალი სახეობების სისტემატიზება, ინჟინერინგული საქმიანობის სფეროების უნიფიცირება როგორც კონკრეტული ნაციონალური სინამდვილის სპეციფიკის, ისე საერთაშორისო რეალიების გათვალისწინებით. ამ მხრივ განსაკუთრებით სისტემური კვლევები განხორციელდა გაეროს ევროპული ეკონომიკური კომისიის მიერ, შემუშავდა რამდენიმე უნიფიცირებოსათვის და სტანდარტიზების პრინციპების შემცველი დოკუმენტი. ასეთთა შორის შეიძლება დასახელდეს: „ინჟინერინგის საერთაშორისო ხელშეკრულებების შედგენის სახელმძღვანელო“ და „კონსორციუმის საერთაშორისო ხელშეკრულებების შედგენის სახელმძღვანელო“.

ინჟინერინგის სფეროში საქმიანობის უნიფიცირებისა და სტანდარტიზაციის სამუშაოები ჩატარდა მსოფლიო ბანკის და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკების ეგიდით, რამაც შესაძლებელი გახადა ინვესტიციათა დასაბუთებისა და ინჟინერულ დამუშავებათა ბაზაზე ინვესტიციურ გადაწყეტილებათა მიღებისადმი ერთიანი მიდგომის გამომუშავება, ეკოლოგიური და სოციალური ფაქტორების გათვალისწინებით. ,,პროფესიული განვითარების ამერიკული საბჭოს” განსაზღვრებით, ინჟინერინგის შინაარსი უნდა გვესმოდეს როგორც მეცნიერული მეთოდებისა და პრინციპების შემოქმედებითი გამოყენება შენობა-ნაგებობების, საწარმოო პროცესების პროექტირებისა და დამუშავებისათვის. ამჟამად ინჟინერინგის სფეროში პროფესიული საქმიანობის მიხედვით გამოყოფენ:

- **ბიზნეს-ინჟინერინგს (ან ბიზნეს-პროცესების ინჟინერინგს);**
- **ფინანსურ ინჟინერინგს;**
- **საკადრო ინჟინერინგს;**
- **მარკეტინგის ინჟინერინგს.**

ბიზნეს ინჟინერინგის (Busines enginnering) ტერმინოლოგიური შინაარსი ესმით როგორც მართვის თანამედროვე ტექნოლოგია, რომელიც ემყარება პროფესიული საქმიანობის სფეროს (მაგალითად, კომპანიის საქმიანობის) ფორმალურ, ზუსტ, სრულ და ყოველმხრივ აღწერას, მისი საბაზო საინფორმაციო მოდელების გარემომცველი რეალობის მოდელთან მიმართებების საფუძველზე აგებით.

ამას გარდა, მიღებულია ინჟინერინგის კლასიფიკაცია დარგების მიხედვით, მაგალითად, მანქანათმშენებლობის ინჟინერინგი, მეტალურგიის ინჟინერინგი და ა. შ.

ინჟინერინგის კანონიკურ კლასიფიკაციად მიღებულია გაეროს ევროპული ეკონომიკური კომისიის კლასიფიკაცია, რომელიც აფიქსირებს ინჟინერინგის შემდეგი სახეობების ფუნქციონირებას:

1. **საკონსულტაციო ინჟინერინგი:**

ინჟინერინგის ეს სახეობა დაკავშირებულია ინტელექტუალურ საქმიანობასთან, რომელსაც ახორციელებს ერთი პირი ან ინჟინერთა ჯგუფი, რომლებსაც მოეპოვებათ სახსრები პროექტირების, ტექნიკური კვლევების ეკონომიკური განვითარებისა და სამრეწველო თუ სხვა კომპლექსების ობიექტების მშენებლობაში.

2. **ტექნოლოგიური ინჟინერინგი;**
3. **სამშენებლო ინჟინერინგი;**
4. **ტექნიკური მხარდაჭერა;**
5. **კომპლექსური ინჟინერინგი.**

კომპლექსური ინჟინერინგი გულისხმობს ექსპლუატაციისათვის მთლიანად (სრული) მზა პროდუქტის შექმნას.

კლასიფიკაციის ზემოაღნიშნული პრინციპები და ინჟინერინგის განსაზღვრებები უმეტესად მაინც მშენებლობის სფეროს უკავშირდება.

ინჟინერინგული პროფესიული საქმიანობა იმდენად სწრაფადგაფართოებადი და მოთხოვნადი ხდება, რომ მისი თეორია აშკარად ჩამორჩება პრაქტიკას. ამიტომაც თეორიული აქცენტირება მშენებლობაზე, ფაქტობრივ, გუშინდელი დღის ვითარებას ასახავს. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ პროფესიული საქმიანობის ამჟამად აქტუალური და ფუნქციონირების თვალსაზრისით ინტენსიურობით გამორჩეული არა ერთი დარგის ინჟინერინგზე საერთოდ არც განმარტებით და ტერმინოლოგიურ ლექსიკონებში და არც ინჟინერინგის კლასიფიკაციებში საერთოდ არაფერია თქმული. მაგალითად, ინჟინერინგის კლასიფიკაციაში, რომელსაც გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია გვთავაზობს, ნახსენებიც კი არ არის თანამედროვე ინჟინერინგული საქმიანობის ისეთი მნიშვნელოვანი სახეობა, როგორიცაა კომუნიკაციური ინჟინერინგი, ყველაზე თანამედროვე და ყველაზე ძვირადღირებული კაპიტალის რეტრანსლირება-ფუნქციონირების ტექნოლოგია. ეს იმ დროს, როდესაც კომუნიკაციური ინჟინერინგი დღეს ბევრ ქვეყანაში პროფესიული ინტელექტუალური საქმიანობის სწაფადგანვითარებადი და აქტუალური სახეობაა, რადგან თანამედროვე საზოგადოების სივრცეში არა მხოლოდ ტრადიციული საინჟინრო დარგებში, არამედ სახელმწიფოებრივ, პოლიტიკურ, კულტურულ, ეკონომიკურ სფეროებში წარმოადგენს ინოვაციური მართვის ტექნოლოგიებს.

ძალიან ზოგადად (და არსობრივად) კომუნიკაციური ინჟინერინგი არის ცოდნისა და არცოდნის მართვა. ცოდნის მართვა დიდი მოცულობის ინფორმაციის ოპერირებას ემყარება, ხოლო არცოდნის მართვა – ინფორმაციის მცირე მოცულობის ოპერირებას. ცოდნის მართვა ახალი ცოდნის წარმოქმნას უწყობს ხელს, ხოლო არცოდნის მართვა – ეწინაარმდეგება ახალი ცოდნის წარმოქმნას. **მთავარი და არსებითი მართვის ამ ტექნოლოგიაში სამყაროს სურათის კონკრეტული ამოცანების შესაბამისად აგების მიზანდასახულობაა** [პოჩეპცოვი 2008:14]. აქედან გამომდინარე, კომუნიკაციური ინჟინერინგის მთავარი ამოცანაა სამყაროს ისეთი სურათის შექმნა და შენარჩუნება, რომელიც რეალური საარსებო გარემოს საჭირო სახით ტრანსფორმირების შესაძლებლობას შექმნის.

„კომუნიკაციური ინჟინერინგის“, როგორც ტერმინოლოგიური შესიტყვების, პირველი წევრი – „კომუნიკაცია“, ბუნებრივია, ორი სუბიექტის ინფორმაციულ კავშირზე მიუთითებს, უფრო ზუსტად ინფორმაციის გადაცემაზე ერთი სუბიექტის მიერ მეორე სუბიექტისათვის, რადგან კომუნიკაცია კონკრეტული შინაარსის, ინფორმაციის, ცოდნის გარეშე შეუძლებელია. ინჟინერინგი კი, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ ინფორმაციის, ცოდნის საჭირო წერტილიდან, საჭირო დროს, საჭირო ფორმით, საჭირო ადგილამდე მიტანისა და მისი (ინფორმაციის, ცოდნის) შენარჩუნების ინოვაციური ტექნოლოგიაა. თანამედროვე, ანუ ინფორმაციული საზოგადოების (და საერთოდ თანამედროვე ცივილიზაციის) უძირითადესი ღირებულებები კი სწორედ ინფორმაცია და კომუნიკაციაა, როგორც უმთავრესი ინტელექტუალური კაპიტალი და მისი საჭირო ადგილამდე მიტანა-დამკვიდრების გზა და საშუალება. სწორედ ამიტომ არის, რომ დღეს უკვე აქტიურად მუშავდება კომუნიკაციის, როგორც საქმიანობისა და ცოდნის ახალი სფეროს თეორიული და მეთოდურ-მეთოდოლოგიური საფუძვლები; მეტიც, ბევრ ქვეყანაში უკვე აღიარებულია და პროფესიათა კლასიფიკატორებშიც დაკანონებულია ინტელექტუალური პროფესიული საქმიანობის დამოუკიდებელი სფერო თავისი დარგებით. ესაა კომუნიკატივისტიკა, მეცნიერული მიმართულება, რომელიც ინფორმაციით, ცოდნით მართვის დოქტრინების, კონცეფციების, თეორიების, ტექნოლოგიების ცოდნის მიწოდებას სთავაზობს ადამიანს და თანამედროვე საზოგადოებაში თვითდამკვიდრებისა და წარმატებულობის გარკვეულ გარანტიებსაც შეიცავს. ამ გაგებით კომუნიკატივისტიკა თავისი ინოვაციური ცოდნით და ამ ცოდნის მიზნობრივი ტრანსლირების ტექნოლოგიებით **თანამედროვეობისმცოდნეობითი მეცნიერებების იდეოლოგია და თეორიაა,** რომელიც ღრმად არის შეჭრილი ადამიანის ტრადიციული ცოდნების სფეროებში – მეცნიერების, განათლების, კულტურის, ეკონომიკის, საერთოდ სოციალურ სფეროებში და ამ სფეროთა ოპტიმიზე-

ბის უმძლავრეს ფაქტორს ქმნის. ამ ზოგადი მისიისა თუ ფუნქციის გარდა (და აქედან გამომდინარე), კომუნიკატივისტიკა ინფორმაციის ცოდნის მართვის ტრადიციული ტექნოლოგიების ოპტიმიზებასა და ახალი, ინოვაციური მიზნობრივი ტექნოლოგიების შექმნა-დამუშავებაზე ორიენტირებულ „საკუთარ“ მეცნიერული დარგების წარმოქმნა-დამკვიდრებასაც განაპირობებს. დღეს საკუთრივ კომუნიკატივისტიკურ (კომუნიკოლოგიურ) მეცნიერულ დარგებს განეკუთვნება „ბიზნეს–ინჟინერინგი“ – საქმიანობის მართვის ტექნოლოგიების შემსწავლელი დარგი, „მასკომუნიკაცია“ – საზოგადოებრივად და სოციალურად აქტუალური ინფორმაციის, ცოდნის საჭირო ფორმით მიტანა მასობრივ აუდიტორიამდე; „საზოგადოებრივი ურთიერთობები“ – მიზნობრივი ინფორმაციის მიზნობრივ აუდიტორიამდე საჭირო ფორმით მიტანა და ამ ახალი ინფორმაციით (ცოდნით) ადამიანებში ძველი ცოდნის ჩანაცვლება, თვალსაზრისისა თუ პოზიციის შეცვლევინება.

კომუნიკატივისტიკამ ტრადიციულ მეცნიერებათა ბევრ დარგში მიაღწია კანონიკურობას იმ თვალსაზრისით, რომ კომუნიკაციურობის პრინციპების შეტანით მათს ინტერდისციპლინარულობას მიაღწია. ასეთი ბუნება შეიძინა კომუნიკატივისტიკასთან დაახლოებით, მაგალითად, კლასიკურმა ენათმეცნიერებამ და დღეს უკვე საკმაოდ საინტერესო და მეცნიერული იდეოლოგიით, მეცნიერული კვლევების შედეგიანობით აშკარად გამორჩეული მეცნიერული დარგი კომუნიკაციური ლინგვისტიკა.

მთავარზე უმთავრესი კი ის არის, რომ კომუნიკატივისტიკის სფეროში მოეძებნა ფაქტობრივი დასაბუთება თანამედროვე აზროვნებაში მომხდარ პარადიგმულ ცვლილებას – აზროვნების (და ყურადღების) ცენტრში მეტყველი, მოაზროვნე ადამიანის ფიქრის, განცდის, განსჯის, ლტოლვა-მისწრაფებების, მცდელობისა და მიზნისაკენ სვლის მოქცევას. ესაა თანამედროვე ცივილიზაციის უდიდესი მიღწევა (და მისია) – ადამიანის აღმოჩენა და ადამიანის „მეს“ გამოცხადება უზენაეს ღირებულებად. კომუნიკატივისტიკა კი იმიტომ არის **თანამედროვეობისმცოდნეობა**, რომ ადამიანის ნების სამყაროში გაცხადების გზების და საშუალებების – ტექნოლოგიების შექმნას ემსახურება. **კომუნიკაციური ინჟინერინგი უზრუნველყოფს ინფორმაციულ ინჟინერინგსაც,** რაც თანამედროვე ადამიანისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია, რადგან ეხმარება მას თანამედროვეობის ჭარბი ინფორმაციებით გაჯერებულ ინფორმაციულ სივრცეში იმ წინააღმდეგობის ადეკვატურ გაცნობიერებაში, რომელიც იქმნება ინფორმაციის დაგროვების შემოწმების (კონტროლის) ფორმებსა და თავად ამ სივრცის ინფორმაციულ სისავსეს შორის. ეს ის ფორმებია, რომლებიც ადამიანს ბუნებრივად ეძლევა. ასე რომ, კომუნიკაციური ინჟინერინგის ფუნქციონირების სფერო გაცილებით დიდია (ვრცელია), ვიდრე ერთი შეხედვით გვეჩვენება. იგი ადამიანური მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში ფუნქციონირებს შედეგისმომტანად. ამის გამო, კომუნიკაციის ინჟინერინგი ზოგადად კომუნიკატივისტიკის თეორიულ საფუძვლებს ქმნის და გარკვეული თვალსაზრისით კომუნიკატივისტიკის (კომუნიკოლოგიის) თეორიის ზოგადი თეორიის შინაარსს განსაზღვრავს, რადგან ინჟინერინგი ფუნქციონირების ყველა სფეროში სხვადასხვაგვარია და შესაბამისად სხვადასხვა თეორიულ საფუძვლებს ემყარება. ამავე თვალთახედვით კომუნიკაციური ინჟინერინგი მართვის ზოგადი ინოვაციური ტექნოლოგიის სტრუქტურირების თეორია და მეთოდოლოგიაა და ტექნოლოგიების დამუშავების ტექნოლოგიაა, რადგან ფუნქციონირების ყოველ სფეროში კონკრეტული ინჟინერინგული ტექნოლოგია აპირობებს პროფესიული საქმიანობის მიზნისა და შედეგის მაქსიმალურ ადეკვატურობას.

ინჟინერინგი, როგორც მართვის ტექნოლოგია, უფრო სწორად მართვის ცოდნის ტექნოლოგია, თანამედროვე რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე რელური სამყაროს სტრუქტურირების ფილოსოფიაა. იგი ადამიანს არა მხოლოდ რეალური სამყაროს შესახებ ცოდნას სთავაზობს, არამედ თავად ამ ცოდნის მართვის ტექნოლოგია(ებ)საც; არა მხოლოდ სამყაროს შეცნობის შესაძლებლობას უქმნის, არამედ ამ სამყაროს სტრუქტურირების შესაძლებლობასაც და ამ სამყაროში საკუთარი თავის პოვნის პერსპექტივებსაც. ამ თვალსაზრისით, ინჟინერინგის არსს ყველაზე სრულად ასახავს ტერმინი „ბიზნეს-ინჟინერინგი“, რადგან იგი არის თავისთავად მართვის ტექნოლოგია, თუმცა ინტერესთა ყოვლისმომცველობით მაინც ვერ უტოლდება კომუნიკატივისტიკას, რადგან ფაქტობრივად მატერიალიზებადი და მატერიალური სფეროების პროფესიული საქმიანობის სფოროებს მოიცავს. მით უფრო, რომ ქართული ენორივი ცნობიერება ბიზნესის ცნებაში მკაფიოდ არ აფიქსირებს ინტელექტუალური კაპიტალის კეთებას. ბიზნესი ჩვენში „საქმიანობის“ შინაარსს ატარებს, ინტელექტუალური კაპიტალის სფეროსადმი კი „მოღვაწეობის“ შინაარსს ამჯობინებს. ამდენად, „ბიზნეს-ინჟინერინგი“ ფორმალურადაც და არსობრივადაც ზოგადად ინჟინერინგის ერთი სახეობაა და სულიერ ინტელექტუალურ სფეროებში „შეჭრის“ მიუხედა-

ვად, იერარქიულად ინჟინერინგის ფენომენის კერძო გამოვლენას წარმოადგენს. ამის გამო, იგი კომუნიკატივისტიკის ინტერესთა სფეროს კონკრეტული ღირებულებითი ელემენტია, თუმცა მნიშვნელოვანი და აქტუალური პრაგმატიკითაც, რადგან პროფესიული საქმიანობის უამრავი სფეროს მართვის ტექნოლოგიების შექმნის მისია ეკისრება.

ზემოაღნიშნული ცხადყოფს, რომ ინჟინერინგის, როგორც პროფესიული საქმიანობის სფეროების მართვის ტექნოლოგიების, ცნება ქართულ სინამდვილეში, ჯერჯერობით, მთელი სისრულით არ არის გაცნობიერებული. მას უპირატესად მატერიალური წარმოების სფეროებთან აკავშირებენ. ინტელექტუალურ სფეროებში მისი როლის გააზრების პროცესი თანდათან ინტენსიურდება და ამ მიმართულებით მეცნიერული კვლევების გააქტიურებასაც მოასწავებს. ამასვე ცხადყოფს მართვის ტექნოლოგიების ცოდნის სარგებლიანობის გაცნობიერებაც და თავად ამ ცოდნის მართვის ცოდნის აუცილებლობის შეგნებაც, რისი დასტურიცაა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დაარსება.

IVANE JAGODNISHVILI

TO THE UNDERSTANDING OF THE NOTION "ENGINEERING" IN CONTEMPORARY GEORGIAN LINGUISTIC CONSCIOUSNESS

Summary

The article analyzes the specifics of terminological content of the notion "engineering" meaning management technologies. It is suggested that the existing definitions, despite the multiversity of approaches, do not express notion's complete content, as they disregard functioning of engineering in the spheres of intellectual activities. It is pointed out that engineering as management knowledge is a field of a new branch of science – communication science, and its understanding and establishment in the Georgian educational environment is an ongoing process.

It is suggested that engineering as management knowledge and knowledge management technology, is not only a technology but it is a philosophical system of structuring a complex and controversial modern age.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Arquilla J., Ronfeldt D. – Loking ahedd: preparing for information – age confliet // In Ahtena' s camp. Preparing for conflict in the information age, Santa Monica, 1997;
2. Почепсов Г. Г., Коммуникативный инжиниринг, Киев, 2008.

გიორგი ძიძიგური
ზურაბ ზურაბიშვილი
ნუგზარ ჩადუნელი
მარიამ კვაჭანტირაძე
შორენა ლომიძე

პერსონალის შეფასების ავტომატიზაციის ერთი ალგორითმი

ნებისმიერი ორგანიზაციის წარმატება, კონკურენტუნარიანობა და საქმიანობის ეფექტიანობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მისი მართვის სისტემის გამართულობაზე. მართვის თანამედროვე მეთოდების გამოყენების გარეშე შეუძლებელია სათანადო ეკონომიკური ეფექტის მიღება სრულყოფილი მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების გამოყენებითაც კი. ამიტომ, მართვის თანამედროვე მეთოდების შემუშავება და ორგანიზაციაში მათი დანერგვა მეტად აქტუალური, მაგრამ, ამავე დროს, რთული ამოცანაა.

ორგანიზაციის მართვის თანამედროვე სისტემის მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს ადამიანური რესურსების მართვა, ხოლო მისი საკვანძო ინსტრუმენტია პერსონალის შეფასების მექანიზმი. თანამშრომელთა, სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და, მთლიანად, დაწესებულების საქმიანობის შეფასებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამუშაოს შესრულების მართვის პროცესში [1]. აზრი არა აქვს ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნების დაყვანას სტრუქტურული ქვედანაყოფის ან თითოეული თანამშრომლის სპეციფიკურ მიზნებამდე, თუ პერიოდულად არ მოხდება მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შემოწმება. მნიშვნელოვანია, რომ თანამშრომლის საქმიანობის შეფასება საშუალებას იძლევა ხელმძღვანელმა და მუშაკმა შეიმუშაონ გეგმა, რომელიც დაეხმარება მათ შეფასების პროცესში გამოვლენილი სუსტი მხარეების გამოსწორებაში. იგი უზრუნველყოფს თანამშრომელთა კარიერის დაგეგმვას მუშაკის სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენის საფუძველზე. გარდა ამისა, შეფასების შედეგები გავლენას ახდენს წახალისების, დაწინაურების, დაქვეითების ან დათხოვნის შესახებ მიღებული გადაწყვეტილებების ობიექტურობაზე. ფაქტობრივად, დაწესებულებაში თანამშრომელთა საქმიანობის პერიოდული შეფასების ობიექტური და სამართლიანი მექანიზმის არსებობა უზრუნველყოფს პერსონალის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას, მისი გამოყენების ეფექტიანობისა და მოტივაციის ამაღლებას. შედეგად იზრდება ორგანიზაციის ეფექტიანობა. ამრიგად, შეფასების მთავარი მიზანია სამუშაოს შესრულების ხარისხის ამაღლება და ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა.

ზოგადად, შეიძლება გამოვყოთ ორი მიდგომა პერსონალის შეფასებისადმი: პირველი – ტრადიციული და მეორე – თანამედროვე [2]. ტრადიციული მიდგომა გულისხმობს პერსონალის შეფასებას შესრულებული სამუშაოს შედეგების მიხედვით, ხოლო თანამედროვე მიდგომა ორიენტირებულია პერსონალის შეფასებაზე ორგანიზაციის განვითარების პერსპექტივის გათვალისწინებით. უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორ მიდგომას შორის არ არის მკაფიო საზღვარი: ტრადიციული მიდგომის შემთხვევაშიც ხდება ორგანიზაციის სტრატეგიული მიზნების გათვალისწინება, ხოლო თანამედროვე მიდგომის გამოყენებისას კი შესრულებული სამუშაოს შეფასება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პერსონალის შეფასების ტრადიციული მიდგომა ძირითადად გულისხმობს შესრულებული სამუშაოს შეფასებას. სამუშაოს შეფასება ნიშნავს თანამშრომელთა ამჟამინდელი და/ან წარსული მუშაობის შეფასებას და მისი შესრულების დონისა და ხარისხის შედარებას დადგენილ სტანდარტებთან. არსებობს საქმიანობის შეფასების სხვადასხვა მეთოდი, მაგალითად, გრაფიკული შეფასების შკალები, რანჟირების მეთოდი, კომპეტენციებზე ორიენტირებული შეფასება, მართვა მიზნების მიხედვით (MBO), 360 გრადუსიანი შეფასება და ა.შ. ყველა ამ მეთოდს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ამიტომ, საუკეთესო შედეგის მისაღებად იყენებენ ერთდროულად რამდენიმე მეთოდს ანუ მულტიმეთოდურ მიდგომას. მეთოდების შერჩევა ხდება ორგანიზაციის სპეციფიკისა და მისი საქმიანობის პრიორიტეტების შესაბამისად [3].

შესრულების სტანდარტებისა და მიზნების განსაზღვრა უფრო რთულია, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. თითოეული თანამშრომლისა და სტრუქტურული ქვედანაყოფის მიზნები და შესრულების სტანდარტები უნდა შეესაბამებოდეს ორგანიზაცი-

ის სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს, უზრუნველყოფილი უნდა იყოს ორგანიზაციის ყველა ფუნქციის შესრულება და, ამავე დროს, გამორიცხული უნდა იყოს ფუნქციების დუბლირება მათ შორის. ხელმძღვანელი აფასებს თანამშრომელს იმის მიხედვით, თუ რამდენად მოქმედებს იგი სპეციფიკური სტანდარტებისა და დასახული მიზნების შესაბამისად. მიზანშეწონილია, რომ თითოეული ამოცანისთვის მკაფიოდ იყოს განსაზღვრული შეფასების სტანდარტები და გაზომვადი პარამეტრები. შეფასების პროცესის დაწყებამდე თანამშრომლებმა აუცილებლად უნდა იცოდნენ თუ რა არის მათი მუშაობის სტანდარტები, რა მოეთხოვება მათ და როგორი გავლენა ექნება შეფასების შედეგებს მათ მომავალზე. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში არის შესაძლებელი თანამშრომელთა მოტივაციის ამაღლება და მათი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესება.

პერსონალის შეფასების ტრადიციული მიდგომის გამოყენებას აქვს შემდეგი მიზნები:

- გაწყვეტილებების მიღება თანამშრომელთა სამსახურებრივი მოძრაობის ან მათი სხვა ქვედანაყოფში გადაყვანის შესახებ;
- თანამშრომლის ინფორმირება იმის შესახებ, თუ როგორ ფასდება მისი საქმიანობა ხელმძღვანელებისა და სხვა, ამ საქმიანობასთან დაკავშირებული პირების მიერ;
- ცალკეული თანამშრომლის ან სტრუქტურული ქვედანაყოფის წვლილის შეფასება ორგანიზაციის მიზნების მიღწევაში;
- ანაზღაურების დონესა და პირობებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება;
- სწავლების საჭიროებების განსაზღვრასა და შედეგების შემოწმებასა და დიაგნოსტიკასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღება.

შეფასების ტრადიციული მიდგომის ლოგიკურობისა და თეორიულად გამართულობის მიუხედავად, როგორც პრაქტიკამ აჩვენა, მისი ეფექტიანობა არ არის მაღალი. ასეთი შედეგი აიხსნება იმ გარემოებით, რომ იგი აგებულია გარკვეულ დაშვებებზე, რომელიც პრაქტიკულად ყოველთვის ვერ სრულდება. ეს დაშვებებია:

პირველი, პერსონალის შეფასების ტრადიციული სისტემა გულისხმობს, რომ ორგანიზაციის საქმიანობის შედეგი წარმოადგენს ამ ორგანიზაციის თითოეული თანამშრომლის მუშაობის შედეგების მარტივ ჯამს. ამრიგად, ითვლება, რომ თუ თითოეულმა თანამშრომელმა მიაღწია მის წინაშე დასმულ ინდივიდუალურ მიზანს, ორგანიზაციის მიზნები ავტომატურად შესრულდება. მენეჯმენტის თანამედროვე თეორიამ და პრაქტიკამ აჩვენა, რომ ორგანიზაციის საქმიანობის შედეგი უშუალოდ არის დამოკიდებული თანამშრომელთა ურთიერთქმედებებზე, მათ გუნდურ მუშაობაზე და არა მხოლოდ ინდივიდუალურ მიღწევებზე. ორგანიზაციის ეფექტიანობის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი, თანამშრომელთა ურთიერთქმედება, ფაქტობრივად, არ განიხილება შეფასების ტრადიციულ სისტემაში;

მეორე, შეფასების ტრადიციული სისტემის შემთხვევაში ძირითადი აქცენტი კეთდება საბოლოო შედეგების მიღწევაზე. თანამშრომელს განესაზღვრება მიზანი, რომელიც ორიენტირებულია შედეგზე და იგულისხმება, რომ თუ მას ნათლად აქვს წარმოდგენილი რა მოითხოვება მისგან, იგი მონახავს შესრულების საშუალებებს. მაგრამ პრაქტიკაში ხშირად ეს ასე არ არის. არაეფექტიანი მუშაობის მიზეზი ხშირად არის არა ის, რომ მუშაკმა არ იცის რა მოითხოვება მისგან, არამედ ის, რომ მან არ იცის როგორ შეასრულოს დავალება. ამ კითხვაზე შეფასების ტრადიციული სისტემა ვერ პასუხობს. გარდა ამისა, ტრადიციული სისტემა გულისხმობს, რომ ყველა შემთხვევაში და ყოველთვის არის შესაძლებელი სამუშაოს ობიექტური და ერთმნიშვნელოვნად გაგებული ინდივიდუალური მიზნებისა და სტანდარტების განსაზღვრა. სინამდვილეში, რაც უფრო მარტივი, ნათელი და გასაგებია თანამშრომლის წინაშე დასმული მიზანი, შესაძლებელია, მით უფრო არასრულად ასახოს მან დასმული ამოცანები;

მესამე, შეფასების ტრადიციული სისტემა გულისხმობს თანამშრომლის მონაწილეობას ინდივიდუალური მიზნების განსაზღვრაში. როგორც პრაქტიკამ აჩვენა, თანამშრომლის ჩართვას საკუთარი მიზნების განსაზღვრაში ყოველთვის არა აქვს სასურველი ეფექტი. თანამშრომელი ჩვეულებრივ არ არის გარკვეული ორგანიზაციის საერთო მიზნებში, რომელთა საფუძველზეც ხდება ინდივიდუალური მიზნების ჩამოყალიბება. ამიტომ, ინდივიდუალური მიზნების განსაზღვრის დროს შესაძლებელია შეიქმნას დაძაბული სიტუაცია;

მეოთხე, პერსონალის ტრადიციული შეფასება, ფაქტობრივად, მიმართულია წარსულზე. იგი აქცენტს აკეთებს იმაზე თუ **„რა მოხდა"** და არ პასუხობს კითხვებს: **"რატომ მოხდა"** და **„რა უნდა გამოსწორდეს და როგორ".**

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებებისა, შეფასების ტრადიციული სისტემა ფართოდ გამოიყენება, რადგან იგი შედარებით მარტივი, გასაგები და ადვილად რეალიზებადია. ამასთან, იგი, სწორად დაგეგმვის შემთხვევაში, საკმარისად ზუსტ და სრულ ინფორმაციას იძლევა გადაწყვეტილებების მიღებისათვის.

შეფასების მეთოდის მიუხედავად, სამუშაოს შეფასების პროცესი ძირითადად სამ ეტაპს მოიცავს: სამუშაოს განსაზღვრა, შესრულების შეფასება, უკუკავშირის უზრუნველყოფა.

სამუშაოს განსაზღვრისას ხელმძღვანელი და თანამშრომელი თანხმდებიან ამ უკანასკნელის მიზნებზე, მოვალეობებსა და სტანდარტებზე.

შესრულების შეფასება გულისხმობს თანამშრომლის მიერ რეალურად შესრულებული სამუშაოს შედარებას დადგენილ სტანდარტებთან და შედეგების ანალიზს.

შესრულების შეფასება საჭიროებს შემდგომ უკუკავშირს. ამ შემთხვევაში ხდება სამუშაოს შესრულების შეფასების შედეგების განხილვა თანამშრომელთან ერთად და მისი განვითარებისთვის გარკვეული გეგმის შემუშავება.

შეფასების ეფექტიანი სისტემის შერჩევისას, მთავარია ნათლად განისაზღვროს თუ რისი გაზომვა გვსურს და როგორ შეგვიძლია რეალურად ამის განხორციელება. მაგალითად, ინდივიდის მიერ სამუშაოს შესრულება შეიძლება გავზომოთ ისეთი ზოგადი მახასიათებლებით, როგორიცაა შესრულების ხარისხი, რაო-დენობა ან მოცულობა, სამუშაოს შესრულების ვადები და სხვ. ასევე, პარამეტრებად შეიძლება გამოვიყენოთ ადამიანის უნარი მიაღწიოს მიზანს ან ის, თუ რამდენად შეუძლია მას და სურს პროფესიული განვითარება, მისი კომპეტენტურობის განვითარების დონე ფუნქციებთან (კომპეტენციებთან) მიმართებაში. ამრიგად, შეფასების პროცესის სრულყოფილი განხორციელებისათვის აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს მუშაკის კომპეტენციები, ხოლო მათი ცალკეულ ფაქტორებად დანაწევრების მეშვეობით შესაძლებელი იქნება შეფასების გაზომვადი კრიტერიუმების მიღება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პერსონალის შეფასება საკმარისად რთული და შრომატევადი პროცესია. განსაკუთრებით ეს ეხება შეფასების შედეგების ანალიზსა და შესაბამისი დოკუმენტების მომზადებას. ამ პროცედურის ავტომატიზაციის გარეშე პრაქტიკულად შეუძლებელია მივიღოთ თითოეული თანამშრომლის შეფასების უტყუარი და სრული შედეგები ცალკეული კომპეტენტურობისა და შემფასებელთა კატეგორიების მიხედვით, აგრეთვე, მისი საერთო (ინტეგრირებული) შეფასება. გარდა ამისა, მეტად მნიშვნელოვანია ანალოგიური ინფორმაციის მიღება მთელი ორგანიზაციის მასშტაბით და ა.შ. ამ საკითხების გადაწყვეტა კიდევ უფრო რთულდება, თუ ცალკეულ კომპეტენტურობასა და შემფასებელთა ცალკეულ კატეგორიას მიენიჭება სხვადასხვა წონა. სხვადასხვა წონის მინიჭება განპირობებულია იმით, რომ შესასრულებელი ფუნქციების, შეფასების მიზნებისა და სხვა პირობების შესაბამისად, თითოეული კომპეტენტურობისა და შემფასებელთა კატეგორიის შეფასების შედეგებს სხვადასხვა წვლილი აქვს საბოლოო შეფასებებში. ცხადია, რომ სათანადო კომპიუტერული პროგრამის გარეშე, რომელიც თავის თავზე აიღებს ყველა ტექნიკურ სირთულეს, შეფასება, ეფექტიანი მმართველობითი ტექნოლოგიის ნაცვლად იქნება რუტინული, ფორმალური პროცედურა, რომელიც ვერ მიაღწევს დასახულ მიზნებსა და, შესაბამისად, ვერ აანაზღაურებს დახარჯულ რესურსებსა და ენერგიას.

სტატიაში მოცემულია ორგანიზაციის პერსონალის შეფასების შედეგების დამუშავებისა და შესაბამისი ანგარიშგების ფორმების მომზადების უნივერსალური კომპიუტერული პროგრამის აღწერა. აღნიშნული პროგრამის საშუალებით შესაძლებელია პრაქტიკულად ნებისმიერი ტიპის ორგანიზაციაში დასაქმებული სხვადასხვა კატეგორიის პერსონალის შეფასება. პროგრამა არ ზღუდავს კომპეტენტურობებისა და შესაფასებელი პირების, აგრეთვე, შემფასებლებისა და მათი კატეგორიების რაოდენობას. ასევე, თითოეულ კომპეტენტურობასა და შემფასებელთა კატეგორიას შესაძლებელია ჰქონდეს წონა, რომლის ცვლილება შეიძლება შეფასების მიზნის, თანამშრომლის ფუნქციისა და სხვა პირობების შესაბამისად.

კომპიუტერული პროგრამის ალგორითმის აღწერა

შეფასების პროცესის დაწყებამდე შედგენილი უნდა იყოს პოტენციული შემფასებლების ცხრილი მათი საჭირო მონაცემებით კატეგორიების მიხედვით და კომპეტენტურობების ჩამონათვალი შესაბამისი წონებით. ბუნებრივია, რომ შესაძლებელი უნდა იყოს ჩანაწერის დამატება, წაშლა ან რომელიმე ჩანაწერის შესწორება. პროცესის დაწყების წინ ცხრილიდან შეირჩევა შესაბამისი კატეგორიის სასურველი რაოდენობის შემფასებლები და კომპეტენტურობები შესაფასებელი პირის კომპეტენციებისა (ფუნქციების) და შემფასებელთა კატეგორიის მიხედვით.

შეფასების პროცესი ხორციელდება ჩვენს მიერ შეთავაზებული წესით, რომელშიც გარკვეული ცვლილებებია შეტანილი მისი სრულყოფის მიზნით [1]. კერძოდ, თითოეული კომპეტენტურობისთვის გათვალისწინებულია შესაბამისი წონა და მისი ჯამური ქულის გამოსათვლელად ყველა შემფასებლის ქულათა საშუალო არითმეტიკული მრავლდება წონაზე. პრაქტიკულად შესაძლებელია შეფასების ნებისმიერი შკალის გამოყენება, მაგრამ გამოთვლების გამარტივების მიზნით დაუშვათ, რომ თითოეული შემფასებელი ცალკეულ კომპეტენტურობას აფასებს 5 ბალიანი შკალით (ცხრილი 1).

ცხრილი 1

	მნიშვნელობა
0	სუსტი - კომპეტენტურობა აშკარად განუვითარებელია
1	ზღვრული - ნაკლებად განვითარებულია
2	საშუალო - განვითარებულია საშუალო დონეზე
3	კარგი - მისაღებ დონეზეა განვითარებული
4	შესანიშნავი - გამოკვეთილად ძლიერ დონეზეა განვითარებული
N/E	გამოიყენება ეს აღნიშვნა, როდესაც კომპეტენტურობის შესაფასებლად შემფასებელს არ აქვს საკმარისი ინფორმაცია

N/E - შეფასების გარეშე

შერჩეული კომპეტენტურობების რაოდენობა აღვნიშნოთ **m**-ით, შემფასებლების რაოდენობა – **n**-ით, კომპეტენტურობის წონა – **P**-თი და შემფასებლის მიერ თითოეულ კომპეტენტურობაში დაწერილი ქულა – **S**-ით. ერთი შეფასებულის შეფასების ცხრილს ექნება შემდეგი სახე (ცხრილი 2).

ცხრილი 2

კომპეტენტურობა / შემფასებელი	**1**	**2**	**3**	**…**	**m**
1	S_{11}	S_{12}	S_{13}	…	S_{1m}
2	S_{21}	S_{22}	S_{23}	…	S_{2m}
3	S_{31}	S_{32}	S_{33}	…	S_{3m}
…	…	…	…	…	…
n	S_{n1}	S_{n2}	S_{n3}	…	S_{nm}

განვსაზღვროთ ერთი ობიექტის მიერ j-იურ კომპეტენტურობაში მისაღები ქულის შესაძლო მაქსიმალური მნიშვნელობა. რადგან თითოეული შემფასებლის მიერ j-იურ კომპეტენტურობაში დაწერილი ქულის მაქსიმალური მნიშვნელობა არის 4, n-შემფასებლის შემთხვევაში მათი საშუალო არითმეტიკულის შესაძლო მაქსიმალური ქულა იქნება 4, ხოლო j-იურ კომპეტენტურობაში მისაღები ქულის შესაძლო მაქსიმალური მნიშვნელობა (Qj_{max}) ტოლი იქნება მაქსიმალური საშუალო ქულისა და j-იური კომპეტენტურობის წონის ნამრავლისა.

$$Qj_{max} = 4 \times Pj \qquad (1)$$

სადაც, j = 1,2,…m Pj – j-იური კომპეტენტურობის წონა.

განისაზღვრება შეფასებული ობიექტის მიერ მიღებული ჯამური ქულის შესაძლო მაქსიმალური მნიშვნელობა (Q_{max}). იგი ტოლი იქნება ყველა j-იური კომპეტენტურობის მაქსიმალური ქულების ჯამისა.

$$Q_{max} = \sum_{j=1}^{m} Qj_{max} \quad \text{ან} \quad Q_{max} = 4 \times \sum_{j=1}^{m} P_j \qquad (2)$$

j-იური კომპეტენტურობის შეფასების რეალური ქულის გამოსათვლელად გამოითვლება თითოეული შემფასებლის მიერ j-იურ კომპეტენტურობაში მიღებულ ქულათა საშუალო არითმეტიკუ-

ლი. ამისათვის შეიკრიბება ყველა i-ური შემფასებლის მიერ j-იური კომპეტენტურობის შეფასების ქულა და გაიყოფა შემფასებელთა რაოდენობაზე (n). თუ i-ური შემფასებელი გამოიყენებს შეფასებას N/E, ეს შეფასება არ გამოიყენება კომპეტენტურობაში დაგროვილ ქულათა საშუალო არითმეტიკულის გამოსათვლელად. დაითვლება თუ რამდენია ასეთი შეფასება მოცემული j-ური კომპეტენტურობის შეფასებისას და მათი რაოდენობა (k) გამოაკლდება შემფასებელთა საერთო რაოდენობას (n).

$$Sj_{avg} = \left(\sum S_{ij}\right)/(n - k_j) \qquad (3)$$

სადაც, Sj_{avg} - j-იური კომპეტენტურობის შეფასების ყველა ქულათა საშუალო არითმეტიკული;
k_j - j-იური კომპეტენტურობის შეფასებაში N/E შეფასებათა რაოდენობა; $i = 1,2\ldots n$

j-იურ კომპეტენტურობაში მიღებული საშუალო ქულა გამრავლდება ამ კომპეტენტურობის წონაზე და მიიღება შეფასებული ობიექტის ჯამური ქულა j-იურ კომპეტენტურობაში.

$$Q_j = Sj_{avg} \times P_j \qquad (4)$$

სადაც, j =1,2,...m

საბოლოოდ გამოითვლება შეფასებული ობიექტის საერთო (ჯამური ქულა). იგი არის ყველა კომპეტენტურობაში მიღბული ქულების ჯამი.

$$Q_f = \sum_{j=1}^{m} Q_j \qquad (5)$$

სადაც, j = 1,2,…m

ზემოთ აღწერილი ამოცანის ამოხსნის კომპიუტერული პროგრამის ალგორითმის ბლოკ-სქემა თან ერთვის.

თითოეული შეფასებული მუშაკისათვის გამოთვლილი Qj და Qf ქულები შეინახება მონაცემთა ბაზაში და მათ საფუძველზე შევძლებთ შევაფასოთ:

1. თითოეული მუშაკი – განვსაზღვროთ თუ რა დონეზე აკმაყოფილებს იგი კრიტერიუმებს და სად აქვს ჩავარდნა.
2. მსგავსი პროფესიების მქონე მუშაკების საერთო დონე კონკრეტული კომპეტენტურობისათვის.

მუშაკის ინდივიდუალური შეფასებისას მიღებული კომპეტენტურობის ქულა (Qj), შედარდება j-იური კომპეტენტურობის შესაძლო მაქსიმალურ ქულას (Qj_{max}). იმის მიხედვით თუ შესაძლო მაქსიმუმის (Qj_{max}) რამდენი პროცენტი შეადგინა მიღებულმა ქულამ (Qj), განისაზღვრება კომპეტენტურობის დონე (თუ რამდენად განვითარებულია იგი). თითოეული კომპეტენტურობისათვის მოხდება ასეთი შედარება და საბოლოოდ მივიღებთ გრაფიკს სადაც ნაჩვენები იქნება ყოველი კომპეტენტურობის განვითარების დონე ცალკეული ინდივიდისათვის.

ასევე შევადარებთ ყველა კომპეტენტურობაში მიღებულ ქულათა შესაძლო მაქსიმუმის Q_{max} – ის რამდენი პროცენტი შეადგინა ობიექტის მიერ მიღებულმა ჯამურმა ქულამ (Q_f). ამის მიხედვით განისაზღვრება შეფასებული ინდივიდის მიერ სამუშაოს შესრულების დონე ქვემოთ მოყვანილი ცხრილის მიხედვით (ცხრილი 3).

ცხრილი 3

პროცენტული მაჩვენებელი	დონე	შეფასება	განმარტება
91%-100%	A	საუკეთესო	სამუშაოს საუკეთესო შესრულება
71%-91%-მდე	B	კარგი	შედეგი შეესაბამება სამუშაოს უმეტეს მოთხოვნებს
41%-71%-მდე	C	საშუალო	შესრულების დამაკმაყოფილებელი დონე
21%-41%-მდე	D	ზღვრული	სამუშაოს შესრულება არასრულფასოვანია მთელ რიგ პუნქტებში
0%-21%-მდე	E	სუსტი	არადამაკმაყოფილებელი – შედეგები ძირითადად მიუღებელია

იმის დასადგენად, თუ ორგანიზაციის მასშტაბით რა მდგომარეობა გვაქვს მსგავსი თანამდებობების შეფასებისას, საჭიროა ყველა შეფასებული მუშაკის Qj და Qf ქულების საშუალო მნიშვნელობის გაანგარიშება. j-იურ კომპეტენტურობაში ყველა შეფასებულის მიერ მიღებულ ქულათა საშუალო მნიშვნელობა გამოითვლება ფორმულით:

$$Qj_{avg} = \left(\sum_{a=1}^{N} HaQj\right)/N \qquad (6)$$

სადაც, N - არის შეფასებულ მუშაკთა რაოდენობა, რომელთაც მსგავსი სამუშაო აქვთ და შეფასებულები არიან მსგავსი კითხვარით.

HaQj – არის შეფასებული Ha მუშაკის j – იური კომპეტენტურობის ქულა.

ყველა შეფასებულის მიერ მიღებულ ქულათა საშუალო მნიშვნელობა j-იურ კომპეტენტურობაში (Qj_{avg}) შედარდება j-იურ კომპეტენტურობაში მისაღები ქულის შესაძლო მაქსიმალურ მნიშვნელობას (Qj_{max}) და განისაზღვრება თითოეული j-იური კომპეტენტურობის განვითარების დონე მთელი ორგანიზაციის მასშტაბით. მეტი თვალსაჩინოებისთვის შედეგების ასახვა შეგვიძლია გრაფიკულად.

შეთავაზებული ალგორითმის გამოყენების მაგალითი პროფესორ-მასწავლებელთა შეფასება უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების ერთ-ერთი მეთოდი გულისხმობს სპეციალური კომისიის, სტუდენტების, კოლეგების მიერ მათი კომპეტენტურობის შეფასებას წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. შესაძლებელია ერთ-ერთ ელემენტად გამოყენებული იქნას შეფასების ობიექტის თვითშეფასება [1}.

აღნიშნული მეთოდის გამოყენებით საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში უკვე ერთი წელია მიმდინარეობს აკადემიური პერსონალის შეფასება. შეფასება დაგეგმილი იყო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით სპეციალურად შექმნილი კომისიისა და სტუდენტების მიერ. კომისიის მიერ შეფასებისას გამოიყენება 11 კრიტერიუმი: საუბრობს გასაგებად და გამართულად; აწვდის შესაბამის ინფორმაციას, არსებულ შეხედულებებსა და არგუმენტებს, ნათლად გამოყოფს საკვანძო საკითხებს; ლექციას წარმართავს თავდაჯერებულად; აძლევს სტუდენტებს აქტიურობის საშუალებას; აუდიტორიის მოთხოვნებზე, რეაქციასა და უკუკავშირზე სწრაფად და სწორად რეაგირებს; სტუდენტების შეკითხვებზე იძლევა სწორ და ამომწურავ პასუხებს; ლექციის პროცესში იყენებს ვიზუალურ საშუალებებს (სლაიდებს, თვალსაჩინოებებს, ვიზუალურ დანართებს, დაფას და სხვ.); საპრეზენტაციო მასალა (სლაიდი, ნახაზი, ფორმულა ან სხვა რაიმე ვიზუალური თვალსაჩინოება) შედგენილია სწორად, ლაკონურად და სტუდენტებისათვის გასაგებად; სალექციო დროს ანაწილებს რაციონალურად; ზრუნავს საკუთარ იერზე; იცავს ეთიკურ ნორმებს.

სტუდენტის მიერ პედაგოგის შეფასების კითხვარში, გარდა ზემოთ აღნიშნულისა, გამოყენებულია დამატებითი კრიტერიუმები, სულ 20: უზრუნველყოფს სტუდენტთა ორიენტირებას სწავლის პროცესზე; სამართლიანად აფასებს სტუდენტს წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით; განსაზღვრავს სტუდენტთა განვითარების შესაძლებლობებს, აძლევს რჩევებს საჭირო მიმართულებით და ა.შ.

ბუნებრივია, რომ შესაფასებელი პირებისა და კომპეტენტურობების, ასევე, შემფასებლებისა და მათი კატეგორიების დიდი რაოდენობის შემთხვევაში, პრაქტიკულად შეუძლებელია ავტომატიზაციის გარეშე შეფასების შედეგების სრულყოფილი ანალიზი ყველა პარამეტრის მიხედვით. ამოცანა კიდევ უფრო გართულდება, თუ კომპეტენტურობებსა და შემფასებელთა კატეგორიებს მივანიჭებთ წონებს საბოლოო შეფასებაში მათი წვლილის შესაბამისად. პრაქტიკულად, ზემოაღნიშნული მეთოდით ტექნიკურ უნივერსიტეტში ჩატარებული შეფასების პროცესის შედეგად ხდებოდა შეფასებული პირების ცალკეული კომპეტენტურობის განვითარებისა და საერთო დონის განსაზღვრა. ამასთან გამოყენებული იქნა მხოლოდ ერთი კატეგორიის შემფასებელთა – კომისიის მონაცემები და ყველა კომპეტენტურობა თანაბრად მონაწილეობდა შეფასების საბოლოო ქულის დადგენაში, რაც აღნიშნული პროცედურის გარკვეულ ნაკლს წარმოადგენს.

შეთავაზებული ალგორითმის გამოყენებით შექმნილი კომპიუტერული პროგრამის დახმარებით შეფასების პროცესის წარმართვა საშუალებას მოგვცემს გამოვიყენოთ ნებისმიერი რაოდენობის კომპეტენტურობები და შემფასებელთა კატეგორიები, მივცეთ მათ სათანადო წონები, არ არის, აგრეთვე, შეზღუდული შეფასებულთა რაოდენობა. ალგორითმი, ფაქტობრივად, წარმოადგენს პროგრამის ბირთვს, რომლის საშუალებითაც ხდება შეფასების შედეგების ანალიზი, მათი სისტემატიზაცია და დაჯგუფება. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია პროგრამას ჰქონდეს განშტოებები, რომლებიც შედგენილი იქნება ანგარიშგების სასურველი ფორმების შესაბამისად.

პერსონალის შეფასების კომპიუტერული პროგრამის ალგორითმის ბლოკ-სქემა



GIORGI DZIDZIGURI
ZURAB ZURABISHVILI
NUGZAR CHADUNELI
MARIAM KVACHANTIRADZE
SHORENA LOMIDZE

ALGORITHM FOR COMPUTERIZATION OF PERSONNEL EVALUATION

Summary

The successful functioning of any organization is impossible without the utilization of contemporary management methods. Therefore, the development and implementation of these methods considering the specifics of the particular organization is very important and at the same time complex task. HR management with its key mechanism of the personnel appraisal is the central component of the management system in whole. Objective, transparent and fair system of performance evaluation has a crucial role for introduction of staff motivation and job management systems. This applies in particular to analysis of appraisal results, as to the source for making concrete decisions. One of the ways for solving this problem is computerization of appraisal process.

The article describes universal algorithm for the analysis of personnel appraisal results and forming of respective reports. The software designed in accordance to this algorithm will enable appraisal of any type of employees of any kind of organization, with condition that standards and criteria for evaluation of performance quality and employees' competencies are defined preliminary. The number of competencies, employees to be assessed as well as number of assessors and their categories isn't limited.

Also, each competency to be assessed and assessors' each category can have a weight, which determines its value in the final score. These weights may be changed in accordance with goals of the assessment, the employee's functions and other conditions. In fact the proposed algorithm is the core of the computer program, enabling the analyzing of appraisal results, systematization and grouping them by different factors.

The example of utilizing of the algorithm at the higher education institution for appraisal of faculty is provided at the end of the article.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ძიძიგური გ., ზურაბიშვილი ზ., მხეიძე ხ., დათიაშვილი თ., გონგლაძე შ., საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მეცადინეობების ხარისხის ამაღლების ზოგიერთი საკითხი, თბილისი, სტუ, ჟურნალი ,,ბიზნეს-ინჟინერინგი", 2011, № 1, გვ. 8-20.
2. Хруцкий В., Толмачев Р., Оценка персонала, Москва, Финансы и Статистика, 2007, 224 с.
3. Pamalyn C. Allen, The development and assessment of a multi-method performance appraisal system for self-managed work teams, Wichita State University, 1992, 156 pages.
4. Dessler, Gary. Human Resource Management. 10th ed. Englewood Cliffs, NJ: Pearson/Prentice-Hall, 2004

ლევან იმნაიშვილი
მაგული ბედინეიშვილი
ალინა ტიტვინიძე

ბიომეტრია: მითები და რეალობა

განვითარებული ქვეყნების მიერ დეკლარირებული დოქტრინა „ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკა“ კიდევ უფრო ზრდის ინფორმაციის როლს და, შესაბამისად, მისი დაცვის მნიშვნელობას როგორც ვირტუალური, ასევე ფიზიკური თვალსაზრისით. ამასთან დაკავშირებით კიდევ უფრო მწვავედ დგება უზარმაზარი რაოდენობის პროცესების ინფორმაციის მომხმარებლის – პიროვნების იდენტიფიცირების საკითხი, რაც საჭიროა: აღჭურვილობასთან დაშვებისათვის, იარაღთან დაშვებისათვის, სოციალური დახმარებების გაცემისა და განაწილებისათვის, პენსიის მისაღებად და ა.შ. ამდენად, არაა გასაკვირი ბიომეტრიული ტექნოლოგიების მიმართ ბოლო წლებში გამოჩენილი ინტერესი. ეს ტექნოლოგიები მეტად მიმზიდველნი არიან ნებისმიერი სახის დაშვების განხორციელებისათვის, რამდენადაც უზრუნველყოფენ იდენტიფიცირების მაღალ საიმედობას, თანაც შეიძლება ინტეგრირებულნი იქნან დაშვების კონტროლის ნებისმიერ სისტემაში სხვადასხვა გასაღებებთან და პაროლებთან ერთად.

ბიომეტრია ტრადიციულად განისაზღვრება, როგორც მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის ადამიანის ბიოლოგიური მახასიათებლების მათემატიკური და სტატისტიკური დამუშავების მეთოდებს. დღეისათვის, ტერმინმა ,,ბიომეტრია'' დატვირთვა შეიცვალა და აღიქმება როგორც ადამიანის იდენტიფიცირების ტექნოლოგია, რომელიც იყენებს ბიოლოგიურ მახასიათებლებს.

ბიომეტრიას, კერძოდ კი დაქტილოსკოპიას, ადამიანები უხსოვარი დროიდან იყენებდნენ. მაგრამ დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბდა მე-19 საუკუნეში, მე-20 საუკუნეში ბიომეტრიული სისტემები ძირითადად გამოიყენებოდა სამხედრო და მნიშვნელოვანი კომერციული ინფორმაციის დასაცავად. აშშ-ში 2001 წლის ტერორისტული აქტის შემდეგ კი სიტუაცია მნიშვნელოვნად შეიცვალა. დიდ პრობლემად იქცა პიროვნების იდენტიფიცირების საკითხი, ბიომეტრიის გამოყენება დაიწყეს უსაფრთხოების სფეროში ახალი ტექნოლოგიების დანერგვისას. აქედან იწყება ბიომეტრიის აღმასვლა და ტერმინ „ბიომეტრიის“ შინაარსის ცვლილებაც ამასთან არის დაკავშირებული.

ადამიანის ბიომეტრიული იდენტიფიცირების მეთოდები

პიროვნების იდენტიფიცირების მეთოდები ბიომეტრიული პარამეტრების გამოყენების მიხედვით იყოფა ორ ჯგუფად: სტატიური (ადამიანის ფიზიკური მახასიათებლები) და დინამიური (ადამიანის ქცევითი მახასიათებლები).

სტატიური მეთოდები ეყრდნობა ადამიანის არაცვალებად ფიზიოლოგიურ მახასიათებლებს, როგორიცაა: **თითის ანაბეჭდი; სახის ფორმა და გეომეტრია; თავის ქალის ფორმა და გეომეტრია; თვალის გუგა; ხელისგულის, მტევნის ან თითის გეომეტრია; სახის თერმოგრაფია, ხელის თერმოგრაფია; ხელისგულზე ან თითზე ვენების გამოსახულების სურათი; დნმ; ორგანიზმის სუნი; ყურის ფორმა და სხვ.**

დინამიური მეთოდები ეყრდნობა პიროვნების ქმედებების ანალიზს, ანუ თავისებურებებს, რომელიც ახასიათებს ადამიანს რაიმე მოქმედების დროს. დინამიური მეთოდები დღეისათვის მნიშვნელოვნად ჩამორჩებიან სტატიურ მეთოდებს სიზუსტეში და ეფექტურობაში, მაგრამ მაინც ხდება მათი გამოიყენება. ამ მეთოდებს განეკუთვნება: **ხელმოწერის დინამიკა; კლავიატურაზე მუშაობის დინამიკა; ხმა; ტუჩების მოძრაობა; სიარულის მანერა; ხელნაწერი ტექსტის თავისებურებები**.

კონკრეტული ბიომეტრიული ტექნოლოგიის შესაქმნელად ადამიანის ბიომეტრიული მახასიათებლის შერჩევა ძირითად ამოცანას წარმოადგენს. ადამიანის იდეალური ბიომეტრიული მახასიათებელი უნდა იყოს უნივერსალური, უნიკალური, სტაბილური და აღქმადი. ბიომეტრიული მახასიათებლის უნივერსალურობა ნიშნავს, რომ ეს ბიომეტრიული მახასიათებელი უნდა ქონდეს ყველა ადამიანს. უნიკალობა ნიშნავს, რომ არ შეიძლება არსებობდეს ორი ადამიანი, რომლებსაც ეს მახასიათებელი ექნებათ ერთნაირი. სტაბილურობა გვიჩვენებს, რომ არ უნდა იცვლებოდეს ბიომეტრიული მახასითებელი დროის განმავლობაში. ამასთან ადამიანის ბიომეტრიული მახასიათებლის აღქმა ტექნიკური საშუალებებით უნდა იყოს შესაძლებელი და მოსახერხებელი.

ადამიანის რეალური ბიომეტრიული მახასიათებლები არ არის იდეალური. სხვადასხვა ბიო-

მეტრიული მახასიათებლისათვის უნივერსალობის, უნიკალობის, სტაბილურობის და აღქმადობის კრიტერიუმების მიხედვით სამბალიანი ექსპერტული შეფასებით მიღებულია ცხრ. 1-ში მოტანილი შედეგები [1].

ცხრილი 1

ადამიანის ბიოლოგიური მახასიათებელი	უნივერსალურობა	უნიკალურობა	სტაბილურობა	აღქმადობა
სახის გამოსახულება	მაღალი	დაბალი	საშუალო	მაღალი
სახის თერმოგრამა	მაღალი	მაღალი	დაბალი	საშუალო
თითის ანაბეჭდი	მაღალი	მაღალი	მაღალი	საშუალო
ხელის მტევანი	საშუალო	საშუალო	საშუალო	მაღალი
თვალის ფერადი გარსი	საშუალო	მაღალი	მაღალი	საშუალო
თვალის ბადურა	მაღალი	მაღალი	საშუალო	დაბალი
ხელმოწერა	დაბალი	დაბალი	დაბალი	მაღალი
ხმა	საშუალო	დაბალი	დაბალი	საშუალო
ტუჩები	მაღალი	მაღალი	საშუალო	დაბალი
ყური	საშუალო	საშუალო	საშუალო	საშუალო
წერის დინამიკა	საშუალო	მაღალი	დაბალი	მაღალი
სიარულის მანერა	მაღალი	საშუალო	დაბალი	დაბალი

როგორც ცხრილიდან ჩანს, ვერცერთი ბიომეტრიული მახასიათებელი აკმაყოფილებს მაქსიმალურად მოთხოვნებს ჩამოთვლილი თვისებების მიხედვით. მიუხედავად მატერიალური დანახარჯების და სიზუსტის საშუალო მაჩვენებლებისა, დღეისათვის, გაყიდვებით ლიდერის პოზიცია უჭირავს ბიომეტრიულ ტექნოლოგიებს თითის ანაბეჭდის საფუძველზე, რაც გარკვეულწილად განპირობებულია მეთოდური, ტექნიკური და ალგორითმული ტრადიციულობით და კარგი საექსპლუატაციო მახასიათებლებით.

ბიომეტრიის განვითარების დღევანდელი დონე

დაქტილოსკოპიის ცოდნის პირველი ნიშნები ჩანს ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ჩრდილოეთ ამერიკაში ნაპოვნია ქვაზე ადამიანის ხელის გამოსახულება, რომელზეც ჩანს პაპილარული ხაზები. ასირიელები, ჩინელები დოკუმენტების დასამოწმებლად იყენებდნენ თიხის ბეჭდებს თითის ანაბეჭდით, ძველ ჩინეთში თითის ანაბეჭდებზე დაკვირვებით ხდებოდა ადამიანის ბედის განსაზღვრა, შემდგომ დაიწყეს გამოყენება კრიმინალისტიკაში.

ევროპაში თითის ანაბეჭდით ადამიანის იდენტიფიცირებას ყურადღება მე-19 საუკუნეში მიაქციეს. დაქტილოსკოპიის თანამედროვე ისტორიის პირველ მკვლევარებად ითვლებიან უილამ გერშელი და ჰენრი ფოლდსი. გერშელი ინდოეთში მუშაობის პერიოდში თითის ანაბეჭდებს იყენებდა ადგილობრივი მოსახლეობისთვის დახმარებების აღრიცხვის დროს, შემდეგ კი ციხეში პატიმრების იდენტიფიცირებისთვის. ფოლდსმა დაქტილოსკოპიის შესწავლა დაიწყო გერშელისგან დამოუკიდებლად იმავე წლებში (1870 წ.), შექმნა თითის ანაბეჭდების კლასიფიცირების სისტემა და პირველმა მოახდინა იდენტიფიცირება მინის ბოთლზე ანაბეჭდით. ამ ორი მეცნიერის იდეებზე და გამოცდილებაზე დაყრდნობით გალტონმა შექმნა თითის ანაბეჭდის ინდივიდუალობისა და მუდმივობის თეორია, მან ასევე დაამტკიცა, რომ ერთიდაიგივე ადამინს ათივე თითზე აქვს განსხვავებული ანაბეჭდი, შექმნა პაპილარული ხაზების, კლასიფიცირების სისტემა, ე.წ. ,,გალტონის დეტალები'' [2].

ბიომეტრიის თავბრუდამხვევი განვითარება დაიწყო 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდგომ, როცა ყველა მიხვდა, რომ ტერორიზმისაგან თავის დაღწევა მოითხოვდა პიროვნების გარანტირებულ იდენტიფიცირებას. იმ მომენტისათვის ბიომეტრიული აღჭურვილობის დამუშავებაში ჩაებნენ ისეთი ცნობილი კომპანიები, როგორიცაა: LG, Sanyo, Polaroid, NEC, Panasonic და სხვა. შეიძლება ითქვას, რომ ბიომეტრია დღეისათვის შეიჭრა ადამიანის მოღვაწეობის ყველა სფეროში, სადაც კი საჭიროა მისი იდენტიფიცირება.

ნახ.2-ზე მოცემულია Acuity Market Intelligence-ის მიერ 2011 წელს შედგენილი ბიომეტრიული საშუალებების წარმოებისაგან მიღებული შემოსავლების პროგნოზი [3].



ნახ. 1. ბიომეტრიული ინდუსტრიის პროგნოზი

როგორც დიაგრამიდან ჩანს, ბიომეტრიული საშუალებების გაყიდვებისაგან მიღებული შემოსავლები ყოველწლიურად დინამიურად იზრდება და 2017 წელს მიაღწევს 11 მილიარ აშშ დოლარს.

დღეისათვის, ბიომეტრიულ სისტემებში გამოიყენება პრაქტიკულად ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ბიომეტრიული მახასიათებელი. ბიომეტრიული ბაზრის სეგმენტაციას გამოყენებული იდენტიფიკატორების მიხედვით კომპანია Acuity Market Intelligence-ის 2007 წლის მონაცემებით აქვს შემდეგი სახე:



ნახ.2. ბიომეტრიული ბაზრის გადანაწილება ბიომეტრიული მახასიათებლების მიხედვით

როგორც ვხედავთ, არსებული სტატიური და დინამიური ბიომეტრიული მეთოდებიდან დღეისათვის უფრო მეტად გამოიყენება თითის ანაბეჭდის ანალიზი, რაც განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით: თითის ანაბეჭდის იდენტიფიკატორი პიროვნების იდენტიფიცირებას, სხვა იდენტიფიკატორებთან შედარებით, ახდენს მეტი საიმედობით; თითის ანაბეჭდის ანალიზი ბევრად სწრაფად ხდება; თითის ანაბეჭდით იდენტიფიცირების საშუალებები (პროგრამული და აპარატურული) ბევრად უფრო იაფია, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს თითის ანაბეჭდის ანალიზის მეთოდების ფართო გავრცელებას; თითის ანაბეჭდით პიროვნების იდენტიფიცირების მეთოდები,

მათემატიკური მოდელები და ალგორითმები ბევრად კარგადაა დღეისათვის დამუშავებული, რაც განპირობებულია თითის ანაბეჭდის გამოყენების ტრადიციულობით.

ბიომეტრიული ტექნოლოგიების სრულყოფა ხდება დაჩქარებული ტემპებით, პირველ რიგში საიმედობის ამაღლების და ღირებულების შემცირების კუთხით ისეთი ტრადიციული ტექნოლოგიებისათვის, როგორიცაა: თითის ანაბეჭდის, სახის და თვალის ფერადი გარსის იდენტიფიკატორებისათვის.

ძველ ტექნოლოგიებთან ერთად წარმოიშვება ახალიც. მათგან ზოგიერთს, განსაკუთრებით კი სახის სამგანზომილებიანი გამოსახულებით სუბიექტის გამოცნობას, აქვთ მნიშვნელოვანი პოტენციალი და მომავალში შეუძლიათ სერიოზულად შეცვალონ ბიომეტრიული ბაზრის გადანაწილების სურათი.

და, რაც მთავარია, ბიომეტრიის სფეროში ძირითადი მოვლენა იქნება მოცემული ტექნოლოგიების მასიური დანერგვა და გამოყენება საპასპორტო-სავიზო დოკუმენტებში (დღეისათვის ეს პროცესი რიგ ქვეყნებში სერიოზულადაა დაძრული). ეს მოვლენა მიგვიყვანს არა მხოლოდ ტექნოლოგიურ ცვლილებთან და ბაზარზე არსებული სისტემების და მოწყობილობების განვითარებასთან, არამედ მთლიანად შეცვლის ადამიანების ყოფას. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს იქნება ვექტორი კარგისაკენ, რამდენადაც ბიომეტრია საშუალებას იძლევა ამაღლებული იქნას არა მხოლოდ ცალკეული ადამიანის უსაფრთხოება, არამედ საზოგადოების – მთლიანად.

ბიომეტრიის გამოყენების სფეროები

პასუხი კითხვაზე: სად გამოიყენება ბიომეტრია და როგორია მისი გამოყენების არეალის გაზრდის პერსპექტივა, შეიძლება იყოს ძალიან მოკლე: ყველგან და ყველაფერში, სადაც არის საჭირო ადამიანის იდენტიფიცირება, აუტენტიფიცირება და ა.შ. ბიომეტრიული იდენტიფიცირების გამოყენების სფერო შეიძლება „მოულოდნელიც“ იყოს, ანუ იქ სადაც ადრე საერთოდ არ ხდებოდა ადამიანის იდენტიფიცირება. მაგალითის სახით შეიძლება მოვიყვანოთ მოსწავლის იდენტიფიცირება სკოლის ბუფეტში და ა.შ. შეიძლება ითქვას, რომ ბიომეტრიული იდენტიფიცირება „აფართოებს“ ადამიანის იდენტიფიცირების სფეროების არეალს.

ნათელია, რომ ბიომეტრიული სისტემების გამოყენების არეალი მეტად ფართოა, ამიტომ მოვიტანთ გამოყენების სფეროების მხოლოდ ჩამონათვალს: ფიზიკური დაშვების ბიომეტრიული მართვა (მაგალითად, დაშვება დაცულ ტერიტორიებზე); ლოგიკური დაშვების ბიომეტრიული მართვა (მაგალითად, აუტენტიფიცირება მონაცემთა ბაზებში); სამართალდამცავი და იუსტიციის სფერო (კრიმინალისტიკა და პენიტენციალური სისტემა); სამუშაო დროის აღრიცხვა (სჭირდება ყველა კომპანიას); სამედიცინო სფერო (განსაკუთრებით საჭიროა ჯანმრთელობის დაზღვევის სისტემებში); სასაზღვრო კონტროლი (სავიზო, საპასპორტო კონტროლი); ფინანსური და ტრანზაქციული ბიომეტრია (იდენტიფიცირების საიმედობის ამაღლება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საბანკო სექტორში); მობილური მოწყობილობები (მაგალითად, მობილური ბანკისათვის პიროვნების იდენტიფიცირება); ბიომეტრიული საკეტები (დღეისათვის უკვე ფართოდაა გავრცელებული, თუნდაც სასტუმროებში); სამომხმარებლო ბიომეტრია (მაგალითად, ხელჩანთებში, სეიფებში); სასწავლო დაწესებულებები; ბიომეტრიის გამოყენების სხვა სფეროები – მოხერხებულობა (მაგალითისათვის მოვიყვანთ სხვადასხვა თითის გამოყენებას სხვადსხვა პროგრამების გამოძახებისათვის).

ნახ.3. პედაგოგთა რეგისტრაციის სისტემის ტერმინალი

უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ ბიომეტრიის გამოყენების მნიშვნელობაზე სასწავლო დაწესებულებებში. განვითარებულ ქვეყნებში დაწყებულია ფართომაშტაბიანი პროექტები სკოლებში მოსწავლეთა ბიომეტრიული იდენტიფიცირებისათვის, სადაც შერწყმულია მოსწავლეთა აღრიცხვის და უსაფრთხოების ფუნქციები. ასევე ფართოდ გამოიყენება ბიომეტრიული იდენტიფიცირება სკოლის ბუფეტებში უსაფრთხოების მიზნით და შესაბამისად მოსწავლეებს აღარ აქვთ უშუალოდ ფულთან შეხების აუცილებლობა. მატერიალური დანახარჯების შემცირების მიზნით, ბიომეტრიულ იდენტიფიცირებას იყენებენ საუნივერსიტეტო კამ-

პუსებში უცხო პიროვნების დაშვების აკრძალვის მიზნით. ამდენად უცხო პიროვნებას არ შეუძლია უფასოდ ისარგებლოს იმ სერვისებით, რაც გათვალისწინებულია სტუდენტებისათვის, მაგალითად, ბიბლიოთეკით. რამდენიმე წელია განვითარებად ქვეყნებში დაიწყეს ბიომეტრიული იდენტიფიცირების გამოყენება პედაგოგებისათვის. მაგალითად, ინდოეთში აღმოჩნდა, რომ თურმე ყველა პედაგოგი არ ასრულებს კეთილსინდისიერად მასზე დაკისრებულ მოვალეობას. ამ მხრივ ორიგინალურია პედაგოგთა რეგისტრაციის ბიომეტრიული სისტემა, რომელიც გამოიყენება საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში (ნახ.3). უსაფრთხოების თვალსაზრისით ძალიან ეფექტური აღმოჩნდა ბიომეტრიული იდენტიფიცირების სისტემა საბავშვო ბაღებში, სადაც ბავშვის მოყვანა ბაღში, ან გაყვანა შესაძლებელია მშობლის ან მეურვის ბიომეტრიული იდენტიფიცირების შემდგომ.

როგორ მუშაობენ ბიომეტრიული ტექნოლოგიები

ბიომეტრია მოწოდებულია გადაჭრას ვერიფიცირების და იდენტიფიცირების საკითხები. თავდაპირველად ხდება კონკრეტული პირის ბიომეტრიული მახასიათებლის მათემატიკური მოდელის ანუ საწყისი შაბლონის ჩამოყალიბება. ზოგჯერ ამ პროცესს პიროვნების რეგისტრირებას უწოდებენ. ვერიფიცირების დროს ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ დავრწმუნდეთ მოცემულ მომენტში მიღებული მათემატიკური მოდელი (ბიომეტრიული „რუკა“) შეესაბამება თუ არა ამ პირის რეგისტრირებულ შაბლონს. ვერიფიცირება (ანუ შედარება ერთი – ერთთან) გამოიყენება იმის შესამოწმებლად, არის თუ არა ეს სუბიექტი ის, რომლადაც თავს წარმოაჩენს. გადაწყვეტილება მიიღება ახლად ფორმირებული და რეგისტრირებული შაბლონების მსგავსების საფუძველზე. ბიომეტრიისათვის უპრიანია ვილაპარაკოთ შაბლონების მსგავსების დონეზეც.

იდენტიფიცირება (ანუ შედარება ერთისა N-თან) წყვეტს ახლად მიღებული ბიომეტრიული შაბლონის ყველაზე უფრო მსგავსის მოძებნის ამოცანას რეგისტრირებული N შაბლონიდან. უმარტივეს შემთხვევაში ეს არის ახლად მიღებული შაბლონის თანმიმდევრული შედარება N შაბლონიდან ყველასთან. გადაწყვეტილება მიიღება იმ რეგისტრირებული შაბლონის სასარგებლოდ, რომელსაც ექნება ყველაზე მეტი მსგავსების დონე ახლად ფორმირებულ შაბლონთან, ანდა საერთოდ არ იქნება მიღებული დადებითი გადაწყვეტილება, თუ თანმიმდევრულმა შედარებამ არ მოგვცა მსგავსების წინასწარ განსაზღვრული დონე [4].

თითის ანაბეჭდის გამოცნობის შემთხვევაში რეგისტრირებული და მიმდინარე შაბლონები მიიღება დაქტილოსკოპიური სკანერის საშუალებით, რომელიც გვაძლევს თითის პაპილარული ხაზების გამოსახულებას. შემდგომ ხდება ამ გამოსახულების დამუშავება და დამუშავების პროცესში ხდება მისი ისეთი მახასიათებელი თავისებურებების, როგორიცაა ხაზების განშტოება, ხაზების დაბოლოება ანდა ხაზების გადაკვეთის გამოყოფა. ყოველი მახასიათებელი თავისებურებისათვის ხდება მისი ტიპის, კოორდინატის, ფარდობითი განლაგების და ისეთი სხვა პარამეტრების დამახსოვრება, როგორიცაა, მაგალითად, ხაზების დაბოლოების წერტილისათვის – ხაზის მიმართულება. მახასიათებელი თავისებურებების მონაცემთა ერთობლიობა წარმოქმნის ბიომეტრიული მახასიათებლის შაბლონს. მათემატიკური მოდელის სახით მიიღება მრავალპარამეტრიანი ვექტორი. ნახ. 4-დან ჩანს, რომ განხილული პროცესი უკუქცევადი არაა, ანუ თითის ანაბეჭდის მათემატიკური მოდელიდან თითის ანაბეჭდის გამოსახულების აღდგენა ვერ მოხდება.

ბიომეტრიის საიმედოობა

ბიომეტრიული სისტემების მთავარი დანიშნულებაა პიროვნების იდენტიფიცირება, ანუ იდენტიფიკატორის შესაბამისობის დადგენა მის წარმომდგენთან, თუნდაც აუტენფიცირებისას. თუ ამ კუთხით მივუდგებით სისტემაში აუტენტიფიცირების ტრადიციულ (თუნდაც პაროლით, ან პლასტიკური ბარათით) მეთოდებთან შედარებით, შეფასების გარეშეც ცხადია, რომ ბიომეტრიული აუტენტიფიცირება გაცილებით საიმედოა, რამდენადაც შესაძლებელია პაროლის (ბარათის) დაკარგვა, დავიწყება და ა.შ. არაფერს ვამბობთ მრავალი პაროლით სარგებლობისას წამოჭრილ შეცდომებზე და ა.შ. ამდენად, განხილვის საგანს წარმოადგენს უშუალოდ ბიომეტრიული სისტემის საიმედობა. ამდენად, ბიომეტრიული სისტემის საიმედობაში იგულისხმება ზოგადად ტექნიკური სისტემის საიმედობა, რომელმაც სწორად უნდა შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობა. აუტენტიფიცირების ბიომეტრიული სისტემისათვის ეს გულისხმობს: სისტემამ არ უნდა დაუშვას „უცხო“ და დაუშვას „ნაცნობი“ მომხმარებელი. შესაბამისად უარი არ უნდა უთხრას დაშვებაზე „ნაცნობ“ მომხმარებელს.



ნახ.4. ბიომეტრიული სისტემის მოქმედების პრინციპი

მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერების მიერ დიდი ხანია დამტკიცებულია ადამიანის ბიომეტრიული მახასიათებლების მუდმივობა, პრაქტიკული გამოყენებისას გვრჩება შთაბეჭდილება, რომ რიგ შემთხვევებში ასეთი შეფასება გადაჭარბებულია. რადგან „რეალურ ცხოვრებაში“ ბიომეტრიული სისტემა ხშირად „ვერ ცნობს“ დარეგისტრირებულ მომხმარებელს. ამ შემთხვევაში საკმარისია, რომ ხელმეორედ დავარეგისტრიროთ მომხმარებელი, ანუ განვაახლოთ ბიომეტრიული მახასიათებლის შაბლონი, რომ ხარვეზი მყისვე გამოსწორდეს. ეს უფრო ეხება დაქტილოსკოპიაზე აგებულ ბიომეტრიულ სისტემას. ამდენად, რჩება შთაბეჭდილება, რომ ადამიანის ბიომეტრიული მახასიათებელი თითქოს იცვლება. ამ „ჩახლართულ“ სიტუაციაში გარკვევის მიზნით, ჯერ ვნახოთ თუ რა შეცდომებს უშვებს ბიომეტრიული სისტემა.

ბიომეტრიული სისტემის შეცდომებიდან გამოყოფენ სამი ტიპის შეცდომას [5]:

პირველი რიგის შეცდომა (FRR – False Rejection Rate) – მცდარი უარყოფის დონე. “ვერ ცნობს თავისიანს”, ე.ი. მიიღება გადაწყვეტილება, რომ ,,სხვაა”, მიუხედავად იმისა, რომ სუბიექტი არის დარეგისტრირებულთა მონაცემთა ბაზაში.

მეორე რიგის შეცდომა (FAR – False Acceptance Rate) – მცდარი დაშვების დონე. ,,დაშვებული იქნას უცხო”, ე.ი. მიიღება გადაწყვეტილება, რომ ,,თავისიანია”, მიუხედავად იმისა, რომ სუბიექტი არ არის დარეგისტრირებულთა მონაცემთა ბაზაში.

მესამე რიგის შეცდომა (FER-Failure to Enroll Rate) – რეგისტრაციის შეუძლებლობის დონე. მიიღება გადაწყვეტილება, რომ ,,უცხოა” იმის გამო, რომ ვერ ხერხდება დაქტილოსკოპიური სკანერით პაპილარული ხაზების სურათის მიღება და, შესაბამისად, ვერ ახერხებს ბიომეტრიული მახასიათებლის აღქმას. მაგალითად, დაქტილოსკოპიურ სკანერს არ შეუძლია თითის ანაბეჭდის გამოსახულების მიღება კანის ხარვეზების, განსაკუთრებული წერტილების მცირე რაოდენობის ანდა პაპილარური ხაზების არ არსებობის გამო. თითის ანაბეჭდის გამოსახულებაზე განსაკუთრებული წერტილების რაოდენობის შემცირება შეიძლება გამოწვეული იყოს კანის მექანიკური დაზიანებებით. მესამე დონის შეცდომასთან გვაქვს საქმე, როცა მომხმარებლის რეგისტრაცია სისტემაში ხდება ერთი ტიპის დაქტილოსკოპიური სკანერით და აუტენტიფიკაციას გადის მეორე ტიპის დაქტილოსკოპიური სკანერით.

შემდგომი განხილვის გამარტივების მიზნით, დავუშვათ, რომ ბიომეტრიული სისტემის შეფასება ხდება მეორე რიგის შეცდომაზე (FAR) დაყრდნობით. თუ გავზრდით სისტემაში FAR-ის დონეს (როგორც წესი, ბიომეტრიულ სისტემაში FAR ექვემდებარება ადმინისტრირებას), მაშინ სისტემაში უპრობლემოდ იქნებიან დაშვებულნი დარეგისტრირებული მომხმარებლები, მაგრამ გაიზრდება საფრთხე „რომ დაშვებული იქნას უცხო“. თუ მოვახდენთ FAR-ის შემცირებას, მაშინ „უცხოს“ დაშვების საფრთხის ალბათობა შემცირდება, მაგრამ იმავდროულად შეიძლება მივიღოთ სიტუაცია: ,,ვერ ცნობს თავისიანს” (ნახ. 5). შესაბამისად, მკვეთრად შემცირდება სისტემის მოხმარებელთა კომფორტულობა. მათ მოუწევთ დაქტილოსკოპიურ სკანერზე თითის რამოდენიმეჯერ დადება, ან კიდევ უფრო უარესი, საქმე გვექნება მესამე დონის შეცდომასთან.



ნახ. 5. პირველი და მეორე რიგის შეცდომების ურთიერთდამოკიდებულება

ამ ლოგიკიდან გამომდინარე, შეიძლება ვივარაუდოთ, სისტემა საუკეთესოდ იმუშავებს FAR-ის იმ მნიშვნელობაზე, როცა გვაქვს პირველი და მეორე რიგის შეცდომების ერთნაირი დონე (EER). მაგრამ, რეალურ სისტემაში ასეთი მიდგომა არ ამართლებს, ანუ ვერ ვიღებთ საიმედობის იმ დონეს, რომელიც ჩვენთვის მისაღებია.

არსებობს მიდგომა, როცა FAR-ის მნიშვნელობის შერჩევა ხდება სისტემის დანიშნულებიდან გამომდინარე: თუ ბიომეტრიული სისტემა განკუთვნილია მკაცრი დაშვებისათვის, მაშინ FAR≤EER. თუ ამ შემთხვევაში ადგილი ექნება FER-ს, მაშინ სისტემაში გამოყენებული უნდა იქნას უფრო მაღალი ხარისხის აპარატურული და პროგრამული საშუალებანი, ან იდენტიფიცირება მოვახდინოთ სხვა ბიომეტრიული მახასიათებლის საშუალებით.

თუ ბიომეტრიული სისტემა არაა განკუთვნილი მკაცრი დაშვებისათვის, მაშინ შეიძლება, რომ FAR≥EER. შესაბამისად გაიზრდება სისტემით სარგებლობის კომფორტულობაც. FAR≥EER-ის შემთხვევაში უკვე დიდი მნიშვნელობა ენიჭება FAR-ის დონის ადმინისტრირებას, ანუ FAR-ის დონის სწორ შერჩევას.

დაქტილოსკოპიური იდენტიფიცირების პრობლემები

- ,,რთული თითების'' პრობლემა. თითის პაპილარული ხაზების სურათის სკანირებისას ადამიანების 1%-ს აქვთ პრობლემები, რაც დაკავშირებულია მექანიკურ დაზიანებებთან, დამწვრობასთან, კანის დაავადებებთან და სხვა. თუ პიროვნების თითიდან საერთოდ შეუძლებელია სურათის მიღება დაქტილოსკოპიური სკანერის საშუალებით, მაშინ უმჯობესია გადავიდეთ თვალის ფერადი გარსის სკანირებაზე, ან სხვა რომელიმე იდენტიფიკატორზე.
- ,,იმიტაციის'' პრობლემა. შესაძლებელია თითის პაპილარული სურათის იმიტაცია სხვადასხვა საშუალებებით, მათ შორის სილიკონის მოდელის გამოყენებით. ამ შემთხვევას ებრძვიან სითბური სკანერის გამოყენებით, რომელიც რეაგირებს გამოსახულებაზე და სითბოზე ერთდროულად.
- პიროვნების უფლებათა დარღვევა (Privacy Violation)

ბიომეტრიულ სისტემაში პაპილარული ხაზების უშუალოდ გამოსახულების (ან თუნდაც მცირე ნაწილის) შენახვა.

ადამიანებს, რომლებსაც უხდებათ ბიომეტრიულ სისტემებთან შეხება ან არიან მისი მომხმარებლები, უჩნდებათ „ბუნებრივი“ კითხვა: ინახება თუ არა მისი თითის ანაბეჭდი სისტემაში? დაქტილოსკოპიური ბიომეტრიული სისტემები შეიძლება გაიყოს ორ ჯგუფად: დაქტილოსკოპიური გამოსახულების შენახვით და მის გარეშე. პირველი ტიპის სისტემებით სარგებლობენ მხოლოდ კრიმინალისტიკაში, ხოლო ყველა დანარჩენ შემთხვევაში გამოიყენება დაქტილოსკოპიაზე დაყრდნობილი ბიომეტრიული სისტემები გამოსახულების შენახვის გარეშე.

ნახ.4-ზე წარმოდგენილი სქემა ხსნის დაქტილოსკოპიური ბიომეტრიული სისტემის მოქმედების პრინციპს. თითის ანაბეჭდიდან მიიღება ე.წ. „ანაბეჭდის რუკა“, სადაც უკვე გამოყოფილია საკვანძო (დალტონის) დეტალები. შემდგომი მათემატიკური გარდაქმნებით მიიღება თითის ანაბეჭდის მათემატიკური მოდელი – შაბლონი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შაბლონიდან თითის ანაბეჭდის მიღება შეუძლებელია (ყოველ შემთხვევაში, დღეისათვის ასეთი მათემატიკური მეთოდი არ არსებობს).

დასკვნა. გაანალიზებულია და დასაბუთებული ადამიანის იდენტიფიცირებისათვის ბიომეტრიული მეთოდების საიმედობა ტრადიციულ მეთოდებთან (პლასტიკური ბარათის, პაროლის და ა.შ. გამოყენებით) შედარებით. ამასთან ნაჩვენებია, რომ ბიომეტრიული მეთოდების გამოყენება ადამიანის იდენტიფიცირებისათვის იძლევა კარგ შედეგებს, მხოლოდ ბიომეტრიული სისტემის სწორად ადმინისტრირების შემთხვევაში. მიუხედავად იმისა, რომ ბიომეტრიული სისტემების გამოყენებასთან დაკავშირებული ხარვეზები ხასიათდება ობიექტური და სუბიექტური მიზეზებით, მისი გამოყენების არეალი და მაშტაბები დღითიდღე ფართოვდება და იზრდება, რაც უდავოდ მეტყველებს მის ეფექტურობაზე.

LEVAN IMNAISHVILI
MAGULI BEDINEISHVILI
ALINA TITVINIDZE

BIOMETRICS : MYTHS AND REALITY

Summary

The article describes the essence of biometrics and purpose, the advantages and disadvantages of biometric systems.

It is shown, that now, biometric methods are most effective and reliable way to identification the people. Particular attention is paid to the administration of biometric systems, in order to ensure their reliability. Because of rapid pace of development "Biometric Market" and expanding the area of human identification using biometric methods, the conclusion is made, that in recent years biometrics not only to raise reliability of human identification, but will have a significant impact on human life style.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Anil K. Jain,Arun Ross, Salil Prabhakar. An Introduction to Biometric Recognition. IEEE TRANSACTIONS ON CIRCUITS AND SYSTEMS FOR VIDEO TECHNOLOGY, VOL. 14, NO. 1, JANUARY 2004.
2. The Fingerprint Sourcebook. Chapter 1. HISTORY, Jeffery G. Barnes, National Institute of Justice, 2011.
3. http://www.acuity-mi.com/FOB_ Report.php
4. Davide Maltoni, Dario Maio, Anil K. Jain, Salil Prabhakar. Handbook of Fingerprint Recognition. Springer-Verlag, New York, Berlin, Heidelberg, 2003.
5. Technical Document about FAR, FRR and EER. by SYRIS Technology Corp., 2004.

აკაკი გიგინეიშვილი
თემურ ჩიჩუა
იური პაპავა

სასწავლო-კვლევითი თანამედროვე ლაბორატორია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტების განკარგულებაში

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტების სწავლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია კვლევის უნარ-ჩვევების გამომუშავება. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტებმა ახალი სასწავლო წლის დამდეგს ფასდაუდებელი საჩუქარი მიიღეს – უნივერსიტეტში ფუნქციონირება დაიწყო ფიზიკის განახლებულმა სასწავლო ლაბორატორიამ, რომელიც აღჭურვილია უახლესი, თანამედროვე კომპიუტერული გამზომი ინსტრუმენტებით და ლაბორატორული დანადგარებით. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ფიზიკის დეპარტამენტის სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიებს ჩამონათვალში შედის აგრეთვე ფუნდამენტური კონსტანტების ლაბორატორია – აქაა ფიზიკის საეტაპო, ეპოქალური კლასიკური ექსპერიმენტები, რომელთა ავტორების ღვაწლი მეცნიერების განვითარებაში თავის დროზე ნობელის პრემიებით აღინიშნა.

ლაბორატორია აღიჭურვა მოწყობილობებით, რომელსაც ამზადებს ფირმა PASCO. ესაა მსოფლიოში ცნობილი ამერიკული ფირმა, რომელიც სახელგანთქმულია სასწავლო და სამეცნიერო ლაბორატორიებისთვის განკუთვნილი თანამედროვე ხელსაწყოებისა და მოწყობილობების დამზადებით. ფირმა PASCO-ს პროდუქცია უსაფრთხო, საიმედო და ბევრად იაფია გერმანული ფირმა PHYWE-ს ანალოგიურ ნაწარმთან შედარებით, ამავდროულად, უკეთესია კომპიუტერული ინტერფეისებით აღჭურვის გამო.

ფირმა PASCO-ს გამზომი მოწყობილობები-ინტერფეისები გასაზომ ფიზიკურ სიდიდეების გარდაქმნის ციფრულ სიგნალებად, რომლებიც სპეციალური კონსოლის მეშვეობით მუშავდება, შეინახება, აისახება კონსოლის ეკრანზე, ან საჭიროების შემთხვევაში გადაიგზავნება ჩვეულებრივ კომპიუტერში შემდგომი პროგრამული დამუშავებისათვის. შედეგად ვღებულობთ ექსპერიმენტის შედეგებს, წარმოდგენილს ნაირსახოვანი ცხრილებისა და გრაფიკების სახით. მატერიალური ბაზით უზრუნველყოფის თვალსაზრისით უნივერსიტეტს შეძენილი აქვს სხვადასხვა ფიზიკური სიდიდის ციფრული გამზომი მოწყობილობების ძალიან ფართო ნაკრები. აღნიშნული საშუალებას იძლევა დაიგეგმოს და შესრულდეს სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო გამოყენებითი ფიზიკის მრავალ სხვადასხვა დარგში, როგორც მაგისტრატურის, ასევე დოქტორანტურის დონის სამეცნიერო კვლევების შესრულების უზრუნველყოფისათვის.

უახლესი ექსპერიმენტული მოწყობილობების ფართო ასორტიმენტი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს საშუალებას აძლევს დააყენონ ან შექმნან ორიგინალური ლაბორატორიული სამუშაოები, რომლებიც ოპტიმალურად იქნება მისადაგებული უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის კონკრეტული სპეციალობის სტუდენტების მაღალ დონეზე მომზადების ამოცანის გადაწყვეტასთან. გარდა ამისა, ლაბორატორიაში დადგმულია შედარებით მარტივი ლაბორატორული ამოცანები, განკუთვნილი პირველი კურსის პირ-

ველ სემესტრში სტუდენტთა იმ კონტინგენტისთვის, რომლებიც გადიან საბაზო მომზადებას ფიზიკაში – ეს ლაბორატორული ამოცანები, ფაქტობრივად, სასკოლო დონის ამოცანებია. ასეთი ლაბორატორიის შექმნით უნივერსიტეტს ფაქტიურად გააჩნია შესაძლებლობა თანამედროვე კვლევითი ლაბორატორიის ხიბლი სკოლის მოსწავლეებსაც გააცნოს. ამ მიზნით სისტემატურად იმართება სკოლის მოსწავლეებისათვის საკვირაო კლასგარეშე ლაბორატორული სამუშაოები. ამ ლაბორატორიის გამოყენება შესაძლებელია საქართველოს საჯარო სკოლის ფიზიკის მასწავლებლების თანამედროვე მოთხოვნების დონეზე კვალიფიკაციის ასამაღლებლადაც.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ლაბორატორიის აღჭურვილობა აგრეთვე შეიცავს ეგრეთ წოდებულ "ნაკრებ ამოცანებს" – ერთი და იმავე ხელსაწყოების ბაზაზე შეიძლება რამდენიმე ამოცანის გამართვა. შემენილი ლაბორატორული მოწყობილობებით დაკომპლექტებული ექსპერიმენტული ამოცანები საშუალებას გვაძლევს შევქმნათ თანამედროვე სასწავლო ლაბორატორია აგრეთვე იმ გაგებით, რომ ამოცანათა უმრავლესობა კომპიუტერიზებულია სათანადო გადამწოდებით და მათი ინტერფეისების სა-შუალებით. გარდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა ასეთი თანამდროვე და კარგად აღჭურვილი სასწავლო ლაბორატორია არა აქვს საქართველოს, და, ალბათ, მთელი პოსტსაბჭოთა სივრცის არცერთ სხვა უნივერსიტეტს. ლაბორატორიის სასწავლო პროცესში ეფექტური გამოყენება უზრუნველყოფს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლების ხარისხის სათანადოდ მაღალ დონეზე შენარჩუნებას. ლაბორატორიის გამართვა და ლაბორატორული სამუშაოების სასწავლო-მეთოდური მასალების დამუშავება ამჟამადაც მიმდინარეობს. ეს ლაბორატორია იქნება საფუძველი თანამედროვე დონის საუნივერსიტეტო საინჟინრო განათლების მისაღებად და არა მარტო გამოყენებითი ფიზიკის სპეციალობის სტუდენტებისთვის. გარდა ამისა, ეს იქნება საუკეთესო რეკლამა სტუდენტების უნივერსიტეტში მოსაზიდად. ამრიგად, ლაბორატორიის სათანადო დონეზე გამართვა უთუოდ წაადგება უნივერსიტეტის იმიჯს და მას მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების რიგში დააყენებს.

ლაბორატორიულ მოწყობილობებს თან ახლავს სენსორები სხვადასხვა ფიზიკური სიდიდეების გასაზომად. მათი გამოყენება შესაძლებელია არა მარტო სასწავლო მიზნით, არამედ სხვადასხვა სამეცნიერო კვლევების ჩასატარებლადაც. აღნიშნული ლაბორატორიის ბაზაზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესურას შესაძლებლობა გვეძლევა სტუდენტებს სწავლების საწყის ეტაპზევე გამოვუმუშავოთ კვლევითი აზროვნების უნარ-ჩვევები. ლაბორატორიის აღჭურვილობა საშუალებას გვაძლევს ჩავატაროთ დაახლოებით 80 ლაბორატორიული სამუშაო მექანიკის, მოლეკულური ფიზიკის ელექტრობის, ოპტიკისა და ატომური ფიზიკის მიმართულებით.

ბადრი ცხადაძე

სტუ-ს ახალი საგანმანათლებლო გეზის (სტრატეგიის) კვალდაკვალ

მეოცე საუკუნის მიწურულის მსოფლიო, ბოლო ათწლეული და ოცდამეერთე საუკუნის პირველი დეკადა საგანმანათლებლო რეფორმებითაც გამოირჩა – დრომ ახალი რაკურსით განათლებისა და სწავლების ორიენტირთა განსაზღვრა მოითხოვა. ამის დასტურია სტრატეგიული განვითარების ის ძირითადი ორიენტირები, რაც ევროპულმა საგანმანათლებლო სივრცემ და გარემომ მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებს შესთავაზა ბოლონიის (1999 19 ივნისი), ლისაბონის (2000 წლის მარტი), კოპენჰაგენის (2002 წლის ნოემბერი) პროცესებისა და ლისაბონის (რომელშიც საქართველო 1997 წლის 11 აპრილიდან ჩაერთო) კონვენციის სახით.

ამ მხრივ დროის მოთხოვნებს, ვფიქრობთ, არც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ჩამორჩება. მხედველობაში გვაქვს საგანმანათლებლო გეზი – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებანი, რაც ნათლადაა ჩამოყალიბებული სტუ-ს რექტორის არჩილ ფრანგიშვილის 2012-2016 წლის გეგმაში [1].

და მაინც, როგორია ეს ხედვა, რა რეალიებს და უმთავრესი მიზნების განხორციელებას ისახავს?

უპირველეს ყოვლისა, თანამედროვე საგანმანათლებლო ეტაპზე გასათვალიწინებელია სტუ-ს მდიდარი სამეცნიერო-ტექნოლოგიური გამოცდილება და პოტენციალი, ასევე ჩვენი საერთაშორისო კონტაქტები პარტნიორ უნივერსიტეტებთან; სიღრმისეულად ამ სამოქმედო-საგანმანათლებლო გეგმის ძირითადი პოსტულატები, ,,ცოდნის ეკონომიკაზე'' დაფუძნებული, ასეთია:

1. საუნივერსიტეტო სწავლების ახალმა მოდელმა ხელი უნდა შეუწყოს მეცნიერს, პიროვნებას, რათა მან შექმნას ახალი, ღირებული და არ დაკმაყოფილდეს აწ უკვე მიღწეულით. სწავლების ეს ახალი მოდელი, საშუალებას უნდა იძლეოდეს, პიროვნებამ თავად შექმნას საკუთარი ბედი – ნიჭის, გონის, ცნობიერებისა და ხასიათის შესაბამისად;

2. დღევანდელობა საუნივერსიტეტო განათლებისაგან ითხოვს სწავლების ,,ნიჭისა და უნარის მოდელზე" გადასვლას, სადაც მაქსიმალურადაა გათვალიწინებული პიროვნულიდან გამომდინარე ცოდნის ათვისებისა და პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავების წინაპირობები. ეს ახალი მოდელი შექმნილია ადამიანის რეალობის ობი-ექტური აღქმისა და განსაკუთრებული უნარების გამოყენება – განვითარების მიზნით, რის საფუძველზეც ყალიბდება პიროვნებაზე მიზანმიმართული სწავლების სისტემა, რომელიც თავის მხრივ ითვალისწინებს თვითმოტივაციას სწავლების მიმართ; სტუ-ს რექტორს საუნივერსიტეტო სწავლების სისტემაში აუცილებლად მიაჩნია ანდრაგოგიკის – სპეციალური კომპონენტის, შეტანა, სწავლების ყველაზე ეფექტური მეთოდების მოძებნისათვის. მისივე დასკვნით, ამ კუთხით სტუ-ში დიდი ყურადღება უნდა დაეთმოთ კვალიფიკაციის ამაღლების და გადამზადების სასწავლო ცენტრის ფუნქციონირებასა და განვითარებასაც;

3. აუცილებელია ეფექტური მართვის მექანიზმების და შესაბამისი საუნივერსიტეტო მოდელის დამუშავება. ტექნიკურ უნივერსიტეტში ამთავითვე მკაფიო პრიორიტეტად უნდა ჩამოყალიბდეს, სტუ-ში არსებული ყველა სპეციალობისათვის, საინოვაციო საგანმანათლებლო მიმართულება.

საგანმანათლებლო საინოვაციო პროგრამების შედგენისას გასათვალისწინებელია, როგორც სტუ-ს მდიდარი სამეცნიერო-ტექნოლოგიური გამოცდილება და პოტენციალი, ასევე <u>ჩვენი საერთაშორისო კონტაქტები პარტნიორ უნივერსიტეტებთან.</u> გარდა აღნიშნულისა, უმნიშვნელოვანე-სია პრინციპულად ახალი, დისციპლინათშორისი საინოვაციო საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა;

4. სტუ-ში უნდა შეიქმნას ახალი საგანმანათლებლო ფორმები, ე.წ. ,,კორპორაციული უნივერსიტეტები", როგორიცაა:

- მართვისა და ინოვაციების უმაღლესი სკოლა;
- სახელმწიფო ადმინისტრირების უმაღლესი სკოლა;
- ინოვაციური ბიზნესის უმაღლესი სკოლა.

,,კორპორაციული უნივერსიტეტების" სამაგისტრო პროგრამები შეიქმნება ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომელთა მიერ და მკვიდრ საფუძველს შეუქმნის მაღალი კლასის, დარგობრივ მენეჯერთა ჩამოყალიბებას.

5. რექტორის თვალთახედვით, განათლების დონე, ნებისმიერ სახელმწიფოში განაპირობებს ეკონომიკის მდგომარეობას, რის გამოც ოთხკომპონენტიანი ,,ცოდნის ეკონომიკა'' წარმატებულად გამოიყენება თანამედროვე სახელმწიფო მშენებლობაში (,,ცოდნის ეკონომიკის" კომპონენტებია: ა) განათლება ბ) თამაშის წესები ეკონომიკაში; გ) ინფორმაციული ინფრასტრუქტურა (ტელეკომუნიკა-

ციის, მონაცემთა გაცვლის საშუალებანი და ა.შ.); დ) და ყველაზე მნიშვნელოვანი – ,,ინოვაციური სისტემა'' (ლაბორატორიების, სამეცნიერო ცენტრებისა და უნივერსიტეტების განვითარებული ქსელი).

6. მეცნიერული კვლევის კო-მერციალიზაცია, რაც გულისხმობს მეცნიერულ კვლევათა კომერციალიზაციის ორიგინალური კონცეფციის შემუშავებას, ინოვაციური ბიზნესისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევების შესწავლას [1].

7. სტუ-ს განათლების თანამედროვე სისტემა უნდა გამდიდრდეს ახალი ორგანიზაციული სტრუქტურებით: დისტანციური სწავლებით, ვირტუალური კლასებით. უნდა შეიქმნას და დაინერგოს ელექტრონული უნივერსიტეტის ტექნოლოგია, რომელიც იქნება ახალი საფეხური ტრადიციული, დისტანციური და ,,ონ-ლაინ'' სწავლების ფორმების განვითარებისა [1].

8. უნდა გავითავისოთ ე.წ. საკონტრაქტო გარიგება – სახელმწიფო საგანმანათლებლო სისტემების მიერ დადებული ხელშეკრულება, კონტრაქტი, არასახელმწიფო, კერძო ორგანიზაციებთან – იმგვარი საგანმანათლებლო პროდუქტისა და მომსახურების მისაღებად, როგორიც მას სჭირდება.

9. საუნივერსიტეტო-საინოვაციო სტრატეგია გათვლილი უნდა იყოს ინტელექტუალური ელიტის შესაქმნელად.

10. სტუ-ში ახალი ეკონომიკური სტრუქტურირება უნდა ემყარებოდეს: საინოვაციო ცენტრებს, ტექნოლოგიური პარკებს, საინვესტიციო ფონდებს, საცდელ წარმოებებს, საკონსტრუქტორო ბიუროებს და სხვა, რომლებიც განაპირობებენ საბაზრო მექანიზმების ამუშავებას ტექნიკურ უნივერსიტეტში, შექმნიან ახალ სამუშაო ადგილებს მეცნიერებაში, წარმოებასა და სამეცნიერო – ტექნოლოგიური და ტექნიკური მომსახურების სერვისის სფეროში, როგორც პროფესორ-მასწავლებელთათვის და დამხმარე პერსონალისათვის, ასევე სტუდენტებისათვის. საჭიროა სტუ-ს საერთაშორისო კონტაქტების სტიმულირება უცხოურ უნივერსიტეტებთან, რომელთაც უკვე დიდი ხანი აქვთ მსგავსი ეკონომიკური სტრუქტურები.

11. სტუ-ს სამეცნიერო-კვლევითი მოღვაწეობა ინოვაციაზე ორიენტირებულ განათლებას უნდა ემსახურებოდეს, რისთვისაც უნდა განვითარდეს ინოვაციათა სამეცნიერო-საწარმოო-ტექნოლოგიური სტრუქტურების მხარდამჭერი რეჟიმი. ამ მიმართულებით აქტუალურია, უკვე კარგად აპრობირებული სტრუქტურების – ტექნოპარკების, ბიზნეს-ინკუბატორების, საინოვაციო-ტექნოლოგიური ცენტრების შექმნა. საინოვაციო სტრუქტურა უაღრესად ,,დაინტერესებულია'' სამეცნიერო-საწარმოო დანერგვების ზონებით, სადაც სამეცნიერო იდეები და ახალი ტექნიკის საცდელი ნიმუშები დაიყვანებიან საწარმოო ციკლში მომუშავე პროდუქტამდე. ეს კი ერთიათად გაზრდის ამ ჭრილში საუნივერსიტეტო შემოსავლებს.

12. უნდა მოხდეს საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური ინტერესების გაერთიანება, რაც მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როცა განათლება და მეცნიერება ითვალისწინებს ბიზნესის რეალურ პრობლემებს, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ საგანმანათლებლო-სამეცნიერო-საწარმოო კორპორატიული გაერთიანებების ორგანიზებით. ამგვარი გაერთიანებების ძირითადი კომპონენტები იქნება ერთის მხრივ, ინტელექტი, ცოდნა, და მეორეს მხრივ, ბიზნესთან ასოცირებული რამდენიმე სახის ინტელექტუალურ-მატერიალური მსაზღვრელი: მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოო ბაზა, პროექტთა მართვა, ბიზნეს-დაგეგმვა და იდეები, მარკეტინგი და მენეჯმენტი.

13. სტუ-ს სასწავლო სამსახურმა უნდა მოახდინოს საინჟინრო განათლების, მსოფლიოში ,,საუკეთესო გამოცდილების'' (სწავლების მეთოდიკა, სასწავლო დისციპლინათა კომპლექტაცია, პროგრამული უზრუნველყოფა, ტრანსფერი ტექნიკური უნივერსიტეტის საგანმანათლებლო სფეროში) დანერგვა. ამგვარი ნოვაციების რეალიზება დამოკიდებული იქნება საინჟინრო ცოდნის პროგრამის ხარისხის შეფასებაზე, სწავლების პერიოდში შეძენილ კომპეტენციაზე. იმავდროულად უაღრესად მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროგრამათა უნიფიკაცია ძირითად საერთაშორისო საგანმანათლებლო კრიტერიუმებთან, რაც შედეგად მოგვცემს ჩვენივე კურსდამთავრებული სპეციალისტების უფლებრივად გათანაბრებას სხვა ქვეყნების პროფესიონალებთან. პრიორიტეტად უნდა დავსახოთ ის, რომ სტუ-ს განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მდგენელად იქცეს ინსტიტუციური ჰარმონიზაცია საერთაშორისო საინჟინრო ალიანს-თან და იმ მმართველობით სტრატეგიასთან, რაც აღნიშნულია დოკუმენტში: ,,კურსდამთავრებულთა ატრიბუტები და პროფესიული კომპეტენციები''. ეს კი თავის მხრივ დღის წესრიგში აყენებს ვაშინგტონის, სიდნეისა და დუბლინის ხელშეკრულებებთან სტუ-ს მიერთების სტრატეგიულ აუცილებლობას. ყოველივე ეს კი უნდა წარიმართოს სწავლების თანამედროვე თეორიების სრული და სიღრმისეული გათვალისწინებით, რაც გულისხმობს კოგნიტურ ფსიქოლოგიასა და განათლების თეორიისადმი კვლევით მიდგომას.

14. დღეს სტუ-ში დანერგილი და ფუნქციონირებადი ,,სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა'' თავისი დანიშნულებით სტუდენტის ყოველკვირეული შეფასებისა და ინფორმირებულობის უზადო ფორმად უნდა ვაქციოთ. ვფიქრობთ, ,,ელექტრონული უწყისი'' ამ მხრივ გამჭვირვალე სახეა სასწავლო

პროცესისა (რაც გულისხმობს ტრიადას – ,,სტუდენტი – უნივერსიტეტი – პედაგოგი''). მდგრადი განვითარება, ისე როგორც პროექტირების თანამედროვე სისტემები და ციფრული ლაბორატორიები, ჩვენი ღრმა რწმენით, სტუ-ში დიდი სარგებლის მომტანი გახდება.

ის ძირითადი მიმართულებები, როგორიცაა: ა. მეცნიერული კვლევის კომერციალიზაცია, ბ. ტექნიკური უნივერსიტეტის საბაზრიო ურთიერთობებში ინტენსიურად ჩართვა, გ. ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვა და სამეცნიერო-კვლევითი პროექტების წარმატებით განხორციელება საწინდარი იქნება სტუ-ს ხვალინდელი დღისა. სტრუქტურული მოდერნიზება, მართვის ხარისხის სისტემის სასწავლო და სამეცნიერო პროცესში სრულყოფილად დანერგვა საერთო ორგანიზაციული წინსვლის წინაპირობად უნდა აღვიქვათ – სტრუქტურიზებული მართვის სისტემა, დაფუძნებული კომპეტენციაზე, შრომის განაწილებაზე, ურთიერთკონტროლზე, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე, ხარისხზე და ა.შ., რექტორის დასკვნით, შექმნის სტუ-ს ახალ იმიჯს, ახალი იმიჯი კი, საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლისთანავე, გულისხმობს ეკონომიკური უსაფრთხოების კონცეფციის შექმნას – ახალ ურთიერთობებს (სტრატეგიას) საერთაშორისო საინჟინრო ორგანიზაციებთან.

სტუ-ს რექტორის ჩვენ მიერ ჩამონათვალში, რომელშიც გამოკვეთილია სტუ-ს, როგორც სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულების სამომავლო გეზი და ამოცანები, ვფიქრობთ, სტუ-ს არაერთი პროფესორის მეცნიერულ საქმიანობაში განხორციელებულია და ახლაც ხორციელდება. სამინუშოდ გვინდა დავასახელოთ სტუ-ს არქიტექტურისა და ურბანიზაციის ფაკულტეტის სრული პროფესორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, საქვეყნოდ ცნობილი არქიტექტორი ვახტანგ (ჯემალ) დავითაია, რომლის სახელი და ღვაწლი, მეცნიერული და პედაგოგიური შემოქმედება დიდი ხანია გასცდა საქართველოს ფარგლებს – მას იცნობენ ქართველი და რუსი კოლეგები, გერმანული, იტალიური, არგენტინული, ბრაზილიური, ბულგარული, ლატვიური, სლოვაკური, იაპონური, ამერიკული სოლიდური გამოცემები [2, 2].

და აი, როგორც ახლახანს ჩვენთვის ცნობილი გახდა, სტუ-ს პროფესორმა, ვ. დავითაიამ ცნობად მიიღო, რომ ჩეხეთში, მეოცე საუკუნის ბოლოს, პრაღის უმაღლესი ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტის არქიტექტურის ისტორიისა და თეორიის კათედრამ გამოსცა მონოგრაფია – სასწავლო სახელმძღვანელო ,,არქიტექტორები, პროგრამები, რეალიზაცია'' (ჩეხურ ენაზე). ესაა ,,პარალელური ტექსტები არქიტექტურის ისტორიისა და თეორიის შესასწავლად''. პრობლემა განხილულია მსოფლიოს 20 არქიტექტორის მაგალითზე, მოიცავს 1900-2010 წლებს. ჩეხურ ენაზე გამოცემული წიგნის ავტორები არიან: ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი ოლდრიჟიხ შევჩუკი, არქიტექტორები: ონდრჟეი ბენეში, იან დრჟევიკოვსკი და იაროსლავ სლადიჩეკი. ფაქტი უაღრესად საყურადღებოა არა მხოლოდ ქართული არქიტექტურისათვის, არამედ ზოგადად ქართული კულტურისა და მეცნიერებისათვის [3, 93] – ოც მონაწილე არქიტექტორის – მეოცე საუკუნის ,,არქიტექტურის მამების'' (ფრენკ ლოდ რაიტი, ჰენრი ლუის სალივანი, ადოლფ ლოოსი, ბრუნო ტაუტი, ვალტერ გროპიუსი, ,,ბაუჰაუსი'' – ევროპული ,,მოდერნიზმის'' ხელოვნების, დიზაინის და არქიტექტურის ავტორიტეტული სკოლა, ლე კორბუზიე, მის ვან დერ როე ერიხ მენდელსონი, ალდო როსსი, მარიო ბოტტა, ქრისტიან დე პორტზამპარკი...) გვერდით ქართველი მეცნიერის მოხსენიება დიდი პატივი და აღიარებაა.

სწორედ ასეთმა წამყვანმა პროფესორებმა უნდა იკისრონ და თავს იდონ უნივერსიტეტის რექტორის მიერ დასახული საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება და რესურსების ამოქმედება თავთავიანთ სფეროში. ჩვენ ამის უნარი ნამდვილად შეგვწევს. ეჭვი არ გვეპარება, სტუ-ს ახალი საგანმანათლებლო პროგრამა და სტრატეგიული გეგმა ხორცს შეისხამს – საქართველოში, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთაც, სტუ-ს შესანიშნავი კოლექტივი თავისი სამეცნიერო პოტენციალით თავის სიტყვას იტყვის.

BADRI TSKHADADZE

IN THE FOOTSTEPS OF THE NEW EDUCATIONAL PATH (STRATEGY) OF THE GTU

Summary

The priorities of the "Strategic plan for the development of Georgian Technical University (2009-2013 years)" offered by the rector of GTU, professor Archil Prangishvili, are demonstrated in the article. Possibilities of implementation of this plan-strategy are shown. As an example is given the architectural

activity of the full professor of GTU, winner (laureate) of the Shota Rustaveli prize, Vakhtang Davitaia, acknowledgment of its merit (works, architectural designs) in the foreign countries (namely, Czech Republic), alongside with world-known architects, such as "Fathers of the Architecture" of the 20th century Franc Lloyd Wright, Henry Louis Sullivan, Adolf Loos, Bruno Taut, Walter Gropius, "Bauhaus" – authoritative school of European "modernism" art, design and architecture, Le Corbusier, Mies van der Rohe, Erich Mendelsohn, Aldo Rossi, Mario Botta, Christian de Portzamparc…

According to the author's conclusion, the new educational program and plan of the Georgian Technical University will take shape in Georgia, as well as outside of our country, and excellent collective of the GTU will have its say, thanks to its scientific potential.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არჩილ ფრანგიშვილი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა 2012-2016 წლისათვის. FRANGISHVILI PROGRAMA PDF Adobe Reader.
2. მაია დავითაია, ბრწყინვალე ბუნება, ბრწყინვალე ხალხი, ბრწყინვალე არქიტექტურა, თბ., 2011
3. ბადრი ცხადაძე, მნიშვნელოვანი აღიარება (ინტერვიუ ვახტანგ დავითაიასთან). ,,პარალელი'' (სა-ლიტერატურო-სამეცნიერო ჟურნალი), 2012, №3.

ალექსანდრე ედიბერიძე
მიხეილ ქანთარია

ხელმძღვანელისთვის ობიექტის ან მოდელის სამართავად საჭირო შეფასებები

დღესდღეობით მართვის სფეროში გვხდება ისეთი სიტუაცია, როდესაც ერთ ხელმძღვანელს თუ დაევალება მასშტაბური და რთული პროექტის ორგანიზება, ის მას წარმატებით ართმევს თავს, ხოლო მეორე ხელმძღვანელს კი თუნდაც მცირე და მარტივი პროექტის შესრულებაც უჭირს და მის ხელში ეს პროექტი კვდება. ისმის ლოგიკური შეკითხვები: რატომ ხდება ეს სიტუაცია? რაზეა დამოკიდებული ამა თუ იმ ხელმძღვანელის წარმატება? რა თქმა უნდა, შეიძლება ყველაფერი დავაბრალოთ ხელმძღვანელის გამოცდილების ქონა არ ქონას, ან განსაკუთრებულ ცოდნა-არ-ცოდნას. თუმცა, საკმაოდ ხშირად არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც გამოცდილი და მცოდნე ხელმძღვანელიც ღუპავს პროექტს.

ამ შემთხვევაში კი აქტუალურია შეკითხვა: როგორ გავზომოთ (მივუდგეთ) მიმდინარე მართვის პროცესის შეფასებას? ასეთ ზომად შეიძლება წარმოვაჩინოდ **„მართვის სრული ფუნქცია (მსფ)“**. მართვის სრული ფუნქცია ხელმძღვანელს რაიმე პროცესის მართვისას ნებით თუ უნებლიედ აიძულებს გარკვეული შეფასებების შესრულებას, რა თქმა უნდა, თუ ხელმძღვანელი ცდილობს წარმატებით მართოს ესა თუ ის პროცესი.

განვიხილოთ ზემოთქმული თეზისები პრაქტიკულ მაგალითზე. დავუშვათ, პიროვნება გეგმავს მანქანით გაემგზავროს ბაზრობაზე A პუნქტიდან B პუნქტში. იმისათვის, რომ ეს ამოცანა პიროვნებამ (ხელმძღვანელმა) წარმატებით გადაჭრას მან უნდა გააკეთოს შემდეგი შეფასებები:

1. უნდა მოხდეს მართვის ობიექტის მდგომარეობის შეფასება (ამ შემთხვევაში ავტომობილის). ყველაზე მარტივი სახით მიმდინარეობს გონებაში მსჯელობა: „მანქანის ძრავა გამართულად მუშაობს/არ მუშაობს, სათადარიგო საბურავი არის/არ არის და ა.შ.“. თუ მგზავრობა ამ კონკრეტულ შემთხვევაში სავარაუდოდ რთული იქნება პიროვნება აუცილებლად გააკეთებს მანქანის (მართვის ობიექტის) შემოწმებას. თუ ის ამას არ განახორციელებს, არის დიდი ალბათობა იმისა, რომ უბრალოდ ვერ მიაღწიოს დანიშნულების პუნქტამდე. ყოველივე ზემოთ ჩამოყალიბებულ მოქმედებებს მეცნიერულად შეიძლება ეწოდოს: **მართვის ობიექტის შეფასება**.

2. პიროვნებამ გამგზავრების წინ უნდა მოახდინოს საკუთარი მდგომარეობის შეფასება. მაგ.: თუ ის მთვრალია, ცხადია, რომ გამგზავრება პუნქტ B-ში უნდა გადაიდოს საბოლოო გამოფხიზლებამდე, ან თუ მას აწუხებს გული და გრძნობს გულის შეტევის მოახლოებას, ამ დროსაც სჯობს გადაიდოს გამგზავრება და ა.შ. ცხადია, თუ მოხდება იგნორირება ზემოთქმული პუნქტების ასევე დიდი ალბათობაა იმისა, რომ დანიშნულების პუნქტამდე პიროვნებამ ვერ მიაღწიოს. შეფასების ამ ეტაპს კი ეწოდება: **მართვის სუბიექტის შეფასება**.

3. ასევე პიროვნებამ უნდა შეაფასოს მაგალითად, ამინდის (გარემოს) მდგომარეობა. ცხადია, თუ გზა მოყინულია ან არის ზვავსაშიშროება, გამგზავრება უნდა გადაიდოს და პირიქით თუ ამინდი ამ კონკრეტულ შემთხვევაში არის კარგი, მაშინ გზა ხსნილია. ამ ეტაპს კი **გარემოს მდგომარეობის შეფასება** ჰქვია.

4. გარდა ამისა პიროვნება უნდა დაფიქრდეს ეყოფა თუ არა მას ამ მგზავრობისთვის საწვავი, რომელ ბენზოგასამართ სადგურზე მოახდინოს მართვის ობიექტის ავზის შევსება. მგზავრობის დროს პიროვნება მუდამ აფასებს მეზობელი ობიექტების (მანქანების) ქცევას, რომლებიც გვერდით ან საპირისპირო მხარეს მოძრაობენ. ანუ ამ ეტაპზე ხდება იმ მომსახურე სისტემების (ბენზოგასამართი სადგური, ავტოსამრეცხაო და სხვ.) შეფასება, რომლებიც მონაწილეობენ თქვენი მართვის ობიექტის და მეზობელი ობიექტების მომსახურებაში. თუ მართვისას ამ ფაქტორის უგულვებელყოფა მოხდება, მაშინ ასევე არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ პიროვნებამ ვერ მიაღწიოს დანიშნულების წერტილს. ამ ეტაპს ჰქვია: **მეზობელი და ურთიერთქმედი ობიექტების შეფასება**.

5. მგზავრობისას ასევე საჭიროა პიროვნებამ მუდამ იხელმძღვანელოს მგზავრობის წესებით: ნიშნებით, შუქნიშნებით, სამართალდამცავი ორგანოების მითითებებით და სხვ. აქაც თუ რაიმეს გათვალისწინება არ მოხდა, სავსებით სავარაუდოა, რომ მგზავრობა ცუდად დამთავრდეს. ზემოთქ-

მული ასახავს **მმართველი სტრუქტურის მდგომარეობის შეფასებას**.

6. შესაძლებელია ისეც მოხდეს რომ, რაიმე მიზეზით (მაგ.: დღესასწაული, სტიქიური უბედურება) რეგიონის მთავრობამ აკრძალოს პუნქტ B მიმართულებით ყველანაირი მგზავრობა ან ალტერნატიული მარშუტით სარგებლობა შემოიღოს. აქაც თუ პიროვნება ამას არ მიაქცევს ყურადღებას ის ვერ მოხდება დანიშნულების ადგილას. აქვე შეიძლება კიდევ ერთი მაგალითის მოყვანა – თუ ექიმმა პიროვნებას ურჩია სათვალეების გამოყენება ობიექტის მართვისას და მან ეს უგულებელყო, მაშინ აქაც დიდი ალბათობით შესაძლე-ბელია მოხდეს უბედურება. ზემოთ ჩამოყალიბებულ პუნქტს კი ეწოდება: **მართვის უფრო მაღალ დონეზე არსებული სტრუქტურების მითითებები ან შეზღუდვები**.

7. და ბოლო პუნქტი, მაგრამ ყველაზე მთავარი. ერთი პიროვნება (ამ კონკრეტულ შემთხვევაში მძღოლი) გზაზე დაინახავს დაბნეულ ლეკვს, გააჩერებს და აცლის მას, რომ გაეცალოს ის გზას, ხოლო მეორე პიროვნება არც კი იფიქრებს გაჩერებას და გადაუვლის ნებისმიერ არსებას. ერთი პიროვნება ავტოსადგომზე ისე გააჩერებს მანქანას, რომ სხვებსაც მოხერხებულად შეეძლოთ მანქანის გაჩერება, ხოლო მეორე ისე, რომ სხვის მანქანის გაჩერებაზე ირგვლივ საერთოდ ზედმეტი იქნება საუბარი. ერთი მძღოლი გზაჯვარედინზე ძალზედ ყურადღებით ადევნებს ირგვლივ სიტუაციას, აფასებს სხვადასხვა საშიში ვარიანტების ალბათობას და მოქმედებს შესაბამისად, ხოლო მეორე აბსოლუტურად იგნორირებას ახდენს გარშემო შექმნილი სიტუაციის და პირდაპირ შეუჩერებლივ მოძრაობს. ამ ვარიანტების შედეგები უპირატესად ცხადია.

ყველაფერი ზემოთ აღწერილი კი არის „**განსხვავების უნარი**“ (ანუ განს-ხვავება კარგსა და ცუდ შორის, სიმართლესა და სიცრუეს შორის, საფრთხე უსაფრთხოებას შორის). ასეთ განსხვავების უნარს მეცნიერულად უწოდებენ კიდევ **„მეთოდოლოგიის ფლობას**“. აქედან კი გამომდინარეობს, რომ ყველა ადამიანი მათ შორის მძღოლი (ხელმძღვანელი, მენეჯერი, პრეზიდენტი თუნდაც): ან ფლობს განსხვავების უნარს, ან არ ფლობს ამ უნარს.

მაშასადამე, იმისათვის, რომ მოხდეს ობიექტის მართვა საჭიროა შემდეგი შეფასებების წარმოება:

1. **მართვის ობიექტის მდგომარეობა;**
2. **მართვის სუბიექტის მდგომარეობა;**
3. **გარემოს მდგომარეობა;**
4. **მეზობელი ურთიერთმქმედი ობიექტების მდგომარეობა;**
5. **მმართველი სტრუქტურის მდგომარეობა;**
6. **უფრო მაღალ დონეზე მდგარი მმართველი სტრუქტურების მითითებები და შეზღუდვების გათვალისწინება;**
7. **განსხვავების უნარის მეთოდოლოგიის ფლობა.**

ზემოთ ჩამოყალიბებული 7 პუნქტი არის მართვის სრული ფუნქციის შემადგენელი ნაწილი. თუ ამ პუნქტებიდან თუნდაც 1 პუნქტის იგნორირება ხდება, მაშინ ასეთი მართვა ადრე თუ გვიან განწირულია კრახზე.



ნახ.13 მართვისთვის საჭირო 7 შეფასება

მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ ადამიანს შესწევს უნარი ერთდროულად 7-9 ობიექტის ოპერირება მოახდინოს, უხეშად რომ ვთქვათ, თავში ჰქონდეს ამდენი ცნება. ასევე მეცნიერულად

დადასტურებულია, რომ ნებისმიერ ამოცანაში 9 კატეგორიაზე მეტი არ არსებობს (პრობლემები, ამოცანები, პროცესები). ეს კი ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერი ინფორმაცია ნებისმიერი ობიექტის ან პროცესის მართვის ამოცანის გადასაჭრელად ადამიანისთვის ხელმისაწვდომია: სრულად, ერთდროულად, თანმიმდევრულად. ამიტომაც, თუ ადამიანს ზემოთ ჩამოყალიბებული 7 პუნქტიდან, რომელიმე პუნქტი აკლია, მაშინ ასეთი პიროვნება **<u>არ არის</u>** მზად იყოს ნებისმიერი რანგის ხელმძღვანელი. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ, თუ ხელმძღვანელი უგულებელყოფს ერთ პუნქტს მაინც, ზემოხსენებული პუნქტებიდან, მაშინ ის პროცესს ვერ მართავს მართვის სრული ფუნქციით და შესაბამისად მისი საქმე არის განწირული მარცხზე.

ამ ინფორმაციის გააზრების შემდეგ შესაძლებელი ხდება სულ სხვა თვალით შევხედოთ ირგვლივ მიმდინარე პროცესებს: საკუთარ ოჯახში, კომპანიაში, ქარხანაში, სკოლაში, უმაღლეს სასწავლებელში, სოფელში, ქალაქში, ქვეყანაში და ა.შ. აქვე უნდა დაისვას შეკითხვა: **სრულდება თუ არა ჩამოთვლილ სფეროებში 7-ვე პუნქტი?!**

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ,,Тайны управления человечеством'' – სამეცნიერო-პოპულარული წიგნი, I-II ტომი, ქ.მოსკოვი, 2008 წ., ავტორი: კ.პეტროვი;
2. ,,Мертвая вода'' – ისტორიულ-ფსიქოლოგიური ნარკვევი, I-II ტომი, ქ. კიტეჟი, 2004, ავტორები: ავტორთა ჯგუფი "ВП СССР";
3. ,,Концепция общественной безопасности.Краткий курс...'' – ქ. სანქტ-პეტერბურგი, 2004, ავტორები: ავტორთა ჯგუფი ,,ВП СССР'';

Aleksi Burduladze
Manuchar Shishinashvili
Petre Nadirashvili

Optimization of Asphalt-concrete Pavement in the Conditions Mountainous Relief

Introduction

Considering everyday heavy traffic and increased caring capacity of vehicles there is a need of construction of stiff and costly asphalt-concrete pavement.

High professional level scientific works and methods of calculation for the optimization of transport capacity of asphalt-concrete pavement are available but there are some important factors having significant impact on pavement that are not considered in the papers.

Particularly, there are factors typical for a hot climate and mountainous relief characteristic for large part of Georgian territory that cause deformation of surface of asphalt-concrete pavement. Namely straight line of pavement is distracted under the influence of propelling and breaking forces transferred from wheels and bent lines of the roadway are affected by the centrifugal force. Existing calculation schemes do not take into account deformations caused by these forces that generate waves and ruts on pavement. The basic effect of these factors is destruction of surface plainness and deterioration of traffic conditions.

With an aim to resolve the issue of optimization of transport capacity of asphalt-concrete pavement considering it's strained and deformed state due to real effect of motor transport calculation schemes should consider strong influence of horizontal pressure of transport and deformations caused by it.

The Body Of The Article

Plainness of pavement surface created applying to organic matrix are destructed after certain period of time due to plastic and shear deformation revealed through waves and ruts. As a rule waves on pavement do not turn up all of a sudden but appear after 2-3 years after its construction. That is why composition of cement concrete should be selected the way that waves do not appear during pavement service life.

Horizontal component of transport pressure between wheels and pavement surface is generated by propelling and breaking forces on straight line of pavement while its bent lines are affected by centrifugal force.

Tangent force generating horizontal component of transport pressure is highest at the top lift of pavement and is damped at the bottom of asphalt road (Drawing № 1). Thus they should be considered only while working out measures to guarantee skid resistance of pavement with materials based on organic matrix.

According to existing methods of pavement calculation, during selection of asphalt-concrete the main attention is paid to stiffness indicators, while there are not considered factors characteristic of a hot climate and intensive pressure of horizontal forces transferred from motor transport. The influence of these factors is the most intensive in the areas with high grade slopes, curve roads, close to cross-roads and stops of transport facilities with high axial load and etcetera. Plastic and shear deformation are the main reasons of appearance of waves on pavement.



Drawing №1: Distribution of normal (σ) and tangent (τ) pressure on pavement under the influence of vertical (P) and horizontal (T) forces

In the conditions of hot and humid climate, especially in mountainnous relief, shear deformation should be considered as the main criteria for stiffness of pavement. Thus for selecting pavement stiffness criteria working conditions like influence mode of vertical and horizontal forces, climatic and hydro geological factors should be taken into account. In the conditions of contemporary traffic rebound deflection as well as shear deformation of asphalt concrete pavement should be considered as stiffness criteria but modern normative-technical literature does not properly reflect it.

Georgian territory is mountainous that is why influence of horizontal, tangent forces transferred on pavement from the movement of vehicle wheels at the areas with high grade slopes and curves, is intensive enough. It is especially dangerous at slopes under solar radiation while calculated temperature for slopes in different regions vary in between 50-60°C. In this conditions asphalt concrete pavement turns soft, plastic, easy to deform. That is why expurgations, waves and other kind of destructions generated from shear deformations appear on pavement.

Limit state of asphalt concrete pavement primarily should be defined taking into account pressure of dynamic influence of rolling stock.

The limit state is formed at certain areas of roads. This is the case when part of pavement is subject to plastic deformations, namely plastic layer is formed that after certain period of time in the form of cylindrical surface creates interior skid contact area (Drawing №2).

Skid surface separates part of the pavement AOBC from the other body. In the limit state at ACB surface emerges reactive normal pressure of RA and RB intensity and reactive limited tangent pressure $\tau tech=\tau xy$.

These reactive forces balance affect of motor transport pressure. While defining limit state of pavement having single width generated reactive σz transverse normal pressure, perpendicular planes ABC (in the direction of Z wasp) and τboc tangent pressure of parallel planes ACB should be taken into account.

Schemes of force and pressure distribution (Drawing 2) are confirmed by laboratory experiments and measured in real working conditions of pavement.

This kind of calculation scheme of pavement can be considered as the plane problem in the theory of elasticity and plasticity. Particularly during plane deformation that in general is different from common strained state of plane problem so that none of the three normal pressures σx, σy, σz is equal to nil (in the other case σz =0.)

Equation of shear surface is applied according the limiting state of the theory of elasticity (by Ilyushin) together with theoretical and experimental results. This equation is suitable for limit state: y=ax3-bx4.



Drawing №2: Interior skid contact surface: P - vertical pressure; T – horizontal pressure; σz – normal pressure; τ– tangent pressure; RA and RB normal reactive pressure; τtech – reactive limited tangent pressure spots of generated curve.

Considering plasticity criteria calculating σx, σy, σz pressure components for the generated curve areas gives opportunity to identify final value of P and T forces.

Pressure components are identified applying to the following formulas:

1. when σ0 =const and σ0 - vertical pressure is normal strain

$$\sigma_X = -\frac{\sigma_0}{\pi}\left(\vartheta_2 - \vartheta_1 - \frac{1}{2}Sin2\vartheta_2 + \frac{1}{2}Sin2\vartheta_1\right);$$

$$\sigma_Y = -\frac{\sigma_0}{\pi}\left(\vartheta_2 - \vartheta_1 + \frac{1}{2}Sin2\vartheta_2 - \frac{1}{2}Sin2\vartheta_1\right);$$

Tangent pressure $$\tau_{XY} = -\frac{\sigma_0}{\pi}\left(Sin^2\vartheta_2 - Sin^2\vartheta_1\right).$$

2. when τ0=cons and τ0 - horizontal pressure is normal strain

$$\sigma_X = -\frac{2\tau_0}{\pi}\left(\ln\frac{Cos\vartheta_2}{Cos\vartheta_1} + \frac{Sin^2\vartheta_2 - Sin^2\vartheta_1}{2}\right);$$

$$\sigma_Y = -\frac{\tau_0}{\pi}\left(Sin^2\vartheta_2 - Sin^2\vartheta_1\right);$$

Tangent pressure $$\tau_{XY} = -\frac{\tau_0}{\pi}\left(\vartheta_2 - \vartheta_1 - \frac{1}{2}Sin2\vartheta_2 + \frac{1}{2}Sin2\vartheta_1\right).$$

Our case when both kind of pressures affect the pavement gives opportunity to apply to superposition principle.

.

$$\sigma_X = \sigma_X(\sigma_0) + \sigma_X(\tau_0);$$
$$\sigma_Y = \sigma_Y(\sigma_0) + \sigma_Y(\tau_0);$$
$$\tau_{XY} = \tau_{XY}(\sigma_0) + \tau_{XY}(\tau_0).$$

Shear lines due to main (σ1,σ2) pressure creates angles that in our case equals to π/4 radian.

Thus shear lines are characteristic. With equation of characteristics, change of sum (σx+σy) as well as sum (σ1+ σ2) in the line is proportional to spin of curve slide. Besides, proportional coefficient is equal to 4K.

This is how effect of main pressure and angle of its decline is identified at the slide line φ to axis X. Angle (φ+π/4) at one point gives tangent direction to curve slide. Maximum tangent pressure influence at this way.

:

Here K=0.5(σ1-σ2).

K represents intensive tangent pressure as well; it can be defined from the formula $K = \frac{\sigma_i}{\sqrt{3}}$ where σ1 represents intensity of main pressure.

Aside curve slide at specific areas we identify effect of main pressure and angle of its decline at axis X:

$$\sigma_1 = \frac{\sigma_X + \sigma_Y}{2} + \sqrt{\left(\frac{\sigma_X - \sigma_Y}{2}\right)^2 + \tau_{XY}^2};$$

$$\sigma_2 = \frac{\sigma_X + \sigma_Y}{2} - \sqrt{\left(\frac{\sigma_X - \sigma_Y}{2}\right)^2 + \tau_{XY}^2};$$

$$tg\,2\varphi = \frac{2\tau_{XY}}{\sigma_X - \sigma_Y}.$$

For the main pressure components identified through these formulas there is a fixed schedule where angle of main pressure decline is considered.

Maximum effect of tangent pressure at curve slide is identified through the following

$$\tau_{MAX} = \left(\frac{\sigma_1 + \sigma_2}{2}\right) \cdot tg\varphi + C$$

and it is concluded that they reach C point at sky line.

Let us discuss the same task when slide surface of asphalt concrete pavement generated from critical pressure represents curvilinear cylinder (Drawing №3), in addition adjacent strata disposed on parallel planes XOY opposes to the transfer of limit state of this element. In this case task belongs to a plain problem of the theory of elasticity and plasticity – plastic deformation.

At the slide surface of cylinder limit state act s as a shift from elasticity to plasticity (Drawing #3).

Relative line of plane transverse deformation in the line of axis Z equals to nil.

$$\sum \varepsilon_Z = 0; \quad \varepsilon_Z = 0 = \frac{1}{E}\left(\sigma_Z - \mu(\sigma_X + \sigma_Y)\right)$$

Concluding that σz=μ(σx+σy).

Reaching limit state in the moment of slide cylindrical element should prevail over not only limited tangent pressure resistance and forces of inner bond but reactive anti-slide forces, generated into elasticity XOY of strained element and parallel strata.



Drawing №3: Limited state of slide surface of cylinder.

Resultant side pressure equals to additional $2\mu\left(\frac{\sigma_1 + \sigma_2}{2}\right) \cdot \mathrm{tg}\varphi + \mathrm{C}$ pressure.

Conclusion

Therefore maximum horizontal pressure for general thickness elements is calculated with a help of this formula:

$$\tau_{MAX} = \left[\left(\frac{\sigma_1 + \sigma_2}{2}\right) \cdot tg\varphi + C\right] + \left[2\mu\left(\frac{\sigma_1 + \sigma_2}{2}\right) \cdot tg\varphi + C\right] = (1 + 2\mu) \cdot \left[\left(\frac{\sigma_1 + \sigma_2}{2}\right) \cdot tg\varphi + C\right].$$

Calculation scheme of maximum tangent pressure mentioned above depicts actual working conditions of pavement and using it in a commuter program for optimization we will get construction of pavement where intensive influence of horizontal forces will be well considered that eventually gives opportunity to avoid skid deformations of Asphalt concrete pavement.

Experiments revealed the method of calculation of maximum tangent pressure where strong influence of horizontal and vertical pressure depicts actual working conditions of pavement.

The method of calculation of the structure of pavement, taking into consideration other important exploitation requirements as well, gives an opportunity to foresee skid resistance of roadway to avoid destruction of surface plainness.

ალექსი ბურდულაძე
მანუჩარ შიშინაშვილი
პეტრე ნადირაშვილი

ასფალტობეტონის საფარის ოპტიმიზაცია სამთო რელიეფის პირობებში

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია დრეკადობისა და პლასტიურობის თეორიის ბრტყელი ამოცანა, ასფალტბეტონის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის გათვალისწინებით, ავტომობილის მიერ გადაცემული დატვირთვებისგან.

სტატია დაფუძნებულია ზღვრულ მდგომარეობის თეორისაა და სუპერპოზიციის პრინციპებზე, თეორიული და ექსპერიმენტალური კვლევის შედეგების გათვალისწინებით.

დამუშავდა მაქსიმალური მხები დატვირთვის გაანგარიშების მეთოდი, რომელიც საშუალებას გვაძლევს აღვწეროთ საგზაო საფარის მუშაობის პირობები, მოვახდინოთ გასრიალების წინააღმდეგობის პროგნოზირება და თავიდან ავიცილოთ ასფალტბეტონის ზედაპირის დაშლა.

Reference:

1. Goglidze V. – Motor Road Construction – GTU, Tbilisi, 1989
2. Goglidze V., Burduladze A., Dundua M. – Motor Road Exploitation – GTU, Tbilisi, 1997
3. Ilyushin A. A., Plasticity, 1998, Moscow
4. Instructions the Construction of Flexible Concretes Pavement (BCH 46-83), Transport, Moscow, 1985, 12-25
5. Ivanov N. N. – Construction and Calculation of Flexible Concrete Pavement – Transport, Moscow, 1973.

მანანა თავხელიძე
თემური თათარიშვილი

მედიანის მეთოდების გამოყენება საინვესტიციო ქალაქთმშენებლობის პროექტების ანალიზისა და ექსპერტიზისას

მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში, იქნება ეს პოლიტიკა, საწარმოს მართვა, საუკეთესო საინვესტიციო პროექტის არჩევა ქალაქთმშენებლობაში [1, 4] თუ სხვა მრავალ შემთხვევაში, ადამიანებს უწევთ გადაწყვეტილებების მიღება. ზოგადად გადაწყვეტილების მიღება ეს არის ის შემთხვევა, რომელიც ეფუძნება გარკვეული ვარიანტების სიმრავლიდან კონკრეტული ვარიანტის არჩევას. პროექტების ექსპერტისზისას წარმოიშვება ისეთი სიტუაციები, როდესაც ასარჩევია არა მხოლოდ ერთი, არამედ რამდენიმე საუკეთესო ვარიანტი. აღნიშნულს, ძალზედ დიდი როლი ენიჭება ქალაქთმშენებლობაში საინვესტიციო პროექტებიდან საუკეთესო პროექტის შერჩევისას. რადგან წარმოდგენილი პროექტებიდან საუკეთესო პროექტის შერჩევა საკმაოდ რთული და ძვირდღირებული სამუშაოა და უფრო დარწმუნებული რომ ვიყოთ სწორი გადაწყვეტილების მიღებაში, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ერთდროულად რამდენიმე მეთოდის გამოყენება და მათი შედეგების საფუძველზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება. საინვესტიციო პროექტების საექსპერტო შეფასებებისათვის განვიხილოთ *მედიანის* და *ჯ. კემენის მედიანის* მეთოდები [2,3], სადაც გამოიყენება საკმაოდ მარტივი მათემატიკური აპარატი და ადვილია ამოცანების ფართო ჯგუფისათვის მათი პრაქტიკული გამოყენება.

მედიანის მეთოდის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ექსპერტების მიერ განსახილველად შემოსული პროექტების სიმრავლიდან შეფასებებისას უნდა დადგინდეს მათი ,,საშუალო'' შეფასება ანუ გამოვლინდეს ის პროექტი, რომელიც მიღებული შეფასებების შედეგად ყველაზე ,,ახლო'' იქნება კოლექტიურ გადაწყვეტილებასთან. მედიანის მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია, როდესაც ექსპერტთა შეფასების მნიშვნელობები რიგობითი სკალითაა მოცემული. ეს ნიშნავს, რომ ექსპერტების წინასწარი შეფასებების საფუძველზე წარმოებს პროექტების რანჟირება. ზოგადად რანჟირება ეს არის სიმრავლის დალაგება, სიმრავლის დაყოფა ელემენტებათდ და მათ შორის გარკვეული რიგითობის შემოღება, ჩვენს შემთხვევაში მოხდება შეფასებების მნიშვნელობების დალაგება ,,უკეთესი-უარესი'' რიგის მიხედვით. ანუ პროექტებს უნდა მიენიჭოს შესაბამისი რანგი, რის საფუძველზეც წარმოდგენილი პროექტები უნდა დალაგდნენ რიგითობის მიხედვით – უპირატესობიდან უარესობისაკენ პრიორიტეტების გათვალისწინებით, ხოლო რაც შეეხება პროექტის უპირატესობას ის გამოვლინდება მისი ჯამური შეფასების საფუძველზე წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების გამოყენებით.

P წარმოდგენილი პროექტების რანგის განსაზღვრის მიზნით ექსპერტების მიერ პროექტების შეფასებების მნიშვნელობები უნდა წარმოდგენილი იყოს ცხრილის სახით (იხ. ცხრილი 1)

შეფასებების მატრიცა **ცხრილი 1**

პროექტი / ექსპერტი	P_1	P_2	. . .	P_n
E_1	Q_{11}	Q_{12}	. . .	Q_{1n}
E_2	Q_{21}	Q_{22}	. . .	Q_{21}
. .	. .	. .		. .
E_m	Q_{m1}	Q_{m1}	. . .	Q_{mn}

სადაც $E_1 \dots E_m$ – ექსპერტებია, m – ექსპერტთა რაოდენობა, $P_1 \dots P_n$ – შესაფასებელი პროექტები, n – პროექტების რაოდენობა, Q_{ij} – *i* ექსპერტის მიერ *j* პროექტის ჯამური შეფასებაა წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით და გამოითვლება ფორმულით:

$$Q_{ij} = \sum_{1}^{L} C_k \qquad (1)$$

აქ i = 1...m და j= 1...n, k = 1...L, სადაც L – კრიტერიუმების რაოდენობაა, C_k – პროექტის 10-ბალიანი სისტემით შეფასების მნიშვნელობაა k კრიტერიუმის მიხედვით;

წარმოდგენილი მეთოდის მიხედვით პროექტის უმაღლესი რანგი – I ენიჭება ყველაზე საუკეთესო (ყველაზე ხარისხიან) პროექტს, ხოლო რანგი – II მიენიჭება მომდევნო პროექტს მისი ხარისხის თვალსაზრისით და ა.შ.

მედიანის მეთოდის გამოყენების შესაძლებლობების გამოვლენის მიზნით განვიხილოთ კონკრეტული მაგალითი. დაუშვათ, რომ შვიდმა ექსპერტმა ($E_1 \dots E_7$) ექსპერტიზისას სამი ძირითადი კრიტერიუმის მიხედვით უნდა შეაფასოს ხუთი წარმოდგენილი პროექტი ($P_1, P_2, \dots, P_5$) ცალ-ცალკე. შევთანხმდეთ, რომ პროექტის კრიტერიუმის უმაღლეს შეფასებას შეესაბამება ათი ქულა, ხოლო ყველაზე დაბალს ერთი ქულა. დაუშვათ, რომ პროექტების შეფასებისას პირველმა (E_1) ექსპერტმა პირველი პროექტი (P_1) წინასწარ შემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით შეაფასა შემდეგნაირად – პირველი კრიტერიუმის მიხედვით პროექტი შეაფასა – 9 ქულით, 2-ე კრიტერიუმით – 7 ქულით, 3-ე კრიტერიუმით – 10 ქულით, რაც (1) ფორმულით შეესაბამება პირველი პროექტის (P_1) საერთო შეფასებას Q_{11}= 26 ქულას. შემდეგ, დაუშვათ რომ იგივე (E_1) ექსპერტმა მეორე პროექტი (P_2) შეაფასა Q_{12}=11 ქულით. თითოეული ექსპერტის ხუთივე პროექტის ჯამური შეფასებები წინასწარ მოცემული კრიტერიუმების მიხედვით ნაჩვენებია ცხრილში 2.

შეფასებების მატრიცა **ცხრილი 2**

ექსპერტი	პროექტი				
	P_1	P_2	P_3	P_4	P_5
E_1	26	11	18	9	15
E_2	28	10	19	12	22
E_3	19	7	21	5	17
E_4	25	16	18	8	20
E_5	18	15	20	11	21
E_6	23	18	17	12	15
E_7	16	20	19	14	9

ექსპერტების შეფასებებიდან (ცხრილი 2) გამომდინარე პროექტები რანგების მიხედვით დალაგდება შემდეგნაირად (ცხრილი 3). აქ, რანგი 1 – ენიჭება ყველაზე საუკეთესოს, რანგი 2 – მომდევნოს უკეთესობის თვალსაზრისით და ა.შ. მაგალითად, პირველმა ექსპერტმა (E_1) მოახდინა პროექტების შემდეგნაირი რანჟირება: რანგი 1 – P_1, რანგი 2 – P_3, 3 – P_5, 4 – P_2, 5 – P_4.

ცხრილი 3

ექსპერტი	პროექტი				
	P_1	P_2	P_3	P_4	P_5
E_1	1	4	2	5	3
E_2	1	5	3	4	2
E_3	2	4	1	5	3
E_4	1	4	3	5	2
E_5	3	4	2	5	1
E_6	1	2	3	5	4

E_7	3	1	2	4	5
რანგების მედიანა	1	4	2	5	3
საბოლოო რანგი მედიანით	1	4	2	5	3

ამის მერე უნდა ავიღოთ ექსპერტთა შეფასებები თითოეული პროექტისათვის და დავალაგოთ ისინი არაკლებადობით, ანუ შევადგინოთ მათგან ვარიაციული მწკრივი. მაგალითად, ამოვწეროთ 3 ცხრილიდან პირველი პროექტის რანგობრივი შეფასებებია – 1, 1, 2, 1, 3, 1, 3, ხოლო მისი ვარიაციულ მწკრივი იქნება – 1, 1, 1, 1, 2, 3, 3. აქ შუა წევრია 1. მაშასადამე, P_1 პროექტის რანგების მედიანაა 1. მეორე პროექტისათვის გვაქვს რანგობრივი შეფასებები – 4, 5, 4, 4, 4, 2, 1, რომლის ვარიაციულ მწკრივი იქნება – 1, 2, 4, 4, 4, 4, 5. შესაბამისად P_2 პროექტის მედიანაა 4.

ანალოგიურად ვიპოვოთ დანარჩენი რანგები, რის შეადეგადაც შევადგინოთ რანგების მედიანის სტრიქონი, რომელიც მოცემულია 3 ცხრილში. რანგების მედიანას გააჩნია შემდეგი სახე – 1, 4, 2, 5, 3. ამ სტრიქონის საფუძველზე დავადგენთ საბოლოო რანგს მედიანით (საბოლოო რანგი მედიანების მიხედვით) და ჩავწერთ 3 ცხრილის ბოლო სტრიქონში (ამ შემთხვევაში ბოლოსწინა და ბოლო სტრიქონები დაემთხვა ერთმნათს). მაშასადამე გვექნება პროექტების შემდეგი რანჟირება:

$$P_1 < P_3 < P_5 < P_2 < P_4 \qquad (2)$$

აქედან გამომდინარე, გვექნება, რომ უპირატესობის თვალსაზრისით საუკეთესო პროექტია P_1, რომლის შემდგომს წარმოადგენს P_3 და ა.შ.

განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი (ცხრილი 4) და დავამუშაოთ ექსპერტების შეფასებების მონაცემები.

შეფასებების მატრიცა **ცხრილი 4**

პროექტი / ექსპერტი	P_1	P_2	P_3	P_4	P_5
E_1	26	11	26	9	15
E_2	23	10	19	12	27
E_3	19	7	21	5	17
E_4	25	8	18	16	20
E_5	18	11	19	11	21
E_6	17	12	18	15	23
E_7	16	9	19	14	20

თუ რამდენიმე პროექტს გააჩნია ერთნაირი რანგი, მაშინ უნდა გადავწყვიტოთ რომელ ადგილზე შეიძლება მოხვდნენ ასეთი პროექტები, ანუ როგორი შეიძლება იყოს მათი საბოლოო ობიექტური რანგები, რისთვისაც ასეთი პროექტების საბოლოო რანგების დასადგენად, უპირვლესად ავიღოთ ყველა პროექტის რანგის ერთნაირი რიცხობრივი მნიშვნელობა, რაც წარმოადგენს პროექტების ცხრილში გაწერილი სავარაუდო ადგილების საშუალო არითმეტიკულს. ასე მაგალითად, თუ პირველმა ექსპერტმა (E_1) (ცხრილი 4) ერთნაირი ქულებით შეაფასა 1-ი და 3-ე პროექტი, რომლებიც ქულების მიხედვით პირველი და მეორე ადგილის კანდიდატები არიან, მათ მიენიჭებათ ერთნაირი რანგი და ეს იქნება: (1+2)/2=1,5. ანალოგიურად მეხუთე ექსპერტის (E_5) შემთხვევაში - ერთნაირი რანგები ექნებათ 2-ე და 4-ე პროექტს, რომელიც გამოთვლება, როგორც (4+5)/2=4,5.

ცხრილი 4-ს საფუძველზე გამოვავლენთ პროექტების რანგებს და ეს აისახება ცხრილში 5:

ცხრილი 5

პროექტი / ექსპერტი	P_1	P_2	P_3	P_4	P_5
E_1	1,5	4	1,5	5	3
E_2	2	5	3	4	1
E_3	2	4	1	5	3
E_4	1	5	3	4	2
E_5	3	4,5	2	4,5	1
E_6	3	5	2	4	1
E_7	3	5	2	4	1
რანგების მედიანა	2	5	2	4	1
საბოლოო რანგი მედიანით	2,5	5	2,5	4	1

აქ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად ვიპოვოთ თითოეული პროექტის რანგის მედიანა. პირველი პროექტის რანგობრივი შეფასებებია: 1,5, 2, 2, 1, 3, 3, 3. მის ვარიაციულ მწკრივს ექნება სახე: 1, 1,5, 2, 2, 3, 3, 3. აქ შუა წევრია 2, რის საფუძველზეც მივიღებთ, რომ P_1 პროექტის რანგობრივი მედიანაა 2. მეორე პროექტისათვის გვაქვს შემდეგი შეფასებები - 4, 5, 4, 5, 4,5, 5, 5, რის შესაბამისად ვარიაციულ მწკრივი იქნება შემდეგი სახე: 4, 4, 4,5, 5, 5, 5, 5 აქ შუა წევრია 5 და P_2 პროექტის მედიანაა 5.

ანალოგიურად ვიპოვით დანარჩენებსაც და მონაცემები ჩაიწერება ცხრილი 5-ში. როგორც ვხედავთ P_3 და P_5 პროექტებს აქვთ ერთნაირი რანგების მედიანები და ისინი არიან 2-ე და 3-ე ადგილების პრეტენდენტები, ამიტომ მათ ექნებათ ერთნაირი საბოლოო რანგი მედიანით:

$$(2+3)/2=2,5$$

აქედან გამომდინარე პროექტების საბოლოო რანგები მედიანით იქნება (ცხრილი 5 ბოლო სტრიქონი) : 2,5, 5, 2,5, 4, 1. ეს ნიშნავს, რომ მედიანების მეთოდით მონაცემების დამუშავების შედეგად გვექნება პროექტების შემდეგი რანჟირება:

$$P_5 < \{P_1, P_3\} < P_4 < P_2 \qquad (3)$$

მაშასადამე, საუკეთესო პროექტად ჩაითვლება P_5 პროექტი, P_1 და P_3 პროექტებმა მიიღეს ერთნარ რანგებს მედიანით და ისინი იყოფენ 2-3 ადგილებს, 4-ე ადგილზეა P_4 პროექტი და ბოლო ადგილზე – P_2 პროექტი. საჭიროების შემთხვევაში, იმის გასარკვევად, თუ რომელ პროექტს P_1 და P_3-დან უნდა მიენიჭოს უპირატესობა, დამატებით ეს გამოსაკვლევია სხვა მეთოდით.

ჯ. კემენის მედიანის მეთოდი

მეთოდს დაერქვა ავტორის – ამერიკელი მათემატიკოსის და ინფორმატიკის სპეციალისტის სახელი.

მეთოდის არსი შემდეგშია. თითოეული ექსპერტის მიერ რანგების მიხედვით დალაგებული პროექტები ითვლება მის გადაწყვეტილებად, რომელიც წარმოადგენს ვექტორს. გამოსათვლელია r_{ij} სიდიდე, რომელიც არის მანძილი i და j ექსპერტების გადაწყვეტილებებს შორის, ანუ გამოითვლება ორ ვექტორს შორის მანძილი. ასეთი მანძილის გასათვლელად ხშირად იყენებენ *მანხეტენის ნორმას*, რომელიც წარმოადგენს i და j ექსპერტების გადაწყვეტილებების კოორდინატებს შორის სხვაობათა მოდულების ჯამს:

$$r_{ij} = \sum_{i=1}^{m} \sum_{j=1}^{m} \sum_{k=1}^{n} | E_{iP_k} - E_{jP_k} | \qquad (4)$$

აქ – $i,j=1...m$, სადაც m ექსპერტების რაოდენობაა, ხოლო $k=1...n$, სადაც n პროექტების რაოდენობაა.

მანხეტენის ნორმის მიხედვით, შესაბამისად, მანძილი ეს არის ორი ექსპერტის გადაწყვეტილებათა სხვაობათა (აბსოლუტური სიდიდეების) ჯამი თითოეული პროექტისთვის. მანხეტენის ნორმის საფუძველზე გამოითვლება R_i მნიშვნელობები – მანძილი i ექსპერტიდან ყველა დანარჩენ ექსპერტებამდე, როგორც მანძილების ჯამი ამ ექსპერტის და დანარჩენი ექსპერტების გადაწყვეტილებებს შორის.

$$R_i = \sum_{k=1}^{n} r_{ik} \qquad (5)$$

საბოლოოდ, ვიპოვოთ ამ რიცხვებიდან უმცირესი მნიშვნელობა – min{R_i} და მიღებული სიდიდის შესაბამისი ექსპერტის გადაწყვეტილება იქნება ყველაზე საშუალო ანუ *მედიანა,* რომელიც გამოცხადდება ექსპერტიზის საბოლოო შედეგად.

წარმოდგენილი მეთოდის გეომეტრიული ინტერპრეტაცია წარმოდგენილი იქნება მრავალწახნაგას სახით, სადაც ერთი რომელიმე ექსპერტის გადაწყვეტილება განლაგებული იქნება მრავალწახნაგას ცენტრში. მრავალწახნაგას წვეროები წარმოადგენენ სხვა ცალკეული ექსპერტების გადაწყვეტილებებს, ხოლო წიბოები – ექსპერტთა გადაწყვეტილებებს შორის მანძილებს. როგორც ცნობილია ცენტრი – ეს არის ადგილი, რომელიც ყველაზე მეტადაა ერთდროულად მიახლოებული ფიგურის ყველა წვეროსთან.

მაგალითისთვის გამოვიყენოთ ცხრილი 5-ს მონაცემები. როგორც ამ ცხრილიდან ჩანს E_1 ექსპერტის გადაწყვეტილებაა (1,5, 4, 1,5, 5, 3), E_2 -ის – (2, 5, 3, 4, 1) და ა.შ. ამ მონაცემების საფუძველზე გამოვითვალოთ r_{ij} (4) ფორმულის მიხედვით და ცხრილი 5-ს მონაცემების გამოყენებით მივიღებთ:

r_{12} = | 1.5 - 2| + | 4 - 5 | + | 1.5 - 3 | + | 5 - 4 | + | 3 – 1 | = 0.5+1+1.5+1+2 =6;
r_{13} = | 1.5 - 2| + | 4 - 4 | + | 1.5 - 1 | + | 5 - 5| + | 3 – 3 | = 0.5+0+0.5+0+0 = 1;
. . . . . .
r_{17} = | 1.5 - 3| + | 4 - 5 | + | 1.5 - 2 | + | 5 - 4 | + | 3 – 1 | = 1.5+1+0.5+1+2 = 6;
$r_{21} = r_{12}$, $r_{22} = 0$
r_{23} = | 2 - 2 | + | 5 - 4 | + | 3 - 1 | + | 4 - 5 | + | 1 – 3 | = 0+1+2+1+2 = 6;
და ა.შ.

მიღებული მნიშევნელობების შედეგად, r_{ij} სიდიდეები მოვათავსოთ მანძილების მატრიცაში (ცხრილი 6). შემდეგ გამოვთვალოდ R_i მნიშვნელობები და ცხრილი 6-ს ბოლო სვეტში ჩავწეროთ თითოეული სტრიქონის მანძილების ჯამი (R_1, R_2, R_3, R_4, R_5, R_6, R_7), რაც მოგვცემს იმის საშუალებას, რომ ვიპოვოთ ამ რიცხვებიდან უმცირესი – min{R_1, R_2, R_3, R_4, R_5, R_6, R_7}.

ცხრილი 6

	E_1	E_2	E_3	E_4	E_5	E_6	E_7	R_i
E_1	0	6	1	5	5	6	6	29
E_2	6	0	6	2	3	2	2	21
E_3	1	6	0	6	5	6	6	30
E_4	5	2	6	0	5	4	4	26
E_5	5	3	5	5	0	1	1	20
E_6	6	2	6	4	1	0	0	19
E_7	6	2	6	4	1	0	0	19

როგორც ცხრილიდან ჩანს R_i ყველაზე მინიმალური მნიშვნელობა იქნება:

min{29,21,30,26,20,19,19}=19

რაც წარმოადგენს E_6 და E_7 ექსპერტების შეფასებას (3, 5, 2, 4, 1) (ცხრილი 5). მაშასადამე კემენის მედიანა იქნება: 3, 5, 2, 4, 1 და წარმოდგენილი მეთოდოლოგიის თანახმად პროექტების რანჟირება იქნება:

$$P_5 < P_3 < P_1 < P_4 < P_2$$

თუ შევადარებთ მიღებულ შედეგს (3) რანჟირებასთან, მაშინ პროექტების საბოლოო რანჟირება ორივე მეთოდის გათვალისწინებით დალაგდება შემდეგნაირად:

$$P_5 < P_3 < P_1 < P_4 < P_2 \qquad (6)$$

წარმოებული გათვლების შედეგად შესაძლებელია დავასკნათ, რომ საუკეთესო პროექტად ჩაითვლება P_5 პროექტი, მეორე ადგილზე იქნება P_3 პროექტი, მესამეზე - P_1 პროექტი, მეოთხეზე - P_4 პროექტი და ბოლო ადგილზეა P_2 პროექტი.

TEMUR TATARASHVILI
MANANA TAVKHELIDZE

MEDIANA METHODS FOR EXPERTISE OF ECOLOGICALLY-ORIENTED TOWN BUILDING PROJECTS

summary

When discussing the present problems of contemporary town building, numerous parameters determining town building optimality with consideration of different objective functions should be taken into account. As a rule, in order to realize one and the same town building object one or several projects are developed, their qualitative and quantitative estimation being the main task of town building projects management. This work presents two Mediana and J. Kemen's mediana methods for projects evaluation and expertise; their using allows successful realization of evaluation and correction of the presented project and choosing the best from the variety of projects, which will absolutely satisfy the town building act accepted by legal structures and other criteria determining ecological and other requirements, as well.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სალუქვაძე გ., ქალაქთმშენებლობითი ეკოლოგია. სტუ., თბ., 2007, 146 გვ.
2. Орлов А.И., Экспертные оценки. Учебное пособие. Москва: 2002.
3. Орлов А.И., Эконометрика. Учебное пособие. - М.: Изд-во "Экзамен", 2002.
4. სალუქვაძე გ., თათარიშვილი თ., თავხელიძე მ. ეკოლოგიურად ორიენტირებული საინვესტიციო ქალაქმშენებლობის პროექტების ანალიზი და ექსპერტიზა.

გიორგი სალუქვაძე
მამუკა სალუქვაძე

თბილისის ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასება და ანალიზი ქალაქგეგმარებითი რეგულირების ჭრილში

როგორც ცნობილია, ბუნებრივი პროცესებისა და ადამიანის საქმიანობის ურთიერთქმედება სხვადასხვაგვარად ვლინდება ურბანული გარემოს სხვადასხვა ტერიტორიალურ დონეზე. განსახლების რეგიონალური სისტემების დონეზე ბუნება შედარებით მდგრად კატეგორიად შეიძლება ჩაითვალოს, რომელსაც მთლიანობაში, ადამიანის ,,ჩარევა'' პრაქტიკულად ვერ არღვევს, ხოლო ლოკალური სისტემების დონეზე კი ბუნებრივი გარემო განიცდის მნიშვნელოვან ცვლილებებს და ადამიანის მთავარ ამოცანად რჩება ლანშაფტების გარე და შიდა კავშირებში წარმოქმნილი ამ ცვლილებების ,,რეგულირება''. საქალაქო პირობებში როგორც წესი, ბუნებრივი ელემენტები გარდაქმნილი, სახეცვლილია და ადამიანისათვის, უმთავრეს პრიორიტეტს, ამ ხელოვნური გარემოს ,,მართვა'' წარმოადგენს.

ქალაქის საზღვრებში, სადაც თავდაპირველი ბუნებრივი გარემო პრაქტიკულად მთლიანად შეცვლილია, უდიდესი როლი ენიჭება ტერიტორიების განვითარებას ეკოლოგიურ ქალაქთმშენებლობითი პრინციპების საფუძველზე, რომელიც მიიღწევა, როგორც ცალკეული ბუნებრივი ელემენტის აღდგენით, ისე რაციონალური გეგმარებითა და ქალაქის საინჟინრო უზრუნველყოფით.

საგულისხმოა, რომ მდგრადი ურბანული განვითარების პრინციპებიდან გამომდინარე, თბილისის განვითარების გენერალური გეგმის მომზადებისას ქალაქგეგმარებისა და ლანდშაფტური გეგმარების თვალსაზრისით მნიშვნელოვან როლს შემდეგი ვარაუდები თამაშობდნენ: შიდა განვითარების უპირატესობა გარე განვითარებასთან შედარებით; მკაცრი საზღვრების გავლება, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სამშენებლო მიზნებით ათვისების თავიდან აცილების მიზნით; არსებული ტერიტორიების სიმჭიდროვის გაზრდა; დღემდე არსებული ინდუსტრიული (საწარმოო ფუნქციის მატარებელი) ტერიტორიების გამოყენების ხელახალი გააზრება; წყლის დაცვა და რენატურირება; გამწვანებული სტრუქტურების შენარჩუნება და განშტოება.

მსხვილი ქალაქების, მათ შორის თბილისის გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასებისას და ანალიზისას, აუცილებელია გათვალისწინებული იქნას ისეთი დარგების, საქმიანობებისა და ფაქტორების ზემოქმედება, როგორებიცაა: მრეწველობა, ტრანსპორტი, მშენებლობა, მიწათსარგებლობა, ენერგიისა და წყლის მოხმარება, აგრეთვე ქალაქებში წარმოქმნილი ჩამდინარე წყლები, მყარი ნარჩენები და სხვ.

ისეთი მსხვილი, ურბანიზებული ქალაქისათვის, როგორიც თბილისია, მდგრადი განვითარების მისაღწევად აუცილებია გარემოს დაცვა იქცეს პრიორიტეტულ მოთხოვნად და არ განიხილებოდეს გენერალური გეგმისგან მოწყვეტით.

ძირითად მოთხოვნებად, რომლებიც თბილისის ურბანული, ქალაქთმშენებლობითი ეკოლოგიის პრობლემებს ეხება, შესაძლებელია განვიხილოთ:

1. ქალაქში არსებული ბუნებრივი გარემოს ფრაგმენტების მაქსიმალურად შენარჩუნება;
2. იმ მავნე ზემოქმედების კერების ,,ჩაქრობა'', რომლებიც ხელს უშლიან ქალაქის ეკოსისტემის მდგრადობას;
3. ტერიტორიების ეკოლოგიური დანაკარგების აღდგენის ფუნქციის განხორციელება საქალაქო სისტემის ყველა დონეზე.

ქ. თბილისში არსებული მდგომარეობის შესწავლა და ანალიზი ცხადყოფს, რომ დღეს, როდესაც უკვე მოქმედებს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი თბილისის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის სახით, მრავალი სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორის გათვალისწინებით, ქალაქი არც ინსტიტუციური, არც საკანონმდებლო და არც მართვისა და ადმინისტრირების კუთხით არ არის მზად ეფექტურად განახორციელოს დედაქალაქის გარემოს გაუმჯობესების ქალაქმშენებლობითი სტრატეგია, დაფუძნებული კომპლექსურ და დაბალანსებულ გადაწყვეტაზე.

აღნიშნულს ერთგვარად ადასტურებს ჩვენს მიერ, სოციალური ქსელის ,,Facebook''-ის მეშვეობით ჩატარებული გამოკითხვის შედეგებიც. ამ მეთოდით, ჩვენთვის საინტერესო იყო ერთის მხრივ გაგვეგო, თუ როგორ აღიქვამს და აფასებს თავად თბილისის მოსახლეობა ქალაქში არსებულ ეკოლოგიურ მდგომარეობას და მეორეც, მათ მიეცათ საშუალება გამოეყოთ მათი აზრით ყველაზე აქტუალური საქალაქო ეკოლოგიური პრობლემები.

აღსანიშნავია, რომ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ასაკისა და სოციალური სტატუსის მქონე ადამიანმა. პირველ კითხვასთან დაკავშირებით, რესპოდენტთა დიდი უმრავლესობა მიიჩნევს (სულ გამოიკითხა 125 რესპოდენტი), რომ დედაქალაქში ეკოლოგიური სიტუაცია არის ძალიან ცუდი (გამოკითხულთა 60%), ცუდი (25%), არადამაკმაყოფილებელი (5%) და მხოლოდ გამოკითხულთა 10% მიიჩნევს, რომ მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. საინტერესოა, რომ შეთავაზე-ბული პასუხების სხვა ვარიანტებს – კარგს და ძალიან კარგს, გამოკითხულ რესპოდენტთაგან არც ერთი არ გამოეპასუხა. რაც შეეხება მეორე კითხვას, რესპოდენტთა უმრავლესობამ (სულ შემოვიდა 2445 ხმა) პრიორიტეტულად გამოყო ისეთი ზოგადი თუ კონკრეტული ხასიათის ეკოლოგიური პრობლემები, როგორებიცაა: მოსახლეობის დაბალი ეკოლოგიური კულტურა (32%), ავტომანქანების გამონაბოლქვი (14%), მდინარეებისა და წყალსატევების დაბინძურება (10%), გამწვანებული ტერიტორიების დეფიციტი (8%), ქუჩებისა და ეზოების დანაგვიანება (8%) და სხვ.

გამოკითხვის შედეგები ცხადყოფს, რომ მიუხედავად იმისა, აქვს თუ არა მოსახლეობას ზუსტი და დეტალური ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ შესაბამის მომენტში, იგი მეტად მგრძნობიარე და ფაქტობრივად უტყუარი ინდიკატორია სიტუაციის შეფასებისას.

უკანასკნელ წლებში თბილისში ჩატარებული თეორიული თუ პრაქტიკული კვლევები როგორც წესი ფრაგმენტულ ხასიათს ატარებდა და კვლავაც წარმოაჩენს 1999-2000 წლებში, ქ. თბილისის მერიის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რეგულირების კომიტეტის მიერ მომზადებული კვლევის ,,ქ. თბილისის ეკოლოგიური ატლასი'' აქტუალობას, რომელშიც გარკვეული კვლევების საფუძველზე ასახულ იქნა თბილისის ტერიტორიის ეკოლოგიური ზონირება და გამოვლენილი იქნა ზონათა ექსტრემალური მნიშვნელობები. თბილისის ეკოლოგიური მდგომარეობის კარტოგრაფიული ინტერპრეტაცია, რუკაზე ასახულია ატმოსფეროს დაბინძურების მდგომარეობა ჰაერში გამოტყორცნილი მავნე ნივთიერებათა მაჩვენებლების მრავალწლიური საშუალოების საფუძველზე. გამოყოფილ იქნა 3 ზონა. დაბინძურების კატეგორიების მიხედვით (ოთხი ძირითადი ინგრედიენტის ხვედრითი წილის საფუძველზე – გოგირდოვანი ანჰიდრიდი, ნახშირორჟანგი, აზოტის ორჟანგი, ნახშირწყალბადები და სხვა ნივთიერებათა ჯამური წილი 14%): I. მაღალი დაბინძურების ზონა, სადაც აეროპოლუტანტების დონე სისტემატიურად აღემატება ზღვრულად დასაშვებ ნორმებს; II საშუალო დაბინძურების ზონა, სადაც ცალკეული მახასიათებლების დონე აღემატება დასაშვებ ნორმას და III დაბალი დაბინძურების ზონა, სადაც აღინიშნება მხოლოდ ზოგიერთი პოლუტანტის მატების ტენდენცია.

როგორც ცნობილია ადრეული თუ დღევანდელი კვლევები ადასტურებენ იმ გარემოებას, რომ ქალაქის ცენტრალური რაიონების: ძველი თბილისის, ვაკე-საბურთალოს, დიდუბე-ჩუღურეთის, ისანი-სამგორის რაიონების მნიშვნელოვანი მონაკვეთები განიცდიან აქტიურ ანთროპოგენულ ზემოქმედებას, რისი უმთავრესი მიზეზი და წყარო ქალაქში მოძრავი ავტოტრანსპორტია.

ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტიპები, საწვავი, სატრანსპორტო ნაკადების განსხვავებული სტრუქტურა და ინტენსიობა, ერთობლიობაში წარმოშობს ბუნებრივ გარემოზე ზეწოლის სხვადასხვა დონეს.

თანამედროვე მსხვილ ქალაქებში, ავტოსატრანსპორტო ქსელის კონფიგურაცია და დინამიკა მნიშვნელოვანწილად განაპირობებს საქალაქო ტერიტორიაზე ანთროპოგენული დატვირთვის დიფერენციაციას. ქალაქის ავტოსატრანსპორტო ქსელის ფორმირებას განსაზღვრავს ქალაქის გეგმარებითი სტრუქტურა, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია ქალაქის ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებზე.

საქალაქო გარემოში მავნე ნივთიერებების გაფრქვევის წყაროს, ქალაქში მოძრავი სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა წარმოადგენს. თავად საქალაქო გარემოს ავტოტრანსპორტით დაბინძურება კი დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, რომლებიც ორ ძირითად ჯგუფად შეიძლება დავყოთ: ზემოქმედების ფაქტორები და გავრცელების ფაქტორები.

ზემოქმედების ფაქტორებად შეიძლება მივიჩნიოთ: ტექნოლოგიური და ნაკადის სტრუქტურის სახეობები. გავრცელების ფაქტორები კი მრავალრიცხოვანია და მათში შედის: ფიზ. გეოგრაფიული თავისებურებანი, ტერიტორიების ქალაქთმშენებლობითი თავისებურებანი, ავტოტრანსპორტის მოძრაობის პირობები, ტექნოლოგიური ფაქტორები და სხვ.

აღნიშნული ასპექტების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია გამოიკვეთოს თბილისისთვის დამახასიათებელი შემდეგი ტენდენციები:

- თბილისის განვითარება შეზღუდულია არამხოლოდ ბუნებრივი (რთული ოროგრაფიული პირობები, მდ. მტკვარი), არამედ ხელოვნური ბარიერებითაც: რკინიგზის ხაზი და მასზე მიბმული მრავალრიცხოვანი ობიექტები: საწყობები, სადგურები, სარემონტო საწარმოები და სხვ. რაც ქალაქს იზოლირებულ ნაწილებად ყოფს;
- ძირითად ბარიერს სატრანსპორტო ქსელის განვითარებისათვის ქალაქის განვითარების ხაზოვანი ფორმა წარმოადგენს, როდესაც მორფოლო-

გიური შეზღუდვების გამო, სატრანსპორტო ნაკადების დიდი ნაწილი იძულებულია ქალაქის ცენტრზე გაიაროს.

- რკინიგზის ხაზისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის გადატანა, იძლევა უნიკალურ შესაძლებლობას გამონთა-ვისუფლებულ 200.0ჰა-მდე მშენებლობისთვის ვარგის, ძვირადღირებულ ტერიტორიაზე, დედაქალაქისათვის უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივ-საქმიანი ცენტრის (პირობითად თბილისის ახალი სიტი) დაგეგმარებისა და მშენებლობისათვის.
- რკინიგზის არსებული ხაზის ნაცვლად თანამედროვე საზოგადოებრივ-საქმიანი ზონის გაჩენა უმნიშვნელოვანეს ქალაქგეგმარებით ღონისძიებას წარმოადგენს, რაც კიდევ უფრო გააფართოებს ქალაქის ცენტრისთვის დამახასიათებელ ფუნქციურ არეალს უკვე მტკვრის მარცხენა სანაპიროზე გადმოტანით და დასახავს დღევანდელი ცენტრის განტვირთვის გზებს.

მეტად საინტერესოა, ტრანსპორტის სექტორის როლისა და მისი ზემოქმედების მასშტაბების განსაზღვრა თბილისისათვის კლიმატის ცვლილების ჭრილში და შესაბამისად, თბილისის მდგრადი ენერგეტიკის სამოქმედო გეგმის შემუშავებისას განხორციელებული კვლევების ანალიზი.

საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევაში თუ მხედველობაში იქნება მიღებული თბილისის ეკონომიკური განვითარების სწრაფი ტემპი, მოსახლეობის ზრდის ტრენდი და ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს ზრდა, შესაძლებელი ხდება არა მხოლოდ დღევანდელი სურათის, არამედ 2020 წლამდე პერიოდის განვითარების სცენარის მოდელირებაც. ყოველივე ზემოთქმული კი მყარი საფუძველია კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვისა ქალაქში ენერგიის მოხმარებისა და CO2-ისა და შესაბამისად, სხვა მავნე ნივთიერებების გამოყოფის შემცირების მიზნით.

	გაფრქვეული მავნე ნივთიერებების რაოდენობა, ტ/წელიწადში						
	ნახშირ ჟანგი	აზოტის დიოქსიდი	გოგირდის დიოქსიდი	ნახშირწყალ ბადები	ჭვარტლი	ბენზპი რენი	ნახშირ ორჟანგი
	CO	NO_2	SO_2	ΣCH	C*	$C_{20}H_{12}$	CO_2
ავტოტრანსპორტი თბილისში[72]	103165	10155	3460	23724	2423	0.09	1105624

ეროვნული სტატისტიკის სამსახურის მონაცემების მიხედვით, 2010 წლის იანვარში თბილისის მოსახლეობა 1,152,500-ით განისაზღვრა, რაც მთელი ქვეყნის მოსახლეობის თითქმის 30% შეადგენს. ქალაქის მოსახლეობის ზრდასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზარდა სატრანსპორტო ნაკადიც, რასაც შედეგად მოჰყვა CO2 ემისიის ზრდა ტრანსპორტის სექტორიდან ისევე, როგორც სხვა თანმდევი მოვლენები, როგორიცაა, გადატვირთული მოძრაობა, გარემოს დაბინძურება და გადაჭარბებული ხმაური. თუ 1991 წელს ტრანსპორტის წილი თბილისში ნახშირბადის მთლიან ემისიაში 70% იყო, 2005 წელს ამ მაჩვენებელმა ჰაერის დაბინძურების 91% შეადგინა.[1]

კვლევების საფუძველზე დადგენილია, რომ 2009 წლისთვის სატრანსპორტო სექტორზე მოდიოდა CO2 ექ-ის ემისიების 44%, ხოლო პროგნოზით 2020 წლისათვის აღნიშნული წილის გაზრდა სექტორებს შორის მოსალოდნელია 51%-მდე (ღონისძიებების განუხორციელების შემთხვევაში), რაც ნიშნავს, რომ ტრანსპორტის სექტორი ყველაზე უფრო სწრაფად მზარდი სექტორია და შესაბამისად მის მიერ CO2ექ-ის ემისიების წილის ზრდა 89%-ს მიაღწევს (ღონისძიებების განუხორციელების შემთხვევაში) ემისიების საერთო წილში სექტორების მიხედვით. აღნიშნული პროგნოზი ბუნებრივია ეხება არამხოლოდ კონკრეტულად სათბური გაზების ემისიების ზრდას, არამედ ატმოსფერული ჰაერის დამაბინძურებელ ყველა მავნე ნივთიერების ემისიებს, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის სატრანსპორტო მოძრაობის გადატვირთულობას, ხმაურს, ჰაერის დაბინძურების დონეს და არამიმზიდველს გახდის ამ ქალაქებს ინვესტორებისთვის, უბიძგებს რა მათ, რათა თავიანთი ბიზნეს-ინტერესები სხვა ქალაქებში გადაიტანონ. ყოველივე ეს კი, უკვე დღეისათვის კონკრეტული ღონისძიებებისა და გადაწყვეტების განხორციელების აუცილებლობას წარმოშობს.

აღნიშვნის ღირსია ის გარემოება, რომ ტრანსპორტისა და საგზაო ინფრასტრუქტურის სფერო მეტად დინამიურ ცვლილებებს განიცდის, რაც არ შეიძლება დადებით ფაქტორად არ ჩაითვალოს. ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტით, როგორიცაა ,,თბილისის მდგრადი ენერგეტიკის სამოქმედო გეგმა'', ქალაქმა აიღო მთელი რიგი ვალდებულებები, 2020 წლისთვის, სათბურის გაზების ემისიე-

1 თბილისის მდგრადი ენერგეტიკის სამოქმედო გეგმა - თბილისი, 2011 წ.

ბის შემცირების მიზნით, დროში გაწერილი კონკრეტული ღონისძიებების განსახორციელებლად.

თბილისის მიერ განსახორციელებელ ღონისძიებათა ნუსხაშია:

- მუნიციპალური ავტოპარკის განახლება;
- საზოგადოებრივი ტრანსპორტის პოპულარიზაციის კამპანია;
- საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების გაუმჯობესება;
- საზოგადოებრივი ტრანსპორტის ალტერნატიული სახეობების ხელშეწყობა;
- საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- შუქნიშნების მართვის ერთიანი ცენტრის შექმნა;
- კერძო ავტომანქანების მოძრაობის შემზღუდველი ღონისძიებების გატარება;
- დაბალი ემისიების მქონე ავტომანქანების წახალისება და სხვ.

ამასთან, თბილისის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, აუცილებელია შესაბამისი გეგმარებითი სტრუქტურის ოპტიმიზაცია, რა დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი პრინციპიალური მიზნები:

- სატრანსპორტო ნაკადების უფრო თანაბარი გადანაწილება ქალაქის საგზაო ქსელში;
- ტრანსპორტის გარბენის მინიმიზაცია ქალაქის ნებისმიერ ორ პუნქტს შორის მგზავრობისას (მოძრაობის) ფაქტობრივი ტრასა არ უნდა იყოს ბევრად გრძელი პუნქტებს შორის ე.წ. ,,საჰაერო ხაზისა'');
- საგზაო ქსელის დიფერენციაცია ტრანსპორტის დომინანტი სახეობებისა და მოძრაობის ორგანიზების ტიპების მიხედვით (სატვირთო, მსუბუქი და სამგზავრო ტრანსპორტი, ჩქაროსნული მოძრაობა და სხვ.);
- ტრანზიტული მოძრაობის მაქსიმალური შეზღუდვა როგორც ქალაქის ცენტრში, ისე მთელს ქალაქში;
- საგარეუბნო ზონასთან და სატრანსპორტო კვანძებთან სისტემების მოხერხებული კავშირი, რომლებიც უზრუნველყოფენ საქალაქთაშორისო და სახელმწიფოთაშორის მიმოსვლას;
- სატრანსპორტო ნაკადების მავნე ზემოქმედების შემცირება საცხოვრებელ კვარტლებზე, რეკრეაციულ ზონებსა და ისტორიული განაშენიანების რაიონებზე, რომლებსაც არქიტექტურულ-მხატვრული ღირებულება გააჩნიათ;
- მიწისქვეშა და მიწისზედა პარკირების სისტემის განვითარება.



ნახ. 1. საწარმოო ტერიტორიების ხვედრითი წილი ცენტრიდან დაშორების მიხედვით (1990 წლის მდგომარეობით)

გასული საუკუნის 90-იანი წლების თბილისის ეკოლოგიური მდგომარეობის განვითარების განმსაზღვრელ ფაქტორად იქცა ერთდროულად ავტოპარკის რიცხოვნობის თანდათანობითი ზრდა და ამავდროულად, საწარმოო პროცესების მკვეთრი კლება. რითაც ისინი ჩამორჩებოდნენ მხოლოდ სამოსახლო/საცხოვრებელ ტერიტორიებს. საწარმოო ტერიტორიების დიდი ნაწილი, რომლებიც თავის დროზე ქალაქის პერიფერიულ ნაწილში იყო განთავსებული, დედაქალაქის ზრდისა და ახალი პერიფერიების წარმოშობასთან ერთად, ქალაქისათვის სასურველ, შუალედურ უბნებში აღმოჩნდნენ. სწორედ ამ გარემოებაზე მეტყველებს ის ფაქტორი, რომ 1990 წლის მონაცემებით, საწარმოო ტერიტორიების ხვედრითი წილი (26%) ცენტრიდან სულ რაღაც 8-11 კმ-შია განთავსებული (ე.წ. შუალედურ ზოლში.

რეგიონის დასახელება	სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების ცვლილებების დინამიკა 2001 – 2010 წლებში ტ/წლ									
	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010
თბილისი	**697**	**255**	**188**	**317**	**342**	**304**	**200**	**159**	**163**	**1166**

თბილისში განთავსებული საწარმოების მიერ დაკავებულ ტერიტორიებს, ამ პერიოდისთვის განაშენიანებული ტერიტორიის 17,4% ეკავა. ამავე დროს, მეტად მნიშვნელოვან და დამახიათებელ გარემოებას მსხვილი ქალაქებისთვის წარმოადგენს საწარმო ტერიტორიების მჭიდრო ,,ბმა'' რკინიგზის მაგისტრალთან და ხაზებთან. ამას ადასტურებს თბილისის ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ ნაწილებში, მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, მდინარე მტკვარსა და რკინიგზის არსებულ მაგისტრალს შორის სამრეწველო ტერიტორიების მაღალი კონცენტრაცია.

აღსანიშნავია, რომ დღეს ქ. თბილისში, ფაქტობრივად უკვე აღარ ფუნქციონირებენ ის საწარმოები, რომლებიც სულ რამოდენიმე წლის წინათ დედაქალაქის ძირითად დამბინძურებლებს წარმოადგენდნენ.

ავჭალის სილიკატური საკედლე მასალების ქარხანა, ქარხანა ,,ცენტროლიტი'', ქარხანა ,,ელექტროიზოლიტი'', თბოელექტროსადგური ,,თესი'', ელმავალმშენებელი ქარხანა, ჩარხმშენებელი ქარხანა, პლასტმასის ქარხანა, ინსტრუმენტალური ქარხანა და სხვ. საწარმოები, ან გაჩერებულია, ან უკვე ლიკვიდირებული. ზოგიერთი ამ საწარმოთაგანი ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში იყო განთავსებული და ამდენად, ქ. თბილისისათვის დამახასიათებელი ჩრდილო და ჩრდილო-დასავლეთის გაბატონებული ქარების პირობებში, კიდევ უფრო ძაბავდა არსებულ ეკოლოგიურ ვითარებას. საინტერესოა, რომ 2005-2009 წლებში, სტაციონალური წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების შემცირების დინამიკის ფონზე, მეტად საყურადღებოდ გამოიყურება გარემოს დაცვის სამინისტროს მონაცემი 2010 წლისთვის, რაც განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ აღნიშნულ წელს განსაკუთრებით გამკაცრდა სამინისტროს გარემოს დაცვის ინსპექციის მიერ შესაბამისი კონტროლი თბილისში მოქმედი საწარმოების მიმართ. ამდენად, თუ 2005 წელს მხოლოდ 21-მა საწარმომ, 2006 – 27, 2007 – 20, 2008 – 20, 2009 – 35-მა საწარმომ წარადგინა გარემოს დაცვის სამინისტროში შესაბამისი სტატისტიკური ფორმა გაფრქვევების ჩვენებით, 2010 წელს 170-მა საწარმომ წარადგინა საკუთარი გაფრქვევების შესახებ ინფორმაცია, რამაც სინამდვილესთან მიახლოებული ციფრი მოგვცა. ამგვარი ინფორმაციის წარდგენის ნებაყოფლობითობასთან და გარემოს დაცვის სამინისტროს გარემოსდაცვითი ინსპექციის გაუქმების შემდგომ, სავარაუდოდ კვლავ რთული აღმოჩნდება რეალური ციფრების მიღება თბილისის ატმოსფერულ ჰაერში სტაციონალური წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების შესახებ. დღევანდელი ინფორმაციის თანახმად, თბილისში აღარ ფუნქციონირებს გარემოს დამაბინძურებელი არც ერთი მსხვილი საწარმო.

ქალაქის მდგრადი განვითარების პრინციპებიდან გამომდინარე, მეტად აქტუალურია შემუშავდეს ერთიანი მიდგომა ქალაქისათვის მნიშვნელოვან ტერიტორიებზე განთავსებული ყოფილი საწარმოო ტერიტორიების სამომავლო გამოყენებასთან დაკავშირებით. ბიზნეს ცენტრები და ბიზნეს ინკუბატორები, დღეისათვის მეტად დეფიციტური რეკრეაციული და გამწვანებული არეალების შექმნა, მწვანე ენერგიის კვლევის ცენტრების ჩამოყალიბება და ა.შ. ის არასრული ჩამონათვალია, რა ფუნქციითაც ევროპის წამყვანი ქალაქები იყენებენ ყოფილ საწარმო ტერიტორიებს. რაც შეეხება საწარმო ტერიტორიებს შემდგომ განვითარებას თბილისის ტერიტორიაზე, აქცენტი აქ მართებულად არის გაკეთებული ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილზე (სამგორის რ-ნი, ლილოს მიმართულება), რაც შესაბამისად ასახულია კიდეც თბილისის პერსპექტიული განვითარების გენერალურ გეგმაში. აღნიშნულ ტერიტორიას ისტორიულად გააჩნია ჩამოყალიბებული საწარმოო ფუნქციები და მნიშვნელოვანია მისი უმუალო სიახლოვე აეროპორტთანაც. სწორედ აღნიშნული ტერიტორიებია თანამედროვე ინდუსტრიული პარკების, ლოჯისტიკური ცენტრებისა და ბიზნეს პარკების განვითარებისათვის ყველაზე ოპტიმალური და ფუნქციურად გამართლებული ადგილი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თბილისისათვის დღესაც მეტად აქტუალურ პრობლემებს წარმოადგენს შემდეგი კონკრეტული ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობა:

- თბილისის ეკოლოგიური მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით ქ. თბილისის აღმასრულებელი ორგანოს ინსტიტუციური სრულყოფა, შესაბამისი სამსახურისათვის სათანადო ფუნქციების მინიჭების გზით;
- შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შემუშავება, რომელიც ერთის მხრივ საფუძვლიანად დაიცავს ქალაქის გამწვანებულ ტერიტორიებს განადგურებისაგან და ამავე დროს, შექმნის იურიდიულ

საფუძვლებს გამწვანების ერთიანი სისტემის ჩამოსაყალიბებლად;

- ურბანული ეკოლოგების მუდმივი მონაწილეობის უზრუნველყოფა დედაქალაქის დაგეგმარებისა და განაშენიანების პროცესში;

- დედაქალაქში ატმოსფერული ჰაერისა და წყლის დაბინძურების ხარისხის ერთიანი მონიტორინგის სისტემის აღდგენისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

- დედაქალაქში ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების შემდგომი ზრდის თავიდან ასაცილებლად და ეკოლოგიური სიტუაციის გაუმჯობესების მიზნით, ქალაქში ავტოტრანსპორტის მოძრაობის ორგანიზაციის სრულყოფილი სქემის შემუშავება;

- თანამედროვე ეკონომიკური რეალიებიდან გამომდინარე, ყოფილი საწარმოო ტერიტორიების გამონთავისუფლება საცხოვრებელი თუ შერეული ფუნქციის მქონე ზონებად, განსაკუთრებით ქალაქის ცენტრში და მის სიახლოვეს.

- საწარმოებისაგან ქალაქის ცენტრის გამონთავისუფლების დადებითი ტენდენციის პარალელურად, სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება თბილისის მრეწველობის ოპტიმალური რესტრუქტურიზაციის კუთხით.

GEORGE SALUKVADZE
MAMUKA SALUKVADZE

EVALUTION AND ANALYSIS OF ECOLOGICAL SITUATION OF TBILISI IN THE CONTEXT OF CITY PLANNING REGULATION

s u m m a r y

The article is about the evaluation and analysis of ecological situation of Tbilisi. It describes the undesirable effects of transportation and industrial sector on city environment. It announces the main principles for improvement the Urban Ecology of Tbilisi. These principles are: (1) to reserve the fragments of the natural environment of the city; (2) to neutralize undesirable ecological effects of the sites, which hamper the sustainability of the City Ecosystem; (3) to plan and implement measures that restore the destroyed ecological situation of the city at all level. The article includes some recommendations for improving the current environmental condition of the city.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სალუქვაძე მ., „ქ. თბილისის გარემოსდაცვითი პრობლემები“ სტატია ნაშრომში (დანართი 3) „ქალაქ თბილისის მიწათსარგებლობის დაგეგმარების მონიტორინგი და მიმდინარე ვითარებაში მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის შემუშავების ძირითადი მიმართულებები“. გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება (GTZ) 2006.
2. სალუქვაძე გ., სალუქვაძე მ., „ქალაქის გარემოს კომპლექსური ეკოლოგიური შეფასება და მონიტორინგი (თბილისის მაგალითზე)“. სამეცნიერო-სალიტერატურო ჟურნალი „პარალელი“ 1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი.2011.
3. სალუქვაძე გ., სალუქვაძე მ., „თბილისის ქალაქთმშენებლობითი განვითარების ეკოლოგიური ასპექტები“. კრებ.: „თბილისი ცვლილებების ხანაში. ურბანული სივრცისა და ქალაქდაგეგმარების სოციალურ-კულტურული განზომილებანი“. თსუ-ს გამომცემლობა 2010.
4. Соколова, Е.П. 2008. „Оценка экологического состояния города для целей градостроительного регулирования (на примере г. Москвы)“. Диссертация на правах рукописи УДК 911.375:574 (470-25). Москва;

Кетеван Арчвадзе

Теоретическое исследование влияния фотонов солнечного излучения на белковые молекулы грибов в процессе сушки

Ученые считают, что в ближайшее время растительный белковый продукт грибов сыграет важную роль в существенном увеличении ресурсов белка в мире.

Грибы выращивают более чем в семидесяти странах мира. Высокий уровень развития грибоводства наблюдается в Китае, Нидерландах, Англии, Франции, Италии.

В Грузии, в православной стране, где более 200 дней в году дни поста, потреблению грибов должно уделяться большее внимание. В западных странах некоторые виды грибной продукции рассматриваются как потенциальные заменители мяса. При этом даже частичная замена мяса и мясной продукции (например, пепперони и сосисок) грибами приведет к снижению количества потребляемых калорий, жиров, холестерина и к увеличению доли пищевых волокон, меди, калия и рибофлавина.

Вкусовые качества и питательная ценность грибов зависят, прежде всего, от их химического состава. Плодовые тела их содержат много органических и минеральных веществ. Как указывают украинские специалисты-микологи, в съедобных грибах имеются углеводы (от 2 до 24%), жировые вещества (до 10%), органические кислоты (щавелевая, яблочная, лимонная и др.), витамины (А, В, С, Д, РР). Богаты, например, витамином А лисички и рыжики; витамином В— летние опята и лисички. Имеются в них и минеральные соли (в среднем 7, 7%), микроэлементы, в том числе цинк, медь, мышьяк, марганец, йод.

Но особенно богаты грибы азотистыми веществами, из которых наибольшую долю занимают фунгин и белки, а также свободные аминокислоты, органические и пуриновые основания, аммонийный азот. Основу азотистых веществ составляют белковые вещества, содержание их у отдельных видов доходит до 5% и более (белый гриб, шампиньоны, гриб-зонтик). Это в 1, 5—2 раза выше, чем в овощах. Но, к сожалению, грибной белок является труднорастворимым веществом и поэтому слабо усваивается организмом человека.

Фунгин (хитин) составляет основу грибной клетчатки. В грибах фунгин находится в комплексе с белками. По своей структуре и функции хитин очень близок в целлюлозе; это тоже структурный полисахарид. Хитин встречается у некоторых грибов, где он благодаря своей волокнистой структуре играет в клеточных стенках опорную роль. Строение хитина идентично строению целлюлозы, за одним исключением: при 2-м атоме углерода гидроксильная (—OH) группа заменена в его молекуле группой —NH*CO*CH3.

В ходе научных исследований было установлено, что сушеные грибы легче перевариваются человеческим организмом, чем свежие.В рекомендациях о грибах часто встречаются такие советы-«для лучшего усвоения самих грибов рекомендуется их сушить, измельчать, а еще лучше - готовить из них порошок» .

Можно гипотетически предположить, что это происходит по следующим причинам:

1) При сушке грибы проходят термическую обработку (дополнительно до приготовления грибных блюд) и механическую, вследствие чего длинные цепочки фунгина могут частично разрушаться.

2) В результате солнечной сушки белки, содержащиеся в грибах, а также в комплексе с хитином, подвергаются разрушению.

Подробнее остановимся на 2-ом пункте.

На усвоение белка организму требуется много энергии. Белки высокомолекулярные соединения, состоящие из нескольких сотен аминокислот. Для усвоения и использования белка необходимо, расщепить его на короткие аминокислотные цепочки или сами аминокислоты. Это - длительный процесс. Проходит он на протяжении всего движения белковой пищи по ЖКТ (желудочно-кишечного тракта) и требует много различных ферментов, которые организм должен синтезировать и направить в ЖКТ.

Перевариваемость грибного белка, определяемая в настоящее время в нерастворимом остатке с помощью панкреатического и желудочного экстрактов, отражает перевариваемость только связанного белка и количество неперевариваемого хитина. Поэтому этот показатель нельзя использовать как единственный критерий питательной ценности. Для расчета питательной ценности съедобных грибов известный миколог Рольф Зингер предложил использовать способ, основанный на определении содержания основных незаменимых аминокислот. Другое определение питательной ценности, используемое современными исследователями, — это критерий аминокислот, именуемый иногда

химическим аспектом. Аспекты аминокислот вычисляют как отношение количества более лимитированных аминокислот, присутствующих в исследуемом белке, к количеству этих аминокислот, содержащихся в эталонном белке (белок куринного яйца). При расчете питательной ценности съедобных грибов нужно учесть не только лишь количество связанных, но и свободных аминокислот.Чаще всего в составе лимитированных аминокислот встречаются, так называемые серосодержащие аминокислоты, лейцин, изолейцин, валин, лизин, ароматические аминокислоты, треонин и триптофан. Индекс питательности грибов ниже, чем мяса, но грибы высокого качества все таки наиболее питательны, чем овощные культуры и бобовые, кроме соевых бобов. В дальнейшем, все же, роль грибов как одного из продуктов питания будет возрастать в связи с ростом белкового недостатка. Следовательно полезная ценность вводимых в производство новых разновидностей и штаммов съедобных грибов, в первую очередь содержание белка, должна непременно учитываться как важный фактор необходимости их применения в качестве объектов промышленной культуры.

В чем же преимущество сухих грибов перед свежими?

Излучение солнца имеет электромагнитную колебательную природу и носит непрерывный характер. Этот спектр излучений можно разделить на несколько областей: рентгеновское излучение – ниже 2 нм, УФ-излучение – от 2 нм до 400 нм, видимый участок спектра – от 400 нм до 750 нм и инфракрасное излучение – выше 750 нм. Биологическая роль каждого вида излучений имеет свои характерные особенности. Энергия квантов УФ- излучения (70-140 ккал/моль) превосходит энергию активации большинства химических реакций. Поэтому УФ-радиация является весьма фотохимически активной частью спектра. Рассматриваемый спектр УФ-излучений, имеющих биологическое значение подразделяется на три диапазона по своей проникающей способности и фотохимической активности – область А (400-320 нм), В (320-275 нм) и С (275-180 нм). В настоящее время в фотобиологии принято также выделять так называемый экологический диапазон (400-295 нм) и УФ-излучение искусственных источников (короче 295 нм).

Основные биофизические процессы происходят на электронном уровне. Процессы перемещения электронов названы фотоэлектрическим эффектом. В результате таких процессов атомы и молекулы активизируются, изменяются электрические свойства и дисперсность коллоидов клеток, что сказывается на их жизнедеятельности.

УФ-излучение, взаимодействуя с веществом, в том числе и органическим, часто вызывает его ионизацию, так называемый фотоэлектрический эффект. Именно фотохимический путь разрядки возбужденных электронных состояний играет решающую роль в механизме биолог-ического действия УФ-излучения. Нуклеиновые кислоты и белки непосредственно поглощают кванты УФ-излучения с максимумами соответственно 260 нм и 280 нм. Молекулярные механизмы биологического действия УФ-излучения могут быть разделены на три основные группы: изменение структуры и функции ДНК, разрушение белков и повреждение биомембран. Эти процессы лежат в основе всех фотопроцессов, развивающихся на уровне клетки.

Под действием солнечного ультрафиолета, имеющего коротковолновую границу-285нм, наибольший вклад в повреждение белков дают ароматические аминокислоты триптофан, фенилаланин, тирозин (можно предположить и треонин), гетероциклические (гистидин) и серосодержащие (цистин) аминокислоты. Триптофан поглощает УФ-излучение с максимумами при 220 нм и 280 нм, а флуоресцирует в зависимости от микроокружения в белках при 328-350 нм. Тирозин поглощает УФ-излучение при 222 нм и 275 нм, а флуоресцирует при 303 нм, фенилаланин – соответственно при 258 нм и 282 нм. Цистин монотонно поглощает излучение в области 200-300 нм и не флуоресцирует. Решающее значение в повреждающем воздействии УФ-излучения играет положение этих аминокислот. Деструкция аминокислотных остатков, входящих в активный центр белка или влияющих на их конформацию будет в конечном итоге приводить к потере функциональной активности данного белка. Наиболее чувствительными в этом плане являются триптофан и цистин. Поглощенная остатками тирозина, фенилаланина, гистидина и цистина энергия света способна мигрировать к триптофану, вызывая его деструкцию. В молекуле цистина при поглощении кванта УФ-излучения дисульфидная связь восстанавливается до тиоловых групп цистеина. Разрыв дисульфидных мостиков нарушает конформацию белка. Как отмечалось выше, белки повреждаются УФ-излучением главным образом из-за денатурации ÷и разрушения пептидных связей (((8); (9); [3]; [4]), следовательно, в ЖТК облегчается расщепление белков до аминокислот, а значит и улучшается перевариваемость таких белков. В будущем планируется лабораторное исследование и сравнение усвояемости белков чело-

веческим организмом сухих и свежих грибов (предварительно кулинарно обработанных) .

Итак, при УФ-облучении происходит нарушение комформации белка (3).

О нарушение комформации белка и разрыве пептидных связей УФ-излучением свидетельствуют ряд исследований ученых. Приведем часть из них:

1) Белки, как правило, поглощают УФ-излучение в трех областях главным образом благодаря поглощению пептидными связями, а также в связи с различными конформационными факторами. Очевидно, что поглощение УФ-излучения белками имеет весьма сложную природу. Если возрастание отрицательного вращения белков(в результате УФ-облучения) не сопровождается разрывом пептидных связей, оно всегда свидетельствует об изменении конформации белка, в основе которого лежат изменения в его вторичной и третичной структурах.

(Основы биохимии: В 3-х томах. Т. 1. (Principles of Biochemistry) [Djv-ZIP] Авторы: А.Уайт, Ф.Хендлер, Э. Смит, Р. Хилл, И. Леман. Перевод с английского В. П. Скулачева, Л. М. Гинодмана и Т. В. Марченко под редакцией и с предисловием Ю. А. Овчинникова (М.: Мир. Редакция литературы по химии, 1981. 200-203 с.).

2)...УФ-лучи разрушают хромофоры триптофан, тирозин, фенилаланин, гистидин, цистин, пептидную связь....При УФ-облучении белков может происходить миграция энергии с ароматических аминокислот на пептидную связь...Это позволяет предположить, что при фотоинактивации химотрипсина при 254 нм в первую очередь разрываются дисульфидные и пептидные связи.

Образование SH□групп и низкомолекулярных продуктов можно объяснить прямым поглощением УФ-лучей (254 нм) □S □ S □ и NH □CO □ связями, что сопровождается разрывом этих связей и изменением структуры этих молекул.

Увеличение количества низкомолекулярных продуктов возможно происходит в результате миграции энергии на пептидные группы с последующим разрывом пептидных связей вблизи ароматических аминокислот.

(Украинский Биохимический журнал №2.1976(стр.169-172)

Н. В. Конобасова «Действие УФ-радиации на растворы химотрепсина» Институт цитологии АН СССР Ленинград)

3) ...Это можно объяснить избирательностью поглощения пептидной связью, приводящей к её разрушению, при ВУФ облучении, преобладающем в космосе.

Увеличение дозы облучения как ВУФ (вакуумный ультрафиолет) так и УФ излучения приводит к распаду образовавшихся пептидов. Данный распад возможен по причине разрыва пептидной связи в результате одноквантового процесса поглощения ультрафиолета.

ВУФ характеризуется избирательным поглощением пептидной связи, приводящей к её разрыву. В случае □□радиации возбуждение электронных состояний происходит в результате соударений молекул с высокоэнергетическими электронами, появляющимися после поглощения □□квантов.

При облучении образовавшихся полипептидов проявляется избирательность поглощения пептидной CONH группой, приводящая к её разрушению, процесс распада продуктов реакции начинает конкурировать с процессом синтеза и в конечном счёте превалировать над процессами синтеза.

(Гонтарева Наталия Борисовна .Синтез органических веществ. предшественников первых живых систем под влиянием физических факторов космической среды 03.00.02. Биофизика, автореферат диссертации на соискание учёной степени кандидата физико-математических наук. Санкт-Петербург. 2003 г.)

4) ...Энергия любой биохимической реакции на световое воздействие - это в конечном счете какая-то часть энергии кванта света, запасенная при фотосинтезе. Действие ультрафиолетовых лучей на активность ферментов известна давно: инвертаза дрожжей, инактивизация лучами солнца пепсина и трипсина. В облученных белках происходит ряд химических и физико-химических изменений: разрушаются ароматические и гетероциклические кольца аминокислот, выделяется аммиак, увеличивается число реактивных сульфгидрильных групп, происходит разрыв пептидных связей, изменяется растворимость белка, его вязкость, молекулярный вес, величина изоэлектрической точки, спектры поглощения и т. д.

Как указано выше, ультрафиолетовые лучи, помимо снижения биологической активности белков, оказывают на них стимулирующее действие, что проявляется увеличением числа реактивных сульфгидрильных групп, изменением изоэлектрической точки белков, происходит разрыв пептидных связей. (www.blackpantera.ru/fizioterapija/20905/)

5) для УФС излучения с длиной волны 254 нм. Они демонстрируют в 3 раза большую чувствительность (□S□S□) сшивок по сравнению с триптофаном. Фотодеструкция фенилаланина, тирозина, а также пептидных связей намного менее существенна.

(ru/www/umr.umr_download)

6) … При рассмотрении этого вопроса следует принять во внимание и возможность обратных процессов, т. е. разрывов пептидных связей при поглощении фотонов.

...становится понятной ...разрывов пептидных связей... (А. А. Гурвич. Проблема митогенетического излучения как аспект молекулярной биологии.

Академия медицинских наук СССР, издательство »Медицина». Ленинградское отделение. 1968 г.)

Энергия пептидной связи составляет Есв=3.11 эВ.

Энергия ультрафиолетового излучения приводится в некоторых учебниках по физике.Ее можно также и вычислить. Энергия каждого фотона определяется формулой E = hv, где h — постоянная Планка, равная 6,62606Х×10−34 Дж·с , v — частота света.

Ультрафиолетовое излучение

Длина волны в нанометрах

Ближний — 400 нм — 300 нм; Количество энергии на фотон 3.10 — 4.13 эВ

Длина волны в нанометрах

Средний — 300 нм — 200 нм;

Количество энергии на фотон — 4.13 — 6.20 эВ

Длина волны в нанометрах

Дальний 200 нм — 122 нм; Количество энергии на фотон — 6.20 — 10.2 эВ

Как видим из таблицы, уже ближний ультрафиолет несет энергию свыше 3.1 эВ и следовательно,способную разрушить пептидную связь с энергией связи 3,11 эВ.

Для приготовления сухих грибов, сухофруктов и высушивания лекарственных растений в Аграрном университете была разработана и сконструирована гелиосушилка (рис. №1.)

1 — коллектор;
2 — камера для сушки;
3 — темная(черная ткань);
4 — кассеты,а которых находится теплоудерживающее вещество(5);
6 — шарнир;
7 — всасывающее отверстие;
8 — циркуляционная труба;
9 — пластина с отверстиями;
10 — кассета с продуктами для сушки;
11 — Щит;
12—покрытие (стекло, полиэтилен и т.д.).

Гелиосушильное устройство содержит сушильную камеру 2, к которой с возможностью поворота вокруг осей 6 соединен коллектор 1. Коллектор 1 с верхней стороны накрыт темной (черной) тканью или жестью, выкрашенной в черный цвет. Коллектор 1 сверху закрыт светопроницаемым покрытием (стеклом, полиэтиленом и т.д.). В нижней части коллектора 1 расположено всасывающее отверстие 7. Циркуляционная труба 8 соединена с сушильной камерой 2. В месте их соединения размещена пластина 9.Внутри коллектора 1 размещаются кассеты 4 с теплоудерживающим веществом 5,а внутри сушильной камеры – кассеты 10 с продуктом, подлежащим сушке. Сушильная камера 2 снабжена щитом 11, через которого производится загрузка или выгрузка кассет. Под нижним концом коллектора 1 размещен механизм 12, обеспечивающий подъем или опускание данного конца коллектора.

Через щит 11 производится загрузка кассет 10 с высушиваемым продуктом, после чего сушильная камера 2 герметично закрывается. Сквозь остекленненное перекрытие солнечное излучение воздействует на сырье и осуществляет сушку. Образовавшиеся при сушке пары переходят в циркуляционную трубу 8. Ввиду того,что камера 2 размещена выше нижнего конца коллектора,возникает воздушная тяга, которая вынуждает воздух (и образованные за счет сушки пары) перемещаться внутри трубы 8-производится циркуляция воздуха. Указанной циркуляции способствует воздух, нагреваемый внутри коллектора 1. В данном устройстве солнечное излучение нагревает темную ткань 3 и, размещенное в кассетах 4, теплоудерживающее вещество 5. Нагретый в коллекторе 1 воздух перемещается вверх-в сушильную камеру 2 и соприкасаясь с продуктом – способствует его нагреванию и сушке. Одновременно, движение нагретого в коллекторе 1 воздуха улучшает условия его циркуляции.

После окончания процесса сушки, высушенный продукт вместе с кассетами 10 выгружается из камеры 2 через щит 11.

Рис.№1.



В предложенной конструкции были высушены до 10 видов сельскохозяйственного сырья, в том числе грибы «вешенка». Приводим результаты сушки указанного гриба. Для наглядности результаты исследований (изменения массы продукта в гелиосушилке и естественной сушкой на солнце в дневное время) приведены на графиках (рис. №2 и рис. №3). Красным цветом (линия 1) показана сушка грибов в гелиосушильном устройстве,синим (линия 2) - естественной сушкой.

Рис.№2.
1 день сушки



Рис. №3.
2 день сушки



Изменение массы высушиваемого продукта (вешенки) в течении дня с 10.00 часов по 20.00 часов:

1 — изменение массы продукта в гелиосушильном устройстве;

2 — изменение массы продукта естественной сушкой на открытом воздухе.

Из полученных данных видно, что грибы в гелиосушильном аппарате до готовности были доведены за 10 часов,а на открытом воздухе за 34 часа (1 сутки+10 часов). Отметим также, что грибы, высушенные в г/с хранятся значительно лучше грибов, высушенных на солнце (сушеные грибы гигроскопичны и их хранение составляет определенную сложность). Малая масса и повышенная стойкость сушёных грибов значительно упрощают их хранение. По своей питательности и усвояемости сушёные грибы превосходят солёные и маринованные. По содержанию белков сушёные грибы превосходят консерви-рованные. Установлено, что в сушеных грибах содержится до 30% белка — больше, чем в мясе и рыбе. Из белых грибов и подосиновиков биохимики выделили 20 аминокислот. По своей питательной ценности белок, содержащийся в белом грибе, шампиньоне, подберезовике, дождевике и лисичке, не уступает животным белкам.

КЕТЕВАН АРЧВАДЗЕ

ТЕОРЕТИЧЕСКОЕ ИССЛЕДОВАНИЕ ВЛИЯНИЯ ФОТОНОВ СОЛНЕЧНОГО ИЗЛУЧЕНИЯ НА БЕЛКОВЫЕ МОЛЕКУЛЫ ГРИБОВ В ПРОЦЕССЕ СУШКИ

Р е з ю м е

Грибы обладают высокой пищевой ценностью и пользуются устойчиво высоким спросом на рынке в европейских и других странах мира. Главная ценность их заключается не только в питательности, а в том, что они улучшают вкусовые качества других продуктов, и, способствуя выделению желудочного сока, повышают их перевариваемость, также способны «очистить» организм,благодаря содержащейся в них клетчатке, которая является хорошим сорбентом. Для лучшего усвоения самих грибов рекомендуется их сушить на солнце и мелко измельчить или готовить из них порошок. Это объясняется тем,что при солнечной сушке грибов в белках происходит поглощение УФ-излучения пептидной связью, приводящей к её ослаблению или разрушению. В результате солнечной сушки белки, содержащиеся в грибах, а также в комплексе с хитином, подвергаются разрушению (нарушение комформации белка и разрыв пептидных связей). Для облегчения сушки грибов и других с/х продуктов в Аграрном университете была разработана и успешно прошла испытание гелиосушильная установка.

Литература:

1. www.nicelady.ru
2. www.library.biophys.msu.ru/rubin/2041030.pdf
3. Артюхов В. Г., Наквасина М. А., Вашанов Г.А., Башарина О.В., Гусинская В. В., ОЛИГОМЕРНЫЕ БЕЛКИ: МОДУЛЯЦИЯ УФ-ЧУВСТВИТЕЛЬНОСТИ И ЗАКОНОМЕРНОСТИ ФОТОХИМИЧЕСКИХ ПРЕВРАЩЕНИЙ. Издание: Радиационная биология. Радиоэкология.2001
4. Владимиров Ю.А., Потапенко А. Я. Физико-химические основы фотобиологических процессов. М.: Высш. шк., 1989. 200 с.
5. Владимиров Ю. А. Свободные радикалы в первичных фотобиологических процессах // Биол. мембраны. 1998. Т. 15, вып. 5. С. 517-529.
6. Скурихин, И. М. Все о пище с точки зрения химика. Справ, издание И. М. Скурихин, А. П. Нечаев. М.: Высш. шк., 1991. 288 с.
7. Optimum operating conditions in drying foodstuffs with superheated steam .Elustondo D. M., Mujumdar A. S., Urbicain M. J. Drying Technol. 2002. 20, №2. -P.381-402.
8. Горленко М. В. Грибы как источник пищевых белков // Микология и фитопатология. Л: Наука, 1983. - Т. 17. - Вып. 3. - С. 177-181.
9. Карговский А. В., Митрофанов В. В., Романовский Ю.М. РОЛЬ ВЫСОКОДОБРОТНЫХ КОЛЕБАНИЙ АКТИВНЫХ КАТАЛИТИЧЕСКИХ ГРУПП В ФУНКЦИОНИРОВАНИИ МОЛЕКУЛЯРНЫХ НОЖНИЦ. Физический факультет Московского Государственного Университета им. М. В. Ломоносова. Москва. Физический факультет МГУ. 2007 г – 62с.
10. Детлаф А. А., Яворский Б. М., Курс физики — 5-е изд. М.: ACADEMA, 2005. — С. 497—500. 720 с.
11. Физический энциклопедический словарь. Гл. ред. А. М. Прохоров. Ред. кол. Д. М. Алексеев, А. М. Бонч-Бруевич, А. С. Боровик-Романов и др. М.: Сов. Энциклопедия, 1984. — 544. -903 с.

დავით ჯაფარიძე
ზვიად გაჩეჩილაძე
ნინო მაღრაძე

საქართველოს ელექტროენერგეტიკის მენეჯმენტის ბიზნეს-ინჟინერინგის პრინციპებზე ფორმირების პრობლემები და მათი გადაჭრის გზები

უკანასკნელ ათწლეულებში მსოფლიოს მასშტაბით მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა ელექტროენერგეტიკული ტექნოლოგიების განვითარების კუთხით. ამ პერიოდში მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში შეიცვალა ელექტროენერგეტიკის მართვის ტექნოლოგიური ხასიათი და მენეჯმენტის პრინციპები. სწრაფმა ტექნოლოგიურმა პროგრესმა და ახალმა ეკონომიკურმა გამოწვევებმა დააჩქარა ელექტროენერგეტიკული სექტორის განვითარების პროცესი და მოახდინა მისი გადასვლა ბიზნეს-განზომილებაში. ელექტროენერგეტიკული სექტორის ფუნქციონირების ეფექტიანობის ზრდას თან ახლდა მომხმარებლების მხრიდან ელექტროენერგიაზე ტარიფების ოპტიმიზაციის, მისი ხარისხისა და ელექტრომომარაგების საიმედოობის გაზრდის მოთხოვნა. კომუნალური სექტორისა და სწრაფად მზარდი ეკონომიკების მიერ ელექტროენერგიაზე გაზრდილი მოთხოვნილების ეფექტური დაკმაყოფილება შესაძლებელი გახდა მას შემდეგ, რაც მიღწეული იქნა ელექტროენერგეტიკული დარგების კომერციალიზაციის და ტექნოლოგიური განვითარების სინქრონიზაცია. სწორედ ამ ორი მიმართულების ინტეგრირებულ განვითარებას უწოდებენ ბიზნეს-ინჟინერინგს [1, 15].

მიუხედავად იმისა, რომ ბიზნეს-ინჟინერინგის ცალკე მიმართულებად ჩამოყალიბება მოხდა, გასული საუკუნის 90-ანი წლებიდან მისი აქტუალობა ყოველდღიურად იზრდება, განსაკუთრებით ისეთი კაპიტალტევადი დარგის ინოვაციურ ბიზნეს-პროცესებში, როგორიცაა ელექტროენერგეტიკა. აღნიშნულიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ელექტროენერგეტიკაში არსებული ტექნოლოგიური, საორგანიზაციო-მმართველობითი და ეკონომიკური პროცესები შეიძლება გაერთიანდნენ ბიზნეს-ინჟინერინგის ცნების ქვეშ და ამ დარგის ფორმირება მოხდეს ზემოთ მოყვანილი პრინციპების საფუძველზე.

იმისათვის, რომ საქართველოს ელექტროენერგეტიკის მენეჯმენტი პასუხობდეს ბიზნეს-ინჟინერინგის მოთხოვნებს აუცილეელია შემდეგი ამოცანების გადაწყვეტა:

- საქართველოს ელექტროენერგეტიკაში კონკურენტული გარემოს შექმნა;
- დარგში ეკონომიკური და ბიზნეს-პროცესების მოდელირება;
- ენერგოკომპანიების ფუქნციონირების ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდა წარმოების დანახარჯების შემცირებით;
- ელექტროენერგიის ტარიფების დაახლოება მოთხოვნა-მიწოდებით განსაზღვრულ კონკურენტულ ფასთან;
- მომსახურების ხარისხის ზრდა;
- არსებულის განახლებისა და ახალი ენერგოეფექტური სიმძლავრეების შესაქმნელად ინვესტიციების მოზიდვა.

მსოფლიოში არსებული ტენდენციების შესაბამისად, საქართველოს ელექტროენერგეტიკის მენეჯმენტში საბაზრო პრინციპებისა და კონკურენციის დასანერგად დარგის ეტაპობრივი რეფორმირება დაიწყო დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ წლებში. მისი დანიშნულება იყო დარგის ტრანსფორმირება, ვერტიკალურად ინტეგრირებული მონოპოლიიდან ელექტროენერგიის ბაზრის სრულ გახსნილობამდე. როგორც ცნობილია, კონკურენციის თვალსაზრისიდან გამომდინარე, ელექტროენერგიის ბაზარზე არსებობს 4 ფუნდამენტური მართვის მოდელი [2].

ამჟამად საქართველოს ელექტროენერგეტიკაში მოქმედებს მართვის მესამე მოდელი, რომელიც გულისხმობს კონკურენციას საბითუმო ბაზარზე. მომხმარებლებს უფლება ეძლევათ თავად ამოირჩიონ მომწოდებლები, რაც წარმოშობს კონკურენციას ელექტროენერგიის წარმოებასა და საბითუმო მიწოდებაში. მწარმოებლები დებენ ორმხრივ კონტრაქტებს ელექტროენერგიის მიწოდებაზე.

საქართველოს ელექტროენერგეტიკის მართვის მესამე მოდელზე გადასვლა განპირობებული იყო იმით, რომ მეორე მოდელით მართვის პირობებში ელექტროენერგეტიკული დარგის მუშაობაზე უარყოფით გავლენას ახდენდა ელექტროენერგიის საფასურის ამოღების დაბალი მაჩვენებელი და სისტემაში ელექტროენერგიის მაღალი დანაკარგები. დარგში, სადაც ელექტროენერგიის წარმოებისა

და მომსახურეობის ყველა ეტაპზე ტარიფები ფიქსირებული იყო, ყოველი არგადახდა შესაბამისად იწვევდა ტარიფით გათვალისწინებული ხარჯების დაუფინანსებლობას. ყოველწლიურად იზრდებოდა საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის ("სესბ"-ის) სატრანსფერო ანგარიშების მიმართ დავალიანება. 2006 წლის ბოლოსათვის "სესბ"-ის მიმართ ჯამური დავალიანება შეადგენდა 890 მლნ. ლარს, ხოლო თავად გააჩნდა 927 მლნ. ლარის დავალიანება წარმოებისა და სხვა მომსახურე ორგანიზაციების მიმართ [13]. საბითუმო ბაზარი ელექტროენერგიის მყიდველებისაგან შემოსულ ფულად სახსრებს უნაწილებდა გენერაციის ობიექტებს, გადაცემისა და დისპეტჩერიზაციის ლიცენზიანტებს. ხშირად ბაზარზე შემოსული თანხები ნაწილდებოდა სუბიექტური მიდგომით, რაც განაწილების სამართლიანი მექანიზმის შექმნის აუცილებლობაზე მიგვითითებდა. ცხრილ №1-ში შეტანილია "სესბ"-ის მიერ გადახდილი და ამოღებული თანხების მაჩვენებლები. წლების მიხედვით ის ნათლად ასახავს იმდროინდელ სავალალო მდგომარეობას.

"სესბ"-ის მიერ გადახდილი და ამოღებული თანხების მაჩვენებლები 2000-2006 წ.წ

ცხრილი №1

	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006
სესბ-ის მიერ გადახდილი თანხების მაჩვენებლები 2000-2006 წწ. (გადახდა დარიცხვის %)	30%	26%	56%	48%	41%	56%	42%
სესბ-ის მიერ ამოღებული თანხების მაჩვენებლები 2000-2006 წწ. (გადახდა დარიცხვის %)	22%	34%	85%	60%	44%	48%	36%

"სესბ"-ის ფუნქციონირების პერიოდში (2000-2006 წწ.), ელექტროენერგიის წარმოება საქართველოში არათუ გაიზარდა, არამედ შემცირდა (იხ. ცხრილი №2). იმპორტის წილი საგრძნობლად გაიზარდა, ხოლო ექსპორტის წილი მნიშვნელოვნად შემცირდა. ტექნიკური დანაკარგები გადაცემის ქსელში ნორმით დადგენილს აღემატებოდა. დატაცების ან აღურიცხაობის მიზეზით, განაწილების ქსელში იკარგებოდა ელექტროენერგიის 25% [3].

საქართველოს ელექტროენერგიის ბალანსი 2000-2006 (მლნ.კვტ.სთ)

ცხრილი №2

წარმოება	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006		
							სულ	სესბ	ესკო
შიდა გენერაცია	7,217	6,738	7,120	7,008	6,705	6,880	7,420	4,735	2,685
იმპორტი	600	790	728	1,066	1,278	1,399	777	717	60
ჯამი	**7,817**	**7,528**	**7,848**	**8,074**	**7,983**	**8,279**	**8,197**	**5,452**	**2,745**
მოხმარება									
შიდა მოხმარება	6,764	6,150	6,369	6,691	7,404	7,843	7,882	5,263	2,619
ექსპორტი	205	527	245	232	71	122	83	34	49
ჯამი	**6,969**	**6,677**	**6,614**	**6,923**	**7,475**	**7,965**	**7,965**	**5,297**	**2,668**
დანაკარგები %	**10.85**	**11.30**	**15.73**	**14.26**	**6.38**	**3.80**	**2.83**	**2.85**	**2.80**

საბითუმო ბაზრის საქმიანობასა და სტრუქტურაში აუცილებელი იყო მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელება. სხვა შემთხვევაში, "სესბ"-ი, რომელსაც ისედაც არაკონტროლირებადი ვალები ჰქონდა დაგროვილი, ვერ შეძლებდა მისი უპირველესი ფუნქციის შესრულებას – ბაზრის მეშვეობით მოძრავი ფულადი სახსრების მიმოქცევის მონიტორინგს, კონტროლს და თანაბარ განაწილებას.

შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, 2006 წლიდან საქართველოს ელექტროენერგეტიკა გადავიდა მართვის მესამე მოდელზე. საბითუმო ბაზრის ბაზაზე შეიქმნა ელექტროენერგეტიკის კომერციული ოპერატორი (ესკო), მოქმედებაში შევიდა "ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესები".

"ესკო", დაბალანსების უზრუნველყოფის მიზნით, ყიდულობს და ყიდის საბალანსო ელექტროენერგიას, აგრეთვე სარეზერვო სიმძლავრეს. ახალი საბაზრო წესების მიხედვით [4, 20] "ესკო"-ს ფუნქციონირების დაწყების პარალელურად, ენერგოსექტორის ლიცენზიატები, კვალიფიციური საწარმოები (გამანაწილებელი კომპანიები, რომელთა წლიური განაწილება აღწევს 120 000 000 კვტ.სთ-ს, მომხმარებლები რომელთა წლიური მოხმარება აღწევს 7 000 000 კვტ.სთ-ს) აფორმებენ მოკლევადიან (1

თვე) და გრძელვადიან პირდაპირ კონტრაქტებს ელექტროენერგიის ყიდვა-გაყიდვაზე, კონტრაქტები ფორმდება მომხმარებლებსა და მწარმოებლებს შორის, ხოლო საბალანსო სიმძლავრის შესყიდვაზე ხელშეკრულება ფორმდება კომერციულ ოპერატორთან.

აღნიშნულის გათვალისწინებით ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ვაჭრობის სქემას ექნება შემდეგი სახე (იხ. ნახ. №1).



ნახ. №1. საქართველოში ელექტროენერგიით (სიმძლავრით) ვაჭრობის სქემა

- ⟷ პირდაპირი ხელშეკრულებები ელ.ენერგიის ყიდვა/გაყიდვაზე
- ━━━ საბალანსო ელ.ენერგია
- - - - - - - სიმძლავრის სასისტემო რეზერვი
- ■ ■ ■ ■ ■ ხელშეკრულებები ელ.ენერგიის ყიდვა/გაყიდვაზე
- ——— პირდაპირი ხელშეკრულებები ელ.ენერგიის გადაცემა/დისპეტჩერიზაციის მომსახურებაზე

საქართველოს ელექტროენერგეტიკაში გატარებულმა რეფორმებმა დადებითი ასახვა ჰპოვა ქვეყნის ელექტროენერგიის ბალანსებში. 2007-2011 წლებში ელექტროენერგიის წარმოება საქართველოში გაიზარდა. იმპორტის წილი საგრძნობლად შემცირდა, ხოლო ექსპორტის წილი მნიშვნელოვნად გაიზარდა. შემცირდა ქსელში ელექტროენერგიის დანაკარგებიც (იხ. ცხრ. №3).

საქართველოს ელექტროენერგიის ბალანსი 2007-2011 (მლნ.კვტ.სთ).

ცხრილი №3

	2007	2008	2009	2010	2011
წარმოება					
შიდა გენერაცია	8346	8441	8402	10041	10104
იმპორტი	434	649	255	224	471
ჯამი	8780	9090	8657	10264	10575
მოხმარება					
შიდა მოხმარება	7812	8411	7908	8740	9256
ექსპორტი	634	679	749	1524	931
ჯამი	8446	9090	8657	10264	10187
დანაკარგები %	1,94	1,93	1,66	1,74	1,84

მესამე მოდელზე გადასვლით მოგვარდა მრავალი გადაუჭრელი პრობლემა, გაიზარდა ელექტროენერგიის საფასურის ამოღების მაჩვენებელი, პრაქტიკაში დაინერგა ორმხრივი კონტრაქტების სისტემა, დარგში მიღწეულია ფინანსური სტაბილურობა. მიუხედავად ამისა საქართველოს ელექტროენერგეტიკაში თავი იჩინა მართვის ამ მოდელისათვის დამახასიათებელმა ნაკლოვანებებმა, რომლებმაც სრული სიმწვავით იჩინა თავი საქართველოში [8]:

- ელექტროენერგიის მიწოდების საქმიანობა გაიგივებულია განაწილების საქმიანობასთან;
- არ არის შემუშავებული და სათანადო ორგანოების მიერ დამტკიცებული ელექტრულ ქსელზე მესამე მხარის თავისუფალი დაშვების და ქსელზე მიერთების წესისა და საფასურის დადგენის პრინციპების სრულყოფილი ნორმატივები;
- სისტემის დამოუკიდებელი ოპერატორის და რეალური დროის ბაზრის არარსებობა და ბაზრის ბალანსირების პასიური არაინტერაქტიული სისტემა;
- დღემდე არ არის შემუშავებული ტარიფების მოქნილი მეთოდოლოგია და პროგრამული უზრუნველყოფა;
- ადგილი აქვს საცალო ტარიფების დაუსაბუთებლად გაზრდას და მისი ეფექტური (კონკურენტული) სიდიდიდან მნიშვნელოვან გადახრას, სათანადო დასაბუთების გარეშეა გაზრდილი გადაცემა-განაწილების ტარიფის წილი ელექტროენერგიის ტარიფში, რომლის წილი საცალო ტარიფში შეადგენს 2/3-ს. მაშინ როდესაც მისი სიდიდე ელექტროენერგიის ტარიფში 1/3-ის ირგვლივ უნდა მერყეობდეს [8].

მოყვანილი ნაკლოვანებები ძირითადად განპირობებულია იმით, რომ მართვის ამ მოდელით ვერ მოხერხდა ელექტროენერგიის წარმოების და მოხმარების სფეროებში სრულყოფილი კონკურენტული გარემოს შექმნა, უპირველეს ყოვლისა იმის გამო, რომ დარგის ფუნქციონირება ბიზნეს-პროცესების ჭრილში არ არის განხილული და მისი მართვა არ ეფუძვნება ბიზნეს ინჟინერინგის პრინციპებს.

საქართველოს ელექტროენერგეტიკაში შექმნილი მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მართვის მესამე მოდელი შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ როგორც შუალედური მოსამზადებელი მოდელი იმისათვის, რომ ქვეყანამ დროულად და უმტკივნეულოდ შეძლოს ევროკავშირის ქვეყნების ელექტროენერგეტიკული სექტორის მართვის პრინციპებთან ჰარმონიზაცია, საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დარგში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების თაობაზე დადგენილებების და ევროსაბჭოს დირექტივებით განსაზღვრული ვადების შესაბამისად [13, 18, 22]. ევროკავშირის სახელმწიფოების ენერგოსექტორის მართვის პრინციპებთან ჰარმონიზაციის უზრუნველსაყოფად ელექტროენერგეტიკული ბაზრის გახსნის პროცესი გაწერილია 2017 წლამდე და მიღებულია, რომ ამ პერიოდისათვის ყველა მომხმარებელს უნდა ჰქონდეს თავისუფალი არჩევანის საშუალება და ელექტროენერგეტიკა უნდა გადავიდეს მართვის მეოთხე, კონკურენტულ მოდელზე, რომელიც სრულად პასუხობს ბიზნეს-ინჟინერინგის მოთხოვნებს.

ამ შემთხვევაში ყველა მომხმარებელს მიეცემა საშუალება თავად აირჩიოს მომწოდებელი. გენერაცია, გადაცემა, განაწილება და პროდუქციის გასაღება ერთმანეთისგან უნდა იყოს სრულად გამიჯნული. მწარმოებლები, დისტრიბუტორები, გადამყიდველები და მსხვილი მომხმარებლები კონკურენტული ფასწარმოიქმნის ბაზაზე ერთიანდებიან “პულში” – თვითორგანიზებად სავაჭრო სისტემაში გარკვეული წესებით ბაზარზე სამუშაოდ.

ცნობილ მეცნიერთა მიერ ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ არ არსებობს ელექტროენერგეტიკის მართვის კონკურენტული მოდელის ისეთი ფორმა, რომელიც მისაღები იქნებოდა ყველა ქვეყნისათვის. ეს გარემოება განპირობებულია ქვეყნების მართვის სისტემების ფორმირების თავისებურებებით, რეფორმების პოლიტიკური და ეკონომიკური პირობების მნიშვნელოვანი განსხვავებით. ამასთან ერთად, საბაზრო ურთიერთობებზე ორიენტირებული ენერგოსისტემების გამართული ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საჭირო გახდა მსოფლიო მასშტაბით ელექტროენერგეტიკის დარგებს შორის კონსენსუსის მიღწევა, რომელიც ასახულია ევროპარლამენტის მიერ 2009 წელს დამტკიცებული მე-3 პაკეტის დირექტივაში და რეგულაციებში [8, 22].

საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის უზრუნველსაყოფად აღნიშნული დირექტივიდან პირველი რიგის ამოცანად მიგვაჩნია ქვეყნის ელექტროენერგეტიკულ დარგში შემდეგი ძირითადი საკითხების გადაწყვეტა (იხ. ცხრილი №4).

ცხრილი №4

გადასაწყვეტი საკითხები	გადაწყვეტის გზები
I. რესტრუქტურიზაცია	ა) გენერაციის, გადაცემის, განაწილებისა და გასაღების საქმიანობის ვერტიკალური გამიჯვნა ბ) ჰორიზონტალური გამიჯვნა გენერაციისა და გასაღების სფეროების გ) სისტემის დამოუკიდებელი ოპერატორის შექმნა
II. კონკურენცია	ა) კონკურენცია საბითუმო და საცალო ბაზრებზე. ბ) გენერაციისა და გასაღების სფეროში შეღწევადობის სიადვილე გ) ბაზრის კონცენტრაცია
III. რეგულაცია	ა) დამოუკიდებელი რეგულატორის ჩამოყალიბება ბ) მესამე მხარისათვის ქსელზე დაშვება გ) გადაცემისა და განაწილების ინიციატივიანი რეგულირება
IV. მფლობელობა	ა) კერძო მფლობელების ხელშეწყობა ბ) არსებული სახელმწიფო საწარმოების პრივატიზება

მიუხედავად იმისა, რომ რესტრუქტურიზაციის შედეგად მოხდა გენერაციის, გადაცემის და განაწილების ვერტიკალური გამიჯვნა, განაწილების კომპანიებისათვის გენერაციის ობიექტების კერძო მფლობელობაში გადაცემამ აუცილებელი გახადა ჰორიზონტალური გამიჯვნის განხორციელება, ისეთი სახით, რომ გენერაციის, გადაცემის და განაწილების კომპანიებს საშუალება მიეცეთ მიიღონ გადაწყვეტილებები დამოუკიდებლად.

ელექტროენერგიის ბაზარზე კონკურენციის გასაზრდელად საჭიროა არსებული პრობლემების ძირეული ანალიზი და შესაბამისი საკანონმდებლო ხელშეწყობა, რათა შესაძლებელი გახდეს ბაზარზე არადისკრიმინაციული შეღწევადობა. სრულად უნდა იქნეს პრივატიზებული გენერაციის, გადაცემის და განაწილების ობიექტები.

აღნიშნულთან ერთად, დარგის სპეციფიკის და ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით საქართველოს რეალობასთან მაქსიმალურად ადაპტირებულ მართვის მოდელზე გადასასვლელად, აუცილებელია კომპლექსური მიდგომის საფუძველზე ჩატარდეს მეცნიერული კვლევები, დადგინდეს მართვის მეოთხე მოდელზე გადასვლის წინაპირობები, ხელისშემშლელი ფაქტორები, გამოიკვეთოს პრობლემები და დაისახოს მათი გადაჭრის გზები.

ელექტროენერგეტიკაში მენეჯმენტის კონკურენტული მოდელის დანერგვისათვის საჭიროა დარგში კონკურენციის კონიუნქტურული თავისებურებების შესწავლა და ახალ მოდელზე გადასვლისათვის მზადყოფნის ცნობილი კრიტერიუმებით [2] შეფასება.

ჩვენის აზრით ელექტროენერგეტიკის მართვის კონკურენტულ მოდელზე გადასვლისათვის მზადყოფნის მდგომარეობის სრულყოფილი შეფასება შესაძლებელია შემდეგი ძირითადი კრიტერიუმით: საბაზრო წილი, ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი, ნარჩენი შეთავაზების ინდექსი და რეგულატორის ძალა.

<u>ელექტროენერგიის ბაზრის</u> გახსნილობა განისაზღვრება გენერაციის ობიექტების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის საბოლოო მომხმარებელზე მიყიდვის ჯამური მაჩვენებლის (P_{Lm}) შეფარდებით სისტემის ჯამურ მოხმარებასთან (P_c).

$$MO = \frac{\sum P_{Lm}}{\sum P_c}\ (\%)\ MO = \frac{\sum P_{Lm}}{\sum P_c}\ (\%) \qquad (1)$$

აღნიშნული მაჩვენებელი გვიჩვენებს ფარდობით დამოკიდებულებას მოხმარებასა და მომხმარებლის მიერ მიმწოდებლის არჩევის საშუა-ლებას შორის. ამ კრიტერიუმით საქართველოში ელექტროენერგიის გახსნილობის ხარისხის შესაფასებლად მოძიებული იქნა ინფორმაცია ამჟამად საქართველოს ენერგობაზარზე არსებული სხვადასხვა პირდაპირი მომხმარებლების შესახებ, რომელთაც ,,ელექტროენერგიის (სიმძლავრის) ბაზრის წესების" შესაბამისად უფლება ეძლევათ პირდაპირი ხელშეკრულებების საფუძველზე მოახდინონ ელექტროენერგიის შესყიდვა. პირდაპირი მომხმარებლების რაოდენობა და შესყიდული ელექტროენერგიის აბსოლუტური მოცულობა მოყვანილია ცხრ. №5-ში.

პირდაპირი მომხმარებლების რაოდენობა და შესყიდული ელექტროენერგიის აბსოლუტური მოცულობა

ცხრილი №5

	2007	2008	2009	2010	2011
პირდაპირი მომხმარებლების მოხმარება (მლნ კვტსთ)	2013,0	2060,7	1711,3	2080,5	1798,6
პირდაპირ მომხმარებელთა რაოდენობა (წლის დასაწყისში)	9	9	8	9	7
პირდაპირ მომხმარებელთა რაოდენობა (წლის ბოლოს)	10	7	9	7	7

ანგარიშში გათვალისწინებულია მომწოდებელსა და ცხრილ №1-ში ნაჩვენებ მომხმარებლებს შორის პირდაპირი ხელშეკრულებებით შესყიდული ელექტროენერგიის მოცულობა. ჩატარებული ანალიზის შედეგები ასახულია ნახ. №2-ზე.



ნახ. №2. საქართველოს ელექტროენერგიის ბაზრის გახსნილობის ხარისხი

როგორც ნახაზი №3-დან ჩანს, საქართველოში ელექტროენერგიის ბაზრის გახსნილობის ხარისხი კლების ტენდენციით ხასიათდება, მისი მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჩამორჩება ევროკავშირის წევრი ქვეყნების მაჩვენებლებს, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში 100%-ს უტოლდებიან. ზოგიერთი ეკონომისტის [2] თვალსაზრისით, ბაზრის გახსნილობის ოპტიმალური დონე 60-70%-ია და აღნიშნული დამოკიდებულია ქვეყნის მოხმარების დონეზე და მომხმარებლის სტრუქტურაზე, აქედან გამომდინარე, არ შეიძლება ყველა ქვეყნისათვის მისაღები იყოს ბაზრის სრული გახსნილობა. ევროკავშირის წევრი ქვეყნების ენერგო ბაზრის გახსნილობის ხარისხი მოცემულია ნახ. №3-ზე.



ნახ. №3. ევროპის ქვეყნების ელექტროენერგიის ბაზრების გახსნილობის ხარისხი

საგულისხმოა, რომ საქართველოში პირდაპირი მომხმარებლებისათვის 2006 წლის სექტემბრიდან დაწესებული ელექტროენერგიის წლიური მოხმარების ზღვარი 30 მლნ.კვტ.სთ-დან 2009 წელს 15 მლნ კვტ.სთ-მდე, ხოლო 2010 წელს 7 მლნ კვტ.სთ-მდე შემცირდა. ბოლო პერიოდში ქვეყანაში მაინც ადგილი აქვს პირდაპირი მომხმარებლების რაოდენობის კლებას (იხ. ცხრილი №5). ეს გარემოება განპირობებულია ქვეყანაში არსებული გენერაციის ობიექტების სტრუქტურის მრავალფეროვნებით, გასაყიდი ელექტროენერგიის ფასების მნიშვნელოვანი განსხვავებებითა და თავისუფალ ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე დამკვიდრების გართულებით.

იმის საილუსტრაციოდ, რომ ელექტროენერგიის ბაზარზე ახალი საბაზრო წესების დამკვიდრება მომხმარებელს საშუალებას აძლევს მიიღოს დიდი ეკონომიკური ეფექტი, გაანალიზებულია საქართველოში მოქმედი ერთ-ერთი მსხვილი მომხმარებლის – კვალიფიციური საწარმოს (პირობითად კომპანია “X”) ელექტროენერგიის მოხმარებაზე დანახარჯების ეფექტიანობა. ნახ. №5-ზე ნაჩვენებია წლების მანძილზე მოხმარებული ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ღირებულების სიდიდეები თვეების მიხედვით, რომელიც მოიცავს ელექტროენერგიის გადაცემის, დისპეტჩერიზაციის, განაწილების, რეზერვის და გენერაციის კომპანიისათვის გადახდილი საფასურის კომპონენტებს. ეს ფასები შედარებულია ამ მომხმარებლის სადისტრიბუციო კომპანიის აბონენტად დარეგისტრირების შემთხვევაში შესაძლო ტარიფების სიდიდესთან. შედარებითი ეფექტიანობის ამსახველი შედეგები მოცემულია ნახ. №6-ზე.



ნახ. №4. ელექტროენერგიის ტარიფი კომპანია "X"-სათვის (თეთრი/კვტსთ)



ნახ. №5. კომპანია "X"-სათვის ელექტროენერგიის სამომხმარებლო ტარიფი

ნახ. №5-ზე ასახული მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აშკარაა, რომ ელექტროენერგიის ბაზარზე პირდაპირ მომხმარებლად დარეგისტრირების შემდგომ საწარმომ მნიშვნელოვანი ეკონომიკური ეფექტი მიიღო.

<u>ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსით</u> (HHI) წარმოებს მთელი ელექტროენერგეტიკული ბაზრის კონცენტრაციის გაზომვა. შესაბამისად ელექტროენერგიის მთელი ბაზრის კონცენტრაცია განისაზღვრება ფორმულით:

$$HHI = \sum_{i=1}^{n} s_i^2 \qquad (2)$$

სადაც, s_i წარმოადგენს სუბიექტების საბაზრო წილს.

დადგენილია [2], რომ HHI-ის მნიშვნელობა მერყეობს 0÷ 10 000 ფარგლებში და ელექტროენერგიის ბაზრის შეფასება ხდება სამი მაჩვენებლით:

როდესაც HHI<1000, ბაზარი არაკონცენტრირებულია;

1001<HHI<1800, ზომიერად კონცენტრირებულია ბაზარი და HHI>1801, მაღალკონცენტრირებულია.

მონოპოლიის შემთხვევაში მისი მნიშვნელობა 10 000-ის ტოლია, 5000-ს როდესაც 2 თანაბარი ზომის კომპანიები მონაწილეობენ ბაზარზე და უახლოვდება ნულს ბაზრის კონცენტრაციის შემცირებასთან ერთად [1]. ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი ფაქტობრივად წარმოადგენს კონკურენციის მიუკერძოებელ, რაოდენობრივ საზომს. აღნიშნული ინდექსის გამოთვლისას აუცილებელია კომპანიის <u>საბაზრო წილის დადგენა</u> ბაზარზე.

ჩვენს მიერ კონცენტრაციის შეფასების მიზნით მოძიებული იქნა [17] საქართველოში მოქმედი ელექტროსადგურების 2007-2011 წწ. ელექტროენერგიის წარმოების მონაცემები. ამ მონაცემების შესაბამისად, წლების მიხედვით დაანგარიშებული იქნა კონცენტრაციის სიდიდეები, შედეგები ასახულია ცხრ. №6-ში.

ხაბურდზიურს ტურისტულ ინფორმაციის ჩამოთვლილ გაყვანის ტიპიდან HHI-ის (ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის) გამოთვლა

ცხრილი №6

	გაზის ხარჯი	2007 წ.			2008 წ.			2009 წ.			2010 წ.			2011 წ.		
		მლნ კუბი	%	(%)2	მლნ კუბი	%	(%)2	მლნ კუბი	%	(%)2	მლნ კუბი	%	(%)2	მლნ კუბი	%	(%)2
1	შპს ,,ენგუმესი"	2904	33,07	1094	3130	34,39	1183	2956	34,13	1165	4301	41,8	1750	3323	36,1	1300
2	შპს ,,ცარდნილესი"	507,4	5,78	33,4	561,0	6,17	38,0	546,3	6,31	39,8	731,6	7,1	50,64	587	6,4	40,52
3	სს „ხრამი-1"	243,2	2,77	7,7	220,5	2,42	5,9	227,7	2,63	6,9	297,3	2,9	8,36	247	2,7	7,19
4	სს „ხრამი-2"	184,5	2,10	4,4	347,2	3,82	14,6	325,8	3,76	14,1	385,5	3,7	14,06	311	3,4	11,37
5	შპს ,,ცარციხე 2005"	763,3	8,69	75,60	763,4	8,39	70,38	798,4	9,22	84,94	814,5	7,9	62,77	785	8,5	72,55
6	სს „ენერგო-პრო ჯორჯია"	1497	17,05	290,65	1317,9	14,48	209,77	1529	17,65	311,57	1699,6	16,5	273,36	1511	16,4	268,82
7	შპს „საქართველოს საელექტროენერგეტიკო ენ. კორპორაცია"	433,5	4,94	24,38	755,1	8,30	68,86	336,3	3,88	15,07	206,6	2,0	4,04	433	4,7	22,07
8	შპს ,,ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"	397,2	4,52	20,47	427,6	4,70	22,08	474,9	5,48	30,06	562,9	5,5	29,98	466	5,1	25,54
9	შპს ,,აღმ. ენ.კორპორაცია"	101,7	1,16	1,34	94,4	1,04	1,08	138,2	1,60	2,54	141,8	1,4	1,90	119	1,3	1,67
10	სს „ზაპესი"	112,2	1,28	1,63	141,9	1,56	2,43	224,1	2,59	6,69	225,4	2,2	4,81	176	1,9	3,64
11	შპს ,,პრაიმ ენერჯი" (ინწოლბაზესი)	3,8	0,04	0,00	4,5	0,05	0,00	2,2	0,03	0,001	4,8	0,05	0,002	3,84	0,04	0,002
12	სს „კორპორაცია ქინძმარაული"	5,1	0,06	0,00	4,4	0,05	0,00	4,3	0,05	0,002	4,0	0,04	0,002	4,45	0,05	0,002
13	შპს ,,ენერგია პირველი"	–	–	–	–	–	–	1,3	0,02	0,000	4,6	0,05	0,002	2,97	0,03	0,001
14	შპს ,,ორბა-2008" (ზვარეთისესი)	–	–	–	–	–	–	–	–	–	0,68	0,01	0,000	0,68	0,01	0,000
15	შპს ,,აპესი"	1,50	0,017	0,000	2,80	0,031	0,001	3,50	0,040	0,002	5,01	0,049	0,002	3,20	0,035	0,001

16	შპს „ჯგბჯ" (ალეგეთაპესი)	1,80	0,021	0,000	0,20	0,002	0,000	0,60	0,007	0,000	3,51	0,034	0,001	1,53	0,017	0,000
17	შპს „ქცია 94" (დაშბაში)	3,60	0,041	0,002	6,30	0,069	0,005	5,60	0,065	0,004	7,23	0,070	0,005	5,68	0,062	0,004
18	შპს „კაბალეესი-2006"	0,00	0,000	0,000	1,70	0,019	0,000	5,00	0,058	0,003	6,10	0,059	0,004	3,20	0,035	0,001
19	შპს „ენტო" (მისაქციელი)	7,00	0,080	0,006	6,80	0,075	0,006	6,40	0,074	0,005	7,63	0,074	0,006	6,96	0,076	0,006
20	შპს „ბიცეულაპესი"	25,10	0,286	0,082	22,40	0,246	0,061	27,20	0,314	0,099	29,61	0,288	0,083	26,08	0,283	0,080
21	შპს „სქუმესი"	2,80	0,032	0,001	2,80	0,031	0,001	3,60	0,042	0,002	3,06	0,030	0,001	3,06	0,033	0,001
22	ტიბიფონესი	8,00	0,091	0,008	4,70	0,052	0,003	9,10	0,105	0,011	8,41	0,082	0,007	7,55	0,082	0,007
23	შპს „ხეთოფსიპესი"	0,70	0,091	0,008	0,30	0,052	0,003	0,30	0,105	0,011	0,61	0,082	0,007	0,48	0,082	0,007
24	შპს „ბაკეური" (მაჭახელაპესი)	7,80	0,089	0,008	7,80	0,086	0,007	7,70	0,089	0,008	6,58	0,064	0,004	7,47	0,081	0,007
25	შპს „კეხვიპესი"	0,80	0,009	0,000	0,80	0,009	0,000	0,00	0,000	0,000	0,00	0,000	0,000	0,40	0,004	0,000
26	შპს „ყაზბეგიპესი"	0,90	0,010	0,000	1,00	0,011	0,000	1,30	0,015	0,000	1,60	0,016	0,000	1,20	0,013	0,000
27	შპს „ენერგეტიკი"	0,70	0,008	0,000	0,90	0,010	0,000	0,60	0,007	0,000	1,12	0,011	0,000	0,83	0,009	0,000
28	შპს „ლორეშა"	0,00	0,000	0,000	0,00	0,000	0,000	0,00	0,000	0,000	0,00	0,000	0,000	0,00	0,000	0,000
29	დმანისპესი	0,20	0,002	0,000	1,00	0,011	0,000	1,10	0,013	0,000	1,01	0,010	0,000	0,83	0,009	0,000
30	შპს „სანალია"	0,70	0,008	0,000	3,80	0,042	0,002	4,90	0,057	0,003	3,12	0,030	0,001	3,13	0,034	0,001
31	შპს „სულორმესი"	–	–	–	–	–	–	2,80	0,032	0,001	2,93	0,029	0,001	2,87	0,031	0,001
32	შპს „ოკამი-2007"	–	–	–	–	–	–	3,10	0,036	0,001	2,32	0,023	0,001	2,71	0,029	0,001
33	შპს „ძუსთაფიპესი"	–	–	–	–	–	–	0,10	0,001	0,000	0,88	0,009	0,000	0,49	0,005	0,000
34	შპს „მტკვარი ენერგეტიკა"	1024,3	11,67	136,1	492,4	5,41	29,28	708,3	8,18	66,86	570,5	5,5	30,8	699	7,6	57,5
35	შპს „ფიფაუერი"	126	1,44	2,06	126,7	1,39	1,94	52,2	0,60	0,36	16,4	0,2	0,03	80	0,9	0,76
36	იმპორტი	433,2	4,93	24,35	649	7,13	50,87	254,8	2,94	8,65	222,1	2,2	4,67	390	4,2	17,89
სულ რესურსი		**8779**	**100**	–	**9100**	**100**	–	**8663**	**100**	–	**10280**	**100**	–	**9215**	**100**	–
HHI		**1716**			**1698**			**1752**			**2236**			**1830**		

ცხრილ №6-ში ასახული მონაცემებიდან ირკვევა, რომ ბოლო 4 წლის განმავლობაში კონცენტრაციის სიდიდე 1716-დან 2010 წელს 2236-მდე გაიზარდა. საქართველოს ელექტროენერგიის ბაზარი ზომიერად კონცენტრირებულიდან გადავიდა მაღალკონცენტრირებულზე. ეს აიხსნება საქართველოში ელექტროენერგიის ძირითადი მწარმოებლის ენგურჰესის გამომუშავების საგრძნობი გაზრდით, კერძოდ, 2010 წელს ენგურჰესის მიერ წარმოებული ელექტროენერგიის წილმა საერთო წარმოების 41.8%-ი შეადგინა.

როგორც ანალიზი გვიჩვენებს, იმისათვის რომ საქართველოში ელექტროენერგეტიკული ბაზარი გახდეს არაკონცენტრირებული წარმოების ზრდამ უნდა მიაღწიოს დაახლოებით 6000 მლნ კვტ. სთ. პროგნოზირებისათვის ჩვენს მიერ შესწვლილი იქნა საქართველოში მშენებარე ახალი ელექტროსადგურების ექსპლუატაციაში შესვლის ვადები, ელექტროენერგიის წარმოების დაგეგმილი მოცულობები და შესაბამისი ანგარიშის შედეგად დადგინდა რომ 2017 წელს ხუდონჰესის ექსპლუატაციაში შესვლის შემდგომ ბაზარი არაკონცენტრირებული გახდება.

აქედან გამომდინარე, საქართველოში მიმდინარე მშენებარე პროექტების [21] დადგენილ ვადებში განხორციელების შემთხვევაში ამ ამოცანის გადაწყვეტა სავსებით რეალურია. ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის ცვალებადობის დინამიკა ასახულია ნახ. №6-ზე.



ნახ. №6. ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსის დინამიკა

საგულისხმოა, რომ 2007 წლის მონაცემებით, ევროკავშირის 25 წევრი ქვეყნიდან მხოლოდ 8 იყო საშუალოდ კონცენტრირებული ელექტროენერგეტიკული ბაზრის მქონე, 12 მაღალი კონცენტრაციის, ხოლო 5 მათგანი ძალზედ მაღალი კონცენტრაციით ხასიათდებოდა. რაც შეეხება საქართველოს, ამჟამად გენერაციის ობიექტების უმრავლესობა პრივატიზებულია და კერძო საკუთრებას წარმოადგენს.

<u>ნარჩენი შეთავაზების ინდექსი</u> – აფასებს მომხმარებელთა მოთხოვნილების დაკმაყოფილებას და კომპანიისათვის ზომავს ბაზარზე დარჩენილ მიწოდების სიმძლავრეს პროცენტებში, მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელი კომპანიის მიერ ბაზარზე შეთავაზებული სიმძლავრის მოცულობა ამოიწურება. ეს ინდექსი გამოითვლება, როგორც სისტემის მთლიანი სიმძლავრის და კომპანიის მიერ შესაბამის პერიოდში გამომუშავებული სიმძლავრის სხვაობის შეფარდება მთლიან მოთხოვნასთან.

$$RSI = \frac{\text{სისტემის მთლიანი გამომუშავება} - \text{კომპანიის გამომუშავება (\%)}}{\text{მთლიანი მოთხოვნა}}$$

სადაც, მთლიანი სიმძლავრე განისაზღვრება როგორც ქვეყნის ენერგოსისტემის მთლიანი მომარაგება სარეზერვო სიმძლავრის გამოკლებით და იმპორტის ჩათვლით. თუ ნარჩენი შეთავაზების ინდექსი კონკრეტული კომპანიისათვის მეტია 100%-ზე [4], მაშინ სხვა მომწოდებლებს აქვთ ბაზარზე დომინირების საშუალება და ხსენებულ კომპანიას მხოლოდ დაბალი გავლენა აქვს საბაზრო ფასზე. მეორე მხრივ, თუ ინდექსის მნიშვნელობა 100%-ზე ნაკლებია, კომპანიისათვის ეს ნიშნავს, რომ აღნიშნული წარმოადგენს ცენტრალურ (ძირითად) მიმწოდებელს ბაზარზე და სხვადასხვა საბაზრო სტრუქტურიდან გამომდინარე, თეორიულად შეუძლია მოახდინოს დიდი ზეგავლენა ელექტროენერგიის ფასის ფორმირებაზე. ცხრილ №8-ზე მოცემულია საქართველოსთვის ნარჩენი შეთავაზების ინდექსის ანგარიშის შედეგები, ძირითადი მსხვილი მწარმოებლებისათვის, საიდანაც ჩანს, რომ ენგურჰესი წარმოადგენს ძირითად მწარმოებელს ელექტროენერგიის მომხმარებლისათვის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად და ამასთანავე საბალანსო ელექტროენერგიის ფასის ფორმირებისას მნიშვნელოვანი იქნება მისი საბალანსოდ გაყიდული ელექტროენერგიის მოცულობა.

საქართველოს ელექტროენერგიის ფაქტიური ბალანსის მიხედვით RSI-ის (ნარჩენი შეთავაზების ინდექსის) გამოთვლა												
											ცხრილი №7	
ბაზრის სუბიექტები		2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	2017
1	შპს „ენგურჰესი"	72%	71%	72%	68%	59%	57%	58%	66%	73%	89%	108%
2	შპს „ვარდნილჰესი"	101%	101%	103%	109%	89%	86%	86%	94%	100%	115%	133%
3	სს „ხრამი-1"	105%	105%	107%	114%	93%	90%	90%	97%	103%	118%	136%
4	სს „ხრამი-2"	105%	104%	105%	113%	92%	89%	89%	97%	103%	117%	136%
5	შპს „ვარციხე 2005"	98%	99%	99%	108%	87%	84%	84%	92%	98%	113%	131%
6	სს „ენერგო-პრო ჯორჯია"	89%	92%	90%	98%	79%	76%	77%	85%	91%	106%	125%
7	შპს „საქ.საერთ. ენ. კორპ."	102%	99%	105%	115%	91%	88%	88%	95%	101%	116%	135%
8	შპს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი"	103%	103%	103%	111%	90%	88%	87%	95%	101%	116%	134%
9	შპს „აღმოსავლეთის ენ.კორპორაცია"	106%	107%	108%	116%	94%	91%	91%	99%	105%	119%	138%
10	შპს „მტკვარი ენერგეტიკა"	95%	102%	101%	111%	88%	85%	85%	93%	99%	114%	132%
11	შპს „ჯიფაუერი"	106%	107%	109%	117%	94%	92%	91%	99%	105%	120%	138%
პოტენციური მშენებარე საჯგურები												
12	ბახვი-3 ჰესი						92%	92%	99%	105%	120%	138%

13	ფარავანი ჰესი							90%	96%	102%	116%	135%
14	ლარსი ჰესი							92%	99%	105%	119%	138%
15	გუბაზეული-5 ჰესი							92%	100%	106%	120%	139%
16	შილდა ჰესი							92%	100%	105%	120%	138%
17	ბახვი-2 ჰესი							92%	99%	105%	119%	138%
18	ბახვი-5 ჰესი							92%	100%	106%	120%	139%
19	ნაბეღლავი ჰესი							92%	100%	106%	120%	139%
20	დარიალი ჰესი								97%	101%	115%	134%
21	ლუხუნი-2 ჰესი								100%	105%	120%	138%
22	არაკალი ჰესი								99%	105%	120%	138%
23	აბული ჰესი								99%	104%	119%	138%
24	ახალქალაქი ჰესი								99%	105%	120%	138%
25	ფარავანის ქარის ელ.სადგური								100%	104%	119%	137%
26	კინტრიში ჰესი								100%	105%	120%	138%
27	მტკვარი ჰესი									105%	118%	137%
28	არაგვი ჰესი									106%	120%	138%
29	ხობი ჰესი 2									105%	118%	137%
30	ზოტი ჰესი									105%	119%	137%
31	ყვირილა ჰესი									106%	120%	139%
32	ალაზანი ჰესი									105%	119%	138%

ცხრილ №7-ში მოცემული ანგარიშის შედეგებით დასტურდება, რომ საქართველოს ენერგეტიკაში არსებული გენერაციის ყველაზე მსხვილი მფლობელი კომპანიების წილის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად აღემატება ევროპის უმრავლეს ქვეყნებში არსებულ მონაცემებს (იხ. ცხრილი №8).

ევროპის ქვეყნებში ყველაზე დიდი გენერაციის კომპანიის საბაზრო წილი %-ბში (2000-2009 წ.წ.).

ცხრილი №8

ქვეყნები/წელი	2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009
ბელგია	91.1	92.6	93.4	92	87.7	85	82.3	83.9	80	77.7
ჩეხეთი	69.2	69.9	70.9	73.2	73.1	72	73.5	74.2	72.9	73.7
დანია	36	36	32	41	36	33	54	47	56	47
გერმანია	34	29	28	32	28.4	31	31	30	30	26
ესტონეთი	91	90	91	93	93	92	91	94	96.5	90
ირლანდია	97	96.6	88	85	83	71	51.1	48	45.6	37
საბერძნეთი	97	98	100	100	97	97	94.6	91.6	91.6	91.8
ესპანეთი	42.4	43.8	41.2	39.1	36	35	31	31	22.2	32.9
საფრანგეთი	90.2	90	90	89.5	90.2	89.1	88.7	88	87.3	87.3
იტალია	46.7	45	45	46.3	43.4	38.6	34.6	31.3	31.3	29.8
ლატვია	95.8	95	92.4	91	91.1	92.7	95	86	87	87
ლიტვა	72.8	77.1	80.2	79.7	78.6	70.3	69.7	70.5	71.5	70.9
უნგრეთი	41.3	39.5	39.7	32.3	35.4	38.7	41.7	40.9	42	43.1
პოლონეთი	19.5	19.8	19.5	19.2	18.5	18.5	17.3	16.5	18.9	18.1
პორტუგალია	58.5	61.5	61.5	61.5	55.8	53.9	54.5	55.6	48.5	52.4
რუმინეთი					31.7	36.4	31.1	27.5	28.3	29.3
სლოვენია			50.7	50.3	53	50.1	51.4	82	53	55
სლოვაკეთი	85.1	84.5	84.5	83.6	83.7	83.6	70	72.4	71.9	81.7
ფინეთი	23.3	23	24	27	26	23	26	26	24	24.5
შვედეთი	49.5	48.5	49	46	47	47	45	45	45.2	44
დიდი ბრიტანეთი	20.6	22.9	21	21.6	20.1	20.5	22.2	18.5	15.3	24.5
ნორვეგია	30.6	30.7	30.7	30.7	31.2	30	30.9	32.4	27.4	29.5
საქართველო		33.8	41.3	42.9	40.5	36.5	21.8	34.8	37	35.1

საქართველოში რეგულირების საკითხის განვითარების დონე შეიძლება განვიხილოთ <u>რეგულატორის ძალის</u> კრიტერიუმით [2]. ევროკავშირის დირექტივის [22] მიხედვით, თითოეული წევრი ქვეყანა ვალდებულია გააჩნდეს დამოუკიდებელი მარეგულირებელი სააგენტო ან ორგანო, რომ უზრუნველყოს ბაზარზე არადისკრიმინაციული, ეფექტური კონკურენცია და ბაზრის ეფექტური ფუნქციონირება. ნებისმიერი რეგულატორის ფუნქციებში უნდა შედიოდეს: ქსელზე დაშვების პირობების შემუშავება, მხარეებს შორის დავების განხილვა (ძირითადად გენერციასა და დისტრიბუციას შორის); რეგულირებული ფასების წინასწარ განსაზღვრა, კომპანიებიდან შესაბამისი ინფორმაციის მიღება.

საქართველო ამ მაჩვენებლის მხრივ მაღალ დონეზე დგას და ზემოთმოყვანილი რეგულატორის ძალის შეფასების მახასიათებლების მაქსიმალური ნიშნულით – 5 ხასიათდება. შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ქვეყანას გააჩნია დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანო, რაც კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია ლიბერალიზაციის პროცესის სრულყოფისათვის.

ზემოთ მოყვანილი ანალიზის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს ცალსახა დასკვნა იმის შესახებ, რომ საქართველოს ელექტროენერგეტიკის მენეჯმენტის კონკურენტულ მოდელზე გადასასვლელად მრავალი პრობლემაა მოსაგვარებელი. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული პრობლემების გადასაწყვეტად უნდა გატარდეს შემდეგი ღონისძიებები:

1. საქართველოს ელექტროენერგეტიკის მენეჯმენტის ბიზნეს-ინჟინერინგის პრინციპებზე ფორმირებისათვის. აუცილებელია, კანონით განისაზღვროს ელექტროენერგიის ბაზრის კონკურენტულ მოდელზე გადასვლის ნორმები, კერძოდ:

ა) კანონში კონკრეტულად უნდა გაიწეროს ელექტროენერგეტიკული დარგის სრული რესტრუქტურირების ვადები და პირობები. განისაზღვროს მასში შემავალი თითოეული ენერგოობიექტის ვალდებულებები, უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა.

ბ) მკაფიოდ გაიმიჯნოს ელექტროენერგიის გენერაციის, განაწილების და გასაღების საქმიანობის ინტერესები და დადგინდეს ისეთი ნორმატივები, რომლებიც გააადვილებენ ბაზარზე შეღწევადობას და ალტერნატიული ელექტროენერგიის მიმწოდებლების დამკვიდრებას.

გ) საცალო ტარიფების ზედა ზღვარი, ასევე ელექტროენერგიის გადაცემის, გატარებისა და დისპეტჩერიზაციის ტარიფები უნდა დაექვემდებაროს რეგულირებას.

2. ელექტროენერგეტიკულ ბაზარზე ჯანსაღი კონკურენტული გარემოს შესაქმნელად და არაკონცენტრირებული ბაზრის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია საქართველოში საკუთარი რესურსებით ელექტროენერგის წარმოების მოცულობის ზრდასთან ერთად ელექტროენერგიის მწარმოებელი ენერგოკომპანიების რაოდენობის გაზრდა იმ დონემდე, რომ სრულად გამოირიცხოს რომელიმე ენერგოკომპანიის დომინირება ბაზარზე.

3. ელექტროენერგეტიკული ბაზრის კონკურენტულ მოდელზე გადასვლის პირობებიდან გამომდინარე, უნდა მოხდეს ენერგოკომპანიების კანონით დადგენილი უფლება-მოვალეობების, ვალდებულებების და პასუხისმგებლობების ნორმების შესაბამისად, საქართველოს ელექტროენერგეტიკის მენეჯმენტის ბიზნეს-ინჟინერინგის პრინციპების საფუძველზე ფორმირება, რაც დამატებითი კვლევის საგანს წარმოადგენს.

DAVIT JAFARIDZE
ZVIAD GACHECHILADZE
NINO MAGRADZE

PROBLEMS OF FORMATION OF MANAGEMENT OF POWER INDUSTRY OF GEORGIA, BASED ON PRINCIPLES OF BUSINESS-ENGINEERING AND WAYS OF THEIR DECISION

s u m m a r y

The review of the history of Georgian electric power industry reformation and development of its functioning from the 90's of the last century up to date is considered in this work. The global experience of electric power industry management on the competitive market is analyzed. On the basis of analysis of current state of Georgian electric power industry, annual balance of electric energy and other statistical information both beneficial and negative impacts of the 3rd control (management) model are estimated from the viewpoint of competitiveness currently existing in this field. By taking into account current peculiarities of state electric power industry, as well as global experience, including "the third package" directions of the European Union and European parliament the preconditions of field management switch to the competitive model are established, as well as problems, with the purposes of determination of the ways of their solution, according to the world-known methodologies are studied structural indices characteristic for liberalization of Georgian electric power industry: market share, Herfindahl-Hirschman index, index of remaining proposal and regulation force. On the basis of carried out investigations are established factors impeding the switch to competitive model, including tendencies of direct consumers' quantity reduction, aggravating of direct offers' index and parameters of electricity market concentration. Ways of mentioned problems solving in the mid-term perspective are shown in this work and basic proposals on the obligatory preventive measures to be carried out in the future are established in the form of conclusions.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Barrie Murray. Power markets and Economics: Energy costs, Trading, Emissions., 2009 John W
2. Jean-Michel Clachant, Francois Leveque. Electricity Reform in Europe, Towards a Single Energy Market. Edward Elgar, Cheltenham, UK, Northampton, MA, USA
3. "Конкуренция и выбор в энергетике"- Салли Хант, Грем Шаттлуорт, Москва 2000 г.
4. Market Power in the German Wholesale Electricity Market: What are the Political Options? H.-G. Schwarz, C. Lang, S. Meier. Institute of Economics, University of Erlangen-Nuremberg. 2009
5. EU Energy Markets in Gas and Electricity – State of play of implementation and transportation, May 2010

6. Mariano Ventosa, Alvaro Ballo, Andres Ramos, Michel Rivier. Electricity Market Modeling Trends. Universidad Pontificia Comillas, Alberto Aguilera 23, 28015 Madrid, Spain
7. Paul L. Joskow. "Electricity sector restructuring and competition: Lessons learned". Cuaderonos de Economia, [1]121, pg. 548-558, 2003.
8. T. Jamasb, M. Pollit, D. Newbery. Electricity sector reform in developing countries: a survey of empirical evidence on determinants and performance. World bank policy research working paper 3549, 2005.
9. R. Green, D. Newbery, k. neurof. "A review of the monitoring of market power". Center for energy and environmental policy research. 2005
10. B. Andersson, L. Bergman. Competition and Prices on the Emerging Nordic Electricity Market. Stockholm School of Economics. 1998.
A. Rudkievich. "Modeling electricity pricing in a deregulated generation industry". Boston. 1998
11. J. Goerten, E. Clement. "European electricity market indicatorsof the liberalization process. eurostat, 2007.
12. T. Jamasb, M. Pollit. "Electricity market reform in the european union: Review of progress toward liberalization&integration". The energy journal, special issue, 2005.
13. D. Tailor. "Business engineering with object technology". Whiley, 1994.
14. S. Mattews, J. Salmon. "Business engineering: A practical approachto valuing high risk, high return projects using real options". Informs. 2007.
15. საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის წლიური ანგარიშები: 2002-2006 წწ.
16. საქართველოს ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორი - www.esco.ge.
17. საქართველოს პარლამენტის დადგენილება ,,საქართველოს ენერგეტიკულ სექტორში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების" თაობაზე. თბ., 2006 წ. 9 ივნისი, №3259.
18. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირეული ეროვნული კომისიის წლიური ანგარიში, 2009.
19. საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის ბრძანება "ელექტროენერგიისა (სიმძლავრის) ბაზრის წესები"-ის დამტკიცების თაობაზე. თბ., 2006 წ. 31 აგვისტო, №66
20. საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო - www.minenergy.gov.ge.
21. ევროპის პარლამენტისა და საბჭოს მესამე პაკეტის დირექტივა «ელექტროენერგიის შიდა ბაზრის მარეგულირებელი წესების შესახებ» 2009/72/EC. 13.07.2009
22. საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დადგენილება №33, ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ 2008 წ. 4 დეკემბერი.

ოთარ ვეზირიშვილი
ელენა კოტორაშვილი

ენერგოეკოლოგიური ეფექტური ტექნოლოგიების გამოყენება საქართველოს ენერგეტიკის მდგრადი განვითარებისათვის

ენერგოეფექტურობა ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ენერგოეფექტურობის ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებები ნაკლებად ძვირია, ვინაიდან ისინი თავისთავად ეკონომიკურად რენტაბელურია. ამას ემატება გარემოდაცვითი ეფექტი, რომელსაც საკუთრივ დიდი ღირებულება გააჩნია.

მდგრადი განვითარებისა და ენერგოეფექტურობის სტრატეგია იწვევს გარემოზე მავნე ზემოქმედების შემცირებას, მიზნად ისახავს ეკოლოგიური რისკების მკვეთრ შეზღუდვას, ჯანსაღი ეკონომიკის საფუძველზე რაციონალური ენერგეტიკული ბალანსის შემუშავებას.

თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი პრობლემა – გარემოს დამცავი ღონისძიებებისა და მზარდი ეკონომიკის თანამდევ პროცესებს შორის გონივრული წონასწორობის პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების ამოცანის გადაწყვეტა – გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის და კიოტოს ოქმის მთავარი ლაიტმოტივია.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ საქართველოს ხელი აქვს მოწერილი კონვენციაზე და განეკუთვნება იმ ქვეყნების რიცხვს, რომლებიც აპირებენ ნებაყოფლობით აიღონ გარკვეული ვალდებილებები და ამით ხელი შეუწყონ ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებას, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საწყის სტადიაზევე მოხდეს ჩვენი ქვეყნის ჩართვა ზემოაღნიშნული მექანიზმების შემუშავების პროცესში, რათა მაქსიმალურად მოხდეს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისა და უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ინტერესების გათვალისწინება.

ბუნებრივია, რომ ამ მექანიზმების ჩამოყალიბების, განვითარებისა და ამოქმედების გზაზე არსებობს უამრავი წინააღმდეგობა, რაც განსაკუთრებით იჩენს თავს ისეთ ეკონომიკურ მდგომარეობაში, როგორშიც საქართველოა. ამ სირთულეებისა და წინააღმდეგობების გადაჭრისა და თავიდან აცილებისათვის აუცილებელია მათი წინასწარ დაფიქსირება და კარგად შესწავლა. სწორედ ამ მიზნით შეიქმნა მსოფლი ბანკში „ნახშირბადის საინვესტიციო ფონდი“ (Carbon Offset Unit), რომლის მთავარი მიზანია შეისყიდოს სხვადასხვა ქვეყნიდან სათბური გაზების ემისიის დაზოგილი მარაგი და გამოიყენოს იგი შემდგომში თავისი შეხედულებისამებრ (მაგ.: გაყიდოს, ასესხოს სათბურის გაზის ემიტორ რომელიმე საწარმოს და სხვა), ხოლო ამ ეტაპზე მას გამოყოფილი აქვს თანხები, რათა შესწავლილ იქნას სიტუაციები სხვადასხვა ქვეყანაში, რომლებსაც აქვთ პოტენციური შესაძლებლობა დაზოგონ ემისია (ასეთ ქვეყანათა რიცხვს, პირველ რიგში, განეკუთვნება ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალი ქვეყნები, რომელთა ეკონომიკა ახლა იწყებს აღორძინებას და ამდენად შეუძლიათ სუფთა ტექნოლოგიების გამოყენებით განვითარდნენ ისე, რომ ზარალი არ მიადგეს მათ ეკონომიკას).

იმ მიზნით, რომ საქართველო აქტიურად ჩაებას აღნიშნულ პროცესებში, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და კლიმატის კვლევის ეროვნული ცენტრის მიერ გაეროს განვითარების პროგრამასა და გლობალურ ეკოლოგიურ ფონდთან ერთად, თბილისში ჩატარდა საერთაშორისო სამუშაო სემინარი, რომელიც ეძღვნებოდა „ერთობლივი განხორციელების“, „სათბური გაზების ემისიით ვაჭრობის“ და „სუფთა განვითარების მექანიზმის“ განხილვას, კიოტოს ოქმის ჭრილში. აგრეთვე, საქართველოსა და ამიერკავკასიის სხვა სახელმწიფოების, კერძოდ, სომხეთის და აზერბაიჯანის ამ მექანიზმებში მონაწილეობის შესაძლებლობის დადგენას. სემინარში მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნისა და საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების წარმომადგენლები: გლობალური ეკოლოგიური ფონდის ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების რეგიონული მრჩეველი ენერგეტიკის სექტორში, გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის სამდივნოს აღმასრულებელი მდივანი.

სემინარის მუშაობის პროცესში გამოიკვეთა ის სირთულეები და უარყოფითი მომენტები, რომლებიც დროულად უნდა იქნას აცილებული თავიდან, რათა ქვეყანამ შეძლოს თავისი წვლილი შეიტანოს გლობალური პრობლემების გადაჭრაში და „ამავე დროს“ გამოიყენოს კონვენციის მიერ შემოთავაზებული მატერიალური და ტექნიკური დახმარება თავისი ეკონომიკის ასამოქმედებლად.

რა ძირითადი საკითხების გადაჭრა იქნება აუცილებელი ამ გზაზე? გარემოსადმი კეთილგანწყობილ პროექტებზე ინვესტიციების მოსაპო-

ვებლად ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა ადგილობრივი კერძო ინვესტიციების მოზიდვა, ან სახელმწიფოს მიერ ამ პროექტების ნაწილობრივ დაფინანსება. ეს შეამცირებს რისკის ფაქტორს უცხოელი ინვესტორებისათვის და ამდენად გაადვილებს მათ მოზიდვას. იგივე შეეხება გრანტებსაც, რომლებიც გაიცემა სხვადასხვა საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციისა და განვითარებული სახელმწიფოების მთავრობების მიერ გამოცხადებული პროგრამებით:

ეკონომიკის სხვადასხვა სექტორისათვის და საერთოდ, ქვეყნის ეკონომიკისათვის 5-10 წლიანი გეგმის არსებობა;

როგორ განისაზღვროს ემისიის ერთეულის ფასი.

ამჟამად საქართველოს წარდგენილი აქვს აშშ JI-სა და ნიდერლანდების JI-სა და AIJ-ში ხუთი და გლობალურ ეკოლოგიურ ფონდში ორი პროექტი. მოველით, რომ ჰიდროელექტროსადგურების („ინწობა“ (1,6 მეგავატი) და „მისაქციელი“ (3,3 მეგავატი)) ასამოქმედებლად სამუშაოები უკვე მიმდინარე წელს დაიწყება. ასევე ოპტიმისტურად ვაფასებთ თბილისისა და ზუგდიდის გეოთერმული თბომომარაგების, სამგორის ქარის ელექტროსადგურების პროექტების ამოქმედების პერსპექტივას [3].

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ სათბურის გაზების ემისიით ვაჭრობის სისტემა JI და CDM-თან ერთად, მკაფიოდ გამოხატავს გარემოსდამცავ პოლიტიკას. ეს ნიშნავს, რომ დამაბინძურებელს მოეთხოვება ჰქონდეს სერთიფიკატი პოლუტანტის ყოველ ემიტირებულ ერთეულზე და გადაიხადოს ყოველი ზედმეტი ერთეულისათვის. ზოგიერთ შემთხვევაში, როგორიცაა „ბაზისი და კრედიტი“, დამაბინძურებელს მოეთხოვება სერთიფიკატი მხოლოდ იმ რაოდენობის ემისიაზე, რომლის გაყიდვაც სურს.

ერთადერთი მექანიზმი ზემოთ ჩამოთვლილი მექანიზმებიდან, რომელშიც ამჟამად შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ჩვენმა ქვეყანამ, არის „სუფთა განვითარების მექანიზმი“ (CDM). საკითხის დაყენების თვალსაზრისით, ის აფართოებს კოოპერირების მოქმედების სფეროს კონვენციის დანართ I-ში შესული მხარეებისათვის (განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნები), რითაც ქმნის ხელშემწყობ პირობებს, რომ ამ ქვეყნებმა შეძლონ მდგრადი განვითარება და კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის ძირითადი მოთხოვნილების შესრულება. კერძოდ, CDM ეხმარება იმ განვითარებად ქვეყნებს, შეიმუშაონ და განახორციელონ ადაპტაციის სტრატეგია, რომელთა ეკონომიკა მიმართულია კლიმატის ცვლილების მიმართ და იყენებს შემცირებული ემისიის სერთიფიცირების მექანიზმს.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, უნდა შევნიშნოთ, რომ CDM -ის ექსპერიმენტულ ფაზაში, რომელიც ცნობილია AIJ-ს (Activities Implemented Jointly) “ქმედებები ერთობლივი განხორციელებისათვის” სახელწოდებით და გრძელდება 2020 წლამდე, მთელი რიგი განვითარებული ქვეყნების მიერ განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნების ტერიტორიებზე განხორციელდა გარემოსადმი კეთილგანწყობილი მრავალი პროექტი. ეს გვაძლევს იმის იმედს, რომ ახლაც და განსაკუთრებით ამ მექანიზმის სრულყოფის შემდეგ, საქართველოში რეალურად განხორციელდება ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების ხელშემწყობი პროექტები.

თანამედროვე პირობებში ეკოლოგიური ფაქტორები ძირითადად განსაზღვრავენ ჩვენი ქვეყნის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის (სეკ) განვითარებას. არსებული ნორმატული ბაზის გაუმჯობესებისათვის აუცილებელია ტექნიკური მოთხოვნების დასაბუთება სეკ-სათვის ეკოლოგიურად სრულყოფილი მოწყობილობების შესაქმნელად. იმისათვის, რომ მიღწეულ იქნეს სახელმწიფო სტრუქტურებსა და სამეურნეო ანგარიშზე მყოფ ენერგეტიკულ ობიექტებს შორის რაციონალური თანაფარდობა, აუცილებელია ტექნიკურ-ეკოლოგიური ნორმატივებით ატმოსფეროში განატყორცნი მავნე ნივთიერებების გატყორცნისათვის ეკონომიკური ჯარიმების შემოღება.

ეკოლოგიური ზარალის შესაფასებლად იყენებენ მეთოდს, რომელიც ერთმანეთს ადარებს გაჭუჭყიანებული და სუფთა რეგიონების მდგომარეობას. დღეისათვის ჩვენს მიერ დათვლილია ზარალის ხვედრითი დანახარჯები, რომელიც მოყვანილია ცხრილ №1-ში.

ხვედრითი წლიური დანახარჯები (ზარალი) ჯანდაცვისა და კომუნალური მეურნეობის ხაზით $/კაცზე წელიწადში

ცხრილი 1

ხვედრითი ზარალი	ნაცრის კონცენტრაცია ატმოსფეროში, მგ/მ^3					
	0,2	0,3	0,6	0,9	1,2	1,5
ჯანდაცვა	2	13	24	31	33	35
კომუნალური მეურნეობა	2	10	17	21	22	26

ხვედრითი ზარალი	SO_2 კონცენტრაცია ატმოსფეროში, მგ/მ^3					
	0,1	0,2	0,3	0,4	0,5	0,7
ჯანდაცვა	13	24	31	34	36	39
კომუნალური მეურნეობა	5	8	10	12	13	15

ხვედრითი ზარალი	NO_2 კონცენტრაცია ატმოსფეროში, მგ/მ^3					
	0,1	0,3	0,4	0,5	0,6	0,8
ჯანდაცვა	14	22	30	35	38	44
კომუნალური მეურნეობა	6	10	15	18	21	25

მსოფლიო მასშტაბით ჩამოყალიბდა ახლებურად გააზრებული ეკონომიკის მდგრადი განვითარების მძლავრი მიმართულება და სამოქმედო პროგრამები (UNCED, WSSP, WSC, Thermie, Joule, Altener, TACISEGE 005/99). იგი გამოიხატება იმაში, რომ ქვეყნის ეკონომიკასთან დაკავშირებული ენერგეტიკული, სამრეწველო თუ სასოფლო-სამეურნეო დარგების პოლიტიკა სულ უფრო ეფუძნება ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიების გამოყენების პრინციპებს. განახლებადი ენერგიის გამოყენება – ეს ის სფეროა, რომელიც თანხვდება განვითარების მსოფლიო ტენდენციას. მსოფლიო საზოგადოებრიობამ უკვე აღიარა, რომ განახლებადი ენერგიის მასშტაბური გამოყენება ერთადერთი რეალური გზაა კლიმატის გლობალურ ცვლილებათა დაძლევისათვის და ქვეყნის ენერგოუსაფრთხოების განმტკიცებისათვის. ცნობილია, რომ ენერგოუსაფრთხოებას მნიძვნელოვნად განაპირობებს ენერგოსისტემის მდგრადი ფუნქციონირების შესაძლებლობა ქვეყნის გარე კავშირების დარღვევის შემთხვევაში. გარდა ამისა, ენერგოსისტემის მდგრადი განვითარება გულისხმობს გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების მინიმუმამდე შემცირებას. აქედან გამომდინარე, ენერგიის განახლებადი რესურსების სულ უფრო მეტი მასშტაბით ათვისება და ენერგოდამზოგი ტექნოლოგიების ფართოდ დანერგვა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს როგორც პირველ, ისე მეორე ამოცანის გადაწყვეტას. განახლებადი ენერგეტიკის განვითარება გულისხმობს ენერგეტიკის დივერსიფიკაციას და ადგილობრივი ენერგორესურსების ჩართვას საქართველოს სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში (სეკ), რითაც მკვეთრად მცირდება ენერგიის მიწოდების წყვეტის რისკი. დღეისათვის რესპუბლიკას შემოაქვს მოხმარებული ნავთობის 90%, ბუნებრივი აირის 100%, ელექტროენერგიის 20%.

საქართველოს დღევანდელი ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, როდესაც ქვეყანა იძულებულია გადავიდეს სათბობ-ენერგეტიკული რესურსებისათვის სავალუტო ანგარიშსწორებაზე მსოფლიო ფასებით, ძალზე მძიმე ტვირთად აწვება ეკონომიკას. ამიტომ სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებად უნდა იქნეს მიღებული მისი ავტონომიურობის ამაღლება, რაც უნდა განხორციელდეს ადგილობრივი ენერგორესურსების მაქსიმალური ათვისებითა და რაციონალურად გამოყენებით. საერთაშორისო თუ ადგილობრივი კვლევითი ორგანიზაციების მიერ ჩატარებულ სამუშაოებიდან დადასტურებულია, რომ საქართველოს განახლებადი ენერგიის დიდი მარაგი გააჩნია, კერძოდ:

<u>ჰიდროენერგია</u> საქართველო ერთ-ერთი უმდიდრესი ქვეყანაა მსოფლიოში ჰიდრორესურსებით. ჩვენი მდინარეების ჰიდროენერგეტიკული რესურსების ტექნიკური პოტენციალი შეადგენს 90-95 მლრდ. კვტ.სთ., ხოლო ეკონომიკური პოტენციალი კი – 45-52 მლრდ. კვტ.სთ. წლის განმავლობაში. აქედან ათვისებულია მხოლოდ 12-15%. დღეისათვის ჰესები გამოიმუშავებენ ელექტროენერგიის 54-60%. ჰიდროენერგეტიკას პერსპექტივაში შეუძლია მთლიანად დააკმაყოფილოს ქვეყნის მოთხოვნა და აგრეთვე გახდეს ექსპორტის წყარო. ამიტომ საჭიროა უცხოეთის კაპიტალის დაინტერესება ამ დარგში.

<u>მზის ენერგია.</u> მზის რადიაციის ხანგრძლივობა დღის განმავლობაში საქართველოში ზამთარში 6-7 სთ-ია, შემოდგომა-გაზაფხულზე 8-9, ზაფხულში 10-12 სთ-ია. საქათველოს ტერიტორიაზე მზის წლიური რადიაცია რეგიონების მიხედვით მერყეობს 1700-2500 კვტ.სთ/1 მ^2-ზე. ამ დროს მზის საშუალო რადიაცია უტოლდება 4,5-5,2 კვტ.სთ/მ^2 დღეში. ექსპერიმენტულად დასაბუთებულია, რომ 1 მ^2 მზის კოლექტორი ყოველწლიურად იძლევა 960-1270 კვტ.სთ ენერგიას. დღეისათვის სააქციო საზოგადოება „სპეცჰელიოთბომონტაჟი“ სერიულად აწარმოებს მზის თბური კოლექტორების დამზადებას და დანერგვას ცხელწყალმომარაგებისათვის. ერთი ოთხსულიანი ოჯახისათვის 4 მ^2 ზომის მზის კოლექტორის საშუალებით მიიღება 270 ლ. ცხელი წყალი, რაც მთლიანად აკმაყოფილებს ოჯახის დღიურ მოთხოვნას ცხელ წყალზე. ანალოგიური ტიპის მზის თბური კოლექტორები

დღესაც წარმატებით ფუნქციონირებენ მრავალ ობიექტზე (ჩოგბურთის სპორტული ბაზა, წყნეთის ბავშვთა სახლი, ქ. ხონის საავადმყოფო, თბილისის ონკოლოგიური ცენტრი, თბილისის რძის კომბინატი „ამალთეა“, ნაყინის ქარხანა „თოლია“ და სხვა). აღნიშნულ ობიექტებზე სისტემატურად ტარდება მონიტორინგის პროცესი და ვლინდება მზის კოლექტორების ექსპლუატაციის საიმედოობის შესწორება. ამიტომ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოსალოდნელია უახლეს 5 წელიწადში საქართველოში შესაძლებელი გახდეს ცხელწყალმომარაგებაზე თბური დატვირთვების 25%-მდე მზის ენერგიის ხარჯზე დაფარვა, რაც დაზოგავს 1,2 მლნ.ტ.პ.ს.-ს.

ქარის ენერგია. საქართველოს ტერიტორიის დიდ ნაწილზე ქარის ხანგრძლივობა (სიჩქარე 5 მ/წმ), ხოლო ზოგიერთ რეგიონში 5400-6300 სთ-ია. ამ სიჩქარის ქარის ენერგეტიკული პოტენციალი 4,5 მლრდ. კვტ.სთ-ია წლის განმავლობაში. 2000 წელს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს და იაპონური ფირმების „ნიჩიმენ კორპორეიშენი“-ის და „ტომრნ კორპორეიშენ“-თან ერთად გათვალისწინებული იყო ქ. ქუთაისის მიდამოებში 30 მგვტ სიმძლავრის, ხოლო მთა საბუეზე და თბილისის აეროპორტის მიდამოებში 10 მგვტ სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურების მშენებლობა. ამ სამუშაოებზე დაპროექტება შესრულებულია და მიმდინარეობს საჭირო თანხების მოძიება. აღსანიშნავია, რომ ეს სადგურები მაქსიმალური სიმძლავრით იმუშვებენ ძირითადად შემოდგომა-ზამთრის პერიოდში.

გეოთერმული ენერგია. საქართველოს ტერიტორიაზე დღეისათვის აღრიცხულია 60-110^{0}C თერმული წყლის 300-მდე გამოსავალი ჯამური დებიტით 230-270 მლნ. მ^3 წელიწადში, რაც პოტენციურად შეესაბამება 1,8-2,3 მლრდ.ტ. პ.ს.-ს. მნიშვნელოვანია მისი ჩართვა სეკ-ში. შეფასებულია მათი როლი სეკ-ის განვითარებაში და გეოთერმული წყლების ნაციონალურ მეურნეობაში მისი რეალიზების მასშტაბები.

განახლებადი რესურსების სიუხვე, თანამედროვე ენერგოეფექტური ტექნოლოგიების არსებობა, ენერგეტიკის მდგრადი განვითარების მოთხოვნილებები საქართველოს უქმნის წინაპირობას, აქტიურად ჩაებას ამ პროცესში, რომელიც მომავალი თაობების საკეთილდღეოდ არის მიმართული.

ჩვენს მიერ შემოთავაზებული მეთოდი სეკ-ის დარგების ენერგოეკოლოგიური მახასიათებლების დასადგენად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს საპროექტო და საექსპლუატაციო პერიოდში, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ენერგეტიკის მდგრადი განვითარების გზაზე პირველი ნაბიჯების გადადგმას, რაც საბოლოო ჯამში გამოიწვევს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური პირობების შემდგომ გაუმჯობესებას.

OTAR VEZIRISHVILI
ELENA KOTORASHVILI

USING ECOLOGICALLY EFFICIENT ENERGY TECHNOLOGIES FOR SUSTAINABLE DEVELOPMENT OF GEORGIA'S ENERGY SECTOR

Summary

Strategy of sustainable development and energy efficiency results in a reduction of negative impact on the environment and development of balanced fuel-energy sector that is based on resource saving approach. Renewable energy resources are the main component of sustainable energy and ecological security. The works assessed Georgian renewable energy resource potential. It confirms that domestic energy resources are underutilized. Strategic direction of fuel-energy sector should be increasing its independence, which can be done through maximum utilization of domestic energy resources and their rational consumption.

Scale of renewable energy resources that can be made part of Georgia's fuel energy sector and resulting annual fuel savings are assessed at 2,5-2,7 million tones of conditional fuel. Directions for sustainable development of Georgia's energy sector are defined.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ო. ვეზირიშვილი, ლ. პაპავა. თბოენერგეტიკული დანადგარების გარემოზე ზეგავლენის ანალიზი. „ენერგია“ №2(52), 2010;
2. ო. ვეზირიშვილი, ლ. პაპავა. თბოენერგეტიკული დანადგარების ეკოლოგიაზე ზეგავლენის ეკონომიკური შეფასების მეთოდიკა. სტუ-ს შრომები №4 (4-8), 2010;
3. ე. კოტორაშვილი, ო. ვეზირიშვილი. ენერგოდამზოგი თბოსიცივით მომარაგების სისტემების ენერგოეფექტურობის გამოკვლევა. „ენერგია“ . #1 (61), 2012, გვ. 55-59.

თინათინ კაიშაური
ოთარ შონია
ზებურ ბერიძე

უსადენო ქსელების ინფორმაციული უსაფრთხოება და მათი ანალიზი

უსადენო ქსელებისათვის უსაფრთხოება და მომსახურების ხარისხი უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხია, ვინაიდან გარემოში გავრცელებული საკომუნიკაციო სიგნალები ხელმისაწვდომია დასაჭერად. აქედან გამომდინარე, კომპანიებმა და ინდივიდუალურმა მომხმარებლებმა უნდა შეიცნონ პოტენციურად არსებული პრობლემები და მიიღონ შესაბამისი ზომები.

ნებისმიერ სისტემას, რომელსაც დაცვა სჭირდება, გააჩნია ხარვეზები, რომელთა ნაწილს ან ყველას ერთად თავდამსმხმელი ობიექტად ამოირჩევს. შესაბამისად, სისტემის უსაფრთხოების მექანიზმების შექმნის ერთ-ერთი ვარიანტია იმ საფრთხეებისა და სავარაუდო თავდასხმების განხილვა, რომელთა წინაშეც დგას სისტემა. არსებობს უსადენო ქსელების გამოყენებასთან დაკავშირებული საფრთხეების ყველაზე გავრცელებული შემდეგი ფორმები (ნახ. 1).



ნახ.1. უსადენო ქსელების გამოყენებასთან დაკავშირებული საფრთხეების სხვადასხვა ფორმები

მაგალითად, ჰაკერებს (hackers) შეუძლიათ თავდასხმის შედეგად მოახდინონ არაავტორიზებული შეღწევა ქსელურ სისტემებში, ან დაარღვიონ ქსელის მუშაობა და მიიტაცონ კომპანიის ინფორმაცია. თავდასხმა წარმოადგენს კომპიუტერის უსაფრთხოების კონტროლის მექანიზმების გვერდის ავლის მცდელობას. თავდასხმის შედეგად შესაძლებელია უკანონო პრივილეგიების მიღების გზით მონაცემების მოპარვა, მცდარად შეტანა, ინფორმაციის მოდიფიცირება, ქსელის ნაკადის ანალიზი და ა.შ.

მაგალითად, გამოცდილ ჰაკერს ან სულაც შემთხვევით სნუპერს (Snooper – პირი, რომელსაც უყვარს ფარულად თვალთვალი) პროგრამული საშუალებების გამოყენებით შეუძლია ადვილად მოიძიოს უსადენო ქსელის დაუცველი პაკეტები და მთლიანად გახსნას მასში არსებული მონაცემები. სნუპერებს, რომლებიც იმყოფებიან იმ შენობიდან რამდენიმე ასეული მეტრის დაშორებით, სადაც ფუნქციონირებს უსადენო ლოკალური ქსელი, შეუძლიათ მოიძიონ ყველა ტრანზაქცია, რომელიც სრულდება უსადენო ქსელის ნაწილში. ძირითადი საფრთხე მდგომარეობს იმაში, რომ შეტევების შედეგად ვიღაცას შეიძლება ხელში ჩაუვარდეს ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, როგორიცაა მომხმარებლების სახელები და პაროლები, კრედიტ-ბარათების ნომრები და სხვა.

ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთი გზაა იმ ინფორმაციის დაშიფვრა, რომელიც გადაიცემა უსადენო მოწყობილობებსა და საბაზისო სადგურებს შორის. დაშიფვრის პროცესის დროს მონაცემთა ბიტები იცვლება საიდუმლო გასაღების დახმარებით. რადგანაც გასაღები საიდუმლოა, ჰაკერს არ შეუძლია მონაცემების გაშიფვრა.

ანალოგიურად ნებისმიერს, რომელიც იმყოფება შენობის შორიახლოს, ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე შეუძლია მონიტორინგის ჩატარება უსადენო ქსელში არსებული სისტემების მიმართ,

თუ არ არის მიღებული სიფრთხილის წინასწარი ზომები. მაგალითად, პირს, რომელიც იმყოფება შენობის მახლობლად მდგარ ავტომობილში, შეუძლია მიებას შენობაში განლაგებული საბაზისო სადგურებიდან ერთ-ერთს. ასეთ პირს შეუძლია შეაღწიოს სერვერზე და კორპორატიულ ქსელში არსებულ სისტემებში.

სამწუხაროდ, კომპანიების უმრავლესობა უსადენო ქსელების გამართვის დროს იყენებს საბაზისო სადგურების კონფიგურაციას, რომელიც თავიდანვეა დაყენებული (default) და ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხოების საჭირო ზომებს. ოპერაციული სისტემა Windows საშუალებას იძლევა ადვილად დამყარდეს კავშირი უსადენო ქსელებთან, განსაკუთრებით საერთო კავშირის მქონე ქსელებთან. როდესაც ნოუთბუქი მიებმება უსადენო ლოკალურ ქსელს, მის მფლობელს შეუძლია შეაღწიოს ნებისმიერ სხვა ნოუთბუქში, რომელიც ჩართულია იმავე უსადენო ლოკალურ ქსელში. თუ არ არის გამოყენებული პერსონალური ბრანდმაუერი, ნებისმიერს შეუძლია გაეცნოს ასეთი ნოუთბუქის მყარ დისკზე არსებულ ყველა ინფორმაციას, რაც წარმოადგენს უზარმაზარ საფრთხეს.

ხშირად, როდესაც წვდომის წერტილში ამოქმედებულია დაცვის მექანიზმები, არსებულ საფრთხეს წარმოადგენს მიდგმული წვდომის წერტილის (rogue access point) ჩართვის შესაძლებლობა. ასეთი წერტილი ითვლება არაავტორიზებულ წვდომის წერტილად, რომელიც მიერთებულია ქსელში. მაგ.: რომელიმე მომსახურე პერსონალს შეუძლია შეიძინოს წვდომის წერტილი, არ გაითვალისწინოს ქსელის უსაფრთხოების ნორმები და დააყენოს იგი თავის ოფისში. ასევე ჰაკერს შეუძლია შენობაში განათავსოს წვდომის წერტილი, განზრახ შეაერთოს დაუცველი წვდომის წერტილი კორპორატიულ ქსელში.

მიდგმულ წვდომის წერტილში, როგორც წესი, არ არის აქტივირებული დაშიფვრის სისტემა. აქედან გამომდინარე, იგი წარმოადგენს ღია კარს მათთვის, ვინც კი მოინდომებს შენობის გარედან შეაღწიოს კორპორატიულ ქსელში. ამიტომ კომპანიებმა ყოველთვის უნდა შეამოწმონ მიდგმული წვდომის წერტილების არსებობა.

არაავტორიზებული შეღწევის საწინააღმდეგოდ უსადენო ქსელში გამოიყენება ურთიერთქმედებითი აუტენტიფიკაცია, რომელიც ხორციელდება ქსელის მოწყობილობებსა და წვდომის წერტილებს შორის. აუტენტიფიკაციის დროს მოწმდება მომხმარებლის ან მოწყობილობის იდენტურობა. უსადენო ქსელში უნდა გამოიყენებოდეს მეთოდები, რომლის საშუალებითაც ხდება საბაზისო სადგურის დარწმუნება ქსელის მოწყობილობის იდენტურობაში და პირიქით. ეს აუცილებელია იმისთვის, რომ მოხდეს ლეგიტიმურ საბაზისო სადგურებსა და მოწყობილობებს შორის კავშირი. წვდომის წერტილები უნდა გადიოდნენ აუტენტიფიკაციის პროცედურებს კომუტატორზე, რაც ქსელში გამორიცხავს მიდგმული წვდომის წერტილების გამოჩენას.

აუტენტიფიკაციისა და დაშიფვრის მექანიზმების გამოყენების წყალობით იზრდება უსადენო ქსელების უსაფრთხოება, მაგრამ გამოცდილი ჰაკერები ძებნიან სუსტ მხარეებს, იციან რა, თუ როგორ მუშაობს ქსელის ოქმები. განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს «ადამიანი შუაში» (man-in-the-middle attacks) სახეობის შეტევები. ჰაკერი განათავსებს ფიქტიურ მოწყობილობას ლეგალურ მომხმარებლებსა და უსადენო ქსელს შორის. მაგალითად, სტანდარტული «ადამიანი შუაში» სახეობის შეტევის განხორციელების დროს გამოიყენება მისამართების გარდამქმნელი პროტოკოლი (Address resolution protocol - ARP), რომელიც გამოიყენება ყველა TCP/IP (Transmission Control Protocol/Internet Protocol – გადაცემის მართვის პროტოკოლი/ინტერნეტპროტოკოლი) ქსელში. ჰაკერს, რომელიც შეიარაღებულია აუცილებელი პროგრამული საშუალებებით, ARP-ს გამოყენებით შეუძლია დაამყაროს კონტროლი უსადენო ქსელზე.

ARP ნებას რთავს შესრულდეს მთავარი ფუნქცია, რისთვისაც იგზავნება მოთხოვნა უსადენო ან სადენიანი ქსელის ინტერფეისის პლატის მიმართ იმ მიზნით, რომ გამოვლინდეს პლატის ფიზიკური მისამართი – ეს იგივეა, რაც MAC (Media Access Control – წვდომის მართვის საერთო ოქმი) მისამართი, რომელიც მინიჭებულია პლატაზე მისი მწარმოებელის მიერ და განსხვავდება ქსელის სხვა ნებისმიერი კომპონენტის მისამართისგან, ანუ ის უნიკალურია. აქედან გამომდინარე, გადამცემმა ქსელის ინტერფეისის პლატამ უნდა იცოდეს მიმღების MAC-მისამართი. ეს პლატა ამოიცნობს და რეაგირებას ახდენს მხოლოდ ფიზიკურ MAC-მისამართზე.

გამოყენებით პროგრამებს, რომლებიც საჭიროა მონაცემების გადასაცემად, უნდა გააჩნდეს მიმღების IP (Internet Protocol) მისამართი, ხოლო გადამცემი ქსელის ინტერფეისის პლატა იყენებს ARP ოქმს იმისათვის, რომ გამოავლინოს შესაბამისი ფიზიკური მისამართი. ის იღებს მისთვის საჭირო მისამართს, აგზავნის ARP პაკეტებს, სადაც ცხადდება მიმღების ქსელის ინტერფეისის პლატის IP მისამართი. ყველა სადგურს აქვს შეხება მოთხოვნასთან და სადგურმა შესაბამისი IP მისამართით უნდა დააბრუნოს პასუხის პაკეტი ARP ოქმით, რომელიც შეიცავს MAC და IP მისამართებს. შემდეგ გადამცემი სადგური ჩართავს MAC-მისამართს გადასაცემ ფრეიმში, როგორც მიმღების მისამართს. რაღაც პერიოდის განმავლობაში ცხრილის სახით ინახავს შესაბამის MAC და IP მისამართებს (ინახავს მანამ, სანამ სადგური არ მიიღებს

სხვა ARP პასუხს იმ სადგურისგან, რომელსაც გააჩნია ეს IP მისამართი).

ARP ოქმთან დაკავშირებული პრობლემა არის ის, რომ დაცვის სისტემისთვის ის წარმოადგენს საფრთხეს, ვინაიდან ადგილი აქვს სპუფინგის (spoofing – კავშირის იმიტაცია, წვდომის მიღება მოტყუებითი გზით) შესაძლებლობას. ჰაკერს შეუძლია შუალედური მოწყობილობის საშუალებით სადგურს გაუგზავნოს ფიქტიური ARP-პასუხი, რომელიც შეიცავს ლეგიტიმური ქსელური მოწყობილობის IP მისამართს და შუალედური მოწყობილობის MAC მისამართს და სადგური შეიყვანოს შეცდომაში. ყველაფერი ეს მიიყვანს იქამდე, რომ ყველა ლეგიტიმური ქსელის სადგური ავტომატურად განაახლებს თავიანთ ARP-ცხრილებს, სადაც შეიტანება მცდარი მონაცემები. შედეგად სადგურები დაიწყებს პაკეტების გადაცემას შუალედური მოწყობილობის მისამართით და არა ლეგიტიმური წვდომის წერტილისკენ. სწორედ ეს არის კლასიკური შეტევა «ადამიანი შუაში», რის შედეგადაც ჰაკერი იღებს იმის შესაძლებლობას, რომ მართოს მომხმარებელთან დაკავშირებული სეანსები. ის მიიღებს პაროლებს, მნიშვნელოვან მონაცემებს და შეძლებს კორპორატიულ სერვერებთან ურთიერთქმედებას ისე, რომ თითქოს ის არის ლეგიტიმური მომხმარებელი.

შეტევების თავიდან აცილების მიზნით ARP მომწოდებლები გვთავაზობენ დაცულ ARP-ს (secure ARP, SARP). ასეთი გაუმჯობესებული ARP უზრუნველყოფს სპეციალურ დაცულ გვირაბს ყველა მომხმარებელსა და წვდომის წერტილებს ან მარშრუტიზატორებს შორის, რომელიც იგნორირებას უკეთებს ყველა იმ ARP-პასუხს, რომლებიც დაკავშირებული არაა იმ მომხმარებლებთან, რომლებიც იმყოფებიან გვირაბის მეორე ბოლოში. მაშასადამე, მხოლოდ ლეგიტიმური ARP-პასუხები მოემსახურება ARP-ცხრილების განახლების დაფუძნებას. სადგურებს, რომლებიც იყენებს SARP ოქმებს, მიდრეკილება არა აქვთ სპუფინგისადმი.

SARP ოქმის გამოყენებისთვის საჭიროა, რომ ყველა სამომხმარებლო მოწყობილობაზე დაყენდეს სპეციალური პროგრამული უზრუნველყოფა, ამიტომ SARP არ გამოიყენება საერთო კავშირის მქონე ქსელებისთვის. მაგრამ საწარმოებს თავიანთ სამომხმარებლო მოწყობილობებზე შეუძლიათ დააყენონ SARP, რათა თავი დაიცვან «ადამიანი შუაში» სახეობის შეტევისაგან.

«მომსახურებაზე უარი» სახეობის შეტევა (Denial of service, DoS) არის თავდასხმა, რის შედეგადაც უსადენო ქსელი ხდება გამოუსადეგარი ან მისი მუშაობა იბლოკება. ასეთი შეტევის შესაძლებლობა უნდა გაითვალისწინოს ყველამ, ვინც გამართავს უსადენო ქსელს. აუცილებელია დაფიქრება იმაზეც, თუ რა მოხდება, როდესაც ქსელი გახდება მიუწვდომელი განუსაზღვრელი დროით.

DoS შეტევის სერიოზულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა შედეგს გამოიწვევს უსადენო ქსელის მწყობრიდან გამოსვლა. მაგალითად, ჰაკერს შეუძლია გახადოს მიუწვდომელი უსადენო ლოკალური ქსელი, რომელიც გამართულია სახლში, ხოლო ამის შედეგი იქნება მხოლოდ სახლის მეპატრონის შეწუხება, მაგრამ საწარმოს ინვენტარიზაციის უსადენო სისტემის მწყობრიდან გამოსვლა მნიშვნელოვან ფინანსურ დანაკარგებს გამოიწვევს.

DoS შეტევის სახესხვაობიდან ერთ-ერთს წარმოადგენს მეთოდი «უხეში ძალა» (brute-force attack). ინფორმაციული პაკეტების მასიური გაგზავნის დროს ამოქმედებულია ქსელის ყველა რესურსი და შედეგად ქსელი წყვეტს მუშაობას – ეს არის DoS შეტევის ვარიანტი, რომლის შესრულება ხდება მეთოდით «უხეში ძალა».

უსადენო ქსელების მუშაობის გაჩერების სხვა ხერხს წარმოადგენს მეთოდი «შეგრძნების აღმოჩენა» (carrier sense access), სადაც გამოიყენება მძლავრი რადიოსიგნალი, რომელიც ახშობს სხვებს და აკეთებს ისე, რომ წვდომის წერტილები და ქსელის ინტერფეისის რადიოპლატები გამოუსადეგარი ხდება.

გარდა ამისა, Dos შეტევას ხელს უწყობს დაცვის ზოგიერთი მექანიზმი. მაგალითად, WPA (დაცული წვდომა Wi-Fi-სადმი, Wi-Fi Protected Access) მექანიზმმა შეიძლება გამოიწვიოს «მომსახურებაზე უარი» სახეობის შეტევა. WPA ქსელის მომხმარებლები აუტენტიფიკაციისათვის იყენებენ მათემატიკურ ალგორითმებს. თუ რომელიმე მომხმარებელი შეეცდება მიიღოს მისადმი წვდომა და ერთი წამის განმავლობაში გააგზავნის არაავტორიზებული მონაცემების ორ პაკეტს, WPA ჩათვლის, რომ გახდა შეტევის ობიექტი და ქსელი მუშაობას შეწყვეტს.

Dos შეტევის წინააღმდეგ შედარებით მოქმედ დაცვას წარმოადგენს უსაფრთხოების მკაცრი წესების შემუშავება და შესრულება, მაგალითად, როგორიც არის ბრანდმაუერების სისტემების დაყენება და განახლება, ანტივირუსული სისტემების მუდმივად განახლება, სიმბოლოების დიდი რაოდენობით გამოყენება პაროლებში, არაგამოყენებადი ქსელური მოწყობილობების ქსელიდან გათიშვა და სხვა ყველა ის ქმედება, რომლებიც მკაცრად უნდა დაიცვას უსადენო ქსელის ყველა მომხმარებლებმა.

უსადენო ქსელის დაცვა გარეთა რადიოსიგნალების შეღწევისაგან შესაძლებელია შენობის წინააღმდეგობის გაწევის უნარის გაზრდის გზით. არსებობს ზოგიერთი რეკომენდაცია, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია შენობაში რადიოსიგნალების ნაკადის შემცირება: შენობის შიდა კედლებს უნდა გააჩნდეს ლითონის გამძლე ზედაპირი, სასურველია მოხდეს მისი დამიწება; დაყენდეს თერმოიზოლაციის მქონე ფანჯრები და მოხდეს

მისი ქრომირება; შენობის შიდა და გარე კედლებზე გამოყენებულ იქნას ლითონის მინარევის საღებავი; გადამცემის სიმძლავრის დარეგულირება მოხდეს ისეთი სახით, რომ მთლიანად გამოიცხოს სიგნალის გაჟონვა ან მისი დონე დაიწიოს ისეთ მნიშვნელობამდე, რომ შესაძლებელი იქნეს ჰაკერის ადვილად გამოვლინება.

TINATIN KAISHAURI
OTAR SHONIA
ZEBUR BERIDZE

INFORMATIONAL SACURITY OF WIRELESS NETWORKS AND THEIR ANALYSIS

Summary

Wireless networks, the related security issues and their analysis are provided in the present paper. The most widely spread threats, related to the application of wireless networks are presented in the form of drawing. Each of them is characterized with its properties and several recommendations are provided for the purpose of security.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჩოგოვაძე გ., გოგიჩაიშვილი გ., სურგულაძე გ., გ. შეროზია გ., მართვის ავტომატიზებული სისტემების დაპროექტება და აგება, სტუ, თბ., 2003 .
2. შონია ო., ნარეშელაშვილი გ., ქართველიშვილი ი. უმავთულო ქსელების უსაფრთხოება. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, თბ., 2009.
3. Мерритт М., Поллино Д.. Безопасность беспроводных сетей. М., 2004.
4. Козил Д., Логфилд Д., Еител Д., Енли К. Ерен С., Мехта Н., Хасель Р. Искусство взлома и защиты систем. Питер, 2006, 417 стр.

მანანა ვასაძე

საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემა ტურიზმის ინდუსტრიაში

ტურიზმის ინდუსტრია ტელე-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ერთ-ერთ უმსხვილეს მომხმარებელს წარმოადგენს და მას კომპიუტერული აღჭურვილობის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი დონე აქვს საქმიან სამყაროში. ნაწილობრივ ეს გარემოება განპირობებულია იმ ინფორმაციის ბუნებით, რომელიც მოგზაურობათა ინდუსტრიაში გამოიყენება. **პირველი** – ინფორმაცია ძალიან მგრძნობიარეა დროის მიმართ, ვინაიდან ძალიან ხშირად იცვლება თარიღები – მოვლენები, განრიგები, რეზერვირება. **მეორე,** ინფორმაცია ტურისტული პროდუქტების შესახებ დროულად უნდა იყოს მისაწვდომი დედამიწის სხვადასხვა ადგილიდან; **მესამე,** ტურპროდუქტი შედგება (ტრანსპორტის, ბინადრობის, გასართობის) დიდი რაოდენობისაგან, რომლებიც ასევე მოითხოვენ ინფორმაციასა და კომუნიკაციებს მიწოდებისა და მოხმარების კოორდინირებისათვის.

მოგზაურობათა ინდუსტრიაში ყველაზე მნიშვნელოვან საინფორმაციო სისტემებს წარმოადგენს **რეზერვირების კომპიუტერული სისტემები (რკს),** თავდაპირველად. საინფორმაციო სისტემები დამუშავებული იყო ავიახაზების მიერ ბილეთების გაყიდვის, განრიგებთან მუშაობის, მგზავრობის საფასურის გადახდისა და სხვ. ოპერაციების გასაადვილებლად. თუმცა, მალე მათი გამოყენების სფერო ბევრად გაფართოვდა და ამჟამად ისინი წარმოადგენენ ძირითად არტერიებს ყველა ტიპის ინფორმაციისათვის ტურიზმის ინდუსტრიაში. რკს-ები უზრუნველყოფენ მოგზაურობათა დაგეგმვისა და რეზერვირების ინფორმაციის მისაწვდომობას ინდუსტრიის სექტორთა უმრავლესობისათვის, ბინადრობის, კრუიზების, ტრანსპორტის, ტურების, ვალუტის გაცვლისა და გასართობების ჩათვლით.

აშშ-ში არსებობს რეზერვირების ოთხი ძირითადი კომპიუტერული სისტემა: SABR (დამუშავებული ამერიკული ავიახაზების მიერ); APOLLO (დამუშავებული გაერთიანებული ავიახაზების მიერ); SystemOne (თავდაპირველად დამუშავებული აღმოსავლეთის ავიახაზების მიერ) და WORLDSPAN – სისტემების – DATAS და TWA შერწყმა. ევროპაში არის ორი ძირითადი რკს – ამადეუსი და გალილეო. ორივე მიეკუთვნება მრავალრიცხოვან ევროპულ ავიახაზებს და ან ტექნიკურად, ან ორგანიზაციულად უკავშირდებიან ერთ-ერთს ოთხი ამერიკული სისტემიდან. არსებობს რამდენიმე რკს აზიაში, მათგან ყველაზე ცნობილია სისტემა აბაკუსი (ABAKUS). აზიური, ევროპული და ამერიკული სისტემების დამუშავების საერთაშორისო კავშირი წარმოადგენს მოგზაურობათა მიწოდების გლობალური სისტემის საფუძველს. ყოფილ საბჭოთა კავშირში 1991-1992 წლისათვის პოპულარობით სარგებლობდნენ მხოლოდ ავიაბილეთების დაჯავშნის სისტემები Cabriel, Gets და სამამულო «Cèðåíà-2». სიტუაცია შეიცვალა მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც მოსკოვსა და სანკტ-პეტერბურგში გაიხსნა კომპანიების – Start Amadeus და Worldspan – წარმომადგენლობები.

რეზერვირების კომპიუტერული სისტემების ტერმინალები პირველად 70-იანი წლების შუა პერიოდში გაჩნდა. ახლა მათი საშუალებით აღჭურვილია ამერიკული ტურსააგენტოების თითქმის 100%, ხოლო რკს-ს ტერმინალებით აღჭურვილი ევროპული ტურსააგენტოების რაოდენობა მუდმივად იზრდება. ეს სისტემები ტურაგენტების დიდი ნდობით სარგებლობენ ინფორმაციის მიღებისა და ტურპროდუქტების შეძენის უზრუნველყოფის სფეროში. განსაკუთრებით ფართოდ იყენებენ მათ საჰაერო გადაზიდვების უზრუნველსაყოფად, და ასევე, სულ უფრო ინტენსიურად – ბინადრობის, ტურებისა და დასვენების სხვა პროდუქტების უზრუნველსაყოფად. იმ პროდუქტების სახეობები და მრავალფეროვნება, რომელთა შეკვეთაც შეუძლია აგენტს რკს-ის ტერმინალის საშუალებით, მუდმივად ფართოვდება. მაგალითად, ხელმისაწვდომი გახდა მონაცემთა ბაზა – «სპეციალური გზამკვლევი კურორტების შესახებ», რომელიც შეიცავს ინფორმაციას კურორტების საქმიანობისა და მათთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ დედამიწის სხვადასხვა კუთხეში და შეიძლება გამოყენებული იყოს მოგზაურთა სრულიად განსხვავებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. რკს-ები ასევე ავსებენ თავიანთ ტერმინალებს «სახეთა ტექნოლოგიებით», ისე, რომ ტურაგენტსა და მის კლიენტებს შეუძლიათ სურათების დათვალიერება სასტუმროებისა და დასასვენებელი სახლების გამოსახულებით. კორპორაციათა ტურისტულ განყოფილებებსა და თავად მოგზაურებს, რომლებსაც პერსონალური კომპიუტერები აქვთ, შეუძლიათ რკს-ს მონაცემთა ბაზებში შესვლა სხვადასხვა კომპიუტერული ქსელების, მაგალითად, Compuserve-ს დახმარებით.

რკს იმთავითვე წარმოადგენს ინფორმაციის შეგროვების, მისი გადაცემისა და ანალიზის სრულყოფილ საშუალებას. შესაბამისი მონაცემები

სისტემაში კლავიატურის დახმარებით შეაქვთ. ინფორმაცია მიეწოდება დისპლეის. ყველაფერი ეს წარმოდგენილია კომპიუტერში, რომელიც შეიცავს პროცესორს და მოდემით არის შეერთებული ავიაკომპანიის ცენტრალურ კომპიუტერთან დამაკავშირებელ სატელეფონო ხაზთან.

კავშირი რამდენიმე გზით შეიძლება განხორციელდეს. დაჯავშნის საკუთარი სისტემების შექმნით გადამყვანები უზრუნველყოფენ კომპიუტერში შეღწევას გამოყოფილი სატელეფონო ან ელექტრონული ხაზებით. თუკი აგენტი მუშაობს სისტემაში და ბილეთების დაჯავშნას ამ სისტემის მფლობელ კომპანიაში ახორციელებს, მას გააჩნია პირდაპირი კავშირი: აგენტი-გადამზიდი. ხოლო თუ აგენტი აკეთებს იგივეს, მაგრამ ავიაკომპანია არ არის რეზერვირების სისტემის მფლობელი, ასეთ შემთხვევაში კავშირი ხორციელდება ჰოსტის საშუალებით და მას კომპანიები ARIHC-ი ან SITA ახორციელებენ. კომპანია ARIHC (Aeronavtic radio inkorp) 1929 წლიდან უზრუნველყოფს კავშირით ავიახაზების ინდუსტრიას. ამჟამად კორპორაცია მუშაობს აგრეთვე ინდუსტრიის სხვა სფეროებშიც და რიგი სამთავრობო სააგენტოებისათვის. ქსელი SITA გამოიყენება საერთაშორისო კავშირის უზრუნველსაყოფად მოგზაურობების ინდუსტრიაში, ის იყენებს სხვადასხვაგვარ ტექნოლოგიებს მსოფლიოს მრავალ კუთხეში, თუმცა შეუძლია მთელი მსოფლიოს კომპიუტერების დაკავშირება-გაერთიანება.

კომუნიკაციის მეთოდების გვირგვინს წარმოადგენს მულტიშეღწევადობის მქონე სისტემა. მულტიშეღწევადობა საშუალებას აძლევს აგენტებს დაამყარონ კავშირი სისტემის ყველა მონაწილესთან. კავშირის კომპიუტერთაშორის ხაზებზე კომუტატორთა მინიმუმამდე დაყვანა უზრუნველყოფს მონაცემთა გადაცემის დიდ სისწრაფესა და სიზუსტეს.

ტურაგენტები მუშაობენ ტურისტული ინფორმაციის ან დისპლეის ფორმატების რამდენიმე ტიპთან. ეს ეხება რეზერვირების კომპიუტერული სისტემების უმრავლესობას. ჩვეულებრივი აგენტისათვის ხელმისაწვდომია ფრენების განრიგის, თავისუფალი ადგილებისა და ფასების დისპლეები. განრიგებისა და თავისუფალი ადგილების შესახებ ინფორმაციის გამოძახება და გამოტანა დისპლეიზე ხდება აგენტის მოთხოვნით, რომელსაც შეჰყავს გაფრენის ან ჩაფრენის სასურველი დრო. პარალელურად აგენტს შეუძლია მოითხოვოს უფრო ზოგადი ინფორმაციაც, როგორიცაა, ბილეთის ფასი, თავისუფალი ადგილების არსებობა სპეციალურ სალონში კონკრეტულ თარიღებში, რეისის ნომერი, თვითმფრინავის ტიპი, კვება და სხვ.

თუკი ყოველივე ამის შედეგად მოიძებნება კლიენტისათვის შესაფერისი პირობები, იქმნება **მგზავრის სახელის ჩანაწერი (PNR).** ასეთი ჩანაწერი წარმოადგენს სისტემაში მოძიების შედეგად მიღებული მთელი ინფორმაციის შენახვის საშუალებას. ის ჩვეულებრივ შედგება შემდეგი პოზიციებისაგან:

1. მგზავრის სახელი (ვინაობა);
2. ტელეფონის ნომერი;
3. ინფორმაცია ბილეთების შესახებ;
4. გადახდის ფორმა (ჩეკი, ნაღდი ფული);
5. დამატებითი აღნიშვნები;
6. ინფორმაცია აგენტის შესახებ, რომელმაც გარიგება განახორციელა.

ამ ჩანაწერს მიეკუთვნება **საიდენტიფიკაციო ნომერი**, რომლის მიხედვითაც ხდება მასთან შეღწევა. თუ მყიდველი მოისურვებს ფრენის გადადებას უფრო გვიანდელი თარიღისათვის, აგენტს ადვილად შეუძლია ჩანაწერის მოძიება საიდენტიფიკაციო ნომრის მიხედვით. შესაბამისად, თუკი გაფრენამდე დარჩენილი დროის პერიოდში ხდება რაიმე ცვლილებები ფასებში ან განრიგში, ეს ჩანაწერი ავტომატურად ასახავს ამ ცვლილებებს და აწვდის ინფორმაციას ტურაგენტს ამის შესახებ. ტურაგენტსა და ავიახაზების მომსახურეებს შეუძლიათ ერთობლივად გამოიყენონ ჩანაწერი მგზავრის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, რაც მათ სერვისს განსაკუთრებით ეფექტიანს ხდის.

ტურიზმში საინფორმაციო სისტემების არსებობის სხვა მაგალითებს წარმოადგენენ ოტელების რეზერვირებისა და ავტომანქანების იჯარით სარგებლობის სისტემები. რკს-ს ზემოთ აღწერილი სისტემებისაგან განსხვავებით, ტურაგენტს არ შეუძლია მათი გამოყენება პირდაპირ, ეს უნდა მოხდეს მხოლოდ ავიახაზების რეზერვირების კომპიუტერული სისტემების დახმარებით ან ტელეფონით. მაგალითად, ოტელების ქსელს Holiday Inn აქვს საინფორმაციო სისტემა Holidex, რომელიც თავს უყრის ამ საწარმოს ყველა ნაწილს და იძლევა ადგილის დაჯავშნის საშუალებას Holliday Inn-ის ნებისმიერ ოტელში სასტუმროთა ამ ქსელის ნებისმიერი სხვა ოტელიდან, ანდა დაჯავშნის ერთ-ერთი რეგიონული ოფისიდან. ეს სისტემა ასევე გამოიყენება მარკეტინგული მიზნებისა და დაგეგმვისათვის. სასტუმროების ქსელს «შერატონს» აქვს რეზერვირების (Reservatron) მსგავსი სისტემა, ისევე როგორც ოტელებისა და კომპანიების ჯაჭვების უმრავლესობას, ავტომანქანების დასაჯავშნად.

რეზერვირების სისტემებს შეიძლება ფლობდნენ და იყენებდნენ ტურიზმის ინდუსტრიის დამოუკიდებელი კომპანიები. მაგალითად, სისტემა UTELL მთელ მსოფლიოში გამოიყენება ადგილების რეზერვირებისათვის სხვადასხვა სასტუმროებში, რომლებიც არ მიეკუთვნებიან სასტუმროთა რომელიმე ქსელს. სისტემა CONFIRM მომსახუ-

რებას რეზერვირების სფეროში სთავაზობს ნებისმიერ სასტუმროსა და ფირმას ავტომანქანების დასაჯავშნად შესაბამისი საკომისიო გადასახადის საფასურად.

ყველა კომპიუტერის ურთიერთკავშირი მოგზაურობათა ინდუსტრიაში წარმოადგენს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ფაქტორს ტურისტული პროდუქტების შესახებ ინფორმაციის მოპოვების უზრუნველყოფაში იმათთვის, ვინც მოგზაურობებს გეგმავს. უზარმაზარი ძალისხმევაა საჭირო ისეთი კომპიუტერული სისტემების შესაქმნელად, რომლებიც შესაძლებელს გახდიან არსებული კომპიუტერული ქსელებიდან ინფორმაცია ახლადშექმნილ ქსელებს გადაეცეს. ასეთი სისტემური ისრის მაგალითია ultraswitch – სასტუმროთა მრავალრიცხოვანი ჯაჭვების მიერ ავიახაზების რკს-ებთან რეზერვირების მათი სისტემების პირდაპირ მისაერთებლად დამუშავებული სისტემა. ამგვარად, მათ თავიანთი შიდა სისტემა რკს-ების ტერმინალების საშუალებით მისაწვდომი გახადეს სხვადასხვა ტურსააგენტოებისათვის.

ტურიზმის ინდუსტრიაში აქტიურად გამოყენებული საინფორმაციო ტექნოლოგიების კიდევ ერთი მაგალითია ვიდეოტექსტი, რომელიც ფართოდ არის გავრცელებული დიდ ბრიტანეთში. Britisch Telecom-მა ვიზუალური მონაცემების თავისი სისტემა «პრექტელი» (Prectel) აამოქმედა 1979 წელს, დღეს კი მას დიდი ბრიტანეთის ტურსააგენტოების თითქმის 90% იყენებს. «პრექტელში» შეთავსებულია რეზერვირების, ელექტრონული ფოსტის, ტელექსის, ელექტრონული გაზეთებისა და სხვა კომპიუტერული სისტემების შესაძლებლობები, რომლებიც ერთიან, მოსარგებლისადმი მეგობრულად განწყობილ სისტემაში არიან თავმოყრილი. «პრექტელი» ასევე შეიცავს ინფორმაციის შემცველ ათასობით გვერდს, რომელთა მეოთხედი ნაწილი მოგზაურობებს ეთმობა. სისტემა «პრექტელი» ადვილად ხელმისაწვდომია მომხმარებლებისათვის მათი საშინაო ტელევიზორების ეკრანებზე რეზერვირების შესაძლებლობებისა და დასვენების სავარაუდო ადგილების შესახებ ინფორმაციის მისაღებად. ვიდეოტექსტის ტექნოლოგია წარმატებით სარგებლობს ასევე საფრანგეთშიც, სადაც გამოიყენება სისტემა მინიტელი (Minitel). თუმცა აშშ-ში ვიდეოტექსტის გამოყენება შეზღუდულია.

ვიდეოტექსტის სისტემა იდეალურად მიესადაგება ტურისტულ ბაზარს შემდეგი მიზეზების გამო:

1. იძლევა პირდაპირ პასუხს მოგზაურის მოთხოვნაზე;
2. რთულ სიტუაციაში შეუძლია დახმარება გეოგრაფიულად ერთმანეთისაგან დაშორებული ტურსააგენტოების ქსელში ინფორმაციის გავრცელებაში;
3. ამცირებს კავშირის ხაზების გადატვირთვას ბილეთებსა და მომსახურებაზე მოთხოვნების პიკის დროს;
4. კოორდინირებას უწევს ტურისტული ინფორმაციის რაოდენობასა და აქტუალურობას.

«პრექტელის» ძირითად კომპონენტს წარმოადგენს ფერადი ტელევიზორი, რომელიც დისპლეის ფუნქციას ასრულებს, კლავიატურა კითხვებისა და მონაცემების შესაყვანად და ასევე ადაპტორი, რომელიც უზრუნველყოფს ტურსააგენტოს კავშირს ცენტრალურ კომპიუტერთან, სატელეფონო ხაზების გვერდის ავლით. მასში ინახება კომპიუტერის კატალოგში შეყვანილი ტექსტური აღწერილობის ათასობით გვერდი და ასევე ტუროპერატორების, სარკინიგზო ხაზების, ბორნების, ოტელებისა და ავიახაზების წინადადებები. სისტემა «პრექტელი» ასევე მოიცავს უკანასკნელ ცნობებსა და ცვლილებებს მომსახურების ყველა ამ სფეროდან და შეუძლია უმარტივესი დიაგრამების დახატვა. არხის უბრალო გადართვით აგენტს შეუძლია შეღწევა კომპანია-გადამზიდავთა კომპიუტერში და დაჯავშნის განხორციელება სტანდარტული ფორმატით.

რეზერვირების კომპიუტერული სისტემები და ვიდეოტექსტის სისტემები, პირველყოვლისა, ემსახურებიან თავიანთი მფლობელის, მაგალითად, ავიაკომპანიის მომსახურების მარკეტინგის უზრუნველყოფას. ტურსააგენტოს მომსახურების მარკეტინგის უზრუნველყოფა ხდება ტელემარკეტინგის სისტემის გამოყენებით.

ტელემარკეტინგი ეფუძნება უკუკავშირით აღჭურვილ მოწყობილობას, რომელიც საშუალებას აძლევს ბიზნესმენებს განახორციელონ დაპროგრამებული ზარები თავიანთ კლიენტებთან და შეატყობინონ მათ მომსახურების ახალი სახეების ან მიახლოებული მოვლენების შესახებ, და ასევე მიიღონ გზავნილები კლიენტებისაგან. ასეთი სისტემა უკვე ფართოდ გამოიყენება უძრავი ქონების, დაზღვევისა და ფინანსების ინდუსტრიაში.

ტურსააგენტოების მენეჯერებისათვის შეთავაზებული სისტემა შეიძლება ინახავდეს ორი ათასამდე ტელეფონის ნომერს, 23-ნიშნიანი ნომრების ჩათვლით, ასევე 99-მდე გზავნილსაც და შეიძლება დაპროგრამებული იყოს თვეში 25 ათასი ზარის ავტომატურ აკრეფასა და განხორციელებაზე. ეს კი ქმნის კლიენტებთან ეფექტური კავშირის, პროდუქტის რეკლამისა და წარმატებული წინსვლის შესაძლებლობას, ასევე ხელს უწყობს სააგენტოს იმიჯის შექმნას. რამდენადაც სისტემა შეიძლება აწყობილი იყოს მომხმარებლებისაგან კომენტარების მიღებაზე, ტელემარკეტინგი დახმარებას უწევს საბაზრო კვლევებისა და ანგარიშების წარ-

მოებას. ზოგიერთი ტურსააგენტო აღიარებს, რომ ტელემარკეტინგის სისტემის დაყენების შემდეგ ერთი წლის განმავლობაში მათ გააორმაგეს გაყიდვების მოცულობა.

ტურისტული კომპანიები, გარდა ამისა, საინფორმაციო ტექნოლოგიებს იყენებენ მათი ბიზნესის ოპერატიულ ასპექტებთან მუშაობისათვის და ამით აფართოებენ რეზერვირების მომსახურების სფეროს. მაგალითად, ტურსააგენტოები უნდა აგროვებდნენ ინფორმაციას თავიანთი კლიენტებისა და მათი ანგარიშების შესახებ, რისთვისაც დამუშავდა საოფისე ხელშეწყობის სისტემები. ბოლო დრომდე ასეთი სისტემები არ იყო გავრცელებული ისე ფართოდ, როგორც რეზერვირების კომპიუტერული სისტემები და ვიდეოტექსტები და მათ მოიხმარდნენ მხოლოდ ტურსააგენტოების 40%-ში. ამჟამად სიტუაცია არსებითად შეიცვალა და ტურსააგენტოთა უმრავლესობას ვერც კი წარმოუდგენია თავისი მუშაობა შიდასაოფისე სისტემების გარეშე. რკს-ების მფლობელმა ავიაკომპანიებმა დაამუშავეს საოფისე ხელშეწყობის სპეციალური პროგრამები, რომლებიც დამატებით უპირატესობებს ქმნიან, ვინაიდან რეზერვირების სისტემებთან არიან დაკავშირებული. ტურსააგენტოს თანამშრომელს უშუალოდ შეუძლია მონაცემების შეყვანა რკს-ს დისპლეიდან სხვა ჩანაწერებში, საბალანსო ანგარიშების, ავიახაზების ანგარიშების, თანამშრომელთა ჩანაწერების, კლიენტების ჩანაწერებისა და ა.შ. ჩათვლით. შიდასაოფისე კომპიუტერებისა და რკს-ების კომპიუტერების პირდაპირი კავშირი სისტემაში შეყვანილი ინფორმაციის სიზუსტის უზრუნველყოფისა და მონაცემთა შეყვანისას დროის ეკონომიის საშუალებას იძლევა. ზოგიერთმა კომპანიამ დაამუშავა სისტემები, რომლებიც შიდასაოფისე ფუნქციების მართვის საშუალებას იძლევიან ერთი კომპიუტერიდან.

ტურიზმის ინდუსტრიის კომპანიების შიდა ორგანიზაციაში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება პროდუქტების არსებობის, მომსახურების ხარისხის უფრო ეფექტიანი გაკონტროლების საშუალებას იძლევა, რასაც შედეგად მწარმოებლურობის საერთო ზრდა მოსდევს. მონაცემთა ბაზები მართვაში უკეთესი შედეგების მიღწევის საშუალებას იძლევა სისტემების შესანიშნავი საანგარიშო შესაძლებლობების ხარჯზე. გარდა ამისა, კომპიუტერულ ტურისტულ სისტემებში ერთვებიან საექსპერტო სისტემები, რაც მაღალი დონის გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევაში დახმარების გაწევის საშუალებას იძლევა. საინფორმაციო სისტემების სხვა უმნიშვნელოვანეს უპირატესობას წარმოადგენს მათი უნარი შეინახონ და დაამუშაონ გარკვეული ინფორმაცია მყიდველის შესახებ, რაც უფრო მეტად პერსონიფიცირებულ სერვისს უზრუნველყოფს. სასტუმრო ბიზნესში, მაგალითად, მონაცემთა ასეთი ბაზა საშუალებას აძლევს სასტუმროს დახლთან მდგომ კლერკს მომენტალურად გაარკვიოს, რომ სტუმარი უპირატესობას ანიჭებს ოთახს არამწეველთათვის, უნდა რომ გააღვიძონ დილის 7 საათზე და რომ სასტუმროში ცხოვრების პერიოდს ემთხვევა მისი დაბადების დღე. ავიახაზებსა და ტურისტულ სააგენტოებს თავიანთ ფაილებში შეუძლიათ შეიტანონ მონაცემები კლიენტისათვის სასურველი ადგილების შესახებ, იმ მგზავრების ანგარიშები, რომლებიც ხშირად დაფრინავენ და სხვა მონაცემები, რომლებიც უზრუნველყოფენ კლიენტთა კეთილგანწყობას ფირმის მიმართ.

საზოგადოებრივი ტურისტული სააგენტოები ამჟამად კომპიუტერულ ტექნოლოგიებს იყენებენ ისეთი მონაცემთა ბაზების შესაქმნელად, რომლებიც მოსარგებლისათვის მისაწვდომია როგორც მგზავრობისას, ისე ბინადრობის ადგილზე. ამ სისტემებს ეწოდებათ ტურისტული საინფორმაციო სისტემები, ანდა **დისტანციების მართვის სისტემები**. ოქსფორდის განმარტებით ლექსიკონში (The Concise Oxford Dictionary) დისტანცია განმარტებულია როგორც «ადგილი, რომელშიც ადამიანი (ნივთი) მოგზაურობს (იგზავნება)». ამჟამად არსებობს ამგვარი სისტემების დიდი რაოდენობა, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არქიტექტურით, კავშირის საშუალებებით, ინფორმაციის სტრუქტურითა და სხვ. ეს სისტემები საშუალებას აძლევენ მოგზაურებს მოიპოვონ შედარებითი ინფორმაცია რესტორნების, მაღაზიებისა და გასართობების შესახებ აეროპორტებში განთავსებული ტერმინალებიდან, ოტელების ვესტიბიულებიდან და სხვა საზოგადოებრივი ადგილებიდან, და ასევე ცნობათა ბიუროში ტერმინალების ოპერატორებისაგან. ტურისტული საინფორმაციო სისტემები (ტსს) მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ტურიზმის განვითარების რეგიონულ დაგეგმვაში.

ელექტრონული ქსელები (ინტერნეტი) – ეს არის ყველაზე პერსპექტიული საინფორმაციო ტექნოლოგიები, რომლებსაც დიდი პოტენციალი აქვთ და რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ტურისტული ინფორმაციის გავრცელებაში. ძალიან მალე საზოგადოება მიაღწევს განვითარების ისეთ დონეს, როდესაც თითოეულ სახლს პერსონალური კომპიუტერი ექნება თავისი მოდემით და, შესაბამისად, შეეძლება შეღწევა მსოფლიოს ნებისმიერ საინფორმაციო სისტემაში. საერთაშორისო კომპიუტერული ქსელი – ინტერნეტით ამჟამად შესაძლებელია არა მარტო გარკვეული ინფორმაციის მიღება ტურისტული პროდუქტების შესახებ, არამედ ადგილების დაჯავშნაც ავიახაზებზე, ოტელებში, ანუ ქსელს რეზერვირების გლობალური კომპიუტერული სისტემების თითქმის ყველა შესაძლებლობა გააჩნია. ჯერჯერობით

მოგზაურებისათვის ინტერნეტით დაჯავშნა საშინაო კომპიუტერიდან შეუჩვეველ სიახლეს წარმოადგენს – ამ შესაძლებლობით 2000 წლისათვის მოგზაურთა მხოლოდ 7%-მა ისარგებლა. მიუხედავად ამისა, ამ სიახლემ უკვე იქონია გავლენა მარკეტინგულ სტრატეგიაზე ტურიზმის ინდუსტრიაში. ტურისტული ინდუსტრიის ასოციაციის მიერ ჩატარებული გამოკითხვა გვიჩვენებს, რომ გამოკითხული ბიზნესმენების ნახევარზე მეტი სიამოვნებით იყენებს ინტერნეტს თავისი საქმიანი მგზავრობებისათვის, მაგრამ მხოლოდ 10%-ი ახორციელებს დაჯავშნას ონ-ლაინ რეჟიმში. უმნიშვნელოვანეს პირობას, რომელსაც შეუძლია ხიდის გადება სურვილსა და რეალიზაციას შორის, წარმოადგენს მოსარგებლისათვის უფრო მეგობრული ინტერფეისი, თუმცა მოგზაურთა უმრავლესობა მაინც ტურაგენტებისთვის მიმართვას ირჩევს.

ონ-ლაინ რეჟიმით ინტერნეტში ჩართვისას და საკუთარი დასვენების დაგეგმვისას მოგზაური რწმუნდება, რომ ინტერნეტი – ესაა ტურიზმის სფეროში ახალი ინფორმაციის მიღების ყველაზე საინტერესო და მისაწვდომი გზა. და ეს ყველაფერი იმის გამო, რომ ინტერნეტის იმ ნაწილს, რომელიც მსოფლიო აბლაბუდის (World wide web) სახელით არის ცნობილი, შეუძლია ბგერების, სახეების, გრაფიკისა და ტექსტის გაერთიანება და, რაღა თქმა უნდა, ტურიზმის ინდუსტრიამ ძალღონე არ დაიშურა ყველა ამ შესაძლებლობის გამოსაქვეყნებლად თავისი პროდუქტებისა და მომსახურების წარმატებული გავრცელებისათვის მთელ მსოფლიოში.

სხვადასხვა ტურისტულ და სასტუმრო ფირმებს შეუძლიათ თავიანთი მომსახურების აღწერა ვებ-გვერდებზე, ანდა საკუთარი გვერდების შექმნა და მათი მიერთება უკვე არსებულებთან. ტურისტული ინფორმაციის დიდი მოცულობის შემცველი ამგვარი გვერდების მაგალითებს წარმოადგენენ Rec Travel Library, Global Network Mavigator, Travel Center, რომლებიც უზრუნველყოფენ ინფორმაციის მისაწვდომობას მთელ მსოფლიოში.

ინტერნეტის საქმიანი პოტენციალი უზარმაზარია, თუკი გავითვალისწინებთ მილიონობით ადამიანს მთელს დედამიწაზე.

ამგვარად, ინტერნეტის ქსელში მკვიდრდება ტურპროდუქტების პირდაპირი გაყიდვების სრულიად ახალი ქსელი.

საინფორმაციო ტექნოლოგიების წარმატებული მართვა ტურისტულ კომპანიაში ამჟამად დაკავშირებულია გარკვეულ მოთხოვნებთან უმაღლესი მმართველობითი აპარატის მიმართ. აქ შედის საინფორმაციო ტექნოლოგიების სწორად გამოყენება და იმის განსაზღვრა, თუ როგორ მიესადაგება უფრო სრულად ეს გამოყენება კომპანიის სტრატეგიულ მიზნებსა და მიმართულებებს. საინფორმაციო ტექნოლოგიის მართვა კომპანიის მენეჯმენტისაგან მოითხოვს საინფორმაციო სისტემის დანერგვის ყურადღებით შეფასებას, ეფექტიანობისა და კლიენტის მოთხოვნების უფრო სრულად დაკმაყოფილების მისაღწევად. როდესაც სისტემა შერჩეულია და დაყენებული, მენეჯმენტის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა პერსონალის სწავლება და მისი გამოყენება, ვინაიდან პერსონალის ადეკვატური მომზადების გარეშე ნებისმიერი საინფორმაციო სისტემა არაეფექტურია.

ინვესტიციები საინფორმაციო სისტემების როგორც ძირითად, ისე მომდევნო (მოგებიდან) პროექტებში წარმოადგენს აუცილებელ პირობას იმ შემთხვევაში, თუკი კომპანიებს სურთ შეინარჩუნონ კონკურენტუნარიანობა ტურიზმის ინდუსტრიაში დღევანდელ ვითარებაში. დაბანდებები საინფორმაციო ტექნოლოგიებში გამართლებულია, ვინაიდან მათი შედეგია ფირმის კონკურენტუნარიანობისა და ეფექტიანობის ამაღლება. მართალია რეზერვირების სისტემები ტურფირმას საკმაოდ ძვირი უჯდება, მაგრამ ისინი უზრუნველყოფენ შესანიშნავ სადისტრიბუციო პირობებს ტურიზმის ბაზრებზე, რაც ზრდის შემოსავლიანობას.

ამას გარდა, საინფორმაციო ტექნოლოგიებს გააჩნიათ პოტენციალი, რომელიც შესაძლებელს ხდის არა მარტო ტურისტული ინდუსტრიის ფირმების ეფექტიანობის ამაღლებას, არამედ ხელს უწყობს ტურისტული პროდუქტის უფრო მეტ ხელმისაწვდომობას მოგზაურებისათვის. იმ შემთხვევაში, როდესაც სისტემა სწორად არის გამოყენებული, საინფორმაციო ტექნოლოგიები უზრუნველყოფენ მომსახურების მაღალ ხარისხს, რითაც უმეტესწილად აკმაყოფილებენ ტურისტთა და მოგზაურთა მოთხოვნებს. თუმცა ტურისტულმა ფირმებმა ყურადღება უნდა მიაქციონ ტექნოლოგიების შესაბამის გამოყენებას, რასაც შეუძლია სტერილური ატმოსფეროს შექმნა იქ, სადაც კლიენტები თბილ, მეგობრულ ღიმილს მოელიან. საჭიროა გარკვეული წონასწორობის დაცვა მაღალ ტექნოლოგიურობასა და აუცილებელ პირად ყურადღებას შორის.

ზემოაღნიშნული ანალიზიდან ცხადი ხდება, რომ მოგზაურობათა ინდუსტრიაში ვრცელდება არა კომპიუტერი, ტელეფონი ან ვიდეობროშურა, არამედ ურთიერთდაკავშირებული კომპიუტერული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მთელი სისტემა. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ტექნოლოგიების ამ სისტემას იყენებენ არა ტურაგენტები, სასტუმროები ან ავიახაზები – თითოეული ცალ-ცალკე, არამედ ყველა ერთად. უფრო მეტიც, საინფორმაციო ტექნოლოგიის გამოყენება ერთ-ერთი მომწოდებლის მიერ მნიშვნელო-

ვანი ხდება ყველა დანარჩენისათვის. მაგალითად, უბაჟო ნომრის დაჯავშნისათვის სასტუმროში აუცილებელია ტურაგენტმა გამოიყენოს ტელეფონი ან რკს, რათა მოახერხოს შეღწევა ამ სასტუმროს ინფორმაციაში ან მონაცემთა ბაზაში. ტურმომწოდებლები ამაოდ ჩათვლიან თავს კომპიუტერული ბადის ნაწილად, თუკი ტურაგენტებს არ მიუწვდებათ ხელი ამ სისტემაზე. ეს კი ნიშნავს, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება ტურიზმში მხოლოდ ერთ კომპონენტს კი არ უკავშირდება, არამედ მთლიანად დარგს. ყველაფერი ეს კი იმიტომ ხდება, რომ ტექნოლოგიის გამოყენება დარგის ერთი სეგმენტის მიერ განაპირობებს ტექნოლოგიის ინტეგრაციასა და გამოყენებას ყველა დანარჩენ სეგმენტში. ეს განსაკუთრებით ეხება განაწილების საგარეო საინფორმაციო ფუნქციებს, პროდუქტის შედგენას, მარკეტინგსა და დარგობრივ ინტეგრაციას.

ზემოაღნიშნული ანალიზის მიმართ აუცილებელია ორი შენიშვნის გაკეთება. ჯერ ერთი, ანალიტიკური სიმარტივისათვის ტექნოლოგიები განისაზღვრებოდა როგორც ერთეული, აბსტრაქტული ელემენტი. მიუხედავად ამისა, სინამდვილეში ყოველი ცალკეული ტექნოლოგია დასაშვებად მიიჩნევს, და არის კიდევაც, სრულიად ინტეგრირებული სხვა ტექნოლოგიებთან. მაგალითად, სასტუმროს შიდა მართვის სისტემები შეიძლება სრულად იყვნენ ინტეგრირებული ციფრულ სატელეფონო ხაზებთან, რომლებიც, თავის მხრივ, ერთად უზრუნველყოფენ კავშირის საფუძველს რეზერვირების კომპიუტერულ სისტემებთან, რომლებიც, უკვე საწინააღმდეგო მიმართულებით, შეიძლება მისაწვდომი გახდნენ ტურაგენტებისათვის ვიდეომონაცემების მათი ტერმინალების საშუალებით. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ტურიზმის ინდუსტრიაში ვრცელდება საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემა (სტს).

მეორე, ანალიზი ამარტივებს და აშორიშორებს ავიაკომპანიების, ტუროპერატორების, სასტუმროებისა და ტურაგენტების საქმიანობას. თუმცა, რეალურ სამყაროში ტურისტული მომსახურების მწარმოებლები და მომწოდებლები მჭიდროდ არიან დაკავშირებული: ბევრი მათგანი ხომ ვერტიკალურად, ჰორიზონტალურად ან დიაგონალურად არის ჩართული ერთმანეთის საქმიანობაში.

ელექტრონული ქსელების გავრცელება და მათში წარმოდგენილი ტურისტული ინფორმაციის მოცულობის გადიდება მოგზაურს საშუალებას აძლევს პირდაპირ დაუკავშირდეს ტურისტული მომსახურების მწარმოებლებს საშინაო კომპიუტერის გამოყენებით. ამგვარად, საინფორმაციო ტექნოლოგიები სულ უფრო დიდ გავლენას ახდენენ ტურისტული მომსახურებების დამოკიდებულებებზე – «მწარმოებელი – მომხმარებელი».

მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგიებს დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ ტურისტული დარგისათვის, თავისთავად საინფორმაციო ტექნოლოგიებს არ შეუძლიათ ტურისტული მომსახურების «ახალი კომბინაციების» შექმნა. მხოლოდ ტექნოლოგიების გაერთიანება ზოგიერთ სხვა სოციალურ (მუშაობის საათები), ინსტიტუციონალურ (რეგულირება), სოციო-პოლიტიკურ და კულტურულ ფაქტორებთან შექმნის ახალ ტურისტულ კომბინაციებს. ეს დამოკიდებულია იმაზე, რომ ტურიზმი ეხება ადამიანის არსებობის მთელ არსს და ძალიან ძლიერად რეაგირებს პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და ეკოლოგიურ ზეწოლაზე, ამგვარად, «საუკეთესო პრაქტიკის» გავრცელება ტურიზმის ინდუსტრიაში დამოკიდებული იქმნება არა მარტო საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებაზე, არამედ სოციოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული და ეკოლოგიური ფაქტორების გავლენაზე ტურიზმის განვითარებაზე.

ზემოთ მოყვანილი დასკვნები საშუალებას გვაძლევს საინფორმაციო სისტემების ტექნოლოგია (სსტ) და მისი ათვისება დარგის ყველა სეგმენტის მიერ განვიხილოთ როგორც ტურიზმში სიუხვის შექმნის საყოველთაო სისტემის საფუძველი. ასეთი სისტემის შიგნით, მთელი მეტია, ვიდრე მისი დაცალკევებული ნაწილების ჯამი. ამგვარად, სისტემას სინერგიის ეფექტი გააჩნია. სინერგია – ესაა დანახარჯების დამატებითი ეკონომია (საქმიანობის მასშტაბების ზრდისაგან მიღებული ეკონომიის ჩათვლით) პლუს გარკვეული სახის რესურსების (ჩვენს შემთხვევაში – სტ-ების) ერთობლივი გამოყენებით მიღებული წმინდა შემოსავალი. სინერგიას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც საქმიანობის სახეების კომბინირება იძლევა საერთო ეფექტს, რომელიც აღემატება საქმიანობის იგივე სახეების ცალკე აღებული შედეგების ჯამს. ტურიზმის ინდუსტრიაში სინერგიის მაგალითს წარმოადგენს დიდი ავიაკომპანიის მიერ სასტუმროთა ქსელის შეძენა იმისათვის, რათა შესაძლებლობა მიეცეს მომსახურების სრული კომპლექტის შეთავაზებას მგზავრებისათვის.

დასასრულ უნდა შევნიშნოთ, რომ ტურისტული ინდუსტრია საჭიროებს ეფექტური საინფორმაციო სისტემების სრულიად განსხვავებულ ფორმებს. მათგან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის საინფორმაციო სისტემები, რომლებიც მოგზაურობათა დამგეგმავების მიერ გამოიყენება კვლევისა და რეზერვირების პროცესების ჩატარების გასაადვილებლად. ავიახაზების რეზერვირების კომპიუტერული სისტემები ტურისტული ინფორმაციის ყველაზე მნიშვნელოვან წყაროებად იქცნენ და ახლა იქმნება საერთაშორისო კავშირები, რომლებიც გლობალურ სადისტრიბუციო სისტემას აყალიბებენ. პრაქტიკულად ტერმინალის

ერთადერთი გასვლაც კი მრავალრიცხოვან რკსებზე გააუმჯობესებს ტურსააგენტოს მუშაობას. ბევრ ტურისტულ კომპანიებში, როგორც პატარებში, ისე ძალიან დიდებში, სულ უფრო პოპულარული ხდება საინფორმაციო სისტემები ისეთ სპეციალურ ინფორმაციასან სამუშაოდ, როგორიცაა ბუღალტერია, მარკეტინგი, სარეზერვო და ოპერატიული ინფორმაცია. აუცილებელია ასევე აღინიშნოს ინტერნეტის საერთაშორისო ქსელის მზარდი როლი ტურიზმის დაგეგმვაში როგორც ტურისტული მომსახურების მომწოდებელთა მხრივ, ისე მომხმარებელთა მხრიდან. კერძო პირებს ამჟამად შეუძლიათ დამოუკიდებლად შეისწავლონ თავიანთი მოგზაურობის ყველა დეტალი ისე, რომ არ მიმართონ ტურსააგენტოს სამსახურს. რაც უფრო მეტი ტურისტული პროდუქტი ხდება ელექტრონულად მისაწვდომი, მით უფრო მომგებიანია ეს მოგზაურებისათვის, რომლებსაც წინასწარ შეუძლიათ ცნობების მიღება ყველა მოხერხებულობის, გასართობისა და მოვლენის შესახებ დანიშნულების ადგილზე. ტურიზმის ინდუსტრიის ბევრი სექტორი ადრე საკმაოდ უხალისოდ იყენებდა საინფორმაციო ტექნოლოგიებს, რადგან მიაჩნდათ, რომ კომპიუტერები არ შეეფერებიან მომსახურების სფეროს. გამოცდილებამ ცხადყო, რომ კომპიუტერული **საინფორმაციო სისტემები, პირიქით, ამაღლებენ მომსახურების ხარისხს, ამცირებენ რა რუტინული შრომის რაოდენობას და ათავისუფლებენ რა დროს კლიენტთა უფრო ყურადღებიანი მომსახურებისათვის**.

ელექტრონული ქსელები აბსოლუტურად მისაწვდომები (კვირაში 7 დღისა და დღე-ღამეში 24 საათის განმავლობაში ქსელში ჩართულ ნებისმიერ მოსარგებლეს შეუძლია მასში შეღწევა), ძალიან სწრაფები (პასუხის მიღების აზრით) და ორმხრივ მიმართულები არიან. ამგვარად, ელექტრონული ქსელების გამოყენება უფრო მიზანშეწონილია დინამიკის ინფორმაციასთან სამუშაოდ, ვიდრე კატალოგების ტიპის ტრადიციული ტურისტული საშუალებები. თუმცა, დინამიკური ინფორმაცია ხშირად აუცილებელია სტატიკური ინფორმაციის შემცველი მასალების განხილვისას. ამიტომ ელექტრონული სახით ერთდროულად უნდა ხდებოდეს როგორც სტატიკური, ისე დინამიკური ინფორმაციის მიწოდება, თუმცა, ამჟამად ელექტრონულ ქსელებში მოწოდებული ტურისტული ინფორმაციის დიდი ნაწილი სტატიკურ ინფორმაციას წარმოადგენს. ამის გამო ტურისტული კომპანიები, რომლებიც ელექტრონულ ქსელებს იყენებენ, ჯერჯერობით ვერ ახერხებენ მოგების მიღებას არსებული უპირატესობების გამოყენებით. აუცილებელია აქცენტის გაკეთება იმაზე, რომ გადაწყვეტილების მიღების წინა პერიოდში ინფორმაციის დინამიკური ნაწილი ბევრად უფრო მნიშვნელოვანია.

მოგზაურობათა ინდუსტრიის სტრუქტურული თავისებურებების გამო ყველა ტურისტული ორგანიზაცია როდი შეძლებს შეთავაზებული საშუალებებით სარგებლობას. როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, პირველ რიგში ელექტრონულ ქსელებში წარმოდგენილია მსხვილი ტურისტული ფირმები (სასტუმროები, ტუროპერატორები). თუმცა მცირე ზომის ტურსააგენტოები შეიძლება გაერთიანდნენ ინტერნეტში თავიანთი საკუთარი დანართების შექმნის მიზნით, რათა თავიდან აიცილონ მათი ბაზრიდან გაძევება.

ინტერნეტი და სხვა ელექტრონული ქსელები ტურისტულ ინდუსტრიას ვეებერთელა გლობალური აუდიტორიის მოპოვებისა და მისთვის ისეთი საბაზრო ინფორმაციის მიწოდების საშუალებას აძლევენ, რომელიც შეიძლება ოპერატიულად ახლდეს. ამგვარად, აღმოიფხვრება ის ნაკლოვანებები, რომლებიც ჩვეულებრივ ინფორმაციის მაგარი მატარებლების (ბეჭდვითი გამოცემების, დისკეტებისა და ა.შ.) გავრცელებასთან არიან დაავშირებული, როგორებიცაა დიდი დანახარჯები წარმოებაზე და არაზუსტი ინფორმაციები. გლობალური ელექტრონული ქსელები თავიანთ საბოლოო მოსარგებლეებს უზრუნველყოფენ მუდმივი კავშირით ინფორმაციის მიმწოდებელ ისეთ დოკუმენტებთან, როგორებიცაა რუკები, ისტორიული დამოწმებები და სხვა მსგავსი ინფორმაცია.

ტურისტული ინდუსტრიის საერთო წარმატება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად წარმატებულად შეუძლია მას საბაზრო ინფორმაციის მიწოდება. ევროპის კავშირში ჩატარებული გამოკვლევისთანახმად ტურიზმისა და მოგზაურობათა ინდუსტრია წარმოადგენს ინფორმაციის ერთ-ერთ უმსხვილეს მომწოდებელს და მას თავისუფლად შეუძლია მასობრივი ინფორმაციის ელექტრონული საშუალებების სიმძლავრის გამოყენება. მასობრივი ინფორმაციის ტრადიციულ საშუალებებთან (ტელევიზია, პრესა) შედარებით ელექტრონულ ქსელებს გააჩნიათ ზოგიერთი უნიკალური შესაძლებლობები. ინფორმაციის სხვადასხვა ტიპები (ვიდეო, ხმა, ანიმაცია, მაღალხარისხოვანი ფერადი სახეები) შეიძლება გამოყენებული იქნენ ტექსტთან ერთად, რაც ინფორმაციის მიწოდებას უფრო ეფექტურს ხდის. მასობრივი ინფორმაციის ელექტრონული სისტემები კიდევ უფრო მასობრივებს ხდიან ისეთ თვისებებს, როგორებიც არიან ინტერაქტიურობა და თემატურობა.

უმეტეს ქვეყნებში არსებობს ქსელური მომსახურების რამოდენიმე კონკურენტული მიმწოდებელი. ინტერნეტში შეშვების ზოლი დამოკიდებულია მხოლოდ მომსახურების საფასურის გადასახდელად დახარჯული ფულის საერთო თანხაზე. მოსარგებლის დანახარჯებს ადარებენ წინა მაგა-

ლითებს, თუმცა ყოველთვის აუცილებელია კომპიუტერი და მოდემი. ამასთან ინფორმაციის მომწოდებელი შეიძლება იოლად გავიდეს იგივე სახსრებით, ასე რომ მისთვის ხარჯები დიდი არ არის. თუმცა, ტურისტული საწარმოები კვლავინდებურად სრულად ვერ იყენებენ ყველა იმ შესაძლებლობას, რომლებსაც ელექტრონული ქსელი სთავაზობთ. გამონაკლისს წარმოადგენენ მხოლოდ რეზერვირების კომპიუტერული სისტემები (რკს) და ინფორმაციის გაცვლის ზოგიერთი დიდი იმედების მომცემი რეგიონული სისტემები (მაგალითად, ტსს – ტურისტული საინფორმაციო სისტემები, რომლებიც შეიცავენ მონაცემთა ბანკებს რეგიონის შესახებ). ამგვარად, მომხმარებელი ჯერ კიდევ ცუდად არის ინტეგრირებული კავშირის ტურისტულ სისტემაში. ელექტრონული ქსელების გამოყენებას შეუძლია მიუახლოვოს მომხმარებელი მიწოდებას და უზრუნველყოს სწრაფი, იაფი, ორგანიზებული, ორმხრივი, პირდაპირი და დამოუკიდებელი საინფორმაციო არხი.

ტრადიციული ტურისტული სისტემებისაგან განსხვავებით მრავალფეროვანი ახალი სისტემები (ტსს-ის ტიპის) უკვე ხელმისაწვდომია მომხმარებელთა და ტურისტული ორგანიზაციების ყველა კატეგორიისათვის (მათ შორის სასტუმროების, ავტომანქანების გამქირავებელი კომპანიები, ტუროპერატორების, ტურაგენტე-ბისათვის და სხვ.), იმ პირობით, რომ ამ უკანასკნელთ გაასჩნიათ აუცილებელი მოწყობილობა. იგივე შეიძლება ითქვას ელექტრონული ქსელების მიზნობრივი აუდიტორიის შესახებ, რომელიც შედგება ორივე ჯგუფისაგან – როგორც ტურისტების, ისე ტურისტული ორგანიზაციებისაგან. უახლოეს მომავალში ელექტრონული ქსელების გამოყენება ხელმისაწვდომი იქნება თითქმის ყველა მომხმარებლისათვის.

ელექტრონული ქსელების ფართოდ გავრცელებისა და მათი მოსარგებლეების რიცხვის მუდმივი ზრდის წყალობით ამ სისტემების გამოყენება წარმატებით შეიძლება როგორც სრულყოფილი კომუნიკაციური პლატფორმისა ტურიზმის ინდუსტრიის მარკეტინგისა და საინფორმაციო მომსახურებისათვის.

MANANA VASADZE

Summary

Tourism Industry is the most important industry using telecomminications technologies. It referres to the highest level of communications in business environment. There are three aspets of core importance in relation to tourist information. The first is Availability – booking at any time. Changes in dates, schedules, reservetion should not affect the information. The second - Access to the information, as the it should be searched by the customers from any part of the world. The third important aspect is that the tourist product searched by customers is a unit of complex productformed by several components (transport, accommodation, entertainment). Every component uses its own information for customer coordination and satisfaction .

თინათინ ზაქარაშვილი

ინფორმაციული საბაბიდან ინფორმაციულ შეტყობინებამდე

ახალი ამბების ჟურნალისტიკა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოვლენის საბაბს. საბაბი შეიძლება იყოს როგორც **ბუნებრივი,** სპონტანური, ასევე **შექმნილი** (გამოგონებული ანუ ინიცირებული).

რას არ იქმოდნენ ადამიანები სხვადასხვა დროში, რათა ხელისუფალთა (და არა მხოლოდ მათი), ყურადღება მიექციათ თავიანთი პერსონისა თუ საქმისადმი.

რას არ მოიფიქრებენ, რომ რეალობაში დაადასტურონ ის, რაც, ზოგადად, თეორიებში არსებობს.

ჰოლივუდელმა მსახიობმა ს. სტალონემ საკუთარი რესტორნის გახსნაზე ხელით კედელიც კი გაანგრია. ერთ-ერთმა არქიტექტორმა ახალი ხიდის გამძლეობაში ხელისუფლება რომ დაერწმუნებინა, წყლის მოქცევის დროს მასზე ნავი ჩამოკიდა, რათა დაემტკიცებინა, რომ მოქცევას ხიდი გაუძლებდა. ფიზიკოსმა ლავუაზიემ კი მეცნიერებას ალმასი "შესწირა" და ფლოგისტონის თეორიის უარსაყოფად დიდი აუდიტორიის თვალწინ დაწვა.

ინფორმაციულ საბაბად ნებისმიერი წინაპირობისა და პოტენციალის გამოყენება შეიძლება – ნებისმიერი ადამიანისა, ნებისმიერ სფეროში. მაგალითად, ტრიკოტაჟის ფაბრიკას, რომელსაც არანაირი საახალამბებო საბაბი არ მოეპოვება, შეუძლია საკუთარი პროდუქციის ასორტიმენტიდან ნიმუშად თოკი დაგრიხოს, ყველაზე მაღალი შენობიდან გადაუშვას და მასზე ვინმე მამაცი დაეშვას.

ზოგს ეს ყველაფერი აბსურდადაც შეიძლება მოეჩვენოს, თუმცა აბსურდული იდეა კრეატიული იდეისაკენ გადადგმული ნაბიჯია. ასე რომ, თუ ადამიანები არ შეუშინდებიან უჩვეულოდ აზროვნებასა და "აბსურდების" გამოგონება-მოფიქრებას, საახალამბებო საბაბიც მრავლად ექნებათ ჟურნალისტებს.

მნიშვნელოვან ინფორმაციულ საბაბად, რომელმაც შეიძლება დააინტერესოს მკითხველი, მაყურებელი და მსმენელი, მიიჩნევა მოვლენა, თუ ის:

- არსობრივ გავლენას ახდენს რაიონის, რეგიონის, სახელმწიფოს ცხოვრებაზე;
- საერთაშორისო მნიშვნელობისაა, არ გააჩნია მსოფლიო და რეგიონური ანალოგი;
- ატარებს საგანგებო სიტუაციების ხასიათს ან რომელმაც ადამიანთა მსხვერპლი გამოიწვია;
- პერიოდულად ხდება, თუმცა მას დადებითი დინამიკა – განვითარება ახასიათებს (მაგალითად ორგანიზაციების შემოსავლების ზრდა, აღმშენებლობითი პროცესები სხვადასხვა სფეროში);
- პერიოდულად მიმდინარეობს, თუმცა მას უარყოფითი დინამიკა ახასიათებს (არასასურველი ინფორმაციული საბაბია, მაგრამ შესაძლებელი);
- ვარაუდობს მნიშვნელოვან ეკონომიკურ და სოციალურ ეფექტს (ახალი სამუშაო ადგილების შექმნა, ხელფასების ზრდა);
- თავისთავად უმნიშვნელოა, თუმცა მოიცავს საინტერესო ფაქტებსა და არატიპურ მონაწილეებს (თუ სტუდენტურ ოლიმპიადებსა და კონკურსებში – დაბალი კლასის სკოლის მოსწავლეები გაიმარჯვებენ);
- თავისთავად უმნიშვნელოა, თუმცა, ჩვეულ სიტუაციათა საწინააღმდეგო – "კვერცხმა "დადო" ქათამი".

ასევე, თუ:

- მოვლენას კარგახანს ელოდნენ;
- მოვლენაში VIP პერსონები მონაწილეობენ – ადგილობრივი ან რეგიონის მასშტაბით.

მედიასაშუალებებს საზოგადოებრივი, კულტურული, პოლიტიკური ცხოვრების ამსახველი საინტერესო ახალი ამბები ესაჭიროებათ. მასმედიის წარმატებისა და არსებობის მთავარი მაჩვენებელი პუბლიკის ყურადღებაა, პოპულარობა მათთვის არა რეკლამას, არამედ აქტუალურ ინფორმაციას მოაქვს. რეიტინგების "მამოძრავებელია" – მასალების შინაარსი, ჟურნალისტის მიზანია – ფასეული ახალი ამბების გაშუქება.

არსებობს შეხედულება, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, განსაკუთრებით ტელევიზიები, კარგ ახალ ამბებს ცუდს ამჯობინებენ. ჟურნალისტებსაც ნეგატიური ინფორმაციის გაშუქება ურჩევნიათ სტიქიურ უბედურებებს, კრიმინალურ შემთხვევებსა და სკანდალურ პოლიტიკოსებს.

ახალი ამბები არ უნდა მოიცავდეს მხოლოდ უარყოფით ინფორმაციას. ახალი ამბები მსუბუქიც უნდა იყოს და მძაფრიც, აუცილებელია მათ შორის ბალანსის დაცვა. ასეც არის. მედიასურათი არც ისე ბუნდოვანია, როგორც შეიძლება მოგვეჩვენოს – „საინფორმაციო გამოშვებებში" ავტო თუ ავიოკატასტროფების მაუწყებელ შეტყობინებებთან ერთად შუქდება ინფორმაციები კულტურული ღონისძიებების, სხვადასხვა საერო მიღწევის შესახებ.

მედიასაშუალებები თავად განსაზღვრავენ, რა გაიტანონ საზოგადოების სამსჯავროზე. აუდიტორიის ყურადღების მისაპყრობად, რეპორტაჟების თემების არჩევისას, ხშირად გაუაზრებლადაც კი, გარკვეულ პრინციპებს ეყრდნობიან. ისინი ითვალისწინებენ:

1. თემის პრიორიტეტულობას, მიმზიდველობას, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მნიშვნელობას;

2. ფაქტთა არაორდინალურობას; მოვლენის გაუთვალისწინებელ განვითარებას, ექსტრავაგანტულობას, ექსცენტრიულ საქციელს, უჩვეულობებს;

3. სენსაციურობას: სკანდალური გამოაშკარავებებიდან – პიკანტური ინტრიგების ჩათვლით;

4. ფაქტთა სიახლესა და თანადროულობას: შეინარჩუნებს თუ არა ამბავი აქტუალობას, დროულია თუ არა დღევანდელობის კონტექსტში და ინფორმაციის გამოაშკარავება ხომ არ გამოიწვევს ზიანს;

5. მაღალ საზოგადოებრივ სტატუსს: რამდენადაც მაღალია ინფორმაციის წყაროს სტატუსი, იმდენად მნიშვნელოვანია ახალი ამბავი;

6. ახალი ამბის მასშტაბურობასა და მისი ზემოქმედების ხარისხს: საკმარისად დამაჯერებელია თუ არა ინფორმაცია, და თუ მიიქცევს ყურადღებას;

7. თემის სიახლოვეს: ანუ თემები, რომლებიც ახლოა აუდოტორიისათვის დროსა და სივრცეში (ახლო წარსული, არც თუ ისე შორი მომავალი).

საჭიროა ინფორმაციის გამავრცელებლებმა – მედიამ, კარგად ნაცნობი გარკვეული მიზეზების გამო, მკითხველის, მსმენელის, მაყურებლის როლი მოირგოს და საკუთარი ინფორმაცია თავადვე შეაფასოს. უპასუხოს ისეთ საკმაოდ მარტივ კითხვებს, როგორიცაა:

– გადაწყვეტს თუ არა პრობლემებს მათ მიერ მიწოდებული ახალი ამბავი?

– აქვს თუ არა მას გამოყენებითი მნიშვნელობა (მოდა, ამინდი)?

– აამაღლებს თუ არა ინფორმაციის მატარებლის ავტორიტეტს?

– გამოიწვევს თუ არა თანაგრძნობას?

ახალი ამბავი, ჯერ კიდევ აუდიტორიისათვის უცნობი, ნებისმიერი ინფორმაციაა – ის, რაც დაინტერესებს მას და ის, რის შესახებაც, საზოგადოდ, საუბარი შეიძლება. და მთავარი – ახალმა ამბავმა შემოსავალიც უნდა მოიტანოს, პროპორციული იმ დანახარჯებისა, რაც მის საგაზეთო, რადიო – სატელევიზიო, თუ ინტერნეტ გაფორმებას დასჭირდა.

ინფორმაციულ საბაბს იმიტომაც უწოდებენ "საბაბს", რომ ის გააზრებულად უნდა შეიქმნას, თანაც გარკვეული მოდელით, რამდენიმე ცნობილი ხერხის (საშუალების) გამოყენებით. დარგის სპეციალისტები ახალი ამბების წარმოების მოდელთა რიცხვს მიაკუთნებენ:

პირველ ყოვლისა, „making-stories": პოტენციური აუდიტორიისათვის ჩვეულებრივი "ისტორიების"– ამბების შექმნა;

მეორე, ინფორმაციის აზრობრივი ინტერპრეტაცია, მათი შეფასება "ნიუს-მეიკერისათვის" აუცილებელი პოზიციიდან, ანუ ახალი ფასეულობების ინსტალირება - „making-sense".

რაც შეეხება საშუალებებს, მათ შორის განიხილება:

1. „ავტორისეული" ინფორმაციული საბაბის შექმნა – მრავალნაირი შოუების გამართვა, რომელთა დრამატურგია რაღაც უჩვეულო, სპეციალურად შექმნილი მოვლენის გარშემო ხდება.

მაგალითად, რაიმე ღონისძიების მოწყობა კონკრეტული ორგანიზაციის, საქმის, თარიღის ან მიზნის ორიგინალურად წარმოჩენის და გაპიარების მიზნით („ნატახტარის" ორგანიზებითა და მასპინძლობით პირველი ქართული ლუდის ფესტივალის ჩატარება 2010 წლის 12-13 ივნისს თბილისში ვარდების მოედანზე: *„ნატახტარი" – პირველი ქართული ლუდის ფესტივალის იდეის ავტორი, მასპინძელი და ორგანიზატორი 12-13 ივნისს თბილისში, ვარდების რევოლუციის მოედანზე, „თბილისის ლუდის ფესტივალი" გაიმართა."* (http:// natakhtari.ge/); დიზაინერ მაკა ასათიანის „პანკისური შოუ" (2002 წ.), რომლის შემდეგ ის მთელმა მსოფლიომ გაიცნო: *"პანკისში ვერ შევიდა ნარჩემაშვილი. მაკა ასათიანი შედის პანკისში თავის მოდელებთან ერთად" – 10 მარტს მოდელიორი ეწვევა ისეთ ცხელ წერტილს, როგორიცაა პანკისის ხეობა. მისი ორგანიზატორობით პანკისში მოეწყობა მოდების ჩვენება, რომელსაც აქციის სახე ექნება".* (http://www.open.ge); გადაცემა „ნანუკას შოუ": *"სტუდიის მაგივრად, ჩართვები საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან… პირველი გუდაური…. შემდეგი სიღნაღი იქნება, მერე სვანეთი, ბათუმი, რეაბილიტირებული ქუთაისი, ანაკლია.. როგორც აღმოჩნდა, შოუ საქართველოს ფარგლებსაც გასცდება, ტურისტულმა კომპანიამ ნანუკას საჩუქარი გაუკეთა: საგზურები ეგვიპტესა და მექსიკაში".* (http://www.vasassi.com/2011/02/) – „ნანუკას არაადეკვატური შოუ ");

2. ინფორმაციული საბაბის მიმდინარე მოვლენაზე მიბმა. ყველაზე მეტად გავრცელებული, უნივერსალური და უბერებელი ხერხი კონკრეტულ კალენდარულ ან მრგვალ თარიღთან დაკავშირებით ღონისძიების გამართვაა. თემა და დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებათა გეგმა წინასწარ არის ცნობილი, მკაფიოდ გამოკვეთილია მოვლენისადმი აუდიტორიის დამოკიდებულებაც (ეს ბანალურია). ორიგინალური კი – მაგალითად, შეყვა-

რებულთა დღისადმი მიძღვნილი, ეგრეთ წოდებული კოცნის აქციები. თუმცა ყურადღების მიქცევის ამ ხერხს გარკვეული შეზღუდვაც ახასიათებს – ის არც თუ ისე ეფექტურია, რადგან ასეთი ,,გმირებისაგან" შემდგარი სიუჟეტი შეიძლება მალევე მიეცეს დავიწყებას, ნაკლებად აქტუალურია;

3. შესაძლებელია ერთდროულად რამდენიმე საშუალების გამოყენება. მაგალითად, კონკრეტული თარიღისადმი მიძღვნილი ,,ავტორისეული ინფორმაციული საბაბი, მასალის ორიგინალურად მიწოდებითა და ცნობილი სახეების მონაწილეობით. კარგად აპრობირებული და, რაც მთავარია, აუდიტორიისთვის ყოველთვის მისაღები და საინტერესოა ცნობილი ადამიანების – ჟურნალისტების, პოლიტიკოსების, მსახიობების კურიოზული „ამბების" გადაცემაში ჩართვა, თუნდაც მათი სხვა ამპლუაში წარმოჩენა სხვადასხვა თარიღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებში (პოლიტიკოსების „მომღერლობა", მსახიობებისა და პოლიტიკოსების ,,ჟურნალისტობა" – „რუსთავი-2, ყოველკვირეული საინფორმაციო გადაცემა „P.S").."

აუდიტორიისათვის ინფორმაციული საბაბი შეიძლება გახდეს ნებისმიერი საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენა საზოგადოებრივი, კულტურული თუ პოლიტიკური ცხოვრებიდან. მთავარია, საბაბი მისაღები იყოს თემატური გადაცემებისა თუ რუბრიკებისათვის. ახალ ამბავს "გაძლიერება" სჭირდება – ის ვერ იარსებებს ჟურნალისტების კრეატიულობისა და "დახმარების" გარეშე:

1. ახალი ამბავი მეტად საყურადღებოა, თუ მასში გავლენიანი ადამიანებიც ფიგურირებენ;

2. სკანდალური ისტორიები მომგებიანი "სვლაა", თუმცა ეთიკურად საეჭვოც ("ჩანგლის" თემა „ნანუკას შოუში");

3. გარკვეული მანიპულაციებით ფართო აუდიტორიისათვის უმნიშვნელო მოვლენა განხილვის საგნად შეიძლება იქცეს.

4. ახალი ამბავი შეიძლება მნიშვნელოვან პრობლემასთან გაერთიანდეს. (მაგალითად, ქუთაისში ერთ-ერთმა გარემოსდამცველმა არასამთავრობო ორგანიზაციამ ეკოლოგიური პრობლემებისადმი ყურადღების მიქცევის მიზნით საზოგადოებრივი ტრანსპორტის სარეისო ავტობუსი მოხატა"), რის შედეგად მედიაში ღონისძიების გაშუქება და პრობლემისადმი ფართო აუდიტორიის ყურადღების მიქცევა მოხდა.

ყველაზე პოპულარული საბაბის შესაქმნელ ხერხებად მიიჩნევა პრეს-კონფერენცია, პრეს-რელიზი.

TINATIN ZAQARASHVILI

FROM INFORMATION OCCASION TO INFORMATION REPORT

Summary

The main index of mass information success is public attention. Active information gives them popularity. The press services need interesting news from public, cultural and political life.

The content of materials are "main" for rating, journalist's main goal is to illuminate valuable news.

The news journalist gives main importance of occasion appearance. An occasion may be natural, also may be created or invented. We can use any potential for information occasion any person, in any sphere.

That's why we call information occasion an "occasion" because, it will created with comprehensible model, also must be created with several famous model.

The news making model is:

Fist of all – making-stories, to create usual stories for potential lecture-hall.

Second – to interpret mass information to estimate "news makers", also install new valuables – "making sense".

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Засурский И., Масс-медия Второй республики. М., 1999
2. Лазутина Г., Технология и методика журналистского творчества, М., 1988
3. Березин В.М., Массовая коммуникция: сущность, каналы, действия. М.: РИП-холдинг, 2004

Васильева Л. А., Делаем новости! М., Аспект-пресс, 2002

გიორგი მალაშხია

გლობალური გამოწვევები და ცხოვრების მოდერნიზაცია

ამოსავალი პოსტულატები

თითოეულ ჩვენგანს, ნებისმიერ ქვეყანას ეხება გლობალური პროცესები და საჭიროა ყოველი ადამიანი აცნობიერებდეს, თუ როგორ მსოფლიოში ვცხოვრობთ, რა ხდება მსოფლიოში, საით მიდის კაცობრიობა, როგორ იცხოვრებენ ჩვენი შვილები და შვილიშვილები. ,,ქვეყნიერებისათვის მეტად საჭიროა ჭეშმარიტება" (ფ. ნიცშე). **საოცარ პროგრესთან ერთად, რატომ არის ასე მანკიერებებით და უბედურებებით დამძიმებული ისტორია და დღევანდელობა? უნდა შეგვეძლოს ყოველივე ამის შეფასება, უკეთესობისაკენ გზების ძიება. ყველას ერთად შეგვიძლია გარკვეული გავლენა ვიქონიოთ მიმდინარე გლობალურ პროცესებზეც, თუ აქტიურად ვიმოქმედებთ.** ეს დროის მოთხოვნაა. ამჯერად მე შევეცდები ჩემი ხედვა გადმოვცე გლობალური პრობლემების, თანამედროვე კაცობრიობის გამოწვევებისა და მომავლის შესახებ. ქვემოთ ამ პოზიციიდან და მიდგომით გვექნება მსჯელობა.

შევნიშნავთ, რომ ბევრი არსებული შეხედულება თუ თეორია კაცობრიობის თანამედროვე ცხოვრების, ურთიერთობათა, მომავლის შესახებ, ჩვენი აზრით, **არ შეესაბამება ჭეშმარიტებას, ადეკვატურად არ ასახავს სინამდვილეს, ამახინჯებს ან აყალბებს მას**. ჩვენი თვალსაზრისი ბევრ საკითხში განსხვავებული იქნება არსებული გავრცელებული და გაბატონებული შეხედულებებისაგან. ჩვენი მცდელობა მიმართულია სწორედ აღნიშნულ საკითხებზე ჭეშმარიტების ძიებისაკენ.

ამის მიღწევას შევეცდებით ჩვენეული **მეთოდოლოგიურ მიდგომების** გამოყენებით. კერძოდ ესაა ის მეთოდოლოგიური პრინციპები, რომელთაც მივმართავთ საერთოდ ჩვენს კვლევებში სოციუმის პროცესებისა და მოვლენების განხილვისას. ამაში ვგულისხმობთ უწინარესად **ანთროპოცენტრული მიდგომას (ახლებური გაგებით), სოციუმის მოვლენათა შემეცნებას ადამიანისეული საზომებით, ანუ ადამიანის არსის, ინტერესების, მიზნების და კეთილდღეობის, ანუ ცხოვრების ჰუმანიზაციის, ერთი მხრივ, და ადამიანის ინტელექტუალური და ფიზიკური შესაძლებლობების, საერთოდ თვისებების, თვალსაზრისით, მეორე მხრივ.** როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ ძველი დროის ბერძენი ფილოსოფოსი პროტაგორა თვლიდა ადამიანს საზოგადოების ცხოვრებაში ყოველივეს საწყისად, როცა ამბობდა: ,,ადამიანი არის ყოველივეს საზომი." ჩვენ ამ ბრძნულ სენტენციას ვაძლევთ ახალ ჟღერადობას და ვაფართოებთ მის შინაარსს. მართლაც, ისტორიის მთავარი აქტორი – სოციუმში ყოველივეს შემოქმედი არის ადამიანი, რაც სოციუმში ხდება ადამიანის ხელებისა და გონების მუშაობითაა; ამასთან ყველაფერი ადამიანისთვის კეთდება. ამდენად უპრიანია აღნიშნული თვალთახედვით განვიხილოთ ყოველი მოვლენა საზოგადოების ცხოვრებაში. ამ მეთოდოლოგიური პრინციპიდან გამონდინარე, ჩვენ აგრეთვე მოვიშველიებთ მოვლენათა **აქსიომეტრიული (ფასეულობითი) თვალსაზრისით და ევდემონისტური, ე.ი ბედნიერების კუთხით ხედვას.** ამაში ვგულისხმობთ იმას, რომ ყოველი მოვლენა და პროცესი სოციუმში უნდა შეფასდეს სიკეთისა და ბოროტების თვალთახედვით.

აქსიომეტრიული მიდგომის ძირითად ინსტრუმენტებად ვიღებთ საკაცობრიო მეტაფასეულობებს: ადამიანს თავისი ფიზიკური, ფსიქიკური და ინტელექტუალური მონაცემებით, ადამიანთა მიერ შექმნილ მატერიალურ და არამატერიალურ სიკეთეს, ზნეობას, სამართლიანობას, თავისუფლებას, დემოკრატიას, მშვენიერებას. მეტაფასეულობები შინაარსისა და გამოვლინების მიხედვით შეიძლება ორ ძირითად ჯგუფი გამოვყოთ.

- პირველ რიგში ადამიანი თავისი ფიზიკური და ინტელექტუალური უნარებით, თვისებებით, რის შედეგია – შრომითი საქმიანობა და შექმნილი საარსებო მატერიალური და არამატერიალური დოვლათი, მისი სიუხვე, წარმოების განვითარების დონე, რაც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ადამიანთა კეთილდღეობას, ბედნიერებას.

- მეორეა არამატერიალურ სიკეთეები, რომლებიც თვით მატერიალური სიკეთეებით სარგებლობასაც განაპირობებს და წარმოადგენს ადამიანთა ცსოვრების შინაარსის, საყოველთაო და თითოეულის ბედნიერების მეორე მთავარ წყაროს. ასეთად წარმოგვიდგება სოციალური მეტაფასეულობები: ზნეობა, სამართლიანობა, თავისუფლება, დემოკრატია, მშვენიერება. ამასთან ერთად არსებობს ფასეულობათა ფართო წრე, ,,შვილობილი" ფასეულობები – ჭეშმარიტება, მეგობრობა, მშვიდობა და სხვ. რომლებიც მეტაფასეულობებისაგან წარმოიქმნება.

საკაცობრიო ფასეულობები ერთიანად წარმოგვიდგება როგორც ადამიანური ცხოვრების ბურ-

ჯები, ცხოვრების ჰუმანიზაციის, როგორც პროგრესის კრიტერიუმის, საფუძველი. ვფიქრობთ, რომ მათი როლი სათანადოდ და სწორად არაა ყოველთვის დანახული და გააზრებული, ამიტომ შევეცდები აქ **ახლებურად** გადმოვცე მათი არსი და მნიშვნელობა გარდასული, დღევანდელი და მომავალი ცივილიზაციისათვის.

ასევე საჭიროდ და სასარგებლოდ მიგვაჩნია **ბედნიერების ცნების (ევდემონისტური ხედვის)** ფართოდ შემოტანა სოციუმის მოვლენათა გაგების ერთ-ერთ ძირითად ინსტრუმენტად. როგორც დიდი ხნის წინ ფილოსოფიისა და მეცნიერების ერთ-ერთი მამა, არისტოტელე აღნიშნავდა (და ჩვენ ყველა ალბათ დავემოწმებით), **ადამიანებში ბუნებრივად დევს მისწრაფება ბედნიერებისაკენ, ბედნიერების წუთიერი და მუდმივი განცდისაკენ.** ეს სხვანაირად ნიშნავს ისეთ ცხოვრებას, რომელსაც ადამიანისათვის მოაქვს სიამოვნება და სიხარული, გამორიცხავს ტანჯვასა და მწუხარებას ნებისმიერი მიზეზით.

ჩვენს მიერ შემოთავაზებულ მიდგომას ალბათ მართებულია ფილოსოფიური ვუწოდოთ. ამგვარი მიდგომით ჩვენ საშუალება გვეძლევა სოციუმის არსებობისა და განვითარების საზრისი, მისი მნიშვნელობა და კანონზომიერებანი, განვითარება, ცხოვრების შინაარსი გავაცნობიეროთ სიღრმისეულად, ძირეული შრეების მოვლენათა შეცნობის საფუძველზე. ეს სხვანაირად ვერ ხერხდება ან მიზანმიმართულადაც სინამდვილე მახინჯდება ადამიანთა გარკვული წრეების მიზნების შესაბამისად.

წარსულის, არსებული სინამდვილის თუ მომავლის შეფასებისას საწყისად უნდა მივიღოთ ის, რომ ცხოვრების პირობები და ხარისხი დამოკიდებულია **დაგროვილ მეტაფასეულობებზე, სიკეთეთა და ბოროტების თანაფარდობაზე ადამიანთა ცხოვრებაში, იმაზე, თუ რა დონეზეა ჰუმანურობა საზოგადოებაში, რამდენად პასუხობს ის ადამიანთა იდეალებს, როგორია განვითარების ხარისხი და როგორ შეესაბამება იგი საყოველთაოდ და არა გამორჩევით, ადამიანთა ცალკეული ფენების კეთილდღეობას. ფასეულობათა დეფიციტი პროგრესის შეფერხების, დაბალი დონის და სულაც საზოგადოების კატასტროფის მიზეზი შეიძლება იყოს.**

ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ საკაცობრიო მეტაფასეულობები ადამიანთა მოდგმის, კაცობრიობის ერთობლივი მოქმედების პროდუქტია, რაც ემსახურება მათ კეთილდღეობას, ცხოვრების პროგრესს. სწორია, რომ თვით ადამანებზეა ბევრად დამოკიდებული მათი კეთილდღეობა (ი. კანტი). **თუ უფრო დავაზუსტებთ, ადამიანები თავად ქმნიან თავიანთი კეთილდღეობის პირობებს ბუნებისა და ისტორიის, ანუ მემკვიდრეობით მიღებული დოვლათშემქმნელი რესურსების წყალობით. უფრო კონკრეტულად ეს ნიშნავს, რომ რამდენადაც განვითარებულები, ცივილიზებულები, ჭეშმარიტებასთან წილნაყარები არიან ადამიანები, ისეთია მათი ცხოვრება, მით უფრო შინაარსიანი და ფასეულია იგი. ამასთან ერთად, ცნობილია რომ, ადამიანების ყოფა, სიმდიდრე, კეთილდღეობა გარემოზე, მათ შორის ბუნებრივ პირობებზეა დამოკიდებული.** ყოველივე ეს თითქოს ნათელია, მაგრამ მხედველობაში სათანადოდ არ მიიღება ადამიანთა მიერ მათ ცხოვრებასა და საქმიანობაში. ამიტომ უფრო ღრმად უნდა გავარკვიოთ, **ახლებურად შევხედოთ** იმას, თუ როგორ გროვდება საკაცობრიო ფასეულობები, რას წარმოადგენენ ისინი, რა როლს ასრულებენ ადამიანთა ცხოვრებაში.

ისტორიული განვითარების პროცესში ვითარდება, სრულყოფილი ხდება ადამიანი, გროვდება, ყალიბდება **ადამიანთა დოვლათშემქმნელი პოტენციალი – შესაძლებლობა, რომლითაც უნდა აწარმოოს მოცემულმა თაობამ მატერიალური თუ სულიერი დოვლათი. მას ჩვენ სოციალურ ენერგიას ვუწოდებთ.** აქ წარმოჩნდება გენეტიკური ფაქტორის როლი (მას კი განვითარების დონის შენახვის კანონი ვუწოდეთ), რაც სათანადოდ არაა შეფასებული. კერძოდ, ის, რომ ჩვენ ვდგევართ წინაპართა მხრებზე, რის გარეშე დღესაც გამოქვაბულში ვიქნებოდით. **ბუნება და ისტორიული მუშაობა, ანუ წარსულის მემკვიდრეობა არის სოციალური ენერგიის ერთ-ერთი ძირითადი წყარო, რომლითაც იქმნება საკაცობრიო ფასეულობათა მარაგები.** ამის გაცნობიერება გვეხმარება სიღრმისეულად ავხსნათ ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების მოვლენები, სულიერი და მატერიალური დოვლათის წარმოება, მისი გადიდება, საერთოდ პროგრესი.

საზოგადოების ცხოვრების მთავარ კანონად მთლიანად გავლილი და თვალმისაწვდენი პერიოდისათვის შეიძლება ჩავთვალოთ პროგრესი – განვითარება გაუმჯობესებისაკენ, უმდაბლესი დონიდან უმაღლესისაკენ სვლა, რასაც ზოგიერთი უარყოფს კანონზომიერების გამორიცხვასთან ერთად. ჩვენთვის კი ეს არის ჩვენი კონცეფციის ერთ-ერთი ამოსავალი პუნქტიც. მაგრამ **განვითარების პროცესი მეტად რთულია. ის მოიცავს რეგრესსაც, გარკვეულ პერიოდში უკუსვლას**, რაც შემდგომ სწორდება თვით ისტორიული პროცესის მამოძრავებელი ძალების მიერ. განვითარების პროცესში ადგილი აქვს მრავალ წინააღმდეგობას. **განვითარებას ორი ლოკომოტივი წარმართავს: ისტორიული კანონზომიერება და ადამიანთა ნება.** ეს უკანასკნელნი მთელი საზოგადოების მასშტაბით იქცევა ობიექტურად მოქმედ ძალად, მათ საფუძველზე ამოქმედდება და იღებს მიმართულებას სოციალური ენერგიის წყაროები.

განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არ განვითარებას საერთოდ, არამედ **განვითარების ხარისხს.** ანთროპოცენტრული მიდგომის ფარგლებში ადამიანთა, მთელი საზოგადოების ცხოვრების, კეთილდღეობის საფუძვლებზე მსჯელობისას **ჰუმანიზაციას**, მის დონეს ვიღებთ **განვითარების ხარისხის** საზომად.

ადამიანთა უნარები და მათ მიერ შექმნილი სიმდიდრე, ასევე სოციალური მეტაფასეულობები თანდათან გროვდება ისტორიულ პროცესში, **დაგროვების განსაკუთრული კანონის მეშვეობით. შექმნილი დოვლათი მასში მატერიალიზებული ბუნების ძალებისა და ადამიანთა შემოქმეებითი უნარის, ცოდნის, გამოცდიების მეშვეობით კაცობრიობის განვითარების გარკვეული დონის შემდეგ სჭარბობს მოხმარებულს, რამდენააც ადამიანთა საწარმოო ძალა აღემატება სამომხმარებლო ძალას. სულ უფრო ფართოვდება საბოლოო ანგარიშით არამატერიალურ ფასეულობათა – ზნეობის, სამართლიანობის, თავისუფლების, დემოკრატიის, მშვენიერების და ა.შ. შინაარსი, უფრო სრულფასოვანი ხდება ისინი.** ამას ემყარება სწორედ განვითარების ერთიდან მეორე საფეხურზე გადასვლა, ცხოვრების პროგრესი. დღემდე ეს კანონი სათანადოდ არაა გაცნობიერებული და შეფასებული, რაც შემეცნების ხარვეზია.

აქ გაკვრით შევჩერდებით სოციალურ მეტაფასეულობებზე, მათზე ახალ თვალსაზრისს მოკლედ ქვემოთ ჩამოვაყალობებთ.

ეს ეხება, ჯერ ერთი, **ზნეობას,** სხვანაირად პატიოსნებას, მორალს, წესიერებას. იგი თვით ხალხის და კაცობრიობის მოწინავე აზრის (არისტოტელე, კანტი, შვეიცერი, ფრომი, კიუნგი და სხვ.) მიერ ითვლება ადამიანთა თანაცხოვრების, სიკეთის არსებობის შეუცვლელ საყრდენად. იგი ასევე გვევლინება ყველა სოციალურ ფასეულობათა ფუძედ. ზნეობა თვით ცხოვრებისეული გამოცდილების პროდუქტია, შესისხლხორცებულია ადამიანთა მიერ, როგორც სიკეთისაკენ მიდრეკილი შინაგანი ძალა, რომელსაც დიდ ნაწილში ეყრდნობა საზოგადოებრივი ურთიერთობა, წესრიგი. ადამიანთა ქცევებს ზნეობრივი ნორმების ის გაგება უნდა ედოს საფუძვლად, რასაც თვით ქრისტიანული მოძღვრება გვკარნახობს, რომ ზნეობრივი ქცევა ადამიანის **შინაგან მოთხოვნილებად უნდა იყოს ქცეული (ახალი აღქმა), ე.ი. არავინ არ უნდა აკეთოს ცუდი, არავინ იპაროს, არავინ მოკლას და ა.შ. არა შიშის გამო, არამედ შინაგანი რწმენით, მაშასადამე, არავის აზრადაც არ უნდა მოსდიოდეს ისე მოიქცეს, რაც მორალის ნორმებს სცილდება.** ზნეობის ასეთი გაგებაა ჭეშმარიტი და მისი დამკვიდრება ცხოვრებაში სადღეისოდ აუცილებელია. დაუშვებელია, რომ ზნეობის როლი სათანადოდ არაა დაფასებული. ამერიკელი ავტორი პატრიკ ბიუკენენი, მაგალითად, ჩვენს დროში ზნეობრივი დეგრადირების გამო დიდ სინანულს გამოსთქვამს და მასში საზოგადოებისათვის საფრთხეს ხედავს.[1] ეს შეიძლება ვთქვათ ცნობილი გერმანელი თეოლოგისა და ფილოსოფოსის ჰანს კიუნგის შესახებაც[2].

საზოგადოებამ უნდა აღკვეთოს ზნეობრივი ნორმების რელატივისტური, თვითნებური, პრაგმატული ინტერპრეტაცია, საკუთარ ინტერესებზე მორგება, რაც ხშირად გვხვდება.

ადვილი მისახვედრია, სადაც არ არსებობს მაღალი ზნეობა, იქ ნორმალური და ბედნიერი საზოგადოების, ბედნიერ ადამიანთა არსებობა შეუძლებელია. ბრძენი გოეთე ამბობდა: საზოგადოება შეიძლება ყველა უბედურებას გადაურჩეს - შავ ჭირსაც, მაგრამ იგი ვერ გადაურჩება ზნეობრივ დეგრადაციას. ჩავიხედოთ ძველ და ახალ ისტორიაში, რამდენი საზოგადოება დაიშალა უზნეობის, ზნეობრივი დეგრადაციის შედეგად (ერთ-ერთი მიზეზი ეს იყო), მათ შორის ძველი რომის იმპერია, საბჭოთა იმპერია, რომელთა ზნეობრივი დაკნინების მრავალი ფაქტი არსებობდა – აღვირახსნილი კორუფცია, სიცრუე, სიყალბე, ორმაგი სტანდარტით მოქმედება და სხვ.

არავინ არ უნდა ეცადოს ცივილიზაციის მაღალი დონის, ბედნიერი საზოგადოების ჩამოყალიბებას მაღალი ზნეობის გარეშე, რადგან ეს შეუძლებელია (თუმცა ამას ცდილობენ).

მეორე, **სამართლიანობა.** იგი, გარკვეული აზრით, ისტორიულად და მიზეზ-შედეგობრივად ზნეობის ,,ნაშიერია". კარგად ვიცით: სადაც ზნეობაა, იქ სამართლიანობაცაა. მაგრამ, აი, პარადოქსიც: **რა არის სამართლიანობა?** ამაში სრული გარკვეულობა არც არსებობს. ყველაზე ფუნდამენტურად და ზოგადად ეს პლატონმა განსაზღვრა: სამართლიანობაა ის, რომ ყველამ მიიღოს თავისი კუთვნილი[3]. ვერ შეედავები. მართლაც, თუ ყველა კუთვნილს მიიღებს - შემოსავალს, თანამდებობას, სტატუსს, ჯილდოს და ა.შ., მაშინ საზოგადოებაში სამართლიანობა დაისადგურებს. მაგრამ მთელი სირთულე იმაშია, **რომ კუთვნილის განსაზღვრაა ძნელი და დღემდე ის სწორად ვერავინ დაადგინა, რომ არაფერი ვთქვათ მის განხორციელებაზე.** ნაკლებად ვინმე ფიქრობს კუთვნილზე, მეტწილად ადამიანებს სულ მეტისა და მეტის მიღება სურთ, ვიდრე ეკუთვნით. მთელი ისტორია მაინც სამართლიანობისათვის ბრძოლაა. ამასთან ადამიანებს

---

1 იხ.:. П. Бюкенен. Смерть Запада. Перевод с англ. М. , 2 003. С. 79-84.

2 ჰანს კიუნგი. მსოფლიო ზნეობა მსოფლიო პოლიტიკისა და მსოფლიო ეკონომიკისათვის, თარგმანი გერმანულიდან. თბ., 1998.

3 Платон. Соч. Т. 3, Ч. 2. М., 1971. С.96.

დასაბამიდან ჰქონდათ თუ ზუსტი არა, მეტ-ნაკლები წარმოდგენა იმაზე, სად არის სამართლიანობა და სად არა. მაგრამ ასეთი მიახლოება არ კმარა. ეს ხარვეზი სამართლიანობის დამყარების შეფერხების ერთ-ერთი მიზეზია.

ჩვენ საკითხს ასე ვაყენებთ: **სამართლიანობაა ის, რომ ყველამ მიიღოს სიკეთენი მათ შექმნაში პირადი შრომითი წვლილის, დამსახურების, ღირსებებისა და სათანადო შემთხვევაში (შრომის უუნარობისას) საზოგადოების მიერ დადგენილი სიკეთეთა განაწილების ალტრუისტული (უანგარობის) პრინციპის საფუძველზე.** ამ დროს ყველაფერი თავის ადგილზე ლაგდება, მხოლოდ ამისი კონკრეტული რეალიზაციაა რთული პრობლემა. ამისი გაკეთებისათვის საზოგადოების ძალისხმევა დღემდე სრულიად არასაკმარისია. საჭირო სამართლიანობის არსებობა ბევრის ინტერესებსაც, მათ შორის ძლიერთა ამა ქვეყნისა, არ შეესაბამება. ამ სიტუაციის შეცვლაა გარდაუვალი.

მესამე, **თავისუფლება**. ეს უკვე ორი ,,მშობლის" – ზნეობისა და სამართლიანობის ,,პირმშოა". თითქოს ყველამ იცის რა არის თავისუფლება, მაგრამ ზუსტად და სრულად არავინ. თვით სოციოლოგიის - საზოგადოების შესახებ მეცნიერების სახელმძღვანელოებსა და სპეციალურ ნაშრომებში მას არ ეთმობა სათანადო ადგილი, მისი განმარტებაც კი არაა მოცემული[4]. ყველაზე გავრცელებულია და პოპულარულია განმარტება, რომ თავისუფლება არჩევანის უფლებაა. ყოფით დონეზე ადამიანებს თავისუფლება წარმოუდგენიათ როგორც დამოუკიდებელი, სხვის ჩარევის გარეშე გადაწყვეტილების მიღების, მოქმედების უფლება, მათ ნებაზე ძალადობის დაუშვებლობა, ინდივიდისა და ხალხთა ცხოვრებაში და მოქმედებებში ჩაურევლობა.

თავისუფლებაზე არსებულ შეხედულებებში, ჩვენი აზრით, გამორჩენილია და არასწორადაა გაგებული მთავარი. **იგი განიხილება როგორც ადამიანებზე, ხალხებზე გარედან მიწოდებული ან მათ მიერ ძალით მოპოვებული სიკეთე. მთავარი კი არის ადამიანთა შინაგანი თავისუფლება ანუ მანკიერი მიდრეკილებისაგან, არასწორი ფასულობითი ორიენტაციისაგან, სხვისი ჩაგვრის, დამორჩილების, სხვის ხარჯზე საკუთარი კეთილდღეობის, უზომო სიმდიდრის მოპოვების ნდომისაგან გათავისუფლება.** მაშინ საყოველთაო თავისუფლება მკვიდრდება, ცხოვრების მრავალი პრობლემა ქრება. ამ მომენტს, ვფიქრობ, ღრმაზროვნად ასახავს თავისუფლების შარლ მონტესკიეს განმარტება, რაც ყველაზე ნათელ და ღრმა განმარტებად მიგვაჩნია არსებულთა შორის: ,,თავისუფლება შეძლება მდგომარეობდეს მხოლოდ იმაში, რომ შესაძლებლობა გვქონდეს ვაკეთოთ ის, რაც ჯერ-არს, რომ არ ვისურვოთ და იძულებლნი არ ვიყოთ ვაკეთოთ ის, რაც ჯერ არს არ ვისურვით"[5].

ეს ნიშნავს, რომ ჭეშმარიტი თავისუფლება სხვისგან ნაბოძები რამ კი არაა, შინაგანად ნაკარნახევია საკუთარი ნებისა და რწმენისაგან. შინაგანად თავისუფალი ადამიანი ნამდვილად თავისუფალი ადამიანია. აქედან ისიც გამოდის, რომ მოძალადე, ვინც სხვის თავისუფლებას ხელჰყოფს, სხვა ჩაგრავს აშკარად თუ ფარულად, ფაქტობრივად თავისუფალი არაა. **ესაა თავისუფლება მაღალი აზრით.** თავისუფლება ინდივიდთა და ხალხთა განსაკურთებული მაღალი მდგომარეობაა. ამიტომაც არის ისტორია სულფასოვანი თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორია, რაც დღემდე არ დასრულებულა.

მეოთხე. **დემოკრატიად** მარტივი გაგებით განიხილავენ ხალხის მმართველობას სხვადასხვა წესით. არსებობს დავა დემოკრატიის შესაძლებლობის შესახებ. აბა, როგორ შეიძლება ხალხი მართავდეს ქვეყანას? მართალია, ადამიანები ასე თუ ისე მართავენ თავიანთ ქცევას, ცხოვრებას, მაგრამ საზოგადოება ადამიანების დიდი კრებულია, რომელთაც ათასგვარი შეხედულებები, მიზნები, მისწრაფებები, მენტალიტეტი, ინტელექტუალლური მონაცემები და სხვ. ახასიათებთ. ამიტომ როგორ უნდა მოხდეს საერთო ნების გამოხატვა და განხორციელება? ი. შუმპეტერი, მაგალითად, თვლის, რომ დემოკრატიის მეშვეობით ხალხის ნების გამოხატვის შესაძლებლობა ნაკლებად არსებობს[6]. ამგვარ აზრს გამოსთქვამს მ. ვებერიც[7]. მაშასადამე, ხალხის მმართველობა პირდაპირი გაგებით არ არსებობს და იგი პირობითია. თითქოს დემოკრატიის რეალიზაციის საშუალებაა არჩევნები. მაგრამ არჩევნები არაა გამოსადეგი იმისათვის, რომ ყველაზე ღირსეულნი მოხვდნენ ხელისუფლებში. ფ. შილერის აზრით, არჩევნების დროს ხმები უნდა აიწონოს და არა დაითვალოს, თუმცა ღიად რჩება საკითხი, თუ როგორ? ხელისუფლებაში მყოფთ ჯერ-ჯერობით ნაკლებად ახასიათებთ საუკეთესო თვისებები – ხალხის პატივისცემა, მათ წინაშე პასუ-

---

4 ვგულისხმობთ, მაგალითად, საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულ ე. გიდენსის, ქ. კალჰუნის, დ. ლაითის, ს. კლერის და სხვ. სახელმძღვანელოებს, მ. ფრიდმენის ნაშრომს ,,კაპიტალიზმი და თავისუფლება" და ა.შ.

5 შ. მონტესკიე, კანნთა გონი. თრგმანი ფრანგ. თბ., 1994, გვ. 180.

6 Schumpeter J. Capitalismus, Socializm and Democraty. 1976.

7 Veber M. Econony and Society. An outline of Internative Society. 1978

ხისმგებლობა, ხალხის საქმისთვის თავდადება, პატრიოტიზმი, ხალხის გვერდით დგომა და სხვ. მათ ხშირად თავიანთი პირადი მატერიალური კეთილდღეობისა და პრესტიჟის, ძალაუფლების მიზნები უფრო აწუხებთ, ვიდრე საერთო კეთილდღეობა და ხალხის სამსახურში დგომა. ამასთან მათი ინტელექტუალური რესურსი, ზნეობრივთან ერთად, არასაკმარისია ქვეყნის საქმეების საუკეთესო გზით წარმართვისათვის. მაშასადამე, არც დემოკრატიის საკითხია მარტივი. იგი არაა ჯერ-ჯერობით საუკეთესო და სასურველი სახელმწიფო მმართველობის სრული გარანტი.

ასევე გასარკვევია დემოკრატიის არსებობის საფუძველი. იგი კარგად არაა გარკვეული. ჰგონიათ ამისთვის სურვილი საკმარისია. მთავარია იმის გაცნობიერება, რომ **ნამდვილი, სრულფასოვანი დემოკრატია ორ რამეს უნდა ემყარებოდეს: ჯერ ერთი, საერთო კულტურულ და ინტელექტუალურ დონეს და, მეორე, საკუთრების დემოკრატიულ, თანამფლობელობით ფორმას,** რომელმაც შეიძლება უზრუნველჰყოს ადამიანთა დამოუკიდებელი მოქმედება. ყოველგვარ პირობებში, კერძოდ, გაუნათლებელთა და არაფრისმქონეთა დემოკრატია ფიქციაა. ამას ყურდღება არ ექცევა და ყველა თითქოს დემოკრატიისაკენ მიისწრაფის, იღებენ კი სუროგატს.

მეხუთე. **მშვენიერების,** ანუ **ცხოვრების ესთეტიზაციის როგორც მეტაფასეულობის** შესახებ აქ შეიძლება მოკლედ აღინიშნოს შემდეგი. შემთხვევითი არაა, რომ ადამიანები უძველესი დროიდან მიისწრაფოდნენ სილამაზისაკენ თავის გარშემო და ამას თვლიდნენ სიამოვნების, კეთილშობილების, ბედნიერების ერთ-ერთ გამოხატვად და წყაროდ. მშვენიერებისაკენ ლტოლვა ადამიანის არსების კომპონენტია. ცხოვრების მთელი გარემოს ესთეტიზაცია მრავალი ფორმით ვლინდება. ის ამდიდერებს და ამაღლებს ცხოვრების შინაარსს. ჩვენ აქ გვინდა ხაზი გავუსვათ **ადამიანთა ესთეტიკურ მოთხოვნებს სოციალური ურთიერთობათა მიმართ. აბა, წარმოვიდგინოთ მჩაგვრელებად და ჩაგრულებად დაყოფილი, ერთმანეთს დაპირისპირებულ ადამიანთა საზოგადოება. განა ის სიმახინჯედ, უფერულ და დაბალი შინაარსის საზოგადოებად არ მოგვეჩვენება?** ცხოვრების ესთეტიზაციის სოციალურ-ურთიერთობითი მხარე დღევანდელ სინამდვილეში ყურადღების გარეშეა დატოვებული, რაც გაუმართლებელია.

მართებული იქნება განხლვის საგანზე სრული წარმოდგენისათვის ვიმსჯელოთ ფასეულობათა ანტიპოდებზე, რომელთაც შეიძლება ანტიფასეულობები ვუწოდოთ. კერძოდ, ესაა: უგუნური, ბოროტი ადამიანი, სიდუხჭირე, უზნეობა, უსამართლობა, არათავისუფლება, დიქტატურა, სიმახინჯე და სხვ.

მხოლოდ **გარკვეული მეტაფასეულობები შეიძლება არსებობდნენ ანტიფასეულობათა, ბოროტებათა წყაროდ,** მაგალითად, ადამიანთა უნარები, მატერიალური საგნები – იარაღი და სხვ. მხოლოდ გაყალბებული მეტაფასეულობები შეიძლება გახდეს ანტიფასეულობათა წარმოშობის მიზეზად, მაგალითად, საზღვრებს გადასული თავისუფლება – ანარქიად, ქაოსად, აღვირახსნილობად, უთავბოლო დემოკრატია – დიქტატურად (როგორც ამას აღნიშნავდა ჯერ კიდევ პლატონი), ადათ-ჩვევების, მორალის ნორმის ზედმეტად ჩაჭიდება (კონსერვატიზმი) – პროგრესის მუხრუჭად (კერძოდ, ჩადრის ტარება ზოგიერთ ხალხში, ქალების უფლებათა ტრადიციული შეზღუდვა (ჰენდერული პრობლემა და სხვ.). ცოდნა, მეცნიერების მიღწევები შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადამიანთა საზიანოდ (მოსასპობად), სიმდიდრე და მასზე დამყარებული ძალაუფლება – ადამიანთა ჩაგვრისათვის, უსამართლოდ გამდიდრებისთვის და ა.შ.

ფასეულობათა შემდეგი ნიშანია ის, რომ ისინი **ურთიერთდაკავშირებულია,** ერთის არსებობა მეორეს განაპირობებს. ისინი ერთმანეთს ავსებენ და აძლიერებენ, თუმცა თანაფარდობა შეიძლება დაირღვეს კიდეც. საგულისხმო მომენტია **ფასეულობათა გაყალბების**, ავის სიკეთედ წარმოჩენის, შენიღბვის შესაძლებლობა. არაიშვიათია, მაგალითად, ე.წ. კანონიერ ქურდთა კულტის, ფულის კულტის, არსებობა, სქესთა შიგნით ქორწინების დაშვება მორალად, ქალთა და ბავშვთა მიმართ სისასტიკის გამართლებულად გამოცხადება, მომხვეჭელთა პატივცემა, ადამიანთა მეტისმეტი უთანასწორობის სამართლიანობად წარმოდგენა, დაქირავებული შრომის თავისუფალ შრომად მიჩნევა, არჩევნების გაყალბებასთან შერიგება, პორნოგრაფიის დაშვება მეწარმეობრივ თავისუფლების შირმით და ა.შ. რის მომსწრენი ვართ.

საკაცობრიო ფასეულობები არსებობენ არა ზოგადი სახით, როგორც მათზე ხშირად მსჯელობენ, არამედ **რაღაც დონეზე, ხარისხით.** არ შეიძლება მხოლოდ ზოგადი მსჯელობა, მაგალითად, **სამართლიანობაზე, თავისუფლება, დემოკრატიაზე. საგულისხმოა, თუ რა დონეზე, რა ზომით არსებობს ისინი რეალობაში.** სწორედ მეტაფასეულობების ზომით, დონით განისაზღვრება **საზოგადოების, კაცობრიობის განვითარების ხარისხი, ცივილიზებულობის, ჰუმანიზაციის დონე**. ამასთან განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ფასეულობათა განაწილების ასპექტი. სწორედ ეს მიგვაჩნია ერთ-ერთ გადამწყვეტ მომენტად საზოგადოების ცხოვრების წესის, კეთილდღეობის, პერსპექტივის შეფასებისას.

ზემოთ განხილულ საფუძველზე შეიძლება გადავიდეთ გლობალური ტენდენციებისა და ახალი მოდერნიზაციის საკითხზე.

კაცობრიობის მემკვიდრეობა და ახალი მოდერნიზაციის გარდუვალობა

აქ გვინდა ზემოთ აღნიშნული მეთოდოლოგიის გამოყენებით დავასაბუთოთ, თუ რატომ დგას კაცობრიობა ძირეული ცვლილებების, ახალი მოდერნიზაციის აუცილებლობის წინაშე რთული და წინააღმდეგობრივი მემკვიდრეობის გამო.

ყველამ კარგად ვიცით, თუ რა წინააღმდეგობრივი და მძიმე ისტორია გამოიარეს კაცობრიობამ, ცალკეულმა ხალხებმა. ესაა დიდი მემკვიდრეობა, საგნობრივ, სულიერ და სოციალურ ფასეულობათა და ანტიფასეულობათა დაგროვების ეპოქები. ისინი განაპირობებდა ცვლილებებს საზოგადოების ცხოვრებაში როგორც გაუმჯობესებისკენ, პროგრესისკენ, ისე რეგრესისაკენ. **ერთი მხრივ, ისტორია სიამაყისა და აღტაცების მომგვრელია ადამიანის ინტელექტის მეტად შთამბეჭდავი მიღწევებით, გამორჩეულ შემოქმედთა და მშრომელთა მიერ შექმნილი მატერიალური და სულიერი სიმდიდრით, მეორე მხრივ, შემზარავი და სირცხვილის გრძნობის აღმძვრელია ადამიანთა თაობების ბოროტი და არასწორი მოქმედებების გამო თავიანთივე თავისა და ერთმანეთის წინააღმდეგ, რომლებიც ანგრევდა, სპობდა, ანადგურებდა, წინსვლის გზას უკეტავდა ხალხებსა და კაცობრიობას.** მათზე დიდი განმარტებები არაა საჭირო. მე მხოლოდ გავიხსენებთ ზოგიერთ საკითხს.

შთამბეჭდავი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი განვითარების და მისი პროდუქტის, კაცობრიობის დიდი წარმომადგენლების უკვდავი ქმნილებების მეცნიერების, გამომგონებლობის უზარმაზარი მიღწევების წყალობით მუდმივად მდიდრდებოდა ადამიანთა თაობები მატერიალურად და სულიერად. დიდ გასაქანს იღებდა ტექნიკური და ეკონომიკური განვითარება, განსაკუთრებით ინდუსტრიული ეპოქიდან მოყოლებული. ამ მიღწევებმა გარდაქმნა წარმოება, კულტურა, ყოფა-ცხოვრება, თვით ადამიანთა ფსიქიკა, მენტალიტეტი. ინდუსტრიულმა და ინფორმაციულმა რევოლუციებმა ნახტომისებურად შეცვალა კაცობრიობის ყოფა. მატერიალური დოვლათის წლიური წარმოება ცივილიზაციის დასაწყისთან შედარებით ერთ მცხოვრებზე კოლოსალურად გაიზარდა და ამჟამად აღნიშნულ დონეს აღემატება მსოფლიოში საშუალოდ 34-ჯერ, განვითარებული ქვეყნებისა – 96-ჯერ, მაღალგანვითარებულებისა – 180 -ჯერ[8]. მრავალჯერ უფრო მეტია დაგროვილი სიმდიდრის მოცულობა.

სატრანსპორტო საშუალებათა მაქსიმალური სიჩქარე ფანტასტიკურად გაიზარდა. იქმნებოდა სრულიად ახალი კავშირგაბმულობის საშუალებები, რამაც მიგვიყვანა ინტერნეტამდე, ტელეკომუნიკაციის სხვა თანამედროვე საშუალებებამდე, რომელთა შესაძლებლობები ჩვეულებრივი წარმოსახვის საზღვრებს სცილდება. ადამიანთა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ცხოვრების პირობების გაუმჯობესების, სამედიცნო მომსახურების დონის მკვეთრი ამაღლების შედეგად გაიზარდა 30-351 წლიდან ისტორიის დასაწყისში საშუალოდ მსოფლიოში 69,3 წლამდე, მაღალგანვთარებულ ქვეყნებში – 80,3 წლამდე, ტექნიკურ საშუალებათა განვითარებით შრომის მწარმოებლურობა საშუალოდ მსოფლიოში - 30-ჯერ, მაღალ განვითარებულ ქვეყნებში – 140-160 -ჯერ. დოვლათისა და მომსახურების სახეობათა რაოდენობა მოლიონებს აღწევს, ადრინდელი ათობით სახეობის ნაცვლად. აქ მხოლოდ ცალკეული მცირე მაგალითებით მივანიშნეთ კაცობრიობის უდიდეს პროგრესზე არამატერიალურ და მატერიალურ დოვლათთა ზრდაში.

საზოგადოების მნიშვნელოვანი პროგრესი აისახა დიდ ცვლილებებზე, ნახტომებზე სოციალურ ურთიერთობებში. არ შეიძლება არ ითქვას **საერთო ზნეობრივ პროგრესზე.** ადამიანებმა ძირითადად თავი დააღწიეს ერთმანეთისადმი უმოწყალო სასტიკი, არაადამიანური მოპყრობის გავრცელებულ პრაქტიკას, გაქრა სასჯელების უსასტიკესი ფორმები; ადამიანები მთლიანობაში ამაღლდნენ ტოლერანტობის, მიმტევებლობის, ბოროტმოქმედებათა პრევენციისა და აღკვეთის ჰუმანური საშუალებების გამოყენების დონემდე; ადამიანებმა საერთოდ გამოიარეს გზა მონობიდან, ყმობიდან, სრული სოციალური ჩაგვრიდან უფრო ნაკლებ ჩაგვრამდე და **უშუალო მძიმე ჩაგვრის მოსპობამდე,** სრულიად შეზღუდული და ნაწილობრივი თავისუფლებიდან **გარკვეულად ფართო თავისუფლებამდე,** დესპოტიზმისა და დიქტატურის სხვადასხვა ფორმებიდან შეზღუდული ფორმებამდე და შედარებით ფართო დემოკრატიამდე. **კულტურა შეზღუდულობიდან** და პრიმიტიული დონიდან ამაღლდა მასობრივ, ადამიანთა ფართო მასისათვის მისაწვდომ მრავალფეროვან ფორმებამდე. ესთეტიზაცია მასობრივად დაეტყო ადამიანთა საარსებო საშუალებებს, საგნებს, სამუშაო ადა-

---

8 ჩვენი მიახლოებითი გაანგარიშება, რომელიც ეყრდნობა გაეროსა და მსოფლიო ბანკის მონაცემებს. Доклад о развитии человека за 2010. М., С. 143-155 ცივილიზაციის დასაბამის დონის მაჩვენებლად ჩვენ ვიღებთ საარსებოდ აუცილებელ მინიმალური ოდენობას, როგორიც ამჟამად გააჩნიათ ადამიანებს ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყნებში, ისტორიულ წარსულში დარჩენილებში.

გილს, საცხოვრებელ გარემოს. . .

ყოველივე ეს უეჭველია დიდი პროგრესია ადამიანთა ცხოვრებაში, რაც მომავალი განვითარებისა და ოპტიმიზმის საფუძველია. ეს ხდებოდა მკვეთრი შემობრუნებების, ნახტომების გზით, რასაც **გლობალური მოდერნიზაცია** შეიძლება ვუწოდოთ. ყოველივე ეს **ადამიანის განვითარების, საკაცობრიო ფასეულობათა მარაგის ზრდის კანონის მოქმედების შედეგია.**

მაგრამ არსებობს **ისტორიის მეორე მხარე, ისტორიის მძიმე ვერდიქტი კაცობრიობისათვის,** რომელიც ამუქებს და დაბრკოლება ხდება ადამიანთა ცხოვრებისა და ბედნიერებისათვის. **ცივილიზაციას, განვითარებას ახლავს უარყოფითი (ნეგატიური) შედეგები, ნეგატიური მხარეც ვითარდება და ფართოვდება.** განვითარების შედეგებს თავისავე სასარგებლოდ ან საზიანოდ, უფრო სხვების საზიანოდ იყენებს ადამიანთა გარკვეული ნაწილი, რაც მთელი საზოგადოების, კაცობრიობის ცხოვრებაზე საზიანოდ აისახება.

ფაქტია, რომ ნეგატიურმა მოვლენებმა მეტად დიდი მასშტაბები მიიღო. როგორც ჟ.ჟ. რუსო და ბევრი სხვა მოაზროვნე აღნიშნავს, **ცივილიზაციის წარმოშობას თან დაჰყვა ადამიანთა მიერ ზნეობრივი დარღვევების – ანგარების, სიხარბის, ქურდობის, სიყალბის, ღალატის, დაუნდობლობის, გარყვნილების, სისასტიკის, სიცრუის და სხვ. ბოროტებათა ფართოდ გავრცელება.** განა არ ამახინჯებს ისტორიას, კაცობრიობის ცხოვრებას ის საშინელებანი, რასაც ადამიანები სჩადიოდნენ სხვებისა და თავისივე თავის მიმართ და რასაც დღემდე ვერ მოეღო ბოლო? **ისინი ხომ საფრთხეს უქმნის კაცობრიობას?**

ადამიანთა სამარცხვინო და საზარელ მოქმედებათა შორის პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მათ მიერ **ერთმანეთის ხოცვა სხვადასხვა ფორმით**. განსაკუთრებით ეს ეხება სახელმწიფოთა შორის ომებს, შინა და სამოქალაქო კონფლიქტებს, სისხლიან რევილუციებს. ამგვარ ომებში დასაბამიდან მოყოლებული დაღუპულია ასობით მილიონი ადამიანი, მათ შორის მეოცე საუკუნეში ას მილიონზე მეტი. ომებში დანგრეული და მოსპობილია კაცობრიობის მიერ შექმნილი მატერიალური და კულტურული სიმდიდრის დიდი ნაწილი. ომები და ადამიანთა შორის კონფლიქტები წარმოიშვება **არა ობიექტურ, არამედ სუბიექტურ ნიადაგზე,** პოლიტიკოსთა არასწორი აზროვნების, ინტერესებისა და მოქმედებების შედეგად. ობიექტურად ხალხებს არაფერი აქვთ ომით გასაყოფი. ომები ყოველთვის მთავრდება სავალალო შედეგით ორივე მხარისათვის – დამარცხებულისა და გამარჯვებულისათვის – უდიდესი ადამიანური, მატერიალური და სოციალური დანაკარგებით, ასევე მშვიდობის გარდაუვლი აღდგენით. სხვანაირად როგორ უნდა შევაფასოთ ისინი, თუ არა უგუნურობა, რომელებიც ისეთ პოლიტიკოსთა სინდისზეა, რომლებიც ომებს აჩაღებენ ამბიციური ეკონომკური, პოლიტიკური, რელიგიური და სხვ. მიზნებით და ადამიანებს საზარბაზნე ხორცად ხდიან. **სამწუხაროდ, ომები და სამხედრო სამარცხვინო ავანტიურები დღესაც გრძელდება.** ომისათვის მზადყოფნას, ადამიანთა და სიმდიდრის განადგურებისათვის მზაობას ხმარდება მსოფლიო მთლიანი პროდუქტის (წლიური დოვლათის) თითქმის 2% (ერთ ტრილიონზე მეტი დოლარი), გამორჩეულად მაღალმწარმოებლურ ადამიანთა – სამხედრო კონტინენტის ენერგია და შრომა. ყოველივე ეს კოლოსალური დანაკარგია. აურაცხელია **საყოფაცხოვრებო ნიადაგზე** დახოცილი ადამიანების რიცხვიც. არ არის ეს ადრინდელი და თანამედროვე ადამიანის მორალური სახის დიდ შავი ლაქა და ურიცხვ უბედურებათა კასკადი? **აი, ამას აკეთებდა და აკეთებს homo sapiens -ი – თითქოს გონიერი არსება!**

ასევე ამძიმებს კაცობრიობის ისტორიას დღემდე შემორჩენილი ადამიანის მიერ ადამიანის **ჩაგვრა, ექსპლუატაცია, დაჯაბნა, მორალური დამცირება,** უფლებებისა და თავისუფლების შეზღუდვა, უსამართლობის არსებობა. მას ძლიერი უმცირესობა სჩადის უმრავლესობის მიმართ აშკარად თუ შენიღბულად, უხეშად თუ ფარისევლურად. ამ ფაქტის დასადასტურებლად, ალბათ მწუხარებით სასტიკი რეალობის გამო, ყველასათვის გასაგონად კაცობრიობას პირში ახლიდა ფ. ნიცშე: **სუსტები შექმნილია ძლიერების შესაჭმელად.**

ცივილიზაციასთან ერთად გაჩნდა **სოციალური უსამართლობა.** იგი, ერთი მხრივ, გარკვეულად რბილდებოდა პროგრესის კვალობაზე, მაგრამ, მეორე მხრივ, მასშტაბებს ზრდიდა საზოგადოების რიცხობრივი მატების კვალობაზე, მწვავდებოდა კულტურისა და ცნობიერების ამაღლების შედეგად. მას ადამიანთა მოდგმამ დღემდე ვერ მოუღო ბოლო.

გარკვეულ კუთხით (მიმართულებით) **ზნეობრივი რეგრესის** ფაქტია ის, რომ გაიზარდა ზნეობრივი ნორმების დარღვევის მასშტაბები, გავრცელდა საზარელი ფორმები. **კრიმინალური საქმიანობა, რომლებიც ბიზნესთანაა დაკავშირებული, ტერორიზმი** და მათში ჩართული ადამიანების რიცხვი. კრიმინალთა მიერ განვითარების შედეგების ბოროტი მიზნებით გამოყენება ისტორიის ნეგატიურ მხარეს უნდა მივაკუთვოთ. **ესეც ერთი საფრთხეა კაცობრიობისათვის.**

განვითარებისა და ცივილიზაციის კიდევ ერთ დიდ უკუღმართობას წარმოადგენს **დედა-ბუნებისადმი დაუნდობელი მოპყრობა.** ადამიანები თავიანთი ხარბი ინტერესების დასაკმაყოფილებლად ბუნების უსასტიკესი ექსპლუატაციას კი არ ამცირებენ, უკიდურეს საფრთხემდე მიჰყავთ იგი.

დღეისათვის, მაგალითად, ე.წ. გლობალური დათბობის გამო ხომ საფრთხე ემუქრება კაცობრიობას. მაგრამ ეს ადამიანთა მიერ ბუნების გაფუჭების მხოლოდ ერთი მაგალითია.

კოსმოსის ათვისებით დაკავებულმა ადამიანებმა თვით დედამიწაზე ვერ გადაწყვიტეს საარსებო საშუალებათა წარმოების, ავადმყოფობათა დაძლევის მწვავე პრობლემები. არსებული ტექნოლოგიები იძლევა, მაგალითად, მსოფლიოს ნორმალური კვებისათვის საჭირო პროდუქტების მხოლოდ ისეთ რაოდენობას, რომელიც შიმშილის პირას ტოვებს კაცობრიობის მესამედზე მეტს. ისინი ვერ უზრუნველჰყოფს კვების პროდუქტთა სათანადო ხარისხს, ეკოლოგიურ სისუფთავეს, ანგრევს ბუნებას. მეცნიერება ვერ ერევა მრავალ დაავადებას, მათ შორის ფართოდ გავრცელებულ გრიპსაც. ადამიანთა უდიდეს ნაწილს არა აქვს საკმარისი საკვები პროდუქტები, ხარსხიანი წყალი, სანიტარულ-ჰიგიენური პირობები, ბინები, გათბობა და ა.შ.

მსოფლიოში მძვინვარებს **სიღარიბე, რომლის მიზეზია** არა მარტო ადამიანთა სიზარმაცე, შრომისადმი სიძულვილი, რაც საკმაოდ გავრცელებულია თვით შრომის სიმძიმის, რუტინულობის, არაშემოქმედებითი, არასაინტერესო ხასიათის გამო, ასევე ქვეყნების დაბალი ეკონომიკური განვითარება დოვლათის წარმოების უკმარობა, არამედ **დოვლათის არასამართლიანი განაწილება ქვეყნებსა და საზოგადების წევრებს შორის.**

აქ მხოლოდ რამდენიმეს ფაქტს დავასახელებ საილუსტრაციოდ. მოსახლეობის 1%-ზე მსოფლიოში მოდის აქტივების (ქონება, ფული, ფასიანი ქაღალდები) 40%; მდიდარი 10%-ის ხელშია აქტივების 85%. მოსახლეობის უღარიბესი ნახევარი ფლობს მხოლოდ 1%-ს. მსოფლიოს მოსახლეობის თითქმის ნახევარს (3 მლრდ ადამიანს) დღეში აქვს 2,5 დოლ შემოსავალი, ხოლო მოსახლეობის 80% ცხოვრობს დღეში 10 დოლარზე ნაკლები შემოსავლით[9]. 450 მლნ ახალგაზრდა ცხოვრობს დღეში 2 დოლარზე ნაკლები შემოსავლით. სასკოლო ასაკის 113 მლნ ბავშვი არ დადის სკოლაში, 130 მლნ წერა-კითხვის უცოდინარია[10]. არსებული შეფასების მიხედვით, მსოფლიოში ითვლება 27 მლნ მონის მდგომარეობაში მყოფი ადამიანი. ყოველწლიურად 13 წლამდე ასაკის 1,.2 მლნ გოგონა იყიდება უმთავრასად აზიიდან და აღმოსავლეთ ევროპიდან. 1 მლნ-მდე ბავშვი განიცდის ექსპლუატაციას სექს-ინდუსტრიაში, რასაც მილიარდობით შემოსავალი მოაქვს მისი ორგანიზატორებისათვის. შეიარაღებულ კონფლიქტებში 30-ზე მეტ ქვეყანაში ჩართულია 8 წელზე ზევით ასაკის 300 ათასი ბავშვი. შრომის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, მძიმე პირობებში ექსპლუატაციას განიცდის 246 მლნ ბავშვი[11]. მსოფლიოში 200-ზე მეტი ქვეყნიდან მხოლოდ 39 მიეკუთვნება საშუალოზე მაღალი შემოსავლების მქონეთა რიცხვს.

სიმდიდრის განაწილების უთანაბრობა ღრმავდება. 1820 წელს უმდიდრეს და უღარიბეს მოსახლეობას შორის განსხვავება შემოსავლების მხრივ იყო 1:3, ჩვენს დროში იგი შეადგენს 1 : 72.[12]

ამ ცნობილ ფაქტებს იმიტომ ვასახელებ, რომ ვთქვა: ყოველივე ამას საფუძვლად უდევს **ადამიანთა ინტელექტუალურ-კულტურული განვითარების, ცნობიერების, შეგნების არასაკმარისი დონე, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობათა არასრულყოფილება, თორემ მაღალი საყოველთაო ცივილიზაციის პირობებში ადამიანები ასე არ მოექცეოდნენ ერთმანეთს, ასეთი არ იქნებოდა კაცობრიობის ცხოვრება.**

მიუხედავად გარკვეული პროგრესისა, ვერ ჩამოყალიბდა **სამართლიან ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემა და მექანიზმი ეკონომიკის ჰარმონიული განვითარებისათვის.** გრძელდება **ქაოსისა და ანარქიის ელემენტები** ეკონომიკის ფუნქციონირებაში, რაც ნგრევითი ხასიათის დეპრესიებს, კრიზისებს იწვევს ეკონომიკის სექტორებსა და დარგებში, ქვეყნებში, ქვეყნების ჯგუფებსა და მსოფლიო ეკონომიკაში. ისინი პერიოდულად მეორდება და უზარმაზარ ზიანს აყენებს ქვეყნებსა და მსოფლიოს. მათი მოლოდინი განუწყვეტლივ არსებობს. ისინი სულ უფრო მეტ საფრთხეებს უქმნიან ქვეყნებსა და მსოფლიოს, რის მომსწრენი ჩვენ ვართ.

დოვლათის (სიმდიდრის) უკიდურესად უსამართლო განაწილება პირველ რიგში აბრკოლებს ადამიანთა შორის მეტისმეტი სოციალური უთანასწორობის, სიღარიბის დაძლევას და დიდ ბოროტებად წარმოგვიდგება, რაც დღემდე ვერ მოისპო. ეს აგრეთვე იწვევს მეტად უარყოფით შედეგს ცალკეულ ადამანთა ხელში უზარმაზარი ეკონომიკური ძალაუფლების თავმოყრის გამო. ამ უკანასკნელს მოსდევს კაპიტალის ბატონობა საზოგადოებაზე, პოლიტიკაზე, კულტურაზე.

საზოგადობრივი მორალის დეგრადაცია, სიმდიდრის, ფულის გაბატონება ყველა სფეროში, ზედმეტი კომერციალიზაცია, ბუნების განადგურება და ა.შ.

---

9 Washington Profile. WWW. Guardian co. U k /money/2006

10 Хроника ООН, Т. XLII. № 3, сентябрь. IX-XI . 2005. С 68,.

11 Хроника ООН, Т. XLII. № 3, сентябрь. IX-XI . 2005. С 28,29.

12 ООН Доклад о развитии Человека. 2000. GC. 6.

მახინჯი ეკონომკური მექანიზმის მეშვეობით შემოსავლების უსამართლო, უთანასწორო განაწილება საფუძველს ურყევს დემოკრატიას, ადამიანთა ნების თავისუფალ გამოხატვას, პოლიტიკას უქვემდებარებს ეკონომიკურ ძალას. საკუთრებას მოწყვეტილი, სხვაზე დამოკიდებული და უმუშევარი ადამიანები ვერ იქნებიან თავიანთი ნების გამომხატველი ან სულაც ინდიფერენტულნი ხდებიან პოლიტიკის მიმართ, რაც არაიშვიათად იგრძნობა.

კაცობრიობამ ვერ შესძლო **სამართლიანობის, თვისუფლებისა და დემოკრატიის სრულფასოვანი ფორმების ჩამოყალიბება, საამისოდ სათანადო ბაზის შექმნა. ადამიანთა დიდი ნაწილი კვლავ მოკლებულია საკუთრებას – პიროვნული დამოუკიდებლობის, თავისუფლების, ასევე დემოკრატიის რეალურ საფუძველს.** საკუთრების არადემოკრატიული ფორმა – ოლიგარქიული საკუთრება ხელს უშლის დეცენტრალიზაციასა და ნამდვილ თავისუფლებას, ადამიანთა მიერ თავიანთი ნების სრულად გამოხატვას. როგორც პოლ სამუელსონი აღნიშნავს, სამართლიანობა და თავისუფლება დემოკრატიის ლამაზ სიტყვებად რჩება. დეკლარირებული მაღალი ფასეულობის უკან არის არასრული ან სუროგატული ფასეულობები. **დაქირავებული შრომის არსებობა ზღუდავს პიროვნების თავისუფლებას.** ძნელი არაა მივხვდეთ, რომ არ შეიძლება დაქირავებულმა ადამიანმა სრული თავისუფლება იგრძნოს, იგი დამქირავებლის ნების შემსრულებელია. ამ ფაქტის უარყოფა რეალობის უარყოფის ტოლფასია. ბუნებრივია, რომ მეტისმეტად მდიდარი სუბიექტები თავის პოლიტიკურ ნებას, ეკონომიკური ქცევის ნორმებს, კულტურას, ცხოვრების წესს საერთოდ, თავს ახვევს მთელ საზოგადოებას. სადღეისოდ სამართლიანობა, თავისუფლება, დემოკრატია არასრულყოფილი, კოჭლია. მულტინაციონალური კაპიტალი, ორგანიზაციები, სახელმწიფოთა მთავრობები ხშირად შეთანხმებით მოქმედებენ საერთო მიზნების მისაღწევად, რაც სრულად არ შეესაბამება მთელი საზოგადოების ინტერესებს. ე.წ. დემოკრატიული წესებით არჩეულნი (თუმცა ხშირად გაყალბებით) სრულად ან საერთოდ არ გამოხატავენ ხალხის ნებას, სწყდებიან მას და თავიანთ მიზნებს ახორციელებენ, გარკვეული წრეების გავლენის ქვეშ ექცევიან და მათ ლობირებენ. ეს ხდება დაინტერესებით ან არასაკმარისი პროფესიონალიზმის გამო.

ეკონომიკის, პოლიტიკის, კულტურის ინტერნაციონალიზაცია, გლობალიზაციის ტენდენცია, ზესახელმწიფოების **გავლენა აერთგვაროვნებს მსოფლიოს, მოსპობით ემუქრება ეროვნულ კულტურებს, ტრადიციებს, ნიველირებას უკეთებს, ავიწროებს მათ, ზღუდავს ცალკეულ ხალხთა ენების გამოყენებას, თვითმყობადობას, რაც აფერხებს კაცობრიობის ბუნებრივ ფუქციონირებასა და ცხოვრებას.**

დიდი პრობლემების წინაშეა კაცობრიობა **ცივილიზაციური, რელიგიური, კონტინტინეტალური, აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის დაპირისპირების გამო.**

უზარმაზარი თავსატეხია **ეკოლოგიური საფრთხის არსებობა**, რომელსაც განვითარება და განსაკუთრებით მაღალგანვითარებული სახელმწიფოები ამწვავებენ, მიუხედავად გარკვეული ზომებისა მათ ასაცილებლად, რომლებიც სრულიად არასაკმარისია.

ისტორიიდან გამოყოლილი ადამიანთა **სიხარბე და ანგარება, უსაზღვრო მიდრეკილება მატერიალური სიმდიდრისაკენ, ზომიერების დაკარგვა ადამიანის ნაკლები სრულყოფილების, ცივილიზებულობის არასაკმარის დონედ გვევლინება და თანამედროვე სიძნელეთა, მწვავე პრობლემების ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენს.**

2005 წლის დავოსის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ კომპანია ,,გელაპისათვის" შეკვეთილი გამოკვლევის პასუხების მიხედვით, რომელიც კომპანიის მტკიცებით 1,1 მლრდ ადამიანის აზრს გამოხატავს, ადამიანთა ნახევარის აზრით, მსოფლიო კატასტროფისაკენ მიექანება. გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, ამერიკის და სხვ. სახელმწიფოთა მოსახლეობის დიდ უმრავლესობას მიაჩნია, რომ მათი შვილები უარეს პირობებში იცხოვრებენ, ვიდრე თვით ისინი ცხოვრობენ.[13]

თანამედროვე მსოფლიო გახლართულია მრავალ მხრივ კრიზისში. შემაშფოთებელი მდგომარეობა მუქ ფერებში აისახა მეცნიერთა შრომებში. ცნობილი გერმანელი თეოლოგი და ფილოსოფოსი ჰანს კიუნგი აღნიშნავს: ,,... მსოფლიო წესრიგისა და ევროპის ერთობლივი სახლის ნაცვლად სუფევს მანამდე არგაგონილი მსოფლიო უწესრიგობა." ,,თვითმიზნად ქცეულმა ეკონომიკურმა პროგრესმა ანტიჰუმანურ ნაყოფი გამოიღო მსოფლიო მასშტაბით." [14]

მორალის გაუკუღმართებული გაგების ერთ-ერთი ნიმუშია ამერიკელი მწერლისა და ფილოსოფოსის აინ რენდის აზრი: ,,არაფერია იმაზე ამორალური, ვიდრე მოწოდებები მისტიკურ საერთო კეთილდღეობაზე." მორალის კრიზისის გამო შეშფოთებულია ამერიკელი პატრიკ ბიუკენენი: ,,ე.წ. ევოლუციური კათარზისი ქადაგებს ახალი რელიგიის ჩამოყალიბებას, რომლის მიხედვით თითქოს ცხოვრების ყველა წესი თანასწორუფლებიანია.

---

13 გამოცემა ,,ბანკები და ფინანსები", #138, 2007.

14 h. Kkiungi. Mmsoflio zneoba msoflio politikisaTvis da msoflio ekonomikisaTvis. Targmani germ. Tb., 1998. gv. 19 da 41.

ფაქტობრივად ეს არის მორალის უარყოფა.“ ,,სექსისა და ჯაზის ეპოქის ტრანსფორმირება მოხდა სექსის, ნარკოტიკებისა და როკ-ენ-როლის ეპოქად “... ,,სადაც ქისაა, გულიც იქაა“.[15]

აშშ ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის ალბერ გორის აზრით, ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტკური და ეკონომიკური სისტემა სადღეისოდ იმდენად გაცვეთილი და ბოროტად გამოყენებული აღმოჩნდა, რომ ეროვნული განვითარების გონივრული უნარი არ არსებობს. კაპიტალიზმის მოდელი ამოიწურა. მისი გამეორება ცივილიზაციას კრახამდე მიიყვანს[16].

მსოფლიოში მთლიანად სუფევს სისტემური კრიზისი. ადამიანი კრიზისშია, რომელიც დაბნეულია, სწორ გზას ვერ პოულობს და, როგორც ნარკომანი თავდავიწყებას შხამებში, ისე ნუგეშს კეთილდღეობის ძიებაში ეძიებს. არ შეიძლება არ დავეთანხმოთ გერმანელ მეცნიერს ულრიხ ბეკს, რომ თანამედროვე **საზოგადოება რისკების წრეში მცხოვრები საზოგადოებაა**[17].

რისკები ყოველთვის იყო, მაგრამ დღევანდელობა გამოირჩევა არსებობისათვის საშიში **საყოველთაო რისკებით**. ესეც აძლიერებს ღრმა მოდერნიზაციის აუცულებლობას.

ამრიგად, **ცივილიზცია, განვითარება ისტორიის გავლილ პერიოდებში მთელი ძალით არ ყოფილა ადამიანთა საყოველთაო კეთილდღეობის სამსახურში. იგი გამორჩევით უზრუნველჰყოფდა ადამიანთა ცალკეული ფენების კეთილდღეობასა და ბედნიერებას.** ცივილიზაციის მიღწევებს უნდა მოვაკლოთ ის ნეგატიური შედეგები, რაც მას თან ახლდა და ერთობ დიდია, მაშინ მოვიღებთ **წმინდა პროგრესის პოზიტიური შედეგების, სიკეთის სიდიდეს.**

მაშასადამე, **კაცობრიობამ ცხოვრების არც ისე სახარბიელო გზა გამოიარა. დღევანდელი მისი მდგომარეობა არ იძლევა კმაყოფილებისა და ოპტიმიზმის საფუძველს. ფაქტია, რომ არავითარ მაღალ ზნეობრივ დონესთან, სრულყოფილ სამართლიანობასთან, თავისუფლებასთან, დემოკრატიასთან, ცხოვრების მშვენიერებასთან, სიკეთის დომინირებასთან ჯერჯერობით თანამედროვე მსოფლიოში არა გვაქვს საქმე. ვიმყოფებით გზაზე, რომელმაც შეიძლება მიგვიყვანოს ან არ მოგვიყვანოს აქამდე. ესაა ისტორიის ვერდიქტი!**

ასეთ პირობებში კაცობრიობა დგას **საყოველთაო, ახალი გლობალური მოდერნიზაციის, განახლების, ცხოვრების წესის, მოდელის ცვლილების გამოწვევის წინაშე.**

მომავალი მოდერნიზაცია ცხოვრების ახალი მოდელისათვის

მოდერნიზაცია, ძირეული ცვლილებები ცხოვრებაში, ახალ საფეხურზე გადასვლა ისტორიის დამახასიათებელი ნიშანია და პროგრესის პირობაა საერთოდ. ამჯერად მსჯელობა ეხება **ახალ, ღრმა შემობრუნებას კაცობრიობის ისტორიაში,** რომელმაც ძირეულად უნდა შეცვალოს ცხოვრება პლანეტაზე, გახადოს ის ჰუმანური, ადამიანის არსების ადეკვატური. ამგვარ მოდერნიზაციაში ჩვენ არ ვგულისხმობთ იმას, რასაც პოსტმოდერნს, პოსტინდუსტრიულ საზოგადოებას, ინფორმაციულ, ქსელურ საზოგადოებას და სხვ უწოდებენ და რაც გადმოცემულია დ. ბელის, ე. ტოფლერის, ე. კასტელსის, ფ. ფუკუიამას და სხვ. ნაშრომებში[18]. ისინი ძირითადად ტექნოლოგიურ და ნაწილობრივ სოციალურ ძვრებს ეხება. **ახალმა მოდერნიზაციამ კი ტექნოლოგიურ გადატრიალებებთან ერთად, რომელმაც უნდა გაზარდოს დოვლათი და მისი ხარისხი, შრომის ნაყოფიერება, უნდა გაწმინდოს საზოგადოება და მისი ცხოვრება იმ მანკიერებათაგან, რომლებზეც ზემოთ იყო მსჯელობა და რომლებიც ადამიანთა არსებობას უკარგავს თავის პირველსაწყისში ჩადებულ არსსა და აზრს.** ძირეული ცვლილებების აუცილებლობა, თუმცა არასრულად, მაგრამ ასე თუ ისე გაცნობიერებულია პროგრესული აზრის მიერ. ეს გამოიხატა კიდეც მსოფლიო სახელმწიფოთა მეთაურების რიო დე ჟანეიროს 1992 წლის დოკუმენტში, რომელშიც არნიშნულია: ,,გზა, რომლითაც თავის კეთილდღეობასთან მივიდნენ განვიათრებული ქვეყნები, მიუღებელია კაცობრიობისათვის “.[19] ეს იყო გზა მნიშვნელოვანწილად სხვის ხარჯზე კეთილდღეობის მიღწევისა საერთო-საკაცობრიო ინტერესების გაუთვალისწინებლად.

ჰ. კიუნგი აღნიშნავს: აშშ-შიც თანდათან სულ უფრო მეტად გაისმის ხმები, რომლებიც გვაფრთხილებენ, რომ დავძლიოთ **ეგოიზმი, უკან დაბრუნება ,,მე“-ში** (ხაზგასმა ჩვენია. გ.მ.) ... გაუმაძღრობა და ბირჟაზე გამეფებული კაზინოსეული მენტალიტეტი, მდიდარი მენეჯერისათვის გაღებული სა-

---

15 Патрик Бюкенен. Смерть Запада.Перевод с англ. М., 2000. С.135, 137.

16 მისი წიგნიდან: ,,დედამიწა სასწორის თეფშზე”, 1996.

17 Ulrich Beck. Riskogezelschaft. Auf dem weg in eine andere moderne. Franfurkt an Maine. 1986.

18 იგულისხმება დ. ბელის ,,მომავალი პოსტინდუსტრიული საზოგადოება”; ე. ტოფლერის ,,მესამე ტალღა”, ,,მომავლის შოკი”, ,,ძალაუფლების მეტამორფოზები”, ,,რევოლუციური სიმდიდრე”; კ. კასტელსის ,,ინფორმაციული ეპოქა”. ფ. ფ. ფუკუიამას ,,ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი”, ,,ჩვენი პოსტადამიანური მომავალი” და სხვ.

19 Журн. Экономика Украины , №6, 1993. С. 127

განგებო პრემიები[20] საკმაოდ გავრცელებულ მოსაზრებას წარმოადგენს საზოგადოების გადასვლა პოსტსაბაზრო, პოსტეკონომიკურ ეპოქაზე, ანუ ისეთზე, სადაც ბაზარი, მისი კანონები არ ბატონობს ადამიანებზე, საზოგადოების ცხოვრებაზე, მხოლოდ ასრულებს მომსახურე როლს. ელვინ ტოფლერი თვლის, რომ ,,მესამე ტალღა" (პოსტინდუსტრიული ეპოქა) პირველად ისტორიაში ქმნის პოსტსაბაზრო ცივილიზაციას[21] ...,,საკმაოდ ხშირად შეინიშნება ,,თავისთვის წარმოების" შექმნა, სადაც დაქირავებული შრომის აუცილებლობა არ არსებობს". ელვინ ტოფლერი განიხილავს რა ბაზრის ორბიტიდან საზოგადოების გამოსვლის გზებს, ასეთად მიაჩნია ,,ა", ანუ ბაზრის ტიპიდან ,,ბ" ტიპზე - ,,მწარმოებელი თავისთვის" გადასვლა, ამ ტიპის თივთმომსხურების გაფართოება[22].

პოსტსაბაზრო, პოსტეკონომიკურ ეპოქას ეხებიან სხვა, მათ შორის რუსი ავტორები.

მაგრამ არც ზემოთ მსოფლიოს სახელმწიფოთა მეთაურების აღნიშნულ დოკუმენტში და არც დასახელებულ და სხვა თეორიულ გამოკვლევებში არაა საფუძვლიანად მოცემული, თუ როგორი უნდა იყოს განვითარების მომავალი გზა უფრო კონკრეტულად, თუ რა და როგორ უნდა შეიცვალოს. ჩვენ გვინდა აქ ჩვენი თვალსაზრისი მოკლედ ჩამოვაყალიბოთ, რომელიც ზოგიერთებისთვის სადავო ან მიუღებელიც შეიძლება იყოს, მაგრამ ჩვენი დიდი ხნის ნაფქრალია და ჩვენს ღრმა რწმენას ასახავს.

ანთროპოცენტრული მიდგომის ფარგლებში, რომელის მიხედვით სოციუმში ყოველგვარი მოვლენისა და პროცესის ამოსავალ პუნქტად ვთვლით ადამიანს, ლოგიკურია ახალი მოდერნიზაციის **საკვანძო მომენტად ჩაითვალოს თვით ადამიანის ძირეული ცვლილება.** ცხადია, ეს ეხება მის თვისებებს, ცნობიერებას, მენტალიტეტს, ფასეულობით ორიენტაციას და არა ბიოლოგიურ მხარეს. **აქ იგულისხმება საერთოდ ადამიანთა ინტელექტუალური განვითარების ნახტომი, მათ მიერ ჭეშმარიტებათა დაუფლება ადამიანის არსის, დანიშნულების, ადამიანურ ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობათა, ცხოვრების ადამიანური წესის, რა თქმა უნდა, გარემოსთან დამოკიდებულების შესახებ, ე.ი. მაღალი ცნობიერება საყოველთაო მასშტაბით, ამ ჭეშმარიტებათა გადაქცევა ადამიანთა მოქმედების ორიენტირად** (ადამიანთა ნაწილისათვის – ელიტისათვის – ყოველივე ეს ამჟამადაც არსებობს, აუცილებელია ის საყოველთაო გახდეს). ე.ი., საკითხი ეხება საზოგადოებას, სადაც უდიდეს უმრავლესობას კარგი ადამიანები შეადგენენ[23].

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადამიანის ჯანმრთელობას, ფიზიკურ სიჯანსაღეს. ადამიანის ცნობიერების, მენტალიტეტის, ფიზიკური განვითარების ახალი დონე და ხარისხი უმთავრესი საფუძველი გახდება ადამიანის თანმდევ მანკიერებათა – **ანგარების, სიხარბის, ზედმეტი მატერიალური ინტერესისა და ჭარბი სიმდიდრის დაგროვებისაკენ მიდრეკილების, ასევე სხვა ნეგატიური, ნამდვილად ადამიანური ქცევების ხელის შემშლელი თვისებების დაძლევაში, რათა იგი სრულად შეესაბამებოდეს homo sapiens-ის სტატუსს.** შევნიშნავთ, რომ ცივილიზებული საზოგადოება ამ მიზნით და არა ადამიანთა მოსპობის საშუალებათა წარმოების და ჯარების შენახვისათვის უნდა ხარჯავდეს შემოსავლების დიდ ნაწილს.

ადამიანის განვითარება, ზნეობრივი და ინტელექტუალური სრულყოფა, მაღალი ცნობიერება საზოგადოების ყველა პრობლემის გადაწყვეტის ამოსავალი პირობაა. ამით დაიძლევა მატერიალური და არამატერიალური დოვლათის დეფიციტი, ადამიანთა და ხალხებს შორის ურთიერთობათა ჰუმანიზციის, საზოგადოების ჰარმონიული განვითარების, ეკოლოგიური საფრთხის თავიდან აცილების პრობლემები. ასეთი სრულყოფა, პროგრესული ცვლილებები სპონტანურად მიმდინარეობს, მაგრამ აუცილებელია მას ხელი შეეწყოს საზოგადოების მხრივ მიმზანმიმართული ღონისძიებებით.

ნათქვანი რომ შევაჯამოთ, ეს ცვლილებები უნდა გამოიხატოს შემდეგში.

ადამიანთა მიერ **ჭეშმარიტების დაუფლების, ინტელექტუალური განვითარების მაღალ დონეში, საზოგადოებრივ და ბუნებრივ მოვლენათა ღრმა წვდომაში, საყოველთაო მასშტაბით, რაც მათი სწორი ქცევის პირობა გახდება**. სწორად აზროვნება, მაღალი ცნობიერება და სწორად ცხოვრება საკვანძო მომენტია ადამიანური საზოგდოების ჩამოყალიბების გზაზე. ჯერ კიდევ პლატონი 25 საუკუნის წინ სვამდა ამ საკითხს. ,,როგორ უნდა ვიცხოვროთ სწორად?". ,,როგორი ცხოვრება იმსახურებს უდიდეს მოწონებას?" ,,რას ნიშნავს იცხოვრო სწორად?"[24] გასაკვირი ისაა, რომ თანამედროვე ადამიანის მიერ ხშირად არ ისმება ეს კითხვები და პასუხიც მასზე სათანადო არაა... **დღეისათვის განსაკუთრებით და საარსებოდ აუცილებელია სწორად აზროვნება, ჭეშმარიტი ცოდნა ესაა**

---

20 ჰ. კიუნგი. მსოფლიო ზნეონა (პროექტი). თარგმანი გერმ. თბ., გვ. 34-35

21 Э. Тоффлер. Третья волна. М., 1999. Гл. 20

22 იქვე, გვ. 429-465.

23 როგორც ცნობილია, კარგ ადამიანს სანთლით ხელში დღისით, მზისით დაეძებდა დოეგენე ათენის ქუჩებში. კარგი ადამიანის პრობლემას თანამედროვე ამერიკელი მეცნიერი ა. მასლოუ აყენებს წიგნში ,,ადამიანის ფსიქიკის შორეული საზღვრები".

24 Платон. Соч. Т. 3. Ч. 2. С . 96.

და სწორად ცხოვრება. სწორედ ესაა კაცობრიობისა და ცალკეულ ხალხთა გადარჩენისა და პროგრესის მთავარი პირობა. სხვანაირად კატასტროფის საფრთხე დიდია.

უწინარესად მომავალი ცვლილებები უნდა გამოიხატოს **წარმოების ტექნოლოგიების ისეთ ახალ ცვლილებაში, პროგრესში,** რომლებიც უზრუნველჰყოფს ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოებას, ბუნების დაზიანების გარეშე საზოგადოების ნორმალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის, შრომის შემსუბუქებას და შემოქმედებით ხასიათს, რაც მას გახდის მიმზიდველსა და საინტერესოს ყველასათვის და ამით ხელს შეუწყობს ადამიანთა დიდ მაწილში სიზარმაცის დაძლევას, შრომას აქცევს სასიამოვნო პროცესად.

ცხოვრების უმნიშვნელოვანეს პრინციპად უნდა იქცე **ზომიერება, ზედმეტისაკენ მისწრაფების დაძლევა.** ეს უმნიშვნელოვანესი პირობაა, რომელიც ადამიანებს თავიდან ააცილებს მრავალ ცხოვრებისეულ პრობლემას და საზოგადოების ცხოვრებას გახდის სასიამოვნოსა და ლამაზს. უძველეს დროშიც ესმოდა ეს. მაგალითად, ფილოსოფოსი მენედემი ადამიანებს მოუწოდებდა: „ არ უნდა სურვო ის, რაც საჭირო არაა ისურვო“[25]. როცა არავინ არ ისურვებს და არ აიღებს იმას, რაც არ ეკუთვნის, ყველაფერი კარგად იქნება ადამიანთა ურთიერთობაში და საზოგადოების ცხოვრებაში საერთოდ. ეს ქართულ ანდაზაშიცაა გამოხატული: „რაც არ გერგება, არ შეგერგება.“ ამის მაგიერ ადამიანები იქცევიან პრინციპით: „აიღე, რასაც მისწვდები, რამდენსაც შეძლებ! “ „ფულს სუნი არ ასდის “.

უნდა მოხდეს ახლანდელ ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობათა კარდინალური ცვლილება, რის შედეგად მოისპობა ადამიანთა ვერტიკალური დამოკიდებულება ერთმანეთზე და მის ადგილს დაიკავებს ჰორიზონტალური ურთიერთობა, რომლის დროსაც არ იქნება შესაძლებელი ადამიანზე ძალადობა და ადამიანის თავისუფლების შეზღუდვა ფარულად თუ აშკარად, რასაც აქამდე აქვს ადგილი. ამით დამკვიდრდება ადამიანთა ნამდვილი თავისუფლება, თვითმყოფობა. **თანამედროვე საზოგადოებრივი სისტემები, საბაზრო ურთიერთობები გარდამავალი ეტაპია, ნიადაგის მომზადებაა უფრო მაღალ სისტემაზე, ნამდვილად ადამიანურ ურთიერთობებსა და ცხოვრებაზე გადასვლ გზაზე.**

თავის მხრივ, ეს ნიშნავს **არსებულ საკუთრებით ურთიერთობათა ძირეულ გარდაქმნას, საკუთრების სამართლიანი ფორმების არსებობას, როცა საზოგადოების ყველა წევრი გახდება სიმდიდრის თანამესაკუთრე**. თავი რომ დავანებოთ მარქსიზმს, ზოგიერთი უცხოელი მეცნიერი შესაძლებლად მიიჩნევს კერძო საკუთრების გაქრობას. მაგალითად, ე. ტოფლერი თვლის, რომ სიმდიდრის ზრდასთან ერთად საკუთრება გაქრება. პ. სამუელსონის აზრით, კი კერძო საუთრება სულ უფრო ნაკლებად კერძო ხდება. ჩვენი აზრით, კერძო საკუთრების გაქრობა შეუძლებელი და არასასურველია, რამდენადაც საკუთრება პიროვნების აუცილებელი ატრიბუტია. მაგრამ კერძო საკუთრების მნიშვნელოვანი ცვლილება ფაქტია და ის გაღრმავდება. საკუთრება არ აქვს ცხოველს და არც სჭირდება. საუბარი შეიძლება იყოს ოლიგარქიული, არკუთვნილი საკუთრების გაქრობაზე და არა შრომით საკუთრებაზე, საკუთრების ხასიათის ცვლილებაზე.

ამის საფუძველზე გადაწყდება დოვლათის (სიმდიდრის) სამართლიანი განაწილება, აღიკვეთება მისი დაუმსახურებლად მიღების შესაძლებლობა. **საკუთრება დაემყარება მის ნამდვილ ობიექტურ წყაროს - პირად შრომას და მის პროდუქტს.** ამგვარ პირობებში დგილი არ ექნება უზარმაზარი, ზედმეტი სიმდიდრის თავმოყრას ცალკეული ადამიანების ხელში, რაც არაკანონზომიერი და არაბუნებრივი მოვლენაა, რომელიც თვით ადამიანთა ნება-სურვილისაგან კი არა, განაწილების მახინჯი მეხანიზმისა და წესებისაგან წარმოდგება. იგი არაა თვით სუბიექტების, იმ მესაკუთრეების ინტერესებშიც, რომლებსაც **კოლოსალური, ზედმეტი, ძნელად მოსავლელი, რეალური სიკეთის არმომტანი სიმდიდრე ხიფათებთან დაკავშირებულ პასუხისმგებლობას აკისრებს საზოგადოების წინაშე, დიდი სიმდიდრის განკარგვის სირთულეებთან ერთად.**

აუცილებელია საკუთრების ფორმების ისეთი გარდაქმნა, როცა ისინი უზრუნველჰყოფს საზოგადოების წევრთა დიდი ნაწილის საკუთრებისაგან გაუცხოების მოსპობას, მესაკუთრედ გახდება ყოველი მათგანი, **ძირითადად, ახალ თანამფლობელობით ნიადაგზე.** ამით დაიძლევა სიმდიდრის აქამდე და დღესაც არსებული მეტისმეტად უთანასწორო, უსამართლო განაწილება. ეს თავის მხრივ საფუძველს დაუდებს მტკიცე თავისუფლებასა და დემოკრატიას საზოგადოებაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მომავალი გლობალური მოდერნიზაციის უმნიშვნელოვანესი მიმართულება უნდა იყოს **ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობათა ისეთი კარდინალური გარდაქმნა, როცა ადამიანები მაღალი ზნეობის, სრულფასოვანი სამათლიანობის, დემოკრატიისა და თავისუფლების პირობებში იცხოვრებენ. ამით ცხოვრება გახდება ჭეშმარიტად ადამიანური,** ესთეტიკურად მიმზიდველი არა მარტო გარემოსა,

---

25 Сборник древнегреческих мыслей. Харьков. 1887. С. 321.

საგნების, ხელოვნებისა და ლიტერატურის ნაწარმოებთა მაღალი გემოვნების, შინაარსის საფუძველზე, არამედ **ადამიანურ ურთიერთობათა მიმზიდველობის, სილამაზის მეშვეობითაც.**

ამრიგად, მომავალი მოდერნიზაციის შედეგები შეიძლება შემდეგი სქემით წარმოვიდგინოთ:

ადამიანთა მაღალი ინტელექტი
მაღალი ზნეობა
სრულფასოვანი სამართლიანობა
სრულფასოვანი თავისუფლება
სრულყოფილი დემოკრატია
ცხოვრების მშვენიერება

ჰუმანიზაცია

↓

ბედნიერება

ამგვარი კაცობრიობა უთუოდ იქნება ადამიანის არსების ნამდვილი შესატყვისი, ბედნიერი, სადაც მის ცხოვრებას არ დაამახინჯებს ხელოვნური, სუბიექტური მიზეზებით გამოწვეული მანკიერებანი, რაც მას თან დაჰყვა ცივილიზაციას დასაბამიდან და მთელი ისტორიას გასდევს. შეიძლება ვთქვათ, რომ ნამდვილი ადამიანური ისტორია დაიწყება აქედან, ხოლო წინა პერიოდები შეიძლება ჩაითვალოს კაცობრიობის წინაისტორიად.

ამის შემდეგ კაცობრიობა მოაგვარებს ყველა თავის პრობლემას დედამიწაზე. ასეთი ახალი საზოგადოების დამკვიდრება სრულიად არაა უტოპია. ის სავსებით შეესაბამება ადამიანის შესაძლებლობებსა და ისტორიულ კანონზომიერებას. მასში არაფერია შეუძლებელი. სწორედ **ღრმა ცვლილებებით მოვიდა კაცობრიობა პროგრესის თანამედროვე დონემდე. აღნიშნული მიმართულებით ცვლილებათა ნიშნები უკვე არსებობს,** თუმცა ისინი ბევრისათვის ძნელად შესამჩნევია. ისინი მალე აშკარა გახდება. მხოლოდ ბევრი რამ არის დამოკიდებული ადამიანთა, მისი მოწინავე ნაწილის - ელიტის როლზე – პროგრესულ იდეებზე, რომელთაც, როგორც ამბობენ, შეუძლიათ სამყაროს (რა თქმა უნდა, ადამიანურის) გარდაქმნა. მათ უნდა დაემატოს ადამიანთა მასების აქტიური მოქმედება, საქმიანობა.

ГЕОРГИЙ МАЛАШХИЯ

ГЛОБАЛЬНЫЕ ВЫЗОВЫ И МОДЕРНИЗАЦИЯ ЖИЗНИ

Современные исторические вызовы перед человечеством, которые обясняются причинами, связанными с людьми, их мышлением и действиями, диктуют нам глубоко осознать явления жизни, тенденции и ожидаумые угрозы, а также возможный прогресс. Исходя из существующей ситуации, ясна неоизбехность новой глобальной модернизации жизни как альтернатива катастрофы и регресса.

Ввиду несовеншенного характера развития, необхомы изменение и совершенствование качества развиитя, чем и должны быть преодолены те пороки и слабые стороны, которые характерны многим людям и понижают уровень гуманоость жизни. В частности, это: недостаточный уровень сознания людей, их порочные свойства – корысть, альчность, скупость, ложность, склонность к угнетению других, к несправедливостиб излишнему накоплению богатства и т.д. Все это обусловливает сложности жизни и мешает обеспечению всеобщего благосостояния. Путем их преодоления может быть достигнуто улучшение жизни людей на всей Земле. Человечество, народы имеют ресурсы для для преодоления указанных пороков людей и жизни. Если они будут использованы, тогда достижение всеобщего прогресса и счастливой жизни для всего человечества станет реальностью.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. არისტოტელე. ნიკომაქეს ეთიკა. თარგმანი. თ ს უ . თბ., 2003.
2. კიუნგი ჰ. მსოფლიო ზნეობა მსოფლიო პოლიტიკისათვის და მსოფლიო ეკონომიკისათვის. თარგმანი გერმ. თბილისი. 1998.
3. გ. მალაშხია. მეტაეკონომიკა-ეკონომიკის ფილოსოფია. თბ., 1995.
4. ფრიდმენი მ. კაპიტალიზმი და თავისუფლება. თარგმანი. თბ., 2002
5. ფუკუიამა ფ. ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი. თბ., 1999.
6. Малашхия Г. Экономика человечная. Санкт Петербург – Тбилиси. 2006.
7. ООН Доклад о развитии Человека. 2010.
8. Платон. Государство. Соч. Т. 3. Ч. 2. С . 96.
9. Франгишвили И. Системный подход и общественные закономерности. ,, Мысль М., . 2000.
10. Btell D. The Coming of Post-Industrial Society. N.Y. 1973.
11. Beck U. Riskogezelschaft. Auf dem weg in eine andere moderne. Franfurkt an Maine. 1986.
12. Buchanan P. The Death of the West. Martin' s Press. 2002.
13. Rawls. A Theory of Justice. Massachustess. 1971
    Toffler A.Future Soch. Bantam Books. 1970.

კახაბერ ციმინტია

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა - პოპულარობიდან პროფესიონალიზმისკენ

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელება საქართველოს მთავრობამ 2009 წლიდან დაიწყო და განვლილი პერიოდის გამოცდილებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ რეგიონებში განხორციელებული პროექტების ფონდიდან დაფინანსებული პროექტებიდან იგი ერთ-ერთ პოპულარულ პროექტია.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში თითოეული სოფლის მცხოვრებლებს ეძლევათ შესაძლებლობა აქტიური მონაწილეობა მიიღონ თავიანთ სოფელში არსებული პრობლემების გადაწყვეტაში. კერძოდ, ჩამოაყალიბონ პრობლემები, განსაზღვრონ პრობლემებიდან კონკრეტული მომენტისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, აქტუალური და არსებული დაფინანსების ფარგლებში გადაჭრან აღნიშნული პრობლემა.

თავისი არსით ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ სპეციალურ ტრანსფერს წარმოადგენს. ამავდროულად, თვით მუნიციპალიტეტის შიგნით იგი გათანაბრებით ფუნქციასაც ასრულებს, რადგან გარკვეული წესით ანაწილებს თანხებს ტერიტორიულ ერთეულებში და ნიველირებას უკეთებს მათში ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია-განვითარებას, რაც ასევე მნიშვნელოვანია ცალკეული თემის, სოფლის სოციალურ-ეკონომიკური დონისა და ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის.

პროგრამის ძირითადი მიმართულებები. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 იანვრის №23 დადგენილებით პროგრამის ძირითად მიზანს შეადგენს: პროგრამით გათვალისწინებული თანხის წარმართვა სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების დასაფინანსებლად. იგულისხმება ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია, კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელება და ა.შ.; თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის მხარდაჭერა; მოსახლეობასა და თვითმმართველობის ორგანოებს შორის ურთიერთობების გაუმჯობესება; თვითმმართველობის დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება.

პროგრამის მოცულობა და სტრუქტურა. პროგრამით გათვალისწინებული თანხები ნაწილდება შემდეგნაირად: არა უმეტეს 50 სულიანი სოფლისთვის – 2 000 ლარი; 51-დან 200 – სულამდე სოფლისთვის – 4 000 ლარი; 201-დან 400 - სულამდე სოფლისთვის – 5 000 ლარი; 401-დან 1000 – სულამდე სოფლისთვის – 8 000 ლარი; 1000-ზე მეტსულიანი სოფლისთვის – 12 000 ლარი.

აღნიშნული წესით გაანგარიშების შემდეგ დარჩენილი თანხა სოფლებისთვის ნაწილდება ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებული მაჩვენებლის მიხედვით (კერძოდ, სოფლის მოსახლეობის რიცხოვნობა მრავლდება კოეფიციენტ 12,565409-ზე).

ცხრილი 1.

,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გამოყოფილი თანხების დინამიკა

წელი	**საქართველო (თანხა, სულ. ლარი)**	**დინამიკა %**
2009	19 998 876	100
2010	40 000 000	200,01
2011	40 000 000	200,01
2012	50 000 000	250,01

აღსანიშნავია, რომ ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილ თანხებს მნიშვნელოვანი ზრდის ტენდენცია ახასიათებს. კერძოდ, 2009 წლიდან აღნიშნული პროგრამის დაფინანსება 2,5-ჯერ არის გაზრდილი (ცხრილი 1). აღნიშნული ზრდის ტემპის შენარჩუნება მიზანშეწონილია გარკვეული, რაციონალური ნიშნულის მიღწევამდე, რაც მნიშვნელოვან როლს შეასრუ-

ლებს სოფლების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებაში და ამ სფეროში გარკვეული, სტაბილურად განვითარებადი გარემოს ფორმირებაში.

შედეგები. ჩვენი აზრით, ფრიად საინტერესოა კონკრეტული მუნიციპალიტეტის მაგალითზე ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელების შედეგების წარმოდგენა. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 45 000 კაცს, ფართობი 647,1 კვ.კმ-ს. აღსანიშნავია, რომ წალენჯიხის მუნიციპალიტეტში შედის ორი ქალაქი – ქ. წალენჯიხა და ქ. ჯვარი, ორი დასახლება – ფოცხო-ეწერი და ზღვაია, 12 თემი, რომელთა შემადგენლობაშიც გაერთიანებულია 35 სოფელი და ასევე სოფელი ეწერი. შესაბამისად, განსახორციელებელი სამუშაოების სპექტრიც ფართოა, ქალაქსა და ქალაქის ტიპის დასახლებებში პრობლემები სპეციფიკურია, რაც მოითხოვს ასევე მრავალმხრივ მიდგომას, დიდ ფინანსურ რესურსებსა და დანახარჯებს. 2011 წელს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტმა შეადგინა 6 191 ათასი ლარი, საიდანაც 582 300 ლარი (9,4%) ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გამოყოფილი თანხა იყო. იგი შეეხო მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შემავალ 36 სოფელს. შედარებისთვის: ადგილობრივ ბიუჯეტში ინფრასტრუქტურის განვითარება-რეაბილიტაციისთვის გამოყოფილი იყო 750,6 ათასი ლარი. ე.ი. ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გამოყოფილმა დაფინანსებამ იგი დამატებით 77,6%-ით გაზარდა. აღნიშნული ნათლად მიუთითებს იმ მნიშვნელოვან როლზე, რასაც აღნიშნული პროგრამა ასრულებს სოფლების ინფრასტრუქტურის განვითარება-მოწესრიგებაში.

ცხრილი 2.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტისათვის ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილი თანხების დინამიკა

წელი	**თანხა, ლარი**	**დინამიკა %**
2009	282 000	100
2010	576 516	204,4
2011	582 300	206,5
2012	733 975	260,3

,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გამოყოფილ თანხებს წალენჯიხის მუნიციპალიტეტშიც მკვეთრად გამოხატული ზრდის ტენდენცია ახასიათებს. კერძოდ, იგი 2009 წელს გათვალისწინებული 282 000 ლარიდან 2012 წლისთვის 733 975 ლარამდე (260,3%) გაიზარდა. შესაბამისად იზრდება შესრულებული სამუშაოების არეალი და იგი სულ უფრო მოცულობით ხასიათს იძენს სოფლების ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის.

ცხრილი 3

,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ პრიორიტეტები წალენჯიხის მუნიციპალიტეტში

	პრიორიტეტები	**2011 წელი თანხა, ლარი**	**პროექტების რიცხვი**
1	სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია	166 273	44
2	საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია	4 401	1
3	სანიაღვრე არხების მოწყობა	18 776	6
4	სკოლამდელი დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაცია	41 816	14
5	გზები	71 027	21
6	ხიდები	28 252	8

7	გარე-განათება	44 626	16
8	ნაპირსამაგრი სამუშაოები	3 381	1
9	სანაგვე ურნების შეძენა	5 727	2
10	წისქვილების რემონტი	25 087	10
11	კულტურის სახლების რემონტი	12 325	1
12	სპორტული მოედნები	8 092	3
13	სკვერები, პარკები	10 060	4
14	გაჩერების, მოსაცდელის მოწყობა	43 379	11
15	თავშეყრის ადგილების მოწყობა	28 322	5
16	სასაფლაოების შემოღობვა	8 381	1
17	სხვა სამუშაოები	62 376	26
	სულ	582 300	174

აღსანიშნავია, რომ წალენჯიხის მუნიციპალიტეტში 2011 წელს ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ განხორციელდა 174 პროექტი და პრიორიტეტები შემდეგნაირად იქნა განსაზღვრული (ცხრილი 3): სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაცია (28,5%), გზების რემონტი და მშენებლობა (12,2%), გარე-განათების რეაბილიტაცია (7,7%), გაჩერებების, მოსაცდელების მოწყობა (7,4%).

ცხადია, რომ ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ ხელს უწყობს მოქალაქეთა აქტიურ მონაწილეობას თვითმმართველობაში. ამასთანავე, ამაღლებს კონკრეტულ თემში, სოფელში თვითმმართველობის წარმომადგენლის ავტორიტეტს და პოპულარობას, რაც ფრიად მნიშვნელოვანია საქართველოს მსგავსი, სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების გზაზე მყოფი ქვეყნისათვის.

KAKHABER TSIMINTIA

VILLAGE SUPPORT PROGRAM-FROM POPULARITY TO PROFESSIONALISM

Summary

Georgian Government began ,,village support program'' since 2009 year and it remains one of the most popular project.

,,Village support program'' assists to take population active part in self-govermment. with this, raises in concrete community and it makes popular the representative of village self-government and that is very important for Georgia.

It is remarkable that the amount which is protruded in ,,village support program'' is characterized with increasing tendency since 2009 year.

The funding for this program since 2009 increased by 2.5 times the growth rate to maintain a reasonable ,rational levels to reach up.it takes main part to regulate infrastructure and to form development environment in this domain.

ბესიკ ბარკალაია

ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემის ფორმირების თანამედროვე პრინციპები

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე პროცესების ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს ქვეყნის სამეურნეო სისტემის ეფექტიანობის მნიშვნელოვანი ამაღლება, რაც მოითხოვს ტერიტორიული ერთეულების განვითარებისათვის საჭირო ახლებურ, სიღრმისეულ მიდგომებს. როგორც ცნობილია, მეურნეობა – ესაა სისტემა განსაზღვრული ასევე ტერიტორიულ ჭრილშიც, აქედან კი შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამ სისტემის ეფექტური ფუნქციონირება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მისი ცალკეული ელემენტების რთული ტერიტორიული ურთიერთკავშირისაგან. ქვეყნის სამეურნეო სისტემის ჩარჩო-ებში შესაძლოა არსებობდეს სხვადასხვა წარმონაქმნები, საიდანაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანია – ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემა (ტრს).

ქვეყნის სამეურნეო სისტემა ესაა მაღალი რანგის ეკონომიკური სისტემა, რომელმაც შესაძლოა გააერთიანოს (მოიცვას) უფრო დაბალი რანგის ტერიტორიულ სოციალურ-ეკონომიკური სისტემები (მათ შორის ტერიტორიულ რეკრეაციული სისტემა). ამგვარად, ქვეყნის სამეურნეო სისტემების ეფექტიანი ფუნქციონირება დამოკიდებულია როგორც ცალკეული რაიონების (ადმინისტრაციული) ან რეგიონების საქმიანობის შედეგე-ბისა და სხვადასხვა ეკონომიკურ-ტერიტორიული წარმონაქმნებისაგან, ისე მათ შორის არსებული თავისებურებებისა და მოქმედებათა ინტენსიურობისაგან.

ეკონომიკური თვალსაზრისით ეფექტიანობა შეიძლება გაიგივებულ იქნას რაციონალურობის გაგებასთან და ასახავდეს სამეურნეო სუბიექტების უნარს აწარმოოს განსაზღვრული ოპტიმალური პროდუქტი მოცემულ დროში, მოცემული საშუალებების გამოყენებით. აქ დასაშვებია გამოირჩეოდეს ორი ძირითადი ურთიერთდაკავშირებული თავისებურება, ესაა: სიჩქარე და მოქმედების მიზანმიმართულება, ხოლო ძირითად მაჩვენებლად განხილულ იქნას დამოკიდებულება (ფარდობითობა) დანახარჯებსა და სამეურნეო საქმიანობის შედეგად მიღებულ ეფექტიანობას შორის.

ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემის განვითარება უნდა ემყარებოდეს შემდეგ ძირითად მაჩვენებლებს: 1) არსებული რეკრეაციული რესურსული პოტენციალი (ბუნებრივი და ისტორიულ-კულტურული რესურსები); 2) რეკრეაციული ობიექტების ხარისხი; 3) არსებული ინფრასტრუქტურა; 4) ცალკეული საწარმოო და არასაწარმოო დარგების საქმიანობის სახეები; 5) შრომითი რესურსები და 6) ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საერთო დონე.

ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემის ეფექტიანობა გამოხატავს ურთიერთობებს მოცემულ სისტემასა და მთელი ქვეყნის საზოგადოებას შორის. ასევე, ეკონომიკის სხვადასხვა დარგებთან ოპტიმალურობის მიღწევის, ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას საზოგადოების მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად, შრომის ტერიტორიულ დანაწილებასა და განვითარების პროცესების ტერიტორიულ ორგანიზაციას.

ქვეყანაში ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემის ფორმირებას საფუძვლად უნდა დაედოს შემდეგი პირობები:

ა) ქვეყნის სივრცით ტერიტორიებზე რეკრეაციული რესურსების სიმრავლე, მრავალფეროვნება და შედარებით თანაბარი გადანაწილება;

ბ) ქვეყნის სივრცით ტერიტორიებზე არსებული რეკრეაციული ობიექტების მდგომარეობის ხარისხი და არსებული ინფრასტრუქტურა;

გ) ქვეყნის სივრცით ტერიტორიებზე მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობის კულტურულ-ეთნოსის ელემენტების სიმრავლე და ისტორიული თანაცხოვრების თავისებურებები;

დ) ქვეყნის სივრცით ტერიტორიებზე არსებული საერთო ეკოლოგიური მდგომარეობა;

ე) ქვეყნის სივრცით ტერიტორიებზე პროფილის მიხედვით არსებული საწარმოები;

ვ) ქვეყნის სივრცით ტერიტორიებზე არსებული სოციალური ინფრასტრუქტურა.

ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემის ფუნქციონირებასა და განვითარებას უნდა ახასიათებდეს შემდეგი ძირითადი ნიშნები:

1) განსახილველი კატეგორიისათვის განვითარების ამოსავალ წერტილად აღებულ უნდა იქნას არსებული რეკრეაციული რესურსების მდგრადი გამოყენების ოპტიმუმი;

2) სისტემის შემადგენლობის ყველა რეკრეაციული ობიექტი ინტეგრირებული უნდა იყოს

საერთო მიზნებითა და ფუნქციონირების პრინციპებით;

3) სისტემის ყველა წარმოებითი დარგი მიზანმიმართული უნდა იყოს შესაბამისად საერთო მიზნების რეალიზაციისაკენ, სადაც გათვალისწინებული უნდა იყოს ადგილობრივი ინტერესები.

4) რომელიმე ერთი ადმინისტრაციული რაიონის რეკრეაციული ობიექტების ეფექტიანობა შესაძლოა შეფასდეს როგორც მთელი სისტემის ერთ-ერთი ნაწილის ეფექტიანი ფუნქციონირება, სადაც მოცემულ პერიოდში გათვალისწინებული უნდა იყოს არსებული შესაძლებლობები და სისტემის შემადგენლობაში შემავალი სხვა ადმინისტრაციული რაიონების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირობები;

5) ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემის ფუნქციონირება და განვითარება არის კომპლექსური. მისი განსაზღვრისათვის გათვალისწინებულ უნდა იქნას სხვადასხვა ასპექტები და ფაქტორები. განვითარების განსაზღვრისას კომპლექსურობის ბუნება პირდაპირ დაკავშირებულია კომპლექსურობის პრინციპთან, რაც თავისთავად კავშირში უნდა იყოს მთელი ქვეყნის სამეურნეო სისტემის ტერიტორიული ორგანიზაციის საერთო პრინციპთან;

6) ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემის განვითარება უნდა ექვემდებარებოდეს მოცემულ სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის ჩარჩოებში მუდმივ ცვალებადობას. მან უნდა ასახოს გარკვეული თანაფარდობა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონესა და ტემპებს შორის, რაც საბოლოოდ გადაწყვეტს საკითხს მიმდინარე და შემდეგი პერიოდის ამ ტერიტორიების ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის.

7) ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირება უნდა ეფუძნებოდეს იმას, რომ მის შემადგენლობაში შემავალი გარკვეული ტერიტორიები არ უნდა შემოიფარგლოს მარტო რეკრეაციული საწარმოო კომპლექსებით, იგი უნდა აერთიანებდეს არასაწარმოო კომპლექსების მთელ სპექტრსაც. ამიტომ, სისტემის ეფექტიანობის კომპლექსური კვლევის ანალიზმა უნდა მოიცვას სისტემის ფარგლებში არსებული საწარმოო და არასაწარმოო დარგები;

8) ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემა შესაძლებელია შეითავსოს თავისუფალი ეკონომიკური ზონის რომელიმე სახესხვაობამ ან პირიქით, სისტემის მიერ იქნას შეთავსებული რომელიმე ზონა.

ტერიტორიულ-რეკრეაციულ სისტემაზე გარკვეული ნაშრომები აქვთ გამოქვეყნებული ა. კოსტროვიცკის [1], ვ. პრეობრაჟენსკის [2] და სხვა მკვლევარებს, მაგრამ, ყველა ეს მეცნიერი ტერიტორიულ-რეკრეაციულ სისტემას განიხილავს მხოლოდ რეკრეაციული თვალსაზრისით, სადაც რეკრეაციული რესურსების გამოყენებით ხდება ადამიანის ჯანმრთე-ლობაზე დადებითი ზემოქმედების გამოვლენა. მაგალითად, პოლონელი მკვლევარი, ა. კოსტროვიცკი ტერიტორიულ-რეკრეაციულ სისტემას განიხილავს ძირითადად სამი სუბიექტისაგან. ეს სუბიექტებია: 1. რეკრეანტები; 2. ბუნებრივი გარემოს რესურსები, ლანდშაფტის დადებითი ხარისხი, ისტორიულ-კულტურული რესურსები; 3. რეკრეაციის სოციალურ-ეკონომიკური პირობები, რეკრეაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივი პირობები, რეკრეაციის ტექნიკური პირობები. ა. კოსტროვიცკის შეხედულება ემთხვევა ვ. პრეობრაჟენსკის მიერ შექმნილ სისტემას, სადაც, ძირითადი აქცენტები გაკეთებულია: 1. დამსვენებელთა ჯგუფზე; 2. ბუნებრივ-კულტურულ კომპლექსებზე; 3. შიდა ტექნიკურ სისტემებზე; 4. მომსახურე პერსონალზე; 5. მართვის ორგანოზე და ა.შ.

ა. კოსტროვიცკის და ვ. პრეობრაჟენსკის სისტემა განსხვავდება ჩვენს მიერ წარმოდგენილი სისტემისაგან, რადგან ჩვენი აქცენტები ძირითადად გაკეთებულია ტერიტორიებზე, სადაც წარმოდგენილია თვისობრივად მაღალი განსაზღვრულობის რეკრეაციული რესურსების, საწარმოო თუ არასაწარმოო დარგების, მოსახლეობის, სოფლის მეურნეობისა და ინფრასტრუქტურის ერთიანობა. გარდა ამისა, ა. კოსტროვიცკის და ვ. პრეობრაჟენსკის სისტემის დანერგვა არარეალურია მჭიდროდ დასახლებული ქვეყანის ტერიტორიებზე, რადგან მათ გათვალისწინებული არ აქვთ რეკრეაციის სისტემის ფორმირებისას მოსახლეობის, წარმოებისა თუ არასაწარმოო დარგების ინტერესები და სხვ.

ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემის განვითარებისა და ფუნქციონირების ეფექტიანობის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია შედარებითი მეთოდის გამოყენება. მაგალითად, მოცემული რომელიმე რეკრეაციული სისტემის შესაბამისი მონაცემების შედარება ქვეყნის სხვადასხვა ნაწილში არსებულ რეკრეაციულ სისტემებთან, საიდანაც მიღებულ საინფორმაციო მასალას გაუკეთდეს ღრმა შეფასებები და ობიექტური დასკვნები. ასეთმა დასკვნებმა შესაძლოა შექმნან მნიშვნელოვანი წინაპირობა ქვეყნის სახვადასხვა ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემებს შორის განვითარების დონის გამოთანაბრების რთულ პროცესში. მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყველა

მაჩვენებლის აბსოლუტური თანაფარდობა არ შეიძლება არსებობდეს.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სფეროში რომელიმე ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემური წარმონაქმნი არ ნიშნავს სხვა ტერიტორიული წარმონაქმნის სოციალურ-ეკონომიკური სტრუქტურების უგულებელყოფას, რადგან არსებობს განსხვავება საზოგადოების ცხოვრების წესს, წარმოებითი პროცესების, ბუნებრივი რესურსების ტერიტორიულ გამოყენებასა და ადამიანების პირადი მოხმარების ბუნებას შორის.

ბოლო პერიოდის განმავლობაში სულ უფრო მძაფრდება ურთიერთდამოკიდებულება ბუნებასა და გარკვეული ტერიტორიული წარმონაქმნების შიგნით მცხოვრებ როგორც ადგილობრივ მოსახლეობას (ანთროპოგენული ნაწილი), ისე წარმოებით პროცესებს შორის. პრობლემების წარმოშობა და გამწვავება ძირითადად განაპირობა იმან, რომ მაღალია გარემოს დაბინძურების ხარისხი და ბუნების შემადგენელი ელემენტების გამოყენება ძირითადად ხდება არარაციონალურად, არამდგრად საფუძველზე. ამიტომ, არსებული პრობლემების გამოსავლენად უნდა შეიქმნას მოდელის ისეთი ვარიანტი, რომელიც ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემის შიგნით რეალურად ასახავს ურთიერთდამოკიდებულებას მასში შემავალ სხვადასხვა ქვესისტემებს შორის და შემდგომში მოინახოს გზები ამ პრობლემების გადასაჭრელად.

ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემა ვითარდება ბუნებრივი კანონებით მაშინაც, კი როცა მისი შემადგენელი ქვესისტემის ელემენტები იქმნება ახლიდან, ან ადამიანის მიერ ხდება მისი ტრანსფორმაცია.

ტერიტორიულ-რეკრეაციულმა სისტემამ დასაშვებია მოიცვას: რეკრეაციის, სოციალური ინფრასტრუქტურის, წარმოებისა და არასაწარმოო დარგების, სოფლის მეურნეობის, მოსახლეობისა და რეკრეანტთა ქვესისტემები.

ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემის საზღვრების ჩამოყალიბებას ძირითადად განაპირობებს მის შემადგენლობაში შემავალი ქვესისტემის ყველა ელემენტი. აქედან, რეკრეაციის ქვესისტემის საზღვრები, სადაც ხდება მისი ფორმირება შესაძლოა სივრცეში არ დაემთხვეს წარმოებითი და სხვა ქვესისტემების საზღვრებს. ამიტომ, რეკრეაციის ქვესისტემას გააჩნია ფუნქციონირების სხვადასხვა მასშტაბი და იგი შეიძლება განხილულ იქნას როგორც: ა) ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსი (მნიშვნელოვანწილად ტრანსფორმირებული ანთროპოგენული ზემოქმედებით) და მასთან კავშირში მყოფი ისტორიულ-კულტურული რესურსები; ბ) ქვესისტემა როგორც საფუძველი სხვა ქვესისტემების მატერიალური ელემენტების ფორმირებისა (მნიშვნელოვანწილად როგორც რესურსული ქვესისტემა) და გ) ,,ბუნებრივი გარემო" – სხვა ქვესისტემების ფორმირებისა და ფუნქციონირების პროცესში.

მდიდარი რესურსული პოტენციალის არსებობის შემთხვევაში, რეკრეაციული ტერიტორიების ჩამოყალიბებისა და მათში რეკრეაციული საწარმოების ოპტიმალურ განთავსებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია როგორც რეგიონების, ისე ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საქმეში. ამ საკითხის მნიშვნელობა განსაკუთრებით აქტუალურია მაშინ, როცა ქვეყანაში ხდება წარმოების კონცენტრაციის ადგილების, ურბანიზებული ტერიტორიებისა და მასთან კავშირში მყოფი მოსახლეობის რიცხოვნობის ზრდა. ასეთ შემთხვევაში რეკრეაციული ტერიტორიების როლი ვლინდება ბუნებრივი რესურსების დაცვის, ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნების, დასაქმების, უცხოური ვალუტისა და ინვესტიციების მოზიდვის და ა.შ., საერთოდ, ჯანმრთელი ცხოვრების წესის დამკვიდრების საქმეში.

ამჟამად, მსოფლიოში საზოგადოებრივ-ეკონომიკური ეფექტი მიიღწევა ბევრ წარმონაქმნებში, როგორიცაა მაგალითად, რეკრეაციული ზონები, კომპლექსები, კვანძები, ცენტრები და ა.შ. ეს წარმონაქმნები ქმნიან წინაპირობას რათა რაციონალურად მოხდეს ადგილობრივი რესურსების გამოყენება, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, წარმოების პროცესების ოპტიმიზაცია და მაქსიმალურად იქნას ათვისებული საწარმოო თუ არასაწარმოო ინფრასტრუქტურა.

ქვეყნის რეკრეაციულ-ეკონომი-კური რეგიონიზაციის იდენტიფიკაციისათვის შესაძლებელია ტერიტორიული, სტრუქტურული და სხვა კრიტერიუმების გამოყენება. ამ ერთეულების თავისებურება გამომდინარეობს რეკრეაციულ-ეკონომიკური რეგიონიზაციის სახესხვაობიდან, ასევე, მათ ერთეულებში ჩადებული შემადგენლობისაგან.

ტერიტორიულ-რეკრეაციული ერთეულების შექმნა რეგიონების მიხედვით სხვადასხვა ქვეყანაში ერთმანეთისაგან განსხვავდება. საქართველოში, გამომდინარე მცირე ტერიტორიულობიდან, გეოგრაფიული თავისებურებებიდან, ბუნებრივ-რეკრეაციული და კულტურულ-რესურსული პოტენციალიდან, ადამიანთა ისტორიული თანაცხოვრებიდან, საწარმოო თუ არასაწარმოო დარგების ტერიტორიული განლაგებიდან და მათ შორის არსებული კავშირებიდან, ტერიტორიულ-

რეკრეაციული სისტემა შესაძლებელია დაიყოს 3 საფეხურად, როგორიცაა:

ა) ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემა – I საფეხური;

ბ) ტერიტორიულ-რეკრეაციული ზონა – II საფეხური;

გ) ტერიტორიულ-რეკრეაციული ცენტრი – III საფეხური.

ამ ტერიტორიული წარმონაქმნების განსაზღვრება შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

ა) ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემა – ეს არის საკმაოდ დიდი მოცულობის ტერიტორიული ერთეული, რომელმაც შესაძლოა მოიცვას რამდენიმე ადმინისტრაციულ-ტერიტორიული რაიონი, სადაც, თავმოყრილია გარკვეული სპეციფიკის მატარებელი ბუნებრივ-რეკრეაციული და ისტორიულ-კულტურული რესურსები, აქვს ურბანიზებული ტერიტორიების, სამრეწველო თუ არასამრეწველო დარგებისა და ინფრასტრუქტურის ქსელის გამოკვეთილი ნიშნები (ზოგ რეგიონში ამას შეიძლება დაემატოს ადამიანების ისტორიული თანაცხოვრების პირობა), ეკონომიკური კავშირები ქვეყნის სხვა რეგიონებთან და დამოუკიდებლად არსებობის თითქმის ყველა პირობა.

სისტემამ შეიძლება მოიცვას ზონები და ცენტრები, ან რომელიმე მათგანი. გარდა ამისა, მსხვილი ქალაქები ან პირიქით, მსხვილი ქალაქი თავისი აგლომერაციით შესაძლოა წარმოადგენდეს თვითონ სისტემას.

ერთ-ერთი ძირითადი განსხვავება რეკრეაციულ სისტემას, ზონებსა და ცენტრებს შორის იმაში მდგომარეობს, რომ ზონებსა და ცენტრებში რეკრეანტთა გარკვეული მოთხოვნების დაკმაყოფილება ძირითადად ხორციელდება მის ფარგლებს გარეთ წარმოებული საქონლით (მაგალითად, სამრეწველო პროდუქცია და სხვ.).

სისტემა ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების ძლიერი და სუსტი დადებითი ნიშნების მატარებელია. საქართველოში, ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემად შეიძლება ჩაითვალოს მაგალითად, აფხაზეთის რეგიონი, თბილისი თავისი აგლომერაციით და სხვ.

ბ) რეკრეაციული ზონა – ეს შესაძლოა იყოს სისტემაზე მცირე ფართობის მქონე ტერიტორია, სადაც ძირითადად თავმოყრილია ბუნებრივ-რეკრეაციული ან მასთან ერთად ისტორიულ-კულტურული რესურსები და სადაც, მიმდინარეობს რეკრეაციული პროცესი. ზონაში ძირითადად არ ხდება სამრეწველო საქონლის წარმოება. ზონა შესაძლოა არსებობდეს რომელიმე ადმინისტრაციული რაიონის ფარგლებში, შეითავსოს რამდენიმე პატარა ქალაქი, სოფელი და რეკრეაციული ცენტრი, მაგრამ თვითონ არის სისტემის შემადგენელი ნაწილი. ზონები ძირითადად ხასიათდება ადამიანის ჯანმრთელობაზე ძლიერი ზემოქმედების დადებითი ნიშნებით, მაგრამ ზოგიერთი ცენტრი, რომელიც ორიენტირებულია რეკრეანტთა შემეცნებით-ფსიქოლოგიურ უზრუნველყოფაზე, ახასიათებს ადამიანის ჯანმრთელობაზე სუსტი ზემოქმედების დადებითი ნიშნები. მაგალითისათვის, რეკრეაციულ ზონას შეიძლება მიესადაგოს მწვანე კონცხი-ქობულეთის სანაპირო ზოლი და ა.შ.

გ) რეკრეაციული ცენტრი უნდა ხასიათდებოდეს მცირე ტერიტორიული დარაიონებით. აქ შესაძლოა არსებობდეს ერთი ან რამდენიმე რეკრეაციული ობიექტი, მცირე მოცულობის ქალაქი ან ისტორიული სოფელი და ხასიათდებოდეს რეკრეანტთა ჯანმრთელობაზე როგორც ძლიერი, ისე სუსტი ზემოქმედების დადებითი ნიშნებით. მაგალითად, მცირე მოცულობის ისტორიულ ქალაქში ან სოფელში ზემოქმედება ფსიქოლოგიურ-შემეცნებითი ხასიათისაა, რასაც თან ახლავს რეკრეანტთა ყოფნის პერიოდში გარკვეული დასვენება – ძალების აღდგენა.

ზემოთ ჩამოთვლილი სამივე საფეხური მოიცავს რეკრეაციულ ობიექტებს, როგორიცაა: ცალკეული საკურორტო თუ სხვა სახის შენობა-ნაგებობები, სამონადირეო მეურნეობები, ეროვნული პარკები და სხვ.

როგორც უკვე აღინიშნა, ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემა, ზონა და ცენტრი, ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების ძლიერი და სუსტი დადებითი ნიშნების მატარებელია.

ზემოქმედების ძლიერი დადებითი ნიშნები აღინიშნება ბუნებრივ-რეკრეაციული რესურსების (სამკურნალო-მინერალური წყლები, კლიმატი და ა.შ.) ადამიანების მიერ უშუალო გამოყენებით და კავშირშია მათი ჯანმრთელობისა და ძალების აღდგენის ფიზიკურ პროცესებთან.

ზემოქმედების სუსტი დადებითი ნიშნები ესაა ძირითადად შემეცნებით-ფსიქოლოგიური ხასიათის მატარებელი, რომელიც აღენიშნება ადამიანებს ისტორიულ-კულტურულ ობიექტებზე ყოფნის შემთხვევაში.

რეკრეანტებზე ძლიერი და სუსტი ზემოქმედების დადებითი ნიშნები სქემატურად შემდეგნაირად შეიძლება გამოისახოს:

სქემა 1.1.



ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემის აქტიური ფუნქციონირება გავლენას ახდენს რეგიონულ გამოვლინებებზე, რაც საშუალებას იძლევა უპირველეს ყოვლისა ხელი შეეწყოს სისტემის ფარგლებში წარმოებითი პროცესების, სატრანსპორტო ქსელის, რეკრეაციული ობიექტების მომარაგების, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებისა და რეკრეანტთა მოთხოვნების დაკმაყოფილების უზრუნველყოფას.

ჩვენს მიერ ჩამოყალიბებული ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემა სქემატურად შემდეგნაირად შეიძლება გამოისახოს:

სქემა 1.2

ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემა



სადაც, უწყვეტი ხაზებით აღნიშნულია ქვესისტემებს შორის პირდაპირი კავშირები; წყვეტილი ხაზებით აღნიშნულია ქვესისტემებს შორის არაპირდაპირი კავშირები;

სისტემა შედგება 7 ქვესისტემისაგან. სისტემაზე გარედან და შიგნიდან ძირითადად მოქმედებს ეკოლოგიური უარყოფითი ზემოქმედების ფაქტორები რომლის ძირითადი წყაროა არსებული საწარმოები, სატრანსპორტო საშუალებები და სხვ.; სქემაზე ,,სისტემაში შესასვლელი" – აღნიშნავს რეკრეანტთა მიერ სისტემაში შესვლას; ,,შედეგობრივი მონაცემები" – აღნიშნავს სისტემიდან გასვლის შემდეგ რეკრეანტთა ფიზიკურ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობას.

რეკრეაციის ქვესისტემა მოიცავს:
რეკრეაციულ ზონებს, ცენტრებსა და ობიექტებს; რეკრეაციის სოციალურ-ეკონომიკური პირობებს, სადაც მოიაზრება დასაქმება, შემოსავლები, ხელის შეწყობას სხვა დარგების სტიმულირებისათვის და ა.შ.; რეკრეაციის ორგანიზაციულ-სამართლებრივ პირობებს სადაც, მოიაზრება სისტემის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით უზრუნველყოფა; რეკრეაციის ტექნიკური პირობების ქვეშ მოიაზრება რეკრეაციული ინფრასტრუქტურის თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვა.

სოციალური ინფრასტურის ქვესისტემა მოიცავს მთლიანად, ტერიტორიულ რეკრეაციული სისტემის საზღვრებში არსებულ მთელ სოციალური ინფრასტუქტურას.

მოსახლეობის ქვესისტემა მოიცავს მთლიანად, ტერიტორიულ რეკრეაციული სისტემის საზღვრებში არსებულ მოსახლეობას.

წარმოების ქვესისტემა მოიცავს მთლიანად, ტერიტორიულ რეკრეაციული სისტემის საზღვრებში არსებულ წარმოების პროცესებსა და საწარმოების სიმრავლეს.

არასაწარმოო დარგების ქვესისტემა მოიცავს მთლიანად, ტერიტორიულ რეკრეაციული სისტემის საზღვრებში არსებულ არასაწარმოო დარგების (განათლების, კულტურის და ა.შ.) ობიექტების სიმრავლეს.

სოფლის მეურნეობის ქვესისტემა მოიცავს მთლიანად, ტერიტორიულ რეკრეაციული სისტემის საზღვრებში არსებულ სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების სიმრავლეს.

რეკრეანტთა ქვესისტემა მოიცავს მთლიანად, ტერიტორიულ რეკრეაციული სისტემის საზღვრებში არსებულ რეკრეანტთა სიმრავლეს. რეკრეაციული საწარმოო ობიექტების ფუნქციონირებას წინ უნდა უსწრებდეს პირველ რიგში დარგობრივი მოთხოვნები და პრინციპები. დარგობრივი პრინციპების დაცვას ხშირად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური გეგმების შემუშავებისას, შემდგომში დარგების უკეთ ფუნქციონირებისათვის.

რეკრეაციული დარგობრივი ტენდენციები შესაძლოა იყოს დომინანტი, წარმოადგენდეს ორგანიზებული სტრუქტურების საფუძველს და წარმოებაში დაეყრდნოს დარგობრივ პრინციპებს, მაგრამ, ტერიტორიული ორგანიზაცია ყოველთვის არ პასუხობდეს საზოგადოების მაქსიმალურად დაკმაყოფილების მოთხოვნებს.

ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემა, უპირველეს ყოვლისა ტერიტორიულ-ეკონომიკური წარმონაქმნია, რომელსაც თავისი უშუალო დანიშნულების გარდა უნდა ახასიათებდეს ეკონომიკური კავშირურთიერთობები სხვადასხვა დარგებს შორის როგორც სისტემის შიგნით, ისე სისტემის ფარგლებს გარეთ, რადგან იგი ნაწილია ერთიანი, ქვეყნის სამეურნეო სისტემისა. ასეთი მიდგომა საშუალებას იძლევა არასეზონურობის პერიოდებშიც კი, სისტემამ იფუნქციონიროს როგორც ტერიტორიულ-ეკონომიკურმა ერთეულმა. გარდა ამისა, სისტემამ უნდა მოიცვას ზონები, ცენტრები, ობიექტები და განისაზღვროს მათ შორის იერარქიული ურთიერთდამოკიდებულებები და სხვ.

ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემის ფუნქციონირების ეფექტიანობის გამოკვლევა მოითხოვს სისტემურ მიდგომას და მრავალი მაჩვენებლის გამოყენებას. ამიტომ, ეფექტიანობის განხილვისას უნდა დავეყრდნოთ ყველა მაჩვენებელს, რომლითაც ხასიათდება მისი ცალკეული კომპონენტები. შემდეგ, მიღებული მონაცემები შესაძლებელია რომელიმე სტატისტიკური მეთოდით (მოდელით) მოყვანილ იქნას ისეთ ფორმაში, საიდანაც ფორმულირება გაუკეთდება საერთო დასკვნებს. აქ, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაშია მისაღები ფაქტორებისა და მთავარი კომპონენტების ანალიზი.

თითოეული ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემა შესაძლოა დაიყოს დარგობრივი სპეციალიზაციების მიხედვით, როგორც სამკურნალო, დასასვენებელი, სათავგადასავლო, სამოგზაურო-შემეცნებითი, შემეცნებით-გასართობი და სხვა ნიშნებით. ამიტომ, ამ ნიშნების დივერსიფიკაციით შესაძლოა გამოყოფილ იქნა 3 კატეგორია: 1) სპეციალიზირებული; 2) გარდამავალი; 3) სახესხვაობრივი

აღნიშნული, ცხრილის (№1) სახით შემდეგნაირად გამოისახება:

ცხრილი 1

სპეციალიზირებული	გარდამავალი	სახესხვაობრივი
- კლიმატური კურორტები - ბალნეო კურორტები - სამონადირეო მეურნეობები - კარსტული მღვიმეები	– კლიმატო-ბალნეოლოგიური კურორტები - ბალნეო-კლიმატური კურორტები - ეროვნული პარკები და სხვა სახის დაცული ბუნებრივი ტერიტორიები	– ურბანიზებული ტერიტორიები და მათი აგლომერაცია

ტერიტორიულ-რეკრეაციულ სისტემას შეიძლება ჰქონდეს როგორც ჰომოგენური (ერთნიშნიანი), ისე ჰეტეროგენური (სხვადასხვა ნიშნიანი) ბუნება. სისტემის ჰომოგენობა ფორმირდება ძირითადად ბუნებრივი რესურსების დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნებით, სივრცობრივი ელემენტების ზემოქმედებით (სამთო ტერიტორიები, მდინარეთა აუზები და ა.შ.) და სხვ. სისტემის ჰეტეროგენობა კი, გამოიხატება რეკრეანტთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში და სხვ. ამიტომ, სისტემის ბუნებიდან გამომდინარე, უნდა მოხდეს მის ფარგლებში რეკრეაციული ტერიტორიის

ერთგვარი გამიჯვნა. კერძოდ, აქტუალურად უნდა იქნას შესწავლილი ლოკალიზაციის პრინციპები, საწარმოების ტერიტორიული კონცენტრაციის, სპეციალიზაციისა და მათი ტიპოლოგიის მიხედვით.

ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემის ქვეშ, თითქმის ყველა ტიპისა და ზომის ტერიტორიების სამრეწველო ფორმირებისას იგულისხმება ძალზედ დინამიური წარმონაქმნი. მათი დინამიკა მოიცავს: საზოგადოების ჯანმრთელობის დაცვას, აქტიურ დასვენებასა და სოციალურ-ეკონომიკურ უზრუნველყოფას; სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესს; ბუნებრივი რესურსების მაქსიმალურად ათვისებასა და რაციონალურად გამოყენებას და სხვ. მაგრამ, განვითარებად ქვეყნებში ახლად წარმოქმნილი პროცესები იწვევს მძაფრ ცვლილებებს, რაც გამოიხატება სპეციალისტების ნაკლებობასა და კადრების დენადობის მაღალ ხარისხში, სამრეწველო საწარმოების საგარეო ეკონომიკურ კავშირებში, შრომის ტერიტორიულ დანაწილებაში და სხვ. ამიტომ, ქვეყნის ერთიან, მოწესრიგებული ეკონომიკური სისტემის ჩამოყალიბებას გარკვეულწილად ხელს შეუწყობს ტერიტორიულ-რეკრეაციული სისტემის ფარგლებში, რეკრეაციული რესურსების მდგრადი გამოყენების საფუძველზე, საწარმოების ტერიტორიულ-სტრუქტურული ფორმირებისა და ოპტიმალური ფუნქციონირების დინამიური პროცესები.

BESIK BARKALAIA

MODERN PRINCIPLES OF FORMATION OF THE TERRITORIAL-RECREATIONAL SYSTEM

summary

The paper discusses the basic principles which should become the foundation of development of the Recreational System. In particular, 1) the development of key indicators that should be the pillar of recreational system 2) Determination of factors measuring effectiveness of the recreational system; 3) Development of key factors of tterritorial recreation system operation and further development; 4) The existence of the natural laws of development of the recreational system; 5) Dividing territorial recreation system into the key stages; 6) The territorial recreation system is the formation of economic relations between the different areas within the system as well as outside the system; 7) System Component – significance of recreation and social infrastructure, manufacturing, non-industrial and agricultural sectors, population and recreants subsystem; 8) Relations between the system and subsystem components; 9) Division of the recreational system according to the specializations; 10) Difference of the system tackled by the present work from those developed by other scientists.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Костровицкий А. Рациональное использование природных ресурсов и охрана окружающей среды. Москва. Изд. ,,ПРОГРЕСС," 1977 .
2. Преображенский В. Теоретические основы рекреационной географии. Изд. ,,Наука“ М.,1975
3. Thomas S. Yukic. Fundamentals of Recreation, 2nd edition. Harpers & Row, 1970, Library of Congress 70-88646.

რამაზ ოთინაშვილი
გიორგი ბაგრატიონი

კონკურენტული დაზვერვა თანამედროვე სისტემაში

თანამედროვე მენეჯმენტი დაკავშირებულია გარემოს სწრაფ ცვლილებებთან და ახალი რისკების უეცარ წარმოშობასთან. შედეგად, მნიშვნელოვანია მართვის მოქნილობა და გარემო ფაქტორებზე რეაქციის სისწრაფე. ახალი ეპოქა განაპირობებს მენეჯმენტის ანალიტიკური მდგენელის საკვანძო მნიშვნელობის გადასინჯვის აუცილებლობას. აქტუალურია მენეჯერების უზრუნველყოფა, ბიზნესის გარემოს შესახებ, სპეციალურად გადაწყვეტილებების მიღებაზე ორიენტირებული ინფორმაციით. ამ ფუნქციის აღსანიშნავად ვისარგებლოთ დასავლურ ლიტერატურაში მიღებული ტერმინით „კონკურენტული დაზვერვა" (competitive intelligence), რომლის ეკვივალენტია „ბიზნეს-დაზვერვა" (business intelligence).

დაზვერვის სამსახურის ფორმირება წარმოებს რამდენიმე ეტაპად:

I. მიზანშეწონილობის შემოწმება. თავიდან რომ ავიცილოთ შემდგომი იმედგაცრუება. საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე კიდევ ერთხელ დარწმუნდით ყველა ქვემოჩამოთვლილი პირობების შესრულებაში:

1. იცით, სახელდობრ რომელი ინფორმაცია გაკლიათ თქვენი ბიზნესისთვის კონკრეტული და მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად;

2. მიგაჩნიათ, რომ ეს ინფორმაცია შეიძლება შეგროვდეს, და ზოგადად წარმოგიდგენიათ - როგორ;

3. თქვენი შეფასებით ამ ინფორმაციის შეგროვების ხარჯები ბევრად ნაკლები იქნება მოგებაზე, რომელსაც მიიღებთ მისი გამოყენებით;

4. შეგიძლიათ რესურსების მოძიება აუცილებელი ხარჯების დასაფარად;

5. ვერ ხედავთ ამ რესურსების გამოყენების სხვა ხერხს, რომელიც თქვენს ბიზნესს მოუტანს მეტ მოგებას;

6. მზად ხართ ისეთი ინფორმაციის აღსაქმელად, რომელიც უგულებელყოფს თქვენს უწინდელ წარმოდგენებსა და მოლოდინს და/ან ამტკიცებს ადრე მიღებული გადაწყვეტილებების მცდარობას.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ყველაზე რთულია ბოლო ორი პირობის შესრულება. ამასთან, თუ მე-6 პირობასთან დაკავშირებულ პრობლემებს აქვს სუბიექტური ხასიათი, მე-5 პირობის შემოწმების სირთულე იმაშია, რომ პრაქტიკულად ნებისმიერი ანალიტიკური საქმიანობის ეფექტიანობა რაოდენობრივ შეფასებას ექვემდებარება მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში. მაგალითად, შეიძლება შეფასდეს, თუ რა ეფექტს მოგვცემს ინფორმაცია ახალი ნაწარმის არაკონკურენტუნარიანობის შესახებ, რომელიც აგვაცილებს დიდ დანაკარგებს ექსპერიმენტული შემოწმების, საცდელი პარტიის დამზადების სტადიებზე.

კონკურენტული დაზვერვის ძირითადი ამოცანებია:

- კვლევები კონკურენტი ბიზნეს-ობიექტის ფინანსურ-სამრეწველო საქმიანობის შესწავლის (კომპლექსური ანალიზის) სფეროში, მმართველობითი სფეროს ჩათვლით (გადაწყვეტილებების მიღება-შესრულება, საკადრო მენეჯმენტი, ინფორმაციის შიდა გადაადგილების მექანიზმი, მართვის სტრუქტურა და ა.შ.);

- საქონლის (მომსახურების) შიდა და გარე ბაზრების კვლევა. მყიდველებთან და მიმწოდებლებთან ურთიერთობების, აგრეთვე გაყიდვების მეთოდების ანალიზის; ასევე იმ საკითხების შესწავლა, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქონლის (მომსახურების) წარმატებული რეალიზაციისა და წინ წაწევისთვის შიდა თუ გარე ბაზრებზე მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით;

- სხვა ფირმების მხრიდან არაკეთილსინდისიერი კონკურენციის გარემოებათა დადგენა;

- მოცემული ბიზნესის სასაქონლო (საფირმო) ნიშნების არამართლზომიერი გამოყენების ფაქტების განხილვა;

- ინფორმაციის შეგროვება ბიზნეს-ობიექტთან კონტრაქტების დამდები პირების (კონტრაგენტების) შესახებ, მათი მხრიდან შესაძლო ფინანსური რისკების, თაღლითობის თავიდან ასაცილებლად;

- გადახდისუნარიანი და არასაიმედო საქმიანი პარტნიორების გამოვლენა;

- ფირმის ხელმძღვანელობისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება საქმიანი მოლაპარაკების ჩატარებისას;

- მარკეტინგული ხასიათის სხვა ინფორმაციის შეგროვება. სწორედ ამით არის დაკავებული კონკურენტული დაზვერვის თანამშრომლების უმრავლესობა. მაშინ როდესაც ჩვენთან ამ სახის საქმიანობა ახლა ისახება.

- ფირმის ხელმძღვანელობისა და პერსონალის კონსულტირება და რეკომენდაციების გაწევა მთლიანად ბიზნესისა და ცალკეულ აქციებზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებში;

- ბაზრის კრიმინალური ასპექტების, ჩრდილოვანი ეკონომიკისა და კორუფციის მდგომარეობისა და მათი გავლენის შესწავლა;

- კომერციული საიდუმლოებისა და კონფიდენციალური ინფორმაციის გახმაურების ფაქტების გამოძიება;

- უსაფრთხოების საჭირო დონის უზრუნველყოფა ფირმის მიერ კონფიდენციალური, წარმომადგენლობითი და მასობრივი ღონისძიებების ჩატარების ადგილებში;

- მუშაობა პერსონალთან, რომელსაც ხელი მიუწვდება კომერციულ საიდუმლოებაზე. თანამშრომლებთან, რომელთა ნათესავებიც მუშაობენ კონკურენტებთან; ადრე ნასამართლევებთან; დათხოვნილებთან და სხვა კატეგორიის პირებთან.

ბოლო პერიოდში აღინიშნება ბიზნეს-დაზვერვისადმი (შემდეგ შემოკლებით ბდ) ინტერესის სწრაფი ზრდა. კონკურენტული დაზვერვის პროფესიონალთა საზოგადოება უკვე ითვლის 6000-მდე წევრს და გააჩნია 36 ადგილობრივი განყოფილება. ტარდება ამ პრობლემისადმი მიძღვნილი მრავალრიცხოვანი კონფერენციები. გამოდის სპეციალური გამოცემები. მაგალითად, Business Intelligence Report; გამოქვეყნებულია უამრავი ნაშრომი. ერთ-ერთი მათგანი, The Art and Science of Business Intelligence Analysis. Advances in Applied Business Strategy Series, Supplement 2, 1996. - JAI Press, Greenwich, Conn., USA, (შემდეგ ASBIA), გამოვიყენეთ ერთ-ერთ წყაროდ აღნიშნული მასალის მომზადებისას. ფირმების ნაწილი გვთავაზობს პროგრამულ უზრუნველყოფას (Cognos, IBM, MNIS, Seagate და სხვ.) ან მონაცემთა ბაზებს (BSG, Gentia, LEXIS(r)-NEXIS(r)) სპეციალურად ბდ-ს მიზნებისათვის. ბრიტანეთის წამყვანი ფირმების 86% გეგმავს ამ პროდუქტებისთვის ხარჯების ზრდას (Newswire June 10, 1997, Newsbyte, June 4, 1997). ბიზნეს-დაზვერვის სამსახური ამჟამად არსებობს პრაქტიკულად ყველა მსხვილ და ბევრ საშუალო ამერიკულ ფირმაში.

ჩვენს ქვეყანაში კონკურენტულ დაზვერვას ჯერ ვერ ექცევა სათანადო ყურადღება. გამონაკლისია მხოლოდ საბანკო, სადაზღვეო და ზოგიერთი სხვა სოლიდური ბიზნესები. მაგრამ კონკურენციის განვითარებასთან ერთად, მენეჯმენტის აღნიშნული მიმართულება, სავარაუდოდ ბევრად უფრო აქტუალური და ქმედითი გახდება.

ახალი მენეჯერების უმრავლესობას არასათანადოდ ესმის ბდ-ის არსი და შესაძლებლობები და ნაკლებ ყურადღებას უთმობს, ვიდრე მენეჯმენტის სხვა მიმართულებებს, მაგალითად მარკეტინგსა და სხვადასხვა ფინანსურ ინსტრუმენტებს. კონკურენტული დაზვერვა არის თანამედროვე მენეჯმენტის ერთ-ერთი საბაზისო ფუნქცია.

მეთოდებისა და საშუალებების გამოყენების ეთიკა კონკურენტულ დაზვერვაში. სამრეწველო შპიონაჟის მეთოდების ფრანგი მკვლევარის მ. დენიუზიერის აზრით: „თანამედროვე სამეცნიერო, სამრეწველო და ეკონომიკური ინფორმაცია მეტწილად ადვილი ხელმისაწვდომია. საინტერესო მონაცემების 95% შეგვიძლია მივიღოთ სპეციალური ჟურნალებიდან და სამეცნიერო ნაშრომებიდან, კომპანიების ანგარიშებიდან, შიდა გამოცემებიდან, ბაზრობებსა და გამოფენებზე დარიგებული ბროშურებიდან და პროექტებიდან. დაინტერესებული პირის მიზანია მოიძიოს დარჩენილი 5% ინფორმაცია, რომელშიც იმალება ფირმის კომერციული საიდუმლო“.

რა არის „კონკურენტული დაზვერვა”? შემთხვევით შერჩეულ ადამიანებს რომ ვკითხოთ, უმრავლესობა, მათ შორის მეწარმეებიც, მოგახსენებენ: „ლამაზი სახელწოდება სხვისი საიდუმლოების ქურდობისთვის...”

ეს გავრცელებული მცდარი აზრი ნაკლებად შეესაბამება სინამდვილეს. აშშ-სა და ევროპის ქვეყნებში ჩვეულებრივ განასხვავებენ კონკურენტულ დაზვერვას (competitive intelligence; აგრეთვე მიღებულია ტერმინი “საქმიანი დაზვერვა”, “ბიზნეს-დაზვერვა”) და სამრეწველო შპიონაჟი. განსხვავებაა კანონის მკაცრ დაცვაში პირველ შემთხვევაში და სისხლის სამართლის, საავტორო უფლებებისა თუ ნებისმიერი სხვა სამართლის დარღვევაში – მეორე შემთხვევაში. კონკურენტული დაზვერვის სფეროში კლასიკური ოპერაციის მაგალითის სახით განვიხილოთ იაპონური ფირმა JVC-ის ქმედებები Sony-ს წინააღმდეგ. მას შემდეგ, რაც Sony-მ გამოუშვა ციფრული ვიდეოკამერის ახალი მოდელი. JVC-მ კონკურენტის გაყიდვების მოცულობების მიხედვით შეაფასა ნაწარმის შესაძლებლობები და ბაზარზე შემოიტანა საკუთარი კამერა, რომელშიც გათვალისწინებული იყო წინამორბედის ყველა ნაკლი. აღვნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაში JVC-ის არ დაურღვევია კანონი: არავის არ გა-

უტეხავს სიგნალიზაცია Sony-ს ოფისში ნახაზების მოსაპარად. არ მოუსყიდია თანამშრომლები. ნიმუში – ვიდეოკამერა უბრალოდ შეიძინეს მაღაზიაში და დაშალეს „მარტივ მამრავლებად," რასაც რეინჟინერინგი ეწოდება.

საქართველოში კონკურენტული დაზვერვა და სამრეწველო შპიონაჟი ჯერჯერობით არსებობს „სტიქიურად", და ხშირად შეუძლებელია მათ შორის საზღვრის გავლება. ამ მომენტისათვის ჩვენს ქვეყანაში კონკურენტულ დაზვერვაში იგულისხმება ინფორმაციის შეგროვების ოთხი სხვადასხვა მიმართულება, რომლებზეც შევჩერდეთ უფრო დაწვრილებით:

1. მონაცემთა შეგროვება პარტნიორებისა და კლიენტების შესახებ მათი მხრიდან თაღლითობის თავიდან ასაცილებლად. აშშ-ში, მაგალითად ასეთი პრობლემა არ არსებობს: არის საკრედიტო ისტორიების მონაცემთა ბანკები. ასევე ხელმისაწვდომია სასამართლოს საქმეების მასალები ბოლო ორმოცდაათი წლის მანძილზე, რაც საშუალებას იძლევა სპეციფიკური მეთოდების გამოუყენებლად გავერკვეთ, თუ ვისთან გვაქვს საქმე. საკმაოდ გავრცელებულია ასევე იმათი „შავი სიები", ვისაც შეელახა საქმიანი რეპუტაცია. ჯერჯერობით ყოველ დაინტერესებულ ორგანიზაციას დამოუკიდებლად უწევს ინფორმაციის შეგროვება და გაანალიზება. ამასთან კოორდინაცია არ არსებობს სახელმწიფო ორგანოების დონეზეც კი: ერთსა და იმავე ცნობებს თავიანთი არხებით მოიპოვებენ შსს, საგადასახადო პოლიცია და ა.შ. ამ მონაცემების გაცვლა არის მოუქნელი და ნელი პროცედურა. ბიზნესში დარგობრივი „შავი სიების" რაღაცა მსგავსი აქვს მხოლოდ სადაზღვევო საზოგადოებებსა და ბანკებს. სამრეწველო კომპანიები იძულებულნი არიან თავად შექმნან საკრედიტო ისტორიების შემოწმების საკუთარი ტექნოლოგიები, რაც ეფექტიანად გამოსდის მხოლოდ სოლიდურ ფირმებს, რომლებსაც შეუძლიათ უსაფრთხოების სამსახურის შენახვა.

თაღლითობების გამოვლენა ჯერ კიდევ საწყის ეტაპზე არის მეტად აქტუალური ამოცანა. საკმარისია ერთი მაგალითი სინამდვილიდან. ქარხნის პრივატიზაციის ჩატარებისას გამოცხადდა ტენდერი. მასში მონაწილე ერთ-ერთმა კომპანიამ გადაწყვიტა მეტოქეების შესახებ მაქსიმალური ინფორმაციის შეგროვება, და ღია წყაროების შესწავლის შედეგად აღმოაჩინა, რომ ოთხივე სხვა მონაწილეს ჰყავს ერთი და იგივე დამფუძნებელი. შედეგად, ცხადი გახდა: მეტოქე იყენებს არაკეთილსინდისიერ მეთოდებს.

კომერციული სტრუქტურების მხრიდან მრავალჯერ იყო მცდელობები, აეწყოთ თანამშრომლობა სამართალდამცავ ორგანოებთან, რათა ღია გაეხადათ ინფორმაცია უკვე მსჯავრდებულ თაღლითებზე და ძიებაში მყოფ პირებზე. ჯერ-ჯერობით ეს რჩება კეთილ სურვილად, და თანამშრომლობა მიდის მხოლოდ არაოფიციალურ დონეზე.

თაღლითობების გამოვლენით აქტიურად დაკავებულნი არიან აგრეთვე კერძო დეტექტიური სააგენტოები და უშიშროების სამსახურები. ამასთან ბოლო პერიოდში შემუშავებულია რამდენიმე ტექნოლოგია თაღლითების გამოსავლენად მათი მომზადების ეტაპზე.

2. პოტენციური პარტნიორებისა და თანამშრომლების „გამოაშკარა-ვება". საუბარია პირველ რიგში რეალურ ფინანსურ მდგომარეობაზე და ე.წ. „სახურავის" არსებობაზე და/ან ხასიათზე (კრიმინალური სტრუქტურები, პოლიცია, სპეცსამსახურები და ა.შ.). ჩვეულებრივ ამით დაკავებულნი არიან კომპანიის უშიშროების განყოფილებები ან კერძო დეტექტიური სააგენტოები. ეს მეტად რთული სფეროა, რომელშიც ადვილია კანონის გვერდის ავლა, განსაკუთრებით თუ საქმე ეხება ფიზიკურ პირებს. ასე მაგალითად, სამსახურში ახალი თანამშრომლის მიღებისას ლეგალურად ინფორმაციის შეგროვება მისი კერძო მოღვაწეობის შესახებ შეიძლება მხოლოდ მისივე წერილობითი თანხმობით. როგორც წესი, ასეთი თანხმობის მიღება ძნელი არ არის, ვინაიდან უარის შემთხვევაში პრეტენდენტს შეიძლება უარი ეთქვას. თუმცა ასევე ხშირად საჭირო ხდება პარტნიორი კომპანიის თანამშრომლების გადამოწმება – მაგალითად, თუ გაირკვევა, რომ ხელშეკრულების ხელმომწერი მენეჯერი ხელმოწერამდე ერთი დღით ადრე სამსახურიდან დაითხოვეს. მისი ხელმოწერა იქნება იურიდიული ძალის არმქონე, ხოლო გარიგების შედეგი – არაწინასწარმეტყველებადი. თუმცა ამგვარ შემთხვევებში ღია შემოწმება შეუძლებელია;

3. კანონით გათვალისწინებული მომსახურების შესრულება (ქონების მოძიება, მოვალის დადგენა და ა.შ.). ლეგალურად ბაზრის ამ სეგმენტზე მოქმედება შეუძლიათ მხოლოდ საჭირო ლიცენზიის მქონე დეტექტივებს. წინააღმდეგ შემთხვევაში რთული იქნება მათ მიერ შეგროვილი ინფორმაციის გამოყენება სასამართლოში. თუმცა ხშირად კლიენტს აინტერესებს მხოლოდ მისამართი, რომელსაც თავს აფარებს მოვალე;

4. მარკეტინგული ხასიათის ინფორმაციის შეგროვება. სწორედ ამით არის დასავლეთში დაკავებული კონკურენტული დაზვერვის სფეროს სპეციალისტების უმრავლესობა, მაშინ როდესაც ჩვენთან ამ სახის საქმიანობა ეხლა იწყება.

არსებობს მომხმარებლების რამდენიმე ჯგუფი, რომლებსაც სჭირდებათ სხვისი საიდუმლოები. ყველაზე სკანდალურად ცნობილნი არიან მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლები, შავი პიარის სპეციალისტები და „აქტიურ ღონისძიებათა" ოსტატები (კომპრომატის „გაჟონვა" სამართალდამცავ ორგანოებში და ა.შ.).

მეორე ჯგუფია სხვადასხვა არასახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურების დამფუძნებლები (მეპატრონეები) და კლიენტები. მათ აინტერესებთ სამი მიმართულება: ინფორმაციის შეგროვება კონკურენტებსა და პარტნიორებზე (პოტენციურ პარტნიორებზე); პერსონალის ლოიალურობის შემოწმება; მესამე პირების შეკვეთების შესრულება (მაგალითად, ცოლქმრული ღალატის ფაქტის ფიქსაცია). ხშირად მეწარმეები ამას თავს ართმევენ საკუთარი ძალებით და არ მიმართავენ სპეციალისტებს.

მესამე ჯგუფია კრიმინალური სტრუქტურები, რომლებიც ბოლო ათი წლის განმავლობაში დაიხვეწნენ პრიმიტიული რეკეტიდან რთულ ეკონომიკურ კომბინაციებამდე.

ნებადართული და აკრძალული ცნობები

ტერმინ „კონკურენტული დაზვერვის" განსხვავებული განმარტებები დაკავშირებულია სხვადასხვა ქვეყნებში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თავისებურებებთან. მაგალითად, აშშ-ში 1996 წელს მიიღეს "კანონი ინფორმაციული თავისუფლების შესახებ", რომელმაც ფედერალური უწყებები დაავალდებულა, უზრუნველეყოთ მოქალაქეებისათვის თავისუფალი მისაწვდომობა სრულ ინფორმაციასთან. შეზღუდვები ეხება მხოლოდ მასალებს, რომლებიც ეხება ეროვნულ თავდაცვას, პირად და ფინანსურ აგრეთვე სამართალდამცავი ორგანოების დოკუმენტაციას. უარი ინფორმაციის მიღებაზე შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში, ცნობები გაცემული უნდა იყოს ათი დღის ვადაში, ხოლო დავები გადაიჭრება 20 დღის განმავლობაში. ამასთან სტატისტიკით მოთხოვნათა უმეტესობა მოდის ფირმებიდან, რომლებსაც სურთ კონკურენტების შესახებ სახელმწიფო ინფორმაციის მიღება.

ამ დროს განსაკუთრებული სირთულე მდგომარეობს პერსონალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრობლემაში. იმასთან ერთად, რომ ამგვარ მონაცემებზე ყოველთვის განსაკუთრებული მოთხოვნაა, განვითარებული ქვეყნების უმეტესობაში პირადი ინფორმაცია მკაცრადაა დაცული. მრგვალ მაგიდაზე ბევრს საუბრობდნენ იმაზე, რომ ევროკავშირში საქართველოს შესვლის შემთხვევაში მას მოუწევს საკუთარი კანონმდებლობისა და რეალურად არსებული პრაქტიკის დაყვანა მკაცრ ევროპულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში. თუმცა იმავე ევროკავშირში არსებობს მარკეტინგული, საინფორმაციო-ანალიტიკური და ფინანსური კომპანიების მძლავრი ლობი, რომელიც წარმატებით ბლოკავს კანონმდებლობის გამოყენებას. კერძოდ, როდესაც ათზე მეტი წლის წინ ევროპარლამენტი ეცადა გაემკაცრებინა კანონმდებლობა პერსონალური მონაცემების შესახებ ინფორმაციის გაცემის სფეროში (მიიღო Personal Data Information Act), ის წააწყდა მეტად ხისტ წინააღმდეგობას, და აქამდე ევროკავშირის წევრთა მხოლოდ ორმა მესამედმა რეალურად შეცვალა თავისი ეროვნული კანონმდებლობა.

საბანკო საიდუმლოს ურყევმა კონცეფციამაც კი ევროპასა და აშშ-ში არცთუ დიდი ხნის წინ განიცადა სერიოზული ცვლილებები ფინანსური სახსრების „გათეთრების" შესახებ კანონებთან დაკავშირებით. მეტიც, ხმამაღალი სათაურის მქონე კანონპროექტის "აქტი ამერიკის გაერთიანებისა და გაძლიერების შესახებ" (Uniting and Strengthening America Act, ან უბრალოდ USA Act) წყალობით, რომელიც მოწონებული იქნა აშშ-ში, ფართო უფლებამოსილებას ამ სფეროში ღებულობს ამერიკის ფინანსთა სამინისტრო: თუ ჩნდება ეჭვი (თუნდაც დაუმტკიცებელი), რომ ესა თუ ის ფინანსური ინსტიტუტი ეწევა ფულის გათეთრებას, სამინისტრო უფლებამოსილია თხოვოს ბანკს ნებისმიერი ინფორმაცია ამ ფინანსური ინსტიტუტის საკორესპონდენტო ანგარიშებზე და იმ ადამიანებზე, რომლებიც სარგებლობენ ამ ანგარიშებით. შედეგად, საბანკო საიდუმლოს ინსტიტუტი აშშ-ში პრაქტიკულად აღარ არსებობს. შეგახსენებთ, რომ საბანკო საიდუმლოს გახსნა შესაძლებელია მხოლოდ პროკურორის სანქციით სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში ან სასამართლო გადაწყვეტილებით. ცხადია, რომ ეს სიახლეები, რომლებიც ეხება არა მხოლოდ ამერიკელებს, არამედ უცხოელ მოქალაქეებსა და ფინანსურ ინსტიტუტებსაც, აადვილებს კანონის ყოველგვარ ბოროტად გამოყენების მცდელობას და ფაქტობრივად არღვევს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას.

როგორც ცნობილია, მთელი ინფორმაციის 95%-ს დაზვერვა ღებულობს ღია წყაროებიდან. ძირითად როლს ამ სფეროში დღეს თამაშობს ინტერნეტი, რომელიც ხსნის გზას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისკენ, კომპანიების საიტებთან, მონაცემთა პროფესიულ ბაზებთან და ა.შ. „მსოფლიო აბლაბუდა" შეიძლება შევადაროთ საინფორმაციო კლონდაიკს. პრობლემა

იმაშია, რომ მონაცემები არ არის სტრუქტურირებული და ხშირად შეუძლებელია მათი პოვნა საძიებო სისტემების მეშვეობით. წყაროების მეორე ჯგუფია ქაღალდის ყველანაირი დოკუმენტი: ჟურნალ-გაზეთები, რეკლამა, პრეს-რელიზები; ჯერ კიდევ გასული საუკუნის 1930-იან წლებში საბჭოთა და გერმანული დაზვერვის ანალიტიკოსები იკვეხნიდნენ მრავალრიცხოვანი მიღწევებით ამ სფეროში.

მოვიყვანოთ ტიპიური მაგალითი დღევანდელი პრაქტიკიდან. ბიზნეს კომპანიამ გადაწყვიტა ერთ-ერთი რეგიონული ქარხნის შთანთქმა. ამისათვის მას დასჭირდა აქციონერთა რეესტრის შოვნა – ხელთ თუ ექნებოდა აქციების მფლობელების სია, შეიძლებოდა მათი გადმობირება სათანამშრომლოდ ან დაყოლიება აქციების გაყიდვაზე. დოკუმენტის სწრაფად მოძიება ვერ მოხერხდა. მაშინ ბიზნეს-კომპანიის ანალიტიკოსებმა მოიფიქრეს სხვა გამოსავალი. რამდენიმე დღეში მათ შეაგროვეს ინფორმაცია ძირითადი აქციონერების შესახებ ღია წყაროებიდან: რეგიონული და ფედერალური პრესიდან, სარეგისტრაციო და სხვა სახელმწიფო ორგანოების მონაცემთა ბაზებიდან. კომპანია მოელაპარაკა რამდენიმე მსხვილ აქციონერს, და საქმეც მოგვარდა.

ანალიტიკოსთა მუშაობის გასაადვილებლად არსებობს სპეციალური კომპიუტერული პროგრამები, რომლებითაც უმოკლეს ვადებში ხდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან და მონაცემთა ბაზებიდან ინფორმაციის ამოღება და დახარისხება. დღეისათვის ასეთი პროგრამა ორასზე მეტია.

თუმცა იმის მტკიცება, რომ კონკურენტული დაზვერვის მენეჯერის მუშაობა არის მუდმივი მოგზაურობა ვირტუალურ სამყაროში ან ქაღალდის უამრავი დოკუმენტების შესწავლა, არცთუ მთლად კორექტულია. სპეცსამსახურების ანალიტიკოსებისგან განსხვავებით კომპანიების სპეციალისტებს ზოგჯერ უწევთ ცოცხალ ადამიანებთან ურთიერთობაც. ასე მაგალითად, ერთმა დასავლურმა კონსალტინგურმა ფირმამ, რომელიც ეწეოდა საქმიან დაზვერვას, კლიენტისგან მიიღო დავალება – გაერკვია, თუ სად აპირებს კონკურენტი კომპანია ახალი ქარხნის მშენებლობას. ფირმის თანამშრომელმა ჯერ გაარკვია პრესიდან და ცნობარებიდან, თუ რომელი საგენტო ეწევა კონკურენტისთვის კადრების შერჩევას, შემდეგ ჩაატარა ადგილობრივი პრესის მონიტორინგი და აღმოაჩინა ერთი პატარა ქალაქის გაზეთში ამ სააგენტოს განცხადება სპეციალისტების დაქირავების თაობაზე. თანამშრომელმა დარეკა ტელეფონზე, თავი წარუდგინა როგორც ერთ-ერთი გამოცხადებული ვაკანსიის კანდიდატმა და საქმეც „გაიჩარხა.“ დაქირავების აგნტმა ხალისით გააცნო მას მომავალი მუშაობის დეტალები.

მეორე მაგალითი. კომპანია Chrysler-ის თანამშრომელმა შეიტყო, რომ Ford-ის საუკეთესო ფოტოგრაფი მიდის პარიზში, და ეს შეატყობინა კომპანიის ხელმძღვანელობას. Chrysler-ის წარმომადგენლობამ პარიზში დაადგინა, რომ ობიექტი აპირებს კონკურენტი ავტომობილის ახალი მოდელის გადაღებას ეიფელის კოშკის ფონზე. აგრეთვე გაირკვა, რომ პარიზის შემდეგ ფოტოგრაფი მიემგზავრება ჰონკონგში. შეგროვილი ინფორმაციის ანალიზის შემდეგ Chrysler-ის ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ Ford უახლოეს ხანში გეგმავს იაფი და მცირელიტრაჟიანი ავტომობილის გამოშვებას, რომელიც განკუთვნილი იქნება გა-საყიდად მსოფლიო ბაზარზე.

და ბოლოს, ზღვა ინფორმაციას იძლევა ყურადღებით დაკვირვება. მოვიყვანოთ ორიოდე რეალური ისტორია პრაქტიკიდან. ერთი მსხვილი საწყობის დირექტორი მანამდე, სანამ ააწყობდა საკუთარი ხელქვეითების საქმიანობას, რამდენიმე დღის განმავლობაში აკვირდებოდა კონკურენტების მუშაობას. დიდი საკონდიტრო ფაბრიკის მფლობელი ეწვია კონკურენტების დისტრიბუტორულ კომპანიებს და გაარკვია მათი მუშაობის ყველა პირობა (ფასები, შეღავათები, გადახდის პირობები და ა.შ.). ამგვარად შეგროვილი ინფორმაცია მან გამოიყენა რეგიონებში გასაღების საკუთარი ქსელის შესაქმნელად.

მაშასადამე, თანამედროვე დინამიური ბაზრის პირობებში, კონკურენტული დაზვერვა არის აუცილებელი ბერკეტი ბიზნეს წარმატებებისთვის. თუმცა, ეფექტური აღნიშნული სამსახურის საქმიანობა შეიძლება იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც ბიზნეს-ობიეტის ხელმძღვანელობას გაცნობიერებული აქვს კონკურენტული ინფორმაციის მნიშვნელობა და მიუჩენს ბიზნეს დაზვერვას ღირსეულ ადგილს თანამედროვე მენეჯმენტის სისტემაში.

RAMAZ OTINASHVILI
GIORGI BAGRATIONI

COMPETITION INVESTIGATION IN SYSTEM OF MODERN MANAGEMENT

Summary

Article ,,Competetive Intelligence in Modern Management System'' provides consideration of the stages of formation of the competitive inteligence service and basic objectives thereof. It states that most of the contemporary managers do not understand properlu the substance and capabilities of GI and pays less attention to it, compared with the other directions, for example, marketing and other finaancial instruments. Competitive intelligence is one of the basic funqctions of contemporary management.

In Georgia no proper attention is paid competitive inteligence only banking, insurance and some other solid businesses comprise the exclusions. Though, together with development and competition and growth of business scales the mentioned directoin of management, supposedly, will become more significant and effective. In the conditions of current dynamic market competetive intelligence is a necessary lever for business success. The mentioned activities sould be effective only where the management of business entity understands significance of competetive information and puts business intelligence in proper place in the system of contemporary management.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარათაშვილი ე., თაკალანძე ლ., აბრალავა ა., მენეჯმენტი და ადმინისტრირება, თბილისი, „ინოვაცია", 2007.-715გვ.;
2. ბაკაშვილი ნ., საბაზრო ინფრასტრუქტურა,თბ.2004.-408გვ.;
3. ბოლქვაძე ბ., ბიზნესის ფინანსური ანალიზი: თეორია და პრაქტიკა, თბ.2007.-172გვ.;
4. ინგოროყვა ა., ჩხაიძე ზ., ცაავა გ., საბანკო ინფორმაციული სისტემები და ტექნოლოგიები, თბ., სტუ, 2009.-400გვ.;
5. ოთინაშვილი რ., ეკონომიკური უსაფრთხოება, ანალიზის ანტიკრიმინალური ასპექტები, თბილისი: სტუ, 2005.-440გვ.;6. Нежданов И., Ю., Аналитическая разветка для бизнеса, М.,2008.-336с.;
6. Шнайер Б.,Секреты и ложь. Безопасность данных в цифровом мире. СПб.: Питер, 2003;
7. Love P., Irani Z., Standing C., Lin Ch., Burn J. The Enigma of Evaluation: Benefits, Costs and Risks of IT in Australian Small-Medium-Sized Enterprises // Information and Management. 2005.V.42. P. 947-964;
8. Chen Yao, Liang Liang, Feng Yang, Joe Zhu. Evaluation of Information Technology Investment: a Data Envelopment Analysis Approach // Computers and Operation Research. 2006. V. 33.P.1368-1379;
9. Greenwood J., Kopecky K. Measuring the Welfare Gain from Personal Computers: a Macroeconomic Approach // NBER Working Paper 13592. November 2007 (www.nber.org/papers/w13592/);
10. http://www.economists.ge/;
11. http://laws.codexserver.com

ნინო ვანიშვილი

სახელმწიფოსა და ბიზნესის პარტნიორობა: თეორიისა და პრაქტიკის ზოგიერთი აქტუალური საკითხი

საზღვარგარეთის პრაქტიკიდან შემოსული „სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის“ ცნება უკანასკნელ წლებში საკმაოდ აქტიურად გამოიყენება საქართველოშიც. ეს მოვლენა თანდათან ფორმდება, როგორც დამოუკიდებელი ინსტიტუტი. ქვეყნის რიგ სამინისტროებსა და უწყებებში შექმნილია მსგავსი პარტნიორობის სა-კითხების შემსწავლელი საბჭოები. კერძო სექტორის დასაცავად ხელისუფლებამ ბიზნეს-ომბუდსმენის ინსტიტუტი შემოიღო და სპეციალური საპარლამენტო ბიზნეს-საბჭოც ჩამოაყალიბა, რომლის შემადგენლობაში საპარლამენტო უმრავლესობისა და უმცირესობის წევრების გარდა, ბიზნესის სფეროს წარმომადგენლებიც არიან და, რომელსაც პარლამენტის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს. ახალშექმნილ ბიზნეს-საბჭოს მთავარი ამოცანა სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის პარტნიორული თანამშრომლობის დამყარებაა. ჩნდება უამრავი იურიდიული და კონსალტინგური ფირმა, რომლებიც მომსახურებას ეწევიან ასეთი პარტნიორობის შესახებ ხელშეკრულების დადებისას.

ამასთანავე, სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ცნება საქართველოში, კანონმდებლობის დონეზე, ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე განსაზღვრული. სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის პარტნიორობის არსისა და ფორმების შესახებ არსებული მრავალი საკითხი სხვადასხვა ეკონომიკური სკოლების წარმომადგენელთა მიერ განსხვავებულად განიხილება. დღემდე არ არსებობს სპეციალური დამხმარე სახელმძღვანელო, არ იკითხება ლექციათა კურსი ამ საგანში ქვეყნის უმაღლეს სასწავლებლებში. შედეგად, სრულიად გაუგებარია საკითხი იმის შესახებ, თუ სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის არსებული რომელი ურთიერთობები მიეკუთვნება სახელმწიფო-კერძო პარტნიორობას, მისი საზღვრები წაშლილია, ხოლო არსი კი - ბოლომდე გაურკვეველი.

წინამდებარე სტატიაში შევეცდებით გავერკვეთ აღნიშნული მოვლენის არსში, განვიხილოთ საზღვარგარეთული გამოცდილების თავისებურებანი და განვსაზღვროთ საქართველოში მისი გამოყენების შესაძლებლობები.

სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის თეორიული საფუძვლები. ტერმინი „სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა“ (Public-Private-Partnership, PPP) გაჩნდა მე-20 საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის განსაკუთრებული ურთიერთობების დასახასიათებლად. როგორც წესი, ეს ურთიერთობები ჩამოყალიბდა და განვითარდა საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის სფეროში. ეს ეხებოდა: საავტომობილო გზებს და რკინიგზებს, აეროპორტებს, საზღვაო პორტებს, ენერგეტიკულ ქსელებს, კომუნალურ მეურნეობებს, ტელეკომუნიკაციებს, განათლების, ჯანდაცვისა და კულტურის ობიექტებს.3

სახელმწიფოსა და კერძო სექტორის თანამშრომლობის ესა თუ ის ფორმა ყოველთვის არსებობდა. მეურნეობის ორგანიზაციის რთული ფორმები თანამედროვე პირობებშიც მოითხოვენ სახელმწიფოს მონაწილეობის აუცილებლობას. ამასთანავე, ინსტიტუციონალური გარემო (ნორმატიულ-სამართლებრივი ბაზა, მართვის სისტემა, რეგულირების მექანიზმები და ა. შ.), რომლის პირობებშიც ფუნქციონირებს სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა ბოლო 30 წლის განმავლობაში, წარმოადგენს სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის ურთიერთობის განვითარების ახალ საფეხურს.

საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის ძირითადი სეგმენტები, როგორც წესი, იმყოფებოდა სახელმწიფო ან მუნიციპალურ საკუთრებაში, მაგრამ 80-90-იან წლებში ჯერ განვითარებულ, ხოლო შემდეგ განვითარებად ქვეყნებშიც ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობისა და მართვის ფუნქციები თანდათანობით გადავიდა კერძო ხელში. ასეთ პირობებში საკუთრების საბაზო ურთიერთობები ხშირ შემთხვევაში არ იცვლებოდა - სახელმწიფო კერძო სექტორს გადასცემდა მხოლოდ ფლობისა და გამოყენების უფლებამოსილებას, ობიექტების განკარგვის უფლებას კი თვითონ იტოვებდა. იმავდროულად, ცენტრალური უწყებები და მართვის მუნიციპალური ორგანოები, ითვალისწინებდნენ რა ინფრასტრუქტურის ობიექტების როგორც სიცოცხ-

---

3 ნიშანდობლივია, რომ ასეთი სახის ურთიერთობების წარმოქმნა გახდა ლიბერალიზაციისა და ეკონომიკაში სახელმწიფოს მონაწილეობის შეზღუდვის ზოგადი კურსის შედეგი.

ლისუზრუნველმყოფი მნიშვნელოვანი სისტემის განსაკუთრებულ ადგილს, აძლიერებდნენ კერძო ოპერატორთა საქმიანობაზე მარეგულირებელ, მაკონტროლებელ და საზედამხედველო ფუნქციებს და ამისათვის სრულყოფდნენ საკანონმდებლო და ორგანიზაციულ-მმართველობით ბაზას.

ინფრასტრუქტურული კომპლექსის თანამედროვე მართვის ძირითადი წინააღმდეგობა მდგომარეობს იმაში, რომ ერთი მხრივ, მისი ობიექტების პრივატიზაცია უმეტეს ქვეყნებში სოციალურ-პოლიტიკური მიზეზებით აღიარებულია მიზანშეუწონლად, მოსახლეობის ფართო ფენების დისკრიმინაციის მაღალი რისკის გამო; მეორე მხრივ, სახელმწიფო და მუნიციპალური ბიუჯეტების შეზღუდულობა განაპირობებს საბიუჯეტო ხარჯების მცირე ზრდას, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში - მის შეკვეცასაც კი ინფრასტრუქტურული საჭიროებებისათვის. ამ წინააღმდეგობის გადაჭრა შესაძლებელია ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობისა და ექსპლუატაციის მიზნით კერძო სექტორის რესურსების მოზიდვის განსაკუთრებული ორგანიზაციულ-მმართველობითი სისტემის დანერგვის ხარჯზე, რამაც შეიძინა სახელმწიფოსა და კერძო მეწარმეების პარტნიორობის ხასიათი (Public-Private-Partnership, PPP) და მიიღო სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის სახელწოდება.

შერეული ეკონომიკის თეორიაზე დაფუძნებული სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა მნიშვნელოვანწილად ავითარებს და ავსებს მას. სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა ფორმირდება გარკვეულ ინსტიტუციონალურ გარემოში სამეწარმეო სუბიექტების ურთიერთობის სისტემის სახით და ვრცელდება საქონლისა და მომსახურების წარმოების სფეროებისა და სახეობების ფართო სპექტრზე.

ამასთან, „შერეული ეკონომიკისა“ და „სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის“ ცნებები გაიგივებული არაა. სამართლიანია მ.ბ. კლინოვას შენიშვნა იმის შესახებ, რომ „შერეულ ეკონომიკაში სახელმწიფოსა და კერძო კაპიტალის არა ყოველგვარი ურთიერთქმედება შეიძლება მივაკუთვნოთ სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის კატეგორიას, არამედ მხოლოდ ისეთი, როდესაც ბიზნესი სახელმწიფოს დავალებითა და მხარდაჭერით ასრულებს ისეთ ფუნქციებს, რომლებიც ადრე ეკისრებოდა ამ უკანასკნელს, როცა საბაზრო საწყისები ინერგება სახელმწიფოს აქტივობის ტრადიციულ სფეროში, მათ შორის ინფრასტრუქტურაში“4.

4 Климова М. В. Государство и частный капитал в поисках прагматического взаимодействия. М., 2009. С. 89-90.

სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა ასევე ემყარება ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების თეორიას. თანამედროვე მეურნეობის ორგანიზაციისა და გაძღოლის რთული ფორმები შეუძლებელია ეკონომიკის, მისი ცალკეული დარგებისა და კომპანიათა საქმიანობის სახელმწიფოებრივი რეგულირების გარეშე. ყოველ ქვეყანაში ამაზე მუშაობს სახელმწიფო მანქანის მნიშვნელოვანი ნაწილი, გამოიცემა დიდი რაოდენობით ნორმატიული დოკუმენტები, მოდიფიცირდება არსებული და ჩნდება ახალი ინსტრუმენტები, რომლებიც არეგულირებენ ბიზნესის მოქმედებას.

სახელმწიფოს მარეგულირებელი ფუნქციის მთელი მრავალფეროვნებიდან ერთ-ერთი მდგომარეობს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტებისათვის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი პირობების შექმნაში, მათ მიერ კონკრეტული პროექტების შესრულებისას. იმ ინსტიტუციონალურ ფორმაში, რომელშიც დღეისათვის იმყოფება სახელმწიფოსა და ბიზნესის სამეურნეო პარტნიორობა, ისინი წარმმოადგენენ სახელმწიფო რეგულირების მექანიზმების განვითარების ახალ საფეხურს.

ამავე დროს, აუცილებელია გაიმიჯნოს სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა და სახელმწიფოებრივი რეგულირების სხვა ინსტრუმენტები. მაგალითად, დასავლეთის თანამედროვე ეკონომიკურ მეცნიერებაში მიღებული განსაზღვრებით, სახელმწიფო-კერძო პარტნიორობას არ მიეკუთვნება: სახელმწიფო შესყიდვები, სახელმწიფოს მიერ კერძო კომპანიების დაკრედიტება და სუბსიდირება, საბანკო და რეალური სექტორების საწარმოთა დოტირება, შეღავათიანი დაბეგვრა, შეღავათიანი საბაჟო ტარიფები და სხვ. მაგრამ, ამავდროულად, სახელმწიფო საინვესტიციო პროგრამები, რომლებიც ფინანსდება არა მხოლოდ ბიუჯეტის, არამედ აგრეთვე კერძო სექტორის ხარჯზე, ითვლება სახელმწიფო-კერძო პარტნიორობად. ასევე სახელმწიფო-კერძო პარტნიორობას მიეკუთვნება საწარმოები, რომელთა სააქციო კაპიტალში მონაწილეობს როგორც სახელმწიფო, ასევე კონცესიები.

სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის კიდევ ერთ საფუძვლად გამოდის ეკონომიკის საზოგადოებრივი სექტორის თეორია. ყველა ქვეყანაში არსებობს საზოგადოებრივი სექტორის განშტოებული სისტემა, რომლის ფარგლებშიც ფუნქციონირებს სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა. ამ სექტორის მაშტაბები ამა თუ იმ ქვეყანაში პერიოდულად იცვლება, რაც განისაზღვრება ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტებით, სამეურნეო განვითარების ფაზით, საგარეო-ეკონომიკური პირობებით და სხვა ფაქტორებით. სახელმწიფოს როლი შესაძლოა ერთი მიმართულებით შესუს-

ტდეს, სხვა მიმართულებით კი - გაძლიერდეს. საზოგადოებრივი სექტორის თეორიის კონტექსტში სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა მოწოდებულია გადაჭრას ეკონომიკური განვითარების, საწარმოო ინფრასტრუქტურის სრულყოფის, ბაზრის ჩავარდნების შერბილებისა და ლიკვიდაციის ამოცანები

თეორიული გაგებით, სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა ხელსაყრელია ყველასთვის - სახელმწიფოსათვის, ბიზნესისათვის, საზოგადოებისათვის. სახელმწიფო-კერძო პარტნიორობით სახელმწიფოს დაინტერესება დაკავშირებულია იმასთან, რომ, ჯერ ერთი, ის ბიზნესს გადააკისრებს თავისი ქონების შენახვისა და ინვესტირების ხარჯების ტვირთს იმ ვარაუდით, რომ ამ გზით შეძლებს მისი ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლებას; მეორე მხრივ, სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის დახმარებით, სახელმწიფო უარს ამბობს მეურნეობის გაძღოლის არაეფექტიან ფორმებზე, თავისუფლდება რიგი ეკონომიკური ფუნქციებისაგან (მშენებლობა, ექსპლუატაცია, რემონტი და სხვ., რომლებსაც კერძო კომპანიები უფრო ხარისხიანად ასრულებენ; მესამე, სახელმწიფო-კერძო პარტნიორობისადმი მიმართვით სახელმწიფო ნაწილობრივ არბილებს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების სიმწვავეს.

ბიზნესის ინტერესი სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის პროექტებში, უწინარეს ყოვლისა, მდგომარეობს იმაში, რომ კერძო კომპანია გრძელვადიან მფლობელობაში იღებს სახელმწიფო აქტივებს, ხშირად - შეღავათიანი პირობებით. სახელმწიფოსთან გრძელვადიანი კონტრაქტის ფარგლებში ის განაგებს თავისი პროდუქციის გასაღების გარანტირებულ ბაზარს. შემდგომში, ინვესტიციების განხორციელებისას კერძო კომპანიას აქვს მათი დაბრუნების მაღალი გარანტიები, რამდენადაც სახელმწიფო, როგორც მისი პარტნიორი იყოფს რენტაბელობის მინიმალური დონის შენარჩუნების რისკს. ცალკეულ შემთხვევებში, მაგალითად, საყოფაცხოვრებო-კომუნალური მეურნეობის სფეროში სახელმწიფო მიდის იმაზე, რომ კერძო ოპერატორებს ბიუჯეტიდან გამოუყოფს დამატებით სახსრებს კომუნალური მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად. და ბოლოს, კერძო კომპანიებს, ფლობენ რა სამეურნეო თავისუფლებას, შეუძლიათ აამაღლონ თავისი ბიზნესის შემოსავლიანობა ცოდნის, გამოცდილების, სიახლეების, ინვესტიციების ხარჯზე, სამეწარმეო საქმიანობის რისკების მინიმუმამდე დაყვანით.

რას იძლევა სახელმწიფოსა და კერძო სექტორის პარტნიორობა თითოეული ადამიანისათვის და მთლიანად საზოგადოებისათვის? როგორც წესი, შესაძლებელია ველოდოთ მომსახურების ხარისხის ამაღლებას და მათზე ფასების შემცირებას. ხშირად, ასეთი პარტნიორობის დახმარებით, შესაძლებელი ხდება ზოგიერთი სოციალური პრობლემის ნაწილობრივ გადაჭრა. საზოგადოებისათვის ეკონომიკური ეფექტი მდგომარეობს ასევე ინფრასტრუქტურის ობიექტების პროექტირებისა და აღჭურვის ვადების შემცირებაში, მშენებლობის უფრო მაღალ ეფექტიანობაში.

ყოველივე ეს არის პარტნიორობის მხოლოდ გონებაჭვრეტითი, პოტენციურად შესაძლებელი სარგებლობები. მათი რეალობად ქცევისათვის აუცილებელია შესაფერისი ინსტიტუციური გარემოს შექმნა. პირველ რიგში, საუბარია ძლიერ სამართლებრივ სახელმწიფოზე, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს სახელმწიფო საკუთრების ობიექტებზე არსებული კერძო კომპანიების საქმიანობის რეგულირება, მართვა და სათანადო კონტროლი. როგორც წესი, კერძო სექტორის მხრიდან სახელმწიფოსთან კონტრაქტების დადებაზე პრეტენდენტების უკმარისობა არ არის. პრობლემები იწყება მას შემდეგ, როცა ბიზნესის მთავარი მოტივაცია - მოგების მიღება - კონფლიქტში მოდის სახელმწიფოს ძირითად ფუნქციასთან - საზოგადოების ინტერესების დაცვასთან.

მსოფლიო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კერძო მეწარმეები დიდი სიამოვნებით მიდიან სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის პროექტებში. ამავდროულად, არსებობს გარკვეული საფრთხე იმისა, რომ ასეთი პარტნიორობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს უპირატესად კერძო ინტერესის რეალიზაციისათვის. პრაქტიკულად ეს, უწინარეს ყოვლისა, გამოვლინდება კორუფციის ფორმით. მართლაც, ეს ნაკლოვანება არ არის სახელმწიფო-კერძო პარტნიორობისათვის იმანენტური. თუ პარტნიორული ურთიერთობები ყალიბდება და ფუნქციონირებს საკანონმდებლო და ნორმატიულ-სამართლებრივი მინდვრის ფარგლებში, მაშინ კორუფციისა და ბოროტმოქმედებათა რისკი მნიშვნელოვნად მცირდება.

სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის განსაზღვრება. სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა, როგორც წესი, გაგებულია ორგვარად: თეორიულ კონტექსტში - ეს არის სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის ურთიერთობათა სისტემა სახელშეკრულებო (საკონტრაქტო) ფორმაში, რომელიც ფართოდ გამოიყენება ეროვნული, საერთაშორისო, რეგიონული, საქალაქო, მუნიციპალური ეკონომიკური და სოციალური განვითარებისა და დაგეგმვის ინსტრუმენტის სახით; ხოლო პრაქტიკული თვალსაზრისით - ეს არის კონკრეტული პროექტები, რომლებიც ხორციელდება სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებისა და ბიზნესის მიერ ერთობლივად ან მხოლოდ ცალკეული კერძო კომპანიების მიერ სახელმწიფო (ცენტრალური ან მუნიციპალური ორგანოების) საკუთრებაში არსებულ ობიექტებზე.

საქართველოში დისკუსიები სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ცნებითი აპარატის შესახებ აქტიურად მიმდინარეობს სამეცნიერო გამოცემებში, კონფერენციებზე, საკა-ნონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოებთან არსებულ სპეციალურ საბჭოებში; ხდება სხვადასხვაგვარი მიდგომის დემონსტრირება, რაც აიხსნება საგნის ეკონომიკური ბუნების სირთულით, მისი საზღვრების განუსაზღვრელობით და ასეთი პარტნიორობის ნორმატიული ბაზის შეზღუდულობით.5

„სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის“ ტერმინის სწორად გაგებისათვის, პირველ რიგში, აუცილებელია გავერკვეთ იმაში, თუ რა არის საერთოდ პარტნიორობა. ეკონომიკური თეორია და, მასთან ერთად, კანონმდებლობა მოწოდებულია განსაზღვროს „პარტნიორობა“ და გამოყოს ის ისეთი ცნებებისაგან, როგორიცაა „ურთიერთქმედება“ და „თანამშრომლობა“. აქამდე ეს საქართველოში არ გაკეთებულა. საქართველოს მთავარი ნორმატიული დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებს - საქართველოს სამოქალაქო კოდექსი - არ შეიცავს „პარტნიორობის“ განსაზღვრებას6.

რიგ ქართულ და უცხოენოვან ლექსიკონებში მოცემულია პარტნიორობის განსაზღვრება. მაგალითად, ქართულ „ეკონომიკის ენციკლოპედიურ ლექსიკონში“ პარტნიორობა განსაზღვრულია, როგორც „რამდენიმე ფიზიკური ან იურიდიული პირის ერთობლივი საქმიანობის ორგანიზაციის იურიდიული ფორმა. ...პარტნიორობა იქმნება ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც არეგულირებს პარტნიორების უფლებებსა და მოვალეობებს, მათ მონაწილეობას საერთო დანახარჯებში, მოგების განაწილებაში, ქონების გაყოფაში. ...პარტნიორობა გავრცელებულია წვრილი ბიზნესისა და მომსახურების სფეროში“7. რუსული „თანამედროვე ეკონომიკური ლექსიკონი“ პარტნიორობას განსაზღვრავს, როგორც „რამდენიმე ფიზიკური ან იურიდიული პირის ერთობლივი ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზაციის იურიდიულ ფორმას, ...თანასწორ უფლებებსა და მოვალეობებზე დაფუძნებულ ერთობლივ საქმიანობას, რომელიც მიმართულია საერთო მიზნის მიღწევაზე“. „ბიზნეს ტერმინების ლექსიკონი“ პარტნიორობას გვიხსნის, როგორც კომპანიის, ფირმის ორგანიზაციის ფორმას, რომელიც იქმნება პარტნიორებს შორის ხელშეკრულების საფუძველზე, რომელშიც მოხსენიებულია მათი უფლებები, მოვალეობები, პასუხისმგებლობები და ა.შ.“ ინტერნეტ რესურსი „Glossary.ru“ სახელმწიფო-კერძო პარტნიორობას განსაზღვრავს, როგორც „რამდენიმე ფიზიკური და/ან იურიდიული პირის ერთობლივ არააქციონერულ საწარმოს, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს მის დამკვეთს და უშუალო მონაწილეობას ღებულობს საწარმოს საქმიანობაში. პარტნიორობა ორგანიზდება ხელშეკრულების საფუძველზე“8.

ზემოთმოტანილი განსაზღვრებებიდან ჩანს, რომ „პარტნიორობაში“ იგულისხმება მასში მონაწილე მხარეების არა ნებისმიერი ურთიერთქმედება, არამედ მხოლოდ ისეთი, რომელიც, ჯერ-ერთი, სრულდება სპეციალური იურიდიული პირის შექმნით, და მეორეც, გულისხმობს მხარეთა შორის შესაბამისი ხელშეკრულების არსებობას.

სახელმწიფო-კერძო პარტნიორულ ურთიერთობებს მიკუთვნებული რიგი კატეგორიები, რომლებიც გამოიყენება როგორც საზღვარგარეთის ეკონომიკურ ლიტერატურაში, ასევე ოფიციალურ დოკუმენტებში, ჩვენი შეხედულებით, როგორც მინიმუმი, სადაოა. ასე, მაგალითად, რუსეთის ფედერაციის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამაში საშუალოვადიანი პერსპექტივისათვის (2006-2008 წწ.)9 სახელმწიფო-კერძო პარტნიორობისადმი მიძღვნილია მთელი განყოფილება, მაგრამ მას ქვია „კერძო-სახელმწიფო პარტნიორობის განვითარების მექანიზმები“. ასეთივე ტერმინი გამოიყენება რუსეთის ზოგიერთი მსხვილი საექსპერტო ორგანიზაციის, მაგალითად, სტრატეგიული დამუშავებების ცენტრის და სოციალურ-ეკონომიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრის (“ლეონტიევის ცენტრის“)10 მიერ.

მოცემულ შემთხვევაში ლაპარაკია არა სიტყვათა წყობის უბრალო შეცვლაზე, არამედ ისეთი რთული ეკონომიკური მოვლენის არსის დამახინ-

---

5 ამასთან დაკავშირებით, ასევე აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ იმ ფორმით, რომლითაც სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა ამჟამად გამოდის, ის წარმოადგენს შედარებით ახალ მოვლენას, ამიტომ ტერმინოლოგია უბრალოდ ჯერ არ შემდგარა.

6 ნიშანდობლივია, რომ საქართველოში ჯერ არ არსებობს არც ერთი კანონი, რომლის საგანიც იქნებოდა სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა.

7 ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი /საქართველოს მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტის ავთანდილ სილაგაძის საერთო რედაქციით. თბილისი: საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, 2005, გვ. 485-486.

8 Варнавский В. Г. Государственно-частное партнерство: некоторие вопросы теории и практики /МЭ и МО. М., 2011, №9, с. 44.

9 იხ.: Программа социально-экономического развития Российской Федерации на среднесрочную перспективу (2006-2008 гг.). Распоряжение Правительства Российской Федерации № 38-р от 19.01.2006.

10 იხ. მაგალითად: Частно-государственное партнерство при реализации стратегических планов: практика и рекомендации. СПБ., 2005.

ჯებაზე, როგორიცაა სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა. ტერმინი „კერძო-სახელმწიფო პარტნიორობა“ სახელმწიფო და მუნიციპალური საკუთრების ობიექტებთან მიმართებაში არ შეიძლება ჩაითვალოს კორექტულად რიგი მიზეზების გამო.

ჯერ ერთი, ინგლისურ ექვივალენტში ‘‘public-private partnership’’ სიტყვა „public‘‘ უფრო ფართოდ განიმარტება, ვიდრე უბრალოდ სახელისუფლებო ფუნქციების განმხორციელებელი დაწესებულებების ერთობლიობა. ის მოიცავს არა მხოლოდ ხელისუფლების ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს, სასამართლო ხელისუფლებას, მართლწესრიგის ორგანოებს, შეიარაღებულ ძალებს და ა.შ., არამედ კულტურულ, საგანმანათლებლო, აკადემიურ და სხვა დაწესებულებებს, ასევე საზოგადოებრივ ინსტიტუტებს, რომლებიც ასრულებენ არაფორმალურ, მაგრამ მეტად მნიშვნელოვან როლს საზოგადოებრივი პროცესების განვითარებაში.

მეორე, რამდენადაც სახელმწიფო გამოდის სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის პროექტების უმეტესობის ინიციატორად, მათ მთავარ მოქმედ პირად და დომინანტად, ტერმინი კერძო-სახელმწიფო პარტნიორობა ამახინჯებს მოვლენის ნამდვილ არსს.

მესამე, რამდენადაც მნიშვნელოვანი არ უნდა იყოს კერძო სექტორის როლი ინვესტორის, მენეჯერის ან ოპერატორის რანგში, საკუთრების უფლების პრიორიტეტიდან გამომდინარე, სახელმწიფოსა და ბიზნესის პარტნიორულ პროექტებში პირველ ადგილზე ყოველთვის სახელ-მწიფო უნდა იქნეს მითითებული.

უფრო მეტიც, სახელმწიფოს და კერძო კომპანიების როლი კონტრაქტების დადებისას არასოდეს არ იქნება თანაბარი. რიგ ქვეყნებში (მაგალითად, საფრანგეთში) კანონმდებლობის შესაბამისად, სახელმწიფო და ბიზნესი პრინციპში არც შეიძლება ითვლებოდნენ თანაბარ პარტნიორებად. ზოგჯერ (მაგალითად, ე.წ. „საზოგადოებრივი აუცილებლობის“ შემთხვევაში), საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე, სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის კონტრაქტი შესაძლებელია ცალმხრივად დაირღვეს სახელმწიფოს მხრიდან, მისთვის რაიმე სამართლებრივი შედეგების გარეშე. ამასთან, მართალია, სახელმწიფოს პარტნიორ კერძო კომპანიას, რომელმაც ზარალი მიიღო ასეთი ცალმხრივი მოქმედებით, უფლება აქვს გაასაჩივროს სასამართლოში, მაგრამ ძიების საგანი უნდა იყოს არა სახელმწიფოს მოქმედება, არამედ თვით საზოგადოებრივი აუცილებლობის არარსებობის დასაბუთება, რაც უმეტეს შემთხვევაში ძალზედ პრობლემატურია.

სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის საგნის შესახებ ზოგადი მოსაზრების მიუხედავად, სადღეისოდ საზღვარგარეთაც არ არის სამეურნეო ცხოვრების ამ მოვლენის საყოველთაოდ მიღებული განმარტება. სხვადასხვა ქვეყანაში მოცემულია სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის სხვადასხვაგვარი განსაზღვრებები. ჩვენი შეხედულებით ერთ-ერთ წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს რუსი მ.ვ. ვილისოვის განმარტება, რომელშიც აქცენტი გადატანილია მის სამართლებრივ მხარეზე: „სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა - ეს არის სახელმწიფოსა და ბიზნესის ინტერესთა შეთანხმების და თანასწორობის უზრუნველყოფის სამართლებრივი მექანიზმი სახელმწიფო მართვის მიზნების მიღწევაზე მიმართული ეკონომიკური პროექტების რეალიზაციის ფარგლებში“. თუმცა, ჩვენი აზრით, ეს განმარტება იქნებოდა უფრო კორექტული, თუკი არ შეიცავდა მინიშნებას სახელმწიფოსა და ბიზნესის „თანასწორობაზე“.

საგულისხმოა, რომ აშშ-ში სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა გაგებულია, როგორც „სახელმწიფოსა და იმ კერძო კომპანიებს შორის ხელშეკრულების ფორმით განმტკიცებული შეთანხმება, რომლითაც კერძო კომპანიებს უფლება ეძლევათ გარკვეულწილად მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საკუთრებაში. ასეთი შეთანხმება ჩვეულებრივ გულისხმობს კერძო კომპანიასთან შესაბამისი სამთავრობო სააგენტოს კონტაქტის არსებობას, რომლის საგანს წარმოადგენს სა-ხელმწიფო საკუთრების ობიექტის რეკონსტრუქცია, მშენებლობა და/ან მისი ექსპლუატაცია, მართვა და ა.შ. მოცემულ ობიექტთან მიმართებაში საკუთრების ძირითადი უფლება არ იცვლება; კერძო კომპანიისათვის ობიექტის გადაცემის შემდეგაც კი სახელმწიფო მის მესაკუთრედ რჩება. ტერმინი „სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა“ განსაზღვრავს ურთიერთობების ფართო სპექტრს დაწყებული უბრალო კონტრაქტებიდან, რომლითაც კერძო კომპანია თავის თავზე იღებს გარკვეულ რისკებს და თანხმდება დაჯარიმების სანქციებზე, დამთავრებული რთული კომპლექსური პროექტებით, რომლებიც მოიცავენ ობიექტების მშენებლობას, მოდერნიზაციას, ექსპლუატაციას და მათ მართვას“11.

ევროკავშირში უკანასკნელ წლებში გამოვიდა საკმაოდ ბევრი დოკუმენტი, რომლებიც ეხება სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის საკითხებს12. მწვანე წიგნში „სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა

---

11 Report to Congress on Public-Private Partnerships. Wash., 2004. P, 10.

12 იხ. მაგალითად: Green Paper on Services of General Interest. Brussels, COM (2003) 270, 21.05.2003; European Parliament Resolution on the Green Paper on Services of General Interest, Brussels, 14.01.2004 (T5-0018/2004).

და სახელმწიფო კონტრაქტებისა და კონცესიების ერთობის კანონმდებლობა“ ნათქვამია: „ტერმინი „სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა“ არ არის განსაზღვრული ერთობის დონეზე. ზოგადად, მის ქვეშ იგულისხმება საზოგადოებრივ ხელისუფლებასა და ბიზნესს შორის კოოპერაციის ფორმები, რომლებიც ემსახურებიან ინფრასტრუქტურის დაფინანსების, მშენებლობის, მოდერნიზაციის, მართვის, ექსპლუატაციის ან მომსახურეობის გაწევის უზრუნველყოფის მიზნებს“13.

ევროკავშირის ცალკეულ ქვეყნებში გავრცელებულია სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის თავისებური განმარტებები. დიდ ბრიტანეთში, სადაც ფართოდაა გავრცელებული სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა, მეურნეობრიობის ეს ფორმა განმარტებულია, როგორც „მთავრობის სტრატეგიის საკვანძო ელემენტი თანამედროვე, მაღალხარისხიანი კომუნალური მომსახურების მისაღწევად და ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ასამაღლებლად“. სახელმწიფო-კერძო პარტნიორობას აქვს ფორმათა ფართო დიაპაზონი - „კერძო საფინანსო ინიციატივიდან“ შერეულ საწარმოებამდე და კონცესიებამდე, სახელმწიფოს კუთვნილი კომერციული საქმიანობის ობიექტების აქციების ნაწილის გაყიდვამდე14.

სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ზოგიერთი განმარტება უფრო კონკრეტულ და პრაქტიკულ ხასიათს ატარებს. ასე, მაგალითად, მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი კონსალტინგური კომპანიის - Deloitte - აცხადებენ, რომ „სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა წარმოადგენს საკონტრაქტო შეთანხმებას სამთავრობო სააგენტოსა და კერძო კომპანიას შორის, რომლითაც უფლება ეძლევა ამ უკანასკნელს გაზარდოს თავისი მონაწილეობა საზოგადოებრივი მომსახურების მიწოდებაში“15. Price Waterhouse Coopers და C`M`S` Cameron Mckenna სახელმწიფო-კერძო პარტნიორობას განსაზღვრავენ, როგორც ნებისმიერ გარიგებას, „რომლის სტრუქტურა გულისხმობს სახელმწიფო და კერძო სექტორის ერთობლივ მუშაობას საერთო მიზნის მისაღწევად“16.

ზემოთ მოყვანილი განსაზღვრებებიდან შესაძლოა გამოიყოს სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ზოგიერთი ძირითადი ნიშანი, რომელთა არსებობა სავალდებულოა ყველა რეალიზებად პროექტში და საშუალებას იძლევა ეს მექანიზმი განვასხვაოთ სახელმწიფოსა და ბიზნესის ურთიერთობის სხვა ფორმებისაგან.

უპირველესად, სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის საგნად გვევლინება სახელმწიფო და მუნიციპალური საკუთრება, ასევე სახელმწიფოს, ხელისუფლების მუნიციპალური ორგანოებისა და საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ გაწეული მომსახურება. შემდგომში, პარტნიორობა ფორმდება სახელმწიფოსა და კერძო სექტორის მონაწილეებს შორის სპეციალური ხელშეკრულებით (შეთანხმებით, კონტრაქტით). გარდა ამისა, შეიძლება გამოიყოს სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის აუცილებელი პირობა - სახელმწიფოსა და კერძო კომპანიების მიერ თანაინვესტირება და რისკების განაწილება პროექტის ყველა მონაწილეს შორის. ცალკეულ შემთხვევებში პროექტი შეიძლება ფინანსდებოდეს მხოლოდ კერძო სექტორის მიერ. დაბოლოს, სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის პროექტი მოქმედებს ფიქსირებული, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის განმავლობაში. პროექტის დასრულებისთანავე ობიექტი ან გადაეცემა სახელმწიფოს ანდა პარტნიორობა შესაძლოა გაგრძელდეს ახალი ხელშეკრულების საფუძველზე.

ზემოთ გადმოცემულიდან გამომდინარე, სახელმწიფო-კერძო პარტნიორობას შეიძლება მივცეთ შემდეგი განსაზღვრება: სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა წარმოადგენს ერთი მხრივ, სახელმწიფოსა და მუნიციპალურ წარმონაქმნებს და, მეორე მხრივ, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს შორის თანაინვესტირებისა და რისკების განაწილების ურთიერთობათა იურიდიულად გაფორმებულ (როგორც წესი, ფიქსირებული ვადით) სისტემას, რომლის საგნად წარმოგვიდგებიან სახელმწიფო და/ან მუნიციპალური საკუთრების ობიექტები, ასევე სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების, დაწესებულებებისა და საწარმოების მიერ შესასრულებელი და გასაწევი მომსახურებანი.

სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ტიპები შესაძლოა იყოს მეტად მრავალგვარი. საზღვარგარეთისა და სამამულო ეკონომიკურ ლიტერატურაში შეიძლება მოიძებნოს სამეურნეო სფეროში სახელმწიფოსა და ბიზნესს შორის პარტნიორობის ტიპების მრავალგვარობის უამრავი კლასიფიკაცია. თუმცა, ამ საკითხისადმი საზოგადოდ მიღებული მიდგომა არ არსებობს. ჩვეულებრივ, კრიტერიუმების სახით გამოიყენება საკუთრების უფლებამოკიდებულება (ფლობა, სარგებლობა, განკარგვა),

---

13 Green Paper on Public-Private Partnerships and Community Law on Public Contracts Concessions. Brussels, 30.04.2004.

14 იხ.: Public-Private Partnerships – the Government`s Approach. L., 2000. P. 6.

15 Closing thi Infrastructure Gap: The Role of Public-Private Partnerships. NY, 2006. P. 5.

16 Государственно-частные партнерства – новая форма взаимодействия государственного и частного секторов в финансирования инфраструктурных и социальных проектов. М., 2003. С. 26.

სახელმწიფოსაგან დამოკიდებულების ხარისხი, პირველ რიგში, დაფინანსებისა და რისკების განაწილების საკითხებში, და სხვა პარამეტრები.

მსოფლიო პრაქტიკაში ყველაზე დასაბუთებული და ფართოდ გამოყენებული გახდა მსოფლიო ბანკის მიერ შემუშავებული სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის პროექტების კლასიფიკაცია. მის თანახმად, გამოიყოფა სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის 4 კატეგორია: 1. მართვაზე კონტრაქტები და საარენდო ხელშეკრულებები (management and lease contracts); 2. კონცესიები (concession); 3. ახალი მშენებლობის დასრულებული პროექტები (Greenfield projects); 4. აქტივების ნაწილობრივი პრივატიზაცია (divestiture). განვიხილოთ თითოეული მათგანი.

მართვაზე კონტრაქტები და საარენდო ხელშეკრულებები (management and lease contracts). ასეთი კონტრაქტების დადებისას კერძო კომპანია ღებულობს სახელმწიფო საკუთრებას მართვის უფლებით ან იჯარით ფიქსირებული ვადის განმავლობაში. ამასთანავე, ინვესტიციებს ანხორციელებს სახელმწიფო. მართვის კონტრაქტში რისკს ატარებს სახელმწიფო, საიჯარო ხელშეკრულებაში კი რისკი ეკისრება კერძო კომპანიას.

კონცესიები (concession). ასეთ შემთხვევაში მთავრობა კერძო კომპანიას (კონცესიონერს) გადასცემს არსებული ობიექტების ფლობისა და გამოყენების უფლებამოსილებას საფასურის სანაცვლოდ და, როგორც წესი, დაბრუნების პირობით. იმ დროს, როცა სახელმწიფო მხარეს ეკუთვნის ობიექტზე საკუთრების უფლება, კერძო სექტორი უფლებას იტოვებს საკონცესიო პერიოდში ჩატარებულ ყველა გაუმჯობესებაზე. კერძო კომპანია ატარებს საოპერაციო და საინ-ვესტიციო რისკებს.

ახალი მშენებლობის დასრულებული პროექტები (Greenfield projects), ანუ მშენებლობა ნულოვანი ციკლიდან გასაღების ჩაბარებამდე. ამ შემთხვევაში კერძო კომპანია კონტრაქტში მითითებული ვადის განმავლობაში აშენებს და ექსპლუატაციაში შეიყვანს ახალ საწარმოო სიმძლავრეებს.

აქტივების ნაწილობრივი პრივატიზაცია (divestiture) გულისხმობს, რომ კომპანია შეიძენს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ობიექტის აქციათა პაკეტს (ან პირიქით). ამ შემთხვევაში მთავრობა მას გადასცემს (ან მისგან ღებულობს) ობიექტზე საკუთრების უფლების ზოგიერთ უფლებამოსილებას. ამასთანავე, სახელმწიფო ადგენს განსაზღვრულ მოთხოვნებს იმისა, თუ როგორ მოხდება ობიექტის სრულყოფა და მოქალაქეების მომსახურება.

საზღვარგარეთის პრაქტიკაში ხშირად გვხვდება სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის კონტრაქტების ზემოთმოყვანილი ტიპების ცალკეული ელემენტების მომცველი შერეული ფორმები.

სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ფორმები და მექანიზმები. სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ფორმების კლასიფიცირება სხვადასხვა საფუძველზე შეიძლება მოხდეს, მაგრამ ყველაზე გამოსადეგი კრიტერიუმი მოცემული ანალიზისათვის არის ხელისუფლებისა და ბიზნესის ურთიერთქმედების სფეროების მიხედვით გამიჯვნა. ტრადიციულად განიხილავენ სახელმწიფო-კერძო პარტნიორობას ეკონომიკისა და სახელმწიფო მართვის სფეროებში.

მსოფლიო პრაქტიკაში საზოგადოებრივი და კერძო სექტორების ეფექტური ურთიერთქმედების მრავალი მაგალითი არსებობს მსხვილმასშტაბიანი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების რეალიზების დროს. არსებობს პარტნიორობის ისეთი ფორმები, როგორიცაა ურთიერთობა კონტრაქტის საფუძველზე, იჯარის (ლიზინგის) ხელშეკრულება, შეთანხმება პროდუქციის გაყოფის თაობაზე, საინვესტიციო კონტრაქტი, კონცესიები, აქციონირება, კერძო კაპიტალის წილობრივი მონაწილეობა სახელმწიფო საწარმოებში (ერთობლივი საწარმოები).

ბიზნესისა და ხელისუფლების ურთიერთქმედების ტიპების საფუძველზე, გარკვეული პირობითობით შეიძლება გამოიყოს სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის სხვადასხვა მოდელები, მოსახერხებელი თეორიული გააზრებისათვის. პრაქტიკაში სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა ერთმანეთში აერთებს რამდენიმე მოდელს. პარტნიორობის თითოეულ საბაზო მოდელს ახასიათებს ორგანიზაციის, დაფინანსების და კოოპერაციის სპეციფიკური თანაფარდობა.

ამ მოდელებიდან ერთ-ერთი აირჩევა იმის მიხედვით, თუ რა სფეროში რეალიზდება შეთანხმება. თუკი პარტნიორობის პროექტების მსოფლიო პრაქტიკას განვიხილავთ, გამოიკვეთება კონკრეტულ დარგებში ამა თუ იმ მოდელის ეფექტურობა.

ოპერატორის მოდელი ფართოდაა გავრცელებული ნარჩენების გადამუშავებაში. მას ახასიათებს პასუხისმგებლობის მკაფიო გაყოფა კერძო პარტნიორსა და სახელმწიფოს შორის ამ უკანასკნელის მიერ მაკონტროლებელი ფუნქციების შენარჩუნების პირობებში.

კოოპერაციის მოდელი წარმატებით გამოიყენება იქ, სადაც კონკრეტული მომსახურებები არასაკმარისად მკაფიოდაა გამოყოფილი და განსაზღვრული და, ამდენად, ძნელია მათი გადაქცევა ისეთ ობიექტებად, რომლებიც გადასახადებით დაიბეგრება. ამ შემთხვევაში პარტნიორობა რეალიზდება სახელმწიფოსა და კერძო ინვესტორის ერთობლივი საპროექტო კომპანიის მეშვეობით.

კონცესიების მოდელი მოქმედებს დარგებში პროექტების რეალიზების ხანგრძლივი ვადით, აგრეთვე იმ შემთხვევებში, როდესაც სახელმწიფოდან კერძო პარტნიორისთვის საკუთრების უფლების გადაცემა გამოირიცხება პოლიტიკური ან სამართლებრივი მიზეზებით.

ხელშეკრულებითი მოდელი გამოიყენება ენერგეტიკაში, სადაც ინვესტიციები, პირველ რიგში, მიმართულია მიმდინარე დანახარჯების შემცირებისკენ. ამასთან, ეკონომია ამ შემცირებით არცთუ იშვიათად აჭარბებს საკუთრივ საინვესტიციო დანახარჯებს.

ლიზინგის მოდელი ყველაზე მისაღებია საზოგადოებრივი შენობების მშენებლობისათვის. მსოფლიოში დაგროვილია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და კერძო ბიზნესის პარტნიორობის ლიზინგური ფორმების ძალზედ დიდი გამოცდილება.

იმის მიხედვით, თუ კერძო პარტნიორს რა მოცულობით გადაეცემა საკუთრებაზე უფლებამოსილება, როგორია მხარეთა საინვესტიციო ვალდებულებანი, პარტნიორებს შორის რისკების განაწილების პრინციპები, პასუხისმგებლობა სხვადასხვა სახის სამუშაოს შესრულებაზე, მათ შორის მშენებლობაზე, ექსპლუატაციასა და მართვაზე, გამოიყოფა პარტნიორობის შემდეგი მექანიზმები:

მექანიზმი BOT (Build – Operate – Transfer, მშენებლობა - ექსპლუატაცია - გადაცემა). ეს მექანიზმი ძირითადად კონცესიებში გამოიყენება. ინფრასტრუქტურის ობიექტი იქმნება კონცესიონერის ხარჯზე, რომელიც მშენებლობის დამთავრების შემდეგ იღებს აშენებული ობიექტის ექსპლუატაციის უფლებას იმ ვადის განმავლობაში, რაც საკმარისია ჩადებული სახსრების ამოსაღებად. ამ ვადის გასვლის შემდეგ ობიექტი სახელმწიფოს უბრუნდება. კონცესიონერი იღებს ობიექტის გამოყენების, მაგრამ არა ფლობის უფლებას, მესაკუთრედ სახელმწიფო რჩება.

მექანიზმი BOOT (Build- Own- Operate- Transfer, მშენებლობა - ფლობა - ექსპლუატაცია - გადაცემა). ამ შემთხვევაში კერძო პარტნიორი იღებს არა მარტო გამოყენების, არამედ ობიექტის ფლობის უფლებამოსილებასაც შეთანხმების ვადის განმავლობაში, რომლის გასვლის შემდეგაც ის გადაეცემა საჯარო ხელისუფლებას. არსებობს ასევე "შებრუნებული" BOOT-ი, რომლის დროსაც ხელისუფლება აფინანსებს და აშენებს ინფრასტრუქტურის ობიექტს, შემდეგ კი მიანდობს სამართავად კერძო პარტნიორს, რომელსაც უფლება აქვს თანდათანობით გამოისყიდოს მისგან ეს ობიექტი და თავის საკუთრებად აქციოს.

მექანიზმი BTO (Build – Transfer – Operate, მშენებლობა - გადაცემა - ექსპლუატაცია) გულისხმობს საჯარო ხელისუფლებისათვის ობიექტის გადაცემას მშენებლობის დამთავრებისთანავე. სახელმწიფოს მიერ მიღების შემდეგ ის გადაეცემა კერძო პარტნიორს გამოსაყენებლად, მაგრამ ფლობის უფლების გადაცემის გარეშე.

მექანიზმი BOO-ს (Build – Own – Operate, მშენებლობა - ფლობა - ექსპლუატაცია) რეალიზების დროს შექმნილი ობიექტი შეთანხმების ვადის ამოწურვის შემდეგ არ გადაეცემა საჯარო ხელისუფლებას, არამედ რჩება ინვესტორის განკარგულებაში.

მექანიზმი BOMT-ის (Build – Operate – Maintain – Transfer, მშენებლობა - ექსპლუატაცია - მომსახურება - გადაცემა) შემთხვევაში სპეციალური აქცენტი კეთდება კერძო პარტნიორის პასუხისმგებლობაზე მის მიერ აგებული ინფრასტრუქტურის ობიექტების შენახვასა და მიმდინარე რემონტზე.

შეთანხმება DBOOT-ის (Design – Build – Own – Operate – Transfer, პროექტირება - მშენებლობა - ფლობა - ექსპლუატაცია - გადაცემა) თავისებურება მდგომარეობს კერძო პარტნიორის პასუხისმგებლობაში არა მარტო ინფრასტრუქტურის ობიექტის მშენებლობაზე, არამედ პროექტირებაზეც.

DBFO-ს (Design – Build – Finance – Operate, პროექტირება - მშენებლობა - დაფინანსება - ექსპლუატაცია) ტიპის შეთანხმების შემთხვევაში გარდა კერძო პარტნიორის პასუხისმგებლობისა პროექტირებაზე, სპეციალურად ხაზი ესმის მის პასუხისმგებლობას ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობის დაფინანსებაზე.

სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მსოფლიო გამოცდილება. მსოფლიო ეკონომიკაში არ არსებობს სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის პროექტების ამსახველი კრებსითი სტატისტიკური მონაცემები. საზღვარგარეთის მრავალრიცხოვანი კვლევითი ცენტრების მიერ მოყვანილია სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის მასშტაბების სხვადასხვა შეფასებები, მთლიანად მსოფლიოს მიხედვით. ასეთი პროექტების ამსახველი უფრო მეტად სისტემური ინფორმაცია წარმოდგენილია მსოფლიო ბანკის მიერ, თუმცა, მის მონაცემთა ბაზაში შესულია მხოლოდ განვითარებად ქვეყნებში რეალიზებული პროექტები. მსოფლიო ბანკის შეფასებებით, 1990-2009 წლებში იქ სრულდებოდა სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის 4,5 ათასზე მეტი პროექტი, 1,5 ტრლნ დოლარის საერთო მოცულობის მოზიდული ინვესტიციებით (ცხრ. 1).

ცხრილი 1.

სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა განვითარებადი ქვეყნების საწარმოო ინფრასტრუქტურის დარგებში, 1990-2009 წწ., 2009 წლის ფასებში1

დარგი	პროექტების რიცხვი	ინვესტიციები, მლრდ დოლარი
ტრანსპორტი, სულ	1198	253.847
ავტოსატრანსპორტო გზები	603	129.054
რკინიგზები	108	44.511
აეროპორტები	134	29.608
საზღვაო პორტები	353	50.674
საცხოვრებელ-კომუნალური	715	60.280
მეურნეობა	1854	482.861
ენერგეტიკა	807	719.645
ტელეკომუნიკაციები	4575	1516.633
მთლიანად		

სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის დარგობრივ სტრუქტურაში შეიძლება გამოიყოს კაპიტალტევადი ენერგეტიკული პროექტები, პირველ რიგში, ელექტროსადგურები, ელექტროგადაცემის მაგისტრალური ხაზები და გაზსადენები. შემდეგ მოდის ტრანსპორტი - საავტომობილო გზები და რკინიგზები, აეროპორტები, საზღვაო პორტები. საცხოვრებელ-კომუნალური სფეროს პროექტები (წყალმომარაგება და კანალიზაცია) შეადგენს სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის პროექტების საერთო რაოდენობის 16%-ს.

სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის პრაქტიკა უფრო მეტად აქტიურია აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში. მასზე მოდის მსგავსი პროექტების მესამედზე მეტი და მთელი ინვესტიციების თითქმის ნახევარი. აქ ლიდერობს ჩინეთი (სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის პროექტებში მთელი მსოფლიო ინვესტიციების 10%-ზე მეტი). თითქმის ორჯერ ჩამორჩება მას ინდოეთი. ლათინო-ამერიკული ქვეყნებიდან სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა უფრო მეტად გამოიყენება ბრაზილიაში.

სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის თეორიული საფუძვლების დამუშავებასა და გამოყენების პრაქტიკაში განსაკუთრებული ადგილი უკავია აშშ-ს, რომელიც განვითარებული ქვეყნების ჯგუფში პირველ ადგილზე იმყოფება სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის გაქანებით. ამ ქვეყანაში ბევრი ავტომაგისტრალი აშენებულ და ექსპლუატირებულ იქნა კერძო კომპანიების მიერ, თუმცა, რჩებოდნენ საზოგადოებრივ საკუთრებაში. ასე, მაგალითად, 1985-2004 წლებში აშშ-ს საგზაო მეურნეობაში რეალიზებულ იქნა სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის 62 პროექტი, 42 მლრდ დოლარის საერთო მოცულობის ინვესტიციებით17. ამ ქვეყნის კომუნალურ მეურნეობაში სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის პროექტების რიცხვი სისტემატურად იზრდება. თუ წყალმომარაგების სექტორში 1997 წელს ასეთი პარტნიორობა იყო 400, 2003 წელს მათი რიცხვი 1100-მდე გაიზარდა.

სახელმწიფო და მუნიციპალური საკუთრების ობიექტების და საზოგადოებრივი მომსახურების გაწევის უფლების კერძო კომპანიებისათვის გადაცემის აქტიურ და თანმიმდევრულ მომხრედ გამოდის ევროკავშირი, ხოლო მასში - დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, იტალია, საფრანგეთი და ირლანდია. შეფასებებით, 2001-2007 წწ. პერიოდისათვის ევროკავშირის ქვეყნებში ხელმოწერილი იყო სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის დაახლოებით 700 კონტრაქტი, 67,6 მლრდ ევროს თანხით.

ევროკავშირში ასეთი კონტრაქტების უმეტესი ნაწილი მოდის დიდ ბრიტანეთზე. დაწყებული 1992 წლიდან ბრიტანეთის მთავრობა ახორციელებს სახელმწიფო საკუთრების მართვის კონცეფციას სახელწოდებით „კერძო ფინანსური ინიციატივა“ (Private Finance Initiative, PFI), რომელიც შეიძლება ჩაითვალოს სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ბირთვად. 2011 წლის დასაწყისისათვის მთლიანად ქვეყანაში დადებული იყო სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის 920 კონტრაქტი, 72 მლრდ ფუნტ-სტერლინგის საერთო მოცულობის ინვესტიციებით. მათგან PFI-ზე მოდიოდა

17 იხ.: User Guidebook on Implementing Public-Private Partnerships for transportation Infrastructure Projects in the United States. Wash., 2007. P. 60.

777 პროექტი, 45,6 მლრდ ფუნტ-სტერლინგის თანხით. იმ საზოგადოებრივი საკუთრების ობიექტების რიცხვში, რომლებიც იმყოფებიან PFI-ს რეჟიმში, ნახევარზე მეტი კონცენტრირებულია სოციალურ ინფრასტრუქტურაში, მათ შორის ჯანდაცვასა (229 პროექტი 12,7 მლრდ ფუნტ-სტერლინგის თანხით) და განათლებაში (164 პროექტი 6,1 მლრდ ფუნტ-სტერლინგის თანხით). ამ სფეროებში კონტრაქტების მოქმედების ხანგრძლივობა, როგორც წესი, 25-30 წელს შეადგენს.

ევროკავშირის სხვა ქვეყნებში შეიმჩნევა სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის განვითარების თითქმის მსგავსი ტენდენციები, მაგრამ რამდენადმე უფრო ნაკლები ინტენსივობით და თავისი ეროვნული თავისებურებებით.

სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის პრობლემები საქართველოში. საქართველო ჯერ კიდევ არ შედის სახელმწიფო-კერძო პარტნიორობით მოსარგებლე ლიდერ ქვეყანათა რიცხვში. მაგრამ, თუ გავითვალისწინებთ ქვეყნის სოციალურ და საწარმოო ინფრასტრუქტურაში ინვესტიციებზე დიდ მოთხოვნილებას, და ასევე ამ მიზნებისათვის საბიუჯეტო სახსრების შეზღუდულობას, სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის პროცესების აქტივიზაციის ალტერნატივა ჩვენს ქვეყანაში არ არსებობს.

სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ჩამოყალიბება საქართველოში დაიწყო რამოდენიმე წლის წინ ისეთი ახალი ინსტიტუტების გამოჩენით, როგორიცაა: საქართველოს ეროვნული საინვესტიციო ფონდი (2002 წ.), განსაკუთრებული ეკონომიკური ზონები (2007 წ.). ამავე პერიოდში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა რიგი კანონებისა, რომლებსაც კავშირი აქვთ სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ცალკეულ ფორმებთან და ასპექტებთან. ერთი მხრივ, ქვეყანაში მიმდინარეობს მუშაობა სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის განვითარების მიმართულებით. ბიზნესმა დაიწყო იმისი გაგება, რომ სახელმწიფო-კერძო პარტნიორობა - ეს არის არა სახელმწიფოს მხრიდან მასზე მორიგი ზეწოლა, არამედ მსხვილი, ქვეყნისათვის სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საინვესტიციო პროექტების განხორციელების ერთ-ერთი შესაძლებლობა. ფართო გამოყენება ჰპოვა სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ისეთმა ფორმებმა, როგორიცაა შერეული სახელმწიფო-კერძო საწარმოები, სახელმწიფო და მუნიციპალური ქონების იჯარა. მეორე მხრივ, სახელმწიფო და მუნიციპალური საკუთრების ობიექტებში გრძელვადიანი კერძო ინვესტიციების მოსაზიდად სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის უფრო მეტად ეფექტური ფორმები - კონცესიები და „გრინფილდის“ პროექტები - მეტისმეტად ძნელად ინერგება.

საქართველოში პრაქტიკულად არ არსებობს საკონცესიო საფუძველზე ან გრძელვადიანი სახელმწიფო გარანტიების ქვეშ საინვესტიციო ხელშეკრულებების გამოყენებით საწარმოო და სოციალური ინფრასტრუქტურის მსხვილმასშტაბური კაპიტალური ობიექტების შექმნის მიზნით სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის რეალურად მომუშავე მექანიზმი. ცალკეული საპილოტე პროექტების გამოკლებით, ჩვენთან რეალიზდება მხოლოდ კვაზიპარტნიორული პროექტები საქართველოს ეროვნული საინვესტიციო ფონდის ან განსაკუთრებული ეკონომიკური ზონების ფარგლებში.

სახელმწიფო-კერძო პარტნიორობასთან დაკავშირებული მთავარი პრობლემა მთლიანად საქართველოში და კერძოდ კონცესიების მიმართ, ჩვენი აზრით, მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფომ 1994 წლის 21 დეკემბერს მიიღო რა N 616-Iს კანონი „საზღვარგარეთის ქვეყნებისა და კომპანიებისათვის კონცესიების გაცემის წესის შესახებ“, შემდგომში გვერდი აუარა კანონქვემდებარე ნორმატიული ბაზისა და მართვის სისტემის დამუშავებას. გამოდის, რომ, სახელმწიფო ქონების იჯარისათვის - სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ყველაზე მარტივი ფორმისათვის - საქართველოში შექმნილია განშტოებული ნორმატიულ-სამართლებრივი ველი და მართვის სისტემა, რის შედეგადაც ბიუჯეტში შემოდის მნიშვნელოვანი სახსრები საიჯარო გადასახდელების ფორმით, კონცესიებისთვის კი - პრაქტიკულად არაფერი არ გაკეთებულა. საკანონმდებლო ხელისუფლება შემოიფარგლა მხოლოდ ჩარჩო კანონის მიღებით, სათანადო ყურადღება არ მიუქცევია რა უფრო კონკრეტული, მაგრამ არც თუ ისე უმნიშვნელო საკითხებისათვის. მაგალითად, კვლავ გაურკვეველია საკითხები იმის თაობაზე, თუ: როგორ ჩამოყალიბდეს კანონქვემდებარე ნორმატიული ბაზა; როგორი გარანტიების წაყენებაა აუცილებელი კერძო პარტნიორებისათვის სახელმწიფოს მხრიდან; როგორი უნდა იყოს კონცესიური პროცესების მართვის სისტემა.

ჩვენი წარმოდგენით, საქართველო დღეისათვის ინსტიტუციურად სუსტად არის მომზადებული კონცესიებზე გადასასვლელად. არ წყდება მეთოდური პრობლემები, არ არსებობს კომპლექსურობა სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის თეორიისა და პრაქტიკის დამუშავებისადმი მიდგომაში, არ მზადდება შესაბამისი კადრები უმაღლეს სასწავლებლებსა და სახელმწიფო მოხელეთა გადამზადების კურსებზე.

როგორც ცნობილია, საქართველოში არსებობს ერთიანი საკანონმდებლო ველი და ერთიანი საბიუჯეტო კოდექსი. მაგრამ სწორედ ეს კოდექსი გახდა მთავარი წინააღმდეგობა სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის განვითარების გზაზე.

როგორი კარგიც არ უნდა იყოს სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის კანონი, მას არ შეუძლია შეეწინააღმდეგოს საბიუჯეტო კოდექსს და შეცვალოს მისი მუხლები, რომლებიც პირდაპირ კრძალავს ნებისმიერი სახელმწიფო გარანტიების გაცემას ათ წელზე მეტი ხნის ვადით. წინააღმდეგობა აქ იმაში მდგომარეობს, რომ სახელმწიფო ვალდებულება პროექტების დაფინანსებაზე შეზღუდულია სამწლიანი ბიუჯეტით, მაშინ, როდესაც, საწარმოო ინფრასტრუქტურის ობიექტებში ინვესტიციების გამოსყიდვის ვადები შეადგენს ათეულობით წელს. არც ერთი კერძო ინვესტორი არ წამოვა ასეთ პროექტებში შესაფერისი სახელმწიფო გარანტიებისა და სახელმწიფო დაფინანსების გარეშე.

ჩვენს ქვეყანას საწარმოო და სოციალურ ინფრასტრუქტურაში სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის განსავითარებლად სიტუაციის რადიკალურად გაუმჯობესებისათვის მოუწევს დიდი მუშაობა, რომელიც უნდა შესრულდეს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების მიერ. სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ფორმებისა და მექანიზმების გამოყენებაში მსოფლიო პრაქტიკისა და საქართველოს სახელმწიფო და ადგილობრივი მმართველობის ორგანოების არასაკმარისი გამოცდილების გათვალისწინებით, საქართველოში უახლოეს მომავალში საჭირო გახდება საკონცესიო კანონმდებლობის სრულყოფა და საბიუჯეტო შეზღუდვების აღმოფხვრა სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის ფინანსური სქემის მიხედვით. აუცილებელია მართვის ადექვატური სისტემა, მათ შორის ან ახალი მმართველობითი ორგანოს შექმნა, ანდა აღმასრულებელი ხელისუფლების არსებული ცენტრალური ორგანოს გადაკეთება, რომელიც პასუხისმგებელი იქნება სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის განვითარებაზე, შესაბამისი უფლებამოსილებით. გარდა ამისა, თავის რეალიზაციას მოელის კანონქვემდებარე ნორმატიული ბაზისა და დარგობრივი რეგლამენტების შექმნა აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალური ორგანოების მიერ, სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის პროექტების რეალიზაციისათვის. გადაუდებელი ამოცანაა აგრეთვე სახელმწიფო-კერძო პარტნიორობის საკითხებზე შესაბამისი კადრების მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ახალი სისტემის შექმნა.

NINO VANISHVILI

STATE AND BUSINESS PARTNERSHIP: SOME OF THE THEORY AND PRACTICE

Summary

20th century 80 - the beginning of a special relationship between the state and the private sector dasakhasiateblad introduced the term "public - private partnership" (Public-Private-Partnership, PPP). As a rule, this relationship has been established and developed in the field of industrial and social infrastructure. These were: roads and railways, airports, sea ports, energy networks, communal services, telecommunications, education, health and cultural facilities. Azghvargaretis practice in "public - private partnership" concept in recent years has been actively used in Georgia. This event is gradually formed as an independent institution. The number of ministries and departments have been established in partnership with the finding of similar councils. There are many legal and consulting firm, who engaged the services of such a partnership contract.

In addition, the state - private partnership concept in Georgia, at the level of legislation, has not yet been fully defined. A business partnership between the state and the nature and forms of many of the different economic schools of the differently treated. There is no special manual, do not read the lecture course on this subject in high schools. As a result, the issue is not clear about the relationship between state and business are public - private partnership, its borders are erased, and the essence of it - until the end of uncertainty.

This article is a clarification of the events, overseas experience and the characteristics of the study attempts to determine the possibilities of its use in Georgia. In particular, it discussed the state and the business partnership tanmimdevruladaa related to such important issues, such as public - private partnership, the theoretical foundations, public - private partnership definition, public - private partnership in the world of experience, Public - private partnership forms and mechanisms, public - private partnership problems and their solutions in Georgia.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Климова М. В. Государство и частный капитал в поисках прагматического взаимодействия. М., 2009.
2. ეკონომიკის ენციკლოპედიური ლექსიკონი /საქართველოს მეცნ. აკად. წევრ-კორესპონდენტის ავთანდილ სილაგაძის საერთო რედაქციით. თბილისი: საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“, 2005.
1. 3.Варнавский В. Г. Государственно-частное партнерство: некоторие вопросы теории и практики /МЭ и МО. М., 2011, №9, с. 41-50.
3. Программа социально-экономического развития Российской Федерации на среднесрочную перспективу (2006-2008 гг.). Распоряжение Правительства Российской Федерации № 38-р от 19.01.2006.
2. 5.Частно-государственное партнерство при реализации стратегических планов: практика и рекомендации. СПБ., 2005.
3. 6.Report to Congress on Public-Private Partnerships. Wash., 2004.
4. 7.Green Paper on Services of General Interest. Brussels, COM (2003) 270, 21.05.2003; European Parliament Resolution on the Green Paper on Services of General Interest, Brussels, 14.01.2004 (T5-0018/2004).
5. 8.Green Paper on Public-Private Partnerships and Community Law on Public Contracts Concessions. Brussels, 30.04.2004.
6. 9.Public-Private Partnerships – the Government`s Approach. L., 2000.
7. 10.Closing thi Infrastructure Gap: The Role of Public-Private Partnerships. NY, 2006.
8. 11.Государственно-частные партнерства – новая форма взаимодействия государственного и частного секторов в финансирования инфраструктурных и социфльных проектов. М., 2003.
9. 12.World Bank. PPI Database, 2011.
10. 13.User Guidebook on Implementing Public-Private Partnerships for transportation Infrastructure Projects in the United States. Wash., 2007.
11. საქართველოს 1994 წლის 28 ოქტომბრის N 557 კანონი „მეწარმეთა შესახებ“ www. parliament.ge//.
12. საქართველოს 1994 წლის 21 დეკემბრის N 616 კანონი „საზღვარგარეთის ქვეყნებისა და კომპანიებისათვის კონცესიების გაცემის წესის შესახებ“//www. parliament.ge.
13. საქართველოს 1995 წლის 7 მარტის N 672 კანონი „საბინაო კომუნალური მეურნეობის შესახებ”//www. parliament.ge.
14. საქართველოს 1996 წლის 12 ნოემბრის N 473 კანონი „საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობისა და გარანტიების შესახებ“// www. parliament.ge.
1. საქართველოს 1997 წლის 30 მაისის N 743 კანონი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“// www. parliament.ge.
2. საქართველოს 2002 წლის 19 ივნისის N 1519 კანონი „საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“// www. parliament.ge.
3. საქართველოს 2005 წლის 25 მარტის N 1190 კანონი „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების შესახებ“// www. parliament.ge.
4. საქართველოს 2005 წლის 8 ივლისის N 1896 კანონი „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ“// www. parliament.ge.
5. საქართველოს 2006 წლის 14 აპრილის N 2882 კანონი „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობების სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“//www. parliament.ge.
6. საქართველოს 2006 წლის 30 ივნისის N 3424 კანონი „ინვესტიციების სახელმწიფო მხარდაჭერის შესახებ”//www. parliament.ge.
7. საქართველოს 2007 წლის 3 ივლისის N 5175 კანონი „თავისუფალი ინდუსტრიული ზონების შესახებ“//www. parliament.ge.

საქართველოს 2009 წლის 3 ნოემბრის N 1940 კანონი „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ“//www. parliament.ge.

ნატო გეგენავა

თანამედროვე გლობალური ბიზნესის თავისებურებები

როდესაც განვიხილავთ გლობალურ ბიზნესს, გლობალური ხედვის თვალსაზრისით, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საჭიროა შევეგუოთ როგორც საერთაშორისო საგარეო, ისე საშინაო ცვლად გარემოს. გლობალიზაციის შედეგად ხომ მსოფლიო ეკონომიკურად სულ უფრო არაპროგნოზირებადი ხდება.

ნებისმიერი კომპანია ცვლის გლობალური და ლოკალური სტრატეგიის თანაფარდობას პროდუქციის სახეობის, მიზნების, ქვეყნის და ა.შ. კვალობაზე. ამავდროულად გლობალური სტრატეგია უნდა იყოს საკმაოდ მოქნილი, რათა, ერთი მხრივ, რეაგირება მოახდინოს ახალ შესაძლებლობებზე, ხოლო, მეორე მხრივ, უარი თქვას ნაკლებად მომგებიან სახეობათა წარმოებაზე. ადრეულ ეტაპებზე კომპანიას არ ყოფნის გამოცდილება, შეიმუშაოს უცხოური ბაზრების ათვისების ოპტიმალური სტრატეგია. იგი უბრალოდ რეაგირებს გამოვლენილ შესაძლებლობებზე და გამოცდილების შეძენის კვალობაზე ხვდება, რომ ყველა გამოვლენილი შესაძლებლობისათვის რესურსები არ ყოფნის. მაგალითად, კომპანია «ფორდმა» აქციონერთა პირველ კრებაზე განაცხადა, რომ მისი მთავარი მიზანია საზღვარგარეთის ექსპანსია. იმ დროს კომპანიის საერთაშორისო მარკეტინგი არ ეფუძნებოდა მსოფლიოს სკრუპულოზურ გამოკვლევას. იგი მოქმედებდა პრინციპით: გამოჩნდა შესაძლებლობა – გამოიყენე ის. მხოლოდ 1977 წელს შექმნა კომპანიამ სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკის ანალიზის განყოფილება. 90-იანი წლების შუახანებში კი მიზნად დაისახა გამხდარიყო გლობალური ავტომშენებელი კორპორაცია, რომელიც მზად იყო დაენგრია ეროვნული და რეგიონალური ბარიერები, ხელს რომ უშლიდა მსოფლიო ბაზარზე გასვლაში.

ამრიგად, კომპანია მხოლოდ მაშინ შეძლებს გლობალურ ბიზნესში ჩართვას, თუ გაითვალისწინებს მსოფლიო ბაზრებზე ქცევის შემდეგ მოთხოვნებს:

- უნდა ჰქონდეს ბაზრების და კონკურენციის შესახებ გლობალური ხედვა (აუცილებელია მოახდინოს სწრაფი რეაგირება საზღვარგარეთ წარმოების და გასაღების ცვლილებებზე);
- საჭიროა კარგად იცნობდეს თავის კონკურენტებს (გლობალურ ბაზრებს აქვს ოლიგარქიული-პოლიტიკური სტრუქტურა და მათი მონაწილეების რიცხვი მცირეა);
- უნდა აკონტროლებდეს თავის ოპერაციებს მსოფლიოს ან ე.წ. სამეულის (აშშ, ეკ და იაპონია) მასშტაბით მაინც;
- ისე უნდა იქცეოდეს, როგორც «გლობალური მოთამაშე», ე.ი. როგორც კი წარმოიქმნება მისი ბაზრიდან გაძევების საფრთხე, მაშინვე შეცვალოს მუშაობის წესი;
- უნდა განათავსოს წარმოება იქ, სადაც იგი ყველაზე რენტაბელური იქნება.

საერთაშორისო მარკეტინგული სტრატეგიის შემუშავება გულისხმობს *მრავალმხრივ აზროვნებას.* საზოგადოდ ფირმა ახორციელებს პრინციპს: იაზროვნე «გლობალურად», იმოქმედე «ლოკალურად». მაგალითად, ყურადღებას აპყრობენ სპეციფიკური მოთხოვნილების მქონე მომხმარებელთა სეგმენტებს ბაზრის მთელ გეოგრაფიულ სივრცეზე. ასეთმა მიდგომამ ფირმას შეუძლია მოუტანოს მასშტაბური ეკონომია.

ამ თვალსაზრისით, აზროვნების გლობალურობა ძირითადად საქონლის კონცეფციას განეკუთვნება და სავალდებულო არაა ეხებოდეს მარკეტინგის სხვა ინსტრუმენტებს – კომუნიკაციებს, ფასს და გასაღებას, რომლებიც ადგილობრივი პირობების მიმართ ინდივიდუალურ ადაპტაციას ინარჩუნებს. ამის მაგალითია ფირმა «მაიკროსოფტის» პოპულარული პროდუქტები (ვინდოუსი, ვორდი, ექსელი და სხვ.). ისინი ბევრ ეროვნულ ვერსიაში არსებობს.

საწარმოთა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სწრაფი განვითარება აიხსნება მრავალი მიზეზით, რომელთაგან ძირითადია:

- სწრაფვა საბოლოო მოგების გაზრდისაკენ;
- საწარმოო ძალების სრულყოფა და მოდერნიზაცია;
- სწრაფვა ვიწრო, საშინაო ბაზრის ფარგლებიდან გამოსვლისათვის;
- ეროვნული ბუნებრივი რესურსების გამოფიტვის და ნაკლებობის დაძლევის შესაძლებლობა;
- თანამედროვე ეფექტიანი ტექნოლოგიების შეცნობა და დანერგვა;
- სამრეწველო პროდუქციის საარსებო ციკლის გადიდების მოთხოვნილება;

- შესაძლებლობა, უცხოელი პარტნიორის დახმარებით გაინაწილონ რისკები და ხარჯები ახალი საწარმოების ორგანიზაციისათვის.

საწარმოთა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ფორმების და შინაარსის ევოლუციას შეიძლება თვალი გავადევნოთ პირველი საერთაშორისო კომპანიების წინამორბედთა ფუნქციონირებიდან მოყოლებული. ეს კომპანიები ძირითადად ერთდარგოვანი იყო. მათ შექმნას ხელი შეუწყო ძირითადი საერთაშორისო მეწარმეობის ფორმიდან კაპიტალის ექსპორტზე გადასვლამ.

XX საუკუნის 90-იანი წლებისთვის მნიშნელოვნად გააქტიურდა საწარმოთა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა. ამას ადასტურებს 80-იან წლებში მსოფლიოში ინდუსტრიის განვითარების დინამიკასთან შედარებით საგარეო ვაჭრობის და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების (პუი-ების) უპირატესი ზრდის საშუალოწლიური ტემპის მაჩვენებლები (%-ებში): პუი – 29,9; მსოფლიო ექსპორტი – 9,4; მსოფლიო მთლიანი სავალუტო პროდუქტი – 7,8 (პოსტსოციალისტური ქვეყნების გარდა).

დღეისათვის საერთაშორისო ბიზნესში საწარმოთა მონაწილეობის მზარდი პროცესის მთავარი მამოძრავებელი ძალებია შემდეგი ფაქტორები:

1. ეროვნული ბუნებრივი რესურსების დეფიციტი ან მათი მოპოვების სამთო-გეოლოგიური პირობების გაუარესება;
2. გამწვავებული კონკურენცია ეროვნულ ბაზარზე, რომელიც ერთგვაროვანი პროდუქციით გაჯერების გამო «დუნდება»;
3. შესაძლებლობა, შეამცირონ წარმოების და გასაღების ხარჯები მიმღები ქვეყნის უფრო იაფი მუშახელითა და «ადამიანური კაპიტალის» მოზიდვით, ასევე უცხოური კაპიტალის, ტექნოლოგიის და საწარმოთა მართვის გამოცდილების მეშვეობით;
4. საკუთარი საექსპორტო საქონლის კონკურენტუნარიანობის ამაღლებით დამატებითი გზების გამოვლენა მსოფლიო ბაზარზე კონკურენციის გამწვავებისას;
5. ეროვნულ სახელმწიფო რეგულირებასთან დაკავშირებული ხარჯების – გადასახადების, ბუნების დაცვის ღონისძიებათა დანახარჯების შემცირება გარემოს დაცვის ნორმების შესაბამისად;
6. სახელმწიფო რეგულირების შედეგად მიმღებ ქვეყანაში საწარმოთა დანაკარგების შემცირებისთვის საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის შესაძლებლობათა გამოყენება;
7. მზარდი გაურკვევლობა საქონლის გრძელვადიან მოთხოვნაზე, ასევე სხვა მრავალი რისკი, რომლებიც მეწარმეებს საქმიანობის გეოგრაფიული დივერსიფიკაციისკენ უბიძგებს;
8. შესაძლებლობა, გამოიყენონ უცხოური ინდუსტრიული ინფრასტრუქტურა და სავალუტო რესურსები.

90-იან წლებში საწარმოთა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის გააქტიურებას ხელს უწყობს მეორეული ფაქტორებიც: ინფორმაციის მსოფლიო ნაკადი ეკონომიკის ყველა დარგში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის შესახებ, ურთიერთობის განმტკიცება საზღვარგარეთელ მომხმარებლებთან, თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესების მოქნილობა და ადაპტირებულობა.

ამასთან გასათვალისწინებელია ისიც, რომ ბანკებთან მჭიდრო ურთიერთობის გარეშე საერთაშორისო კორპორაციებიც კი ვერ შენარჩუნებდა თავიანთ უპირატესობას კონკურენტუნარიან გარემოში.

კონკურენციულ ბრძოლაში თავის გადასარჩენად თვით სოლიდური კომპანიებიც კი მიმართავდენენ თავიანთ სტრატეგიაში საგარეო-ეკონომიკურ კავშირურთიერთობას. ამის მაგალითია ფირმა «სტენლი ვორქსი» (აშშ), 1843 წლიდან საჭრელ-საზომი ინსტრუმენტების დამამზადებელი. XX საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს უცხოურ კომპანიათა ზეგავლენით ფირმა იძულებული გახდა, წარმოების ხარჯები სასწრაფოდ შეემცირებინა. ამ მიზნით საწარმოო ოპერაციათა ნაწილი საზღვარგარეთ, მექსიკის ქალაქ პუებლას ქარხანაში გადაიტანეს, სადაც მუშახელი გაცილებით იაფია, ვიდრე აშშ-ში. ამის შემდეგ ფირმას უკვე შეეძლო კონკურენცია გაეწია აშშ-ის ბაზარზე ანალოგიური ჩინური ნაწარმისთვის. მომდევნო წლებში კი მონათესავე სამრეწველო საწარმოები შექმნა საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთში და ტაივანის კუნძულზე.

სამრეწველო განვითარების ყველაზე მაღალი ტემპების მქონე სახელმწიფოთა გამოცდილება მოწმობს, *თუ რა გავლენას ახდენს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა მასში მონაწილე ფირმებისა და ქვეყნების ეკონომიკაზე:*

- უცხოური ან ერთობლივი საწარმოების პროდუქციის გასაღება მიმღები ქვეყნის საშინაო ბაზარზე ხელს უწყობს საგარეო-სავაჭრო ბალანსის სალდოს გაწონასწორებას;
- უცხოური საწარმოები მიმღებ ქვეყანაში ახალ სამუშაო ადგილებს ქმნის, ხელს უწყობს საქმიანი აქტიურობის გამოცოცხლებას;
- მიმღები ქვეყნის ბაზრის გაჯერება უცხოური ან ერთობლივი საწარმოების პროდუქციით დადებით გავლენას ახდენს ინფლაციის ზრდის ტემპის შემცირებაზე;
- ადგილობრივი სამრეწველო კომპანიები სიცოცხლისუნარიანობის შესანარჩუნებლად ზრდიან თავიანთი წარმოების ტექნიკურ-ეკონომიკურ

დონეს უცხოურ საწარმოთა შესაბამის მაჩვენე-ბლებამდე.

წარმოების ინტერნაციონალიზაციის პროცესის გაფართოებას ხელს უწყობს ისეთი ეკონომიკური ფაქტორების განვითარება და ურთიერთშეხამება, როგორებიცაა:

- შრომის საერთაშორისო განაწილების მაღალი დონე;
- კაპიტალის, გარკვეულწილად მისი განსაზოგადოების და კონცენტრაციის ოპტიმალური მოცულობის დაგროვება;
- საერთაშორისო მასშტაბით სამრეწველო საწარმოთა სპეციალიზაცია და კოოპერირება;
- მსოფლიო ბაზრის დაჩქარებული ფორმირება;
- კავშირგაბმულობის და სატრანსპორტო საშუალებებში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მაღალი ტემპი;
- საგარეო ვაჭრობის და პუი-ების ზრდის უპირატესი ტემპი ინდუსტრიის განვითარების დინამიკასთან შედარებით.

წარმოების ინტერნაციონალიზაციის ევოლუცია მჭიდროდაა დაკავშირებული შრომის საერთაშორისო განაწილების მოძრაობასთან, მიმართულებით საერთოდან კერძოსკენ, ბოლოს კი ცალკეულისკენ.

ვიწრო სპეციალიზაცია იყო ახალი ტიპის საწარმოთა და იმ დარგების წარმოქმნის პირველმიზეზი, რომლებიც ერთი ტექნოლოგიური ციკლით შეზღუდული ნახევარფაბრიკატების, კვანძების და დეტალების ნომენკლატურას უშვებდა. ასეთი საწარმოები იყო სამსხმელო, სამჭედლო-საშტამპო, საინსტრუმენტო ქარხნები. შრომის ცალკეული განაწილება ვრცელდებოდა იმიტომ, რომ ვიწრო სპეციალიზებულ საწარმოებში იყო წარმოების მინიმალური დანახარჯები. მაგალითად, წარმოების დიდმა დანახარჯებმა კომპანია «სიმენსი» (გფრ) აიძულა, 80-ანი წლების ბოლოს უარი ეთქვა ელექტო და ელექტრონული მოწყობილობის ყველა კომპონენტის დამზადებაზე თავის საწარმოებში (მისი 300 სპეციალიზებული ქარხნიდან დროთა განმავლობაში რენტაბელური მხოლოდ 100 დარჩა) და დაეწყო კვანძებისა და დეტალების შემენა მსოფლიო ბაზარზე.

მრეწველობის მეცნიერებატევადი დარგების საშინაო და საგარეო ბაზრებზე კონკურენციულ ბრძოლაში სულ უფრო დიდ როლს ასრულებს არა მარტო *სტანდარტიზებული პროდუქციის გაიაფება, არამედ ტექნოლოგიებისა და მოწყობილობის მუდმივი მოდერნიზაცია.*

საყოველთაო სწრაფვა, გამოუშვან მაღალტექნოლოგიური პროდუქცია, აიხსნება მისი წარმოების და გასაღების ეფექტიანობით. ინგლისელი ეკონომისტი დ. შეფერდი წარმოების მაღალტექნოლოგიურ მიმართულებებს ახასიათებს როგორც «დარგებს, რომლებშიც ამზადებენ უფრო მაღალი დამატებითი ღირებულების პროდუქციას, ხოლო საბაზრო ასპექტით – ისეთ პროდუქციას, რომლებიც უფრო მეტად მომგებიანია». 80-იან წლებში დასავლეთ ევროპის, იაპონიის და აშშ-ის უდიდეს კომპანიათა ტრადიციული სამრეწველო საქონლის (შავი და ფერადი ლითონის, ნაგლინის, ავტომობილების, ტექსტილის და სხვ.) გაყიდვის შედეგად მიღებული მოგება 3,7% იყო, ხოლო ახალი მეცნიერებატევადი საქონლის (ზუსტი ქიმიური ტექნოლოგიის, ფარმაცევტული საქონლის, კავშირგაბმულობის მოწყობილობის ელექტრონული სისტემების) რეალიზაციის დროს შესაბამისი მაჩვენებელი 5,1%-ს აღწევდა.

საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის გაფართოება მაღალტექნოლოგიურ დარგებში დაკავშირებულია იმასთანაც, რომ გაძვირდა და გართულდა სამეცნიერო-კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოები. მაგალითად, ფარმაცევტულ მრეწველობაში ახალი პრეპარატის შექმნა თუ 70-იან წლებში 16 მილიონი დოლარი ჯდებოდა და მას 4-5 წელიწადი სჭირდებოდა, 90-იან წლებში დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთ ფარმაცევტულ კომპანიაში პრეპარატის დამზადების მთელი პროცესი მსოფლიო ბაზარზე გასვლამდე შეფასდა 250 მლნ დოლარად და ამას მთლიანობაში 12 წელი დასჭირდა. ასეთი ხარჯების გაღების შესაძლებლობა რომ ჰქონდეთ, უდიდესი ფარმაცევტული კომპანიები აქტიურად თანამშრომლობენ საზღვარგარეთელ კოლეგებთან.

საგარეო-ეკონომიკურ კავშირურთიერთობის სპეციფიკა მრეწველობის მაღალტექნოლოგიურ დარგებში იწვევს მსოფლიო ბაზარზე ორგტექნიკის კომპიუტერულ სისტემებსა და საშუალებებზე მოთხოვნის ზრდას.

მსოფლიოში პატარა კომპანიების მნიშვნელობის ზრდაში დიდ როლს ასრულებს საგარეო-ეკონომიკური საქმიანობა. მაგალითად, აშშ-ში 150 ათას მცირე საწარმოზე მოდის ქვეყნის ექსპორტის მოცულობის 20%-ზე მეტი. ბევრი მათგანი ჩაბმულია წარმოების ინტერნაციონალიზაციის პროცესში. პირველ ეტაპზე ასეთი კომპანიები უცხოურ ფირმებთან შეთანხმებებს დებენ სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის ან ლიცენზიების გაცვლის შესახებ, შემდეგ კი ქმნიან ერთობლივ საერთაშორისო საწარმოებს. ლიცენზიების გაყიდვა მცირე კომპანიებს შესაძლებლობას აძლევს, მიიღოს მნიშნელოვანი მოგება სხვადასხვა გადასახადისა და როალტის[1] ფორმით საზღვარგარეთ მათი პროდუქციის წარმოების უფლების მიღებისთვის. მაგალითად, ამერიკის კომპანიებმა თავიანთი შენატანი საზღვარგარეთ ლიცენზიების გაყიდვის შედეგად 1979 წელს 6,2 მლრდ დოლარიდან 1997 წლისთვის 12 მლრდ დოლარამდე გაზარდეს.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, ბიზნესის განვითარებაში დაგროვილი დიდი მიღწევების შედეგად იკვეთება მომავლის ბიზნესის კონტურები. ბიზნესის ინტერნაციონალიზაცია 90-იან წლებში გაუგონარ მასშტაბებს აღწევს. განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს «საერთო ბაზრის» ქვეყნებს შორის საზღვრების ლიკვიდაცია, როდესაც ჩნდება საქონლის უნიფიცირებული სტანდარტები და ფასები საქონელზე და მომსახურებაზე.

ბუნებრივია, ეს ბადებს ახალ მოთხოვნებს ხელმძღვანელების, ბიზნესმენების მიმართ. ხვალინდელი ლიდერი ვალდებული იქნება შორს გაიხედოს, წინასწარ განსჭვრიტოს არაორდინალური შესაძლებლობები. უნდა გამოჩნდეს «გლობალური მენეჯერის» ტიპი, რომელიც მოერგება ნებისმიერ ქვეყანას, ეცოდინება ენები და ტრადიციები, არ ექნება ეროვნული უპირატესობები.

მომავლის ბიზნესისათვის დამახასიათებელი გახდება: მართვის დონეების რიცხვის მნიშვნელოვანი შემცირება. შესაბამისად, რამდენჯერმე გაიზრდება კონტროლის დიაპაზონი, რაც ადვილად იქნება მისაღწევი კომპიუტერიზაციით და ინფორმაციული ტექნოლოგიის განვითარებით; პროფესიულ ცოდნასთან ერთად ჰორიზონტალური და ვერტიკალური სტრუქტურების გამოყენების დროს დიდი როლი მიენიჭება მოლაპარაკებების წარმართვის ხელოვნებას, ხალხის იმაში დარწმუნების უნარს, რომ მათი ინტერესები ემთხვევა ერთმანეთს. ამასთან, ითვლება: რომ გაიმარჯვო პარტნიორზე, ან მიაქციო ის კუთხეში, ეს სულელური კონფეცფციაა. აუცილებელია ხანგრძლივპერიოდიანი ურთიერთობების დამყარების სწავლა; საწარმოო ურთიერთობებში სერიოზული ცვლილებების ერთ-ერთი ელემენტი მომავალ ათწლეულში გახდება მომუშავეთა მართვაში რეალური მონაწილეობის გაფართოება. ჰარვარდის ბიზნესის სკოლის პროფესორი რობერტ ხეიზი მენეჯერის ამოცანად თვლის: უახლეს მომავალში კომპიუტერი გახდება უფრო მეგობრული საშუალება და ხელმძღვანელებს არ მოუწევთ დიდი შრომა მათ გამოყენებაში; მოხდება მომხმარებელთა შორის ინფორმაციის დეცენტრალიზებული ცირკულირების გაფართოება, კომპანია «ქსეროქსის» ვიცე-პრეზიდენტი ხიკსი თვლის, რომ მისი კომპანიის მიერ შემოღებული დოკუმენტების დამუშავების ტექნოლოგია უახლოეს ათწლეულში გამოიწვევს «თეთრი საყელოების» რომის ნაყოფიერების ზრდას არა ნაკლებ 40%-ით; ყველაზე საუკეთესო იქნება ისეთი სისტემა იქნება, რომელიც შეკვეთის მიუხედავად უბრალოდ მოგვცემს პრინციპულად სხვა გადაწყვეტას, რათა მოგახსენოთ, რომ ყოველთვის არსებობს სხვა ხერხები პრობლემაში ჩასახედად. გამოიყოფა სიახლეებისა და მათი ეფექტურობის ამაღლების დაჩქარების ორი მიმართულება, რომლებიც ერთმანეთს ავსებენ. პირველი – უკავშირდება გამოკვლევებზე და ნამუშევრებზე კაპიტალდაბანდების და მიმდინარე დანახარჯების მნიშვნელოვან ზრდას (ეს გამოწვეულია იმით, რომ კონკურენციის პირობებში აუცილებელი ხდება ტექნოლოგიების სრულყოფა და ამაზე დიდი ხარჯების გაღება). განსაკუთრებულ როლს დაიჭერს სერვისი – მომხმარებელთა მომსახურება. საერთო აზრით, კონკურენციაში გაიმარჯვებს ის, ვინც შეძლებს მყიდველთა მომსახურების მნიშვნელოვნად გაიფართოებას, მისი ხარიხსის აამაღლებას და ფასების შეამცირებას. ზოგმა კომპანიამ ამისათვის სპეციალურად შეადგინა კომპიუტერული დოსიე თავის ყველა კლიენტზე. ამას გარდა, ელექტრონული ბაზა საშუალებას აძლევთ მათ მოახდინონ სისტემატიური აღრიცხვა ტელევიზორების, აუდიოსისტემების და სხვათა ტექნიკურ მზადყოფნაზე. მოსალოდნელია, რომ მსხვილ სავაჭრო ფირმებთან ერთად კვლავ ფართო პოპულარობას მოიხვეჭს მცირე «ოჯახური» მაღაზიები; მომსახურების განვითარების მნიშვნელოვანი ელემენტი ხდება ყოვლისმომცველი, ოპერატიული და კეთილსინდისიერი რეკლამა. პირველ რიგში ტელევიზიის გამოყენებით; ხვალინდელი დღის ლიდერებმა უნდა ეცადონ გამონახონ მომხმარებლებთან კონტრაქტის ახალი, სრულყოფილი გზები.

როგორც ირკვევა მომავლის დიდ პერსპექტივებს და შესაძლებლობებს, ახალ ტენდენციებსა და კანონზომიერებებს სახავს. რამაც მისი თითოეული რგოლის მაღალი კულტურა უნდა განაპირობოს.

საბაზრო ურთიერთობათა განვითარების თანამედროვე ეტაპზე, მსოფლიო გლობალიზაციის საერთო სისტემაში ორი ძირითადი ურთიერთდამაკავშირებელი სფერო გამოიყოფა:

ერთია – სოციალურ-ეკონომიკური სფერო, რომელიც წარმოების და მოხმარების სისტემათა ფუქციონირებას განსაზღვრავს და განაპირობებს, რაც ბიზნესის მოტივაციებს ეფუძნება;

მეორეა – ბუნებათსარგებლობისა და ბუნების დაცვის სფერო, რომელიც მთელი საწარმოო ციკლის მატერიალურ საფუძველსა და მასზე ზეგავლენის მომხდენ სისტემას წარმოადგენს.

გლობალიზაცია ახლა მოდაშია. ისე, როგორც თავის დროზე ბიზნესზე, მასზეც ბევრს წერენ და მსჯელობენ, იმართება სიმპოზიუმები, შეხვედრები, დისკუსიები და რაც მთავარია, იდება სახელმწიფოთაშორისი, კორპორაციათშორისი სხვადასხვა ქვეყნის ფირმებშორისი და ბანკთაშორისი კონტრაქტები და გარიგებები.

გლობალიზაცია მთელი სიგრძე-სიგანით დგას ჩვენს წინაშე. საქართველო, ისე როგორც სხვა ქვეყნები, გლობალიზაციის საერთო წრედშია მო-

ქცეული, რომელიც თანდათან ამტკიცებს თავის ძალხაზებს და გავლენის სფეროებს მსოფლიო ქვეყნებზე.

საქართველოს გლობალიზაციის პროცესში ჩასართავად მრავალი სფერო და მიმართულება გააჩნია, მაგრამ არის ისეთი დარგები, რომლებიც ნაკლებად ექვემდებარებიან ამ პროცესს. ასეთი დარგია სოფლის მეურნეობა, ნიადაგურ-კლიმატური უნიკალურობით და ზონებისა და მიკროზონების მიხედვით მკვეთრად განსხვავებული და ცვალებადი ბუნებრივ-ეკონომიკური გარემოთი.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში რაციონალურად შეიძლება გამოვიყენოთ ინვესტიციები, საექსპორტო-საიმპორტო სისტემები, ტექნოლოგიური სიახლეები და სხვ., რაც გლობალიზაციის ელემენტებს შეადგენს.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში ძირითად პრიორიტეტებად გამოიყო დიდი ტრადიციებისა და ფართო პოტენციური შესაძლებლობების პერსპეტქივების მქონე დარგები, როგორიცაა: მევენახეობა და ნიშანდობლივ, სამრეწველო მევენახეობა, ასევე სამრწველო მეხილეობა და სუბტროპიკული მიწათმოქმედების ძირითადი დარგები, მეჩაიეობა, მეციტრუსეობა და მათ ბაზარზე მომუშავე კვების მრეწველობის დარგები.

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიული პოზიციის ჩამოყალიბებისას აღსანიშნავია, რომ შრომის ინტეგრირების კოოპერირებისა და საერთაშორისო საზოგადოებრივი დანაწილების, როგორც დღევანდელი, ისე თვალსაწიერი პერსპექტივის მოთხოვნებიდან გამომდინარე მისი სპეციალიზაცია ისტორიულ-ტრადიციული მოდელიდან დიდ და რადიკალურ გადახრას არ ექვემდებარბა. ეს იმას ნიშნავს, რომ სავენახე ფართობებს კვლავ ვენახი დაიკავებს, სახორბლეს – ხორბალი, სასიმინდეს – სიმინდი, სუბტროპიკული ზონის სივრცეს – ჩაი, ციტრუსი, სუბტროპუკული ხილი და ა.შ.

საქართველო გლობალიზაციას გვერდს ვერ აუვლის. ჩვენ გონივრულად უნდა ჩავერთოთ მის შეუქცევად პროცესებში. ამისათვის საჭიროა სწორი ორიენტაცია და გამართლებული სტრატეგია, რამაც უნდა აამაღლოს ქვეყნის როლი მსოფლიო თანამეგობრობაში.

NATO GEGENAVA

PROPERTIES OF MODERN GLOBAL BUSINESS

Summary

In the conditions of modern globalization the world becomes more increasing not predicted. Therefore, by consideration of global business from the point of view of global visibility, we shouldn't forget that is necessary will be measured with changeability both an external and internal environment.

At the present stage of development of market communication, in system of world globalization two interconnected spheres are allocated: the first – the social and economic sphere which defines functioning of systems of production and the use, and the second – spheres of protection of the nature and the use by natural resources which is a material basis of the whole production cycle and system influencing it.

Conception of globalization and its urgency it is defined by modern world order. On it and Georgia not should remain in are far from it. We should reasonably will join in modern processes. The correct orientation and justifiable strategy is for this purpose necessary, as will increase a country role in world commonwealth.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯოლია გ., სეხნიაშვილი დ. ეკონომიკური გლობალიზაციის თანამედროვე პრობლემები. ჟურნ.: ,,სოციალური ეკონომიკა'', №6 (18), 2011.
2. აბრალავა ა., ეროვნული ეკონომიკა და გლობალიზაცია. თბ., გამომცემლობა ,,ინოვაცია'', 2005.
3. ასათიანი რ. გლობალიზაცია: ეკონომიკური თეორია და საქართველო, სახელმძღვანელო, თბ., გამომცემლობა ,,სიახლე'', 2010.
4. გრიშიკაშვილი ა. საქართველო გლობალურ სამყაროში, თბ., 2010.

თინათინ ღოლაძე

კონკურენტუნარიანობის ამაღლების სტრატეგიები

არსებულ ბაზარზე თავისი პოზიციების შესანარჩუნებლად, ახალ ბაზრებზე შესაღწევად, საწარმომ ზუსტად უნდა ჩამოაყალიბოს ამოცანა და განსაზღვროს ოპტიმალური მარკეტინგული სტრატეგია.

ჩვენს ქვეყანაში აქტუალურია პროდუქციის ფასთა შორის კონკურენცია, ასევე კონკურენცია პროდუქტის ხარისხზე, რის შედეგადაც ფირმები მყარ რეპუტაციას მოიპოვებენ.

შეგვიძლია გამოვყოთ კონკურენტული სტრატეგიების ყველაზე მნიშვნელოვანი სახეობები: პროდუქტი, ფასები, პერსონალი, კონკურენციები, ინოვაციები.

განვიხილოთ და დავასაბუთოთ სტრატეგიის ეს სახეობები. ნებისმიერი საწარმოს მთავარი მიზანია მაქსიმალური მოგების მიღება და ბიზნესის გაფართოება. განვიხილოთ ცალცალკე თითოეული მათგანი.

სხვადასხვა კომპანია სხვადასხვა სტრატეგიას იყენებს მოგების მისაღებად, ერთერთი ასეთი სტრატეგიული მეთოდია ახალი კლიენტების მაქსიმალური რაოდენობით მოზიდვა, რომელიც იწვევს გაყიდვების მოცულობის ზრდას და საბოლოო ჯამში გვაძლევს მაქსიმალურ მოგებას და უზრუნველყოფს კომპანიის რეპუტაციის გამყარებას, ამასთან გულისხმობს კონკურენტებისათვის კლიენტების წართმევას.

მოგების მიღება ასევე შესაძლებელია ფასების ზრდის შედეგად, თუმცა ფასების ზრდა იწვევს პროდუქციის რაოდენობის მნიშვნელოვან შემცირებას და შესაბამისად კლიენტების დაკარგვას. ამიტომ სასურველია კომპანიამ საკუთარი პროდუქცია გაყიდოს ოპტიმალურ ფასად, მოგების საკმარისი ნორმის მიღების მიზნით, რაც შემდგომში წარმოების გაფართოების შესაძლებლობას იძლევა და ასევე ამყარებს კომპანიის რეპუტაციას კლიენტის თვალში.

თუკი კომპანიის შემოსავლების ზრდას არ მოჰყვა შრომის ანაზღაურების ზრდა, შეიძლება გამოიწვიოს თანამშრომელთა გარკვეული უკმაყოფილება. შედეგად დგება კადრების დენადობის პრობლემა, რაც იწვევს დამატებით ხარჯებს კადრების შევსებისა და ახალი სპეციალისტების მომზადებისათვის. ამიტომ მენეჯერმა მუდმივად უნდა მოახდინოს ბაზარზე ხელფასების საშუალო დონის შეფასება, რაც შესაძლებელია თუნდაც გამოქვეყნებულ ვაკანსიებზე დაყრდნობით, თვალყური ადევნოს კონკრეტულ სფეროში ხელფასების საშუალო დონეს.

რაც შეეხება მეორე მიზანს, ბიზნესის გაფართოებას, ამ მიმართულებით კომპანიას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზანი:

- ლიდერული პოზიციების დაკავება დარგში ან რეგიონში;
- ბაზრის უდიდესი წილის მოპოვება;
- კონკურენტული უპირატესობა;
- სანდო რეპუტაციის მოპოვება.

კომპანიის ხელმძღვანელებს შორის ჩატარებული მცირე ინტერნეტ გამოკითხვის შედეგად დადგინდა, რომ ბიზნესში მენეჯერები უპირატესობას ანიჭებენ მომხმარებელში სანდო რეპუტაციის მოპოვებას, რაც მიიღწევა კონკურენტებზე უპირატესობით საქმიანობის ძირითადი მახასიათებლების მიხედვით, პროდუქციის ხარისხისა და მისაღები ფასების შეხამებით, მომსახურების მაღალი დონით და ეფექტური რეკლამით.

ლიდერული პოზიციების დაკავება დარგში ან რეგიონში	5	22%
ბაზრის უდიდესი წილის მოპოვება	1	4%
კონკურენტული უპირატესობის მოპოვება	5	22%
მომხმარებელში სანდო რეპუტაციის მოპოვება	11	48%

ინტერნეტ გამოკითხვა მაღალი რგოლის მენეჯერებს შორის

რაც შეეხება ბაზარზე კომპანიის პროდუქტის განვითარების სტრატეგიას, იგი მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

პირველი ეტაპი:

- მარკეტინგული კვლევა;
- დარგის მოთხოვნილებების განსაზღვრა;
- კონკურენტული ანალიზი;
- არსებული და პოტენციური პარტნიორების შესაძლებლობებისა და საიმედოობის შეფასება;
- კომპანიის არსებული ბრენდებისა და სავაჭრო მარკების ანალიზი.

მეორე ეტაპი:

ბიზნეს გეგმის შედგენა შემდეგი მიმართულებების გათვალისწინებით:

- საქონლის ასორტიმენტი;
- ფასი;
- ხარისხი;
- სასაქონლო მარაგის მოცულობა;
- მომსახურება;
- რეკლამა.

მესამე ეტაპი:

პროდუქტის განვითარების სტრატეგიის შემუშავება, სტრატეგია მოიცავს:

- პროდუქტის სამომხმარებლო თვისებების გაუმჯობესებას;
- გადახდისუნარიანი მოსახლეობის აღირცხვას;
- ვაჭრობის ეფექტური სისტემის ჩამოყალიბებას;
- ბაზრის ანალიზს.

სტრატეგიის განხორციელება ხდება შემდეგი თანმიმდევრობით:

- ბაზრის ანალიზი მისი მდგრადობის, ტევადობის, საბაზრო წილის და კონკურენციის გათვალისწინებით;
- წარმატების მიღწევის კრიტერიუმის განსაზღვრა, რომელიც უზრუნველყოფს რეალიზაციის ეფექტურ სისტემას, პროდუქტის ფასის, ხარისხის, მიწოდების სტაბილურობის, პერსონალის კვალიფიკაციისა და სხვა მაჩვენებლების გათვალისწიებით. მისი შედგენისას ითვალისწინებენ კლიენტის გადახდისუნარიანობას და მისი ცვლილების პერსპექტივებს;
- პერსონალსა და კომპანიის ხელმძღვანელობას შორის უკუკავშირის განხორციელება.

ასევე მნიშვნელოვანია სწორად მოხდეს კომპანიის მიერ კონკურენტული სტრატეგიების ფორმირება. როგორც წესი კონკურენციის სტრატეგია ბიზნესში დაფუძნებულია კონკურენციის ზეგავლენის სისტემატიურ კვლევაზე. შეიძლება გამოვყოთ სამი მთავარი კონკურენტული სტრატეგია:

- კონკურენციის ზეგავლენის შესუსტება;
- საკუთარი კომპანიის ზეგავლენის გაძლიერება;
- კონკურენციის ზეგავლენის ნეიტრალიზება და ჩახშობა;

განვიხილოთ ცალცალკე თითოეული მათგანი:

კონკურენციის ზეგავლენის შესუსტება:

ამ მიმართულების არსი მდგომარეობს კონკურენტებისთვის საწარმოო ნედლეულის მიწოდების შესაძლებლობების შეზღუდვაში, ანალოგიური არხებით საკუთარი შესყიდვების განხორციელების ხარჯზე. კონკრეტულად კი მომწოდებლებს სთავაზობენ შესყიდვების უფრო ხელსაყრელ პირობებს. ისინი კერძოდ, შეიძლება მოხიბლოს გრძელვადიანი კონტრაქტის ფორმამ, საწესდებო კაპიტალში მონაწილეობამ, ინვესტიციებმა მათი წარმოების განვითარებაში.

მისაღებია ასევე აქტიური ქმედებები კლიენტების მოსაზიდად.მაგ: პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესება, ფასების შემცირება, სარეკლამო საშუალებების ეფექტური გამოყენება იმავე გავრცელების ადგილებში, სადაც ავრცელებენ კონკურენტები.

საკუთარ კომპანიის ზეგავლენის გაძლიერება:

ამისათვის აფართოებენ გამოსაშვები პროდუქციის ასორტიმენტს, თვალყურს ადევნებენ, რომ კონკურენტების ანალოგიურ საქონელზე საშუალო ფასები არ იყოს იმაზე მეტი, ვიდრე საკუთარზე. აუმჯობესებენ პროდუქტის ხარისხს, განსაკუთრებით კი იმ პროდუქტისას, რომელიც უზრუნველყოფს გაყიდვების უდიდეს მოცულობას. წარმატების მიღწევის უპირველესი პირობაა სერვისის განვითარება, მომსახურების გაუმჯობესება, ფასდაკლებების ეფექტური სისტემა, შეღავათების სისტემა მუდმივი კლიენტებისათვის, ანაზღაურებისა და მომსახურების სხვადასხვა ფორმები.

კონკურენტების ზეგავლენის ნეიტრალიზაცია და ჩახშობა:

ეს არის იძულებითი ზომა კონკურენტების მოქმედების საპასუხოდ და ხორციელდება მასირებული შეტევით ყველა მიმართულებით ხარისხის გაუმჯობესების, ფასების საშუალო დონის შემცირების, ნომენკლატურისა და ასორტიმენტის გაუმჯობესების, საქონლის მარაგის გაზრდის, სერვისის გაუმჯობესების ჩათვლით.

კონკურენციის ზეგავლენის ჩახშობა ასევე შეიძლება დროებითი სარეკლამო საშუალების შექმნის გზით დროის მოკლე პერიოდში, რომლის ხანგრძლივობას აკონტროლებენ კონკურენციის ჩახშობის, შედეგების და კონკურენტების რაოდენობის გაზრდის გზით.

კონკურენტუნარიანობის განსაზღვრის კრიტერიუმებად შეიძლება დავასახელოთ შემდეგი:

- პროდუქციის და ნედლეულის ხარისხი;
- პროდუქციის ასორტიმენტი;
- პროდუქტის სიახლის დონე;

- წარმოებისა და მართვის მაღალი დონე.

ბიზნესში კონკურენციის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ საშუალებად ითვლება ახალი პროდუქტის შექმნა და მისი შექმნის ციკლის დროის შემცირება. ამ პროცესს მთელი რიგი უპირატესობები გააჩნია:

- გაცილებით მარტივია ახალი მომხმარებლების მოზიდვა და შესაბამისად ბაზრის წილის გაზრდა;
- პროდუქტის დროის ციკლის შემცირება ხელს უწყობს უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებას;
- შესაძლებლობას იძლევა ახალი პროდუქტი წარმოებაში კონკურენტებზე უფრო სწრაფად დაინერგოს.

ასევე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფისათვის არის პროდუქტების შექმნა და დაპროექტება მომხმარებლის პოზიციიდან გამომდინარე.

ეს პროცესი შესაძლოა განხორციელდეს:

- მომხმარებლის უშუალო მონაწილეობით ახალი პროდუქტის შექმნის პროცესში;
- მომხმარებელთა მიზნობრივი ჯგუფის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

TINATIN GHOLADZE

STRATEGY OF INCREASE OF COMPETITIVENESS

Summary

The correct formulation of strategies for increasing the competitiveness of enterprises is an important component for company development and the creation and definition of this strategies is a prerogative of the marketing department. These and other issues related to competitiveness discussed in the article.

The article describes the types of competitive strategies, which should be the main focus of the company's management, to ensure that these strategies will come into compliance with the company's main objectives.

The article discusses the specific strategic methods, which are elected by the company's main goal, to win and achieve the expected results of these methods.

The company's business development managers often choose different targets ,in this article is given the online survey results, according which most managers prefer to build the customer loyalty and reliable reputation.

The article also provides product development, as well as the main competitive strategies, which focus on the enhancement of competitiveness and growth.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნადირაშვილი გ. ახალი ტენდენციები ბაზრის სახელმწიფოებრივ რეუირებაში ''მარკეტინგის აქტუაური საკითხები'', თბილისის უნიერსიტეტის შრომათა კრებული,2004;
2. ნადირაშვილი გ. მარკეტინგის პრიორიტეტლი როლი საბაზრო ეკონომიკაში, ''მარკეტინგის აქტუალური საკითხები'', თბილისის უნივერსიტეტის შრომათა კრებული,2004;
3. ურუტაძე ე. მარკეტინგის ფექტიანობის განსაზღვრის ახალი მეთოდიკა, ''მარკეტინგის აქტუალური საკითხები'',თბილისი უნივერსიტეტის შრომათა კრებული,2004;
4. ნადირაშვილი გ., ჯაში ჩ., მარკეტინგი ბიზნესის ფილოსოფია, საქონელმცოდნეობა კომერციული საქმიანობის საფუძველი, ''მარკეტინგის აქტუალური საკითხები'', თბილისის უნივერსიტეტის შრომათა კრებული, 2004;
5. თოდუა ნ., მარკეტინგი და პროდუქციის კონკურენტუნარიანობის მართვის პრობლემა ,ეკონომიკა, 1994;
6. Ламбен Ж.-Ж. Стратегический маркетинг- СПБ:Наука,1996-589;
7. Лавров С.Н.,Злобин С.Ю .Основы маркетинга промышленных оьъектов. М внешторгиздат, 1989-216;
8. Моисеева Н.К., Конышева М.В., Управвление маркетингом: теория, практика информационные технолгогии .-М. Финансы и статистика 2005-416;
9. О'Шоннесси ДЖ .Конкурентный маркетинг ,стратегический подход/ Пер.с англ.Под .ред Д .О Ямпольской.-СПБ Питер, 2002-864;
10. Портер М.Конкурентная стратегия.Методика анализа отраслей и конкурентов. М .Альпина бизнес букс.2005-454;
11. Азоев Г.Л Конкуренция:анализ, стратегия и практика-М.ЦЭИМ, 1996-207;
12. Азоев Г.Л. Челенков А.П Конкурентные преимушества фирмы- М.ОАО ''типография ''новости'', 2000.-256.

იგორ კვესელავა

თანამედროვე კაპიტალიზმის დასასრული?

თუ ისტორიკოს პიტერ ჰეილის თეზას გავიზიარებთ, რომ «ისტორია დაუსრულებელი პოლემიკაა», იმ დასკვნამდე შეიძლება მივიდეთ, რომ «ისტორიის დასასრულის» ეპოქა არასოდეს დადგება, მაგრამ ისტორიამ შეიძლება იკამათოს და განსაჯოს საკაცობრიო პრობლემები, რომლებიც უკანასკნელ პერიოდში გაჩნდა ჩვენს სიახლოვეს და თავისი მასშტაბურობით ღრმა დაფიქრებისაკენ გვიბიძგებს.

საკითხი ეხება თანამედროვე «კაპიტალიზმის დასასრულის» პრობლემას, რომელიც «სიბერის» განუკურნებელმა სენმა მოიცვა და ხსნის გზებს ეძებს.

2012 წლის იანვრის ბოლოს შვეიცარიის ქალაქ დავოსში მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე შეკრებილმა ეკონომიკური, პოლიტიკური და სამეცნიერო ელიტის ცნობილმა სახეებმა, არა მარტო მოახდინეს მსოფლიო უღრმესი ეკონომიკური კრიზისის ფაქტის კონსტატაცია, არამედ აღიარეს, რომ დღევანდელი ფორმატით კაპიტალისტურმა სისტემამ თავისი თავი ამოწურა.

დავოსში არც ისე ცოტა დრო დაეთმო დისკუსიებს ევროზონის შესახებ, მაგრამ ძალიან სწრაფად გაირკვა, რომ დღევანდელი პრობლემები – ერთიანი ევროპული ვალუტის შესახებ, სოციალური პროტესტები, რევოლუციები ახლო აღმოსავლეთში, საზოგადოებრივი მოძრაობა «დაიკავე უოლ სტრიტი» და სხვები, თანამედროვე კაპიტალიზმის ავადმყოფობის ცალკეული სიმპტომებია. საერთაშორისო სავალუტო ფონდის დირექტორ-განმკარგულებელმა ქრისტინა ლაგარდმა, მსოფლიოს მოუწოდა ეძებონ ყველაზე გადამწყვეტი მეთოდები პრობლემის გადასაჭრელად, მითუმეტეს, ცენტრალურ ბანკებთან ფინანსური სისტემის დარეგულირება და მთავრობის მხრიდან მომავალში მრავალმილიარდიანი საბიუჯეტო სტიმულირება, არ არის პრობლემის მოგვარების გზა.

დავოსის ფორუმზე ეკონომიკური ელიტის ცნობილი წარმომადგენელი, კლაუს შვაბა ირწმუნებოდა, რომ «კაპიტალიზმმა ამოწურა თავისი თავი და აბსოლუტურად არ ეწერება თანამედროვე მსოფლიოს მოდელში», აშშ-ის ფინანსთა ყოფილი მინისტრის, ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორის, ლარი სამერსის მტკიცებით: «ჩვენ ვდგევართ ეკონომიკის ცვლილების წინაშე, რომელიც იქნება ისეთი სერიოზული, როგორც თავის დროზე იყო ინდუსტრიალიზაცია».

საინვესტიციო ფონდის მმართველმა სარლულე დევიდ რუბინშტეინმა თავისუფალი ბაზრის დასავლეთის მოდელს 3-4 წლის არსებობა უწინასწარმეტყველა და მისი სასწრაფოდ შეცვლის აუცილებლობაზე გააკეთა აქცენტი. დავოსში ისიც გაისმა, რომ კაპიტალიზმმა XX საუკუნეში დაამთავრა თავისი წარმატების დემონსტრირება, მოძველდა და ნგრევით დაემუქრა XXI საუკუნის საზოგადოებას. შესაბამისად, დადგა დრო მისი დასასაფლავების შეკვეთის მისაცემად.

საყურადღებო და სიმბოლურია ის ფაქტი, რომ დავოსში კაპიტალიზმის ყოფნა-არყოფნის დისკუსიის ინიციატორებად გამოვიდნენ არა მხოლოდ მეცნიერები და პოლიტიკოსები, არამედ უმსხვილესი კაპიტალის წარმომადგენლები: ბ. გეიტსი, ჯ. სოროსი, ვ. პინჩუკი და სხვები. საგულისხმოა, რომ, ფაქტიურად, დისკუსიის დასაწყისს, სათავე დაუდო ფორუმის წინ, გაზეთ «The Financial Times»-ში გამოქვეყნებულმა სტატიამ, სახელწოდებით «კაპიტალიზმი – უმძიმესი დრო». მისი ლაიტმოტივი გახდა თეზა: «ადამიანებმა შეწყვიტეს კაპიტალიზმის ნდობა: სისტემა ჩამოიშალა». სხვათაშორის, გამოკითხვის შედეგად, ფორუმის მონაწილეთა 70 პროცენტმა გაიზიარა მოსაზრება, რომ «სისტემა გაჭირვებაშია».

ცხადია, თანამედროვე კაპიტალიზმის პრობლემა ყურადღების მიღმა არ დარჩენიათ მეცნიერული წრეების წარმომადგენლებსაც. საკითხი კაპიტალიზმის ისტორიული დასასრულის შესახებ რამდენიმე ათეული წელია განიხილება სამეცნიერო გამოცემებში. მათ შორის საყურადღებოა, აშშ-ის ერთ-ერთი ცნობილი ეკონომისტის, პიტერ დრიუკერის 1993 წელს გამოცემული წიგნი: «პოსტკომუნისტური საზოგადოება». 2003 წელს დაიბეჭდა მსოფლიოს ერთ-ერთი ავტორიტეტული სოციოლოგის ემანუილ ვალლერსტაინის ნაშრომი: «ნაცნობი მსოფლიოს დასასრული». ამ წიგნში და სხვა გამოცემებში მეცნიერი ირწმუნება, რომ «კაპიტალიზმი ცდილობს გააკეთოს უკანასკნელი ამოსუნთქვა, ახალი სუნთქვის შეძენის გარეშე». მისი აზრით, ჩვენ ვცხოვრობთ რაღაც ახალი, მსოფლიო სისტემის გადასვლის ეპოქაში. 2012 წლის იანვარში აღნიშნული პრობლემა გააანალიზა უკრაინელმა მეცნიერმა ანატოლი გალჩინსკიმ სტატიაში «კაპიტალიზმის საზღვრებს მიღმა». მისი აზრით, ამ საკითხში მეცნიერება არ დუმს, თუმცა, მას ყოველთვის არ უსმენენ. კაპიტალიზმის წინააღმდეგ დაიწყო «მოძრაობა «ქვემოდან», ანუ

«ზეგავლენა ქუჩიდან», რომელიც არ არის მხოლოდ მეცნიერული ტრაქტატი, არამედ მდიდრებსა და ღარიბებს შორის დაპირისპირების სერიოზული გამოძახილია. ცხადია, ცალკეულ მილიარდელს შეუძლია შემოსავლების რაღაც ნაწილი გაიღოს ღარიბთა კეთილდღეობისათვის, მაგრამ ეს არ არის პრობლემის გადაწყვეტა, მას არ შეუძლია აღმოფხვრას სისტემური წესრიგის დაპირისპირება. თუ კაპიტალიზმი ამთავრებს თავის არსებობას, მის მიმართ გაწეული ე.წ. «სარემონტო» სამუშაოები ფუჭი იქნება და პრობლემას ვერ მოხსნის. მითუმეტეს, ვალლერსტაინი დაბეჯითებით გვარწმუნებს, რომ **კაპიტალიზმი, როგორც მსოფლიო სისტემა 50 წელიწადში საერთოდ არ იარსებებს**. ამასვე ადასტურებს გამოჩენილი ამერიკელი მეცნიერი ელვინ ტოფლერიც. ის მიუთითებს არსებულ პროცესებზე, როდესაც «იცვლება ყველაფერი», ცხადია, მეცნიერს აქ მხედველობაში აქვს საზოგადოების ინსტიტუციონალური ცვლილება, როგორც მისი ფუნქციონალური, ისე მსოფლმხედველობრივი საფუძვლების ჩათვლით.

უდავოა, ამაში დევს თავისი ლოგიკა. კაპიტალიზმი ადეკვატურია ინდუსტრიალიზმზე, რომლის ფუნდამენტზე მოხდა მისი გენეტიკური ბირთვის ფორმირება. ახლა კი ინდუსტრიალიზაციის ეპოქა წარსულს ბარდება და მის შესაცვლელად მოდის პოსტინდუსტრიალიზმი, რომლის მატერიალური, სოციალური და სულიერი წანამძღვრები კაპიტალიზმის მიერ არის შექმნილი. შესაბამისად, ამაში მდგომარეობს მისი ისტორიული დამსახურებაც.

ამავე დროს, კაპიტალიზმმა დაიწყო თავისი თავის უარყოფა. მის წიაღში წარმოიშობა ახალი სტრუქტურები, რომლებიც ინარჩუნებენ კაპიტალიზმის ნიშან-თვისებებს, მაგრამ, იმავდროულად, უარყოფენ კაპიტალიზმის სპეციფიკას. აქ შეგვიძლია ანალოგია გავავლოთ ფეოდალიზმთან, რომელიც თავის დროზე ჩამოყალიბდა აგრარული ცივილიზაციის ფუნდამენტზე და ისტორიული არენიდან წავიდა, როგორც ცივილიზაციური განვითარების შესაბამისი საფეხური.

მეცნიერები იმ დასკვნამდე მიდიან, რომ თანამედროვე ვითარებაში არ ხდება კაპიტალიზმის რევოლუციური უარყოფა მარქსის პრინციპით «ექსპლუატირებულები ექსპლუატატორთა წინააღმდეგ», არამედ წინწამოწეულია უარყოფის ლოგიკა, რომელიც თავის დროზე გააჟღერა XX საუკუნის პირველი ნახევრის დიდმა მეცნიერმა, იოზეფ შუმპეტერმა. **ესაა «კონსტრუქციული უარყოფის» ლოგიკა, რომელიც გულისხმობს უარყოფას მხოლოდ განვითარების გზით. საზოგადოება აუცილებლად დაემშვიდობება კაპიტალიზმს, მისი მიღწევები მას ზედმეტს და არასაჭიროს გახდის. ამ აზრით, სრული საფუძველი გვაქვს «კაპიტალიზმის დასასრული» გამოვაცხადოთ, როგორც მისი ტრიუმფი. თუმცა, იმავე ლოგიკით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ მოხდა კაპიტალიზმის ტრიუმფიც და ტრაგედიაც.**

თანამედროვე კაპიტალიზმის სისტემის ყავლაგასულობის შესახებ დაუფარავად ლაპარაკი, ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში დაიწყეს დასავლეთელმა მეცნიერებმა, პოლიტიკოსებმა და სახელმწიფო მოღვაწეებმა. ერთ-ერთი პირველი, ვინც ამ პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება, იყო ამერიკის ვიცე-პრეზიდენტი ალბერტ გორი. მის წიგნში **«დედამიწა სასწორის თეფშზე» ვკითხულობთ: «ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემა სადღეისოდ იმდენად არის გაცვეთილი და ბოროტად გამოყენებული, რომ ეროვნული განვითარების გზაზე გონივრული არჩევანის უნარი არ არსებობს. კაპიტალიზმის მოდელი ამოიწურა, ხოლო მისი გამეორება ცივილიზაციას სრულ კრახამდე მიიყვანს».**

უდავოა, სხვადასხვა ეპოქებს აქვთ დაბადებისა და დასასრულის პერიოდი და ზოგადი კანონზომიერებიდან გამომდინარე, კაპიტალიზმიც ექვემდებარება შეცვლას. ცხადია, ახლა ძნელია გადაჭრით ვიწინასწარმეტყველოთ რა სისტემაში მოუწევს მსოფლიოს მომავალში ცხოვრება, მაგრამ ანგარიშგასაწევია მეცნიერთა (ი. ფრანგიშვილი) ვარაუდი იმის შესახებ, რომ შესაძლოა ეს იყოს უფრო ჰუმანისტური, საზოგადოებრივ-ეკონომიკური სისტემა – **დასავლური სოციალიზმი ან სოცკაპიტალიზმი, რომელიც, სავარაუდოდ, 400-500 წელს იარსებებს.** აღნიშნულ საზოგადოებაში მოხდება კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემის ძირითადი მონაპოვრების შერწყმა. შორეულ მომავალში კი **მას ჩაენაცვლება უფრო ზეპიროვნული სისტემა – ჰარმონიული საზოგადოება. თუმცა, მკვლევართა გაანგარიშებით, იგი ხანმოკლე იქნება და მისმა არსებობამ სულ 100-150 წელი უნდა მოიცვას.**

აღსანიშნავია, რომ ახალი საზოგადოების გაზრებისა და მომავლის შესაძლო სურათის შექმნის პროცესს, თან სდევს მის სახელდებასთან დაკავშირებული პრინციპული დისკუსიები. ერთ-ერთი პირველი, ვინც, 1959 წელს, ახალი ეპოქის შესახებ გამოთქვა მოსაზრება და ის პოსტინდუსტრიულად მოიხსენია, იყო ამერიკელი მეცნიერი – დ. ბელი. დღეისათვის ახალი ეპოქის ათობით ცნებაა ცნობილი. მათ შორის შეიძლება გამოვყოთ: **პოსტმოდერნისტული, პოსტკაპიტალისტური, პოსტეკონომიკური, ინფორმაციული, მომსახურეობითი, ცოდნის, ტექნოტრონული, პროგრამირებული, სუპერინდუსტრიული და სხვა საზოგადოებები**.

უნდა გავიცნობიეროთ ისიც, რომ ერთი საზოგადოებრივი წყობის მეორით ჩანაცვლებამდე,

აუცილებელია გარდამავალი ეტაპის გავლა. თუმცა, ასეთ შემთხვევაში, შეუძლებელია წინასწარ ვილაპარაკოთ ახალი საფეხურის სრულყოფილი სურათის შექმნაზე. მითუმეტეს, მოსალოდნელია, სპეციფიკური ნიშანთვისებების, მახასიათებლების თუ მოვლენათა განვითარების შესაძლო ტენდენციების გამოვლენა.

მეცნიერულ ლიტერატურაში ხაზს უსვამენ, რომ კაპიტალიზმის დამხობა გაგებულ უნდა იქნეს, როგორც კონსტრუქციული ობიექტურობა. ამ კონტექსტში ასახსნელია თეზისი, რომელიც ეხება კაპიტალიზმის მიერ წარმოშობილ ახალ სტრუქტურებს და ზოგადად კაპიტალიზმის საზღვრებს. დღეს არავინ დავობს კაპიტალიზმის ისტორიული განვითარების კანონზომიერებებზე, რომელშიც ადამიანი არ არის მხოლოდ «წარმოების სუბიექტი», არამედ ეკონომიკური პროცესის უშუალო მონაწილეა, რომელის მის მიერ არჩეულ თავისუფლების პარამეტრებს აღრმავებს არსებული ეკონომიკური ურთიერთობების ჩარჩოებში, თუმცა, აქ ბევრი რამ უსაზღვრო არ არის, მითუმეტეს რომ მოქმედებს პრინციპი: **«იყო», «არის» და «არ არის».**

სხვათაშორის, მეცნიერები ხშირად საუბრობენ მაღალ ფასეულობებზე – არჩევის თავისუფლება, ადამიანის კეთილდღეობა, თანასწორობა და ა.შ., მაგრამ ბევრ შემთხვევაში ეს სენტენცია რეალურად ძალიან შორსაა მილიონობით ადამიანისაგან. მაგალითად, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, სახელმწიფო გადატრიალების საშუალებით ხელისუფლების სათავეში მოსულმა ძალებმა «ველური კაპიტალიზმის» გზა აირჩიეს თავიანთი ქონებრივი მდგომარეობის გასაძლიერებლად და საქართველო სახელმწიფო ქონების მიტაცების ბუმმა მოიცვა. პრივატიზაციამ სახელმწიფო ქონების «პრიხვატიზაციის» ფორმა მიიღო და ადამიანები სიღატაკეში აღმოჩნდნენ. სოციალური უთანასწორობა გაღრმავდა და საზოგადოების დიდი ნაწილი ღატაკთა და ღარიბთა ფენად ჩამოყალიბდა.

შევარდნაძის მმართველობაში ჩამოყალიბება დაიწყო ახალმა კლასმა – ხელისუფლების ნომენკლატურამ, რომელიც არც თესავდა და არც აშენებდა, ქურდობდა, ძარცვავდა ქვეყანას და ამაყობდა, რომ მოახდინა ე.წ. «დემოკრატიული რევოლუცია». ფაქტობრივად, ქვეყანაში დაიწყო «ნაძარცვის ძარცვა» და სახელმწიფო ქონების დიდი ნაწილი აღმოჩნდა შევარდნაძის პოლიტიკური კლანის ხელში. შესაბამისად, მათ «ბუბლიკი» ერგოთ, ხოლო საზოგადოების დიდ ნაწილს კი მისი ხვრელი. ამ პერიოდში არ გადადგმულა ნაბიჯები ნორმალური ეკონომიკური სისტემის შესაქმნელად და ღია, კერძო საკუთრების დასამკვიდრებლად, რამაც ხელი შეუწყო მონოპოლიისა და მაფიის გაძლიერებას. საკუთრება ზოგადასაკაცობრიო ფასეულობაა, მაგრამ, ამ ახალი აზროვნების დამკვიდრებას ქვეყანაში ოფლითა და გამოცდილებით კი არ ცდილობდნენ, არამედ ნომენკლატურის პროპაგანდისტული კამპანიით.

ძველი ხელისუფლების შეცვლის მიუხედავად, სოციალურ-ეკონომიკური პროცესები შესამჩნევად წინ ვერ წავიდა, რაც სოციალური მღელვარების საშიშროებას ქმნის და გამორიცხული არ არის ქვეყანაში გაძლიერდეს სოციალური მოძრაობა ლოზუნგით **«დაიკავე რუსთაველი».**

მართალია, ცალკეული მეცნიერები, ამერიკაში განვითარებულ ეკონომიკურ პროცესებს ადარებენ 1930 წლის «დიდ დეპრესიას», მაგრამ ბევრი მიიჩნევს, რომ ახლა ქუჩაში გამოვიდა «საშუალო კლასი», რაც იმის მიმანიშნებელია, რომ კაპიტალიზმი კარგავს თავის სოციალურ საფუძველს – საშუალო კლასს.

ცხადია, კაპიტალიზმს აქვს შესაძლებლობა დროებით «დააპუროს» სოციალური მოძრაობის მონაწილეები, მაგრამ არ არის უნარიანი, უზრუნველყოს სისტემური ეკონომიკური გარდაქმნა და შეცვალოს მისი მიზნობრივი ფუნქცია. მითუმეტეს, ამერიკული კაპიტალიზმის განვითარების ისტორიის ხაზი ეფუძნება პროტესტანტული ეთიკის პრინციპებს, ხოლო ევროპული საზოგადოების ორგანიზაციის განსაკუთრებული მატრიცა ყოველთვის ევროპული კულტურის ტრადიციების გამოხატვაა. თუმცა, ძალიან ხშირად ხდებოდა მისი იმპლემენტირება სხვა რე-გიონებში, ერთვექტორული, ევროცენტრისტული უნიფიკაციის იძულებითი მოდერნიზაციის საფუძველზე. როდესაც ჩვენ ვსაუბრობთ აღმოსავლურ აღორძინებაზე (ჩრდ. აფრიკა, ახლო აღმოსავლეთი), მაშინ თითოეულისთვის გასაგებია, რომ აღმოსავლური კულტურული და სულიერი ღირებულებების ადეკვატურობის პრობლემა სახეზეა და ბევრ შემთხვევაში კაპიტალისტური ფორმებით დეფორმირებული მეურნეობა ღებულობს პირველხარისხოვან მნიშვნელობას.

ბევრი გვერდს უვლის პარადიგმას, რა იქნება კაპიტალიზმის შემდეგ, არ მარჩიელობს ამ თემაზე და მიიჩნევს, რომ საქმე უფრო ეხება ლოგიკის დომინანტობას, ცალკეული სუბიექტების საზოგადოებრივი პროცესებით თვითკმაყოფილებას, თავისუფლების ხარისხობრივად ახალ სახეს და ინდივიდუალიზაციას, ახალ კლასზე ჰუმანურობის ფუნქციონალური სისტემის თანმიმდევრობით განვითარებას, მისი ყოველგვარი გართულების გარეშე. ბუნებრივია, კაპიტალიზმი ამაში არ შეასრულებს პასიურ როლს, მითუმეტეს, მის «ბეღლებში» ჯერ კიდევ ინახება არასრულად რეალიზებული შესაძლებლობები. თუმცა, ძირითადად, ყველა პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ ახალი

ადაპტაციის ყველა ნაბიჯი, იმავდროულად მოძრაობაა თვითუარყოფისაკენ. ასეთია თანამედროვე ეპოქის ლოგიკა, რომელსაც ადრე უწოდებდნენ – გარდამავალს. ასეთია კაცობრიობის სირთულე, რომელსაც თითქმის ყოველდღიურად ვაწყდებით, თუმცა აუცილებელია სერიოზულად დავფიქრდეთ ამ დილემაზე.

დავოსის ფორუმმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ევროს და ევროკავშირის პრობლემას. თუ დაეცემა ევრო, დაიშლება ევროკავშირიც. **«თანამედროვე სიტუაცია ევროკავშირის ქვეყნებში, ყველაზე რთულია მეორე მსოფლიო ომის შემდეგ»**, გამოაცხადა გერმანიის კანცლერმა ანგელინა მერკელმა და ბევრმა ანალიტიკოსმა ეს კაპიტალიზმის მომავალს დაუკავშირა. საფრანგეთისა და გერმანიის ხელისუფლება საკმაოდ პესიმისტურია ამ ქვეყნების მომავლის გამო. აქ წინა პლანზე იწევა ევროს პრობლემაც, რომელიც, როგორც ფინანსისტები ამტკიცებენ, ხელოვნური ვალუტაა. ვალუტა – «ობოლი», როგორც მას უწოდებენ განკუთვნილია მხოლოდ «კარგი ამინდისათვის». თუმცა ფულადი ერთეული – ნაციონალური ეკონომიკის აუცილებელი ატრიბუტია და, შესაბამისად, მისი საფუძველიც. ცხადია, ევროს ასეთი საფუძველი არ აქვს. ის უმთავრესად პოლიტიკური პროექტია, რომლის რეალიზაცია ხდება აშშ-ის ჰეგემონიზმის საპირისპიროდ. პარალელურად შენარჩუნებულია ნაციონალური ფულადი ერთეულებიც. ეჭვგარეშეა ევროპის წამყვანი ქვეყნები დაიცავენ თავიანთ ეკონომიკურ პოტენციალს, მაგრამ ევრო ყოველთვის დარჩება ევროპის სუსტ წერტილად.

თვით ევროკავშირი არ არის მყარი ეკონომიკური და პოლიტიკური ორგანიზაცია. ბოლო ათი წლის განმავლობაში მისი ზრდის ტემპები დაბალია. «ლისაბონის სტრატეგიამ (2001 წ.) ერთობლიობით განევითარებინათ ეკონომიკა, ვერ გაამართლა. ევროპული «კოლექტიური იდენტობა» ვერ შედგა, ნაციონალური საზღვრების ადვილად «გადალახვის» დემონსტრირებამ, ბევრი ვერაფერი შესძინა ევროპული ქვეყნების თანამეგობრობას. სამართლიანად შენიშნა ცნობილმა გერმანელმა მეცნიერმა უ. ბეკმა: **«ჩვენ, ევროპელებს საქმე მიგვყავს, თითქოს ეხლაც არსებობენ გერმანია, საფრანგეთი, იტალია, ჰოლანდია და სხვები. თუმცა, სინამდვილეში, იმ სახით, როგორადაც ეს ქვეყნები არსებობენ ადამიანთა თავებში, ისინი უკვე რა ხანია არ არის».**

ცხადია, ევროპაშიც ბევრს ლაპარაკობენ სოციალური კაპიტალიზმის აღმავალ ფუნქციებზე, რომლის ფორმირება უნდა მოხდეს ნდობის საფუძველზე და პოსტინდუსტრიული ეკონომიკისათვის ეს ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. თუმცა, ევროკავშირი – ერთ-ერთი, ასე თუ ისე, მოწყვლადი პოზიციის მატარებელია. სამართლიანად წერდა ეხლახან ერთ-ერთი დასავლური გაზეთი: **ევროკავშირში არ არსებობს იდენტობის გრძნობა, არ არის საერთო ისტორიული მეხსიერება. რჩება უნდობლობა ერთი ქვეყნისა მეორისადმი; ჩრდილოეთ ევროპელებს არ ესმით, სამხრეთმა როგორ შეძლო გამხდარიყო ასეთი ხელგაშლილი თუ მფლანგველი.**

ამ კონტექსტში საინტერესოა გლობალური მსოფლიოს იდეოლოგების მოსაზრება იმის შესახებ, რომ ევროპის სახელმწიფოებს (გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი და ა.შ.) ზღუდავს სახელმწიფო საზღვრებს, ჯერ კიდევ გლობალისტური იდეოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენელი **გასეტი თავის გახმაურებულ ნაშრომში «მასების ამბოხი»** (1930) შენიშნავდა, რომ «ინგლისელი», «გერმანელი», «ფრანგი» ნიშნავს იყო პროვინციელი. ნობელის პრემიის ლაურეატი ამერიკელი მწერალი ქალი ჰ. ბაკი, 1965 წელს გამოცემულ წიგნში, მიუთითებს მსოფლიო მთავრობის შექმნის, ეროვნულ სახელმწიფოთა უფლებამოსილების შეზღუდვის, მსოფლიო საერთო პოლიტიკური და სამხედრო სისტემის შექმნის აუცილებლობაზე.

დაახლოებით ანალოგიურად მსჯელობდა აინშტაინიც **«მე მთელი არსებით მჯერა, რომ სუვერენულ ერთა არსებულ სისტემას მივყავართ მხოლოდ ომისაკენ, ბარბაროსობისაკენ, მხოლოდ მსოფლიო სამართალს შეუძლია პროგრესისაკენ წარიმართოს ცივილიზაცია».**

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილმა მოადგილემ ტელბოტმა, 1992 წელს ჟურნალ «თაიმსში», ასეთი მოსაზრება გამოთქვა: **«მე ვაცხადებ, რომ შემდეგი ასწლეულის (XXI საუკუნე – ი. კ.) მანძილზე ეროვნულობა, თავისი ახლანდელი გაგებით, მოძველდება: ყველა სახელმწიფო ცნობს ერთადერთ გლობალურ ხელისუფლებას. XX საუკუნის მეორე ნახევრის მოდური სიტყვები – «მსოფლიო მოქალაქე» – XXI საუკუნეში შეიძენს ჭეშმარიტ მნიშვნელობას».**

სწორედ ამ პრობლემისადმი «დასავლური», ასეთი აზროვნების არსეობა, შესაძლებლობას აძლევს საქართველოს პოლიტიკური კლასის გარკვეულ ნაწილს იფიქროს, რატომ არ გამოდის დასავლეთი კატეგორიულად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მოთხოვნით და მხარს უჭერს საქართველოს კონფედერაციულ მოწყობას, ან მიანიშნებს საქართველოს ხელისუფლებას სცნოს სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობა.

ახლა ვერავინ ხუჭავს თვალს ამ მძიმე რეალობებზე. თუმცა, ისმება კითხვა: სად არის გამოსავალი? თუ ვირწმუნებთ გერმანიის ყოფილი ფინანსთა მინისტრის ტ. ვაიგელის, 2011 წელს, გაზეთ Die Welt-ში გამოქვეყნებულ აზრს ევრო-

კავშირის მომავლის შესახებ, იკვეთება, რომ ევროპაში არსებობენ ევროკავშირის მთავარი ქვეყნები, სახელმწიფოები, რომლებიც ევროკავშირის უბრალო წევრებია და შეუძლიათ ყოველ წუთს შევიდნენ სავალუტო კავშირში. არიან ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნები. ასეთ ვითარებაში შესაძლებელია ევროკავშირის ცენტრალიზაციის დაშლის დაწყება და მოძრაობის გაშლა დეცენტრალიზაციის გონივრული მიმართულებით, მრავალწყობიან, სხვადასხვა დონის ფუნქციონერებად, უპირატესობის მქონე, ჰორიზონტალური კავშირების საფუძველზე მომქმედ სისტემასთან.

ეს პროცესი ევროპაში დაწყებუ-ლია. საქმე ეხება პრინციპულად ახალი ინტეგრაციული მოდელის რეალიზაციას და პერსპექტივას, როდესაც პროცესის მონაწილე თითოეული ქვეყანა შეძლებს შეინარჩუნოს სუვერენული უფლება, დარჩეს თვითონ საკუთარ თავთან.

ვაიგელი გვარწმუნებს, რომ ეს გზა არ არის ევროკავშირის დასუსტება. **პირიქით, აუცილებელია გავითვალისწინოთ, რომ მსხვილმასშტაბურობის და დომინანტობის დრო წარსულს ბარდება. ეხლა უმჯობესია იყო პატარა და უფრო მეტად მოძრავი, შედარებით ანგარიშგასაწევი და პროგრესულობის ნიშნის მატარებელი**.

ფიქრობენ, რომ ასეთ მსგავს პრინციპებზე გადაეწყობიან თანამედროვე მსხვილი ტრანსნაციონალური კორპორაციები. მსგავსი პერსპექტივა ჩანს ევროკავშირთან მიმართებაშიც. მითუმეტეს, ინტეგრაციის ასეთი მოდელი ბევრი ქვეყნისათვის მიმზიდველია.

ვაიგელი ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ «**ევროპული კავშირი იმ ათასწლოვანი ომის დასასრულია, რომელსაც ყველა ყველას წინააღმდეგ აწარმოებდა. ევროკავშირი არის დაუმსახურებელი სამოთხე მთელი კონტინენტის მცხოვრებთათვის. ევროკავშირი ევროპული ისტორიის ოქროს საუკუნის აღმნიშვნელია**».

თუმცა, ასე არ ფიქრობენ სხვა პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწეები, რომელთა მტკიცებით ამ სიტყვებს თითქმის არაფერი აქვს საერთო რეალობასთან. მათ მოაქვთ მონაცემები, იმის შესახებ, რომ პორტუგალიელები ყოფილ კოლონიაში, ანგოლაში, გარბიან სამუშაოს საშოვნელად. პორტუგალიის, საბერძნეთის, ესპანეთის და იტალიის 25 წლამდე ახალგაზრდების ნახევარი უმუშევარია და ა.შ.

ევროპის ცენტრალური ბანკის ხელმძღვანელი მარიო დრაგი აცხადებს, რომ «**ევროპული სახელმწიფოს ნაქებმა სოციალურმა მოდელმა საკუთარი თავი ამოწურა». საბერძნეთი უკვე გაკოტრდა, პორტუგალია არაოფიციალურად გაკოტრებულია. ესპანეთი და იტალია ამ ეტაპზე ოდნავ უკეთეს მდგომარეობაში არიან, მაგრამ როგორც დრაგი ირწმუნება, ევროპის პრობლემების სწრაფი გადაწყვეტის საშუალებები არ არსებობს.**

როდესაც ევროპა თავის წარმატებებს ზედმეტად აზვიადებდა, ამ დროს საბერძნეთის ბანკებში ფალსიფიკაცია ინერგებოდა. ევროკავშირი მილიონობით თანხებს გამოყოფდა არარსებული სასოფლო-სამეურნეო პროექტებისათვის. პორტუგალია ჩქაროსნულ გზატკეცილებს აშენებდა, მაგრამ ამავე დროს არ შენდებოდა დიდი თუ პატარა სამრეწველო ობიექტები. ესპანეთში ვერ გაიცნობიერეს, თუ რა სახსრებით იცხოვრებდნენ ესპანელები სამშენებლო ბუმის დასრულების შემდეგ.

ევროპის კრიზისის გამწვავებაში უარყოფითი როლი შეასრულა ამერიკის ძალისხმევამ, ღატაკი აღმოსავლეთ ევროპა რუსეთისაგან ჩამოეცილებინა და დასავლეთ ევროპის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სივრცეში შეეყვანა. ევროკავშირს ასუსტებს ევროპული ერების თვითშეგნების გაძლიერება და სახელმწიფოებრივი ნაციონალიზმის გაფართოებაც, შიდა სეპარატისტული ტენდენციებით.

ევროკავშირის და შესაბამისად, ევროს პრობლემა მიბმულია ამერიკული დოლარის პარადიგმასთან. პოლიტიკის ექსპერტებს უყურადღებოდ არ რჩებათ ფაქტი, რომ ამერიკელები მსოფლიო მოსახლეობის 5%-ზე ნაკლებს შეადგენენ, მაშინ, როდესაც მსოფლიო რესურსების 40 -ზე მეტს მოიხმარენ. ცხადია, ვაშინგტონი ცდილობს დოლარი მსოფლიო ვალუტად გადააქციოს. **როგორც ირკვევა მთლიანობაში დაბეჭდილია უზარმაზარი თანხა – 1 კვადრილიონ 420 ტრილიონი დოლარი**, რაც ბევრად მეტია, ვიდრე თვითონ მსოფლიოს შიდა პროდუქტი. თითოეული ამერიკელი 10-ჯერ მეტს მოიხმარს, ვიდრე დედამიწის საშუალო სტატისტიკური მაცხოვრებელი, ევროპელების ჩათვლით. ცნობილია ისიც, რომ აშშ მოხმარებული პროდუქციის მხოლოდ მცირე ნაწილს აწარმოებს. საყურადღებოა, რომ ამერიკელებმა საფრანგეთის პრეზიდენტის დე გოლის ცნობილი ქმედების სანაცვლოდ, თავის დროზე, მიიღეს კანონი, რომლის თანახმადაც, აშშ-ის საზღვრებს გარეთ ბრუნვაში არსებული დოლარის კუპიურების ოქროთი უზრუნველყოფა არ მოხდებოდა. ამდენად, ამერიკელები დოლარის განმტკიცებას სხვა ქვეყნებში სამხედრო ძალით ან ეკონომიკური საშუალებებით ცდილობენ, თუმცა, მსოფლიო «დოლარიზაციის» წინააღმდეგ ამჟამად დაწყებულია სერიოზული მოძრაობა ჩინური ოქროს იუანის, არაბული ოქროს დინარის და რუსული რუბლის გაძლიერების მიზნით.

ვითარებაში, როდესაც ამერიკელები მხარს უჭერენ «ოქროს მილიარდის» ფორმულას, ბუნებრივია, ქვეყნებში ახლანდელი მოხმარების მაღალი დონის შესანარჩუნებლად, დანარჩენი კაცობრიობა სიღარიბეში უნდა ცხოვრობდეს. **არ არის**

გამორიცხული დოლარიზაცია მსოფლიოს ექცეს ისეთ დილემად, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს ახალი მსოფლიო ომი და მოხდეს გამარჯვებულთა მიერ მსოფლიოს ახალი გადანაწილება.

საფრანგეთის გაზეთმა «ლე მონდმა», 2012 წლის 26 იანვარს გამოაქვეყნა სტატია «წმინდა კაპიტალიზმის კრიტიკა». მას საფუძვლად დაედო ბრიტანული გაზეთის «The Financial Times»-ის ფურცლებზე გამოქვეყნებული ექსპერტების მოსაზრებები საბაზრო ეკონომიკის პრობლემებზე. პაექრობაში მონაწილე მსოფლიოს ყველა რეგიონის მიმომხილველები, ეკონომისტები, მეწარმეები და პოლიტიკური მოღვაწეები ჩაებნენ დისკუსიაში, რომელიც ასე იყო დასაბუთებული – «კაპიტალიზმი კრიზისში».

ექსპერტთა მიერ გაკეთდა დასკვნა, რომ 1980-იანი წლების შემდეგ ფორმულა ულტრალიბერალური და არარეგულირებადი კაპიტალიზმი მეტს არ მუშაობს. განსაკუთრებით ეს ეხება 2008 წლის მიმდინარე პროცესებს, რომლებმაც შეარყიეს მსოფლიოს ეკონომიკური ერთობა.

ჩანს მსოფლიოს დაუდგა ღრმა ცვლილებების დრო. რეიგანისა და ტეტჩერის გარდაქმნების ეპოქამ კისერი მოუგრიხა ომის შემდგომ ზომიერ კაპიტალიზმს. 1970-იან წლებში კონსერვატორების მხრიდან განხორციელდა ხანგრძლივი **სახელმწიფო დემონიზაცია**, ყოველივე ამან კი კაცობრიობა მიიყვანა კაპიტალიზმის თანამედროვე ფორმის დაბადებამდე.

ექსპერტების ვარაუდით, საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე ვერსია მიუღებელია, რადგანაც ის გახდა არა მარტო არასტაბილური, არამედ არასამართლიანიც. ამას გვიდასტურებს ამერიკის ხაზინის მმართველი ლოურენს სამერსი, რომელიც ფიქრობს, რომ თანამედროვე საბაზრო ეკონომიკას პოზიტიურად არ მიიჩნევს ამერიკის გამოკითხული მოსახლეობის 50 პროცენტი. ამერიკელები აკრიტიკებენ ფინანსისტების მაღალ ხელფასებს, არ მოსწონთ უსიცოცხლო ეკონომიკური ზრდა და მაღალი სტრუქტურული უმუშევრობა.

საბაზრო ეკონომიკის საბრალდებო დასკვნა შემდეგნაირად გამოიყურება:

- **კაპიტალიზმი აღმოჩნდა კრიზისში და იქცა უთანასწორობის მთავარ წყაროდ;**
- **კაპიტალიზმი არ იცავს მორალურ ფასეულობებს და წარმოადგენს მდიდართა ინტერესების გამომხატველ სისტემას.**
- **კაპიტალისტური სისტემა მისაღები სახით არ ახდენს ქონების განაწილებას;**
- **არ ხდება რესურსების გონივრულად განაწილება. ბოლო 30 წელია ამერიკაში და ევროპაში ბატონობს უთანასწორობა. ეს კი ემუქრება დემოკრატიის და საზოგადოების განვითარებას, რომელიც საშუალო კლასს ეყრდნობა;**
- **ამერიკის შემოსავლების სტრუქტურა მესამე სამყაროს ქვეყნების დონეზეა. იზრდება მდიდარი ამერიკელების საშუალო შემოსავლები.**

ყოველივე ამას ადასტურებს ამერიკელი პოლიტოლოგი ორმან ორნშტეინი, რომლის შეფასებით, **1980 წლიდან, მდიდარი ამერიკელების ქონება გაიზარდა 300 პროცენტით. ხოლო აშშ-ის შრომის სამინისტროს სტატისტიკით საშუალო შემოსავალი გადიდდა მხოლოდ 40 პროცენტით**. ფიქსირდება ისიც, რომ ეს გაზრდა მოხდა ქალების ნაწილის გამოსვლით შრომის ბაზარზე. თუ გამოვრიცხავთ ქალების მიერ მოპოვებულ ამ წყაროს, მაშინ აღმოჩნდება, რომ 30 წლის მანძილზე მამაკაცების საშუალო შემოსავალი სრულიადაც არ გაზრდილა.

ჯონ პლენდერის მტკიცებით, თანამედროვე ეკონომიკაში არსებობს **ორი ხაზი – სწრაფი უმაღლესი მდიდრებისათვის და (შეზღუდული) ყველა სხვისთვის. უცხოელი ექსპერტები გამოყოფენ მსხვილი დაწესებულებების ხელმძღვანელთა ხელფასებს, რომელიც არნახულად იზრდება. მათი აზრით, გენერალურმა დირექტორმა შეიძლება მიიღოს 400-ჯერ მეტი, ვიდრე ქვედა დონის თანამშრომელმა, მაშინ, როდესაც 1980 წლამდე ეს თანაფარდობა იყო 40-ს ფარგლებში.**

იმავდროულად, ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ საბაზრო ეკონომიკა ყველა სხვა სისტემაზე მაღლა დგას, რადგანაც მზად არის მუდმივად შეიცვალოს. მის წარმატებას უკავშირებენ არა იმას, რომ ის ყოველთვის რჩება ძველ გზაზე, არამედ იმას, რომ მუდმივად იცვლება – წერდა უცხოური გამოცემა «The Financial Times» სარედაქციო სტატიაში 2011 წლის 27 დეკემბერს.

გაზეთი ყურადღებას ამახვილებს სამ პრიორიტეტულ რეფორმაზე, რომელსაც შეუძლია საბაზრო ეკონომიკა გამოიყვანოს იმ საზღვრებიდან, რომელიც მას მემკვიდრეობით დარჩა 1980-იანი წლების მოდელიდან:

საჭიროა რეგლამენტირება გაუკეთდეს და შევიწროვდეს ზედმეტად გაზრდილი და, შესაბამისად, უკონტროლო ფინანსური სექტორი;

აუცილებელია საწარმოთა მართვის სისტემის რეფორმირება, რომელიც უპირატესობას ანიჭებს მოკლევადიან სტრატეგიებს, ასევე მნიშვნელოვანია კაპიტალის სასწრაფო და უფრო მაღალი მონეტარიზაცია, რომელიც ზრდის კომპანიის აქციონერულ ღირებულებას;

საჭიროა საგადასახადო შეღავათების სისტემის გადახედვა, რომელიც შესაძლებლობებს უქმნის მდიდრებს, რაც შეიძლება ნაკლები გადაიხადონ.

ცხადია, ზემოაღნიშნული მიდგომები ემსახურება საბაზრო ეკონომიკის სისტემის გაძლიერებას, თუმცა, ზედმეტად უკონტროლო ფინანსური სექტორის რეგლამენტირებამ და შევიწროებამ იგი

შეიძლება ავტორიტარიზმისაკენაც გადახაროს. ასევე, მართვის სისტემების რეფორმირება, რომელიც უპირატესობას ანიჭებს მოკლევადიან სტრატეგიებს, შესაძლოა არ აღმოჩნდეს პერსპექტიული, რადგანაც, სტრატეგია უნდა იყოს პერსპექტიული და გრძელვა-დიანი.

საერთოდ, საგადასახადო შეღავათების სისტემა გამკაცრებას უნდა დაექვემდებაროს და მდიდარმა შედარებით მეტი უნდა გადაიხადოს და არა პირიქით.

2012 წლის 24 იანვარს ამერიკულ პრესაში გამოქვეყნდა ჯონ არლოდჟის წერილი «ჯორჯ სოროსი გვაფრთხილებს ამერიკის შეერთებულ შტატებში კლასობრივი ბრძოლის შესახებ».

სოროსმა, მსოფლიოში აღიარებულმა უმსხვილესმა ეკონომიკურმა სპეკულიანტმა, როგორც მას ხშირად უწოდებენ, დავოსში შეკრების წინ განაცხადა, რომ მსოფლიოში არსებული დროება დღის წესრიგში აყენებს ყველაზე მთავარს – გადარჩენას. მისი აზრით, **მსოფლიო შეეჯახა თანამედროვე ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე საშიშ პერიოდს – ბოროტებას. ევროპაში მოსალოდნელია ქაოსი და კონფლიქტები, ამერიკაში – ქუჩის გამოსვლები, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს მსოფლიოს ეკონომიკური სისტემის ნგრევა.**

ცხადია, სოროსის გაფრთხილება ეფუძნება მის განვლილ ბიოგრაფიასა და ინტუიციას და, შესაბამისად, საბაზრო ტრიუმფებს და დაცემებსაც. მას კარგად ახსოვს ნაცისტური რეჟიმის საშინელება. უნგრეთში მცხოვრები ათასობით ებრაელის დეპორტაცია, შემდეგ ფაშისტების რუსებით ჩანაცვლება და ტოტალიტარული იდეოლოგიის – კომუნიზმის დამკვიდრების მცდელობა და სხვ.

სოროსს წარსულის გახსენება იმისთვის სჭირდება, რომ წარმოაჩინოს მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისის არანაკლები სიმძიმე, ვიდრე კომუნიზმის დასასრული იყო. **«საბჭოთა სისტემის კოლაფსი იყო განსაკუთრებული მოვლენა და დღეს ჩვენ განვითარებულ მსოფლიოში ვგრძნობთ მსგავს პროცესს, თუმცა, ვერ ვიცნობიერებთ, რა ხდება» – გვარწმუნებს სოროსი და გვაფრთხილებს, რომ იდეა იმის შესახებ, რომ ბაზარი რაციონალურია და შეუძლია თვითრეგულირება კატასტროფის ასაცილებლად – მსგავსია მარქსიზმის კოლაფსთან – როგორც პოლიტიკურ სისტემასთან. ჩვენ გვჭირდება გადასვლა რაციონალიზმის საუკუნიდან ისეთ საუკუნეში, რომელიც მიდრეკილი იქნება აღიარონ დაშვებული შეცდომები, რათა სწორად აღვიქვათ არსებული პრობლემები».**

როგორც ჩანს, განუსაზღვრელ თუ შეუზღუდავ კონკურენციას შეუძლია აიძულოს ხალხი დაიწყოს მოქმედება, ამიტომ საჭიროა მიმდინარე სიტუაციის საღი გონებით შეფასება და შედეგების გაანალიზება.

მსოფლიოში შექმნილი ეკონომიკური ბოროტება, პოლიტიკის მიერ წარმოშობილი ბოროტების ტოლფასია. ისევე, როგორც პოლიტიკოსები, ფინანსური «მამები» ხელს უწყობენ ეკონომიკური კოლაფსის გაძლიერებას. მაგალითად, ინგლისური, ერთ-ერთი დიდი ბანკის მეთაურმა ლოიდ ბლანკფეინმა სიამაყით განაცხადა, რომ **«ისინი უფლის საქმეს აკეთებენ».**

ამასობაში ევროპასა და ამერიკაში ჩნდება იმედგაცრუება კაპიტალიზმის თანამედროვე სისტემის მიმართ. 2011 წლის ამერიკული ანალიტიკური მიმოხილვა გვამცნობს, რომ მხოლოდ ერთ, ივლისის კვირაში, ამერიკის ტელეარხებმა ახალი ამბების გადაცემაში სიტყვა «ვალი» 7000-ჯერ ახსენეს, სიტყვა «ოკუპაცია» – 1278-ჯერ, «უოლ-სტრიტი» – 237-ჯერ, სიტყვა სამუშაო ადგილი – 2738-ჯერ და ა.შ.

უდავოა, დაძაბულობა, უმუშევრობა და უწესრიგობა აიძულებს შეერთებული შტატების ხელისუფლებას მიმართოს მკაცრ ზომებს და გამოიყენოს ძალადობრივი გზაც, რომლის ამოქმედებამ შეიძლება ამერიკა მიიყვანოს რეპრესიული სისტემის შექმნამდე, სადაც შეიზღუდება პიროვნული თავისუფლება, რასაც შეიძლება მოჰყვეს შეერთებული შტატების ტრადიციებიდან გადახვევა.

ბრიტანულ გამოცემაში დაბეჭდილ სტატიაში ჯონი პლენდერი გვამცნობს, რომ **ადამიანებმა შეწყვიტეს კაპიტალიზმის ნდობა. სისტემა დაინგრა. ნახევარზე ცოტა ამერიკელს და ინგლისელს სჯერა, რომ ბიზნეს-სტრუქტურები აკეთებენ იმას, რასაც ისინი უნდა აკეთებდნენ და აკეთებენ ამას სწორად. ამდენად, კითხვის ქვეშ დგება მთელი ბიზნესის ლეგიტიმურობა და «ლიცენზია» მის საქმიანობაზე, ყოველ შემთხვევაში მის მორალურ თვალსაზრისზე.**

მსოფლიო ორგანიზაციების გამოკვლევებით მტკიცდება, რომ კაპიტალისტური სისტემის არსებობის ბოლო 30 წლის განმავლობაში ძირითადი შემოსავლები ნაწილდება მხოლოდ მდიდარ ამერიკელებზე. ასევეა ეს დიდ ბრიტანეთშიც. სხვადასხვა წიგნების და სტატიების უცხოელი ავტორი სტიუარტ ლენსლი გვიხსნის, რომ თანამედროვე ეკონომიკა შედგება ორი ე.წ. რელსისაგან. ერთი, ეს არის ჩქაროსნული – სუპერმდიდრებისათვის და მეორე, შენელებული – ყველა დანარჩენისათვის. ცხადია, ისიც, რომ ვინც შენელებულ რელსებზე დგას, მათთვის კრედიტები არ გაიცემა მარჯვნივ და მარცხნივ, მაგრამ ყოველთვის გამოინახება ფულის ტომრები სუპერმდიდრებისათვის.

პარალელურად, ექსპერტების ყურადღების მიღმა არ რჩება ევროპის დილემაც. ეს არის ევროკავშირის ურთიერთობა ერთმანეთთან. ჩრდი-

ლოეთ ევროპელები და სამხრეთ ევროპელები ერთმანეთს ექიშპებიან. მაგალითად, გერმანული პოლიტიკური ელიტა ცდილობს მხარი დაუჭიროს «დიდი ევროპის იდეას», მაშინ, როდესაც ბევრი ქვეყანა ევროპის კავშირის ინსტიტუტების არადემოკრატიული ფორმირების და ფუნქციონირების წინააღმდეგია.

თანამედროვე კაპიტალიზმის კრიზისი სიღარიბესა და უთანასწორობას უკავშირდება. 1930-იანი წლების დეპრესიამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა კაპიტალიზმის პრინციპები – მოგების განაწილების პრინციპი, მითუმეტეს, მაშინ ალტერნატივად გამოჩნდა სსრ კავშირი და კორპორატიული მიდგომები გერმანიაში და იტალიაში.

შესაძლოა ბევრს გაუჩნდეს კითხვა – რა განსხვავებაა მაშინდელ და დღევანდელ ეპოქებს შორის. ბევრი ექსპერტი ფიქრობს, რომ თანამედროვე დემონსტრანტები ქუჩაში არ დგანან უმძიმესი სიღარიბის გამო, როგორც ეს იყო დიდი დეპრესიის დროს და პროტესტი უცხადდებოდა პრეზიდენტ ჰუვერის მმართველობას. შეუძლებელია იმ ფაქტის უარყოფა, რომ კაპიტალიზმმა თავისი არსებობის პერიოდში მიიღო მეტ-ნაკლებად ადამიანური სახე, რაც გამოიხატა სოციალური დემოკრატიის ელემენტების დანერგვაში. უდავოა ისიც, რომ დღევანდელ დემონსტრანტებს არა აქვთ ზუსტი და კოორდინირებული პროგრამები, თუმცა, გასაგებია ისიც, რომ ისინი ქუჩებში გამოიყვანა არა სიღარიბემ, არამედ არასამართლიანობის გრძნობამ.

თანამედროვე ვითარებაში კაპიტალიზმის სისტემას დაემუქრა საფრთხე იმ მხრივ, რომ გაჩნდნენ ეკონომიკური სპეკულიანტები, რომლის შესახებ ჯერ კიდევ კეინსი ამბობდა: **იმისათვის, რომ დარტყმის ქვეშ დავაყენოთ კაპიტალიზმის მთელი სისტემა, საკმარისია ჩვეულებრივი ბიზნესმენი გადაიქცეს სპეკულიანტად. მითუმეტეს, სახელდობრ ამ გზით ინგრევა ფსიქოლოგიური თანასწორობა, რომელსაც საზოგადოება მიჰყავს უთანსწორობისაკენ. ბიზნესმენი იქნება მიღებული მხოლოდ იქამდე, სანამ მისი შემოსავალი შესაბამისი იქნება და აგებული ადამიანების მიერ სოციალურ კეთილდღეობაზე, რომელიც მან მიიღო თავისი შემოსავლებისაგან».**

ცხადია, არსებული რეალობები და მონაცემები კაპიტალიზმის ლეგიტიმურობის საკითხს კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს. ყველაზე საინტერესოა, რომ საქმე ეხება კაპიტალიზმის არა მხოლოდ ფორმას, როდესაც «გამარჯვებულებს მიაქვთ ყველაფერი», არამედ – ,,წაგებულებიც'' საკმარისად ხელსაყრელ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან.

ბუნებრივია, ჩვენს წინაშე დგას დილემა, მითუმეტეს მოდელების ალტერნატივა არც ისე რეალურია. მართალია აზიური სამყარო თანდათანობით ხდება ანგლოსაქსური ერთობის სერიოზული კონკურენტი, მაგრამ ბევრი არ ფიქრობს გაჰყვეს ჩინურ მოდელს. აქ შეიძლება მეტი უთანასწორობა დავლანდოთ, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში. უდავოა, სინგაპურში ავტორიტარული მმართველობის მიუხედავად ძლიერ ეკონომიკურ ზრდასთან გვაქვს საქმე, მაგრამ ელექტორატი უფრო და უფრო ნაკლებად ენდობა მის დღევანდელ ხელისუფლებას. არც ჰონკონგის მოდელია პოლიტიკური და ეკონომიკური მარგალიტი.

მაშ, რა უნდა ვქნათ? არის შესაძლებლობა ავირჩიოთ ეკონომიკურ-პოლიტიკური განვითარების მარქსისტული გზა – სოციალიზმის მოდელი ან დავუბრუნდეთ კეინსის ფორ-მულირებას და გავაუმჯობესოთ კაპიტალიზმის არსებული ფორმა. თუმცა, მაკროეკონომიკურ ქვეყანაში, კერძოდ აშშ-ში, სადაც ცენტრისტუ-ლი პოლიტიკის შემცვლელად გვევლინება პოლარიზაციის მოდელი, რომელიც გზას უკეტავს ყოველგვარ დიალოგს და შესაძლო ცვლილებებს, ადამიანები უხალისოდ ღებულობენ «დიადი ხელისუფლების იდეას» და ფიქრობენ, რომ ყოველგვარი საბანკო სისტემის რეგულაციას მივყავართ კიდევ უფრო ღრმა ეკონომიკურ კრიზისამდე.

საბაზრო ეკონომიკის სიმყიფე სახეზეა და ამას ვერ შველის მეცნიერთა თეორიები კრიზისის მართვის შესახებ. ვერც კეინსი, ჰიუმან მინსკი, მანკი ოლსონი და სხვები ვერ იძლევიან მზა რეცეპტს თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის მთლიანად განსაკურნავად. ვერცერთი ლობისტური საქმიანობა ვერ დაძლევს ეკონომიკის არაეფექტურობას და უთანასწორობას. ეს პრობლემა აწუხებთ უოლ სტრიტის და ლონდონის პროფესიონალ ფინანსურ ლიდერებსაც. ცხადია, მათ წინაშე პრობლმად დგას სოციალური პასუხისმგებლობის მიღწევა, რომელიც მოხსნის კაპიტალიზმის ძირითად დილემას, მაგრამ როგორ შეიძლება ეს მოხდეს და რამდენად ეფექტური იქნება? არავინ იცის, შესაბამისად კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ დგას თანამედროვე კაპიტალიზმის ლეგიტიმურობის დაბრუნების საკითხიც.

თანამედროვე კაპიტალიზმის დასასრულის საკითხი იმდენად აქტუალური გახდა, რომ მსოფლიოს პოლიტიკური, ეკონომიკური და მეცნიერული ელიტის წარმომადგენლები იძულებული გახდნენ დაბრუნებოდნენ პრობლემის თეორიულ-პრაქტიკულ მხარეებს. დღეს ბევრი იხსენებს, რომ აშშ და ბრიტანეთმა მხარი დაუჭირა «მომსახურებაზე ორიენტირებულ» ეკონომიკურ მოდელს, რაც გულისხმობდა ძალიან სწრაფად სიარულს პოსტინდუსტრიულ სამყაროში და საშუალო კლასის საზოგადოების გაფართოებას, თუმცა აქ გამოჩნდა «ჩინური ფენომენი», როდესაც მრეწვე-

ლობის ისეთი დარგები, რომლებშიც ეს ადამიანები მუშაობდნენ ამერიკიდან ჩინეთში გადავიდა, იაფი მუშახელის გამოყენების მიზნით. ასეთ ვითარებაში გლობალური პროტექციონიზმის ახალმა ფორმამ, ანუ ამერიკის მიერ ჩინეთისათვის მსოფლიოს დიდი ნაწილის დეინდუსტრიალიზაციის დაშვებამ გამოიწვია ჩინური აღმავლობა და დასავლური ქვეყნების ერთმანეთისათვის დაპირისპირება, თუნდაც მათი ტექნოლოგიების ე.წ. «მითვისების» გზით.

თანამედროვე ლიბერალური დემოკრატიის იდეოლოგი, ამერიკელი მეცნიერი ფ. ფუკუიამა ფიქრობს, რომ დასავლეთში ყველა მოკლევადიანი ინტერესებიდან გამოდის და ცდილობს დაასწროს სხვებს და ფული იშოვოს ჩინეთთან ბიზნესით, თუნდაც ის ამჟამად ზიანს აყენებდეს. ამ ტენდენციამ მძლავრი დარტყმა მიაყენა ამერიკის ეკონომიკას, მისი გამოსწორება თითქმის შეუძლებელია, რადგანაც წარმოების ყველა მნიშვნელოვანი სფერო ჩინელების ხელშია.

არ უნდა იყოს პარადოქსული ისიც, რომ ავტორიტარული სისტემები მსოფლიოში სულ უფრო მეტად პოპულარული ხდება. ფუკუიამას მოჰყავს გერმანელი საქმოსნების მაგალითი, როდესაც ისინი კომუნისტურ ჩინეთში მოგზაურობის შემდეგ მოიხიბლნენ ამ სისტემით, რომელიც შესაძლებლობას იძლევა სწრაფად მიიღონ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რაც არ არის დამახასიათებელი ამერიკის თანამედროვე ეკონომიკური სისტემისათვის. მაგალითად, სულ ახლახან, ჩინეთის ხელისუფლებამ მიიღო გადაწყვეტილება შეამციროს ეკონომიკის ზრდა და ხელი შეუწყოს ქვეყნის მდგრად განვითარებას. ერთის მხირვ, ეს ემსახურება რეფორმების რეალიზაციის სტიმულირებას და ეკონომიკის განვითარების ხარისხის ზრდას. მეორე მხრივ, მიმართულია ინფლაცია დაბალ დონეზე შეინარჩუნოს და გაამყაროს ეროვნული ვალუტა – იუანი.

ნიშანდობლივია ისიც, რომ 2010 წლის მერე ექსპორტზე ორიენტირებული ეკონომიკა გლობალური კრიზისიდან სწრაფად გამოვიდა და ზრდის ორნიშნა ტემპებს დაუბრუნდა. გაასწრო იაპონიას და გახდა მსოფლიოში მეორე ეკონომიკა.

მართალია, ფუკუიამას აზრით, ჩინეთი შეიძლება ახალ გლობლურ მოდელად იქცეს, თუმცა ეს დებულება ეწინააღმდეგება მისსავე თეზისს იმის შესახებ, რომ ჩინეთი ვერასოდეს გახდება გლობალური მოდელი. მისი მტკიცებით: **«დღევანდელი დასავლური სისტემა მართლაც მოირყა ზოგიერთ ფუნდამენტურ ნაწილში, მაგრამ ვერც ჩინური სისტემა იმუშავებს. ეს უაღრესად უსამართლო და ამორალური სისტემაა, სადაც ნებისმიერს შეიძლება წამებში წაართვან ყველაფერი, სადაც ადამიანები იღუპებიან სარკინიგზო ინციდენტებში საზოგადოებრივი კონტროლის უქონლობის და გაუმჭვირვალობის გამო, სადაც კორუფციაა გაბატონებული. ჩვენ უკვე ვხედავთ უზარმაზარ პროტესტს ჩინეთის ყველა ნაწილში».**

ამერიკელი მეცნიერის ეს დებულება არამეცნიერულ სიმსუბუქეს უფრო მეტად შეიცავს, ვიდრე აწონილ-დაწონილ აზრს. ფუკუიამას მიერ ნახსენები, ჩინეთისათვის დამახასიათებელი ნეგატიური შტრიხები, მსოფლიოს ყველა ქვეყანაში გვხვდება და მათ შორის, ამერიკის შეერთებულ შტატებშიც. ამასთან არც ისე ახლოს ჩანს პოლიტოლოგის ოცნება, ჩინეთის «არაბული გაზაფხულის» შესახებ. საკამათოა ამერიკელი პოლიტოლოგის თეზისი იმის შესახებ, რომ **«როდესაც ჩინეთის ხელისუფლება შეწყვეტს ქვეყნის ეკონომიკური ზრდის არსებული ხარისხით უზრუნველყოფას, ის დარჩება ამ უზარმაზარი მორალური მოწყვლადობით».**

ფუკუიამა ვერ ხედავს მემარცხენეთა ამბოხის მზარდ საშიშროებას დასავლეთში. თუმცა, ნაკლებად იცნობიერებს, რომ გამორიცხული არ არის ლიბერალური დემოკრატიის პოლიტიკურ-ეკონომიკური იდეოლოგია «მემარცხენეთა» ამბოხმა კი არ დაამარცხოს, არამედ «მემარჯვენეების» და ლიბერალური დემოკრატიის შეცდომებმა და ანარქიულობამ.

თანამედროვე კაპიტალიზმის სერიოზული ხარვეზია წამყვან სახელმწიფოებში უთანასწორობის ხარისხის განსაკუთრებული სიმაღლე. ამის მიზეზად სახელდება შემოსავლების უთანაბროდ განაწილება და მკვეთრი სხვაობა მდიდრებსა და ღარიბებს შორის. ასეთ შემთხვევაში ადამიანი თავს საზოგადოების ნაწილად ვერ მოიაზრებს და შესაბამისად ნდობის ხარისხიც დაბალია, თუმცა, ამ დროს არსებობენ ჯგუფები, რომლებსაც პოლიტიკურ სისტემასთან უპირატესი წვდომა აქვთ, რასაც საკუთარი ინტერესების ლობირებისთვის იყენებენ.

საშუალო კლასის სისუსტე, აძლიერებს პოპულიზმს, აფართოებს კონფლიქტებს და ქმნის გადანაწილების პრობლემებს, რომლებიც თანამედროვე კაპიტალიზმის მხვედრი მოვლენაა, რასაც მოჰყვა სოციალური მოძრაობის გააქტიურება ლოზუნგით: «დაიკავე უოლ-სტრიტი».

მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტ ობამას მდიდრებისათვის უფრო მაღალი გადასახადების დაკისრების იდეის გამო «ევროპელ სოციალისტს» უწოდებენ, ამით ამერიკის ცხოვრებაში არაფერი არ შეცვლილა და ქვეყანაში ახალი «დიდი დეპრესიის» ნიშნები გაჩნდა. თუმცა, მემარცხენე ფლანგის გააქტიურება მდიდრების წინააღმდეგ არ გამოკვეთილა. მითუმეტეს, უოლ-სტრიტზე დაწყებულმა კრიზისმა და ფინანსების ლიბერალიზაციის ამერიკულმა მოდელმა საშინელი დარტყმა

მიაყენა რიგით ადამიანებს, და უფრო გაამდიდრა ქვეყნის ყველაზე მდიდარი ნაწილი – ფინანსური სექტორი.

აღნიშნული მოძრაობის სოციალური ბაზა ვიწრო იყო, არ ყოფილა რადიკალური და ძირითადად იმ ადამიანებისაგან შედგებოდა, რომლებიც 1999 წელს გამოვიდნენ სიეტლში, მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წინააღმდეგ. ფაქტობრივად, ეს იყო «თეთრი» მუშათა კლასის და წვრილი ბურჟუაზიის ნაწილი, რომელთა პოლიტიკურ ქცევას ევროპაში მიამსგავსებდნენ სოციალ-დემოკრატიულ შეხედულებებს.

აშშ-მა სახელისუფლებო ძალისხმევით შეძლო ახლანდელი კრიზისის შეჩერება და ის «დიდ დეპრესიაში» არ გადაიზარდა. მაშინ ფრანკლინ რუზველტმა მოახერხა დიდი ბანკების რესტრუქტურიზაცია. ამერიკაში ამჟამადაც ფიქრობენ ამ გზის ამოქმედებაზე, თუმცა ბარაქ ობამა სხვა გზით მიდის, მითუმეტეს, მისი გუნდის ზოგად შეხედულებებს მისი მხარდამჭერი დიდი ბანკები აყალიბებენ.

ამერიკაში წარმოშობილი მასობრივი მოძრაობის მონაწილე ახალგაზრდების ნაწილი ფიქრობს, რომ პრობლემების სათავე მთავრობაშია, რომელიც ისეთ ლიბერალურ-დემოკრატიულ იდეოლოგიას უჭერს მხარს, რომელიც განსხვავებულ ეკონომიკურ წესრიგს არ მოიაზრებს. თუმცა, ამერიკაში საუბრობენ გერმანულ მოდელზეც, რომელიც შტატებთან შედარებით ბევრად უკეთ იცავს საკუთარ საწარმოო ბაზას – მშრომელთა კლასს. შესაბამისად, გერმანიის ხელისუფლება კონკურენციის მიმართ კეთილგანწყობილია და აფართოებს სოციალური დაცვის მექანიზმებს.

ცხადია, კაპიტალიზმის კრიზისის სათავე პოლიტიკურ მმართველობაშია, როდესაც ხორციელდება ზეგავლენა საბაზრო პოლიტიკაზე, მაგალითად, ფუკუიამა აღიარებს, რომ დემოკრატიული პროცესი, როგორც წესი უზურპირებული აქვთ კარგად ორგანიზებულ ჯგუფებს, რომლებიც ძირითადი მოსახლეობის ინტერესებს არ იცავენ. აღნიშნულის ნათელი მაგალითია საბერძნეთი, სადაც ექიმები, ფარმაცევტები, არქიტექტორები, საჯარო მოსამსახურეები და სხვა სოციალური ჯგუფები ცალკეულ, დახურულ კორპორაციებად ჩამოყალიბდნენ, აკონტროლებდნენ ფასებს და მეტწილად გაურბოდნენ გადასახადების გადახდას, შესაბამისად, მათ შეძლეს საკმაო ქონების დაგროვებაც, მაგრამ საბერძნეთის ნაციონალური გაკოტრება გარდაუვალი გახდა.

სხვათა შორის, ამ კონტექსტშია გასააზრებელი საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები. საბერძნეთის მსგავსად, აქაც შეიმჩნევა გარკვეული სოციალური ჯგუფების ჩამოყალიბების ტენდენცია, რომლებიც ცდილობენ მოახდინონ დემოკრატიული პროცესების უზურპირება, და არ დაიცვან მოსახლეობის უმრავლესობის ინტერესები. საქართველოში შესამჩნევია დახურულ კორპორაციებად ჩამოყალიბების ტენდენციები, რომლებიც ცდილობენ გააკონტროლონ ფასები და ამით საკმაო ქონება შეიძინონ, როგორც მოძრავი, ისე უძრავი სახით. ამ კონტექსტში შეიძლება მოვიაზროთ ბენზინის, კვების პროდუქტების, ცალკეული, კერძო უმაღლესი სასწავლებლების და სხვა ბიზნესი.

ევროზონის კრიზისი, ევრობანკის გათვლებით სამხრეთ კავკასიის ქვეყნებიდან ყველაზე მწვავედ საქართველოზე გავრცელდება. მითუმეტეს, საქართველოს ეკონომიკური ზრდა დამოკიდებულია დასავლეთის საერთაშორისო დახმარებაზე. იმის მიუხედავად, რომ ქვეყანა არ არის ევროკავშირის წევრი, საფრთხე ემუქრება საბანკო სისტემას, რამდენადაც საქართველოს ეკონომიკა და საბანკო სექტორი საკმაოდ ინტეგრირებულია შესაბამის გლობალურ პროცესებსა და ინსტიტუტებში, ევროზონის კრიზისი გავლენას ახდენს ქართულ კომპანიებზე და მაღალი რიკსებიდან გამომდინარე, ქვეყანას ევროპაში ფინანსების მოძიება გაუჭირდება.

ქართული რეალობის მცოდნე ერთ-ერთი გერმანელი ექსპერტის მოსაზრებით: «საქართველოში რეალური ეკონომიკა არ არსებობს; ქვეყანა უცხოურ გრანტებზე და კრედიტებზეა დამოკიდებული, რომლებსაც იგი ღებულობს გარკვეული გეოპოლიტიკური ამოცანის შესრულების სანაცვლოდ, რაც რუსეთის სამხრეთის უსაფრთხოებისთვის ძირის გამოთხრაში მდგომარეობს. თუ აშშ-ში ამ ფუნქციაზე მოთხოვნა არ იქნება, სრული ეკონომიკური კოლაფსი დადგება».

თანამედროვე კაპიტალისტურ მოდელთან არის დაკავშირებული ევროპული კრიზისიც, რომლის დემოკრატიული ხარისხი თანდათანობით დაბლა ეშვება. ევროპული სამყარო არასოდეს ყოფილა ერთგვაროვანი ევროპის კავშირის მიმართ. ეს პროექტი თავიდანვე ელიტის მიერ იყო მართული და რეფერენდუმებს იმდენჯერ ატარებდნენ, რამდენიც ხელისუფლებას სჭირდებოდა გასამარჯვებლად.

თანამედროვე კაპიტალიზმის კრიზისის გამოვლინებანი უყურადღებოდ არ დარჩენია ცნობილ ამერიკელ პოლიტიკოსს და დიპლომატს ზბიგნევ ბჟეზინსკის. მისი აზრით, **მოძრაობა «დაიკავე უოლ სტრიტი», პოლიტიკური და სოციალური იდეების პოლარიზაციის და სხვადასხვა ჯგუფების ინტერესების შეჯახების ობიექტური შედეგია და უმართავ სოციალურ კონფლიქტებში გადაზრდის საფრთხეს შეიცავს.**

თანამედროვე ამერიკა არ არის მზად ცალმხრივი წესით განახორციელოს გლობალური საში-

ნაო და საგარეო ცვლილებები და შეცვალოს დანარჩენი მსოფლიო, მითუმეტეს ამერიკის განსაკუთრებულობა, რომელიც ვილსონის საგარეო პოლიტიკის განუყოფელი ფუნდამენტი იყო, XXI საუკუნეში გარკვეულწილად კარგავს თავის მნიშვნელობას. ამ აზრს იზიარებს ბჟეზინსკიც, რომელიც ფიქრობს, რომ დღეისათვის ამერიკა არ წარმოადგენს ზესახელმწიფოს. მითუმეტეს, მის გვერდით დგას ევროპის კავშირი, ჩინეთი, რუსეთი, ხოლო ახლო მომავალში რეგიონალური ლიდერობის პრეტენზიები აქვთ: ინდოეთს, ინდონეზიას, თურქეთს, ბრაზილიას და სხვა ქვეყნებს, რომლებიც ცდილობენ მსოფლიო რესურსების ერთობლივი გამოყენებით უზრუნველყონ მშვიდობა, სტაბილურობა, განვითარება და აქტიურად ჩაებან მსოფლიო პოლიტიკურ-ეკონომიკურ პროცესებში. თუ ერთ ევროპულ გამოთქმას გამოვიყენებთ **«მგზავრის გზა არ არსებობს, გზას თვითონ მგზავრი ქმნის», შესაბამისად, ქვეყნის გზა არ არსებობს, გზას თვითონ ქვეყანა ქმნის.**

ცხადია, ამერიკული სტილის დემოკრატია გულისხმობს კონსესუსს სხვა ქვეყნების რეპრესიულ მთავრობებთან, თუ ის არ არის აშკარად ანტიამერიკული და მკვეთრ წინააღმდეგობაში არ მოდის ამერიკულ პრიორიტეტებთან – ნაციონალურ უსაფრთხოებასთან და საყოველთაო გეოპოლიტიკურ ბალანსთან. ამდენად, სიკეთისა და ბოროტების ამერიკული ქადაგება ყოველთვის მიზნობრივია და პრაგმატიზმის სველი ღრუბლით არის გაჟღენთილი.

ამერიკა უარს არ ამბობს ზესახელმწიფოს ტიტულზე და, შესაბამისად, ცდილობს იყოს მსოფლიოს მეთაური, მაგრამ, როგორც ჩანს, XXI საუკუნეში მან მეტი ლავირება უნდა გამოიჩინოს, რომ მსოფლიო სივრცეში ვაშინგტონის მრავალთავიანი კოშკის მზერა იყოს ნაკლებად მრისხანე და მეტად სასიკეთო.

კაპიტალიზმის დასასრულისა და ამერიკის პოლიტიკის ახლებური პრობლემური ხედვაა მოცემული ზბიგნევ ბჟეზინსკის წიგნში **«სტრატეგიული ხედვა: ამერიკა და გლობალური ძლიერების კრიზისი».**

ამერიკელი მოღვაწე ამ ნაშრომში აპოკალიფსურ სურათს ხატავს, რომლის მიხედვით ამერიკა ეკონომიკურ ვარდნასთან ერთად პოლიტიკურ უძლურებასა და სტრატეგიულ იზოლაციაშია, მაშინ, როდესაც ჩინეთი ისტორიულ ნახტომს აკეთებს.

ბჟეზინსკი ფიქრობს, რომ ამერიკის გაუაზრებელმა საშინაო და საგარეო კურსმა შეიძლება ქაოსი გამოიწვიოს, თუმცა, უახლოესი 20 წლის განმავლობაში მსოფლიო არენაზე ვერ გამოჩნდება ზესახელმწიფო, რომელიც შეძლებს უკანასკნელი წლების ამერიკას შეედაროს. სამყაროში განვითარებული მოვლენები მოწმობს, რომ მიმდინარეობს დეცენტრალიზაციის პროცესი და ძალა და გავლენა გარდაუვალად ინაცვლებს დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ასეთ ვითარებაში აუცილებელია გონივრული კომპრომისის მიღწევა, რათა თავიდან იქნეს აცილებული საკაცობრიო ცივილიზაციის დასასრული.

ბჟეზინსკის აზრით, მსოფლიოშო დღეს ბევრი ფიქრობს, რომ ამერიკამ თავის თავზე აიღო «მსოფლიო ჟანდარმის» ფუნქცია. მართალია, საბჭოეთის დაშლის პერიოდში ამერიკის გავლენა აშკარა იყო, მაგრამ შემდეგ მან ვერ შეძლო მსოფლიო გარდაქმნის სათავეში მოქცევა. ამის მიზეზები ასე აიხსნება:

- **მსოფლიოში დაიწყო გლობალური პოლიტიკური გამოღვიძების პროცესი და ხალხებმა ღიად გამოხატეს საკუთარი ეროვნულ-პოლიტიკური თვითშეგნება და მისწრაფებები და, შესაბამისად, გართულდა მსოფლიოს მართვა;**
- **დასავლეთის დომინირების ფენომენმა თანდათანობით არსებობა შეწყვიტა.**

ისტორია მიგვითითებს, რომ დასავლური დომინირების სათავეში მდგომი ქვეყნები – ესპანეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი – პერიოდულად გამოეთიშნენ მეთაურობას. ასე მოუვიდა ამერიკასაც, სადაც ბოლო წლების მანძილზე შენელდა სახელმწიფოებრივი განვითარება, გაძლიერდა სოციალური უთანასწორობა, იმატა დამპყრობითმა ანუ გავლენის მოსაპოვებლად დაწყებულმა ომებმა და ქვეყანამ თანდათანობით დაიწყო დამშვიდობება თავის წარსულთან.

ამერიკის მიერ გატარებულმა არასწორმა პოლიტიკამ უკონტროლო გახადა ფინანსური სისტემა, გაფართოვდა სპეკულაცია და ადამიანთა ცალკეული ჯგუფების უზომო გამდიდრება. შენელდა ინფრასტრუქტურა, უმართავი გახდა ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, ჯანდაცვა და, განსაკუთრებით, განათლება. ქვეყანას ტვირთად დააწვა უზარმაზარი სესხები, რის შედეგად დაგროვდა ათეული ტრილიონი საგარეო ვალი. **«შიდა სირთულეებმა საგარეო პოლიტიკურ პრობლემებამდე მიგვიყვანა. უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში ჩვენ ზომიერების გრძნობა და მორიდება დავკარგეთ»** – გვაუწყებს ზ. ბჟეზინსკი.

ასეთ ვითარებაში წარსულს ჩაბარდა ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის ჯორჯ ბუში-უმცროსის საყვარელი გამოთქმა: **«ღმერთმა აირჩია ამერიკა მთელი მსოფლიოს ბელადად»**. მითუმეტეს რეალობას კარგავს ცნობილი ტერმინიც «ამერიკული ოცნება». ამერიკელების ახალ თაობას გაუქარწყლდა იმის იმედი, რომ მამების თაობაზე უკეთესად იცხოვრებდა. როგორც ბჟეზინსკი გვარწმუნებს, **«დღეს საშუალო ევროპელს მეტი შანსი აქვს**

წარმატებას მიაღ-წიოს ცხოვრებასა და კარიერაში, ვიდრე ამერიკელს».

საინტერესოა, რომ პოსტსაბჭოთა ქვეყნებიდან ვინც ამერიკით მოიხიბლა და თავისი ქვეყნის ცხოვრების გზა ამერიკულ ღირებულებებს დაუკავშირა, საქართველო აღმოჩნდა. ჩვენთან ეხლა დიდი შემართებით საუბრობენ ამერიკის საშუალო და უმაღლესი განათლების დიდ უპირატესობაზე. შედეგად, სწავლა ფასიანი გახდა, მცირდება სავალდებულო საგნების სია. ტარდება ერთიანი ეროვნული გამოცდები და ა.შ. თუმცა, როგორც ბჟეზინსკი გვიმტკიცებს, ამერიკაში სერიოზულად დგას განათლების ხარისხისა და მეთოდოლოგიის პრობლემა. ამ პრობლემის გამოსწორებისათვის, ჯერ კიდევ ბუშების სხვადასხვა პრეზიდენტობის დროს, ათეული მილიარდი დოლარი გამოიყო განათლებაში არსებული ხარვეზების გამოსასწორებლად. ამერიკული განათლების სისტემის ნაკლოვანებებზე საუბრობს თავის ცნობილ წიგნებში ამერიკის დღევანდელი პრეზიდენტი – ბარაქ ობამაც, რომელმაც ამერიკის საგანმანათლებლო სისტემის გარდასაქმნელად კვლავ გამოჰყო მილიარდობით დოლარი.

ბჟეზინსკი, რომელიც ამჟამად ამერიკის პრეზიდენტის მრჩეველია, თავის წიგნში მოურიდებლად ეხება ამერიკული განათლების პრობლემასაც. მისი აზრით, ამერიკული დემოკრატია რთულ სამყაროში გადარჩენას ლამობს გონივრული საგარეო პოლიტიკის განხორციელებით, მაგრამ ეს იმ პირობით არის შესაძლებელი თუ ქვეყნის მოსახლეობა გონიერი და ჯანსაღად მოაზროვნეა. **«უნდა ვაღიარო, რომ ამერიკელი ხალხი უვიცია. მას არავითარი წარმოდგენა არა აქვს გარესამყაროზე. ჩვენს სახელმწიფო სკოლებში არ არის საგანი «მსოფლიო ისტორია». ჩვენ ბავშვებს ამერიკის პატრიოტულ ისტორიას ვასწავლით, სინამდვილეში კი ეს შელამაზებული «საშობაო» ისტორიაა, რომელიც შორს არის წარსულის რთული და წინააღმდეგობრივი რეალიებისაგან». აი, ასეთია ამერიკის განათლების სისტემის ბჟეზინსკისეული შეფასება.**

ამერიკელი პოლიტოლოგი უმკაცრეს შეფასებას აძლევს ამერიკის თანამედროვე ისტორიის დამოკიდებულებას ამ კონტინენტის მკვიდრი მოსახლეობის – ინდიელების მიმართაც. **«ამერიკელებმა უნდა აღიარონ, რომ პირველი ეთნიკური წმენდები «კანონის სახელით» სწორედ მათ მი წაზე მოხდა! ათასობით ინდიელი აყარეს საკუთარი მიწებიდან პრეზიდენტ ჯეკსონის დროს და ამერიკის ისტორია ამ ფაქტს გვერდს არ უნდა უვლიდეს» – აცხადებს ბჟეზინსკი.**

როგორც ჩანს, ამერიკაში არც გეოგრაფიას წყალობენ. მაგალითად, ამერიკული კოლეჯების ახლანდელი აბიტურიენტების 52 პროცენტს არ შეუძლია რუკაზე გაარკვიოს, სად მდებარეობს ნიუ იორკი. 2003-2010 წლებში უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელთა 70 პროცენტმა ვერ შეძლო რუკაზე ეპოვნა ერაყის სახელმწიფო, რომელშიც ამერიკა წლების მანძილზე იბრძოდა. მომავალი სტუდენტე-ბის 30 პროცენტმა რუკაზე ვერ მოახდინა წყნარი ოკეანის იდენტიფიცირება. ბჟეზინსკის დასკვნით, ეს და სხვა ფაქტები ადასტურებენ დიდი ნაწილის მეტისმეტად მსუბუქ დამოკიდებულებას ამერიკის საგარეო პოლიტიკის საკითხებისადმი, ასევე ზედაპირულად, შავ-თეთრ ტონებში, გარკვეული დემოგაგიის თანხლებით ხდება საერთაშორისო პრობლემატიკის შეთავაზება საჯარო დისკუსიებშიც.

ბჟეზინსკის პოლიტიკურ და დიპლომატიურ შემოქმედებაში არაერთხელ გაჟღერებულა რუსეთის თემაც. აღნიშნულ წიგნში ამერიკელი პოლიტოლოგი რუსეთის ფენომენის შესახებ საინტერესო თეზას სთავაზობს ამერიკის ხელისუფლებას: **«რუსეთს კი არ უნდა ებრძოლო, არამედ შენი გზით წაიყვანო»**. მისი ღრმა რწმენით, თუ აშშ ამ სიბრძნეს გამოიჩენს, შემდგომი 20-30 წლის განმავლობაში მსოფლიო მნიშვნელოვან ცვლილებებს დაინახავს ამ ნაწილში. **«მათი შედარება გასული საუკუნის 90-იან წლებთან იქნება შესაძლებელი, როცა სრულიად მოულოდნელად შობის დამდეგს საბჭოთა კავშირი დაინგრა».**

ამ კონტესქტში საინტერესოა დიპლომატიის ისტორიის მკვლევარის პროფესორ მურმან პაპაშვილის მო-საზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ქართული დიპლომატიის მიმართება რუსეთთან ყოველთვის დილემური იყო. **«საერთოდ, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის მანძილზე ქართულმა დიპლომატიამ ვერასოდეს ამოიცნო რუსეთის დიპლომატიის მიზნები და მოქმედების ხერხები. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ასეა დღესაც. მომავალი ჯერაც გაურკვეველია».**

ცხადია, XIX საუკუნეში წარმოშობილი ტერმინი «საერთაშორისო ურთიერთობები», მარტო პოლიტიკურ და ეკონომიკურ პარადიგმებს არ მოიცავს და მეტი მასშტაბურობა მას სხვადასხვა დიდმა თუ მცირე ომებმა მოუტანეს. ილია ჭავჭავაძის არ იყოს მსოფლიოს საკმაოდ ჰყავს «დიდი თუ პატარა ონავრები». მათ შორის არის რუსეთიც, რომელიც არ არღვევს თავის იმპერიულ ტრადიციას და მისი ორთავიანი არწივის ერთი თავი მუდმივად აკონტროლებს ქვეყნის შიგნით არსებულ, არც ისე ერთიან სივრცეს, ხოლო მეორე მკაცრად უმზერს ახლო ევროპის სამეზობლო ტერიტორიებს, ცენტრალურ აზიას და კავკასიას.

უდავოა, დღეს იქნება თუ ხვალ, რუსეთი იძულებული გახდება კრემლის «მესამე» თვალი მოაცილოს არაბულ, აფრიკულ და ახლო აღმოსავლურ სამყაროს. მანამდე კი უნდა დავეთანხმოთ

კისინჯერის ზოგად დასკვნას იმის შესახებ, რომ **«რუსეთი ყოველთვის იქნება მსოფლიო წესრიგის განუყოფელი ნაწილი. რუსეთის წარმოდგენა საკუთარ თავზე, მსოფლიო არენაზე, როგორც ისტორიულ მოთამაშეზე, სერიოზულად უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული».**

ამ კონტექსტში განსაკუთრებულ ყურადღებას იძენს, თუმცა საკმაოდ მოულოდნელსაც, ჰ. კისინჯერის სულ ახლახან გაჟღერებული ფრაზა ამერიკის ტელეარხ CNN-თან ინტერვიუში. «მე არ ვფიქრობ, რომ პუტინი ანტიდასავლურად არის განწყობილი. პირველ რიგში, ის რუსი პატრიოტია, რომელიც თავს დამცირებულად გრძნობს იმის გამო, რაც 1990-იან წლებში რუსეთში ხდებოდა».

ამას ამბობს პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე, რომელსაც სახელმწიფო მდივნის პოსტი აშშ-ის ორი პრეზიდენტის – რიჩარდ ნიქსონის და ჯერალდ ფორდის – ადმინისტრაციებში ეკავა. ცნობილია ისიც, რომ პუტინი კისინჯერს დაახლოებით 20-ჯერ შეხვდა, უკანასკნელად კი – 2012 წლის იანვარში.

ასეთ ვითარებაში ქართულმა პოლიტიკამ ცალსახად კურსი არ უნდა აიღოს თნამედროვე, ლიბერალური კპიტალიზმის მოდელზე, რომელიც კრახს განიცდის მთელ მსოფლიოში. ამასთანავე, საგარეო პოლიტიკაში მიუღებელია, რომელიმე ქვეყნის (აშშ, რუსეთი, თურქეთი და ა.შ.) სრულ მოიმედეობაზე ყოფნა, რომელიც მას გახდის სატელიტ სახელმწიფოდ და, შესაბამისად, მოუმრავლებს მტერ ქვეყნებს. ქართულმა ნებისმიერმა პოლიტიკურმა კლასმა გონივრულად უნდა გაიცნობიეროს, რომ ნატოსკენ თვითმიზნური ლტოლვა რუსეთს გადააქცევს იმ ვეშაპად, რომლის ხახაში მოხვედრის აცილება თითქმის შეუძლებელი იქნება. მითუმეტეს ჰორიზონტზე ჩანს იმპერიული რუსეთის მზადყოფნა, საბოლოოდ დააჩოქოს ახალგაზრდა ქართული სახელმწიფო, მისი ხელისუფლების «საყმაწვილო» შეცდომების გამო.

IGOR KVESELAVA

IS IT THE END OF MODERN CAPITALISM?

Summary

The issue of historical fate of modern capitalism is being actively discussed for about 10 years in certain circles of political elite, in the books of scientists and publications of publicists, in the newspapers and scientific magazines (A. Gori, Z. Brzezinski, H Kissinger, G. Soros, B Gates, V. Pinchuk, P. Drucker, A. Kattels, K. Laggard, I. Wallerstein, S. Huntington, F. Fukuyama, D. Bell, R. Aron, A. Toffler, D. Rubenstain, L. Summers, K. Shvamba, I. Schumpeter, G. Plender, A. Galchinsky, N. Ornshtein, T. Veigel, V. Inozemtsev, I. Prangishvili, and others. The issue is in the centre of discussions of various international forums and other meetings, the Davos Economical Forum and other international conferences are not an exception).

Were expressed the opinions that, **" Modern capitalism has exhausted itself and it does not fit the modern world standards"**; Capitalism finished the demonstration of its success in the XX century and now it has become so old, that threatens to ruin the XXI century society".

Obviously, it is difficult to predict in what kind of system will the world live in future, but scientists think that it could be more humanistic social-economic system – the Western Type socialism but in the distant future it will be replaced by a political system – harmonious society.

In January 2012 at the World Economic Forum in Davos, Switzerland, was said that according to the modern styles, the system of capitalism has exhausted itself, Euronean Union has certain kind of problems and they are reflected in its currency –the euro. As it can be seen, the modern system of market economy turned up to be unacceptable, and in addition it became not only unstable but unfair.

The well-known politician and diplomat, adviser to President B. Obama, Z. Brzezinski convinces us that America, along with its economic decline is in the political impotence and strategic isolation. There is a process of decentralization in the world, and consequently the strength and power inevitably are shifting from West to East. **"The internal problems brought us to the external political troubles, during the last 20 years we lost the feelings of moderation and respect", said Z. Brzezinski.**

American well-known politician expresses his concern about American Educational system, to say nothing of the study of distorted history and geography which is in a regrettable situation.

It is also interesting to look at Brzezinski's political and diplomatic work of the theme of Russia. American political scientist thinks that: **" You need not fight with Russia, but rather to have it on your way".** He believes that if America is wise during the next 20-30 years the world will face great and important differences. **"These differences may be compared to the nineties of last century, when just few days before the Christmas Eve, Soviet Union unexpectedly collapsed".**

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ფუკუიამა ფ., «სად არის მემარცხენეების ამბოხი?» გაზ.: «შპიგელი», 2012, თებერვალი (ციტ. გაზ:. «რეზონანსი», 2012 წლის 8 თებერვალი);
2. ბჟეზინსკი ზ., «სტრატეგიული ხედვა: ამერიკა და გლობალური ძლიერების კრიზისი», აშშ, 2012;
3. ბჟეზინსკი ზ., «ამერიკამ საგარეო პოლიტიკაში ზომიერების გრძნობა დაკარგა», ციტ. გაზ.: «საქართველო და მსოფლიო», 22-28 თებერვალი, 2012;
4. კისინჯერი ჰ., «დიპლომატია» (რუსულ ენაზე), 2004;
5. გორი ა., «დედამიწა სასწორის თეფშზე», ნიუ იორკი, 1996;
6. სოროსი ჯ. «ფინანსური რყევები ევროპასა და აშშ-ში», აშშ, 2012;
7. ფრანგიშვილი ი., «რთული სოციალ-ეკონომიკური სტრუქტურების მართვის ზოგიერთი პრობლემა», ჟურნ.: «Приборы и система управления», №8, მოსკოვი, 1995.
8. ფრანგიშვილი ი., «სხვადასხვაგვარი ბუნების რთული სისტემების ფუნქციონირების საერთო სისტემური კანონზომიერებანი», კრებ.: «Философские исследования», №3, მოსკოვი, 1997.
9. ჭითანავა ნ., «შერეული მრავალწყობიანი სოციალურად ორიენტირებული ეკონომიკა», თბ., 1997.
10. გაზ.: «Newsweek», აშშ, 24 იანვარი, 2012; http://inosmi.ru/usa/2012024/183775801.html.
11. დრიუკერი პ., «პოსტკაპიტალისტური საზოგადოება», აშშ, 1993;
12. გაზ.: «Le Monde», საფრანგეთი, 26 იანვარი, 2012; http://inosmi.ru/usa/20120127/184121973.html
13. ვალლერსტაინი ე., «ნაცნობი მსოფლიოს დასასრული», აშშ, 2003;
14. «გაზ.: «Голос», უკრაინა, 1 თებერვალი, 2012; http://www.golosua.com/main/article/mizhnarodni-vidnosini/20120119_kapitalizm-tyajelyie-vremena
15. გაზ.: «Зеркало недели», 2 თებერვალი, 2012; http://zn.ua/ECONOMICS/anatoliy_galchinskiy_konets_kapitalizma__mozhno_s_polnym_osnovaniem_traktovat_kak_ego_triumf-96778.html;
16. კვესელავა ი., საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური ორიენტაციის ზოგიერთი საკითხი, თბ., 1999;
17. კვესელავა ი., მსოფლიო გლობალიზაციის პარადიგმები, ჟურნ.: «საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის მოამბე», №11-12, თბ., 2003.
18. პაპაშვილი მ., ჰენრი კისინჯერი. დიპლომატია. ჟურნ.: «საისტორიო ვერტიკალები», № 13, თბ., 2007;
19. ჭაჭია ა., გაზ. «საქართველო და მსოფლიო», 27.04.2012.

ჯემალ გახოკიძე

კონფლიქტებისა და ბიზნეს-ურთიერთობების პოლიტიკა და სამართალი

თავისთავად კონფლიქტისა და ბიზნესის მიმართება, ერთი შეხედვით, სავსებით შეუთავსებელ წყვილად ასოცირდება. მაგრამ, როგორც განვითარებული ქვეყნების ისტორია მოწმობს, მათ შორის, მართლაც არის ურთიერთგანმაპირობებელი ლოგიკური კავშირი. დასავლეთ ევროპაში, ჯერ კიდევ XVII საუკუნიდან იკვლევდნენ ხალხთა ურთიერთობებში კომერციის პოზიტიურ ფუნქციას. «კომერციის ბუნება» და საქმიანი ვაჭრობის გონივრულობა მიიჩნეოდა ქვეყნებსა და ხალხთა შორის მშვიდობიანობის ფაქტორად. თვით საქონლის გაცვლის პრაქტიკა ხელს უწყობდა ცალკეული ინდივიდების, ერების, ქვეყნების დაახლოებასა და კონფლიქტების შემცირებას. ამ კონტექსტის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ კომერცია არა მარტო მშვიდობიანობის, არამედ ცილივიზატორულ ფუნქციასაც ასრულებს[1]. ჟან ბოდენი მიიჩნევდა, რომ გაცვლის თავისუფლება და ხალხთა მეგობრობა ურთიერთგანუყოფელი ფენომენია[2]. და, მართლაც, თუ ერთ ხალხს სურს იყიდოს, ხოლო მეორე ხალხს სურს გაყიდოს, მაშინ კომერციის რეალური შედეგი ხალხთა მეგობრობა და მშვიდობა არის.

ამ თეორიული პასაჟის მიზანია მივუახლოვდეთ ჩვენ განვლილ ქმედებათა ზოგად ანალიზს. პირდაპირ შეიძლება ვთქვათ, რომ ***გაყინული კონფლიქტების დროს ერგნეთის ბაზარი, გარკვეულწილად, წარმოადგენდა მშვიდობიანობის ანკლავს.*** პრაგმატული, რეალ-პოლიტიკაც უთუოდ მოითხოვდა ამ ანკლავის გაფართოებისათვის ხელშეწყობას, ყოველ შემთხვევაში მისი თვითდინების შეუფერხებლობას. შესაძლოა გადაჭარბებაში ჩამეთვალოს, მაგრამ მგონია, რომ ***ცხინვალსა და თბილისს შორის არსებული პრობლემის გადაჭრის სხვა მშვიდობიან საშუალებათაგან*** «ერგნეთი» ყველაზე მნიშვნელოვანი იყო, ისე, როგორც გალსა და ზუგდიდს შორის შექმნილი კომერციული ურთიერთობა.

ამასთან პრობლემა მოითხოვდა პოლიტიკურ ანალიზთან ერთად სერიოზულ, კომპლექსურ, სამართლებრივ ანალიზს. მათ შორის, კრიმინოლოგიური თვალსაზრისითაც. სანამ ამ მეთოდით პრობლემის ანალიზს შევუდგებოდეთ, საინტერესო იქნება ე.წ. ერგნეთის ბაზრობის პრეისტორიასაც შევეხოთ.

2001 წლის სექტემბერში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომაზე გვემსჯელა ერგნეთის ბაზრობის თაობაზე და მასთან პირდაპირ დაკავშირებულ სამრეწველო კონტრაბანდის (და არა მარტო სამრეწველო კონტრაბანდის) პრობლემებზე. კერძოდ: რა პოლიტიკურ, სამართლებრივ და ეკონომიკურ მოვლენასთან გვქონდა საქმე, შესაძლებელი იყო თუ არა გარკვეულ კონტროლს დაქვემდებარებოდა იქ განვითარებული, ერთი მხრივ, მეტად საშიში მოვლენები და, მეორე მხრივ, ქართველებისა და ოსების ერთობლივი, კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებული კავშირების, სრულიად ახალი ფორმით წარმოჩენილი «ბიზნეს-ურთიერთობები".

თუ პრობლემის სისხლის სამართლებრივ მხარეს შევეხებით, ერგნეთის ბაზრობაზე საქონლის ყიდვა-გაყიდვა არ შეიძლება ჩათვლილიყო კონტრაბანდად. ეს იმიტომ, რომ საქონლის ყიდვა-გაყიდვა საქართველოს ტერიტორიის შუაგულში ხდებოდა და რა ვითარებაში შემოვიდა საქართველოს ტერიტორიაზე, პრაქტიკულად, შეუძლებელი იყო დადგენა, კერძოდ: კანონიერად თუ უკანონოდ, როდის, ვის მიერ, რაც მთავარია გადახდილი იყო თუ არა საბაჟო გადასახადები და დაცული საბაჟო პროცედურები და ა.შ. ასეთ ვითარებაში როგორც სისხლის სამართლის დანაშაულის, ისე მისი ჩამდენი პირების დადგენის შესაძლებლობა არ არსებობდა. **საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის თანახმად, საბაჟო წესების დარღვევად (სისხლის სამართლის კოდექსის ძველი რედაქციით კონტრაბანდად) ითვლება საქართველოს საბაჟო საზღვარზე დიდი ოდენობით მოძრავი ნივთების გადატანა ან გადმოტანა, ჩადენილი საბაჟო კონტროლის გვერდის**

---

[1] იხ. ჟან ბოდენი «პასუხი დე მალტრუას».

[2] ასეთი ტიპის კომერციული ურთიერთობები მხოლოდ საქონლის ყიდვა-გაყიდვით არ ამოიწურება. აღნიშნულ ურთიერთობათა პროცესი მოიცავს ფასეულობების, კულტურის, ყოფითი ჩვევების და სხვა მსგავსი ცივილური კომპონენტების გაცვლასაც. გაიგო, აითვისო და გაითავისო სხვა ერთა ხასიათი, მისწრაფებები თუ პრობლემები არის ურთიერთმშვიდობიანობის საწინდარი. ჯ.გ.

ავლით ან მისგან მალულად, დოკუმენტის ან საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების გამოყენებით, დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით. ნორმის დისპოზიციიდან გამომდინარე, თვალნათლივ ჩანს, რომ საქართველოს სსკ 214-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნების დადგენა ე.წ. ერგნეთის ბაზართან დაკავშირებით შექმნილი რეალური გარემოებების გათვალისწინებით შეუძლებელი იყო და აქედან გამომდინარე, აღძრულ სისხლის სამართლის საქმეებს არავითარი სასამართლო პერსპექტივა არ ექნებოდა. რაც შეეხება პრობლემის პოლიტიკურ მხარეს, მდგომარეობა ფაქტიურად სამართალდამცავი ორგანოებისაგან ვერ ან არ ექვემდებარებოდა კონტროლს და ამას როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური (ხშირ შემთხვევაში ანგარებითი) მიზეზები ახლდა. მოვლენას კრიმინოლოგიური კუთხით თუ გავაანალიზებთ, აშკარად იყო საშიშროება ჩამოყალიბებულიყო მაფიოზური კლანები და დაწყებულიყო სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული საქონლით ვაჭრობა (იარაღი, ნარკოტიკი) და ამის პირველი ნიშნები უკვე მაშინვე გამოჩნდა.

ერთი სიტყვით შექმნილი ვითარება აშკარად და პირდაპირ ემუქრებოდა საქართველოს ეკონომიკურ უსაფრთხოებას, მით უმეტეს ქვეყანაში იმ დროს შექმნილი ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით **შეიძლება ითქვას, რომ ვცხოვრობდით სახელმწიფო ბიუჯეტის ქრონიკული დეფიციტის და საგადასახადო-საბაჟო პოლიტიკის «პარალიჩის» პირობებში.**

მაშინ ხელისუფლების მხრიდან გამოითქვა მოსაზრება, რომ იქნებ სჯობდეს ერგნეთის ბაზრობაზე დავაწესოთ მაქსიმალური კონტროლი, რათა იგი კრიმინალებს არ ჩაეგდოთ ხელში. თუ არადა, გარდა წმინდა ფინანსური მოგებისა, კრიმინალებს შესაძლებლობა მიეცემოდა პირადი ინტერესების მიხედვით ემართათ ქართველებისა და ოსების ურთიერთობები.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ერგნეთის ბაზრობა, მისი ნეგატიური მხარეების მიუხედავად, ქართველი და ოსი ხალხის ურთიერთობების დათბობის ბუნებრივ ზონადაც ჩამოყალიბდა. აშკარად შეიმჩნეოდა, რომ არაფორმალურ სავაჭრო-ეკონომიკურ ზონას სოციალურ-ეკონომიკურთან ერთად, პოლიტიკური ფუნქციის დატვირთვაც ჰქონდა. ჩვენი შეხედულებით, ერგნეთის ბაზრობაზე არსებული ქაოსი საქართველოს ხელისუფლების ინტერესებს დაქვემდებარებულ მართვად პროცესად უნდა გადაქცეულიყო. სამართლიანობა მოითხოვს და უნდა აღინიშნოს, რომ ეს ყველაფერი, პრინციპში, ეწინააღმდეგებოდა ქვეყანაში მოქმედ კანონმდებლობას. უფრო სწორად სახეზე გვქონდა პოლიტიკისა და კანონის ურთიერთშეჯახება. **დამდგარი შედეგის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ხელისუფლებამ, მაშინ უპირატესობა მაინც მოქმედ კანონმდებლობას მიანიჭა.**

იგივე არაფორმალური ურთიერთობები ყალიბდებოდა ზედა სახელისუფლებო ეშელონებს შორისაც. 1998-2001 წლებში საქართველოს პრეზიდენტი, რამდენჯერმე შეხვდა სამხრეთ ოსეთის ე.წ. პრეზიდენტს ჩიბიროვს, მათ შორის ლიკანსა და ჯავაშიც. პარალელურად საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები დაუბრკოლებლად ხვდებოდნენ ოსეთის ე.წ. მთავრობის წევრებს (ეს ხდებოდა ზოგჯერ ფარულად, ზოგჯერ ნახევრად ფარულად და ზოგჯერ ღიად მედიის თანდასწრებით). კარგად მუშაობდა წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული პირადი კონტაქტებიც. ასეთი კონტაქტები მქონდა ოსეთის მთავრობის თავმჯდომარესთან მ. ჩიგოევთან, რომელიც კონფლიქტამდე მუშაობდა ოსეთის ა/რ მილიციის სამმართველოში საგამოძიებო სამსახურის უფროსად, მე კი ამ სამსახურის უფროსად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში და ამ სუბორდინაციით რამდენიმე წელიწადი მოგვიწია ერთად მუშაობა (ის მეტად ზრდილობიანი, ზომიერებით გამორჩეული კაცი იყო, შესანიშნავად ფლობდა ქართულ ენას, დედაც ქართველი ჰყავდა).

ამ ურთიერთობებმა ის შედეგი გამოიღო, რომ შესაძლებელი შეიქმნა ოსეთის დანარჩენ საქართველოსთან ინტეგრაციის რეალური გზების ძიება; განსაკუთრებით, ეკონომიკური ინტეგრაციის მიმართულებით. გადაწყდა შემუშავებულიყო ერთობლივი ეკონომიკური პროგრამები, რომელიც მოიცავდა, როგორც ქართულ, ისე ოსურ სოფლებს, ასევე შიდა ქართლის იმ ტერიტორიებს, რომელიც ადმინისტრაციულად ოსეთს ესაზღვრებოდა. საუბარი იყო წყალ-კანალიზაციის, სარწყავი და ენერგეტიკული სისტემის მოწესრიგების პრობლემებზე; საშიშ კრიმინალურ დაჯგუფებებთან ერთობლივი ბრძოლის ღონისძიებების შემუშავებაზე, საქმიანი ვიზიტების ინტენსივობის გაზრდაზე, განათლების სისტემისათვის ხელის შეწყობაზე, კულტურული კავშირების აღდგენასა და, რა თქმა უნდა, ლტოლვილების დაბრუნებაზე და ოსეთის სამომავლო სტატუსზე.[18]

---

[18] განდგომილი რეგიონის დედა სახელმწიფოში დაბრუნება იმდენად მნიშვნელოვნად მიაჩნია ჩინეთის ყოფილ ლიდერს დენ-სიაოპინს, რომ იგი შესაძლებლად მიიჩნევდა ერთ სახელმწიფოში ორი სისტემის არსებობას. რა თქმა უნდა, ის ამაში გულისხმობდა ტაივანის ჩინეთის სახელმწიფოში დაბრუნებას. ჯ. გახოკიძე

თითქოს ყველა პირობა შეიქმნა ოსეთის კონფლიქტის თანდათანობით და ეტაპობრივად მოგვარებისათვის. არსებობდა საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური ნება. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ასეთივე ნება ოსებსაც ჰქონდათ. საგულისხმოა, რომ არაფორმალურ და მჭიდრო ურთიერთობებს მიესალმებოდა საერთაშორისო ორგანიზაციებიც. მართალია, კონფლიქტი ფორმალურად მაინც კონფლიქტად რჩებოდა, მაგრამ უკვე სახეშეცვლილი, არა აგრესიული.

ის, რომ ვერ მოხერხდა აღნიშნული ფაქტორის გამოყენებით სამხრეთ ოსეთის დანარჩენ საქართველოსთან ინტეგრირება, მრავალი საშინაო მიზეზით აიხსნება. მათ შორის ყველაზე მეტად ხელი შეგვიშალა კონტრაბანდამ, რომელმაც 1999-2001 წლებში წალეკა საქართველოს ეკონომიკა. კორუფცია, ბიუჯეტის დეფიციტი, ქვეყნის შიგნით პოლიტიკური დაძაბულობის ხარისხი სულ უფრო ზღუდავდა ჩვენს შესაძლებლობას. ერთობლივ ეკონომიკურ პროგრამებს კი მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევა არ ჰყოფნიდა. ჩვენმა ბიუჯეტმა ამის გადაწყვეტა ვერ შეძლო. თანდათან დაიკარგა პოლიტიკური ენთუზიაზმი, სათანადოდ არ იაქტიურა საერთაშორისო თანამეგობრობამაც. პოლიტიკური შეხლა-შემოხლის მიზეზი ხდებოდა ოსეთის სტატუსის საკითხი და სხვა მსგავსი შიდა პრობლემები. თუმცა რეალპოლიტიკის თვალსაზრისით ოსეთის მოწყობის შესახებ სტატუსის წამოწევა შექმნილი სიტუაციის თვალსაზრისით მთლად გამართლებული არ იყო.

მაგრამ ძირითადი წინააღმდეგობა მაინც ჩრდილოეთიდან მოდიოდა. რუსეთის პრეზიდენტი ელცინი, პოლიტიკური ისტებლიშმენტის სხვა წარმომადგენლები სიტყვით მიესალმებოდნენ ამ დაახლოების პროცესს, მაგრამ საქმით ყველანაირად ეწინააღმდეგებოდნენ. ეს თვალნათლივ გამოჩნდა 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის დროს. საქმე ის არის, რომ დაახლოებით 10 წელიწადია რუსეთის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბი და მთავარი სამხედრო დაზვერვის სამსახური უმტკიცებდა რუსეთის უმაღლეს პოლიტიკურ ხელისუფლებას, რომ სამხედრო სტრატეგიული დანიშნულების თვალსაზრისით, ოსეთი გაცილებით მნიშვნელოვანია, ვიდრე აფხაზეთი.

ხელისუფლებისათვის ამის დამტკიცება მათ შეძლეს კიდეც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს. უმოკლეს დროში, უმოკლესი გზით გორის დაკავებამ. საქართველოს აღმოსავლეთი და დასავლეთი ნაწილის გახლეჩა, ყველა შემაერთებელი არტერიის მწყობრიდან გამოყვანა გამოიწვია. ზუსტად და სკრუპულოზურად იყო გათვლილი ისიც, რომ გორიდან ერთი საათი იყო საჭირო თბილისამდის.

აფხაზეთიდან კი ასეთივე ოპერაციის განხორციელებას ართულებდა ის, რომ დიდი მოცულობის სამხედრო ტექნიკის თბილისამდე გადაადგილებისათვის საჭირო დრო ჩაშლიდა ყველა მათ გეგმას (ამ შემთხვევაში ვგულისხმობ საქართველოს შეიარაღებულ ძალებთან შეტაკების გარდაუვალობას და საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან დროულ პოლიტიკურ რეაგირებას).

რა თქმა უნდა, ოსეთთან კონფლიქტის არარსებობის შემთხვევაში, ერგნეთის ბაზრობა დასახური და გასაუქმებელი იყო. იგი, მართლაც, კრიმინალურ ბურუსში იყო გახვეული და კორუფციის ბუდედ ყალიბდებოდა. ზემოთაც აღვნიშნე, რომ იქ არსებული ქაოსი ჩვენი მხრიდან მაქსიმალურად გამოსაყენებელი და მართვადი უნდა ყოფილიყო, წმინდა პროფესიული თვალსაზრისითაც. რა მაქვს მხედველობაში: ბაზრობაზე ყიდვა-გაყიდვის, სხვადასხვა გარიგების მონაწილეების ნაწილი ოსეთის კონფლიქტის უშუალო მონაწილეები იყვნენ ორივე მხრიდან. ვის არ ნახავდით იქ, ქართველს, ოსს, სომეხს, აზერბაიჯანელს, ჩეჩენს, ლეკს, ინგუშს, ქალაქელს, სოფლელს, კრიმინალს, ბიზნესმენს, წვრილმოვაჭრეს, პედაგოგს, ექიმს, მოხუცს, ახალგაზრდას, ბავშვებიც კი იყვნენ ამ საქმით დაკავებული. ეს ვითარება რომ არ ყოფილიყო, უნდა ენატრა ქართველ სპეცსამსახურებს და შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურებს. ასეთი ხელსაყრელი ბუნებრივი გარემოს შექმნას სპეცსამსახურები «მონაპოვარს» უწოდებენ.

გაჩნდა რეალური, ბუნებრივი საშუალება გვემუშავა ისეთ გავლენიან ადამიანებთან (კარგი გაგებით), რომლებიც, თავის მხრივ, ოს ხალხს და არა მარტო მათ, დაანახებდა ქართველებისა და ოსების ერთად ცხოვრების, ელემენტარული ფიზიკური არსებობისათვის საჭირო აუცილებლობას. დაარწმუნებდა მათ შერიგების, ურთიერთპატიების, საქმის ერთად კეთების, გადახვეწილი ადამიანების თავიანთ სახლებში დაბრუნების, დანგრეული და გაპარტახებული სოფლებისა და ქალაქების ერთად აშენების აუცილებლობაში და ასეთი ადამიანები მრავლად «მოიპოვებოდა» ერგნეთის ბაზრობაზე. ასეთი მიზნების განსახორციელებლად ცოცხალ ადამიანს ვერაფერი ვერ შეცვლის, ნამდვილად ვერ გასწევს მათ მაგივრობას თანამედროვე, უნიკალური, მილიონებად ღირებული სპეციალური ტექნიკა. მხოლოდ ადამიანებს, მათ ურთიერთობებს შეუძლიათ გაუწიონ ფასდაუდებელი სამსახური კონფლიქტების მოგვარების საქმეს. როგორ, რა ფორმების, მეთოდებისა და

საშუალებების გამოყენებით, რა ვითარებაში, როდის და სად? ეს უკვე პროფესიონალების მოსაფიქრებელი და გასაკეთებელი საქმე იყო, რომელსაც უდიდესი ძალისხმევა, შრომა, გამოცდილება, თავდადება, რისკი და პატრიოტიზმი სჭირდებოდა. სამწუხაროდ, ეს შანსი მაშინ ხელიდან გავუშვით.

მოკლედ მინდა შევეხო სამეგრელოსა და აფხაზეთს შორის განვითარებულ იმ დროის მოვლენებს. აქაც ერგნეთის ანალოგიურად კომერციული ურთიერთობები ქაოტურად დაიწყო და თანდათან მასშტაბური სახე მიიღო თხილის, მანდარინის, ჯართის და სხვა ბიზნესის სახით. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ეს ურთიერთობები ორივე მხარეში მცხოვრებ ბევრი ადამიანისათვის შემოსავლისა და ოჯახის გადარჩენის საშუალებად იქცა. თუმცა, მაშინ ვერც ეს გარემოებები ვერ გამოვიყენეთ კონფლიქტის მოგვარების ინსტრუმენტად.

დასკვნის მაგივრად:

ფაქტიურად, ნებით თუ უნებლიედ საფუძველი ეყრებოდა საქართველოსა და განდგომილ რეგიონებს შორის ერთიანი ეკონომიკური სივრცის აღდგენას, პოლიტიკურ ნებათა დაახლოებას და ურთიერთხელსაყრელი სამართლებრივი რეჟიმის შემუშავებას, რაც საბოლოო ჯამში კონფლიქტების მოგვარებისთვის «კარგ ამინდს" ქმნიდა.

გაყინული კონფლიქტების გაყინული გაურკვევლობა აფხაზეთთან და ოსეთთან მიმართებაში არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს უახლოეს და ახლო თუ არა, გრძელვადიან პერსპექტივაში კომერციული ურთიერთობები აუცილებლად დაიწყებს ამოქმედებას, რაც თანდათან ბიზნეს ურთიერთობებში გადაიზრდება.

ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკე-თოთ იმისთვის, რომ აფხაზებისთვის და ოსებისთვის მეორე ფანჯარა გავხსნათ, რომელიც მათ ეკონომიკური განვითარებისა და დაცულობის მეტ პეტსპექტივის განცდას ჩაუსახავს, ვიდრე ჩრდილოეთით გაჭრილი ფანჯარა.

სავსებით შესაძლებელია ყოფილ მეზობლებს შორის კომერციულ ურთიერთობებთან ერთად კვლავ დადგეს დღის წესრიგიში, როგორც სარკინიგზო ხაზის აღდგენა სოჭი-სოხუმი-თბილისი-ერევანის მიმართულებით, ისე ნოვოროსისკიდან აფხაზეთის გავლით საექსპორტო ნავთობსადენის მშენებლობა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენთან მიერთების მიზნით.

სწორედ ამ დროისთვის უნდა ვიყოთ მზად სამოქმედო პროგრამით. სამოქმედო პროგრამის პოლიტიკა და სტრატეგია მეორე მხარესთან (მხარეებთან) მიმართებაში არ უნდა იყოს არც შეტევითი და არც დაცვითი, არამედ კონსტრუქციული, რაც იმას ნიშნავს, რომ მიზანი უნდა იყოს ურთიერთშორის ნდობის აღდგენა და თანდათანობით სიტუაციის ორივე მხარისათვის მისაღებ და სასარგებლოდ განვითარება.

JEMAL GAKHOKIDZE

POLICY AND RIGHT OF THE CONFLICTS AND BUSINESS RELATIONSSUMMARY

Summary

The conflict and commerce seems to exclude each other, but as the world's history and some cases precedents testify, they connect many mutual conditionalities.

Ergneti market gave a good example, which was the most important and real way to solve the problem between Georgia and Tkhinvali peacefully.

Similar situation was between Samegrelo and Abkhazia.

The commercial Relations, which then will have further business development, would create the best conditions of conflict resolution In the case of correct strategy and Russian supporting.

The special relations have opposed legislation of Georgia, but political inevitability was fact. Struggle between policy and law has finalaizes victory of law, and it was real reason that the conflict is unresolved from its beginning to nowadays.

ნინო ჩუხრუკიძე

დასავლეთის სახელმწიფოების ანტირუსული დიპლომატია და საქართველო 1722–1724 წლებში

XVIII საუკუნის 20-იან წლებში ირანში განვითარებულმა მოვლენებმა, პეტრე I-ის კასპიისპირეთში ლაშქრობამ და ვახტანგ VI-ის რუსეთთან მოკავშირეობის გეგმებმა დიდი ადგილი დაიკავა დასავლეთის სახელმწიფოების დიპლომატიაში. უდავო ჩანდა, რომ რუსეთის სახელმწიფოს აღმოსავლურმა პოლიტიკამ დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა შეიძინა და „...უმთავრეს გავლენას ახდენდა ევროპის სახელმწიფოებთან რუსეთის ურთიერთობაზე ახლო აღმოსავლეთში“ [1.367].

კასპიისპირეთსა და ირანში მომხდარი კატასტროფა დასავლეთ ევროპის პოლიტიკოსთა დიპლომატიური კომბინაციების საგანი გახდა. ქვემოთ მოტანილი წყაროები თვალნათლივ დაგვანახებს, რომ დასავლეთის დიპლომატია ყოველმხრივ ცდილობდა, რომ თურქეთი ამ რეგიონში „ბარიერად“ ექცია რუსეთის ექსპანსიის წინააღმდეგ. ცხადია, ეს მოქმედება უპირველეს მიზნად იმ ამოცანას ისახავდა, რომ ამიერკავკასიაში რუსეთის პოზიციების განმტკიცებისათვის ხელი შეეშალა.

რეალურად შექმნილ ვითარებაში კონსტანტინოპოლში აქტიურ დიპლომატიას ძირითადად ინგლისი ეწეოდა. გერმანელი ისტორიკოსი ი. იაკობი თურქეთში ინგლისის ელჩის ა.სტანიანის 15 ივლისის ანალიზის შედეგად წერს: „სათანადო ინფორმაციით აღჭურვილი სტანიანი კარგად ხედავდა პეტრე I-ის განზრახვას, რომ თურქეთთან ირანის ვაჭრობა რუსეთის იმპერიაში გადაეტანა. ამაში მან ინგლისის ვაჭრობისათვის მოსალოდნელი ზარალი დაინახა ალეპოსა და სმირნაში“ [2.71]. კონსტანტინოპოლში ვენეციის ელჩის ჯოვანი ემოს მიხედვით, „მირ მაჰმუდმა ჯერ ბენდერ აბასს შეუტია, სადაც ბევრი ინგლისელი (იგულისხმება ოსტ-ინდოეთის ინგლისის სავაჭრო კომპანიის წარმომადგენლები – ნ.ჩ) ესახლა და მათი საკვირველი შემწეობით ხარკის ძალიან დიდი ნაწილი მიიღო“ [3. ფურც. 30–30^{V}]. იგივე ავტორი ივლისის თვის წერილში წერდა: „ისე ბუნდოვანია სპარსეთის ამბები და ისეთი ურთიერთგამომრიცხავი ცნობებია მოსკოვიტთა (რუსეთის – ნ.ჩ.) მოქმედებების შესახებ, რომ შეუძლებელია რამენაირად განიჭვრიტოს მომავალი, როცა გაურკვეველია, თუ რა ხდება აწმყოში. ყველაზე ხშირად მეორდებოდა სტანიანის ცნობა იმის შესახებ, რომ რუსთა ხელმწიფის თანხმობით ქართველებს რომელიღაც ტერიტორია დაეკავებინათ“ [3. ფურც. 63]. საკუთრივ სტანიანი დასაბუთებული წერილით ინგლისის ხელისუფლებას აუწყებდა, რომ ოსტ-ინდოეთის კომპანიის აგენტს ისპაჰანში მისწერა, რომ შაჰისათვის განემარტა, თუ რა მიზანს ისახავდა პეტრე I-ის გეგმები და რუსეთის წინააღმდეგ განეწყო. [4.218].

პირველწყაროების თანახმად, თურქ პოლიტიკოსებს სტანიანი არწმუნებდა, რომ პეტრე I „ამ ლაშქრობის შედეგად დაეუფლებოდა ირანის აბრეშუმზე ვაჭრობას, არამედ ინდოეთის საქონელსაც მისი ძველი გზიდან კასპიის ზღვის ნავსადგურებით რუსეთის ტერიტორიაზე გადაიტანდა. მის კარგად ცნობილ პროექტს, რომ ირანისა და ინდოეთის ვაჭრობა ბალტიის ზღვისკენ წარმართოს, ხელს შეუწყობს ისიც, რომ მას აქვს მარტივი საშუალებები (გემები და მარხილები) ამ საქონლის გადასატანად, რითაც იგი თურქებს აჯობებდა.“ სტანიანი პირადად სულთანს უხსნიდა: „ყოველი სახელმწიფო თავისი ვაჭრობით ცხოვრობს და რუსეთი თუ ხელში აიღებს ირანის აბრეშუმზე მონოპოლიას, მაშინ იგი თურქეთის ვაჭრობას შთანთქავდა. ამით კი კონსტანტინოპოლს მოუახლოვდებოდა „ბერძნული იმპერიის“ აღდგენა და პეტრე I აღმოსავლური აბრეშუმის მონოპოლიის შემოსავლის საშუალებით თურქეთის პროვინციებს ერთიმეორეზე მიყოლებით დაიმორჩილებს“ [2.71].

ჩვენს ხელთ არსებული ვენეციის საარქივო მასალების მიხედვით, თურქეთის დიპლომატია ფრთხილ ნაბიჯებს დგამდა [3. ფურც. 61-63]. ეს იმაში გამოიხატებოდა, რომ იმის შემთხვევაში უფრო მეტი არ დაეკარგათ, ვიდრე მოიგებდნენ [3. ფურც. 63]. ჯ.ემოს მიხედვით „მათ (თურქებს – ნ.ჩ.) კვლავ აწყობდათ ისეთი ომი ევროპაში, რომელსაც მათთან შეხება არ ექნებოდა“ [3. ფურც. 63]. ვენეციის ელჩი აგრძელებს: „თურქებს ის გარემოება აშფოთებდათ, რომ ჯერ კიდევ არ იყო მოწესრიგებული უთანხმოებები რუსეთსა და ინგლისს შორის და ხელმწიფის (პეტრე I-ნ.ჩ.) გეგმები აზიაში სავაჭრო ურთიერთობების გაჩაღების შესახებ უთუოდ შურით გამსჭვალავდნენ ინგლისელებსა და ჰოლანდიელებს“ [3. ფურც. 137-142].

მოტანილი წყარო გვაძლევს დავასკვნათ შემდეგი: სულთანის კარი კარგად ხედავდა, რომ ინგლისი თურქეთს რუსეთთან ომისკენ უბიძგებდა. სანაცვლოდ ინგლისი ომის შემთხვევაში რა დახმარებას აღმოუჩენდა სულთანს წყაროებში არ

ჩანს და არც სპეციალურ ლიტერატურაშია ამის შესახებ არაფერი ნათქვამი [5.160].

სტანიანი ენერგიულად განაგრძობდა დიპლომატიურ სვლებს. ის ერთ-ერთ წერილში ინგლისის სტატს-მდივან კარტერეტს სწერდა: „ყველა საშუალებას გამოვიყენებ, რათა ვაზირმა ირწმუნოს ჩემი აზრი..., რომ მეფის (პეტრე I-ის – ნ.ჩ.) ახალი დაპყრობის შედეგად ჩვენს ვაჭრობას და პორტასთან მეგობრობას საფრთხე ელის რუსეთის მხრიდან“ [2.72]. თვით კარტერეტი საპასუხო წერილში ელჩს არწმუნებდა, რომ თუ პეტრე I „თავის მიზნებს განახორციელებდა, მაშინ ეს გამოიწვევდა ოსტ-ინდოეთის და ლევანტის კომპანიის კრახს, რაზედაც დიდად იყო დამოკიდებული ინგლისელთა სიძლიერე და პარლამენტური წყობის უშიშროება“ [2.72].

ვფიქრობთ, მოტანილი მასალა გვაძლევს ვთქვათ, რომ ინგლისმა ირანის იმპერიის უკიდურესი მდგომარეობიდან გამომდინარე, უმჯობესად მიიჩნია თურქეთის საშუალებით რუსეთის შეკავება. ამასთან დაკავშირებით ინგლისელი ისტორიკოსი ლოურენს ლოკარტი წერს, რომ ინგლისის მეფე გეორგ I „თვლიდა, თუკი თურქეთი რუსეთთან ომში ჩაებმებოდა, მაშინ ეს პეტრე I-ს ბალტიისპირეთში თავის გეგმებს შეაცვლევინებდა“ [4.221].

როგორც ვხედავთ, ინგლისის დიპლომატია ენერგიულად აქეზებდა თურქეთს, ხელი შეეშალა აზიაში რუსეთის ეკონომიკური და პოლიტიკური წინსვლისათვის. მართალია, ამას სულთნის კარზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ, მაგრამ სულთანი 1722 წლის მეორე ნახევრის განმავლობაში თავშეკავებით იქცეოდა, რადგან როგორც ემო იუწყებოდა, „თურქეთის ძლიერი სურვილი იყო, რომ არ გარეულიყო რუსეთის ხელმწიფესთან ომში და მირ მაჰმუდის წარმატებები არ გამხდარიყო მისთვის შეურაცხმყოფელი. რელიგია იარაღზე მეტად მოქმედი გახლდათ. თურქების შეკავება, მიუხედავად გამაღიზიანებელი ვითარებისა, ძირითად მათი ჭეშმარიტი მიზნების მიღმა ღრმა შეგნებით აიხსნებოდა. აზიაში შექმნილმა მდგომარეობამ ისინი ვერ დაღალა“ [3. ფურც. 94-97].

მიუხედევად ამისა სულთანის კარი და მისი დიპლომატია ირანში, ამიერკავკასიასა და დასავლეთში შექმნილ ვითარებას ფხიზლად ადევნებდა თვალს. ამასთან დაკავშირებით წყაროები შემდეგ სურათს ქმნის. პორტას განცვიფრებას იწვევდა ის ფაქტი, რომ პეტრე I „თან ახლდა კასპიისპირეთში ლაშქრობას“ [6.93]. რაც შეეხება ყირიმის ხანის მოწოდებას გადამჭრელი მოქმედებისაკენ, „...პორტა პასუხებში ხანს ზომიერებისა და მშვიდობისაკენ მოუწოდებდა“ [6.93]. ვენეციის ელჩი კი ფიქრობდა: „რუსთა ხელმწიფის ფიქრი ზომიერებისაგან შორს იდგა და თურქების მოთმინების ფიალა მალე აივსებოდა. შავი ზღვის სანაპიროზე მცხოვრები ყველა ხალხი ამა თუ იმ ფორმით ვასალიტეტს ან მფარველობას მიიღებდა, რომლებიც ახლა პორტას სუვერენიტეტს აღიარებდნენ. ასეთი რღვევის დროს შავ ზღვაზე ბატონობის გამო რუსეთ-თურქეთის ქიშპი ძირითად ფაქტორად იქცეოდა“ [3. ფურც. 94-97]. კონსტანტინოპოლში რუსეთის რეზიდენტი ი.ნეპლიუევი კი უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამო, რომ „....რუსთა ხელმწიფის გულწრფელ მისწრაფებებს ეჭვის თვალით უყურებდნენ“ [6.93]. 1722 წლის ოქტომბერში ირანსა და ყირიმში გაგზავნილ შიკრიკთაგან ერთ-ერთი აჰმედ აღა დაბრუნდა. მისმა ცნობებმა ვაზირთან თათბირის შემდეგ ასეთი გადაწყვეტილების სახე მიიღო: რუსეთის რეზიდენტისათვის მოეთხოვათ აეხსნა, თუ რა განზრახვა ჰქონდა პეტრე I-ს [7.61]. ავსტრიის საელჩოს თანამშრომელი ნ.თეილსი პირველწყაროებზე დაყრდნობით წერს: „რუსეთის რეზიდენტი ...პირდაპირ და არაპირდაპირ ცდილობდა დაერწმუნებინა თურქები, რომ მეფე არასოდეს დაბრუნდებოდა იმ მხარეებში (კასპიისპირეთში – ნ.ჩ.). ამრიგად, მჯეროდა, რომ ამ საქმეს განგებ აკეთებდა ვეზირი, რათა აამხედროს სულთანი (რომელიც ამ ომის წინააღმდეგი იყო) იმ შეგრძნებით, რომ თუ პორტა არ ეცდება დაეპატრონოს სპარსეთის მნიშვნელოვან ციხესიმაგრეებს, მოსკოვის მეფე აქ შევა შაჰის აღდგენის საბაბით“ [7.62]. საბოლოოდ სულთანმა კმაყოფილებით მიიღო ი. ნეპლიუევის წინადადება, რომ პეტრე I-ის განზრახვის გასაგებად სრულუფლებიანი პირი გაეგზავნათ რუსეთში. „ეს შემოთავაზებული აზრი ვეზირს ეამა. ეს საქმე ნიშლი მეჰმედ ფაშას მიანდეს, ხოლო თათრებს (ყირიმის ხანი – ნ.ჩ.)მკაცრი ბრძანება გაუგზავნეს, რათა ყოველგვარი მოქმედება შეეწყვიტათ“ [7.96].

მოტანილი წყაროები ეჭვს არ ტოვებს, რომ თურქეთი გადამწყვეტი ზომების მიღებისაგან თავს იკავებდა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ საომარი მზადება არ მიმდინარეობდა. ყველაზე ძნელად შესაძლებელს საქართველოს საკითხი წარმოადგენდა, თუმცა აქაც ლოდინის ტაქტიკას არჩევდნენ. ამასთან დაკავშირებით ჯოვანი ემო წერს: „მალე უსიამოვნო ცნობებმა იწყეს დენა: ქართველებს რუსული დროშის ქვეშ დაერბიათ შირვანი და გილანის ნაწილი; ყუმუხთა ხანი რუსთა ხელმწიფეს დამორჩილებოდა, ხოლო ქართველთა მთავარი თავადი (იგულისხმება ვახტანგ VI – ნ.ჩ.) წმინდა ანდრიას ჯვრით დაეჯილოებინა“ [3.93]. ამავე ელჩის ცნობით, მიუხედავად ამისა, „...პორტამ გადაწყვიტა, თათრებისათვის (ყირიმის სახანო – ნ.ჩ.) მიეწოდებინა, რომ მოთმინებით აღჭურვილიყვნენ და პეტრე დიდთან ელჩი გაეგზავნა“ [3. ფურც. 151-152]. ამავე დროს „...პორტა ცდილობდა, რომ ინგლისის დამოკიდებულება დაეზუსტებინა,

მაგრამ ინგლისის ელჩის სტანიანის მხრიდან არავითარი ხელშეწყობა არ ჩანდა“ [3. ფურც. 149].

ცნობილია, რომ საფრანგეთის მთავრობამ რუსეთ-თურქეთის კონფლიქტში „შუამავლობა“ ითავა. ამთავითვე უნდა ითქვას, რომ საფრანგეთის ელჩმა კონსტანტინოპოლში მარკიზ დე ბონაკმა დიდი გავლენა მოახდინა ამ კონფლიქტის მშვიდობიანი გზით გადაჭრის საქმეში. ამასთან დაკავშირებით ლოურენს ლოკარტი წერს: „ლუი XV-ის მინისტრების პოლიტიკა სულაც არ იყო მშვიდობისმოყვარული. იგი უბრალოდ ინტრიგებზე იყო აგებული. საფრანგეთს სურდა თურქეთი ძლიერი ყოფილიყო, რომ ამ უკანასკნელს თავისუფლად ემოქმედა მისი მტრის ავსტრიის წინააღმდეგ“ [4.219]. ფრანგი ისტორიკოსი პაულ მასონი კი წერს: „კონსტანტინოპოლში საფრანგეთის ელჩის მარკიზ დე ბონაკის „შუამავლობის“ მიზანი იყო „დადებულიყო ზავი რუსეთსა და თურქეთს შორის და ამ უკანასკნელს ძალები წარემართა ავსტრიის წინააღმდეგ“ [8.256]. ლოკარტი აღნიშნავს, რომ ბონაკის მიზანი იყო დაერწმუნებინა თურქები, თუ რა რიგი საშიში იყო ავსტრია მათთვის და ცდილობდა განეახლებინა ომი ამ ორ ქვეყანას შორის [4.219]. ცხადია, ყოველივე ამის გამო საფრანგეთი, რომელიც მხარს უჭერდა თურქეთთან ჩინებულ ურთიერთობას, არ შელახავდა მის ინტერესებს რუსეთის სასარგებლოდ [9.128]. უფრო მეტიც შეიძლება ითქვას თურქეთის მთავრობის წარმომადგენელთა მოლაპარაკების დროს მარკიზ დე ბონაკი ცდილობდა ფრანგი ვაჭრების პრივილეგიების გაფართოებას თურქეთში [10.316]. პროფესორი ი. ტაბაღუა საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საარქივო მასალებზე დაყრდნობით წერს: „ჯერ კიდევ 1717 წლის სექტემბერში დე ბონაკმა წერილით მიმართა თურქეთის მთავრობას კაპიტულაციების აღდგენის შესახებ (იგულისხმება 1675 წლის კაპიტულაცია – ნ.ჩ.)“ [10.316]. ავტორის ხელთ არსებული მასალებიდან ირკვევა, რომ „...საფრანგეთის მხარე მოითხოვდა ხელშეკრულებაში ყოფილიყო მუხლი, რომელიც მოაწესრიგებდა ირანიდან და საქართველოდან სმირნაში სომხების ჩამოტანილი აბრეშუმის ფრანგების მიერ შესყიდვისა და საბაჟო გადასახადის გადახდის საკითხი“ [10.316]. საკუთრივ ბონაკის მიერ შედგენილი კაპიტულაციების პროექტის ერთ-ერთ მუხლში ნათქვამი, რომ არ გადაიხდიან საბაჟო გადასახადს იმ აბრეშუმისათვის, რომელსაც ისინი „იყიდიან სმირნაში სპარსეთიდან და საქართველოდან ჩამოსული სომხებისგან“ [10.316]. ცხადია, საფრანგეთი თავისი აღმოსავლური პოლიტიკიდან გამომდინარე, რუსეთ-თურქეთის ომის მომხრე არ იყო.

NINO CHUKHRUKIDZE

ANTI RUSSIAN DIPLOMACY OF THE WESTERN STATES AND GEORGIA IN 1722-1724

summary

The present article – on the basis of the archival materials - introduces the diplomatic action goals of the West European states (England, France, Prussialand, Venice) in the conflict of 1722-1724 between Russia and Turkey. The analysis of the relevant sources shows that the diplomacy of the West deemed Turkey as the barrier for expansion of Russia to Iran and trans-Caspian region.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Очерки истории СССР. Период феодализма. Россия в первой четверти XVIII в.М. 1954, с.367
2. Jacob J. Beziehngen Englands zu Russland und zur Turkei inden Jahren 1718-1727. Eine historisch-diplomatishe Studie, Bd.18, Basel, 1945, S.71
3. Archivio di Stato di Venezia, D.Emo, 1722, FF.30-30^{V}
4. Archivio di Stato di Venezia, D.Emo, 1722, f.52^{V}
5. Lokhart L.L. The fall of the Safavi Dynasty and the Afghan occupation of Persia, Cambridge, 1958, p. 218.

ვალერი მოსიაშვილი

არაკომერციული (არასამეწარმეო) ორგანიზაციების ფინანსების ორგანიზაცია საქართველოში

არაკომერციული საქმიანობის ძირითადი მოტივია საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, რომლებიც სახელმწიფო სექტორს ხშირად არ სურს ან არ შეუძლია დააკმაყოფილოს სრული მოცულობით. სამწუხაროდ, ქართულ სასწავლო-ეკონომიკურ ლიტერატურაში არაკომერციული (არასამეწარმეო) ორგანიზაციების შესახებ ინფორმაციის სიმცირე შეიმჩნევა, მათი ფინანსური საქმიანობა გარდა ცალკეული შემთხვევებისა ნაკლებადაა შესწავლილი. არადა, აღნიშნული სექტორი თანდათან მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის როგორც საზოგადოებრივ, ასევე ეკონომიკურ ცხოვრებაში. აქედან გამომდინარე, საჭიროდ მივიჩნიეთ განვიხილოთ საქართველოში არასამეწარმეო ორგანიზაციების საქმიანობა, ფინანსური ურთიერთობები და სტატისტიკური ანალიზი.

არასამეწარმეო ორგანიზაციების საკანონმდებლო გარემო 2012 წლისთვის, ექსპერტთა უმრავლესობის შეფასებით, საკმაოდ ლიბერალურია და არსებითად არ აფერხებს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციათა შექმნასა და ფუნქციონირებას. თუმცა, მნიშვნელოვანი პრობლემებია განვითარების თვალსაზრისით. ამ მხრივ მოქმედი კანონმდებლობა ჯერ კიდევ სრულად არ შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს და დამკვიდრებულ საუკეთესო პრაქტიკას.

ძირითადი კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს სამოქალაქო საზოგადოებრივი ორგანიზაციების (სსო) საქმიანობას, არის საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (1997 წ., რომელშიც არსებითი ცვლილებები შევიდა 2006 წელს), საქართველოს საგადასახადო კოდექსი (2010 წ. სექტემბერი) და კანონი „გრანტების შესახებ“ (1996 წლის ივნისი).

თავისუფალი გაერთიანების უფლებას განამტკიცებს საქართველოს კონსტიტუცია. კონსტიტუციით უზრუნველყოფილია პიროვნების უფლება – შექმნას ან გაერთიანდეს საზოგადოებრივ გაერთიანებაში, მათ შორის პროფესიულ კავშირებში. საზოგადოებრივი გაერთიანების საქმიანობის შეჩერება და აკრძალვა შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, საქართველოს ორგანული კანონით „საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერებისა და მათი აკრძალვის შესახებ“ (1997 წლის ნოემბერი) განსაზღვრულ შემთხვევებში. სამოქალაქო კოდექსი განსაზღვრავს საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმას და რეგისტრაციის პროცედურებს. ზოგიერთი სახის საზოგადოებრივი ორგანიზაციის რეგისტრაციასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება სპეციალური კანონებით: კანონი „გრანტების შესახებ“ არეგულირებს საზოგადოებრივი ორგანიზაციების დაფინანსების ძირითადი წყაროს – გრანტის გაცემისა და მიღების სამართლებრივ საფუძვლებს; „ბავშვთა და ახალგაზრდული ორგანიზაციების სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის შესახებ“ კანონი საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან გამოყოფს ბავშვთა და ახალგაზრდულ ორგანიზაციებს, იძლევა შესაბამის დეფინიციებს და ქმნის ასეთი კავშირების რეესტრს სახელმწიფოებრივი მხარდაჭერის მიზნით; ცალკე კანონები არეგულირებენ პროფესიულ კავშირებსა და წითელ ჯვარს; კანონი „სპორტის შესახებ“ არეგულირებს სპორტული ფედერაციების შექმნის და ფუნქციონირების საკითხებს; კანონი „შემოქმედ მუშაკთა და შემოქმედებითი კავშირების შესახებ“ განსაზღვრავს შემოქმედებითი კავშირების შექმნისა და ფუნქციონირების წესებს; საგადასახადო კოდექსი განსაზღვრავს საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული საქმიანობის დაბეგვრის მექანიზმებს, აგრეთვე საქველმოქმედო ორგანიზაციის სტატუსის მინიჭების საკითხებს.

არასამეწარმეო იურიდიული პირები არ არიან მოგებაზე ორიენტირებული ორგანიზაციები და ეწევიან არასამეწარმეო საქმიანობას. თუმცა აღსანიშნავია, რომ მათ უფლება აქვთ ეწეოდნენ დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობას, რომლიდან მიღებული მოგებაც უნდა მოხმარდეს არასამეწარმეო იურიდიული პირის მიზნების რეალიზებას. ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება ამ იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, შემომწირველებს, აგრეთვე ხელმძღვანელობას შორის დაუშვებელია. არასამეწარმეო იურიდიულ პირს შეიძლება ჰქონდეს ფილიალი (წარმომადგენლობა), რომელიც არ წარმოადგენს დამოუკიდებელ იურიდიულ პირს, არამედ არის იურიდიული პირის ადგილსამყოფელის გარეთ არსებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე განცალკავებული ქვედანაყოფი და წარმოადგენს (სრულად ან ნაწილობრივ) მას ან ახორციელებს მის ფუნქციებს.

რაც შეეხება არასამეწარმეო იურიდიული პირის საქმიანობის სახელმწიფო კონტროლს, იგი შემოიფარგლება ამ პირის საქმიანობის შეჩერების ან აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილებით, რომელსაც იღებს სასამართლო საქართველოს ორგანული კანონით „საზოგადოებრივ გაერთიანებათა საქმიანობის შეჩერებისა და მათი აკრძალვის შესახებ“ განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. ამ კანონის თანახმად, სასამართლოს შეუძლია 3 თვემდე ვადით შეაჩეროს საზოგადოებრივი გაერთიანების საქმიანობა, რომელიც არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე. სასამართლოს ასევე შეუძლია აკრძალოს საზოგადოებრივი გაერთიანება, რომლის მიზანია საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობა ან ძალადობით შეცვლა, ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფა, ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა ან რომელიც ეწევა ომის ან ძალადობის პროპაგანდას, აღვივებს ეროვნულ, კუთხურ, რელიგიურ ან სოციალურ შუღლს, ქმნის ან შექმნილი აქვს შეიარაღებული ფორმირება ან სასამართლოს მიერ მისი საქმიანობის შეჩერების შემდეგ განაახლებს სამეწარმეო საქმიანობას.

გრანტის სახით მიღებული შემოსავლების სამართლებრივი რეგულირება. კანონი „გრანტების შესახებ“ იძლევა გრანტის დეფინიციას, განსაზღვრავს გრანტის გამცემს და მიმღებს და არეგულირებს მათ შორის ურთიერთობას. მოცემული კანონი პრაქტიკულად ქმნის სამართლებრივ საფუძველს გრანტით მიღებული შემოსავლების დაბეგვრის სპეციალურ რეჟიმში მოსახვედრად. ლოგიკურად ეს ნორმები საგადასახადო კოდექსში უნდა იყოს ჩართული. კანონის დამოუკიდებლად არსებობა ისტორიულმა განვითარებამ განაპირობა. 1996 წელს, როცა ეს კანონი იქნა მიღებული, საგადასახადო შეღავათები დამოუკიდებელი კანონებით წესდებოდა და შეიძლებოდა არ მოქცეულიყო საგადასახადო კოდექსში. მოგვიანებით, როცა შემუშავდა პირველი საგადასახადო კოდექსი, გრანტებზე შეღავათები გადატანილ იქნა კოდექსში, ხოლო სხვა რეგულაციები დარჩა დამოუკიდებელი კანონის სახით. პოლიტიკური საფრთხეების თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული კანონის ასეთი სახით შენარჩუნება.

კანონი გრანტს განსაზღვრავს, როგორც დონორის მიერ გრანტის მიმღებისთვის უსასყიდლოდ გადაცემული მიზნობრივ სახსრებს ფულადი ან ნატურალური ფორმით, რომლებიც გამოიყენება კონკრეტული ჰუმანური, საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურული, სპორტული, ეკოლოგიური და სოციალური პროექტების, აგრეთვე სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი მნიშვნელობის პროგრამების განხორციელებისთვის. გრანტი არ გაიცემა სამეწარმეო და პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. კანონი განსაკუთრებული სიფრთხილით განსაზღვრავს გრანტის გამცემსა და მიმღებს, ასევე მათ შორის ურთიერთობას, რათა თავიდან იქნეს აცილებული დაწესებული საგადასახადო შეღავათების ბოროტად გამოყენება.

დონორსა და გრანტის მიმღებს შორის იდება წერილობითი ხელშეკრულება, რომელიც უნდა შეიცავდეს გრანტის გაცემის მიზანს, მოცულობას, მიღებული სახსრების გამოყენების კონკრეტულ მიმართულებას, მათი ათვისების ვადებს და იმ ძირითად მოთხოვნებს, რომლებსაც დონორი უყენებს გრანტის მიმღებს. გრანტის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს მისი მიზნობრიობა, ანუ იგი გაიცემა განსაზღვრული საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნის მისაღწევად. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ დონორის თანხმობით შეიძლება შეიცვალოს გრანტის მიზნობრიობა და იგი გამოყენებულ იქნეს არა თავდაპირველი მიზნებისთვის, რისთვისაც იგი გაიცა.

არასამეწარმეო იურიდიული პირის ფორმით არსებობა ავტომატურად არ გულისხმობს რაიმე სახის გადასახადებისგან გათავისუფლებას. არასამეწარმეო იურიდიული პირების გარკვეული სახის გადასახადებისგან გათავისუფლება დაკავშირებულია მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე და შემოსავლის წყაროებზე. თუ არასამეწარმეო იურიდიული პირები ახორციელებენ ეკონომიკურ საქმიანობას, ისინი ექცევიან ჩვეულებრივ საგადასახადო პირობებში და ამ გზით მიღებული შემოსავლები ექვემდებარება ჩვეულებრივი წესით დაბეგვრას. თუ არასამეწარმეო იურიდიული პირების შემოსავლებს შეადგენს არაეკონომიკური საქმიანობით მიღებული შემოსავლები (მაგალითად გრანტი, შემოწირულობა, საწევრო შენატანები), მაშინ ასეთი სახის შემოსავლები დაკავშირებულია განსაზღვრული სახის გადასახადისგან გათავისუფლებასთან.

შეღავათები გრანტის სახით მიღებულ შემოსავლებზე:

- მოგების გადასახადი - მოგების გადასახადით დაბეგვრისგან თავისუფლდება არასამეწარმეო იურიდიული პირის მიერ მიღებული გრანტი;
- დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) - დამატებული ღირებულების გადასახადისგან თავისუფლდება გრანტების შესახებ ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი გრანტის გამცემი ან მიმღები პირის მიერ. გარდა ამისა გრანტის მიმღებ პირს, რომელიც „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ყიდულობს გრანტის ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებულ საქონელს ან/და ამავე საწყისებზე იღებს მომსახურებას, უფლება აქვს დადგენილი წესით ჩაითვალოს ან დაიბ-

რუნოს ამ საქონლისთვის თუ მომსახურებისთვის გადახდილი დღგ საგადასახადო ორგანოში საგადასახადო ანგარიშფაქტურის ან საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი წესის ანგარიშგების (დღგ-ის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის) წარდგენის საფუძველზე. დღგ-ის ჩათვლა ან დაბრუნება ხდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განცხადება საგადასახადო ორგანოს წარედგინება დასაბეგრი ოპერაციის განხორციელებიდან 3 თვეში;

• საშემოსავლო გადასახადი - საშემოსავლო გადასახადის გადახდით დაბეგვრისგან თავისუფლდება ფიზიკური პირის მიერ მიღებული გრანტი.

შეღავათები შემოწირულობასა და საწევრო შენატანებზე. ორგანიზაციის მიერ მიღებული შემოწირულობა და საწევრო შენატანი გათავისუფლებულია მოგების გადასახადისაგან;

ქონების გადასახადი - არასამეწარმეო იურიდიული პირები გათავისუფლებული არიან ქონების გადასახადის გადახდისგან, გარდა მიწისა და ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებული ქონებისა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არასამეწარმეო იურიდიული პირები იხდიან ქონების გადასახადს მხოლოდ;

- მის საკუთრებაში არსებულ მიწაზე, აგრეთვე კანონით გათვალისწინებულ სარგებლობაში ან ფაქტობრივ მფლობელობაში მყოფი სახელმწიფო საკუთრების მიწაზე;
- იმ ქონებაზე (მის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებები, დაუმონტაჟებელი მოწყობილობები, დაუმთავრებელი მშენებლობა და არამატერიალური აქტივები), რომელსაც გამოიყენებს ეკონომიკური საქმიანობისთვის.

შეღავათები საბაჟო გადასახადსა და მოსაკრებელზე. გრანტის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის იმპორტი თავისუფლდება საბაჟო გადასახადისა და მოსაკრებლისგან, საქართველოს პრეზიდენტის მიერ განსაზღვრული წესით.

VALERI MOSIASHVILI

NON-PROFIT (PROFIT) ORGANIZATIONS, FINANCIAL ORGANIZATIONS IN GEORGIA

Summary

Non-profit activity is mainly determined by the Public goods, services, in order to guarantee the production of wealth. Parts of the non-profits are developed significantly in market economy countries. Development can be explained not only by tax concessions, but the fact that state allocates an additional subsidies for non-profit organizations.

The mentioned sector becomes important gradually in Georgian political, social and economical life. This article is based on the alignment of the functioning features of finances of non-profit organizations in Georgia.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მოსიაშვილი ვ., ჭელიძე მ., ფინანსების საფუძვლები. თბ., 2012;
2. საქართველოს საგადასახადო კოდექსი., თბ., 2010 (9/17/2010);
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 2006.
4. www.geostat.ge

ჯემალ გახოკიძე, მიხეილ მამნიაშვილი

სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიებები

სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიებები შედარებით ახალი ინსტიტუტია ქართულ საპროცესო კანონმდებლობაში, რომელიც შემოღებულ იქნა წინა საპროცესო კოდექსის მოქმედების ბოლო წლებში, 2005 წლის 16 დეკემბრის კანონით.

აღნიშნული ინსტიტუტის არსებობა თანამედროვე სისხლისსამართალწარმოების პროცესში არა მარტო აქტუალურია, არამედ აუცილებელიცაა, რადგანაც შეუძლებელია სისხლის სამართლის საქმეზე მაღალი ალბათობის დონეზე დადგინდეს პირის ბრალეულობა ჩადენილ ქმედებაში, თუკი პროცესის მონაწილეთა (მოწმე, დაზარალებული, მათი ოჯახის წევრები და ა.შ.) უსაფრთხოება კანონმდებლობის ძალით არ იქნება დაცული. სწორედ ამიტომაცაა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ არაერთხელ განიხილა ეს საკითხი და მიიღო დეკლარაციები, სადაც ხაზგასმულია პროცესის მონაწილეთა, განსაკუთრებით დანაშაულის მსხვერპლთა სპეციალური დაცვის საკითხები, მათ შორის აღსანიშნავია «დეკლარაცია მართლმსაჯულების ძირითად პრინციპებზე დანაშაულის მსხვერპლთა დაცვის შესახებ» (4/3, დამატება); «მოწმეების დანაშაულებრივი ხელყოფისაგან დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები» (რეზოლუცია, 2005/20) და ა.შ.

უახლოესი წარსულის საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკიდან შეიძლება მოვიყვანოთ მრავალი მაგალითი იმისა, როდესაც მოწმემ თუ დაზარალებულმა მათ მიერ ადრე მოცემული ჩვენებები უარყვეს მხოლოდ იმიტომ, რომ საქმის მსვლელობით დაინტერესებული პირებისაგან განიცდიდნენ სიცოცხლის მოსპობის თუ ჯანმრთელობის დაზიანების, ანდა ოჯახის განადგურების მუქარას და არც თუ იშვიათ შემთხვევაში შანტაჟსაც კი. საკითხის გადაწყვეტას ართულებდა ის გარემოება, რომ ადრე მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიებები გათვალისწინებული არ იყო და ასეთ დროს საქმის მწარმოებელი ორგანოები იძულებულნი იყვნენ დაკმაყოფილებულიყვნენ მხოლოდ შს ორგანოებში ინფორმაციის მიწოდებით, თავის მხრივ, შს ორგანოების მუშაკები საკანონმდებლო ბაზის არ არსებობის გამო მოწმის თუ დაზარალებულის დანაშაულებრივი ხელყოფისაგან რეალურ დაცვას ვერ ახორციელებდნენ და მათი საქმიანობა ფორმალურ ხასიათს ატარებდა: ამის გამო მოქალაქეებს ნდობა ეკარგებოდათ სამართალდამცავი მუშაკების მიმართ, გავრცელებულ ხასიათს ატარებდა მოწმეების თუ დაზარალებულების მიერ ბრალდებულის სასარგებლო ჩვენების მიცემა, ანდა მათი მხრიდან ცრუ, წინასწარ შედგენილი მტკიცებულებების წარდგენა, რის გამოც არც თუ იშვიათ შემთხვევაში დანაშაული გაუხსნელი რჩებოდა, ხოლო დამნაშავე – დაუსჯელი.

საქართველოს ინტეგრაციამ ძირითად საერთაშორისო პაქტებსა და კონვენციების სისტემაში და განსაკუთრებით, მისმა მიღებამ ევროსაბჭოში დაჩქარა თავისი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანა, საყოველთაოდ აღიარებულ კონვენციებსა და ხელშეკრულებების მოთხოვნებთან, მათ შორის აღსანიშნავია სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვის ღონისძიების ინსტიტუტიც.

სწორედ ამ პრობლემის გადაწყვეტას ეძღვნება საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენების ინსტიტუტი, რომელიც კარგა ხანია ფუნქციონირებს უცხოეთის მრავალ ქვეყანაში ცალკე კანონების სახით და იცავს იმ პირების უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, რომლებიც ჩაბმულნი არიან სისხილსსამართალწარმოების პროცესში.

საქართველოს სისხლის სამართლის ახალ საპროცესო კოდექსში ამ ინსტიტუტს დაეთმო სპეციალური თავი, რითაც ხაზი გაესვა მის მნიშვნელობას.

წინა საპროცესო კოდექსთან შედარებით, მოქმედ საპროცესო კანონმდებლობაში სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენების პროცედურული წესები შედარებით გამარტივებულია. თუ კი ადრე მოქმედი საპროცესო კოდექსი ითვალისწინებდა სპეციალური დაცვის ღონისძიების გამოყენების სასამართლო განხილვის პროცედურებს, ამჯერად პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენების უფლებამოსილებით მხოლოდ პროკურორი სარგებლობს.

ისმება მეტად საგულისხმო შეკითხვა: პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიებები პროცესის რომელ სუბიექტზე შეიძლება იქნეს გამოყენებული და ის ხომ არ ვრცელდება საქმის მწარმოებელი ორგანოების თანამდებობის პირებზი? ამის შესახებ, სამწუხაროდ, სისხლის სამართ-

ლის საპროცესო კოდექსში რაიმე მინიშნება არ არის გაკეთებული, რაც კანონმდებლობის ხარვეზად მიგვაჩნია, მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ საპროცესო კოდექსის 68-71 მუხლებს სპეციალური დაცვის ღონისძიების გამოყენებისას ძირითადი აქცენტი გადატანილი აქვს პროცესის იმ მონაწილეებზე (მოწმე, დაზარალებული, ექსპერტი და ა.შ.), რომლებიც ეხმარებიან მართლმსაჯულებას – მაღალი ალბათობის დონეზე დადგინდეს პირის ბრალი ჩადენილ ქმედებაში.

მართალია, 2000 წლის 6 ოქტომბერს ევროსაბჭოს მინისტერიალის კომიტეტმა განიხილა პროკურატურის ფუნქციები მართლმსაჯულების განხორციელების სისტემაში, სადაც პროკურორის უფლებამოსილების სხვადასხვა საკითხებთან ერთად მის წევრ სახელმწიფოებს მისცა რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ, თუ პროკურორების სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას მათ ან მათი ოჯახის წევრების მიმართ განხორციელდა სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიში მუქარა, ხელისუფლებამ მათი დაცვისათვის უნდა გამოიყენოს შესაბამისი ღონისძიებები,[1] მაგრამ არ შეიძლება საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სპეციალური დაცვის ღონისძიებები პროკურორზე ან გამომძიებელზე იქნეს გავრცელებული, რადგანაც მათი უფლებებისა და ინტერესების დაცვის ღონისძიებები სხვა დამატებითი სპეციალური კანონმდებლობითაა გარანტირებული და ეს ღონიძიებები გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ იმ სუბიექტებზე, რომლებიც ეხმარებიან მართლმსაჯულების განხორციელებას.

ჩვენს მოსაზრებას ადასტურებს აღნიშნულ პრობლემაზე საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ მიღებული ხსენებული არსებითი დეკლარაცია თუ სხვა უმნიშვნელო დოკუმენტები.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 67-ე მუხლის თანახმად, პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიებები გამოყენებული უნდა იქნეს, თუ:

განიხილება საქმე ისეთი ქმედების ჩადენის ფაქტზე, რომლის საჯარო განხილვა თავისი ბუნებით ზიანს მიაყენებს პროცესის მონაწილის პირად ცხოვრებას;

პროცესის მონაწილის ვინაობისა და საქმეში მონაწილეობის გასაჯაროებით მნიშვნელოვანი საფრთხე დაემუქრება მის ან მისი ახლო ნათესავის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას.

პროცესის მონაწილე დამოკიდებულია ბრალდებულზე, ეს ისეთი შემთხვევებია, როდესაც დანაშაული ჩადენილია ოჯახში, ანდა სამსახურებრივად მოწმე, დაზარალებული ან სხვა პირი დამოკიდებულია ბრალდებულზე.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 68-ე მუხლის თანახმად პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიების სახეა:

პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალურ პროგრამაში ჩართვა, პროკურორი უფლებამოსილია საქართველოს მთავარი პროკურორის ან მისი მოადგილის თანხმობით გამოიყენოს პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიება და ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დაცვის სპეციალურ პროგრამაში ჩართოს პროცესის მონაწილე ან პირი, რომელიც შეიძლება გახდეს პროცესის მონაწილე, მასთან დაკავშირებული პირი, ანდა მისი ახლო ნათესავი, მისი თანხმობით.

პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური პროგრამით დადგენილი წესით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო საპროცესო კანონით გათვალისწინებული წესით ასეთი პირების მიმართ იყენებს დაცვის კონკრეტულ ღონისძიებებს. ასეთი ღონისძიებებია:

ა) მოკვლევის საწინააღმდეგო ღონისძიების გატარება. საჯარო რეესტრში ან სხვა საჯარო ხასიათის ჩანაწერში პროცესის მონაწილის ამოცნობის და იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველი მონაცემების, კერძოდ, სახელის, გვარის, მისამართის, სამუშაო ადგილის, პროფესიის ან სხვა შესაბამისი ინფორმაციის შეცვლა ან ამოღება;

ბ) ვინაობის შეცვლა და მასზე ახალი დოკუმენტის გაცემა – ფსევდონიმის მინიჭება, გარეგნობის შეცვლა, ამოცნობისა და იდენტიფიცირების შესაძლებლობის შემცველი საპროცესო და სხვა დოკუმენტების გასაიდუმლოება.

დ) უსაფრთხოების ზომების მიღება (პირადი დაცვა, განგაშზე გამოძახება და სხვა).

ვ) საცხოვრებელი ადგილის დროებით ან სამუდამოდ შეცვლა

ე) სხვა სახელმწიფოში გაყვანა (რელოკაცია). პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალურ პროგრამაში ჩართვისა და დაცვის კონკრეტული ღონისძიებების განხორციელების პროცედურებს ერთობლივად განსაზღვრავენ საქართველოს იუსტიციისა და შინაგან საქმეთა მინისტრები.

პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიების ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს.

პროკურორმა დაცვის სპეციალური ღონისძიების გადაწყვეტილებაში უნდა მიუთითოს, დაცვის რომელი სპეციალური ღონისძიება უნდა გამოიყენოს; პირი, რომლის მიმართაც გამოიყენება დაცვის სპეციალური ღონისძიება, ამ ღონისძიების გამოყენების ვადა. ამასთანავე დაცვის ღონისძიება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს უვადოდ.

---

1 http//www. unde.org/ndf.

დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილება არ არის საჯარო. ეს გადაწყვეტილება ეცნობება მხოლოდ დასაცავ პირს.

დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების ვადის ამოწურვის შემთხვევაში შესაძლებელია ვადის გაგრძელება, თუ კვლავ არსებობს ამ ღონისძიების გამოყენების საჭიროება, ხოლო საჭიროების არ არსებობის გამო ამ ღონისძიებას აუქმებს ის პირი, ვინც ეს გადაწყვეტილება მიიღო, რის შესახებაც დაუყოვნებლივ ეცნობება დასაცავ პირს.

დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენების აღსრულების შესახებ 3 დღის ვადაში ეცნობება პროკურორს, რომელმაც ეს ღონისძიება გამოიყენა.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 71-ე მუხლის თანახმად, დაცვის სპეციალური ღონისძიებების აღსრულებას უზრუნველყოფს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც სპეციალური დაცვის ღონისძიება გამოყენებული უნდა იქნეს გამოძიების სტადიაზე. ასეთ დროს მოწმეს აღარ შეუძლია გამოცხადდეს სასამართლოში ან დეპონირებულად მოხდეს მისი დაკითხვა საქმის არსებითი განხილვის დროს. ამიტომ გამოძიების სტადიაზე მხარის შუამდგომლობით გამოძიების ადგილის ან მოწმის ადგილსამყოფელის მიხედვით მაგისტრანტი მოსამართლის წინაშე მოწმედ შეიძლება დაიკითხოს პირი, რომლის მიმართაც გამოიყენება ან არსებობს საკმარისი საფუძველი, რომ მის მიმართ გამოყენებული იქნეს დაცვის სპაციალური ღონისძიებები. ასეთი წესით დაკითხული მოწმის ჩვენება მიიჩნევა მტკიცებულებად და მისი ხელახალი დაკითხვა საქმის არსებითი განხილვის დროს აუცილებელი აღარ არის. გამოკალის შემთხვევაში, მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, მხარის დასაბუთებული შუამდგომლობით და მოსამართლის გადაწყვეტილებით შესაძლებელია დაკითხვა მოხდეს მეორე მხარის წინასწარი ინფორმირებისა და დასწრების გარეშე. მაგრამ ასეთ შემთხვევაში, მოწმის მიერ მოცემული ჩვენება საქმის არსებითი განხილვისას დაუშვებელ მტკიცებულებად მიიჩნევა, თუ შესაძლებელია მისი ხელახალი დაკითხვა (სსსკ 114-ე მ.), სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის თანახმად, მოსამართლეს უფლება აქვს, მოწმის დაკითხვის დროს უარი თქვას ბრალდებულის დასწრებაზე, თუ გამოიყენება მოწმის დაცვის ერთ-ერთი სპეციალური ღონისძიება.[1]

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენის აღწერილობით სამოტივაციო ნაწილში სასამართლო ვალდებულია დაასაბუთოს პროცესის მონაწილის მიმართ დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენება, შეცვლის ან გაუქმების შესახებ, ხოლო სსსკ 274-ე მუხლის თანახმად, გამამტყუნებელი განაჩენის სარეზოლუციო ნაწილი უნდა შეიცავდეს პროცესის მონაწილის მიმართ დაცვის სპეციალური ღონისძიების გამოყენებით, შეცვლის ან გაუქმენის შესახებ საკითხის გადაწყვეტას.

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის ღონისძიებები გათვალისწინებულია «ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ» საქართველოს კანონით.

და ბოლოს, უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ თვით პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენების ინსტიტუტის გათვალისწინებით ქართულ საპროცესო კანონმდებლობაში დადებითი მოვლენაა, მაგრამ მაინც უმჯობესი იქნებოდა მისი ცალკე კანონის სახით არსებობა, რა დროსაც უფრო დახვეწილი და სრულყოფილი გახდებოდა მისი ცალკეული პროცედურული საკითხები, დაზუსტებული იქნებოდა პროცესის იმ მონაწილეთა წრეც, ვისზედაც შესაძლებელი იქნებოდა ამ ღონისძიების გამოყენება და, რაც მნიშვნელოვანია, პრაქტიკოსი მუშაკებისათვის უფრო ადვილად გასაგები და გამოსაყენებელი გახდებოდა, მით უმეტეს, რომ ამას საერთაშორისო სამართლებრივი პრაქტიკაც ადასტურებს, რადგანაც უმრავლეს ქვეყნებში პროცესის მონაწილეთა დაცვის პროცედურებს ცალკე კანონები არეგულირებენ, მაგალითად, ავსტრალიის კანონი «მოწმეთა დაცვის შესახებ» (1994 წლის 13 ოქტომბერი), გერმანიის კანონი «მოწმეთა დაცვის შესახებ, რომლებსაც საფრთხე ემუქრებათ» (2011 წლის 11 დეკემბერი), იტალიის კანონი «მოწმეთა და იმ პირთა დაცვის შესახებ, რომლებიც ეხმარებიან მართლმსაჯულებას» (1991 წლის 15 მარტი), კანადის კანონი და პროგრამა მოწმეთა დასაცავად (1996 წელი), აშშ-ს კანონმდებლობა მოწმეთა დაცვის შესახებ, ლატვიის კანონი «განსაკუთრებული დაცვის შესახებ» (2005 წლის 19 მარტი), რუსეთის ფედერაციის ფე-

---

1 ლ. გვრიტიშვილი, სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური პროგრამის წარმოშობის ისტორია, e-mail: gvritishvili@mail.com, გვ. 21. უნდა აღინიშნოს, რომ ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის მაგისტრატურის მე-2 კურსის სტუდენტს ლ. გვრიტიშვილს პროცესის მონაწილეთა დაცვის ღონისძიებების პროგრამის წარმოშობის ისტორია საფუძვლიანად აქვს შესწავლილი და ორიგინალურ ნაშრომს წარმოადგენს.

დერალური კანონი დაზარალებულების, მოწმეების და პროცესის სხვა მონაწილეთა სახელმწიფო დაცვის შესახებ» (2004 წლის 31 ივნისი) და ა.შ. კიდევ მეტი, ინგლისში ფუნქციონირებს მოწმეთა დაცვის ბიურო, რომელიც ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებაში იმყოფება.[2]

იმის გათვალისწინებით, რომ პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიებების გამოყენება პირდაპირ დაკავშირებულია მის ფინანსურ უზრუნველყოფასთან, რიგ შემთხვევებში მისი მოცულობა შეიძლება იყოს საკმაოდ სოლიდური, კიდევ უფრო მეტად მიანიშნებს იმაზე, რომ საჭიროა სპეციალური კანონის შემუშავება აღნიშნული ურთიერთობის მოსაწესრიგებლად.

ამიტომ საშურ საქმედ მიგვაჩნია სისხლის სამართლის პროცესის მონაწილეთა დაცვის სპეციალური ღონისძიების კანონპროექტის შემუშავება და მისი მიღება, როგორც ეს მსოფლიოს მრავალ ქვეყანაშია აპრობირებული.

MIKHEIL MAMNIASHVILI

SPECIAL ARRANGEMENTS FOR PLEAD FOR PROCESS PARTICIPANTS

Summary

Newer institution of criminal process of Georgia is considered in the article: plead for process participants, problematic for usage of special arrangements; all issues under procedural legislation are analyzed.

Authors say that it's true that procedural rules of plead arrangements for process participants and provisions of usage are reflected, but they are incomplete and it's better to pass separate special law, in which not only those subjects of process are detailed to which it will be used, but procedural rules for conducting it

2 Рекомендуемые виды практики в области защиты свидетелей при производстве по уголовным делам, касающихся организованной преступности. Организация объединенных нации, Нью-Йорк, 2008. www. unodc org/documents/

თამაზ ბაციკაძე
დავით თავხელიძე
კობა სოხაძე

ტექნოპარკის ფუნქციონირების უცხოური გამოცდილების ზოგიერთი ასპექტი

განვითარების თანამედროვე ეტაპზე მიმდინარეობს მეცნიერებისა და წარმოების ინტეგრაციის პროგრესული ფორმების ძიება. საკითხის გადაწყვეტის ერთ-ერთი მიმართულებაა ტექნოლოგიური პარკების შექმნა და განვითარება. უცხოური გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ტექნოპარკები შეიძლება გახდეს ყველაზე უფრო ეფექტური წარმონაქმნი სამეცნიერო-ტექნიკური და ტექნოლოგიური ამოცანების გადაწყვეტისა და ინოვაციური პოლიტიკის რეალიზაციაში.

თავისი შინაარსით ტექნოპარკი არის დამაკავშირებელი რგოლი მეცნიერ-გამომგონებელსა და კომპანიებს შორის რომლებიც აღიარებენ ამ გამოგონებას და მიზანშეწონილად ჩათვლიან მის რეალიზაციას. აღსანიშნავია, რომ ტექნოპარკები დაინტერესებული არიან ტექნოლოგიების გაყიდვით, ამასთან ზოგჯერ უშუალოდ არ მონაწილეობენ მისი გაყიდვის პროცესში თუმცა, ქმნიან ხელსაყრელ პირობებს ინოვაციური პროექტების რეალიზაციისათვის სპეციალური საინფორმაციო თუ სხვა მომსახურეობით, დამფუძნებელი ან თანადამფუძნებელი.

პირველი ტექნოპარკის წინამორბედი იყო 1939 წელს აშშ-ში კალიფორნიის შტატის, პალო ალტოში შექმნილი ინოვაციური ცენტრი, რომლის დამფუძნებლებიც იყვნენ სტენფორდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები. სტენფორდის ტექნოპარკი შეიქმნა 1951 წელს, რითაც იწყება ტექნოპარკების შექმნის პირველი ეტაპი. 1950-ანი წლების ბოლოდან როცა შეიქმნა პირველი საუნივერსიტეტო ტექნოპარკები სტენფორდში, კემბრიჯში და აშშ-ის და ინგლისის სხვა ქალაქებში. უნივერსიტეტებში იქმნებოდა ტერიტორიები, რომლებზეც გამომგონებლები წყვეტდენ პრაქტიკოსების მიერ შემოთავაზებულ ამოცანებს. სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებული დასახელებების მიუხედავად, (აშშ და საფრანგეთში ფუნქციონირებენ ტექნოპოლისები, ბელგიასა და გერმანიაში მათ ეწოდებათ ინოვაციური ცენტრები, დიდ ბრიტანეთსა და ნიდერლანდებში მათ ეწოდებათ ტექნოპარკები), მათი გაერთიანების პრინციპები თითქმის ერთნაირია, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ ყველა ქვეყანაში ისინი ეროვნული სპეციფიკიდან გამომდინარე ხასიათდებიან გარკვეული თავისებურებებით. მაგალითად ყოფილ საბჭოთა კავშირში 1956 წელს შეიქმნა ნოვოსიბირსკის აკადემქალაქი, რომელშიც განთავსდნენ სამეცნიერო-კვლევითი და საპროექტო ინსტიტუტები სხვადასხვა დარგობრივი მიმართულებების მიხედვით, რომლებიც დასავლეთის ტექნოპარკებისაგან განსხვავებით ორიენტირებულნი იყვნენ ქვეყნის წინაშე მდგომი დარგობრივი გეგმური ეკონომიკის ამოცანების გადაწყვეტაზე.

მიუხედავად გარკვეული სპეციფიურობისა ტექნოპარკებისათვის დამახასიათებელია ერთი მთავარი ნიშანი, რომ ტექნოპარკები არის მთავრობის, მრეწველობისა და უნივერსიტეტების რესურსული პოტენციალის ორგანიზების მნიშვნელოვანი ფორმა, რომლის მიზანია ეროვნული მეურნეობისა და რეგიონების ეკონომიკის განვითარების სტიმულირება, მოსახლეობის სოციალური და საგანმანათლებლო დონის ამაღლება.

სპეციალისტების აზრით, სოციალური ინფრასტრუქტურის შექმნა შეადგენს ტექნოპარკების გულს. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ იაპონიის ტექნოპარკის «ნაგაოკი», რომლის ორგანიზაციის დროსაც აშენდა ახალი სწრაფი რკინიგზა, ექსპლოატაციაში შევიდა ახალი საცხოვრებელი მასივები, აშენდა კომუნიკაციები, კულტურული და გამაჯანსაღებელი ცენტრები, პარკები და მწვანე მასივები. პროგრამის სხვა დამახასიათებელი ნიშანი იყო ყოველი ცალკეული ქალაქი-ტექნოპარკის სპეციალიზაცია. მაგალითად «ხამამატსუ» ვითარდებოდა, როგორც ელექტრონიკის, მექანიკის, ვიდეოინფორმაციული სისტემების წარმოების ცენტრი. «ტოიამა» სპეციალიზდება ფარმაკოლოგიაზე და ბიოტექნიკაზე, ხოლო «იამაგუტი» ახალი სამშენებლო მასალების და კერამიკის წარმოებაზე.

აშშ ტექნოპარკების მშენებლობას თან ახლდა ახალი აუთვისებელი ტერიტორიების სწრაფი ტემპებით ათვისება. გასული საუკუნის 50-იან წლებში სანტაკლარის ველის სამხრეთ-დასავლეთი

წარმოადგენდა დაბალგანვითარებულ სასოფლო-სამეურნეო რაიონს განუვითარებელი ინ-ფრასტუქტურით. სტენფორდის უნივერსიტეტის და რამდენიმე დამწყები ფირმების ძალისხმევის შედეგად რაიონში შეიქმნა ტექნოპარკი, რომელმაც დასაბამი მისცა დღევანდელ აშშ ყველაზე უფრო მაღალგანვითარებული ტერიტორიული კომპლექსის შექმნას. დღეისათვის «სილიკონ-ველი» წარმოადგენს აშშ «ელექტრონულ დე-დაქალაქს», რომელშიც კონცენტრირებულია აშშ ელექტრონული წარმოების თითქმის ნახევარი, სადაც დასაქმებულია კალიფორნიის შტატში დასაქმებულთა 30%-ზე მეტი.

ტექნოპარკების განვითარების მეორე ეტაპი იწყება გასული საუკუნის 80-იან წლებში, რომელმაც ძირითადად მოიცვა დასავლეთ ევროპა და დაკავშირებულია მსოფლიო ენერგო-მატარებლებზე ფასების სწრაფ ზრდასა და ეროვნული მეურნეობის ისეთი მნიშვნელოვანი დარგების სტაგნაციასთან, როგორებიცაა: მეტა-ლურგია, გემთმშენებლობა, მანქანათმშენებლობა. ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად საჭირო იყო გარკვეული ტექნიკური და ტექნოლოგიური ნახტომის გაკეთება და მრეწველობის ახალ ხარისხობრივ დონეზე აყვანა. აღნიშნული რეგიონის ქვეყნების ხელმძღვანელობა ხვდებოდა, რომ შექმნილი სიტუაციიდან გამოსვლის საუკეთესო გზა იყო ახალი, მეცნიერებატევადი დარგებისა და ბაზრების განვითარებისათვის ხე-ლის შეწყობა. აღნიშნულ ეტაპზე ხდება ბიზნეს-ინკუბატორების არნახული ტემპებით განვითარება, რომლებსაც აქვთ ვიწრო დარგობ-რივი სპეციალიზაცია. 1983 წელს იაპონიაში მი-ღებული იქნა კანონი ტექნოპოლისების შესახებ.

ტექნოპარკების განვითარების მესამე ეტაპი იწყება გასული საუკუნის 90-ანი წლებიდან, როცა ტექნოპარკები სულ უფრო მეტად იყენებენ ინოვაციებს, როგორც კონკურენტუნარიან საქონელს. ამასთან, ახალი თაობის ტექნოპარკების კონკურენტუნარიანობა აისახება მათი გამოგო-ნებითი საქმიანობის მრავალფეროვნებაში.

ტექნოპარკები პირობითად შეიძლება დავყოთ სამ მოდელად – ამერიკული (აშშ, დიდი ბრიტანე-თი), იაპონური და შერეული (საფრანგე-თი, გფრ).

ამერიკული მოდელის ტიპიური მაგალითია, სამეცნიერო პარკებიდან უძველესი – სტენფორდის პარკი, რომელიც განლაგებულია უნივერსიტეტის მიწებზე და 51 წლიანი იჯარით აქვთ გაცემული მაღალტექნოლოგიურ კომპანიებს, რომლებიც თანამშრომლობენ უნივერსიტეტებთან და რომლებშიც მეცნიერ-მუშაკებად და მასწავლებ-ლებად მიწვეული არიან უნივერსიტეტის პროფესორები. კომპანიაში თავდაპირველად გაერ-თიანდენ 80 კომპანია და ელექტრონიკის, გეოლოგიური სამსახურის, აეროკოსმოსური, ქიმიური და ბიოტექნოლოგიური მიმართულებების.

გასული საუკუნის 80-ანი წლებიდან დასავლეთევროპის ქვეყნებში გავრცელდა ტექ-ნოპარკების ახალი ნაირსახეობა, რომელიც ორიენ-ტირებულია წვრილ მაღალტექნოლოგიურ საწარმოებზე – ინოვაციურ ცენტრებზე, რომლებიც წააგავს ამერიკულ «ინკუბატორებს». მათი ამოცანაა შეაერთონ იდეები და გამოგონებები წარმოებასთან და მათ რეალიზაციაში ჩართონ საზოგადოებრივი და კერძო ფონდები მათთვის სასტარტო კაპიტალი. ინოვაციური ცენტრების ფუნქციები მოიცავს ინოვაციური პროცესების სხვადასხვა სტადიებს, განსაკუთრებით ექსპერიმენტალური წარმოებიდან ახალი პროდუქციის კომერციულ ათვისებამდე. აღნიშ-ნულ შემთხვევაში ყოველთვის არ არის საჭირო ახალი კომპანიების შექმნა, ხშირად ინოვაციური ცენტრები გამომგონებელ-მწარმოებლებს აღმოუჩენენ დახმარებებს ახალ პროდუქტზე ლიცენზიების გაცემაზე.

რიგი ინოვაციური ცენტრებისა იმყოფება ადგილობრივი ხელისუფლების განკარგულებაში, ხოლო შედარებით მსხვილი ცენტრები შედიან ევროპულ ქსელში, რომლის ბაზაც ბრიუსელშია და აერთიანებს სხვადასხვა ცენტრის დაახლოებით 40 ინოვაციურ ცენტრს.

ევროპული ცენტრი ხელს უწყობს ფირმებს ტექნოლოგიების სხვადასხვა ქვეყნებს შორის ვაჭრობაში.

სამეცნიერო პარკების **იაპონური მოდელი** ამერიკულისაგან განსხვავებით, გულისხმობს სრულიად ახალი ტიპის ქალაქების, «ტექნოპო-ლისების» მშენებლობაზე, რომლებიც თავს უყრიან სამეცნიერო კვლევების ჩა-ტარებას მოწინავე, პიონერულ და წარმოების მეცნიერტევად დარგებში. ტექნოპოლისების შექმნის პროექტი «ტექნოპოლისი» სარეალიზაციოდ მიღებული იქნა 1982 წელს.

ტექნოპოლისების შექმნის მოდელად აღებული იქნა 19 ზონა რომლებიც განფენილი იყო ოთხ კუნძულზე. ყველა მათგანს უნდა დაეკმაყოფი-ლებინა შემდეგი კრიტერიუმები:

* განთავსებული უნდა იყოს 30 წუთის სავალზე «ქალაქ-მშობლისაგან» (არა ნაკლებ 200 ათასი მცხოვრებით) და ტოკიოდან, ნაგოიდან ან ოსაკიდან ერთი დღის სავალზე.
* დაკავებული ფართობი 500 კვ. მილი ან ნაკლები.
* თანამედროვე სამეცნიერო-სამრეწველო კომპლექსის დაბალანსებული კომპლექსის, უნი-ვერსიტეტის და კვლევითი ინსტიტუტის არსე-

ბობა თანამედროვე ინფრასტრუქტურასთან ერთან.

* განთავსებული უნდა იყოს მიმზიდველ რაიონებში და ჰარმონიზებული უნდა იყოს ადგილობრივ ტრადიციებთან და ბუნებრივ პირობებთან.

ტოკიოდან ჩრდილო-აღმოსავლეთით 35 მილში მდებარეობს «ტვინების ქალაქი» – ცუკუბა, რომელშიც ცხოვრობს 11 500 ადამიანი. ისინი მუშაობენ 50 სახელმწიფო კვლევით ინსტიტუტებში და ორ უნივერსიტეტში. ცუკუბაში ფუნქციონირებს იაპონიის 98 წამყვანი სახელმწიფო კვლევითი ლაბორატორიებიდან 30 რის გამოც ეს პატარა ქალაქი აღიარებულია მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან ცენტრად.

«შერეული მოდელის» მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ საფრანგეთის სამეცნიერო პარკები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან, როგორც იაპონურ ისე ამერიკულ მოდელზე. საფრანგეთში უმსხვილესია «სოფია ანტიპო-ლისი», რომელიც განლაგებულია რივერში, 200 ჰა-ზე მეტ ფართობზე. მიწები მიეყიდათ კომპანიებს და კვლევით ინსტიტუტებს. განსაზღვრულია დასაქმებულთა მაქსიმალური რაოდენობა 6 000 კაცი.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია პირველი ინგლისური ტექნოპარკის კემბრიჯის უნივერსიტეტის სამეცნიერო-ტექნოლოგიური პარკი, რომელიც შეიქმნა გასული საუკუნის 70-იან წლებში და უკვე 80-იანი წლების ბოლოსათვის მის ფირმებში მუშაობდა 18 ათასი კაცი. უნივერსიტეტისა და კვლევითი ლაბორატორიების მჭიდრო კავშირები იყო ურთიერთსასარგებლო. გავრცელებული იყო კვლევითი და საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებისათვის ფართის იჯარით აღების პრაქტიკა, რომელთა კვლევის შედეგებიც წარმატებით ინერგებოდა პრაქტიკაში. დღეისათვის ტექნოპარკში წარმატებით ფუნქციონირებს 400-ზე მეტი მაღალტექნოლოგიური ფირმა, რომლებიც დასპეციალებულნი არიან ელექტრონიკის, ხელსაწყოთმშენებლობაში და მანქაანათმშენებლობაში, კომპიუტერულ ტექნიკაში, პროგრამულ უზრუნველყოფაში, ტელეკომუნიკაციებში და ბიოტექნოლოგიაში. კომპანიების უმეტესობა მცირერიცხოვანია (30 კაცზე ნაკლები) და ახალშექმნილია (მათი არსებობის ვადა 5 წელს არ აჭარბებს).

შეიძლება გამოიყოს კემბრიჯის უნივერსიტეტის ტექნოპარკების ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები. უპირველეს ყოვლისა, ეს არის მეცნიერებატევადი საწარმოების აღმოცენება, რომელთა რიცხვიც სულ უფრო იზრდება. საწარმოები ახალი ვენჩურული კომპანიებისათვის ასრულებენ ბიზნეს-ინკუბა-ტორის ფუნქციას. ტერმინი ,,ინკუბატორი'' კემბრიჯში გამოიყენება ორი ძირითადი გაგებით: ფართო გაგებით როგორც ტექნოპარკის ნაირსახეობა, რომლის მთავარი ფუნქციაა, ახალგაზრდა ორგანიზაციებზე დახმარება და ვიწრო გაგებით, როგორც ტექნოპარკის ერთ-ერთი სტრუქტურული ქვედანაყოფი.

აღსანიშნავია ის, რომ კემბრიჯში იზრდება ინგლისის და აშშ-ის მსხვილი კონცერნების და ფინანსური ინსტიტუტების განყოფილებების რიცხვი. კემბრიჯის მცირე და საშუალო მეცნიერტევადი ფირმები უზრუნველყოფენ მოცემული რაიონის მოსახლეობის 20 %-ის დასაქმებას.

საინტერესოა ინგლისის ტექნოპარკების დაფინანსების პრაქტიკა. საუკუნის დასაწყისისათვის დიდი ბრიტანეთის 40 ტექნოპარკში დაბანდებული იყო 400 მლნ. ფუნტ სტერლინგამდე, რომელიც დახარჯული იქნა მიწების შეძენაზე, შენობების აშენებაზე და ინფრასტრუქტურის შექმნაზე. საბრუნავი საშუალებების ფორმირების ძირითადი წყაროა იჯარის შემოსავალი და მომსახურებიდან შემოსავალი. რაც შეეხება სამეცნიერო პარკების ძირითად შემოსავალს ის ფორმირდება შემდეგი ძირითადი წყაროებიდან: ა) დამფუძნებლებისა და სპონსორების შენატანები; ბ) მიწის არენდიდან შემოსავალი; გ) კომერციული კრედიტები; დ) პარკის კაპიტალიდან წილის გაყიდვა. ე) გრანტები და სახელმწიფო სუბსიდიები. ვ) მოგების რეინვესტირება; ზ) პარკის მიერ აშენებული შენობების გაყიდვიდან მიღებული შემოსავლები.

დიდი ბრიტანეთის ტექნოპარკების შემადგენლობაში მყოფი ფირმების 60% მეტს წარმოადგენენ მცირე ფირმები, რომლებსაც უჭირავთ მხოლოდ ერთი ოფისი. მათში დასაქმებულთა რაოდენობა 5 დან 10 კაცამდეა. თანამშრომლები ძირითადად მუშაობენ გამოყენებითი კვლევების სფეროში, ამასთან საჭიროების შემთხვევაში უმაღლეს სასწავლებლებთან ან მსხვილ კორპორაციასთან.

ტექნოპარკის შემადგენლობაში შემავალი ფირმებისათვის ფინანსირების შიდა წყაროს წარმოადგენს ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი. თუ კი დაფინანსების შიდა რეზერვები ამოწურულია ფირმები გადადიან დაფინანსების გარე წყაროების გამოყენებაზე, რომელთა შორისაც უმთავრესია: ა) საბანკო კრედიტები და ოვერდრაფტები; ბ) სააქციო კაპიტალი; გ). ვენჩურული კაპიტალი; დ) მსხვილ კომპანიებთან პარტნიორობა; ე) ტექნოპარკის ინიციატივები; ვ) მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებები.

მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული მათგანი:

ა) **საბანკო კრედიტები და ოვერდრაფტები.** დიდ ბრიტანეთში ტექნოპარკების კრედიტებით და ფინანსური დახმარების გაწევის მიზნით იქმნება ცენტრალური ბანკების რეგიონალური ფილიალები, რომლებიც მცირე ბიზნესის განვითარებას უწევენ სათანადო დახმარებას. დაკრედიტების კუთხით არსებობს მთელი რიგი პაკეტები. მაგალითად კრედიტები ბიზნესის დაწყებისათვის ყოველი ბანკი ცდილობს აჩვენოს თავისი მიმზიდველობა სხვადასხვა შეღავათებით, ფიქსირებული ან მოძრავი საპროცენტო განაკვეთებით, ერთსა და იგივე პაკეტში სხვადასხვა პი-რობებით.

ოვერდრაფტი არის ტექნოპარკების დაფინანსების ყველაზე უფრო გავრცელებული და მისაღები ფორმა, რომელიც გამოიყენება საბრუნავი საშუალებების მიმდინარე დეფიციტის დასაფარად და არა გრძელვადიანი ფინანსირებისათვის. ოვერდრაფტის გაცემის დროს ბანკები ზოგიერთ შემთხვევაში წინასწარ განსაზღვრავენ მის ფიქსირებულ ყოველთვიურ გადასახადს.

ფართოდ გამოიყენება ასევე კომერციული იპოთეკური კრედიტები, რომელიც იპოთეკური კრედიტის ერთ-ერთი მოქნილი ფორმაა. ბანკებს შორის კონკურენცია ხდება კლიენტებისათვის ყველაზე უფრო მოქნილი პაკეტების შეთავაზებით, როგორც ყველაზე უფრო მისაღები ვადების, ისე საპროცენტო განაკვეთების ფიქსირებული ან მოძრავი პროცენტებით.

ბანკებიდან საკრედიტო თანხების შეუფერხებლად მიღების მიზ-ნით, ტექნოპარკის მენეჯერებმა უნდა გაითვალისწინონ შემდეგი პირობები: სისტემატურად უნდა მისცენ ბანკებს ინფორმაციები ფირმის ბიზნესის მიმდინარე მდგომარეობის შესახებ; ბიზნეს-გეგმებში დეტალურად გაწერონ და დაასაბუთონ ფინასური ნაკადების მიღების აუცილებლობა; ბანკებს წარუდგინონ ფინანსური მდგომარეობის არა ზოგადი დახასიათება არამედ კონკრეტული პროექტები თუ რისთვისაა საჭირო კრედიტები.

ბ) **სააქციო კაპიტალი.** ტექნოპარკის სტრუქტურაში შემავალმა მცირე და საშუალო ფირმებმა შეიძლება უზრუნველყონ საკუთარი ფინანსირება დაფინანსების ისეთი გარე წყაროდან როგორიცაა რეგისტრაცია არაკოტირებული ფასიანი ქაღალდების ლონდონის საფონდო ბირჟაზე, თუმცა აქ ერთი მომენტია გასათვალისწინებელი ის, რომ ფირმის რეგისტრაციიდან მხოლოდ ორი წლის შემდეგაა შესაძლებელი მათი აქციების საფონდო ბირჟაზე დარეგისტრირება. აღსანიშნავია ისიც, რომ საფონდო ბირჟაზე კვოტირებას დაწყებიდან სჭირდება ექვსი თვე მაინც. აღნიშნული მსხვილი ფინანსების მიღების მნიშვნელოვანი წყაროა. გარდა აღნიშნულისა ახალი დაფინანსების წყაროა ახალი აქციონერების მიღება.

გ) **ვენჩურული კაპიტალი.** ბრიტანეთის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ ვენჩურული კაპიტალის გამოყენება მიზანშეწონილია ტექნოპარკში შემავალი სწრაფი ტემპებით მზარდი მცირე და საშუალი ფირმებისათვის. ვენჩურული კაპიტალი, როგორც წესი გაიცემა 3-5 წლის ვადით, რომლის განმავლობაშიც ვენჩურული ინვესტორი არ ელოდება ფულადი სახსრების უკან დაბრუნებას. იმის გამო, რომ ვენჩურული ინვესტორი სერიოზულად რისკავს იმის გამო, რომ თანხებს აბანდებს ყოველგვარი გარანტიის გარეშე. ვენჩუნურული კაპიტალისტები ზედმიწევნით ზუსტად სწავლობენ საინვესტიციო წინადადებების სიცოცხლისუნარიანობას, ახდენენ ბიზნეს-გეგმის დეტალურ შესწავლას. ფინანსირება ხორციელდება ფირმის კაპიტალის წილის ან დირექტორთა საბჭოში წარმომადგენლის შეყვანის სანაცვლოდ.

დ) **მსხვილ კომპანიასთან პარტნიორობა** ხორციელდება მაშინ, როცა მსხვილი კომპანია იძენს მცირე ფირმის კაპიტალის წილს ან მასთან ერთად ანხორციელებს ერთობლივ წარმოებას. მსხვილი ფირმა, როგორც წესი, გამოყოფს სოლიდურ თანხებს და ახდენს მხარდაჭერას მენეჯმენტის სფეროში, ის ახდენს მარკეტინგულ ოპერაციებს, გავლენას ახდენს მომწოდებლებსა და მომხმარებლებზე. კორპორაცია მცირე ფირმას გადასცემს იმ ტექნოლოგიას, რომლის გამოყენების მასშტაბებიც მისთვის არარენტაბელურია. მცირე ფირმა პარტნიორობაში დებს თავის შემოქმედებით პოტენციალს და ნოვატორულ სულისკვეთებას, უკვლევს მსხვილ კორპორაციას გზას ახალი ტექნოლოგიებისა და მოდელირებული საქონლის წარმოებისაკენ.

ე) **სამეცნიერო პარკების ინიციატივების** ერთ-ერთ გამოვლინებაა აქტიური მონაწილეობა კლიენტი ფირმების მომსახურეობაში, რომლებიც შეიძლება იყვნენ როგორც კერძო ფირმები, ისე მუნიციპალური სტრუქტურები. ასეთი თანამშრომლობა ორმხრივ სასარგებლოა და წყდება ტექნოპაქრკისა და საზოგადოების ერთობლივი ინტერესები.

ვ) **მთავრობის მიერ გასატარებელი ღონისძიებები.** დიდ ბრიტანეთში მთავრობა თამაშობს მეტად მნიშვნელოვან როლს ტექნოპარკების და მასში შემავალი მცირე და საშუალო საწარმოების განვითარებისათვის. ტექნოპარკების დახმარებისათვის მთავრობის მიერ გატარებული ღონისძიებებიდან აღსანიშნავია: **1. დაკრედიტების გარანტიის პროგრამები**, უზრუნველყოფს

კომერციული ბანკებისათვის 100000 ფუნტი სტერლინგის ფარგლებში ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროების გარანტიებს 70-85%-ის ფარგლებში იმისდა მიხედვით, თუ რომელ რეგიონალურ ზონაში იმყოფება დასაკრედიტებე-ლი ორგანიზაცია. კრედიტის ვადა ორიდან ხუთ წლამდეა, სასესხო პროცენტი წელიწადში შეადგენს 2.5% (შეიძლება 1%-იც, თუ კი სესხი გაცემულია პირველად და მსესხებელი შედის სპეციალურ რეგიონთა ჩამონათვალში.) **2. ბიზნესის განვითარების პროგრამები** მიმართულია მცირე საწარმოებში კაპიტალდაბანდებების წახალისებისათვის და უპირველესად მოიცავს ღონისძიებებს დამწყები ბიზნესისათვის რისკების თავიდან აცილების საკომპესაციოდ საგადასახადო შეღავათების დაწესებას. აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეთათვის დაწესებულია გარკვეული კრიტერიუმები, რომლებიც გამიზნულია მცირე ბიზნესის განვითარებისათვის ინვესტიციების წასახალისებლად. **3. მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში მცირე ფირმების გრანტებით წახალისების პროგრამა.** ეს პროგრამა ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს პროგრამის ნაწილია, რომელიც ითვალისწინებს ტექნოპარკების მხარდაჭერას. პროგრამა ითვალისწინებს კონკურსის ორი ეტაპის ჩატარებას ინოვაციური მცირე საწარმოებისათვის, რომლის რიცხოვნებაც 50 კაცამდეა. **პირველი ეტაპის** გამარჯვებულები სამინისტროდან იღებენ გრანტს, რომელიც ფარავს პროექტის 75%-ს, მაგრამ არა უმეტეს 50000 ფუნტი სტერლინგისა. პროექტების შერჩევა ხდება სიახლის, მნიშვნელობის და ქვეყნისათვის კომერციული სარგებლიანობის გათვალისწინებით. თუმცა, მნიშვნელოვანია კონკურსანტების ფინანსური საჭიროებანი. მეორე ეტაპი წარმოადგენს დამოუკიდებელ კონკურსს, რომელიც ტარდება პირველი ტურის ჩატარებიდან 9 თვის შემდეგ პირველ ტურში გამარჯვებულებისათვის. მისი მიზანია პროექტის მეორე წლის დაფინანსება და ფარავს ხარჯების 50% მაგრამ არა უმეტეს 100000 ფუნტი სტერლინგისა. 4 ახალი პროდუქციის შექმნის მხარდაჭერის პროექტის მიზანია მცირე საწარმოებისათვის დახმარების გაწევა ახალი პროდუქტებისა და ტექნოლოგიური ხაზების შექმნისათვის, რომლებიც პასუხობენ თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მოთხოვნებს. ფირმებს, რომელთა რიცხოვნობაც 500 კაცამდეა, შეუძლიათ მიიღონ გრანტი, რომელიც დაფარავს პროექტის ღირებულების 30 %-ს, მაგრამ არა უმეტეს 150 000 ფუნტი სტერლინგისა. პროექტის მინიმალური ღირებულება უნდა იყოს 50000 ფუნტ სტერლინგზე უფრო მეტი და მისი რეალიზაციის ვადები უნდა იყოს ექვსი თვიდან სამ წლამდე. გარდა ამისა, პროექტმა უნდა შეიტანოს მნიშვნელოვანი წვლილი დარგის განვითარებაში.

საქართველოსათვის განსაკუთრებით საინტერესოა აღმოსავლეთ ევროპის ტექნოპარკების ფუნქციონი-რების თავისებურებები.

ჩეხეთში ტექნოპარკების საქმიანობას ხელმძღვანელობს სამეცნიერო-ტექნიკური პარკების საზოგადოება. აქ გავრცელებულია სამეცნიერო-ტექნიკური პარკების ოთხი ნაირსახეობა: ა) საზოგადოებრივ-სამართლებრივი; ბ). კერძო; გ) კომბინირებული; დ) აკადემიური.

განვიხილოთ თითოეული მათგანი ცალ-ცალკე:

ა) საზოგადოებრივ-სამართლებრივი სამეცნიერო-ტექნიკური პარკი არის არამომგებიანი ორგანიზაცია, რომელიც ფინანსდება რესპუბლიკური მთავრობის მიერ. მისი პრიორიტეტული მიმართულებებია რეგიონების ეკონომიკის განვითარება ტექნიკური პროგრესის დანერგვის, საგადასახადო პოლიტიკის ლიბერალიზაციის და ეკონომიკის დივერსიფიკაციის საშუალებით, რაც გულისხმობს რისკის შემცირების მიზნით, სხვადასხვა საფინანსო ინსტრუმენტსა და სხვა აქტივებს შორის საინვესტიციო პორტფელის გადანაწილებას და კომპანიების საქმიანობის სფეროს გაფართოებას;

ბ) კერძო სამეცნიერო-ტექნიკური პარკები წარმოადგენენ მოგებაზე ორიენტირებულ ორგანიზაცი-ებს, რომელთა საქმიანობის საფუძველია კაპიტალების გაერთიანება სადაზღვევო კაპიტალის მონაწილეობით, ფირმის ინოვაციურ საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად. ზოგიერთ შემთხვევაში ის სამეცნიერო-ტექნიკური პარკები, რომლებიც განლაგებული არიან პრესტიჟულ ადგილებში მათი შემოსავლების მთავარი წყაროა საიჯარო ქირა და სხვადასხვა ფასიანი მომსახურება;

გ) კომბინირებული სამეცნიერო-ტექნიკური პარკები შექმნის საფუძველია სახელმწიფო, კომუნალური და არამმგებიანი ინსტიტუციების გაერთიანება კერძო სექტორთან. ასეთი გაერთიანებები შესაძლებელს ხდის პარკები დაფინანსდნენ სხვადასხვა დონის სახელმწიფო დოტაციებით და კერძო დაფინანსებით. კერძო სექტორიდან ყველაზე ხშირად პარტნიორებად გამოდიან ბანკები, დიდი საწარმოები, მეცენატები და სხვა სპონსორები, რომლებიც თავიანთი წვლილით დემონსტრირებას ახდენენ ინოვაციური პოლიტიკის მხარ-დაჭერის შესახებ, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში არსებული კანონ-

მდებლობის შესაბამისად იღებენ გარკვეულ საგადასახადო შეღავათებს.

დ) აკადემიური სამეცნიერო-ტექნიკური პარკები მიერთებული არიან უნივერსიტეტებთან ან მათ ფაკულტეტებთან და პრიორიტეტულ მიმართულებებად ითვლება როგორც პირადი ისე ინოვაციური გამოგონებები.

საინტერესოა პოლონეთის ტექნოპარკების საქმიანობის ორგანი-ზაციული საფუძვლების შესწავლა. აქ საქართველოს მსგავსად ტექნოპარკებისათვის არ არის შექმნილი სპეციალური კანონმდებლობა და ისინი საქმიანობას ეწევიან განათლების, მეცნიერებისა და სამეწარმეო საქმიანობის შესახებ ქვეყანაში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად. ყველაზე უფრო ხშირად პოლონეთში ტექნოპარკები საქმიანობენ შეზღუდული პასუხისმგებლობის და სააქციო საზოგადოებების ფორმით. სააქციო საზოგადოებები უპირატესად იქმნება მაშინ, როცა მასში მთავარი მო-ნაწილეები არიან სახელმწიფო ორგანოები და სხვადასხვა ორგანი-ზაციების ადმინისტრაციები.

ტექნოპარკის მცნება გვხვდება «ინვესტიციების ფინანსური მხარდაჭერის შესახებ» პოლონეთის კანონში. კანონი განსაზღვრავს ტექნოპარკების დახმარების პრინციპებს, ფორმებს და პირობებს, რომელთა შორის აღსანიშნავია: უძრავი და მოძრავი ქონების გამოყოფა; ტექნოლოგიური კრედიტების და ტექნოლოგიური პრემიების გამოყოფის პრინციპები; საწარმოებისათვის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მინიჭების პრინციპები. ტექნოპარკები, რომლებიც მდებარეობენ სპეციალურ ეკონომიკურ ზონებში სარგებლობენ დამატებითი საგადასახადო და სხვა სოციალური შეღავათებით.

მსოფლიოში ტექნოპარკების საქმიანობის ანალიზი მეტად მნიშვნელოვანია, რადგან საქართველოში იწყება ტექნოპარკების ფორმირების პროცესი და შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნა. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ ტექნოპარკების სისტემის მეშვეობით შესაძლებელია შეიქმნას მაქსიმალურად ხელსაყრელი გარემო ისეთი ახალი ტექნოლოგიების განვითარების მიზნით, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის ეკონომიკის კონკურენტუნარიანობას, როგორც მიმდინარე ეტაპზე, ისე უახლოეს მომავალში. დღეისათვის შეიძლება გამოვყოთ ტექნოპარკებში ტექნოლოგიების განვითარების შემდეგი მიმართულებები: ახალი სახეობების პროდუქციისა და მასალების შექმნა; ცნობილი ტექნოლოგიების გადატანა წარმოების ახალ სფეროებში და დარგებში; ფუნდამენტალური სამეცნიერო გამოგონებების მზა ტექნოლოგიურ წარმოებებში ჩართვა; საწარმოებსა და ორგანიზაციებში შრომითი პროცესების რეორგანიზაცია და კადრების მომზადების სისტემა.

რაც შეეხება ტექნოპარკის საკანონმდებლო ბაზის ფორმირების საკითხებს, აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს კანონის რეგულირების სფეროს ზუსტად განსაზღვრას. კერძოდ, კანონმა უნდა დაარეგულიროს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებების ტექნოლოგიური პარკების შექმნასა და ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სამართლებრივი, ორგანიზაციული, ეკონომიკური ურთიერთობები და უზრუნველყოს მეცნიერება-ტექნოლოგიები-ტექნიკური გადაწყვეტა-წარმოება უწყვეტი ჯაჭვის ბაზაზე ფორმირებული, საინოვაციო-საწარმოო უნივერსიტეტის სისტემაში, ტექნოლოგიური პარკის სრულყოფილი საქმიანობისათვის საკანონმდებლო და ფინანსური ბაზის შექმნა.

ტექნოპარკი იქმნება უნივერსიტეტში სამეცნიერო-ტექნიკური და ინოვაციური საქმიანობის განვითარების, არსებული სამეცნიერო პოტენციალის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ეფექტური და რაციონალური გამოყენებისათვის, გამოგონებების კომერციალიზების (წარმოებაში დანერგვის) და სამამულო და საზღვარგარეთის ბაზრებზე მათი გატანის მიზნით და უზრუნველყოფს:

- შეიქმნას მიმზიდველი გარემო ეკონომიკური საქმიანობისათვის, ხელი შეეწყოს კაპიტალისა და ტექნოლოგიების შემოსვლას საქართველოში.
- საგანმანათლებლო-ტექნოლოგიური გაერთიანების უწყვეტი ჯაჭვის, მეცნიერება-ტექნოლოგიები-ტექნიკური გადაწყვეტა-წარმოება, დანერგვით ბიზნესზე ორიენტირებული კონკურენტუნარიანი სუბიექტის - საინოვაციო-საწარმოო უნივერსიტეტის, როგორც სამეცნიერო ტექნოლოგიური პარკის მართვის ცენტრალური რგოლის ფორმირებას.
- ცოდნის, ტექნოლოგიათა და ინფრასტრუქტურული ბაზის გაერთიანებით ქვეყანაში ეკონომიკური პროცესების სტიმულირებას, რაც ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და საზოგადოებრივი დოვლათის წარმოების შეუქცევადი პროცესების ინიცირებას.
- პარკის დამფუძნებლებისა და პარტნიორების საინფორმაციო-მეთოდურ, სამართლებრივ და კონსალტინგურ უზრუნველყოფას, საპატენტო-სალიცენზიო დახმარების შეთავაზებას;
- სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დოქტორანტების, მეცნიერ-მუშაკებისა და უმაღლესი სასწავლებლის და სამეცნიერო

დაწესებულების მუშაკების მონაწილეობას სამეცნიერო პარკის პროექტების დამუშავებასა და შესრულებაში;
- ინოვაციური მეწარმეობის განვითარებისათვის მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობას და მხარდაჭერას;
- სამეცნიერო პარკის პროექტების დამუშავებისა და რეალიზაციისათვის აუცილებელი სპეციალისტების მომზადებას, გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას;
- თავის საქმიანობაში სარისკო (ვენჩურული) კაპიტალის მოზიდვას და გამოყენებას, მეცნიერებატევადი წარმოების მხარდაჭერას;
- საერთაშორისო და სამამულო თანამშრომლობის განვითარებას სამეცნიერო-ტექნიკურ და ინოვაციურ საქმიანობაში, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობას.
- ქვეყნის ტერიტორიაზე წერტილოვანი (ტექნოპარკები კედლე-ბის გარეშე) შექმნით ნებისმიერი კომპანიისათვის ტექნოპარკში გაერთიანებისათვის პირობების შექმნას.

ტექნოპარკების ფორმირება შესაძლებელია სხვადასხვა სტრუქტურული ქვედანაყოფების, მათ შორის ორი უმნიშვნელოვანესი სტრუქტურული ქვედანაყოფის: მცირე საწარმოთა კლასტერის (საინოვაციო სამეცნიერო-საგანმანათლებლო ბიზნეს-კომპლექსი) და ინდუსტრიული უბნების ჩამოყალიბებით.

TAMAZ BATSIKADZE
DAVITTAVKHELIDZE
KOBA SOKHADZE

SOME ASPECTS OF FOREIGN EXPERIENCE IN FUNCTIONING OF TECHNO PARKS

Summary

On the contemporary stage of evolution the comparatively progressive forms of science and high technology production are developed. One of the ways for the solution of such tasks is creation and development of technical parks. The foreign experience shows that techno parks may become the most effective formation in solution of scientific-technical and technological problems and in realization of innovative policy.

The essence of techno parks is to be the connecting link between scientist-inventor and companies who acknowledges the invention and considers reasonable its realization. It should be noted that techno parks are interested in technologies marketing, do not directly participate in marketing process though create favourable conditions for realization of innovative projects with special informational and other services (leasing, etc.), although there are cases when techno parks become the cofounders of companies.

In spite of definite specificity, techno parks are characterized with one main feature which is that techno parks are the important form of resource potential organizing for government, industry and universities the aim of which is stimulation of national economy and regional economy development and increase of population social and educational level.

გურამ ჯოლია
ნინო ჯოლია

საერთაშორისო თანამეგობრობის ანტიოფშორული პოლიტიკის შეფასება

ოფშორები და განვითარებული ქვეყნები

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო ეკონომიკის ოფშორული[1] სექტორი ორი მიმართულებით ვითარდება:

პირველი – ოფშორული ბიზნესის განვითარების მნიშვნელოვანი მასშტაბებით;

მეორე – განვითარებული ქვეყნებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან, ოფშორული ცენტრების საქმიანობის ნეგატიური ასპექტების წინააღმდეგ ბრძოლის გამკაცრებით.

ოფშორული ბიზნესის განვითარებამ ძირითადად სამი ნეგატიური მოვლენა წარმოშვა:

- არაკეთილსინდისიერი საგადასახადო კონკურენცია;
- დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაცია;
- ეროვნული ქვეყნიდან კაპიტალის ფართომასშტაბიანი გადინება.

მიმზიდველი ბიზნეს-გარემოს შექმნის მცდელობა კაცობრიობას უძველესი დროიდან ჰქონდა, რადგან გადასახადებისაგან თავის არიდებისა და უცხოური კაპიტალის აქტიურად მიზიდვის სურვილი, რომელიც, ძირითადად, საგადასახადო შეღავათების პრაქტიკას ეფუძნება, ჩვენ წელთაღრიცხვამდეც არსებობდა, კერძოდ, ფინიკიელების ზეობის პერიოდში (ძვ.წ. X-IX სს.), ელადის კულტურის გვიანდელ ხანაში (ძვ. წ. V ს., კუნძული დელოსი), ძველი რომის იმპერიაში (III-IV სს.), მუსლიმების კონტროლირებად ტერიტორიებზე (VII ს.) და სხვ.

ოფშორული ბიზნესისადმი გაძლიერებული ყურადღება თვით ბიზნესის ინტერნაციონალიზაციამ განაპირობა, რადგან სამრეწველო და სასესხო კაპიტალის საერთაშორისო ბაზრების განვითარება მნიშვნელოვნად დაჩქარდა. ჩამოყალიბდა ტრანსნაციონალური კორპორაციების ფართო ქსელი, რამაც, თავის მხრივ, არა მარტო საერთაშორისო საქონელგაცვლის ზრდა და ფინანსური რესურსების გადიდება, არამედ პლანეტის ნებისმიერ სივრცეში თავისუფლად შეღწევა მოითხოვა. ამ ვითარებამ კაპიტალის არაეროვნული ბაზრების აუცილებლობა წარმოშვა და საბანკო საქმიანობის ინტერნაციონალიზაციასაც დიდად შეუწყო ხელი.

როგორი პარადოქსულიც არ უნდა იყოს, საგადასახადო სისტემა თავისი არასრულყოფილების გამო (ipso facto – თვით ფაქტის გამო), მეწარმესუბიექტებს თვით აიძულებს გადასახადების შემცირების გზები დამოუკიდებლად ეძებონ.

საერთაშორისო ბიზნესში გადასახადების ოპტიმიზაციის (შემცირების კუთხით) ერთ-ერთ ასეთ შესაძლო ლეგალურ (კანონიერ) და ეფექტურ საშუალებად ოფშორული ოპერაციები მოიაზრება.

ოფშორის თაობაზე ისტორიამ მრავალი კურიოზული შემთხვევა იცის. მაგ., XX საუკუნის დასაწყისში გამოითქვა სურვილი „ვირტუალური ოფშორული სახელმწიფოს“ შექმნის შესახებ, რომელიც თითქოს იარსებებდა ანტარქტიკის ტერიტორიაზე, საკუთარი საბანკო ლიცენზიებით. თუმცა, ამგვარი „სახელმწიფოს“ რეპუტაცია საეჭვო იყო და იგი მეწარმეთა შორის პოპულარული არ გახდა [1, 17].

ცნობილია საერთაშორისო „ფასკუნჯ-ინვესტორის“ შექმნის მცდელობაც. მისმა ავტორმა, ამერიკელმა ბიზნესმენმა კ. დარტმა გადასახადებისაგან თავის არიდების მიზნით, ამერიკის მოქალაქეობაზე უარი თქვა და ჯერ ბელიზის, ხოლო შემდეგ ირლანდიის მოქალაქეობა მიიღო. მაგრამ კ. დარტისთვის ამ ქვეყნების გადასახადების დონეც მიუღებელი აღმოჩნდა და მან „საკუთარი საგადასახადო სამოთხის“ შექმნა გადაწყვიტა. ამისათვის ბაჰამის ერთ-ერთი კუნძული იყიდა, სადაც ასაფრენ-დასაფრენი ზოლი და ნავმისადგომი ააშენა. 7 მილიონ დოლარად ტელეკომუნიკაციური მოწყობილობებით აღჭურვილი 60-მეტრიანი დიდი იახტა შეიძინა, რომელიც მისი ბიზნეს-იმპერიის სამეთაურო ცენტრი უნდა გამხდარიყო. დარტი ნეიტრალურ წყლებში ცურავდა და ყველა ქვეყნის საგადასახადო პრეტენზიებს გაურბოდა, რადგან არც ერთი მათგანის ტერიტორიაზე არ ცხოვრობდა. თუმცა, მის ამ ოცნებას ახდენა არ ეწერა და იგი ყველამ დაივიწყა [2, 30].

თანამედროვე ეტაპზე (განსაკუთრებით 2001 წლის 11 სექტემბრის ცნობილი ტრაგიკული მოვლენების შემდეგ) ოფშორული ცენტრებისადმი

---

1 ინგლისური წარმოშობის ტერმინი „ოფშორი“ (off-shore) სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „ნაპირს გარეთ“, „ნაპირისაგან დაშორებით”, „ტერიტორიის გარეთ“, „ღია ზღვაში“, „იზოლირებული“ და იმ ტერიტორიების მიმართ გამოიყენება, რომლებიც უცხოელი მოქალაქეების საკუთრებაში მყოფი კომპანიებისათვის საგადასახადო დაბეგვრის შეღავათიან რეჟიმებს აწესებენ.

განვითარებული ქვეყნების დამოკიდებულება ცალსახად უარყოფითი გახდა. ისინი ოფშორებს განიხილავენ როგორც მსოფლიო საზოგადოებისადმი მუქარას, საფრთხეს, რომელიც საგადასახადო კონკურენციას ზიანს აყენებს და ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ გათავისუფლდნენ მათგან, გააუქმონ ოფშორები, როგორც კონკურენტები.

ოფშორული ბიზნესის სწრაფმა ზრდამ იმ ქვეყნების უკმაყოფილება და შეშფოთება გამოიწვია, საიდანაც კაპიტალმა დაიწყო დაბეგვრის უფრო ხელსაყრელ პირობებში დიდი ოდენობით გადასვლა. ამასთან დაკავშირებით, ამ ქვეყნებში სპეციალური "ანტიოფშორული" კანონები მიიღეს, რამაც ეს პროცესი რამდენადმე შეანელა და ოფშორულ იურისდიქციებში ბიზნესის ხელსაყრელობა მინიმუმამდე შეამცირა.

ოფშორული ბიზნესისადმი უარყოფითი დამოკიდებულება ადრეც არსებობდა. თუმცა, ანტიოფშორული ღონისძიებები მეტწილად ცალკეული ქვეყნის საშინაო საქმედ განიხილებოდა.

XXI საუკუნის დასაწყისში ოფშორულმა ბიზნესმა გლობალური ხასიათი მიიღო და მისდამი ლოიალურ-ლიბერალური პოლიტიკა სახელმწიფოებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან სერიოზულად გამკაცრდა.

საჭიროა დაზუსტდეს, რომ **მოცემულ შემთხვევაში საუბარია არა ოფშორული კომპანიების ან ოფშორული ქვეყნების (ტერიტორიების) წინააღმდეგ საერთოდ, არამედ იმ ნეგატიური მოვლენებისადმი, რაც მათი გამოყენებით წარმოიშობა.**

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე პროცესები, უპირველესად კი, გლობალიზაცია, ბიზნესის გაფართოებასა და საგადასახადო ტვირთის მინიმიზაციას განაპირობებს. გლობალიზაციის პროცესი ქვეყნებს შორის ეკონომიკურ ბარიერებს შლის და ფირმებს განვითარების გლობალური, მათ შორის, საგადასახადო დაბეგვრის სფეროში, შესაბამისი სტრატეგიის შემუშავებას აიძულებს.

ზოგადად, განვითარებული ქვეყნების მიზანია, დაბეგვრის უნიფიცირებული სისტემის შექმნით, მთელ მსოფლიოში ერთიანი საგადასახადო რეჟიმის დაწესება და ამ გზით ოფშორული რეჟიმების აღმოფხვრა.

ამასთან, ამ ეტაპზე იდეალურია ერთიანი საგადასახადო დონის დაწესება განვითარებული ქვეყნების ეკონომიკური ბლოკების მიხედვით, უპირველესად, ევროკავშირის ქვეყნებში. განვითარებული ქვეყნების ასეთი პოლიტიკა სხვა არაფერია, თუ არა საგადასახადო კარტელის ჩამოყალიბება. თუ ასეთი სურვილი პრაქტიკაში რეალურად განხორციელდება, გადასახადის გადამხდელს არ ექნება არჩევანის საშუალება და იგი იძულებული იქნება ერთიანი წესით დადგენილი გადასახადი გადაიხადოს.

თუმცა, მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ ერთიანი საგადასახადო განაკვეთის დაწესებით საგადასახადო კონკურენცია კი არ მოისპობა, არამედ უფრო გამწვავდება, რადგან საქმიანი აქტიურობა განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებად ქვეყნებში გადაინაცვლებს.

საგადასახადო განაკვეთის დონე სათუთი ეკონომიკური ინსტრუმენტია. არ შეიძლება იმის დავიწყებაც, რომ მისი სიდიდე სახელმწიფოს ხელთარსებული მოქნილი ბერკეტია. იგი არ უნდა იყოს სტატიკური სიდიდე, პირიქით, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონის ცვლილების შესაბამისად უნდა იცვლებოდეს.

გლობალიზაციის გავლენით, ყველა ქვეყანა ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონეზეა. თუნდაც ყველაზე უფრო ეკონომიკურად განვითარებულ ბლოკში – ევროკავშირში, მისი წევრი-ქვეყნები ეკონომიკურად არათანაბარ დონეზე იმყოფებიან. ამიტომ ერთიანი საგადასახადო განაკვეთის დაწესება წარმოშობილ პრობლემას, სავარაუდოდ, ვერ მოაწესრიგებს.

რას გამოიწვევს ოფშორული რეჟიმების გაქრობა, ანუ მსოფლიოში ოფშორის ეკონომიკური პრინციპებისა და კონფიდენციალურობის მოშლა? უპირველესად: 1) ოფშორული ქვეყნებისა და იურისდიქციების ეკონომიკური განვითარება შეფერხდება და მათი სუვერენიტეტი კითხვის ქვეშ დადგება; 2) დაზარალდება რიგითი გადამხდელები; 3) გაქრება ინფორმაციის კონფიდენციალურობის პრაქტიკა; 4) შეფერხდება საქონლისა და მომსახურების თავისუფალი ვაჭრობა.

ტრადიციულად, საერთაშორისო პრაქტიკაში საგადასახადო დაბეგვრა იყენებს „ტერიტორიულ" პრინციპს, ანუ შემოსავლების „წყაროს" პრინციპს. ეს პრინციპი საშუალებას იძლევა დაიბეგროს მხოლოდ ის შემოსავალი, რომელიც მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიიდან ამოღებულია. ამ პრინციპმა ყველა ფირმა ერთიან საგადასახადო კონკურენციაში ჩააბა. მით უმეტეს, რომ არც ერთი მათგანი არაა ვალდებული გადასახადები სხვა ქვეყნის სასარგებლოდ გადაიხადოს.

არსებული პრაქტიკით, განვითარებული ქვეყნების უმრავლესობამ თავიანთ მკვეთრ ეკონომიკურ წინსვლას სწორედ იმ დროსა (XVIII-XIX სს.) და ვითარებაში მიაღწია, როცა შემოსავლებზე გადასახადები ან ძალიან მცირე ან საერთოდ არ იყო. თანამედროვე განვითარებული სახელმწიფოები, რომლებიც ორი საუკუნის წინათ ღარიბი აგრარული ქვეყნები გახლდათ, დღეს ოფშორულ ცენტრებს იმ ტაქტიკის გამოყენებას უკრძალავენ, რომელსაც, საინვესტიციო კლიმატის გასაუმჯობესებლად, ადრე თვითონ აქტიურად იყენებდნენ.

თუ ოფშორების მიმართ განვითარებული ქვეყნების ასეთი მკაცრი პოლიტიკა განხორციელ-

დება, ექსპერტული მონაცემებით, ზოგიერთი ქვეყნის ერთობლივი ეროვნული პროდუქტი შეიძლება 25-30%-ით შემცირდეს [3, 14]. ყველაზე უკეთეს შემთხვევაში, ასეთი ვითარება იმას გამოიწვევს, რომ ეს ოფშორული ქვეყნები (ტერიტორიები) მთლიანად განვითარებულ ქვეყნებზე იქნებიან დამოკიდებული.

იმის გამო, რომ გადასახადის გადამხდელთა ფინანსური აქტივობის შესახებ ზუსტი ინფორმაციის გარეშე სამართლიანი და სრულყოფილი დაბეგვრა შეუძლებელია, ოფშორულ ცენტრებში კონფიდენციალურობის რეჟიმის გაუქმება განვითარებული ქვეყნების პრიორიტეტია.

თავდაპირველად, საბანკო საიდუმლოება განიხილებოდა როგორც სახელმწიფოს მხრიდან თვითნებობისა და დიქტატის დაცვის ინსტრუმენტი. მაგრამ, თანამედროვე მსოფლიოში, როცა ტოტალური დიქტატურა საკმაოდ შესუსტდა, საბანკო საიდუმლოებამ არსებითი მნიშვნელობა შეინარჩუნა, მრავალთათვის კი იგი პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების საშუალება გახდა.

ფინანსური ინსტიტუტებისათვის საბანკო საიდუმლოების მნიშვნელობა მეტად დიდია. საბანკო საიდუმლოება იმ პოტენციური კლიენტების მიზიდვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომლებიც კონფიდენციალურობის გარეშე ბანკს თავიანთ ფინანსებს დეპოზიტზე არ გადასცემენ. ასეთი გზით დამატებითი ფინანსური საშუალებების მიზიდვა ბანკების განვითარებას განაპირობებს. უფრო მეტიც, კონფიდენციალურობა დამნაშავეებს თავიანთი „მსხვერპლის“ არჩევას გარკვეულწილად ურთულებს, რაც განსაკუთრებით აქტუალურია განვითარებული ქვეყნებისათვის (და არა მარტო მათთვის).

ზოგიერთი სახელმწიფო (მაგ., საფრანგეთი და სხვ.) ამ საკითხის მოგვარებას არაპირდაპირი, ირიბი გზით ცდილობს. კერძოდ, არაფინანსურ აგენტებს (ადვოკატებს, სავაჭრო წარმომადგენლებს და სხვ.) აიძულებს თავიანთი კლიენტების საქმიანობის (და, მათ შორის, ფინანსების) შესახებ შესაბამისი ორგანოები ჩააყენონ საქმის კურსში. ამით კი, ეჭვქვეშ დგება კლიენტსა და მის ადვოკატს შორის ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნების საკითხი. მთელ მსოფლიოში კონფიდენციალურობის სრული გაუქმების პირობებში, როცა მთელი ინფორმაცია კომპიუტერულ ქსელშია ჩართული და ყველასათვის ხელმისაწვდომია, სამომავლო შედეგები შეიძლება გაუთვალისწინებელი იყოს.

საგადასახადო განაკვეთების გადიდება ახალი ტექნოლოგიების განვითარების შეფერხებას გამოიწვევს, განსაკუთრებით საფინანსო სფეროში. ამ სფეროში ერთ-ერთი მრავლის მომცემი სიახლეა „სმართ-ბარათები“. მეორე მხრივ, საყურადღებოა ფინანსური ტრანსაქციების განხორციელება ინტერნეტის დახმარებით.

დღეისათვის არ არსებობს ისეთი მექანიზმი, რომელიც მოქალაქეებს საზღვარგარეთის ბანკებში ინტერნეტის დახმარებით ანგარიშის გახსნას აუკრძალავს. ელექტრონული კომერციის განვითარება საშუალებას იძლევა შესყიდვა იქ განხორციელდეს, სადაც ფასი ოპტიმალურია. უმეტეს შემთხვევაში, ასეთი ელექტრონული ოპერაციების კვლევა საკმაოდ რთულია. იმის გამო, რომ ელექტრონულ გადახდებს მსოფლიოში კოლოსალური წარმატებები აქვს, განვითარებული ქვეყნები ახალი ტექნოლოგიების განვითარების საწინააღმდეგოდ ღია ფორმით ვერ ილაშქრებენ, თუმცა, ზოგადად, ინტერნეტის მეშვეობით ელექტრონულ გადახდებზე უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ [4].

ეს ზოგადად განვითარებული ქვეყნების დამოკიდებულება ოფშორული ფენომენისადმი. ახლა ზოგიერთი წამყვანი განვითარებული ქვეყნის ანტიოფშორული პოლიტიკის შესახებ.

აშშ ოფშორული ბიზნესის რეგულირების გაძლიერების მიმართულებით მსოფლიო ლიდერია. საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან სწორედ მან გაუკეთა ინიცირება ოფშორული ცენტრებთან ურთიერთობაში შეზღუდვებსა და სანქციებს. სხვა განვითარებული ქვეყნების ანალოგიურად, აშშ-ის პრეტენზიების უმეტესობა ეხება კომპანიების მფლობელებისა და მათი შემოსავლების კონფიდენციალურობას, ასევე მთავრობებისათვის, საგადასახადო და სამართალდამცავი ორგანოებისათვის კაპიტალის მოძრაობის თვალყურის დევნების შეუძლებლობას. გარდა ამისა, ოფშორული ცენტრების მიმართ ამერიკის პრეტენზიები გაისმის უცხოელი კომპანიების საგადასახადო დაბეგვრის ძალიან დაბალი დონის გამო და კომპანიებისა და ბანკების რეგისტრაციის ძალიან ლიბერალური პროცედურების მიმართაც.

თუმცა, აშშ-ის პოზიცია ორგვაროვანია. ოფშორების წინააღმდეგ ბრძოლა რეალურ საშიშროებას მათივე ინტერესებს უქმნის. ოფშორებში ანგარიშსწორება მხოლოდ დოლარებში ხდება, ანუ ოფშორულ ცენტრებში რაც უფრო ნაკლები ფინანსური ოპერაცია შესრულდება, მით უფრო ნაკლებად იქნება დოლარი გამოყენებული. აღნიშნული მტკივნეულად დაარტყამს დიდად გაფუებულ დოლარის მასას. სწორედ ამის გამო, პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის (უმცროსი) ადმინისტრაციამ თავი შეიკავა აკრძალვის პოლიტიკაზე და მიიჩნია, რომ უცხოური კაპიტალის მისაზიდად და ქვეყანაში ადგილობრივი კაპიტალის დასაბანდებლად უფრო მნიშვნელოვანია შეღავათების დაწესება.

საქმე იმაშია, რომ ამერიკული დოლარი საერთაშორისო ოპერაციების საგადამხდელო საშუა-

ლებად შედარებით გავრცელებული ფულადი ერთეულია. ამის გამო, საკორესპონდენტო ანგარიშებზე გადახდების უმეტესობა აშშ-ის ბანკებით ხორციელდება. ასეთი ანგარიშები შესაძლებელია ამერიკის მთავრობის მიერ დაიბლოკოს. შესაბამისად, ამერიკის კანონმდებლობაზე და ბანკების პოლიტიკაზეა დამოკიდებული საერთაშორისო ოპერაციებში ოფშორული კომპანიების გამოყენება. აშშ-ის 1970 წლის კანონით „საბანკო საიდუმლოების შესახებ“ სახელმწიფოს ნებისმიერ საბანკო ანგარიშზე ტრანსაქციის კონტროლის უფლება აქვს. გარდა ამისა, 1986 წელს აშშ-ში მიიღეს კანონი „ფულის „გათეთრების“ კონტროლის შესახებ“, რომლითაც ფულის „გათეთრება“ განსაზღვრულია როგორც ფედერალური სისხლის სამართლებრივი დანაშაული.

აშშ-ის პოლიტიკა განსაკუთრებით აქტიურია ტერორისტული საქმიანობის დაფინანსებისა და ამ მიზნით ოფშორული იურისდიქციების გამოყენების გამოაშკარავების საქმეში. ამასთან, რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების გადაწყვეტილებებისაგან განსხვავებით, რომელთაც რეკომენდაციული ხასიათი აქვთ, აშშ-ის ქმედება უფრო მკაცრია და, იმავდროულად, იმპერატიულიც.

2001 წლის 25 ოქტომბერს, ანუ 11 სექტემბრის ტრაგიკული მოვლენიდან თვენახევრის შემდეგ, აშშ-ში ექსტრემალური წესით მიიღეს ანტიტერორისტული ნორმატიული აქტი სახელწოდებით „აშშ-ს პატრიოტი“ [5], რომლის ძალითაც ამერიკის სპეცსამსახურებს მიეცათ უპრეცედენტო უფლებები აუცილებელი ინფორმაციის შეგროვებაზე, მათ შორის სატელეფონო მოლაპარაკებების მოსმენასა და ელექტრონული ფოსტის კონტროლზე, ბანკების საქმიანობის პირდაპირ და მკაცრ ზედამხედველობაზე და საფინანსო ინსტიტუტების რეგულირებაზე.

უკანასკნელ წლებში ოფშორული ცენტრებისადმი სულ უფრო მკაცრ პოზიციას იკავებს დიდი ბრიტანეთიც, რადგან ოფშორული ცენტრების უმეტესობა თავიდან სწორედ ამ ქვეყნის ხელშეწყობით შეიქმნა. ძალზე ბევრი მსოფლიო ოფშორული ცენტრი განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და სხვ.) დამოკიდებულებაშია. ამიტომ სრულიად რეალურად გვესახება განვითარებული ქვეყნებისა და ოფშორული ცენტრების ერთობლივი მოქმედებით ოფშორული ცენტრების კანონმდებლობებში სათანადო ცვლილებების შეტანა კონფიდენციალურობისა და ანონიმურობის საკითხებზე.

როგორც აღინიშნა, ოფშორული ცენტრები იმ განვითარებულ სახელმწიფოთა უკმაყოფილებას იწვევს, სადაც საგადასახადო დაბეგვრის დონე გაცილებით მაღალია. იმასთან დაკავშირებით, რომ ანალოგიურ სიტუაციებში საკითხი ეხება როგორც ცალკეული, ისე მთელი რიგი ქვეყნების სტრატეგიულ ინტერესებს, ოფშორულ ცენტრებზე ზეწოლის მცდელობანი პერიოდულად წარმოიშობა.

მაგ., ასეთი მცდელობა 1973 წელს ევროკავშირმა ლუქსემბურგის ჰოლდინგებთან ურთიერთობაში გამოიყენა. მაგრამ სპეციალური შესწავლის შემდეგ ევროკომისიამ დაადგინა, რომ ლუქსემბურგის პარალელურად აუცილებელი იყო დიდ ბრიტანეთის კუნძულების (ჯერნზი, გერნზი და მენი) საკითხის განხილვაც.

აღნიშნულმა გარემოებამ დიდი ბრიტანეთის უკმაყოფილება გამოიწვია. იმავდროულად, ჩამოთვლილ ოფშორულ ცენტრებში კომპანიების შეღავათიანი საგადასახადო დაბეგვრის ნებისმიერი შეზღუდვა ხელს შეუწყობდა ევროკავშირის საზღვრებს გარეთ კაპიტალის გადინებას.

მოცემულ შემთხვევაში თვალნათლივ გამოჩნდა ოფშორული ბიზნესის პრობლემებისადმი ევროკავშირის ქვეყნების მთავრობათა დამოკიდებულება, რომელიც გამოხატავდა ევროკავშირის შემადგენლობაში ოფშორული ცენტრების არსებობის მზადყოფნას და სანაცვლოდ ამის შედეგად წარმოშობილი ზარალის მოთმენას, ვიდრე მათი დახურვის შედეგად ევროკავშირიდან კაპიტალის შესაძლო გადინებით მოსალოდნელ დანაკარგებს. ბუნებრივია, ანალოგიური მოსაზრება გაითვალისწინება სხვა სახელმწიფოების მიერაც კონკრეტული საზღვარგარეთული ოფშორული ცენტრების მიმართაც და საკუთარი ოფშორული ცენტრების შექმნის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების შემთხვევაში [6, 238].

ევროპულმა სახელმწიფოებმა გარკვეულ უპირატესობას მიაღწიეს თავიანთი მოქალაქეების მიერ ოფშორული კომპანიების გამოყენების მოწესრიგების სფეროშიც. მაგ.: გერმანიაში მიუღებლად მიიჩნიეს ოფშორულ ცენტრებში საბაზო კომპანიების შექმნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში მიზნად დასახულია არა ეკონომიკური შედეგები (მაქსიმალური მოგების მიღება), არამედ საგადასახადო გადასახდელების თანხის შემცირება. თუ ასეთ ქმედებას მომავალშიც ექნება ადგილი, ისინი შეფასდება როგორც „სამართლებრივი შესაძლებლობების ბოროტად გამოყენება“, ხოლო საგადასახადო სამსახური ეკონომიკური საქმიანობის მოცულობის შესაბამისად, საგადასახადო სამართლის მიხედვით, გადასახადებს დაარიცხავს. ამასთან, ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ გერმანულ კანონმდებლობაში საგადასახადო გადასახადების მინიმიზაცია ეკონომიკური მიზნებისათვის საერთოდ არ განიხილება.

საფრანგეთში გადასახადების გაანგარიშების სისწორისა და გადახდის შემოწმების დროს

შემმოწმებელს უფლება აქვს არ მიიღოს მხედველობაში ისეთი იურიდიული წარმონაქმნები და ცალკეული კომერციული ოპერაციები, რომლებიც სამოქალაქო სამართლის თვალსაზრისით სრულიად კანონზომიერია, მაგრამ ეკონომიკური ინტერესი არ გააჩნია [7, 3].

თითქმის ყველა დასავლეთევროპული ქვეყნის საგადასახადო ორგანოები სავალდებულო წესით დეტალურად სწავლობენ მათი რეზიდენტების საქმიან გარიგებებს იმ კომპანიებთან, რომლებიც ოფშორულ ცენტრებშია განლაგებული [8, 112].

ოფშორები და საერთაშორისო ორგანიზაციები

ანტიოფშორული პოლიტიკა საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ხორციელდება. ასეთი ორგანიზაციებია: ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (ეთგო[2]), ევროკავშირი, ფინანსური სტაბილურობის ფორუმი, დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციასთან („გათეთ-რებასთან“) ბრძოლის საერთაშორისო ორგანიზაცია (FATF) და გაერო.

საგადასახადო განაკვეთების ჰარმონიზაციის მოტივით, საერთაშორისო ორგანიზაციები აშკარად (შემოსავლების დაბეგვრის მინიმალური განაკვეთების რეგულირების გზით) და ფარულად (ინფორმაციის გაცვლის ინიცირების გზით) ოფშორული ცენტრების საქმიანობის სრულ გაკონტროლებას ცდილობენ.

ამ საკითხზე პირველი სერიოზული მცდელობა XX საუკუნის დასასრულს გატარდა, თუმცა 2001 წლის 11 სექტემბრის ცნობილი მოვლენების შემდეგ, ანტიოფშორული პოლიტიკა კიდევ უფრო გააქტიურდა.

დღეისათვის საერთაშორისო ორგანიზაციების ანტიოფშორული პოლიტიკისათვის პრიორიტეტულია ორი მიმართულება:

1. არაკეთილსინდისიერი საგადასახადო კონკურენციისათვის სათანადო პირობების მოხსნა;
2. დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციისა („გათეთრების“) და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ საერთაშორისო ძალისხმევის გაერთიანება.

თითოეული მიმართულება სპეციფიკურ მიდგომასა და შესწავლას მოითხოვს, რადგან ისინი სხვადასხვა საშუალებებითა და ორგანოების მეშვეობით ტარდება და განსხვავებული მიზნებიც აქვს. კერძოდ, ეთგო და ევროკავშირი ყურადღებას ამახვილებენ პირველ მიმართულებაზე, ფინანსური სტაბილურობის ფორუმი და დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციასთან („გათეთრებასთან“) ბრძოლის საერთაშორისო ორგანიზაცია – მეორეზე, ხოლო გაერო – ორივე მიმართულებაზე.

ა) ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (ეთგო)

ეთგო-ს ამოცანაა საგარეო-ეკონომიკურ პრობლემებთან დაკავშირებული ძირითადი წესების შემუშავება, ასევე ქვეყანა-მონაწილეების სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაცია.

ეთგო თვლის, რომ თუ იმ ქვეყნების მიმართ, რომლებიც შეღავათიან საგადასახადო რეჟიმებს იყენებენ, არ იქნება გადამწყვეტი ზომები მიღებული, მრავალი ქვეყნის მთავრობა „საგადასახადო ვაჭრობის“ პროცესში ჩაერთვება, რაც ფინანსური რესურსების დიდი მოცულობით უკონტროლო გადაადგილებას და შედეგად, მსოფლიო ფინანსური ნაკადების დეფორმაციას გამოიწვევს.

ეთგო-ს აზრით, ოფშორული იურისდიქციების წინააღმდეგ აუცილებელია საერთაშორისო თანამშრომლობა, რადგან საგადასახადო დაბეგვრის მოწესრიგება არა ცალკეული მთავრობებისა და იურისდიქციების ფუნქცია, არამედ საერთო გლობალური პრობლემაა.

მიუხედავად იმისა, რომ ეთგო-ს მსოფლიო ქვეყნების მიმართ რეალური სანქციების დაწესების უფლებამოსილება არა აქვს, ამ საერთაშორისო ორგანიზაციამ მაინც შეძლო მთელი რიგი ღონისძიებების, კერძოდ, ჯარიმების, აკრძალვებისა და სხვათა შემუშავება.

გარდა ამისა, ოფშორული იურისდიქციების საწინააღმდეგოდ წარმართული ფინანსურ-ეკონომიკური ღონისძიებები არა მარტო ოფშორულ ცენტრებზე, არამედ, მნიშვნელოვანი მასშტაბით, მსოფლიო ვაჭრობისა და ბიზნესის განვითარებაზეც აისახება, რადგან მრავალი საერთაშორისო სავაჭრო ოპერაცია ფინანსურად ოფშორული ცენტრების მიერ სრულდება.

ამასთან, ეთგო-ს ანტიოფშორული პოლიტიკა (იგულისხმება შეზღუდვები, აკრძალვები, ჯარიმები) ეწინააღმდეგება მისივე კონცეფციას – „თავისუფალი ვაჭრობისა და ინვესტიციების შესახებ“.

ოფშორული ცენტრებისადმი საერთაშორისო ორგანიზაციების პოზიცია არღვევს რიგი ქვეყნების უფლებას დამოუკიდებლად განსაზღვროს თავისი საგადასახადო პოლიტიკა. განვითარებული ქვეყნების მიზანია აიძულოს ოფშორული

---

2 ამ ორგანიზაციის წევრია 30 განვითარებული სახელმწიფო, კერძოდ: ავსტრალია, ავსტრია, ახალი ზელანდია, აშშ, ბელგია, გერმანია, დანია, დიდი ბრიტანეთი, ესპანეთი, თურქეთი, იაპონია, ირლანდია, ისლანდია, იტალია, კანადა, კორეა, ლუქსემბურგი, მექსიკა, ნიდერლანდი, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვაკია, უნგრეთი, ფინეთი, ჩეხეთი, შვედეთი და შვეიცარია.

ცენტრები გაზარდონ საგადასახადო განაკვეთების დონე და უარი თქვან კონფიდენციალურობის რეჟიმზე. ამით ეთგო საგადასახადო დაბეგვრის ორსაუკუნოვანი პრაქტიკის დარღვევას ცდილობს.

ეთგო-ს სურვილია აღმოფხვრას ან შეარბილოს (შეასუსტოს) ის პრინციპები, რომლებიც ოფშორული ინდუსტრიის ფუნქციონირებას განაპირობებს. ასეთი პრინციპებია: 1) კომპანიების აქციონერებისა და დირექტორების დაფარულობა; 2) საგადასახადო დანაშაულობებისა და ფულის „გათეთრების“ საკითხებზე ინფორმაციათა გაცვლაზე თავის შეკავება.

ეთგო-მ შეიმუშავა რამდენიმე რეკომენდაცია, რომლებიც მიმართულია არაკეთილსინდისიერი საგადასახადო კონკურენციის საწინააღმდეგოდ. იმ საგადასახადო ჰავანებს, რომლებიც არაკეთილსინდისიერი საგადასახადო კონკურენციის პოლიტიკას ახორციელებენ, ეს ორგანიზაცია აკუთვნებს იმ ქვეყნებსა და იურისდიქციებს:

1. სადაც მოგების გადასახადის განაკვეთი ნულია ან სიმბოლური;
2. სადაც ზოგიერთი სახის შემოსავალზე შეღავათიანი გადასახადია დაწესებული;
3. რომლებიც არარეზიდენტებს საშუალებას აძლევს მათივე რეზიდენტულ ქვეყნებში თავი აარიდონ გადასახადებს.

ამ მიზნით, ეთგო რამდენიმე კრიტერიუმს გამოყოფს, რომელთა შორის მთავარია ყოველგვარი ინფორმაციის გაცვლის აუცილებლობა, საფინანსო სექტორის გამჭვირვალობა და სხვ.

არაკეთილსინდისიერი საგადასახადო კონკურენციის თაობაზე ოფშორული იურისდიქციების მიმართ წაყენებული პრეტენზიების არსი იმაშია, რომ მათ მიერ დადგენილი ნულოვანი ან სიმბოლური საგადასახადო ტარიფებით ისინი ე.წ. "საგადასახადო დემპინგს" ეწევიან და სხვა სახელმწიფოთა ფინანსური რესურსების "გადაქაჩვას" ახდენენ. ამით კი ამ სახელმწიფოთა საგადასახადო ბაზას "ანგრევენ" და ხელს უწყობენ გადასახადებისაგან თავის არიდებას.

მათ ოფშორული კომპანიები მაღალი საგადასახადო დაბეგვრის სახელმწიფოს "კმაყოფაზე მყოფებად" მიაჩნიათ, რადგან ეროვნული სახელმწიფოს სოციალური სიკეთეებით სარგებლობენ და სანაცვლოდ თავიანთი საგადასახადო წვლილი არ შეაქვთ, ხოლო თვით ოფშორულ ცენტრებს მსოფლიო ეკონომიკის თავისებურ "სარჩენად" თვლიან, რადგან სხვა ქვეყნებში შექმნილ სიმდიდრეს თავიანთი კეთილდღეობისათვის იყენებენ.

ოფშორული იურისდიქციების თვალთახედვიდან გამომდინარე, მოცემული სიტუაცია განსხვავებულად მოჩანს. ყოველ ქვეყანას თავისი უნიკალური პირობები აქვს: ერთნი მდიდარია ბუნებრივი რესურსებით, მეორენი – სამუშაო ძალითა, სხვები – მეცნიერული პოტენციალით, ნაყოფიერი ნიადაგით და ა.შ.

ოფშორული იურისდიქციების უმრავლესობისათვის უცხოელი ინვესტორების მიზიდვა თითქმის ერთადერთი საარსებო „ეროვნული რესურსია“ და ამისათვის ისინი ძალას არ იშურებენ – ინვესტორებისათვის აწესებენ მიმზიდველ გარემოს, ამცირებენ საგადასახადო ტარიფებს, ავითარებენ ინფრასტრუქტურას, კომუნიკაციას, ამარტივებენ კომპანიების რეგისტრაციას და ა.შ. და ა.შ.

და, ბუნებრივია, უცხო ინვესტორებისათვის ასეთი კეთილსასურველი პირობების შექმნა არაკეთილსინდისიერ კონკურენციად არ მიაჩნიათ. ამიტომ ოფშორულ იურისდიქციებში ფინანსური ბიზნესის გადატანას ისევე კანონიერად თვლიან, როგორც წარმოების (კაპიტალის) გადატანას ერთი ქვეყნიდან მეორეში, რაც სრულიად მისაღებია თანამედროვე გლობალურ ეკონომიკურ სამყაროში.

მაშასადამე, **ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ორი სხვადასხვა ჯგუფის სახელმწიფოთა კანონიერი ინტერესების კონფლიქტს და არა "არაკეთილსინდისიერ" საგადასახადო კონკურენციას.**

მოცემული დავის თეორიული დასაბუთებისათვის შეიძლება მოვიშველიოთ „ლოკალური კონკურენციის“ კონცეფცია [9, 43], რომლის თანახმად სხვადასხვა ქვეყნები მობილური წარმოების ფაქტორების, უპირველესად, ინტელექტუალური კაპიტალის, ტექნოლოგიებისა და ფინანსების მიზიდვაში ერთმანეთის კონკურენტები არიან. დასახული მიზნის მისაღწევად, ისინი, ძირითადად, საგადასახადო პოლიტიკასა და განვითარებულ ინფრასტრუქტურას იყენებენ.

მაშასადამე, ლოკალური კონკურენციის კონცეფციის თანახმად, იმ მცირე სახელმწიფოებისათვის, რომლებსაც არა აქვთ მდიდარი ბუნებრივი რესურსები, განვითარებული საწარმოო და კომუნიკაციური ინფრასტრუქტურა, საკმარისი ადამიანისეული რესურსები და წარმოების სხვა აუცილებელი ფაქტორები, ოფშორული იურისდიქციების არსებობა სრულიად კანონზომიერია და დასაბუთებული.

ამიტომ, ჩვენი აზრით, განვითარებული ქვეყნების მხრიდან მათი დადანაშაულება „საგადასახადო დემპინგის“ გატარებაში, მთლად დასაბუთებულად არ მიგვაჩნია, რადგან მაღალი საგადასახადო ტვირთის პირობებშიც კი, კაპიტალი (რა თქმა უნდა, თუ მისი წარმოშობა კანონიერია) ეროვნული ქვეყნიდან არ „გაიქცევა“, თუ მას თავის ქვეყანაში ექნება ადეკვატური ინფრასტრუქტურა, ეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილურობა და აუცილებელი შრომითი რესურსები.

ეთგო-ს ექსპერტები მტრულად არიან განწყობილი ე. წ. საბანკო საიდუმლოების მიმართ, რაც სამთავრობო დაწესებულებებს საბანკო ოპერაციების ხელმისაწვდომობას უზღუდავს. აღნიშნული კი ზოგიერთ გადამხდელს საშუალებას აძლევს თავი აარიდოს გადახდებს და არაკანონიერი ფინანსური ოპერაციები განახორციელოს.

ეს პრობლემა განსაკუთრებით მწვავეა გლობალური ეკონომიკის პირობებში, როცა გადასახადის კორპორატიული თუ ინდივიდუალური გადამხდელები საერთაშორისო ბიზნესს "საზღვრების გარეშე" ახორციელებენ. მაგრამ, მსოფლიოში ერთ-ერთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის ასეთმა მკაცრმა პოზიციამ როგორც ზოგიერთი განვითარებული (მაგ., აშშ, შვეიცარია, ლუქსემბურგი), ისე განვითარებადი ქვეყნების მხრიდან სრული მხარდაჭერა ჯერ კიდევ მაინც ვერ ჰპოვა.

მოწინააღმდეგეთა აზრით, ეთგო ოფშორული ცენტრების წინააღმდეგოდ მიმართულ ღონისძიებებს სამართლიანი საერთაშორისო სტანდარტების დადგენის მცდელობას უწოდებს, მისი ასეთი ქმედება შეიძლება შეფასდეს, როგორც სუვერენული სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩარევა, რადგან საგადასახადო პოლიტიკის ფორმირება და საგადასახადო, კორპორატიული და საბანკო კანონმდებლობის მიღება, სახელმწიფოს განსაკუთრებულ პრეროგატივას მიეკუთვნება.

ამიტომ, 2001 წელს შეიქმნა სა-ერთაშორისო ორგანიზაცია „გადასახადებისა და ინვესტიციების შესახებ", რომელიც 17 მცირე და განვითარებად სახელმწიფოს (ტერიტორიას) აერთიანებს.[3] ამ ორგანიზაციის მიზანია ეთგო-ს ინიციატივების საწინააღმდეგო ქმედება.

ამასთან, აქცენტი გაკეთდა იმაზე, რომ ეთგო „ორმაგი სტანდარტებით" მოქმედებს, კერძოდ, სხვებისაგან ითხოვს იმას, რასაც ამ ორგანიზაციაში შემავალი სახელმწიფოები საკუთრივ არ ასრულებენ. მაგ., სრულიად სამართლიანად და ღიად მიანიშნებენ, რომ პორტუგალიას თავისი ოფშორული იურისდიქცია აქვს კუნძულ მადეირაზე და თუ მის მიმართაც არ იქნება ანალოგიური მკაცრი ზომები გატარებული, უცხოური კაპიტალი აუცილებლად კუნძულ მადეირაზე გადაინაცვლებს, რაც მცირე სახელმწიფოების ხარჯზე „ღარიბ" „ელიტურ კლუბს" კიდევ უფრო გაამდიდრებს. გარდა ამისა, ზოგიერთმა ოფ-შორულმა იურისდიქციამ ეთგო-თან თანამშრომლობის სურვილი საჯაროდ გამოთქვა, რითაც განვითარებულ ქვეყნებს ოფიციალურად მიანიშნა, რომ არა მარტო ოფშორული იურისდიქციები, არამედ ეთგო-ს ყველა წევრი ქვეყანა ვალდებული უნდა იყოს დაიცვას ოფშორული იურისდიქციების მიმართ შემუშავებული სტანდარტები.

ასეთ პირობებში, ეთგო-მ მეტად მოქნილი მიდგომა გამოიჩინა. მან საგადასახადო თავშესაფრის განსაზღვრისათვის საწყისი პირობები რამდენადმე შეარბილა, ნულოვანი ან მცირე საგადასახადო ტარიფის არსებობა დასაშვებად მიიჩნია და ძირითადი მოთხოვნა ოფშორულ იურისდიქციაში საქმიანობის გამჭვირვალობაზე და ინფორმაციის გაცვლაზე გადაიტანა.

ბ) დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციასთან („გათეთრებასთან") ბრძოლის საერთაშორისო ორგანიზაცია (FATF)

გარდა არაკეთილსინდისიერი საგადასახადო კონკურენციისა, ოფშორული ცენტრების წინაშე ძალზე აქტიურად დგას მეორე და არანაკლებად მძიმე ბრალდება – არაკანონიერი შემოსავლების ლეგალიზაცია და დანაშაულებრივი, უპირველესად, ტერორისტული საქმიანობის დაფინანსება.

1989 წელს „შავი" ფულის „გათეთრების" აღსაკვეთად, „დიდი შვიდეულის" ქვეყნების ინიციატივით, ეთგო-ს ჩარჩოებში, ქ. პარიზში, მსოფლიოს 26 ქვეყანამ (აქედან, 18 ევროპული სახელმწიფოა) დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციასთან („გათეთრებასთან") ბრძოლის საერთაშორისო ორგანიზაცია (FATF) დააფუძნა. FATF-ი არის სამთავრობათაშორისი დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომლის მიზანია მსოფლიოს ამ გლობალური პრობლემის („შავი" ფულის ლეგალიზაციის) დასაძლევად რეკომენდაციების შემუშავება.

დღეისათვის ამ ორგანიზაციის წევრია 31 სახელმწიფო, ევროკომისია და რამდენიმე რეგიონული ჯგუფი, მათ შორის, აზია-წყნარი ოკეანის, კარიბის ზღვის, სამხრეთ-აღმოსავლეთ აფრიკის, სპარსეთის ყურის ქვეყნების თანამშრომლობის საბჭო, სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ფულის „გათეთრების" საწინააღმდეგო ჯგუფები და ევროსაბჭოს სპეციალური კომიტეტი.

შექმნის დღიდან FATF-ი ,,შავი'' ფულის ,,გათეთრების'' ბრძოლის საქმეში მსოფლიო ლიდერია, რომლის სამუშაო სფეროა ფინანსური ოპერაციების ფართო წრე. ორგანიზაციის წევრთა შეხ-

3 ორგანიზაციის წევრია: ევროპიდან: კუნძული მენი; კარიბის აუზის რეგიონიდან: ანგილია, ანტიგუა და ბარბუდა, ბაჰამის კუნძულები, ბარბადოსი, ბელიზი, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები, კაიმანის კუნძულები, სენტ-კიტსი და ნევისი, სენტ-ლუსია, სენტ-ვისენტი და გრენადინი, ტერქსისა და კაიკოსის კუნძულები; ლათინური ამერიკიდან: პანამა; წყნარი ოკეანის რეგიონიდან: კუკის კუნძულები, სამოა, ვანუატუ; აზიიდან: მალაიზია.

ვედრები ყოველწლიურად ტარდება და „შავი“ ფულის „გათეთრების“ აღსაკვეთად კონკრეტული რეკომენდაციებიც მუშავდება.

2001 წლიდან FATF-მა ყურადღება განსაკუთრებით გაამლიერა საერთაშორისო ტერორიზმის დაფინანსების საკითხზე. ამ მიზნით მან არაკანონიერი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ შეიმუშავა ცნობილი „ორმოცი რეკომენდაცია“, რომლებმაც შემდეგში ამ სფეროში საერთაშორისო სტანდარტების სახე მიიღო.

FATF-ის რეკომენდაციები სამ ჯგუფშია გაერთიანებული:

1. **რეკომენდაციები ეროვნული სამართლის ფორმირების შესახებ**. ეფუძნება, რა გაეროს კონვენციებს "ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის შესახებ" (1988, ვენა, ავსტრია), ასევე "საერთაშორისო ორგანიზებული დამნაშავეობის საწინააღმდეგო ქმედებას" (2000, პალერმო, იტალია), რეკომენდებულია ფულის „გათეთრება“ მიიჩნიონ სისხლის სამართლებრივ დანაშაულად, ხოლო კანონმდებლობაში გაითვალისწინონ არაკანონიერი გზით მიღებული საკუთრების კონფისკაცია და სხვ.;
2. **რეკომენდაციები საფინანსო სისტემის ფორმირების შესახებ.** რეკომენდებულია საფინანსო ორგანოების მიმართ გარკვეული მოთხოვნების წაყენება მათი კლიენტების იდენტიფიკაციის თაობაზე (ბანკებმა უნდა დაიცვან პრინციპი – "იცოდე შენი კლიენტი", ანუ "იცოდე შენი ჭეშმარიტი ბენეფიციარის ანგარიში"). ბანკებსა და სხვა საფინანსო დაწესებულებებს მიეთითათ გაამკაცრონ მოთხოვნები ტრანსაქციების ჩანაწერების შენახვასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, ბანკები ვალდებული არიან ხელისუფლების ორგანოებს დაუყოვნებლივ მიაწოდონ ინფორმაცია საეჭვო, განსაკუთრებით, მსხვილი ფინანსური ოპერაციების შესახებ და სხვ.;
3. **რეკომენდაციები საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ.** ეს რეკომენდაციები მოიცავს ინფორმაციების გაცვლას, ფულის „გათეთრებასთან“ დაკავშირებულ საქმეთა ერთობლივ გამოძიებას, ასევე „გათეთრებული“ კაპიტალის კონფისკაციას და დამნაშავე პირების ეროვნულ სახელმწიფოზე გადაცემას.

მოცემული რეკომენდაციები მრავალმა საერთაშორისო ორგანიზაციამ სამოქმედოდ მიიღო. FATF-ის მტკიცებით, რეკომენდაციები მარტივია, არ იწვევს კანონიერი გარიგების მონაწილეთა თავისუფლების მუქარას და არ აფერხებს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. ამიტომ მის შესრულებას ყურადღება უნდა მიაქციონ როგორც ოფშორულმა, ისე ონშორულმა ქვეყნებმა [10].

როგორც ვხედავთ, ამ რეკომენდაციებში გასატარებელ ღონისძიებათა ძირითადი პრინციპებია მოცემული. განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი საკითხი – ორმხრივი კონტროლის მეთოდით ამ რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი (ინფორმაციის შეგროვება, ანალიზი და მოკვლევა).

თუმცა, ფინანსური მონიტორინგის სისტემის ორგანიზაციისათვის საჭიროა საკანონმდებლო ნორმატიული ბაზის სრულყოფა და სათანადო ორგანიზაციულ-ტექნიკური სამუშაოების ჩატარება.

ფინანსური მონიტორინგის მიზნით, FATF-ის წევრი-ქვეყნები ყოველწლიურ თვითშეფასებას ახორციელებენ, ხოლო მეორე მხრივ, ყველა ქვეყანა ადგილზე მოწმდება.

რევიზიას ექვემდებარება:

1. ეროვნული კანონმდებლობით ტერორისტული ქმედებების, ტერორისტული ორგანიზაციებისა და თვით ტერორიზმის დაფინანსების სისხლის სამართლებრივი დევნა;
2. საფინანსო ორგანიზაციების მიერ საეჭვო საფინანსო ოპერაციათა შერჩევისას ინფორმაციის კომპეტენტურ ორგანოებზე გადაცემა;
3. FATF-ის რეკომენდაციების გასატარებლად, საკანონმდებლო წესით, საბანკო ინსტიტუტებში ფულადი ოპერაციების კონტროლი და სხვ.

FATF-მა ის არაკონტაქტური ქვეყნებიც (ე.წ. "შავი სია") განსაზღვრა, რომლებიც მასთან არ თანამშრომლობენ და „შავი“ ფულის „გათეთრების“ პოტენციურ ცენტრებად რჩებიან. ამ ღონისძიებამ რიგ ქვეყნებში შეიძლება ფინანსური საქმიანობა მკაცრ ჩარჩოებში მოაქციოს (ბლოკირება), უცხოური ინვესტიციები შეზღუდოს და საერთაშორისო ეკონომიკური საქმიანობისათვის სხვა არასასურველი ბარიერები შექმნას.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ „შავი სიის“ ქვეყნების აბსოლუტური უმრავლესობა ოფშორული იურისდიქცია იყო.

ჩვენი აზრით, ყურადღებას მოითხოვს ოფშორული კომპანიებისა და კაპიტალის „გათეთრებას“ შორის არსებული ურთიერთობის საკითხი. არც FATF-ის რეკომენდაციებში და არც მის კრიტერიუმებში, რომლებითაც „არათანამშრომლებადი“ ქვეყნები განისაზღვრა, ერთი სიტყვაც არაა თქმული საგადასახადო დაბეგვრის რეჟიმის შესახებ. გადასახადების გადახდისაგან გათავისუფლება არც კომპანიას და არც ფიზიკურ პირს სისხლის სამართლებრივ დამნაშავე სუბიექტად არ აქცევს. მოცემულ შემთხვევაში გაცილებით მნიშვნელოვანია საიდუმლოების დაცვის ის რეჟიმი, რომელსაც ესა თუ ის იურისდიქცია სთავაზობს საზოგადოებას. რეალურად კი ინფორმაციის საიდუმლოებას

იცავენ არა მარტო ოფშორები, არამედ სხვებიც (მაგალითად, შვეიცარია).

ამასთან ერთად, აუცილებელია აღინიშნოს, რომ FATF-ის რეკომენდაციების განუხრელი შესრულებაც კი არ გამორიცხავს კაპიტალის „გათეთრების“ შესაძლებლობას, თუმცა, სახელმწიფოებისათვის რისკის ხარისხს ამცირებს და დამნაშავის მიერ მის შესრულებას მნიშვნელოვნად ართულებს. სწორედ ამიტომ, აზრს მოკლებული არ არის ის მოსაზრება, რომ კრიმინალური კაპიტალის დიდი ნაწილი არა ოფშორული იურისდიქციების, არამედ ლონდონის, ნიუ-იორკისა და მსოფლიოს სხვა მსხვილი ფინანსური ცენტრების დახმარებით „თეთრდება“.

მეორე მხრივ, ეჭვს გარეშეა, რომ ოფშორულ იურისდიქციებში შექმნილი პირობები დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობას აიოლებს. გარდა ამისა, ოფშორული იურისდიქციები გამოიყენება ფიქტიური ფინანსური დოკუმენტების შესადგენად, არაკანონიერი მეწარმეობისათვის კანონიერი სახის მისაცემად და სხვ. [11].

აღნიშნული კარგად ესმით იმ ქვეყნებს, რომლებიც „შავ სიაში“ მოხვდნენ. თუმცა, „შავი“ ფულის „გათეთრების“ პრობლემა მრავალ ქვეყანაში არსებობს. საყურადღებოა ის, რომ ზემოაღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით, ქვეყნების უმრავლესობამ რიგი ღონისძიებები უკვე განახორციელა (ბუნებრივია, არავის სურს „შავ“ სიაში მოხვედრა ან დარჩენა). კერძოდ: გამოკვეთა „შავი“ ფულის „გათეთრების“ გამოაშკარავების მეთოდები (მაგ., ზოგიერთმა ქვეყანამ, სახელდობრ, გერმანიამ, იტალიამ, ლიტვამ, ლატვიამ, დანიამ და სხვებმა, სავალდებულო კონტროლს დაქვემდებარებულ საბანკო ოპერაციებზე ლიმიტები დააწესა); შეიმუშავა საკანონმდებლო ბაზა და მექანიზმები; შეუერთდა გაეროს 1988 წლის კონვენციას „ნარკოტიკული და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვის შესახებ“ და ევროსაბჭოს კონვენციას ფულის „გათეთრების“, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ“ (1990, სტრასბურგი, საფრანგეთი) და მოახდინა მათი რატიფიცირება; შექმნა სპეციალური მაკონტროლებელი ორგანოები და სხვ.

საქართველომ ნაწილობრივ შეასრულა ევროსაბჭოსგან აღებული ვალდებულება, კერძოდ, ქვეყნის პარლამენტის 2004 წლის 17 თებერვლის დადგენილებით შეუერთდა ევროსაბჭოს 1990 წლის სტრასბურგის კონვენციას „ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ;” საქართველოს პრეზიდენტის 2002 წლის 7 აპრილის №395 განკარგულებით შეიქმნა უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომისია და სხვ. [12, 634-635].

თუმცა, ამ მხრივ, მომავალში გასაკეთებელი კიდევ ბევრია.

საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ საერთაშორისო ტერორიზმი შეიძლება დაფინანსდეს როგორც კრიმინალური წარმოშობის, ისე კანონიერი გზით მიღებული შემოსავლებით (სახელმწიფო და კერძო შემოწირულობები, სამეწარმეო საქმიანობა. ზოგიერთები აღნიშნავენ ისეთ შემოსავლებსაც, რომელიც ახლო აღმოსავლეთის ნავთობმომპოვებელი ქვეყნებიდან გროვდება).

სწორედ ამიტომ FATF-მა გააფართოვა თავისი საქმიანობისა და მონიტორინგის სფერო. მან შეიმუშავა საერთაშორისო ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგო რეკომენდაციებიც, რაც „შავი“ ფულის „გათეთრების“ რეკომენდაციების მსგავსია და ძირითადად გულისხმობს:

1. გაეროს შესაბამისი კონვენციების რატიფიკაციას;
2. ტერორიზმის დაფინანსების სისხლის სამართლებრივ დანაშაულში ჩართვას;
3. ტერორისტების საბანკო ანგარიშების გაყინვას და საკუთრების კონფისკაციას (ჩამორთმევას);
4. საეჭვო ოპერაციების სამართალდამცავ ორგანოებზე შეტყობინებას;
5. საერთაშორისო თანამშრომლობას;
6. კონტროლს არასაბანკო ფულადი გადარიცხვების სისტემაზე;
7. კონტროლს საბანკო ფულადი გადარიცხვების სისტემაზე;
8. კონტროლს არაკომერციული ორგანიზაციების საქმიანობაზე.

საჭიროა აღინიშნოს, FATF-ის რეკომენდაციები წარმატებით ერწყმის ეთგო-ს ღონისძიებებს. სახელდობრ, თუ ეთგო აქცენტს აკეთებს ოფშორების გამოყენებით საგადასახადო ოპტიმიზაციაზე, FATF აღნიშნულ მოთხოვნებს კიდევ უმატებს ფინანსური ოპერაციების გამჭვირვალობას. მთლიანობაში ამ ორი ორგანიზაციის მიერ შესაძლებელი ხდება ოფშორული ბიზნესის წარმოშობის მიზეზების ახსნა – საქმიანობის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფა და გადასახადების გადახდის დაზოგვით ხარჯების მინიმიზაცია.

გ) ფინანსური სტაბილურობის ფორუმი

ოფშორული ბიზნესისადმი ყურადღებას იჩენს „ფინანსური სტაბილურობის ფორუმიც“, რომელიც აზიური კრიზისის შემდეგ (1998 წ.) 1999 წელს შეიქმნა „დიდი შვიდეული“ ქვეყნების ფინანსთა მინისტრებისა და ცენტრალური ბანკების ხელმძღვანელების მიერ.

ფინანსური სტაბილურობის ფორუმის ამოცანებია მსოფლიო მასშტაბით ფინანსური ნაკადების

მოძრაობის შესწავლა, საერთაშორისო ფინანსური სტაბილურობის განმტკიცება, ფინანსური საშუალებების უკონტროლო გადანაწილების წინააღმდეგ სათანადო მეთოდების შემუშავება და ოფშორული ცენტრების „შავი სიების“ გამოქვეყნება.

ფინანსური სტაბილურობის ფორუმმა ოფშორული ფინანსური ცენტრები (ქვეყნები, ტერიტორიები) სამ ჯგუფად დაყო:

1. ქვეყნები და ტერიტორიები, რომლებსაც აქვთ ფინანსური ზედამხედველობისათვის აუცილებელი საკანონმდებლო ბაზა, კარგი ინფრასტრუქტურა, სათანადო რესურსები და კომპანიების მართვის დიდი გამოცდილება. ასეთებია: ლუქსემბურგი, შვეიცარია, ირლანდია და ჰონკონგი, ასევე კუნძულები: გერნზი, ჯერნზი და მენი;
2. ქვეყნები და ტერიტორიები, რომლებსაც ინფრასტრუქტურა და საკანონმდებლო უზრუნველყოფა შედარებით მოსაწესრიგებელი აქვთ, თუმცა, ამა თუ იმ ხარისხით ჩამორჩებიან პირველი ჯგუფის ქვეყნებს. ასეთებია: ანდორა, ბახრეინი, ბარბადოსი, გიბრალტარი, მალტა და მონაკო;
3. ქვეყნები და ტერიტორიები, რომელთა ინფრასტრუქტურა და საკანონმდებლო ბაზა სერიოზულ სრულყოფას საჭიროებს. ასეთებია: არუბა, ბაჰამის კუნძულები, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები, კაიმანის კუნძულები, კუკის კუნძული, კვიპროსი, ლიხტენშტაინი, პანამა, სეიშელის კუნძულები, ვანუატუ და სხვ.

ქვეყნების ამგვარი დაყოფით ფინანსური სტაბილურობის ფორუმი ცდილობს აჩვენოს, რომ ოფშორული ცენტრები როგორც ასეთი, არაა „ბოროტება“. ისინი საშიშნი მაშინ ხდებიან, როცა ბიზნესის წარმართვის მიღებულ საერთაშორისო წესებს არღვევენ.

ოფშორული ცენტრების ანალიზისათვის ფინანსური სტაბილურობის ფორუმი შემდეგ კრიტერიუმების არსებობას გამოყოფს:

1. სამართლებრივი ინფრასტრუქტურა;
2. ფინანსური ზედამხედველობა და მისთვის აუცილებელი რესურსების არსებობა;
3. ინფორმაციის გაცვლის სფეროში სხვა ქვეყნებთან თანამშრომლობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ასეთი დასკვნის გაკეთება: ფინანსური სტაბილურობის ფორუმის გაძლიერებული ყურადღება უმთავრესად მესამე ჯგუფის ქვეყნებისადმია მიმართული.

დ) სხვა საერთაშორისო ორგანიზაციები

ანტიოფშორულ პოლიტიკას აქტიურად ეწევა ევროკავშირი. ევროკომისიის ჩარჩოებში შექმნილია განსაკუთრებული სტატუსისა და დამოუკიდებლობის მქონე „თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული ორგანიზაცია“. იგი ფლობს ფართო უფლებებს სამოქალაქო-სამართლებრივი დარღვევების გამოკვლევის სფეროში. ორგანიზაცია ყურადღებას ორ ასპექტზე ამახვილებს: ინფორმაციის გაცვლა და გადასახადე-ბის გადახდა.

გასული საუკუნის 80-ანი წლებიდან გაერო სისტემატურად იკვლევს ორგანიზებული ხასიათის ფინანსურ დანაშაულებებს. ამ საკითხზე მიღებულია რიგი კონვენციები,[4] დეკლარაციები და რეზოლუციები. მრავალმა საერთაშორისო გაერთიანებამ, კერძოდ, ევროკავშირმა და ამერიკულ სახელმწიფოთა ორგანიზაციამ თავიანთი წევრი-ქვეყნებისათვის კაპიტალის „გათეთრების“ საწინააღმდეგო სტანდარტები შეიმუშავეს.

აღსანიშნავია ისიც, რომ 1975 წელს საბანკო კონტროლის გამკაცრების მიზნით შეიქმნა ბაზელის (შვეიცარია) კომიტეტი, რომელმაც ამ სფეროში საერთაშორისო რეგულირების რამდენიმე პრინციპი შეიმუშავა.[5]

საერთაშორისო სავალუტო ფონდში არსებობს სპეციალური სტრუქტურა, რომელიც ოფშორული ბიზნესის საკითხებითაა დაინტერესებული. 2000 წლიდან საერთაშორისო სავალუტო ფონდმა დაიწყო ოფშორული ფინანსური ცენტრების რეგულირების გაძლიერებისა და გამჭვირვა-ლობის პროგრამების რეალიზაცია.

საბაზრო ქცევის წესების ევროკავშირის კომიტეტის კომპეტენციაშია ევროკავშირის მმართველობით ორგანოებში იმ გადაწყვეტილებების (დადგენილებები, ინსტრუქციები) გამოვლენა, რომლებიც ევროპაში საგადასახადო ჰარმონიზაციის ტენდენციების საწინააღმდეგოდაა მიმართული.

მოცემულ საკითხში განსაკუთრებული ადგილი უკავია ინტერპოლს, რომელიც იკვლევს ფულის „გათეთრებასთან“ დაკავშირებულ სისხლის სამართლებრივ დანაშაულობებს [13].

---

4 გაეროს 1998 წლის ვენის კონვენცია „ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების არაკანონიერი ბრუნვის წინააღმდეგ“; 1999 წლის კონვერცია ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“; 2000 წლის კონვენცია ტრანსნაციონალური დანაშაულობების წინააღმდეგ“; 2003 წლის კონვერცია „კორუფციის წინააღმდეგ“ და სხვ.

5 ეს პრინციპებია: მაკონტროლებელ ორგანოებს შორის თანამშრომლობა და ინფორმაციის თავისუფალი გაცვლის აუცილებლობა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ; ბაზრების კონტროლისა და გამჭვირვალობის ერთიანობის მიღწევა შესაბამისი ანგარიშგებითა და ოპერაციების ღიაობით; კონტროლის პროცესის მუდმივი მხარდაჭერა და სრულყოფა და სხვ.

მთლიანობაში, საბაზრო ეკონომიკის განვითარებული სახელმწიფოები თავიანთი რეზიდენტებისა და მსოფლიო ოფშორული ცენტრების ურთიერთობის მიმართ ნეგატიურად არიან განწყობილი და ამ საკითხს როგორც სახელმწიფო ბიუჯეტში ფინანსების არ შეღწევისა და ქვეყნიდან კაპიტალის უკონტროლო გადინების ძირითად მიზეზად განიხილავენ. ამ პრაქტიკის ნეგატიური ეფექტის შემცირების მიზნით, ისინი შესაბამის კანონებს იღებენ, თავიანთი ქვეყნის საზღვრებიდან კაპიტალის გადინებაზე კონტროლს ამკაცრებენ და, გარკვეული ხარისხით, სხვადასხვა ოფშორული კომპანიების შესაძლებლობებსაც ზღუდავენ.

ჩვენი აზრით, ამ სფეროში განსა-კუთრებით გამკაცრებული ღონისძიებების გატარება ნაკლებად ეფექტური იქნება და იგი ზიანს მიაყენებს არა მარტო ოფშორული ცენტრებს, არამედ განვითარებულ ქვეყნებსა და მთლიანად საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემას.

ამასთან, საერთაშორისო ორგანიზაციების ერთ-ერთი ძირითად მოთხოვნად კვლავ რჩება ოფშორული ცენტრების მიერ კონფიდენციალურობის დონის რამდენადმე შემცირება. ამიტომ საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების დონეზე აუცილებელია ოფშორული ბიზნესის მონიტორინგის ჩატარება. გარდა ამისა ამ ორგანიზაციის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები უნდა იყოს ოფშორული ცენტრების პრობლემების გადაწყვეტაზე ორიენტირებული და არა მარტო განვითარებული ქვეყნების ინტერესების სასარგებლოდ რეპრესიული ღონისძიებების გატარება.

განვითარებული ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების აკრძალვებისა და მუქარების მიუხედავად, ალბათ, ოფშორული ბიზნესი უახლოეს მომავალში კიდევ უფრო განვითარდება. აღნიშნულს ადასტურებს ისეთი ფაქტორები, როგორიცაა რიგ ქვეყნებში საგადასახადო რეჟიმის გამკაცრება, ეკონომიკის გლობალიზაცია, ინფორმაციული ტექნოლოგიების პროგრესი და სხვ.

ამგვარად, ოფშორული ბიზნესის განვითარებამ გაამწვავა ის პრობლემები, რომლებიც გლობალიზაციამ მსოფლიო თანამეგობრობის წინაშე დააყენა.

ზემოთქმულის შეჯამებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ საერთაშორისო ოფშორული კანონმდებლობა ძირითადად ოთხი მიმართულებით განვითარდება (იხ. ცხრილი 1.).

ცხრილი 1. ოფშორული კანონმდებლობის განვითარების ძირითადი ტენდენციები

ტენდენციები	შედეგები
საბანკო საიდუმლოების შესუსტება	თითქმის ყველა ოფშორმა მიიღო FATF-ის რეკომენდაციების შესაბამისი კანონმდებლობა, რომელიც ღიაობას უზრუნველყოფს
კორპორატიული სტრუქტურების გამჭვირვალობის გაძლიერება	ინფორმაციები თანდათან უფრო გამჭვირვალე ხდება
ინფორმაციების გაცვლა	ოფშორებმა დაიწყეს ინფორმაციების გაცვლა, უპირველესად, აშშ-თან, ევროკავშირთან და ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის სხვა ქვეყნებთან
ოფშორების „დამღუპველი“ საქმიანობის წინააღმდეგობა	ის ოფშორები, რომლებიც თანამედროვე მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებენ, პრაქტიკულად დაკარგავენ „კონკურენტუნარიანობას“

ოფშორული ბიზნესის წინააღმდეგობები და განვითარების პერსპექტივები

ოფშორული ბიზნესის განვითარება ორი ურთიერთსაპირისპირო გლობალური ტენდენციის ჩარჩოში ყალიბდება. ერთი მხრივ, ოფშორული ბიზნესის აქტიურობის ზრდა, და მეორე, ამ ზრდის შესაჩერებლად განვითარებული ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მცდელობათა გაძლიერება.

ამ ტენდენციების ძირითადი ფაქტორებია:

- ოფშორული ცენტრების მეშვეობით კაპიტალის გადაადგილებასთან დაკავშირებული პროცესების ინტენსიფიკაცია;
- კაპიტალის თავმოყრის ადგილად ოფშორული ცენტრების აქტიურად გამოყენება;
- ბიზნესის წარმართვის ოპტიმიზაციაში ოფშორული ცენტრების როლის გაძლიერება;
- ოფშორულ ბიზნესთან დაკავშირებული ნეგატიური მოვლენები.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქონელი და მომსახურება, რომელიც უშუალოდ ოფშორულ ცენტრებში ან ოფშორული მექანიზმებისა და სტრუქტურების გამოყენებით იწარმოება, განვი-

თარებულ ქვეყნებში თავის ანალოგებთან შედარებით გაცილებით იაფია და, როგორც წესი, ხარისხობრივი მაჩვენებლებით თითქმის არ ჩამორჩება მას.

ოფშორული ბიზნესის მნიშვნელობა განვითარებადი ქვეყნებისათვის არაერთმნიშვნელოვანია.

ამ მიმართებით შეიძლება გამოიყოს შემდეგი ჯგუფის ქვეყნები:

ა) განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც არ არიან ოფშორული ცენტრები;

ბ) განვითარებადი ქვეყნები, რომლებიც არიან ოფშორული ცენტრები.

იმ განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობისათვის, რომლებიც არ არიან ოფშორული ცენტრები, ოფშორული კომპანია ფინანსური შუამავლებისა და ფინანსურ-საინვესტიციო აქტიურობის კატალიზატორის როლს ასრულებს. ამასთან, პოზიტიურ როლთან ერთად, ოფშორული კომპანიის საქმიანობას მათთვის ნეგატიური როლის შესრულებაც შეუძლია, კერძოდ, კაპიტალის უცხოეთში გატანა.

მაგრამ, იმ განვითარებული ქვეყნებისათვის, რომლებიც ოფშორული ცენტრებია, ოფშორული ბიზნესი მათი ეკონომიკური სისტემისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია.

ამ ქვეყნების ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები ოფშორული სექტორის საქმიანობას ეფუძნება, ანუ ეკონომიკური ზრდა ძირითადად ოფშორული კომპანიებისა და მასთან დაკავშირებული დარგების განვითარებით მიიღწევა. ამასთან, სხვა დარგების, მაგ., სოფლის მეურნეობის მნიშვნელობა არც ისე დიდია, ხოლო მრეწველობა, ხშირად, არ არსებობს. იმავდროულად, ინტენსიური ზრდა შეიმჩნევა საბანკო და სადაზღვევო სფეროებში, გემთმფლობელობაში, საზღვაო გადაზიდვებში, ტურიზმსა და სასტუმრო ბიზნესში.

ოფშორული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები ოფშორული ცენტრების ბიუჯეტში გაითვალისწინება. ამიტომ ოფშორული ცენტრების მთავრობა აქცენტს ოფშორული საქმიანობიდან მიღებულ სტაბილურ შემოსავლებზე აკეთებს.

გარდა ამისა, ოფშორული ცენტრის განვითარება ამ ქვეყნების ტექნიკური და ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის სრულყოფას იწვევს. სწორედ აღნიშნულის გამო, თანამედროვე ოფშორულ ცენტრებში ძალიან მაღალია მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით (იხ. ცხრილი 2), ასევე მობილური ტელეფონიზაციისა და კომპიუტერიზაციის დონე, ინტერნეტის მომხმარებელთა და პროვაიდერების რაოდენობა. როგორც წესი, ამ ქვეყნებს აქვთ თანამედროვე აეროპორტები და საზღვაო პორტები, მაღალტექნოლოგიური სატრანსპორტო და საფინანსო-საბანკო ინფრასტრუქტურა.

ცხრილი 2. მსოფლიოს 20 მოწინავე ქვეყანა ერთ სულზე გაანგარიშებით მშპ-ის მოცულობის მიხედვით
(2007, ათასი აშშ დოლარი)

რეიტინგი	**ოფშორული იურისდიქცია**	**მშპ 1 სულ მოსახლეზე**	**რეიტინგი**	**ოფშორული იურისდიქცია**	**მშპ 1 სულ მოსახლეზე**
1	ლუქსემბურგი	80,4	11	კუნძ. გერნზი	44,6
2	კატარი	75,9	12	ეკვატ. გვინეა	44,1
3	ბერმუდის კუნძულები	69,9	13	კაიმანის კუნძულები	43,8
4	კუნძ. ჯერნზი	57,0	14	ჰონკონგი	42,0
5	ნორვეგია	55,6	15	შვეიცარია	39,8
6	კუვეიტი	53,3	16	ისლანდია	39,4
7	არაბ. გაერთ. საამიროები	55,2	17	ავსტრია	39,0
8	სინგაპური	48,9	18	ანდორა	38,8
9	აშშ	46,0	19	ნიდერლანდი	38,6
10	ირლანდია	45,6	20	ვირჯინიის კუნძ-ბი(ბრიტ.)	38,5

წყარო: The World Fact Book. 2008.
(https://www.cia.gov/library/publicitions/the-world-factbook/rankorder/2004rank.html)

საყურადღებოა ისიც, რომ მრავალი ოფშორული ცენტრი გამოირჩევა ისეთი კომპლექსური მაჩვენებლის მაღალი დონით, როგორიცაა ადამიანისეული განვითარების ინდექსი (რომელიც მოიცავს ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობას, საზოგადოების ინტელექტუალურ პოტენციალს და მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის მოცულობის რეალურ სიდიდეს). ადმიანისეული განვითარების ინდექსით მსოფლიოს ლიდერების ჯგუფშია 15 ოფშორული იურისდიქცია. კერძოდ, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა ჰონკონგში შეადგენს 81,7 წელს, გიბრალტარში - 79,9 წელს, მალტაში – 79,2 წელს, ვირჯინიის კუნძულებზე (აშშ) – 79,1 წელს და ა.შ. [2, 149].

ამგვარად, ოფშორულმა ცენტრებმა თავიანთი ეკონომიკური განვითარების მიმართულებების ორიენტაცია შეცვალეს – გააძლიერეს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება – საქმიანი მომსახურების სექტორი დაჩქარებული ტემპებით განავითარეს. გარდა ამისა, ოფშორული ინდუსტრიის განვითარებამ ქვეყნებს შრომის საერთაშორისო დანაწილე-ბის ეფექტურად გამოყენების საშუალება მისცა, ეკონომიკის სხვა დარგების განვითარებას შეუწყო ხელი, მოსახლეობის მატერიალური კეთილდღეობის დონე აამაღლა.

თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ოფშორულ ცენტრებში ჯერ კიდეც დიდი ოდენობის საეჭვო წარმოშობის კაპიტალი მოძრაობს, რაზეც სამართლიანად ამახვილებენ ყურადღებას განვითარებული ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები და აგრძელებენ ოფშორული ბიზნესის რეგულირების გამკაცრების პოლიტიკას.

ეროვნული ინტერესების დაცვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა სახელმწიფოს საგადასახადო და სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირებულობა. მაგ., თითქმის ყველა ოფშორულ ცენტრში არსებობს სპეციალური მოთხოვნა ოფშორული კომპანიების სახელწოდების მიმართ. კერძოდ, ხელისუფლების სპეციალური ნებართვის გარეშე არ შეიძლება კომპანიის დასახელებაში ისეთი სიტყვების ჩართვა, როგორიცაა Bank, Royal, Insurance, University, College, Institute და ა.შ.

აღნიშნულით ოფშორული კომპანიის საქმიანობის ძირითადი სფერო განისაზღვრება და საგადასახადო და სამართალდამცავი ორგანოების ყურადღებაც უფრო მახვილდება.

თავიანთი ინტერესების დასაცავად განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნები ეკონომიკურ ღონისძიებებთან ერთად განმარტებით მუშაობასაც ეწევიან, რომ საქვეყნოდ ცნობილმა ადამიანებმა მაქსიმალურად თავი შეიკავონ ოფშორულ ბიზნესთან ურთიერთობაში.

გარდა ამისა, მრავალ განვითარებულ ქვეყანაში (განსაკუთრებით აშშ-ში) აქტიურად იყენებენ ისეთი პრევენციულ ღონისძიებებს, რომლებიც გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებენ [14, 73].

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოსა და ოფშორული ბიზნესის კავშირურთიერთობის შესახებ შეიძლება დავასკვნათ: დღეისათვის მსოფლიოში საკმაოდ დაგროვდა ოფშორული ბიზნესის რეგულირების როგორც დადებითი, ისე უარყოფითი გამოცდილება. თუმცა, ყოველი ქვეყნისათვის რეგულირების კონკრეტული ფორმები უნდა დამუშავდეს და განხორციელდეს ამ ქვეყნის ეკონომიკური სიტუაციისა და ისეთი სოციალურ-სამართლებრივი ასპექტების გათვალისწინებით, როგორიცაა ეროვნული მენტალიტეტის თავისებურებები, კრიმინალური სიტუაცია, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონე და სხვ.

ოფშორული ბიზნესის რეგულირების მსოფლიო პრაქტიკის ანალიზი საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ ის ძირითადი ტენდენციები, რომლებიც მომავალში გავლენას მოახდენენ ოფშორული ბიზნესის განვითარებაზე.

ჩვენი აზრით, აშშ და ევროკავშირის ქვეყნები საერთაშორისო ორგანიზაციების მეშვეობით კვლავაც შეეცდებიან აიძულონ არსებული ოფშორული ცენტრების მთავრობები კომპანიების რეგისტრაციასთან დაკავშირებით უფრო მკაცრი კანონები მიიღონ. კერძოდ, სავარაუდოა, რომ კომპანიებს სავალდებულო წესით მოეთხოვოთ ჰქონდეთ რეალური ადგილსამყოფელი, ოფისი, რეგისტრაციის ადგილზე ჰყავდეთ თანამშრომლები და სხვა, რაც ოფშორული სქემების გამოყენებას გარკვეულწილად გააძვირებს კიდეც.

ძირითადი ოფშორული ცენტრები იძულებული იქნებიან დაემორჩილონ განვითარებული ქვეყნების მოთხოვნებს და გაამკაცრონ რეგისტრაციის წესები და პროცედურები, შეამცირონ კონფიდენციალურობის დონე და მსოფლიო საზოგადოებისადმი უფრო გამჭვირვალენი გახდნენ. თუმცა, იმავდროულად სავარაუდოა, რომ ოფშორული ცენტრები ოფშორული ბიზნესის განვითარების ახალ ფორმებსაც აშკარად შეიმუშავებენ.

არსებობს მყარი ალბათობა იმისა, რომ შემცირდება სხვაობა ადგილობრივი და არარეზიდენტული ბიზნესის დაბეგვრას შორის, რაც უფრო დაბალ საგადასახადო ტარიფებს წარმოშობს. ნებისმიერ შემთხვევაში ეს უკვე აღარ იქნება დაბეგვრის ნულოვანი დონე.

არაკანონიერი გზით მიღებული შემოსავლების "გათეთრების" წინააღმდეგ ბრძოლამ შეიძლება

კომპანიების მფლობელებისა და მათი დირექტორების კონფიდენციალურობის გაუქმებაც გამოიწვიოს.

კონფიდენციალურობის პირობები უნდა შეიცვალოს საბანკო ოპერაციების დროსაც. კერძოდ, სხვისი ანგარიშის ჩვენება უნდა შეიზღუდოს სამოქალაქო პირებისათვის, ხოლო საგადასახადო და სამართალდამცავი ორგანოებისათვის კიდევ უფრო გამჭვირვალე გახდეს.

სავარაუდოა, რომ ჩამოთვლილი ღონისძიებები ოფშორული ბიზნესის სისტემაში სერიოზულ ცვლილებებს გამოიწვევს, რის გამოც შესაძლე-ბელია დამუშავდეს ოფშორული ბიზნესის გადასახადებისაგან თავის არიდებისა და სახელმწიფოების მხრიდან კონტროლის სრულიად ახალი მიდგომები (კონცეფციები).

ეჭვს არ იწვევს, რომ ახალი ოფშორული სქემები არსებულზე უფრო რთული იქნება.

განვითარებული ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის კვლევა გვიჩვენებს, რომ გადასახადების თავის არიდების მიზნით ოფშორული კომპანიების გამოყენების მანკიერი პრაქტიკა წარსულს უთუოდ ჩაბარდება.

ცხრილი 3. ოფშორული იურისდიქციების წარმატებისა და წარუმატებლობის ფაქტორები

წარმატების ფაქტორები	წარუმატებლობის ფაქტორები
პოლიტიკური და ეკონომიკური სტაბილურობა	პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისები
პოლიტიკური მოქნილობა, კომპრომისის უნარი	საგანგებოდ მკვეთრი პოზიცია, კონსერვატიზმი, თანამშრომლობაზე უარი
საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა	„შავ სიაში“ მოხვედრა
ეროვნული კანონმდებლობის რეფორმები ოფშორული სექტორის გამჭვირვალობის მიმართულებით	სრული ანონიმურობის ინსტრუმენტების (მფლობელობა, ანგარიში, დახურული რეგისტრაცია და სხვ.) შენარჩუნება
ოფშორული კომპანიების რეგისტრაციიდან მიღებული შემოსავლების გამოყენება ეროვნული ეკონომიკის სხვა დარგების განვითარებისათვის	ფინანსური მომსახურების გაწევის განსაკუთრებული სპეციალიზაცია

ამგვარად, დღევანდელი ვითარებიდან გამომდინარე, ოფშორული ბიზნესი სერიოზულ ცვლილებებს მოითხოვს. სტანდარტული ოფშორული სქემების ნაცვლად ბიზნესმა ისეთი ახალი სცენარები უნდა დაამუშაოს, რომელიც მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობასა და საგადასახადო რეალობებს დაეფუძნება.

ამჟამად მოქმედი ოფშორული იურისდიქციების პოლიტიკური და ეკონომიკური სტრატეგიების შეფასების საფუძველზე, მიზანშეწონილად მიგვაჩია ყურადღება გავამახვილოთ იმ ფაქტორებზე, რომლებიც მომავალში ოფშორული იურისდიქციებისათვის წარმატებული ან წარუმატებელი იქნება (იხ. ცხრილი 3).

თუ გავითვალისწინებთ ოფშორული ბიზნესის განვითარების საერთო ტენდენციებს, შეიძლება გაკეთდეს გარკვეული პროგნოზი ძირითადი ოფშორული იურისდიქციების განვითარების მიმართულებებისა და პერსპექტივების შესახებ. კერძოდ, საერთაშორისო ორგანიზაციების ძალისხმევა, ანუ ოფშორული იურისდიქციების მიმართ მსოფლიო თანამეგობრობის დამოკიდებულების მკვეთრი გამკაცრება თავის შედეგს უთუოდ გამოიღებს – ჩამოყალიბდება ქვეყნების (ტერიტორიების) ჯგუფი, სახელდობრ:

1. რომლებიც თანდათან გავლენ ოფშორული ბიზნესიდან:

ა) ის სახელმწიფოები და ტერიტორიები, რომლებიც ვერ შეძლებენ ახალ, რეგულირების უფრო მკაცრ და სამართლიან საერთაშორისო მოთხოვნებთან ადაპტაციას, რის გამოც თანდათანობით დაიწყებენ ოფშორული ბიზნესიდან გასვლას. სავარაუდოდ ამ ჯგუფში მოიაზრება: ნაურუ, ტერქსისა და კაიკოსის კუნძულები, ანგილია, დასავლეთ სამოა, კუკის კუნძულები, სენტ-კიტსი და ნევისი;

ბ) ის ქვეყნები და ტერიტორიები, რომელთა მთავრობები პოლიტიკური და სხვა მოტივების გამო, უარს იტყვიან ოფშორული ბიზნესის წარმოებაზე და თავიანთი ეკონომიკის რესტრუქტურიზაციას მოახდენენ. ეს ქვეყნები და ტერიტორიები იქნება: ლუქსემბურგი, გიბრალტარი, მალტა, ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები, კუნძულები: გერნზი, ჯერნზი, მენი და მადეირა;

გ) ის სახელმწიფოები და ტერიტორიები, რომლებიც ბუნებრივი კატაკლიზმების, პოლიტიკური კოლაფსისა და სხვათა გამო, დატოვებენ ოფშორულ ბიზნესს. ეს სახელმწიფოები და ტერიტორიები იქნება: მონტსერატი, ნიდერლანდის

ანტილიის კუნძულები, ვანუატუ, გრენადა, ნიუე, პალაუ.

2. რომლებიც გააგრძელებენ ეკონომიკის ოფშორულ სექტორში საქმიანობას:

ა) თუმცა საჭიროებენ საკანონმდებლო ბაზის ტრანსფორმაციას. ასეთებად მიგვაჩნია: კვიპროსი, პანამა და ბელიზი;

ბ) რადგან საერთაშორისო ორგანიზაციების მოთხოვნების შესაბამისად უკვე შეძლეს საკანონმდებლო ბაზისა და ოფშორული სექტორის ტრანსფორმირება ან ოფშორულ ბიზნესში ახალი „ნიშა“ იპოვეს. ასეთებია: კვიპროსი, ანტიგუა და ბარბუდა, ბაჰამის კუნძულები, ბერმუდის კუნძულები, ბარბადოსი, მავრიკი, სეიშელის კუნძულები და ბახრეინი;

გ) ქვეყნები და ტერიტორიები, რომლებიც ახლახან გამოჩნდნენ ოფშორული მომსახურების ბაზარზე და თანამედროვე საერთაშორისო მოთხოვნებს აკმაყოფილებენ: ასეთებია: ჩერნოგორია (იუგოსლავიის ნაწილი) და უნგრეთი.

JOLIA NINO
JOLIA GURAM

ESTIMATIONOF AN ANTIOFFSHOREPOLICY OF THE INTERNATIONAL COMMUNITY

Summary

The article showsthe mainof globalization, offshore development, positive and negative attitudes towards them, a common tax policy, offshore authoritatuve internatioanal organizations and developed countries' policies.

In our opinionm it is important that the development of offshore lehislation, trends, obstacles andprospects for the development of offshore business, offshore jurisdictions, as well as the success or failure factors.

გამოყენებული ლიტერატურა:

8. Горбунов А.Р. Налоговое планирование и создание компаний за рубежом. М., Анкил, 1999, с. 17.
9. Хейфец Б. А. Офшорные юрисдикций в глобальной и национальной экономике. М., «Экономика», 2008, გვ. გვ. 30, 149.
10. Mitchell D.J. An OECD Proposal to Eliminate Tax Competition Would Mean Higher Taxes and Less Privacy//The Heritage Backgrounder. September 18, 2007. -1395. -p.14.
11. On-line banking: A New Vehicle for Money Laundering//OECD in Washington. July 2008.
12. Uniting and Strengthening America by Providing Appropriate Tools Required to Intercept and Obstruct Terrorism – USA PATRIOT Act.
13. Courtis Neil. Financial Regulation in Offshore Centres.-London: Central Banking publicitions, 2001.-P.238.
14. Dixon Liz. Financial Flows via Offshore Financial Centers //Financial Stability Review,2001,P.3.
15. Palan Ronen. The Offshore World: Sovereign Markets, Virtual Places And Nomad Millionaires. NY: Cornell University Press, 2006.- P.73. P.112.
16. Horst Siebert What docs globalization mean for the world trading system? London, 2004, P.43.
17. Financial Actin Task Force on Money Laundering – FATF. http://www.fatf-gaft.org
18. Теневая экономика и экономическая преступность. Электронный учебник. http://newasp.omskreg.ru/bekryash/contents.htm
19. ჯოლია გ., საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები. თბ., "ტექნიკური უნივერსიტეტი". 2008, გვ. 405.
20. INTERPOL (Financial and high-tech crimes Division) http://www.interpol.int/public/FinancialCrime
21. Palan Ronen. The Offshore World: Sovereign Markets, Virtual Places And Nomad Millionaires. NY: Cornell University Press, 2006.- P.73. P.112.

გიორგი როდონაია

საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის გაუმჯობესების პერსპექტივები

ეკონომიკურ ურთიერთობათა გარდაქმნის თანამედროვე ეტაპზე აქტუალურია სწორი ინვესტიციური მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და რეალიზაცია. საინვესტიციო საქმიანობის გააქტიურების, მისი ეკონომიკური სისტემის განვითარებისადმი დამოკიდებულების, ეფექტიანობის ამაღლების თეორიული და მეთოდოლოგიური პრობლემა უკანასკნელ წლებში განსაკუთრებულ სიმძაფრეს იძენს, რაც გარდამავალი ეკონომიკის სასტარტო სირთულეებთანაა დაკავშირებული. ეკონომიკის რესტრუქტურიზაცია და საკუთრების ფორმათა ცვლა, ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში მიმდინარე გარდაქმნები, ძირეულად ცვლის განსახილველი პრობლემის გადაწყვეტისადმი დამოკიდებულებას როგორც მაკრო, ასევე მიკრო დონეზე. ეს თავის მხრივ, განსაზღვრავს ინვესტიციური პროცესების მართვის, პროგნოზირების, სტიმულირების საკითხებისადმი, ეკონომიკური და სოციალური ეფექტების დადგენის მეთოდოლოგიისადმი ახლებური მიდგომის აუცილებლობას.

ქვეყნის განვითარებისა და კეთილდღეობის დონის ერთ-ერთი განმსაზღვრელი მაჩვენებელია დოვლათის წარმოებისა და არა საბოლოო მოხმარებისთვის გამიზნული ხარ-ჯების ნაკადი, ანუ მატერიალური, ტექნიკური, ფინანსური და ინტელექტუალური ფასეულობების გრძელვადიანი დაბანდება ეკონომიკური საქმიანობის სხვადასხვა სფეროში მოგების, ან სოციალური ეფექტის მიღების მიზნით. ინვესტიცია, აგრეთვე ნიშნავს აქციების ან ობლიგაციების შეძენას რაიმე განსაზღვრული ფინანსური შედეგის მიღების მიზნით.

საინვესტიციო საქმიანობის ენციკლოპედიური ნაშრომის _ „ინვესტირების საფუძვლების“ ავტორები, ლ. გიტმანი და მ. ჯონკი გვაძლევენ შემდეგ განმარტებას: „ინვესტიცია კაპიტალის განთავსების ნებისმიერი ინსტრუმენტია, გათვლილი ხერხია კაპიტალის ღირებულების შენარჩუნების ან ზრდის და შემოსავლის დადებითი სიდიდის მიღების მიზნით“.

ქვეყნის ინვესტიციური პოლიტიკის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით აუცილებელია: ინვესტიციების რაციონალური განაწილება დარგების, სექტორების, ეკონომიკური პრიორიტეტების მიხედვით, ინვესტიციური ციკლის სწორი წარმართვა, ინვესტიციური პროცესების გააქტიურება, აგრეთვე ინვესტიციური და ინოვაციური პროცესების ურთიერთდაკავშირება და სხვ.

უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ქვეყნის ინვესტიციის ბაზრის ფორმირების აუცილებელ პირობად უნდა განვიხილოთ. იგი მნიშვნელოვანწილად უზრუნველყოფს ეროვნული ეკონომიკის არაფორმალურ, არამედ რეალურ ჩართვას მსოფლიო მეურნეობაში და როგორც მრავალი განვითარებული ქვეყნის გამოცდილება ადასტურებს, ეკონომიკაში კრიზისული მდგომარეობის დაძლევის, მისი სტრუქტურული გარდაქმნის, წარმოების ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლების, საგარეოეკონომიკურ კავშირ-ურთიერთობათა გააქტიურების ერთ-ერთი ძირითადი გზაა.

საქართველოში რადიკალური ეკონომიკური რეფორმები გრძელდება. საწარმოო და სამეურნეო სისტემაში ღრმავდება სტაგნაციისა და რღვევის პროცესი, რეალურად არ არის ჩამოყალიბებული ქართველ ინვესტორთა მძლავრი ფენა, რომელიც გაატარებს მსხვილმასშტაბიან საინვესტიციო პოლიტიკას. არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება უცხოური ინვესტიციების მოზიდვითა და რაციონალური გა-მოყენებით არის შესაძლებელი. ამ საკითხის ოპტიმალურ გადაწყვეტაზეა დამოკიდებული არა მარტო ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური გარდაქმნების წარმატება, არამედ შრომის საერთაშორისო დანაწილებასა და მსოფლიო მეურნეობაში ხელსაყრელი ადგილის დამკვიდრება.

ყოველი ქვეყანა განსაზღვრული სამართლებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურებით, განვითარების დონითა და თავისებური პირობებით ხასიათდება. ეს ფაქტორები ქმნიან ერთიან კომპლექსს და ერთიანდებიან ცნებაში „ინვესტიციური კლიმატი“, რომლის მიხედვითაც ინვესტორი აფასებს და განსაზღვრავს ინვესტიციების რისკის დონეს მანამ, სანამ პრაქტიკულად განახორციელებს კაპიტალდაბანდებებს. საქართველოში უცხოური ინვესტიციების განხორციელების საწყის ეტაპს დაემთხვა პოლიტიკური არასტაბილურობა, სამოქალაქო ომი, კრიმინოგენური სიტუაცის გაუარესება, ჰიპერინფლაცია და ა.შ.

საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვა უნდა განვიხილოთ, როგორც ინვესტიციის

ბაზრის ოპტიმალური ფორმირების აუცილებელი პირობა. იგი უზრუნველყოფს საქართველოს ეკონომიკის მსოფლიო მეურნეობაში არაფორმალურ, არამედ რეალურ ჩართვას და მოვიაზროთ ეკონომიკის კრიზისული მდგომარეობის გადალახვის, მისი სტრუქტურული გარდაქმნის, საწარმოო პოტენციალის თანამედროვე ტექნოლოგიურ დონეზე გადაყვანის მნიშვნელოვან, გამოცდილებით დადასტურებულ საშუალებად. მეტიც, ვერც საქართველო, ვერც სხვა ქვეყნები ინვესტიციური პოტენციალის ფორმირებისას, მისი ეკონომიკის რეფორმირების პროცესში მოზიდვისა და ეკონომიკური ეფექტიანობის ზრდის უზრუნველსაყოფად გვერდს ვერ აუვლიან მსოფლიო საინვესტიციო ბაზარში ჩართვას.

ამრიგად, დღეს საქართველოს ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების გამოყენების აქტუალობა ეჭვს არ იწვევს. ეკონომიკის კარგახსნილობის, ეროვნული წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლების, მსოფლიო ბაზარზე ნდობის მოპოვების, საერთაშორისო საფინანსო გაცვლაში მონაწილეობის ინტერესები უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის პირობების შექმნის აუცილებლობას განაპირობებს. თითქმის ყველა ყოფილი ე.წ. სოციალისტური ქვეყნის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ საზღვარგარეთული სტრატეგიული ინვესტორების გამოჩენამ, რომლებიც საწარმოთა რეკონსტუქციისათვის საჭირო რესურსების მობილიზაციისათვის არიან მზად და ამის უნარიც შესწევთ, მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს ამ ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

რა უშლის ხელს საქართველოში უცხოური ინვესტიციების შემოსვლას?

დღეს საქართველოში მთლად ნათელი არ არის საფინანსო ბაზრის სუბიექტების პოზიციები, მცირეა მყარი ფინანსური მდგომარეობის ბანკები, პრაქტიკულად არ არსებობენ კერძო საპენსიო ფონდები, სადაზღვევო ფონდები სრულყოფილად ვერ ახორციელებენ მათზე დაკისრებულ ფუნქციებს. ამგვარად, საფინანსო ბაზრის თითქმის ყველა ობიექტი ჩვენთან ჩანასახოვან მდგომარეობაშია. ეკონომიკას ესაჭიროება სტრატეგიული ინვესტორები და არა ეგრეთწოდებული „ცხელი ფულის“ დამანგრეველი შემოდინება და გადინება. აღნიშნული პრობლემის სათავე უნდა ვეძებოთ იმგვარი კანონდებლობის უქონლობაში, რომელიც ხელმოწერილი კონტრაქტების შესრულებას სავალდებულოს გახდიდა. საზოგადოდ ინვესტორებს ჩვენს ქვეყანაში დიდი არჩევანი არა აქვთ. მათ ან ისეთ კომპანიებში უნდა დააბანდონ ფული, რომლებიც დიდი ხანია და კარგადაც მუშაობენ და თვით იცავენ საკუთარ ინტერესებს. ან გარისკონ და რომელიღაც სრულიად ახალ, უცნობ საქმეში მოახდინონ ინვესტირება, რომლის პერსპექტივებიც გაურკვეველია.

ცნობილია, რომ რაც უფრო მაღალია რისკი, მით მეტი უნდა იყოს დაბანდებათა შემოსავლიანობა. ჩვენი აზრით, სწორედ ამიტომაც უცხოელები სახსრების დაბანდებას გამოსყიდვის სწრაფი ვადების მქონე აქტივებში ამჯობინებენ. საქართველოს ეკონომიკაში ინვესტიციების რისკიანობის მაღალი დონე მოითხოვს მათ გაზრდილ შემოსავლიანობას, რომლის უზრუნველყოფა სხვადასხვაგვარი შეღავათების მინიჭებით შეიძლება. მაგრამ უფრო სერიოზულად უნდა განვიხილოთ უცხოელი ინვესტორისათვის არა პრივილეგიების შექმნა, არამედ საიმედოობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა. მაშინ აღარ დაგვჭირდება ადგილობრივ ინვესტორებზე უფრო მომგებიან მდგომარეობაში მათი ჩაყენება.

უცხოურ ინვესტიციებთან დაკავშირებულია წინააღმდეგობა, რომლის დაძლევის მექანიზმის პოვნა სასწრაფოდ უნდა მოინახოს. ამ წინააღმდეგობას საქართველოსთვის სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს და შემდეგში მდგომარეობს: ერთი მხრივ, უცხოურ ინვესტიციებზე მწვავე მოთხოვნამ, მეორე მხრივ კი, საბაზრო ძალების მოქმედებამ შეიძლება ჩვენი ქვეყანა დასავლეთის მხოლოდ სანედლეულო დანამატად აქციოს. ამ წინააღმდეგობის დასაძლევად უნდა შემუშავდეს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის დასაბუთებული სტრატეგია, რომელშიც გათვალისწინებული იქნება სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ინვესტიციების მოტივაციური მექანიზმი. მისი შემადგენელი ნაწილებია უცხოელი ინვესტორისათვის მისაღები ეკონომიკური პირობები, სამართლებრივი და ადმინისტრაციული რეჟიმი სასწრაფოდ უნდა დამუშავდეს, თორემ სტრატეგიული ინვესტორი შეიძლება რამდენიმე წლის შემდეგ მოვიდეს, ის კი დღესაა საჭირო. გარდა ამისა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მთელს მსოფლიოში კონკურენცია არსებობს უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში.

იმისათვის, რომ გავანეიტრალოთ უცხოური ინვესტიციების მოზიდვის წინააღმდეგობის უარყოფითი მხარეები, აუცილებელია, უწინარეს ყოვლისა, ვისარგებლოთ სათანადო მეთოდოლოგიური მიდგომებით. უცხოელი ინვესტორი კაპიტალს არ დააბანდებს პარალიზებული შიდა ინვესტიციური აქტიურობის მქონე ქვეყანაში. აქედან გამომდინარე, შიდა ინვესტიციური საქმიანობის გამოცოცხლება შეიძლება განვიხილოთ, როგორც კრიზისის დაძლევის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობაც და როგორც უცხოური ინვესტიციების გადიდების კატალიზატორიც. ცხადია, უცხოური ინვესტიციების მოზიდვა არ შეიძლება უცხოელე-

ბისთვის ჩაკეტილ წარმოებებში, რომლებიც თავდაცვით და სტრატეგიულ პროდუქციას და ტექნოლოგიას უშვებენ. აუცილებელია თანაბარი ეკონომიკური და სამართლებრივი პირობების შექმნა ადგილობრივი და უცხოელი მეწარმეების ინტერესების ბალანსის საფუძველზე. ამ პრინციპის პრაქტიკული რეალიზაცია მჭიდროდ უნდა დაუკავშირდეს როგორც ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფას, ისე უცხოელი ინვესტორების დისკრიმინაციის დაუშვებლობას.

ჩვენში გავრცელებულია აზრი, რომ ინვესტიციების მოსაზიდად ჩვენ გვაქვს უპირატესობა იაფი მუშახელის სახით, თანაც დამატებით თუ შევქმნით კარგ საგადასახადო გარემოს, საგადასახადო ტარიფების შემცირების გზით, მაშინ შესაძლებელია ინვესტიციების შემოსვლა ქვეყანაში. იაფი მუშახელი ზრდის მოგების ნორმას და იგი შეიძლება იყოს გარკვეული სტიმული ინვესტორისათვის. მაგრამ როგორც პრაქტიკა მოწმობს, ინვესტიციები ძირითადად განვითარებულ ქვეყნებში ხორციელდება და არა განვითარებადში.

სტრატეგიული ინვესტორების ინტერესებთან შეხამებით ეროვნული ეკონომიკის უსაფრთხოების უზრუნველყოფა უნდა მოხდეს უცხოური ინვესტიციების მოზიდვის სტრატეგიის ყველა კომპონენტში: მიზნებში, პრინციპებში, სამეურნეო მექანიზმში, პრიორიტეტულ მიმართულებებში, ფორმებში, რეალიზაციის ეტაპებში და ა.შ. ამჟამად საქათველოში, სულ უფრო აქტიურდება უცხოური პირდაპირი ინვესტიციების მოზიდვასთან დაკავშირებული საქმიანობა. მისი ინტენსიფიკაციისა და შედეგიანობის ამაღლებისთვის აუცილებელია კანონშემოქმედებითი პროცესის გაძლიერება, რაც ხარისხიან და ეფექტიან სამართლებრივ უზრუნველყოფას მისცემს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, ქვეყნის ინვესტიციური პოტენციალის მნიშვნელოვნად გადიდების მიზნით. მთლიანობაში ქვეყანა მოქნილ პოლიტიკას უნდა ატარებდეს, რომელიც წამახალისებელ ღონისძიებებს ეფექტიან კონტროლს შეუხამებს. ასეთი კონტროლი გულისხმობს კეთილსასურველი ინვესტიციური გარემოს ორგანიზაციულ-სამართლებრივი წანამძღვრების მიზანმიმართულად შექმნას, რომლის განუყოფელი შემადგენელი ნაწილებია მოგების გარკვეული დონის მიღების გარანტია, საზღვარგარეთ მისი გადაგზავნის შესაძლებლობა, შემოსავლების განკარგვის თავისუფლება, დაბანდება და უსაფრთხოების გარანტიების არსებობა. ამასთან, უსაფრთხოების ერთიანი გარანტიების დროსაც შეღავათებისა და პრივილეგიების ოდენობა განსხვავებული შეიძლება იყოს. ამით უცხოურ ინვესტიციებს ჩვენთვის სასურველი მიმართულება მიეცემა.

GEORGE RODONAIA

THE PROSPECTS FOR IMPROVEMENT TO ATTRACT THE FOREIGN INVESTMENTS IN GEORGIA

Summary

Foreign investment is crucial for the improvement of Georgian economy. The great way for achieving the growth of the economy is the maximum mobilization of local capital as well as merging with the foreign capital, in which the foreign investments should act as the main catalyst.

ლევან ტატიშვილი

უძრავი ქონების კონკურსის საფუძველზე გაყიდვის სოციალური და საინვესტიციო პირობები

კომერციულ კონკურსზე სახელმწიფო ან მუნიციპალური ქონების გაყიდვისას დგინდება სოციალური პირობები, თუკი გაყიდვის ობიექტია საწარმო, როგორც ქონებრივი კომპლექსი ან ღია სააქციო საზოგადოების აქციები, რომელიც შეადგენს საწესდებო კაპიტალის 50 %-ზე მეტს.

სოციალურ პირობებში შეიძლება მოიაზრებოდეს: სამუშაო ადგილების განსაზღვრული ოდენობის შენარჩუნება ან დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა; მომუშავეთა გადამზადება ან კვალიფიკაციის ამაღლება; მომუშავეთა შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის არსებული სისტემის შენარჩუნება; შეზღუდვები მოსახლეობის სოციალურ-კულტურული, კომუნალურ-საყოფაცხოვრებო ან სატრანსპორტო მომსახურების ობიექტების საქმიანობის პროფილის შეცვლაზე ან მათ გამოყენებაზე; გარემოსა და მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების რეალიზაცია.

სოციალური პირობების ჩამონათვალი ამომწურავადაა მოცემული და შეცვლას არ ექვემდებარება. იგი უნდა იყოს ეკონომიკურად დასაბუთებული, უნდა გააჩნდეს ღირებულებითი გამოხატულება, შესრულების ვადები და კონკურსის გამარჯვებულის მიერ მათი შესრულების დადასტურების წესი.

კომერციული კონკურსის სოციალური პირობები უნდა შეთანხმდეს ხელისუფლების შესაბამის ორგანოებთან და ღია სააქციო საზოგადოების მუშაკებთან, რომელთა აქციებიც არის პრივატიზების ობიექტი.

კომერციული კონკურსის საინვესტიციო პირობები შეიძლება გულისხმობდეს: პრივატიზაციის ობიექტის რეკონსტრუქციის, მოწყობილობათა შეძენის, მოდერნიზაციისა და წარმოების გაფართოების ღონისძიებათა განხორციელებას; კონკურსის გამარჯვებულის ვალდებულებას განახორციელოს სატარიფო და არასატარიფო პროტექციონიზმის ღონისძიებები ქვეყნის საქონლის მწარმოებლებთან მიმართებით, მათ შორის გამოიყენოს ადგილობრივი ნედლეული, მასალები და ნახევარფაბრიკატები იმ შემთხვევებში, როცა მათი ხარისხი შეესაბამება ან აღემატება საზღვარგარეთულ ანალოგებს, ან როცა მათი ფასები შეესაბამება საზღვარგარეთული ანალოგების ფასებს ან მათზე დაბალია; ვალდებულებას დაწესებულ ვადაში დაფაროს დავალიანება ბიუჯეტში, ქვეყნის სუბიექტების ბიუჯეტების, მუნიციპალიტეტებისა და სახელმწიფო არასაბიუჯეტო ფონდების წინაშე.

კომერციული კონკურსის საინვესტიციო და სოციალურ პირობებს, მოცულობებს, განხორციელების წესს, მათ რეალიზაციაზე კონტროლის ზომებს, ასევე კონკურსის გამარჯვებულის მიერ პირობების შესრულების დადასტურების წესს ადგენენ პრივატიზაციის გეგმის დამტკიცებისას ქონების მართვის შესაბამისი კომიტეტები ქვეყნის ხელისუფლების, მისი სუბიექტების ან მუნიციპალიტეტების ორგანოებთან შეთანხმებით.

უძრავი ქონების გაყიდვისა და კონკურსში მონაწილეობის პირობები შეიძლება გამოცხადდეს შემდეგნაირად: 1. ცხადდება კომერციული კონკურსი; 2. ობიექტის გაყიდვის პირობები; 3. საწყისი ფასი მინიმუმი; 4. ობიექტის დანიშნულების ან საწარმოს პროფილის შენარჩუნება 3 წლის ვადით; 5. დასაქმებისა და სოციალური გარანტიების უზრუნველყოფა ერთი წლით; 6. ახალი ინვესტიციები ობიექტში პირველ წელს; 7. სოციალური სფეროს ობიექტების დაფინანსება და გამოყენება; 8. ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტებში ყიდვიდან 2 თვეზე მეტი დროით შესვენების აკრძალვა; 9. სხვა პირობების წაყენება აკრძალულია; 10. კონკურსის მონაწილეები; 11 იურიდიული პირები; 12. ფიზიკური პირები; 13. შემოთავაზებები კონკურსის პირობების შესაბამისად – დალუქულ კონვერტში; 14. საგადასახდელო დოკუმენტი საწინდრის შეტანის შესახებ; 15. დამფუძნებელი დოკუმენტების ასლები; 16. მონაწილეებს აკრძალული აქვთ ინფორმაციის გაცვლა შემოთავაზებების შესახებ; 17. ცნობები მონაწილეთა შესახებ არ ხმაურდება კონვერტის გახსნამდე.

აუცილებელია საინფორმაციო ცნობის გამოქვეყნება კომერციული კონკურსის შესახებ. იგი შეიძლება წარმოვიდგინოთ შემდეგნაირად:

1. ცნობას შეიმუშავებს უძრავი ქონების მესაკუთრე; 2. გამოქვეყნებას ორგანიზებას უწევს საკონკურსო კომისია; 3. ხდება კონკურსის ობიექტების რეკლამირება; 4. ცხადდება კონკურსის პირობები და გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები; 5. დგინდება ობიექტის საწყისი ფასი; 6. გადახდის ფორმა; 7. ობიექტის გაცნობის წესი; 8. განაცხადებისა და დოკუმენტების მიღების ვადები; 9. საწინდრის თანხა; 10. შემოთავაზებების კონვერტების გახსნის თარიღი, დრო და ადგილი; 11. ჩატარების ხერხი: ღია ან დახურული აუქციონი; 12. საწარმოს სახელწოდება და ადგილმდებარეობა; 13. მიწის ნაკვეთის ფართობი; 14. მომუ-

შავეთა რიცხოვნობა, ნომენკლატურა და პროდუქციის მოცულობა; 15. ძირითადი ფონდების შემადგენლობა და შეფასება; 16. მასალების მარაგი; 17. ფულადი საშუალებების, ფასიანი ქაღალდების და სხვა საწარმოების აქტივების არსებობა; 18. საწარმოს ვალდებულებები; 19. დაწყებული საინვესტიციო პროექტები; 20. წლიური ბალანსი; 21. საკონტაქტო ტელეფონი.

კომერციული კონკურსის ყველა საინვესტიციო და სოციალური პირობა რეალიზდება კონკურსის გამარჯვებულის მიერ გამყიდველთან საინვესტიციო და სოციალური პირობების შესრულების წესის შესახებ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე უსასყიდლო და დაუბრუნებად საფუძველზე შეტანილი ფულადი საშუალებების ხარჯზე. თუკი პრივატიზაციის ობიექტია ღია სააქციო საზოგადოება, იგი კონკურსის გამარჯვებულის მიერ საინვესტიციო და სოციალური პირობების შესრუ-ლების შესახებ ხელშეკრულებასთან ერთად ქონების გამყიდველთან დებს ხელშეკრულებას საინვესტიციო საშუალებების გამოყენების შესახებ. მითითებული ხელშეკრულებების დადება სავალდებულოა კომერციული კონკურსის გამარჯვებულისათვის. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ დაუშვებელია ცვლილებებისა და დამატებების შეტანა კონკურსის ინვესტიციურ და სოციალურ პირობებსა და მისი გამარჯვებულების ვალდებულებებში.

საინვესტიციო ხელშეკრულების პრინციპული პარამეტრებია: ინვესტიციების მიმართულებები და მოცულობა; საინვესტიციო პროგრამა. ზოგადად, გამოყოფენ კაპიტალდაბანდებათა (ინვესტიციების) ორ მიმართულებას: ა) უძრავი ქონების ობიექტში – შენობა-ნაგებობების, ფასადების რემონტი და სხვ.; ბ) თვით წარმოების მოდერნიზაციაში – ტექნოლოგიური მოწყობილობის შესყიდვა და მონტაჟი.

საინვესტიციო პროგრამა მუშავდება ბიზნეს-გეგმის ფორმით და მოიცავს:

უძრავი ქონების ობიექტის მდგომარეობის დახასიათებას; ობიექტის რეკონსტრუქციის პროექტს, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ჩათვლით; საწარმოს მატერიალური ბაზისა და ეკონომიკური მდგომარეობის შეფასებას გამოშვებული პროდუქციის (გაწეული მომსახურების) სახეებისა და მოცულობის, დასაქმებულთა რიცხოვნობის მითითებით; წარმოების მოდერნიზაციის პროექტს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით; საწარმოს მუშაობის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაანგარიშებებს საინვესტიციო პროგრამის დასრულების შემდეგ, გამოშვებული პროდუქციის მოცულობასა და დასაქმებულთა ოდენობას; ინვესტიციების წყაროებსა და მოცულობებს (სესხების გამოყენებისას _ დაფარვის მოცულობებსა და ვადებს); ინვესტიციების განხორციელების შემდეგ პრივატიზებული საწარმოს ბაზაზე შექმნილი ღია სააქციო საზოგადოების საწესდებო კაპიტალის სიდიდის განსაზღვრას პოტენციური დამფუძნებლების და საწესდებო კაპიტალში მათი წილის მითითებით.

კონკურსის ჩასატარებლად ქონების მართვის დეპარტამენტი გამყიდველს გადასცემს: საპრივატიზაციო ობიექტზე საკუთრების მოწმობას; ობიექტის პრივატიზაციის გეგმას, რომელიც მოიცავს კონკურსის ჩატარების პირობებს; კონკურსის ჩატარების შესახებ საინფორმაციო ცნობის პროექტს; სალიკვიდაციო კომისიის მასალებს ლიკვიდირებული საწარმოს ქონების გაყიდვისას.

კონკურსში მონაწილეობისათვის პრეტენდენტმა უნდა წარადგინოს შემდეგი დოკუმენტები: დადგენილი ფორმის განაცხადი კონკურსში მონაწილეობის შესახებ; ცალკე კონვერტში დალუქული წერილობითი შეთავაზებები საკონკურსო პირობებსა და გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმებთან დაკავშირებით; გამყიდველის საანგარიშსწორებო ანგარიშზე ბე-ს შეტანის შესახებ საგადასახდელო დოკუმენტის ასლი; დადგენილი წესით დამოწმებული იურიდიული პირის დამფუძნებელი დოკუმენტების ასლები.

დოკუმენტების მიღების შემდეგ საკონკურსო კომისია განმცხადებლებს უგზავნის წერილობით შეტყობინებას კონკურსში მისი მონაწილეობის შესახებ განაცხადის რეგისტრაციის თარიღის მითითებით.

კონკურსის მონაწილეს უფლება აქვს გაიტანოს თავისი შეთავაზება კონკურსის ჩატარების დადგენილ ვადამდე, რის შესახებაც უნდა აცნობოს საკონკურსო კომისიას წერილობით. ამ შემთხვევაში მას უბრუნდება ბე-ს თანხა.

მყიდველთა წინადადებები განიხილება საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის პირობებისა და გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმის შესაბამისად. დადგენილ დღესა და დროს საკონკურსო კომისიის სხდომაზე იხსნება კონვერტები შემოსული შემოთავაზებებით. საკონკურსო კომისია ამოწმებს ყველა ფორმალობის დაცვას, განსაზღვრავს მოთხოვნილი მონაცემებისა და დოკუმენტების არსებობას. ამის შემდეგ დგება ოქმი, რომელშიც ფიქსირდება შემოსული ყველა შემოთავაზება და მათი შესაბამისობა კონკურსის პირობებთან. კონვერტები უნდა გაიხსნას კონკურსის შესახებ საინფორმაციო ცნობის გამოქვეყნებიდან არაუადრეს ერთი თვისა.

შემოთავაზებები, რომლებიც არ პასუხობს კონკურსის პირობებს, არ დაიშვება კონკურსზე მონაწილეობის მისაღებად და ფიქსირდება ოქმში ცალკე.

კონკურსში მონაწილეობის შესახებ განაცხადების დამალვა, მათი გაუთვალისწინებლობა შედეგების შეჯამებისას იწვევს ადმინისტრაციულ

პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ჯარიმდება საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე. ასეთ შემთხვევაში კონკურსის შედეგები ბათილად იქნება გამოცხადებული.

დალუქული კონვერტების გახსნას და გამოცხადებას შეიძლება ესწრებოდნენ კონკურსის მონაწილეები ან მათი წარმომადგენლები, რომელთაც აქვთ შესაბამისი რწმუნება (მინდობილობა).

ყველა მონაწილის წარმოდგენილი შემოთავაზებების გაცნობის შემდეგ საკონკურსო კომისიის ყოველი წევრი ადგენს წერილობით დასკვნას საკუთარი არჩევანის დასაბუთებით.

გადაწყვეტილება კონკურსის გამარჯვებულის შესახებ მიიღება კომისიის თავმჯდომარის მიერ კონვერტების გახსნის დღეს საკონკურსო კომისიის წევრთა დასკვნების საფუძველზე.

შემაჯამებელ ოქმში უნდა იყოს მოცემული საკონკურსო კომისიის დასკვნა შემდეგი ფორმით: საპრივატიზაციო ობიექტის დასახელება; საკონკურსო კომისიის შემადგენლობა; მონაცემები კონკურსის მონაწილეე-ბის შესახებ; კონკურსის მონაწილეების შემოთავაზებები; საკონკურსო კომისიის წევრთა წერილობითი დასკვნები თავიანთი არჩევანის დასაბუთებით; კონკურსის გამარჯვებულის დასახელება; ობიექტის შეძენის ფასი, გადახდის ფორმა.

ოქმს თან ერთვის საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსის გამარჯვებულისათვის მომზადებული წერილის პროექტი, რომლითაც ატყობინებს მისი შეთავაზების მიღების შესახებ და იწვევს გამყიდველთან ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ხელმოსაწერად. მითითებული ოქმი და დოკუმენტები დასამტკიცებლად წარედგინება გამყიდველს.

გამყიდველის მიერ საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილების დამტკიცების შემდეგ ოქმის ასლი ეგზავნება კონკურსის ყოველ მონაწილეს. კონკურსის გამარჯვებულს ეგზავნება გამყიდველის წერილი, რომლითაც იგი ატყობინებს მისი შეთავაზების მიღების შესახებ და იწვევს ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ხელმოსაწერად.

ზოგიერთ ქვეყანაში საკონკურსო კომისია კონკურსს ჩაშლილად აცხადებს იმ შემთხვევაში, თუ საკონკურსო კომისიაში შემოვიდა საკონკურსო პირობების შესატყვისი არაუმეტეს ერთი შემოთავაზებისა, ასევე იმ შემთხვევაში, თუ შენაძენის ფასი საწარმოს საწყის ფასთან შედარებით შემცირდა 30 %-ით. საკონკურსო კომისია ადგენს ოქმს კონკურსის ჩაშლილად გამოცხადების შესახებ, რომელსაც ამტკიცებს გამყიდველი, ხოლო წარმოდგენილი დოკუმენტები უბრუნდება კომიტეტს. ამ შემთხვევაში ქონების მართვის დეპარტამენტი ვალდებულია ერთი თვის ვადაში განიხილოს საწარმოს პრივატიზაციის გეგმა.

კონკურსის შედეგები შეიძლება გაპროტესტებულ იქნას მონაწილეთა მიერ დადგენილი წესით ოქმის მიღებიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში. 30 კალენდარული დღის განმავლობაში მყიდველი ვალდებულია ადგილობრივ ბეჭდვით ორგანოსა და ქონების ფონდის (გამყიდველის) საინფორმაციო ბიულეტენში გამოაქვეყნოს ინფორმაცია კონკურსის შედეგების შესახებ.

უკანასკნელ წლებში ქონების მართვის საა-გენტოები კონკურსებს ატარებენ უძრავი ქონების სახელმწიფო ობიექტების გასაყიდად აუქციონის ფორმით, რომლის დროსაც აუქციონი იწყება კონვერტების გახსნისთანავე, რომელშიც მონაწილეები ათავსებენ თავიანთ შეთავაზებებს ფასთან დაკავშირებით. ამასთან, კონკურსის მონაწილის მიერ შემოთავაზებაში დასახელებული მაქსიმალური ფასი ითვლება ღია აუქციონის სასტარტო ფასად, ხოლო აუქციონის ბიჯი აითვლება სასტარტო ფასის 5-15 %-ის ფარგლებში. ამის შემდეგ იწყება თვით აუქციონის პროცესი: აუქციონისტი ასახელებს ფასს, ხოლო მონაწილეები სწევენ ბილეთებს.

აუქციონი სრულდება, თუ მორიგი ფასის სამგზის გამოცხადების შემდეგ არცერთმა მყიდველმა არ ასწია ბილეთი. გამარჯვებულად ჩაითვლება მყიდველი, რომელიც უკანასკნელად დაასახელა აუქციონისტმა.

თუ კონვერტების გახსნისა და საწყისი ფასის გამოცხადების შემდეგ არცერთმა მონაწილემ არ ასწია ბილეთი, აუქციონი ჩაშლილად ითვლება, ხოლო ობიექტი უბრუნდება განმეორებითი გაყიდვისათვის მოსამზადებლად. ამასთან, კონკურსის მონაწილეს, რომლის შემოთავაზება საკონკურსო კომისიამ მიიღო აუქციონის სასტარტო ფასად, არ უბრუნდება შეტანილი ბე-ს თანხა.

აუქციონის დასრულების შემდეგ გამარჯვებულმა ხელი უნდა მოაწე-როს ოქმს, რომელშიც გადმოცემულია მხარეთა ვალდებულებები ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადებასთან დაკავშ-ირებით, რომელიც უნდა შედგეს 30 დღის ვადაში.

სახელმწიფო ან მუნიციპალური ქონების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების შედგენის სავალდებულო პირობად ითვლება: მონაცემები ქონების გამყიდველსა და მყიდველებზე; პრივატიზაციის ობიექტის დასახელება; მისი ადგილმდებარეობა; სახელმწიფო ან მუნიციპალური ქონების შედგენილობა და ღირებულება; მიწის ნაკვეთის არენდის (სარგებლობის) პირობები; ღია სააქციო საზოგადოების აქციათა რაოდენობა; მათი კატეგორია (ტიპი) და ღირებულება; სახელმწიფო ან მუნიციპალური ქონების მყიდველის საკუთრებაში გადაცემის წესი; შეძენილი ქონების საფასურის გადახდის ფორმა და ვადები; მყიდველის ვალდებულებები სარგებლობასთან დაკავშირებით; ინვესტიციური და სოციალური პირობები,

რომლის შესაბამისადაც იქნა მყიდველის მიერ შეძენილი მითითებული ქონება; მყიდველის მიერ ამგვარი პირობების შესრულების დადასტურების წესი; ინვესტიციური და სოციალური პირობების უზრუნველყოფის საშუალებები, მათი შესრულების გარანტიები; მყიდველის მიერ მითითებული ქონების ფლობისა და სარგებლობის უფლებების განხორციელების წესი მასზე აღნიშნული ქონების მესაკუთრის უფლების გადაცემამდე; აღნიშნული ხელშეკრულების მხარეთა მიერ ურთიერთშეთანხმებით დადგენილი სხვა პირობები.

მყიდველის ყველა ვალდებულება პრივატიზაციის ობიექტთან მიმართებით უნდა შეიცავდეს მათი შესრულების ვადებს, ასევე, ობიექტის შესყიდვის ღირებულებას.

კონკურსის გამარჯვებულის მიერ სოციალური და ინვესტიციური პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისას პრივატიზაციის ობიექტი ექვემდებარება უსასყიდლო გასხვისებას სახელმწიფო ან მუნიციპალურ საკუთრებაში გაცემის, ხოლო პრივატიზაციის პროცესში მონაწილე მხარეები ვალდებულნი არიან სასამართლო წესით შეიტანონ სარჩელი ქონების პრივატიზაციის გარიგების გაუქმებისა და უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების თანახმად ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ზარალის ანაზღაურების შესახებ

პრივატიზაციის მიზნებისა და პირობების შესაბამისად შეიძლება გამოყენებულ იქნას უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის სხვადასხვა ხერხები, ესენია: აუქციონი; კომერციული კონკურსი; საინვესტიციო კონკურსი; პირდაპირი გაყიდვა; მაქსიმალური ფასი; გაყიდვა ადგილობრივი ან უფრო ფართე პირობების გათვალისწინებით; მაღალი ფასი; ინვესტირება ობიექტის განვითარებაში. გერგილიანი მფლობელი და სხვა.

მაშასადამე, სოციალური და საინვესტიციო პირობების შესრულებას გასაკუთრებული მნიშვნელობა აქვს უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის დრო.

LEVAN TATISHVILI

SOCIAL AND INVESTMENT CONDITIONS OF REAL ESTATE SALES ON THE BASIS OF COMPETITION

Summary

The article discusses with the rule of commercial competition, while selling state or municipal property, social and investment condition identifying areas, its directions and criteria. In particular, indicating what could be considered in social conditions, investment conditions of commercial competition. It is discussed the conditions of competition, its volumes and the implementation of the rules, defining the powers control measures on their realization. It is also discussed the sales and competition participation conditions of real estate, information on the content and publication rules, the main parameters of the investment contract, rules and forms of investment conditions work out.

ზურაბ ვაშაკიძე
მერაბ მიქელაშვილი

უილიამ პეტის, როგორც კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი ფუძემდებლის ეკონომიკური შეხედულებები

მერკანტილიზმი, როგორც ეკონომიკური თეორია თითქმის სამი საუკუნის განმავლობაში (XVI საუკუნის დასაწყისი – XVIII საუკუნის პირველი ნახევარი) წარმოადგენდა ეკონომიკური აზრის გაბატონებულ მიმართულებას. მაგრამ, მასთან ერთად, ყალიბდებოდა სხვა მძლავრი ეკონომიკური მოძღვრების წინაპირობები, რომელმაც მოგვიანებით კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის სახელწოდება მიიღო. ამ მიმართულების ფუძემდებლად გვევლინება უილიამ პეტი (1623-1687)1, ინგლისელი, ფართო ინტერესების მქონე ადამიანი, რომელიც თითქოს სხვათაშორის გამოთქვამდა თავის ნაშრომებში სხვადასხვა ეკონომიკურ იდეებს, რომლებიც შემდეგში საფუძვლად დაედო კლასიკურ პოლიტიკურ ეკონომიას. უილიამ პეტისთან ჩვენ უკვე ვხვდებით კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ძირითად გზავნილებს, როგორიცაა მაგალითად, წარმოების პროცესის გამოკვლევა ბრუნვის პროცესის კვლევის ნაცვლად-არამწარმოებელ კლასებთან, რომლებიც არ ქმნიან არანაირ პროდუქტს, კრიტიკული დამოკიდებულება. ასეთად ის მიიჩნევდა ვაჭრებს. უილიამ პეტიმ პირველად ჩამოაყალიბა კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ფუძემდებლური თეზისი იმის შესახებ, რომ – ერის სიმდიდრე იქმნება მატერიალური წარმოების ყველა სფეროში და სწორედ შრომაა აღნიშნული სიმდიდრის საფუძველი. ფართოდაა ცნობილი მისი ფრაზა: «შრომა არის სიმდიდრის მამა და მისი აქტიური პრინციპი, ხოლო მიწა მისი დედაა».1

სწორედ ამ აქსიომიდან უნდა გავაანალიზოთ მისი სხვა ეკონომიკური შეხედულებები. კერძოდ, მოსაზრება, რომ მოსახლეობის სიმცირე წარმოადგენს სახელმწიფოს სიღარიბის საფუძველს. არ ეთანხმებოდა რა მერკანტილისტებს იმაში, რომ ერის სიმდიდრე განსახიერებულია ძვირფას ლითონებში, პეტი ფორმულირებას უკეთებს სიმდიდრის კრიტერიუმებს და თვლის, რომ ყველაზე მდიდარი იქნება ის პერიოდი, რომლის დროსაც ყველას ექნება საშუალება დაიქირაოს მეტი მუშახელი, ე.ი მიაღწიოს შრომის დიდ რაოდენობას. იმის გამო, რომ პეტის მოუწია მერკანტილისტების იდეების გაბატონებულ ეპოქაში ცხოვრება, ის ბოლომდე ვერ გაექცა მათ გავლენას, თუმცა ყოველთვის ორიგინალური აზრების მატარებელ მოაზროვნედ რჩებოდა.

მერკანტილისტების გავლენით პეტი გამოყოფს საგარეო ვაჭრობას, რომელიც მისი აზრით, მეურნეობის სხვა დარგებთან შედარებით უფრო მეტად უწყობს ხელს ერის სიმდიდრეს. მისი შეხედულებით, სიმდიდრის რეალური აზრი მდგომარეობს ურთიერთობებში, ვიდრე რაოდენობაში, ამიტომ ნებისმიერ ქვეყნისთვის უპრიანია მარაგში ჰქონდეს სხვა ქვეყნებთან შედარებით ბევრი ფული (ძვირფასი ლითონები). ამასთან, პეტის აზრით, უნდა შემცირებულიყო ვაჭრების რაოდენობა და დარჩენილიყო ზუსტად იმდენი, რომლებიც შეძლებდნენ ქვეყანაში არსებული ჭარბი საქონლის გაცვლას სხვა ქვეყნებში არსებულ ჭარბ საქონელზე. მისი აზრით ვაჭრები «...არ ქმნიან საზოგადოებისათვის არავითარ პროდუქტს, არამედ ასრულებენ ვენებისა და არტერიების როლს, რომლებიც აქეთ და იქით ანაწილებენ სოფლის მეურნეობის და სამრეწველო პროდუქტებს».

პეტი ხედავდა ძვირფასი ლითონების მოზიდვის უარყოფით შედეგებს, რომელიც ვლინდებოდა ფასების ზრდაში. ის აღნიშნავდა, რომ არსებობს განსაზღვრული ზომა ანუ ფულის პროპორცია, რომელიც აუცილებელია ქვეყნის საგარეო ვაჭრობისათვის. ამასთან ის იძლეოდა წინადადებებს იმის თაობაზე, რომ ჭარბი ფული უნდა ინახებოდეს სახელმწიფო ხაზინაში, რაც ხელსაყრელი იქნება ქვეყნისათვის, მეფისთვის და ამ ქვეყნის ფიზიკური პირებისთვის. ამასთან, ფულის ნაკლებობა პეტის აზრით, იწვევს უარყოფით შედეგებს, რაც გამოიხატება იმაში, რომ პირველ რიგში წარმოადგენს გადასახადების ცუდად ან არ გადახდის საფუძველს და იწვევს წარმოებული სამუშაოების რაოდენობის შემცირებას. პეტის მოჰყავს შემდეგი მაგალითი: «100 ფუნტი სტერლინგი, რომელიც ხელფასის სახით გაივლის 100 ხელში, უბიძგებს 10000 ფუნტი სტერლინგის ღირებულების საქონლის წარმოებას. ეს ხელები

1 http://en.wikipedia.org/wiki/William_Petty

დარჩებოდნენ ფუჭად, რომ არ ყოფილიყო მუდმივი სტიმული მათი გამოყენებისა».2

პეტი იზიარებს პროტექციონიზ-მის პოლიტიკას, რომელიც მიმართულია ეროვნული ბაზრების დასაცავად საბაჟო მოსაკრებლების შემოღების საშუალებით. ის თვლიდა, რომ მოსაკრებლის ოდენობა იმხელა უნდა იყოს, რომ იმპორტირებული საქონლის ფასები უფრო მეტი გახადოს ქვეყნებში წარმოებულ საქონლის ფასებთან შედარებით. პეტი მხარს უჭერს თეზისს იმის შესახებ, რომ მდიდრების მისწრაფება ფუფუნებისკენ სტიმულს აძლევს ვაჭრობისა და წარმოების განვითარებას. კერძოდ, განიხილავდა რა საგადასახადო დაბეგვრის საკითხებს, ის წერდა: «..ადამიანების აღშფოთებას იწვევს იმაზე ფიქრი, რომ ხაზინაში შეგროვილი ფული უნდა დაიხარჯოს გართობაში, ბრწყინვალე სანახაობებსა და ტრიუმფალურ თაღებში. მაგრამ, ასეთი ხარჯები ნიშნავს ამ თანხების დაბრუნებას იმ ადამიანებთან, რომლებიც დაკავებულნი არიან ამ საგნების წარმოებით»

კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ფუნდამენტალური თეზისის გარდა, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ერის სიმდიდრე იქმნება მატერიალური წარმოების სფეროში, პეტი ახდენს ღირებულების თეორიის საფუძვლების ფორმირებას და ამტკიცებს, რომ საქონლის ტოლობა სხვა არაფერს ნიშნავს, თუ არა მათზე დახარჯული შრომის ტოლობას. ის წერს: «...თუ ვინმეს შეუძლია მოიპოვოს პერუს ნიადაგში და ჩამოიტანოს ლონდონში ერთი უნცია ვერცხლი და იგივე დროში, მას შეუძლია ერთი პურის წარმოება, მაშინ პირველი წარმოადგენს მეორის ბუნებრივ ღირებულებას». ამასთან პეტის აზრით, ღირებულებას ქმნის არა ყველა შრომა, არამედ მხოლოდ ის, რომელიც დახარჯულია ოქროს და ვერცხლის წარმოებაზე, ხოლო შრომის სხვა პროდუქტების ღირებულება განისაზღვრება მხოლოდ კეთილშობილ მეტალებზე მათი გაცვლის შედეგად.

პეტი თვლიდა რენტას არა როგორც მიწის საჩუქარს, არამედ როგორც შრომის პროდუქტს, რომელიც გამოირჩევა დიდი მწარმოებლურობით უკეთესი ხარისხის მიწებზე. მას შემოაქვს დიფერენციური რენტის განმარტება, რომლის საფუძველსაც ხედავს მიწის სხვადასხვა ადგილმდებარეობასა და ნაყოფიერებაში. აანალიზებს რა რენტას და განსაზღვრავს რა მას, როგორც მიწიდან წმიდა შემოსავალს, პეტი აყენებს საკითხს მიწის ფასის შესახებ, რომელიც მისი აზრით ტოლი უნდა იყოს წლიური რენტის ფასისა. როგორც ის თვლის, მიწის ფასი წარმოადგენს 21 წლის განმავლობაში წლიური რენტების ჯამს, ამასთან მისი აზრით ეს პერიოდი არის სამი თაობის ერთდროული ცხოვრების ხანგრძლივობის პერიოდი. ემიჯნება რა შუასაუკუნეებში გაბატონებულ აზრს პროცენტის მძარცველური არსის შესახებ, პეტი აყალიბებს თეზისს პროცენტის, როგორც უხერხულობის კომპენსაციის შესახებ. მისი აზრით, კრედიტორი ამ უხერხულობას თვითონ უქმნის თავის თავს, რადგან არ შეუძლია დათქმულ ვადაზე ადრე საკუთარი ფულის გამოყენება3. აქ შეიძლება დავინახოთ პროცენტის როგორც შეკავების საფასურის თეორიის ჩანასახები, რომელიც საბოლოო სახით მხოლოდ XIX საუკუნეში ჩამოყალიბდა.

პეტის შრომებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საგადასახადო დაბეგვრისა და ფინანსების საკითხებს. ერთ-ერთი განმსაზღვრელი იდეა მდგომარეობს ბუნებრივი წესრიგის იდეაში და სახელმწიფო ხელისუფლების მხრიდან ამ «წესრიგში» ჩარევის დამღუპველობაში. სახელმწიფო მართვის დანაკლისი, პეტის აზრით, იმაში მდგომარეობს, რომ «ძალიან ბევრი იქიდან, რაც უნდა იმართებოდეს ბუნებიდან, ძველი ტრადიციებიდან და საყოველთაო შეთანხმებით, მოხვდა კანონების რეგულირების ქვეშ». შემთხვევითი არაა, რომ პეტი მკვეთრად ეწინააღმდეგება სახელმწიფო რეგულაციებს, თუ ის წინააღმდეგობაშია «ბუნების კანონებთან». ამავე დროს ის აკისრებს სახელმწიფოს მნიშვნელოვან ფუნქციებს სამუშაო ძალის სრულ გამოყენებასა და მისი ხარისხის ამაღლებაში. პეტი წინადადებას იძლევა სახელმწიფოს საშუალებებით უზრუნველყონ ღარიბები და უპოვარები გზებისა და ხიდების მშენებლობებზე სამუშაო ადგილებით. აქ ჰუმანურობასთან ერთად კარგად ჩანს პეტის ეკონომიკური გათვლები: «...სიღარიბეში ცხოვრების უფლების მიცემა – ეს უფრო ძვირადღირებული მეთოდია იმ ადამიანების შესანახად, რომლებსაც ბუნების კანონი შიმშილით სიკვდილის უფლებას არ აძლევს». ამასთან, პეტი აგრძელებს თავისი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას. იგი აღნიშნავს «...სჯობს ათასი ადამიანის შრომის პროდუქტის დაწვა, ვიდრე დაუშვა, რომ ეს ადამიანები არაფერს არ აკეთებდნენ და ამის შედეგად კარგავდნენ შრომის უნარს».

თავისი შეხედულებების საფუძველზე, რომელიც ეყრდნობა მის მოსაზრებებს ეკონომიკაში სახელმწიფოს როლზე ნაშრომში «ტრაქტატი გადასახადებისა და მოსაკრებლების შესახებ» პეტი აყალიბებს სახელმწიფოს მიზნობრივ ხარჯებს: თავდაცვაზე; მართვაზე; ეკლესიაზე; სკოლებსა და უნივერსიტეტებზე; ობლებისა და ინვალიდების

2 .http://www.public-domain-content.com/books/taxes_contributions/

3 http://ek-lit.narod.ru/pettsod.htm

შენახვაზე; გზებზე, წყალგაყვანილობის სისტემებზე, ხიდებზე.

როგორც ვხედავთ, სტრუქტურა გვაგონებს დღევანდელი სახელმწიფოების ბიუჯეტების ხარჯების სტრუქტურას. რაც შეეხება საგადასა-ხადო დაბეგვრას, აქ პეტი გვევლი-ნება ირიბი (არაპირდაპირი) საგადასახადო დაბეგვრის მომხრედ. პეტი ემხრობა თავის ეპოქაში საყოველთაოდ მიღებულ მოსაზრებას, რომ მოსახლეობა უნდა მონაწილეობდეს თავისი ქვეყნის სახელმწიფო ხარჯების დაფარვაში მათი ქონებისა და სიმდიდრის პროპორციულად. ამას-თან, პეტი გამოყოფს ფაქტიურ და პოტენციურ სიმდიდრეს. მისი აზრით, ფაქტიური სიმდიდრე ნიშნავს მოხმარების რეალურ მაღალ დონეს, ხოლო პოტენციური – მისი უზრუნველყოფის შესაძლებლობას. უკანასკნელ შემთხვევაში მდიდარი ადამიანები ნაკლებად სარგებლობენ თავისი სიმდიდრით. ასეთი წარმოდგენების საფუძველზე პეტის მოსაზრებები აქციზთან დაკავშირებით შემდეგია:

- სამართლიანობა მოთხოვს, რომ ყველა იხდიდეს იმის მიხედვით, რასაც მოიხმარს. ასეთი გადასახადი არასოდეს იქნება თავსმოხვეული და მას ადვილად გადაიხდის ის, ვინც სარგებლობს პირველადი მოხმარების საქონლით.

- ასეთი გადასახადი ხელს უწყობს მომჭირნეობას, რომელიც წარმოადგენს ერის სიმდიდრის ერთადერთ მეთოდს. პეტის მოსაზრებები გადასახადებთან დაკავშირებით გაგრძელებაა 1215 წლის 15 ივნისს ინგლისის მეფის იოან უმიწოს მიერ მიღებული კანონისა «თავისუფლებათა დიდი ქარტია» 12-ე პარაგრაფისა, რომელიც უკრძალავდა მეფეს გადასახადის გადამხდელების ნების გარეშე გადასახადების შემოღებას.4

პეტის ეკონომიკური იდეები ატარებს მოსაზრებების ფორმას და არ წარმოადგენს ეკონომიკურ თეორიას, სწორედ ამიტომაც ეკონომიკურ ისტორიაში ის შევიდა პირველ რიგში, როგორც სტატისტიკის გამომგონებელი, რომელსაც ის უწოდებდა ,,პოლიტიკურ არითმეტიკას". ნაშრომი რომელსაც სწორედ ასე ეწოდება ,,პოლიტიკური არითმეტიკა" პეტი აკეთებს არა მარტო კონკრეტული ეკონომიკური სიტუაციის ანალიზს, არამედ იძლევა ამა თუ იმ მონაცემების ირიბი განსაზღვრის მეთოდების აღწერას.

იყენებდა რა თავის მეთოდს, პეტიმ პირველად შეასრულა ინგლისის ეროვნული შემოსავლისა და ეროვნული სიმდიდრის გაანგარიშებები. მისი გათვლებით ძვირფასი ლითონების წილი ინგლისის ეროვნულ სიმდიდრეში მხოლოდ 3%-ზე ნაკლებს შეადგენდა. პეტი ითვლიდა ეროვნულ შემოსავალს, როგორც მოსახლეობის სამომხმარებლო ხარჯების ჯამს და არ ითვალისწინებდა ეროვნულ შემოსავლის იმ ნაწილს, რომელიც მიმართული იყო დაგროვებისკენ.

პეტის სახელთანაა დაკავშირებული კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის თეორიის ჩასახვა, რომლის შემქმნელებადაც ა. სმითი და დ. რიკარდო გვევლინებიან.

ერთადერთი დიდი ნაშრომი, რომელიც იულიამ პეტის სიცოცხლეში გამოქვეყნდა5 იყო «ტრაქტატი გადასახადებისა და მოსაკრებლების შესახებ (1662 წ.)», სხვა დანარჩენი ნაშრომები – «პოლიტიკური არითმეტიკა (1690 წ.)», «სიტყვა-ბრძენებს (1691 წ.)», «ირლანდიის პოლიტიკური ანატომია (1691 წ.)» და «სხვადასხვა ფულზე (1695 წ.)» გამოქვეყნებული იქნა მისი გარდაცვალებიდან ათი წლის განმავლობაში.

უილიამ პეტის ყველა ნაშრომი ეძღვნებოდა იმ დროისათვის აქტუალურ პრაქტიკულ საკითხებს: ფულის რეფორმას, ღარიბების დახმარებას, საომარ ფინანსებს, ინგლისის სიძლიერეს მის კონკურენტებთან მიმართებაში და ა.შ. ის ყოველთვის გამოთქვამდა ზოგად პრინციპებს თითქმის შემთხვევით, კონკრეტული პრობლემების განხილვის დროს. ამასთან, მისი ნაშრომები წარმოადგენს ტერმინებისა და კონცეფციების უხვ წყაროს, რომელთა გათვალისწინება ხდებოდა მომდვენო სამი საუკუნის განმავლობაში: «სრული დასაქმება» და «ყველა სხვა თანაბარ პირობებში» სწორედ პეტის ტერმინებია; იდეა იმის შესახებ რომ ეროვნული შემოსავალი ტოლია ეროვნული ხარჯებისა; საზოგადოებრივი სამუშაოები, როგორც უმუშევრობასთან ბრძოლის მეთოდი; მიწა და შრომა როგორც წარმოების პირველადი ფაქტორები; გაზომვის ზოგადი ერთეულის ცნება, რომლის საშუალებითაც შეიძლება მიწისა და შრომის პროდუქტის კონვერტაცია; მოსახლეობის რაოდენობის ზრდა, როგორც ეროვნული აყვავების კრიტერიუმი; მსჯელობები იმაზე რომ გადასახადე-ბი ხარჯების პროპორციული უნდა იყოს და არა შემოსავლების და ამასთან, ის უნდა იყოს ნეიტრალური სიმდიდრის განაწილებასთან მიმართებაში; საგარეო

---

4 1215 წლის 15 ივნისს აჯანყებულმა ფეოდალებმა და სასულიერო პირებმა მოქალაქეების მხარდაჭერით აიძულეს ინგლისის მეფე ხელი მოეწერა სიგელისათვის, რომელსაც ეწოდა ,,თავისუფლების დიდი ქარტია". სიგელი შედგება პრეამბულისა და 63 სტატიისაგან. იგი შეიცავს პრივილეგიებისა და თავისუფლების გარანტიებს. განსაკუთრებით ცნობილია 39-ე პარაგრაფი, რომლის მიხედვითაც მეფეს ეკრძალებოდა მოქალაქეთა დაკავება და ქონების ჩამორთმევა სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე.

5 Марк Блауг 100 великых Экономистов до Кейнса-Спб, Омега-Л, 2008, გვ. 236

ვაჭრობის სარგებლიანობის შეფასებები სპეციალიზაციისა და შრომის ტერიტორიული დაყოფის ტერმინების გამოყენებით – პეტის იდეები იყო უაღრესად მრავალწახნაგოვანი, ის ახდენდა იდეების გენერირებას, რომელიც ეკონომიკის ყველა ასპექტს მოიცავდა.

ЗУРАБ ВАШАКИДЗЕ
МЕРАБ МИКЕЛАШВИЛИ

ЭКОНОМИЧЕСКИИЕ ВЗГЛЯДЫ У ПЕТТА, КАК ОДНОГО ИЗ ОСНОВАТЕЛЬЯ КЛАССИЧЕСКОЙ ПОЛИТЭКОНОМИИ

Резюме

Статья представляет теоретический анализ произведения Английского ученого Уильяма Петти "Трактат о налогах и сборах" (1662). Здесь он один из первых выставляет положение, что ценность предметов определяется количеством затраченного на их производство труда. Деньги подлежат общему закону ценности; они ускоряют и облегчают обмен, но богатство страны не заключается в одних деньгах; их излишек так же вреден для народного богатства, как и недостаток. Основываясь на этом, Петти отрицает теорию торгового баланса. Он высказывается против регулирования высоты процентов и против чрезмерного государственного вмешательства.Уильям Петти (1623-1687) — основоположник классической политической экономии в Англии, изложивший свои экономические взгляды в произведениях, опубликованных в 60-80-е годы XVII в. По словам К.Маркса, У.Петти — «отец политической экономии <...>, гениальнейший и оригинальнейший исследователь-экономист».

ინგა სიჭინავა

წარმატებული ადამიანების მორალურ-ფსიქოლოგიური თვისებები

ადამიანს არ შეუძლია ერთ ადგილზე გაჩერება, იგი მიიწევს წინ ან მოძრაობს უკუმიმართულებით. საინტერესოა, რა ახდენს გავლენას ადამიანის წარმატებაზე? რა უშლის ხელს მის წინსვლას? როგორ უნდა დაიგეგმოს პიროვნების კარიერა? როგორ მივაღწიოთ დასახულ მიზნებს? როგორ გავწიოთ ნაკლები ძალისხმევა და ვიყოთ მეტად ეფექტურნი? რაში მდგომარეობს წარმატებული მოღვაწეობის საიდუმლო? როგორ ვაწარმოოთ საჭირო კავშირები კარიერის დასაწყისშივე? ეს არის იმ კითხვების მცირე ჩამონათვალი, რომელიც ადამიანს მუდამ ებადება კარიერის შენების გზაზე.

წარმატების თემა არ ასვენებდათ საუკუნეების წინაც. ძველმა ბერძნებმა შექმნეს ბედნიერების თეორია, რომელსაც ევდემონიზმი უწოდეს. სიტყვა-სიტყვით ,,ევდემონია" კარგ ხასიათზე ყოფნას ნიშნავს. წარმატების ფორმულა შეიმუშავა აინშტეინმაც. ის ასე გამოიყურება: A=X+Y+Z, სადაც A-წარმატებაა, X – მუშაობა ანუ შრომა, Y – თამაში ანუ გართობა, ხოლო Z – ენაზე კბილის დაჭერა ანუ კარგი მოსმენა, როგორც იტყვიან ყველაფერი გენიალური მარტივია.

თუ ზემოთხსენებულ უნარებსა და ქმედებებს პროფესიონალიზმსა და მორალურობას დავამატებთ მივიღებთ საქმიანი ადამიანების წარმატების ყველაზე ეფექტურ ფორმულას. ამ უკანასკნელს ურთიერთობების ეთიკა და ფსიქოლოგია შეისწავლის;

ადამიანის მორალურობა შინაგანი კულტურის ისეთ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს ემყარება, როგორიც ღირსება და თავისუფლებაა. ეს ნიშნავს, რომ ადამიანი, პიროვნება, არა მარტო საკუთარ ღირსება-თავისუფლებას უნდა უფრთხილდებოდეს, არამედ პატივს უნდა სცემდეს თავისი პარტნიორებისა და თვით კონკურენტების (მეტოქეების) ღირსებებსა და თავისუფლებებსაც.

ეს წესი ყოველგვარ ურთიერთობებში აუცილებელია, განსაკუთრებით კი საქმიან ურთიერთობებში.

შემდეგი პრინციპი მოთმინება-პატიების უნარია; როცა მოთმინება აგრესიის შეკავება კი არაა (თუმცა ეს უნარიც დიდი ღირსებაა), არამედ პარტნიორის სულიერი და მატერიალური შესაძლებლობების გათვალისწინების შედეგია, მაშინ იგი შემწყნარებლობა-დიდსულოვნებაში გადაიზრდება და მაღალ სათნოებად ითვლება; ესაა ერთ-ერთი, რაც თავიდან გვაშორებს კონფლიქტურ სიტუაციებს როგორც ოჯახში, ისე საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა რგოლში.

რაც შეეხება აგრესიის შეკავებას, ცხადია ეს უნარიც აუცილებლად მოეთხოვება ადამიანს; იგი გარეგნულად ძალიან ჰგავს მოთმინებას, მაგრამ მასთან შედარებით უფრო დაბალი ზნეობრივი ღირებულება გააჩნია, ვინაიდან აგრესია შეკავებული ადამიანი შინაგანად მაინც გაღიზიანებული და მტრულად განწყობილი რჩება დაპირისპირებული მხარისადმი, რაც მომავალი მშვიდობიანი ურთიერთობის გარანტია არაა.

ადამიანთა შორის, განსაკუთრებით საქმიან ურთიერთობებში, ხშირად ჩნდება კონფლიქტის მიზეზები; მაგრამ თუ პარტნიორები ტაქტიანები და დელიკატურები არიან, მისი თავიდან აცილება შესაძლებელია.

ტაქტიანობა – პარტნიორისადმი ნებისმიერ სიტუაციაში გამოვლენილ პატივისცემას ნიშნავს (ის შეიძლება იყოს ოჯახის წევრი, მეზობელი, ამხანაგი, ქვეშევრდომი, რიგითი მთხოვნელი, ახლადგაცნობილი და ა.შ.); ესაა ზომიერების გრძნობა, რომელიც ადამიანს უკარნახებს ყველაზე უფრო სწორ, ყველაზე უფრო თავაზიან მიდგომას ვისიმე ან რისიმე მიმართ. ხოლო დელიკატურობის ცნებაში – ურთიერთობებში გამოვლენილი თავაზიანობა და ყურადღებიანობა იგულისხმება, რაც მაღალკულტურული ადამიანისთვისაა დამახასიათებელი.

საქმიანი ურთიერთობებისას ეს თვისება იმდენად აუცილებელია, რომ «შრომის იარაღადაც» კი არის მიჩნეული. განსხვავებული ტრადიციებისა და აღმსარებლობის ადამიანებთან ურთიერთობისას ტაქტის დაცვას განსაკუთრებულად მოითხოვენ, რათა მათი, ერთი შეხედვით ჩვენთვის გაუგებარი (ზოგჯერ მიუღებელიც) ტრადიცია არ შეურაცხვყოთ.

ურთიერთობებში ტაქტიანობა და დელიკატურობა დიდადაა დამოკიდებული ზომიერების გრძნობაზე, რამდენადაც, უტაქტობად ითვლება არა მარტო უყურადღებობა (ან მედიდურობა), არამედ, პარტნიორით ზედმეტი დაინტერესება ან მლიქვნელობა.

ურთიერთობების ეთიკა და ფსიქოლოგია ისეთ ზოგადსაკაცობრიო ცნებაზეა ორიენტირებული, როგორიც სამართლიანობაა. იგი ადამიანთა ინდივიდუალობის აღიარებას, პიროვნულ-საქმიანი უნარების და მოღვაწეობის ობიექტურ შეფასებას და პარტნიორთა ინტერესებზე ზრუნვას გულისხმობს. ამ სათნოებაზე ბევრადაა დამოკიდებული ადამიანთა წარმატებული მოღვაწეობა, განსაკუთრებით – ბიზნეს-ურთიერთობებში.

- ცნობილია ფაქტი, როცა ამერიკულმა «ჯენერალ მოტორსის» ფირმამ 3.5 მილიონი დოლარი მარტო საფოსტო ხარჯებისათვის გაიღო, რათა თავისი 6.5 მილიონი კლიენტი დროულად გაეფრთხილებინათ მათ მიერ დამზადებულ ავტომანქანაში აღმოჩენილი ტექნიკური დეფექტის შესახებ; მართალია მაშინ ამით ფირმამ ეკონომიკურად იზარალა, მაგრამ, სამაგიეროდ, საიმედო პარტნიორის იმიჯი შეიძინა, რის შედეგადაც კლიენტურა მნიშვნელოვნად გაეზარდა და ეკონომიკური ზარალიც ერთიორად აუნაზღაურდათ, წერენ სპეციალისტები.

ურთიერთობების ეთიკაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს **პასუხისმგებლობის გრძნობას**, რაც სამართლიანობის გრძნობას მჭიდროდ უკავშირდება. ესაა მიცემული დაპირების ან ნაკისრი ვალდებულების აუცილებლად შესრულება და იგი ერთნაირად აუცილებელია როგორც ოჯახურ, ისევე მეგობრულ, განსაკუთრებით კი საქმიან ურთიერთობებში; სწორედ ამას გულისხმობს ქართულ ენაში ცნობილი გამოთქმა – «სიტყვის კაცი», რაც პიროვნების ერთ-ერთ ყველაზე გამორჩეულ მახასიათებლადაა მიჩნეული; ხოლო გამოთქმა – «უპირო კაცი» სალანძღავ ეპითეტად ითვლება; ვისაც ამგვარად მოიხსენიებენ, როგორც წესი, მათთან ურთიერთობა არავის სურს.

საქმიან ურთიერთობებში დიდ როლს ასრულებს პარტნიორის **კარგი რეპუტაცია;** რეპუტაცია ფრანგული სიტყვაა და ვისიმე (ან რისამე) ღირსებათა და ნაკლოვანებათა შესახებ შექმნილ საერთო აზრს, შეხედულებას გამოხატავს; მისი შექმნა ძნელია, მას წლები სჭირდება, მაგრამ დაკარგვა – ძალზე ადვილია უყურადღებობის, უკულტურობის ან უტაქტობის გამოვლენით. ახლობლების თვალში კარგი რეპუტაციის (ავტორიტეტის) დაკარგვა თანდათანობით ხდება, მაგრამ მათთან კონტაქტების გაწყვეტა ძალზე ძნელი ან იშვიათია. საქმიან ურთიერთობებში კი იგი ერთბაშად ხდება, არაკომპეტენტურობის ან არაკეთილსინდისიერების გამოვლენისთანავე; ასე ყოფილა თითქმის ყველა ქვეყანაში.

რეპუტაციის შესაქმნელად დიდი მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, **მეტყველების კულტურას, ჩაცმულობას, მანერებს, ოფისის ინტერიერს** და ა.შ., ანუ ყოველივე იმას, რასაც ეთიკაში **გარეგან კულტურას** უწოდებენ;

გარეგანი კულტურა მნიშვნელოვანია კარგი რეპუტაციის შესაქმნელად, მაგრამ მისი შენარჩუნებისთვის მხოლოდ შინაგანი კულტურის მახასიათებლები მნიშვნელობს; რაც უნდა კარგად მეტყველებდეს ან გემოვნებით იცვამდეს ადამიანი, თუ ის მიცემულ პირობას არ იცავს, ვალდებულებებს არ ასრულებს, უსამართლოა ან მხოლოდ საკუთარ საჭიროებებს ხედავს და პარტნიორის ინტერესებს პატივს არ სცემს, სულ მალე, საქმიან ურთიერთობებში მარტო დარჩენა ემუქრება.

შინაგანი კულტურის პრინციპების დაცვას დიდი სარგებლობა მოაქვს როგორც პიროვნების, ისე საზოგადოებისთვის; ე.წ. «კულტურულ ბიზნესში» ასეთი დევიზიც კი არსებობს – **«უპირველეს ყოვლისა მოგება, მაგრამ ღირსება სარგებლობაზე უფრო მაღლა დგას!».**

თანამედროვეობა დიდ ყურადღებას უთმობს «კულტურულ ბიზნესს», რამდენადაც დღეს მხოლოდ ასეთ ბიზნესს მოაქვს მოგება როგორც ბიზნესმენისთვის, ასევე საზოგადოებისთვის.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შემდეგ დასკვნებს აკეთებენ – თანამედროვე საქმიან ადამიანებს უნდა შეეძლოთ არა მარტო თავის საქმეში სიახლეებისა და ცვლილება-გაუმჯობესების მუდმივად შეტანა, ყველაფრის ხელახლა დაწყება, ჩამორჩენილობის დაძლევა, რისკის ქვეშ ცხოვრება და ყველაფერზე პასუხისმგებლობის აღება, არამედ:

- საკუთარი და სხვისი ღირსების პატივისცემა, მომთმენობა, ტაქტიანობა, და დელიკატურობა (თავაზიანობა, ფრთხილი, წინდახედული მოპყრობა), ურთიერთ ნდობის ატმოსფეროს შექმნა;
- იმის რწმენა, რომ ღირსება მოგებაზე უფრო მაღლა დგას;
- კონკურენციის გარდუვალობის და თანამშრომლობის აუცილებლობის აღიარება;
- არა მარტო საკუთარი მოღვაწეობის (საქმიანობის), არამედ სხვების, მათ შორის კონკურენტების პატივისცემა და დაფასება;
- რისკისთვის მზადყოფნა;
- ყოველი გადაწყვეტილების და რისკის შედეგებზე პასუხისმგებლობის თავისთავზე აღება.

ადამიანს, წარმატებული მოღვაწეობისთვის აუცილებლად უნდა ახასიათებდეს:

- მიცემული სიტყვის თავის დროზე შესრულება; შეუსრულებლობისას – თავის მართლების ნაცვლად ახალი ვადის განსაზღვრა და მისი აუცილებლად შესრულება;
- საკუთარი ძალების რწმენა, მაგრამ არავითარ შემთხვევაში – ზედმეტი თავდაჯერებულობა;

- იმის ცოდნა, რომ ყველაზე საუკეთესო მხოლოდ საკუთარი პოზიცია როდია, რომ შესაძლოა სხვას უკეთესიც ჰქონდეს!
- სხვების პირადი მოტივებისთვის ანგარიშის გაწევის უნარი; მათი ნაკლოვანებებისადმი შემწყნარებლობა, თუკი ისინი საქმიან ურთიერთობებს ხელს არ უშლიან;
- მხოლოდ იმ საკითხების გადაჭრაში მონაწილეობა, რომელში ჩართვაც მისთვის აუცილებელია;
- ხელქვეითების შექება – სხვების წინაშე, გაკიცხვა – სხვების გარეშე;
- უსარგებლო შემოთავაზებისგან ტაქტიანად თავის არიდება;
- დაბნეულობის შემთხვევების აღმოფხვრა საკუთარ ქცევა-მოქმედებებში;
- წარუმატებელი საქმიანობის ყოველი დეტალის ანალიზი.

INGA SICHINAVA

SYCCESSFULL PEOPLE'S MORAL-PSYCHOLOGICAL ASPECTS

Summary

Specialists of ethics-psychology are interested in not only defining what part of population comes up or down on social stairs, but in determining what type of persons executes these changes most frequently, as well as which characters and habits are necessary for establishing business relationships and being more effective and successful. Specialists offer correct model of self-realization taking account of which is a guarantee of success of business relationship. This model takes into account such characters as morality, professionalism, internal culture, dignity, liberty, ability of endurance-forgiveness, sense of tact, delicacy, justice, sense of responsibility. Above-mentioned characters create good reputation, creation of which needs many years, but loss of it is very easy by negligence, lack of culture or tactlessness.

"Businesspersons", if they would like to be really successful, are advised to look through this list and if they find their own characters in it, they can continue their usual activity but if they cast doubt in necessity of them, it` s better to transfer their business to the others, because they will not be successful. Young people are advised to lead by these recommendations from the beginning of "business" which will become favorable condition for their further progress and development; "Successful people are not born, people become successful" or our future is in our hands and people must remember it always.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. В. Сухарев, Этика и Психология делового человека, М, 1997.
2. Д. Майерс, Социальная Психология, С-Пб, 1997.
3. გაფრინდაშვილი რ., ბიზნესის ეთიკა და შრომის ფსიქოლოგია, ლექციების კურსი, სტუ ბიბლიოთეკა, CD 328.

ვანო ჭიაურელი
რუსუდან სტრელკოვა

რეკლამის როლი და მნიშვნელობა სოციუმში

მასკომუნიკაციის საშუალებები დღითიდღე ვითარდება და იხვეწება, ვითარდება ტექნოლოგიები და გარემო, მაგრამ ადამიანის ჰუმანური თვისებები და მოთხოვნილებები უცვლელი რჩება. ადამიანს, როგორც თანამედროვე საზოგადოების წევრს, ისევე როგორც შუასაუკუნოვან ადამიანს ესაჭიროება საკუთარი თავის იდენტიფიცირება და სოციუმთან რაიმე ერთი ნიშნით მაინც გაერთიანება და გაიგივება თუ გავიხსენებთ ქართულ ადათ-წესებს, სასჯელის უმაღლეს ფორმას ტომიდან მოკვეთა წარმოადგენდა.

მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ადამიანისთვის მეტი კომფორტი და პირობა არის შექმნილი, რომ მან თავი წარმატებით გაართვას დამოუკიდებელ ცხოვრებას, მაინც მისი ბუნებიდან გამომდინარე, მისი ფსიქიკური ჯანმრთელობისათვის აუცილებელია სოციუმთან გაერთიანება და რომელიმე სოციალურ ფენასთან მაინც თავის დაკავშირება.

ჩვენი სტატია მიზნად ისახავს განსაზღვროს და ანალიზი მოახდინოს თანამედროვე ადამიანის არსებობაზე რამდენად ძლიერად ზემოქმედებს ან ზეგავლენას ახდენს მასობრივი კომუნიკაციების საშუალებები, უფრო ზუსტად კი, რეკლამა ინდივიდისა და სოციუმის ურთიერთობებზე, ასევე სოციუმის ღირებულებათა სისტემის ჩამოყალიბებაზე. სტატიაში განიხილება თუ რამდენად პრობლემატურია თანამედროვე ადამიანის ურთიერთობა მის გარემოსთან, როცა რეკლამა წარმოადგენს მანიპულირების საშუალებას და ხშირად კარნახობს ადამიანებს ქცევის მოდელებსა და ახალ იდეალებს.

სამწუხაროდ ხშირ შემთხვევაში, შეუძლებელია ციფრული მაჩვენებლებით გამოიხატოს ის გრანდიოზული ზეგავლენა, რომელიც შესაძლოა კონკრეტულმა რეკლამამ იქონიოს საზოგადოებაზე, მისი აზრის ჩამოყალიბებაზე. რადგან ხშირად, სარეკლამო კამპანიების შექმნისას, მათი მწარმოებლები ხელმძღვანელობენ ფსიქოლოგიური ტექნოლოგიებით, რათა ადამიანის არათუ ცნობიერზე, არამედ ქვეცნობიერზე მოახდინონ ზეგავლენა, შეუცვალონ მას აზრი არა მხოლოდ რაიმე პროდუქტის შესახებ, არამედ ზემოქმედება მოახდინონ მსოფლმხედველობაც კი.

თანამედროვე რეკლამირების საშუალებები მით უფრო სახიფათო ხდებიან ადამიანისთვის, რაც უფრო იხვეწებიან. ნიშანდობლივი და ყურადსაღებია ის ფაქტი, რომ ადამიანების უმეტესობა რეკლამას სერიოზულად არ უყურებს, ან რაც მნიშვნელოვანია, ჰგონია რომ არ უყურებს. ხშირად გაიგებთ ხოლმე «მე რეკლამას არ ვუყურებ და შესაბამისად, ყურადღებას არ ვაქცევ», მაგრამ სტატისტიკურად, სწორედ ისეთი კატეგორიის ადამიანებისაგან ისმის ასეთი განაცხადები, რომელნიც ფაქტობრივად ძალიან ძლიერ არიან დამოკიდებულნი რეკლამის მიერ ნაკარნახევ «თამაშის წესებზე».

განსაკუთრებით სათუთი და საფრთხილოა მოზარდის ფსიქიკა რეკლამასთან მიმართებაში. რადგან მოზარდი, ეს ის ინდივიდია, რომლის ფსიქიკა ყალიბდება და დინამიურია, მას ჯერ არ გააჩნია სტაბილური, მდგრადი შეხედულებები და მსოფლმხედველობა. თუმცა, არსებობს კანონმდებლობა, რომელიც ცდილობს დაარეგულიროს და სისტემაში მოიყვანოს ის ქაოტური და მავნე ნაკადი რომელსაც რეკლამა ეწოდება, მაგრამ მაინც ხშირად მისი ზიანი აშკარაა.

არსებობს რეკლამის წინასწარი ტესტირების მეთოდები, როგორიცაა მაგალითად ფოკუს ჯგუფების ჩატარება, სადაც, რაიმე ნიშნით შერჩეულ ადამიანებს აჩვენებენ სარეკლამო რგოლს და შემდეგ მათ აზრს სწავლობენ, ვიდრე რეკლამა ტელევიზიაში დატრიალდება. მაგრამ, ეს წინასწარი ტესტირებაა და ამ ტესტირების უკან დგანან დაინტერესებული პირები – პროდუქციის მეწარმე და რეკლამის შემქმნელები, და არა საზოგადოება.

ერიხ ფრომი წიგნში «ადამიანური სიტუაცია» განიხილავს ადამიანის თვითიდენტიფიკაციის პრობლემას. ადამიანი წარმოადგენს სოციალურ ცხოველს, რომელსაც, ფაუნის სხვა წარმომადგენლებისაგან განასხვავებს თვითანალიზის უნარი. ადამიანი საკუთარ თავს აღიქვამს როგორც ცალკეულ ინდივიდს და ამავდროულად, ის აცნობიერებს თავის განცალკევების, სხვა მისნაირი ინდივიდებისაგან ცალკე არსებობის პრობლემას. შესაბამისად, ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ფაქტორი ხდება საკუთარი «მე»-ს, ანუ თვითიდენტიფიკაციის ჩამოყალიბების საკითხი. ადამიანი ამბობს: «მე ქართველი ვარ» ან «მე მხატვარი ვარ», «მე შვილი ვარ» რომ განსაზღვროს, მიაკუთვნოს საკუთარი თავი სოციუმს – ეროვნულობის, პროფესიის ან ოჯახური სტატუსის ნიშნით და ასევე ამავე ნიშნებით მოახდინოს საკუთარი თავის იდენტიფიცირება. თვითიდენტიფიკაცია, როგორც მიზანი და ასევე სწრაფვა სოციუმთან რაიმე ნიშნით გაერთიანებისა

და სოციუმის მხრიდან აღიარებისა წარმოადგენენ ადამიანის არსებობის საკვანძო პრობლემებს. ერიხ ფრომის წიგნში «ადამიანური სიტუაცია» განხილულია სწორედ ეს პრობლემატიკა. ავტორი საუბრობს თანამედროვე ადამიანის ილუზორულ და ყალბ ღირებულებებზე. მას მაგალითად მოჰყავს ე.წ. «პიროვნებათა ბაზარი», სადაც ყოველი ინდივიდის შეფასება ხდება იმ კრიტერიუმებით, რომლებიც პოპულარული ან მოდურია ზემოთ აღნიშნულ ბაზარზე, შესაბამისად, ადამიანი, რომელიც ჩართულია სოციუმთან «საბაზრო ურთიერთობებში» კომფორმიზმის მსხვერპლი ხდება, რადგან ცდილობს რომ მისი ღირებულება «პიროვნებათა ბაზარზე» მაქსიმალურად მაღალი იყოს. ის მიისწრაფის რომ პოპულარული და მოდური თვისებიბი მოიპოვოს და საკუთარ თავს მიანიჭოს და ამ თვისებების დევნაში, შესაძლოა ჭეშმარიტი «მე-»ს პოვნაში კრახი განიცადოს.

რეკლამა წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოების მანიპულირების ძლიერ და მნიშვნელოვან იარაღს. ხშირ შემთხვევაში, რეკლამა პირდაპირი ან ირიბი, სუბლიმირებული გზით გვკარნახობს, თავს გვახვევს ახალ ღირებულებებს, მოდას, ყოველივე იმას, რაც აქტუალური იქნება «პიროვნებათა ბაზარზე». არსებობს შემთხვევები, როცა რეკლამამ ხელი შეუწყო ახალი კულტურებისა და სუბკულტურების ჩამოყალიბებას. მაგალითად ურბანისტულ-მოზარდთა კულტურა არ არსებობდა, ვიდრე «ნაიკის» სარეკლამო კამპანია არ შეიქმნებოდა. ეს იყო კომერციული რეკლამის ტიპური მაგალითი, რომელიც თავის ვიწრო მიზანს გასცდა და სხვა ფუნქციებიც შეიძინა. ერთმანეთისგან განასხვავებენ სხვადასხვა ტიპის რეკლამას.

კომერციული რეკლამის მიზანია გამოიწვიოს მომხმარებელში ნივთის შესყიდვის სურვილი და ამიტომ აწვდის ინფორმაციას რეკლამირებადი ნაწარმის ან სერვისის შესახებ. სოციალური რეკლამა კი – როგორც წესი, პროპაგანდის ხასიათს ატარებს და მოუწოდებს აუდიტორიას ყურადღება გაამახვილოს ისეთ სოციალურ პრობლემატიკაზე, როგორიცაა შიდსი, სექსუალური უმცირესობების და ბავშვთა უფლებების დარღვევა, ამნისტია და ა. შ.

იმიჯის (რეპუტაციის რეკლამა) მიზანია დაამკვიდროს ან შეუნარჩუნოს უკვე არსებული პოზიტიური რეპუტაცია პოლიტიკურ პარტიას, პოპვარსკვლავს, სადაზღვევო კომპანიას ან ნაწარმს. იმიჯური რეკლამის მაგალითებია პოლიტიკური და კორპორატიული რეკლამა და ასევე ინსტიტუციონალური რეკლამა, რომელიც რაიმე საქმიანობის ან სფეროს რეპუტაციის გაუმჯობესებაზეა გათვლილი.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ვკითხულობთ: შავი მაგია არის საკუთარი ანგარებიანი საწადელის მიღწევის ხელოვნება ადამიანების მოტივების, მისწრაფებებისა და აზრების ფარული მართვის გზით. შეიძლება ითქვას, რომ რეკლამის მიზანიც იგივეა. ამიტომ, ასეთი იდეოლოგიური მსგავსება შავ მაგიასთან იწვევს ბევრ დავას იმის თაობაზე, თუ რაოდენ ეთიკურია რეკლამაში გამოყენებული ფსიქოლოგიური მანიპულაციები, რომელიც მომხმარებელს უბიძგებენ, ხანდახან ქვეცნობიერად აძალებენ კიდეც შეიძინოს საქონელი, რომელიც მას სულ არ სჭირდება. მართებული იქნება დავარქვათ რეკლამას «სოციალური ნარკოტიკი», რადგან რეკლამას ძალუძს, თუნდაც სტიქიურად გაავრცელოს და ჩამოაყალიბოს მომხმარებლის ჩვევები, დამოკიდებულება, ილუზიები და სტერეოტიპები, ის მათ იყენებს, სწავლობს მაგრამ არ ცდილობს შეცვალოს სამყარო უკეთესობისაკენ. რეკლამა წარმოქმნის ხელოვნურ მოთხოვნას სხვადასხვა საქონელზე «იძულებითი მოხმარების» სისტემის ორგანიზაციით. თანაც, ხშირ შემთხვევაში ხდება არა მხოლოდ მომხმარებლური არამედ იდეოლოგიურ-აზრობრივი სასიცოცხლო ორიენტაციების ფსიქო-დაპროგრამება მილიონობით ადამიანებისა, ამიტომ აშკარაა რაოდენ დიდია რეკლამის როლი თანამედროვე ცივილიზაციაში, რადგან ის ზემოქმედებას ახდენს ყველა ჩვენთაგანის ბუნებრივ სურვილზე შევცვალოთ რამე უკეთესობისაკენ. თუ დავღეჭავთ «ორბიტს», ჩვენი კბილები თეთრი იქნება, ჩვენ მოვეწონებით ყველას ჩვენს ირგვლივ, ჩვენ კარგად მიგვიღებენ და ჩვენ ამით კმაყოფილები დავრჩებით. იმიტომ რომ, ადამიანს ძლიერ სჭირდება იყოს მიღებული სოციუმის სხვა წევრების და მთლიანად საზოგადოების მიერ. ამისათვის კი ის აუცილებლად გარკვეულ სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს, და ამ სტანდარტებს ისევ და ისევ რეკლამა გვიყალიბებს. იმისათვის რომ ადამიანმა თავი განმარტოებულად არ იგრძნოს და გაუცხოება არ განიცადოს, ის ყველა ძალასა და ღონეს ხმარობს, რომ შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს, რომლებიც სისტემატიურმა, ინტენსიურმა, უწყვეტმა, აგრესიულმა რეკლამის დინებამ ჩამოაყალიბა. არ არსებობს კანონმდებლობა, რომელიც დაარეგულირებს ან გაფილტრავს სარეკლამო ბიზნესის ფსიქოლოგიური ზეწოლის ასპექტებს, აქ ნდობის ფაქტორი მოქმედებს მხოლოდ რეკლამის დამამზადებლის ეთიკური ნორმების ფარგლებში. ამიტომ, მწარმოებლის მთავარი პრინციპი უნდა იყოს ის, რომ მან მხოლოდ მიაწოდოს ინფორმაცია ნაწარმის შესახებ და არა გამოიყენოს თავისი შესაძლებლობები მომხმარებლის მანიპულირებისათვის. თუმცა, ფარული რეკლამის არსებობას არავინ უარყოფს, რეკლამის მწარმოებლებიც კი. ფარული რეკლამის ერთ-ერთ გავრცელებულ მაგალითს წარმოადგენს პროდუქ-

ციის კინოფილმებში განთავსება და ასევე ისეთი გახმაურებული მოვლენა, როგორიცაა 25-ე კადრი. ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩაატარეს გამოკვლევა, სადაც წამის 1/3000 მანძილზე, ერთ-ერთ კინოფილმის ჩვენების დროს გაუშვეს სიტყვები: ჭამეთ პოპკორნი და დალიეთ კოკა-კოლა. შედეგი იყო ის, რომ პოპკორნზე მოთხოვნილება 57 პროცენტით გაიზარდა, ხოლო კოკა-კოლაზე კი – 18 პროცენტით. იყო შემთხვევა, როცა ერთი ადამიანი აბრალებდა ლიქიორის მწარმოებელს იმას, რომ მისი პროდუქციის რეკლამა მასში სექსუალური სურვილების გამოწვევას ქვეცნობიერი გზით ცდილობდა, რადგან ლიქიორის რეკლამაზე გამოსახულ ჭიქაში ჩაყრილ ერთ-ერთ ყინულის ჩრდილზე თვალნათლივ იკითხებოდა პორნოგრაფიული ფოტო. ბევრი დავა და მითქმა-მოთქმა არსებობს იმაზე, რომ პროფესიონალი რეკლამის შემქმნელები ხშირად იყენებენ ფარულ ზემოქმედების საშუალებებს რეკლამაში თავის მიზნებისათვის, ამ მოვლენას ადამიანის ზღურბლქვეშა აღქმაზე, მის ქვეცნობიერზე ზემოქმედება ეწოდება. მიჩნეულია, რომ ადამიანი ღებულობს სხვადასხვა ტიპის საინფორმაციო სიგნალს და ატარებს მას ფიზიოლოგიურ ფილტრებში სენსორული საშუალებებით, მაგრამ არ ახდენს მიღებული ინფორმაციის გააზრებასა და რაციონალიზაციას. აქედან გამომდინარე, ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ რეკლამას შეუძლია ადამიანის ქვეცნობიერით მანიპულირება.

VANO CHIAURELI
RUSUDAN STRELKOVA

THE POLE OF ADVERTISING IN SOCIETY

Summary

Advertising has many diverse functions apart from selling. In terms of social phenomenon, it can be and is a strong stimulus for action. It helps to form the taste and values of society and in some societies, the influence of advertising is so immense that we can speak of formation of totalitarian regime by advertising. Advertising facilitates and suggests the modes of communication between people. It creates communication and status stereotypes, which are then assimilated by the society and its members in terms of role-playing. How exactly the influence of advertising is being organized and then spread in the different social strata is the topic of interest and research.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Э.Фромм. Человеческая Ситуация. (Смысл. Москва 1995)
2. А. Лебедев-Любимов- Психология Рекламы (изд. “Питер” 2002)
3. ქრის რაისი - შევიცნოთ მომხმარებელი. (გამომცემლობა ტექინფორმი” 2001)
4. ტომ კენონი – მარკეტინგი, თეორია და პრაქტიკა (გამომცემლობა “ლეგა” 1998)
5. ვ. ჭიაურელი, ს. ლომინაძე, რ. სტრელკოვა – საზოგადოებრივი ურთიერთობების ძირითადი პრინციპები (სტუ 2006)
6. Jean Kilbourne. Jesus is a Brand of Jeans. The New Internationalist Magazine. Issue 393. 2006 http://www.newint.org/features/2006/09/01/culture/

ბორის ბოქოლიშვილი

სამანქანათმშენებლო განათლების მოკლე ისტორია და პერსპექტივები

„აღდგენა ისტორიისა ერის გამოცოცხლებაა, გამომხნევებაა, აწმყოს გაგება და წარმართვაა, მერმისის გამოკვლევაა“.

ი. ჭავჭავაძე

„ვისაც თავისი ქვეყნის ცნობა უნდა, უნდა იცოდეს ისტორია თავისი ქვეყნისა“.

ნ. ნიკოლაძე

„ვისაც თავისი ქვეყნის ეკონომიკურ-სამრეწველო დარგში მუშაობა უნდა, უნდა იცოდეს ამ ქვეყნის მრეწველობისა და ტექნიკის წარსული“.

ი. ყიფშიძე

მანქანათმშენებლობა ადამიანის მოღვაწეობის ყველაზე ფართო დარგია. მსოფლიოს ცივილიზაცია წარმოუდგენელია სამანქანათმშენებლო მრეწველობის გარეშე, რომლის პროგრესსაც ემსახურება მუშების, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის და სამეცნიერო საქმეში მოღვაწე ადამიანების უდიდესი არმია. პირველი პრიმიტიული მანქანის შექმნიდან დღემდე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის კვალდაკვალ საჭირო ხდებოდა თეორიულად და პრაქტიკულად განსწავლული სამანქანათმშენებლო კადრების მომზადების აუცილებლობა და მსოფლიოში ახლად ჩამოყალიბებულ ყველა უმაღლეს სასწავლებელში სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის პარალელურად იხსნებოდა საინჟინრო ფაკულტეტები.

მეცნიერებისა და ტექნიკის ისტორიას ჩვენს პირობებში აქვს უდიდესი როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა. მან უნდა აღმოაჩინოს ისტორიული კანონზომიერება, რათა გამოარკვიოს მეცნიერებისა და ტექნიკის კავშირი სოციალურ-ეკონომიურ ფორმებთან, განაჭვრიტოს ის გამოვლინებანი მეცნიერებისა და ტექნიკისა, რომელნიც უნდა განვითარდნენ მომავალში.

უმაღლესი განათლების ისტორია საქართველოში შორეულ საუკუნეებში იღებს სათავეს (ფაზისის, გელათის, იყალთოს, გრემის აკადემიები). მას შემდეგ, რაც ჟამთა სიავემ შეაწყვეტინა საქმიანობა განათლების ამ უძველეს კერებს არა ერთმა საუკუნემ განვლო, ვიდრე კვლავ არ გაღვივდებოდა სწრაფვა უმაღლესი განათლებისადმი და აღორძინების პერიოდად ითვლება მე-17– მე-18 საუკუნე, როცა ვახტანგ VI-მ თბილისში დაარსა სტამბა და დასაბამი მისცა განათლებისა და მეცნიერების განვითარებას. ვახტანგ VI და მისი პერიოდის სწავლულები სულხან-საბა ორბელიანი, ვახუშტი ბაგრატიონი და სხვები ესწრაფოდნენ ეხსნათ და შეენარჩუნებინათ ის კულტურული მემკვიდრეობა, რომელიც გადაურჩა განადგურებას.

მე-18 საუკუნის მეორე ნახევარში, ერეკლე მეორის მეფობის პერიოდში საქართველოში დიდ აღმავლობას აღწევს მსხვილი წარმოებების საქმიანობა. განსაკუთრებით გაიზარდა სამთამადნო წარმოება, ხელოსნობა. შესაბამისად გამოცოცხლდა და განვითარების ახალ საფეხურზე ავიდა განათლებაც. მე-18 საუკუნის მიწურულში კათალიკოს ანტონ I-ის ინიციატივით თბილისში, სიღნაღსა და თელავში გაიხსნა სპეციალური სკოლები, რომლებიც შემდეგ სემინარიებად გარდაიქმნენ და სლავურ-ბერძნულ-ლათინური აკადემიების გეგმით მუშაობდნენ.

ქართველ მწიგნობართა საქმიანობა და მიღწევები მე-19 საუკუნის ორმოციან წლებში ხელს უწყობდა საქართველოს მოწინავე საზოგადოებრიობას უფრო პრინციპულად დაესვათ უმაღლესი სასწავლებლის გახსნის საკითხი, მაგრამ მათი ყველა მცდელობა მთავრდებოდა მეფის რუსეთის მთავრობის ფორმალური შეპირებებით, ოფიციალური პირები კი, ვისაც დავალებული ჰქონდა საკითხის პრაქტიკული გადაწყვეტა ამტკიცებდნენ „საქართველო ჯერ კიდევ არ არის მზად იმისათვის, რომ საკუთარი უნივერსიტეტი ჰქონდესო“.

1849 წელს დამუშავებული იქნა დებულება „კავკასიის მკვიდრ მცხოვრებთა რუსეთის უმაღლეს და სპეციალურ სასწავლებლებში აღზრდის

შესახებ“, რომლის მიხედვით გათვალისწინებული იყო 160 ახალგაზრდის გაგზავნა რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში, მათგან სპეციალური ტექნიკური განათლებისათვის, სულ კავკასიიდან, გათვალისწინებული იყო 12 ახალგაზრდის გაგზავნა.

მე-19 საუკუნის 60-70-იანი წლებიდან მოხერხდა მხოლოდ რამდენიმე პედაგოგიური სასწავლებლისა და სემინარიის გახსნა, პოლიტექნიკური ინსტიტუტის გახსნის თაობაზე კი ინტენსიური მცდელობები დაიწყო 90-ანი წლებიდან თუმცა, გადიოდა ათწლეულები და საკითხის გადაწყვეტას ბოლო არ უჩანდა. მანამ, სანამ 1917 წლის 6 მაისს დროებითი მთავრობის მიერ არ დამტკიცდა კანონპროექტი თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის დაარსების შესახებ. მთავრობის გადაწყვეტილებით ინსტიტუტი შედიოდა სახალხო განათლების სამინისტროს უწყებაში და დროებითი შტატი მტკიცდებოდა 1917 წლის პირველი ივლისიდან.

თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გათვალისწინებული იყო ოთხი ფაკულტეტი – სასოფლო სამეურნეო; ქიმიური; ჰიდროტექნიკური (ჰიდრო-მექანიკური და ჰიდროელექტრომექანიკური განყოფილებებით) და ეკონომიკური. შესაბამისად კურსდამთავრებულებს ენიჭებოდათ: სწავლული აგრონომების, ინჟინერ-ტექნოლოგების, ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსების ეკონომიური თუ კომერციული მეცნიერების კანდიდატის კვალიფიკაცია. ამრიგად, უმაღლესი სასწავლებლის გახსნისათვის წარმოებული მრავალწლიანი ბრძოლა დამთავრდა, დამთავრდა იგი მოწინავე საზოგადოებრიობის გამარჯვებით – თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გახსნით. საქართველოსა და მთლიანად ამიერკავკასიაში უმაღლესი განათლების ისტორიაში ახალი ერა დაიწყო.

თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორთა შემადგენლობაში გახსნის პირველი დღეებიდან მოღვაწეობდნენ ისეთი შესანიშნავი ქართველი მეცნიერები, როგორებიც იყვნენ: პ. მელიქიშვილი, ა. დიდებულიძე, ნ. მუსხელიშვილი, ა. ჯავახიშვილი, ა. თვალჭრელიძე, ა. ბენაშვილი, ა. ავალიანი, გ. გედევანიშვილი და სხვები.

პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა პირველი სპეციალისტები გამოუშვა 1922 წელს და ეს წელიწადი შეიძლება ჩაითვალოს მანქანათმშენებელ ინჟინერთა გამოშვების წლად.

საქართველოში ინჟინერ-მექანიკოსთა მომზადება პარალელურად 1922 წლიდან დაიწყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტზე.

როგორც ჩანს, საქართველოს ახალგაზრდა საბჭოთა მთავრობას არ მოსწონდა საქართველოში ორი უმაღლესი სასწავლებლის პარალელური საქმიანობა და 1928 წლის 19 ივლისს საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატში ჩატარდა თათბირი, რომელმაც განიხილა საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული დროებითი დებულება თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის შესახებ და გამოიყო კომისია თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ინსტიტუტის გაერთიანების ტექნიკური საკითხების მოსაგვარებლად. კომისიის შემადგენლობაში შევიდნენ გ. გედევანიშვილი, კ. ზავრიევი, ნ. მუსხელიშვილი, ე. პეტკევიჩი და გ. წულუკიძე. გადაწყდა, მომავალ საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გაერთიანებულიყო სამი ფაკულტეტი:

საინჟინრო-სამშენებლო ოთხი – გზები და ხიდები; ჰიდრო-ტექნიკური; სამოქალაქო ინჟინრების და სატრანსპორტო საექსპლუატაციო განყოფილებით.

მექანიკური ფაკულტეტი ორი – მექანიკური და ელექტრომექანიკური განყოფილებით.

სამთო-ქიმიური ფაკულტეტი ორი – სამთო და ქიმიურ-ტექნოლოგიური განყოფილებით.

ფაკულტეტების დეკანებად შესაბამისად ინიშნებიან კირიაკ ზავრიევი, გიორგი გედევანიშვილი და გრიგოლ წულუკიძე.

ამრიგად, 1927-28 სასწავლო წლის ბოლოს დამთავრდა თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის მოღვაწეობა და მის ნაცვლად 1928-29 სასწავლო წლის 1 ოქტომბრიდან მუშაობას შეუდგა საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი, რომელიც შეიქმნა თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტექნიკური ფაკულტეტის შერწყმის შედეგად და მანქანათმშენებელ ინჟინერთა მომზადება გაგრძელდა მასში შემავალი მექანიკურ ფაკულტეტზე. მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტმა, როგორც დამოუკიდებელმა სტრუქტურამ ფუნქციონირება დაიწყო 1936 წლიდან. ამ ფაკულტეტის შექმნის ინიციატორები იყვნენ საქართველოში სამანქანათმშენებლო-საინჟინრო განათლების მესაძირკვლეები, პროფესორები: გიორგი გედევანიშვილი, ალექსანდრე დიდებულიძე და იოსებ ვაწაძე. ფაკულტეტს სხვადასხვა დროს დეკანის რანგში ხელმძღვანელობდნენ აკადემიკოსები ნიკოლოზ ლანდია 1947-1950 წწ., დავით თავხელიძე 1960-1940 წწ., აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გიორგი გედევანიშვილი 1936-1940 წ.წ., შემდგომში სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი მარტინ კასიანი 1940-1947 წწ., პროფესორები: გიორგი ჩიხლაძე 1953-1960 წწ. და 1971-1976 წწ., ვლადიმერ ცოცხაძე 1976-1981 წწ., გივი

ბოკუჩავა 1981-1989 წწ. ბორის ბოქოლიშვილი 1989-2005 წწ. დოცენტები: ალექსანდრე ხიდაშელი 1951-1953 წწ. გიორგი ჩხეიძე 1963-1965 წწ. და დავით პეტრიაშვილი 1966-1971 წწ.

ჩამოყალიბების პერიოდში მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე იყო ორი სპეციალობა: მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია და საავტომობილო ტრანსპორტის ექსპლუატაცია, შემდგომში 1947 წლიდან დაიწყო ინჟინერ-მექანიკოსთა მომზადება კვების მრეწველობის მანქანებისა და აპარატების სპეციალობით, 1949 წლიდან – მსუბუქი მრეწველობის დარგის, ხოლო 1968 წლიდან თვითმფრინავმშენებლობის ინჟინერ-მექანიკოსების მომზადება.

ფაკულტეტის ჩამოყალიბების პერიოდისათვის მის შემადგენლობაში შედიოდა სამი – მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის, ავტომობილების და თბოტექნიკის კათედრა.

მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის კათედრა ჩამოაყალიბა და მისი ხელმძღვანელი 1958 წლამდე იყო ტექნიკური ინტელიგენციის პატრიარქი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი გიორგი გედევანიშვილი. დაარსების პერიოდიდან კათედრაზე მოღვაწეობდნენ ისეთი თვალსაჩინო მეცნიერები, როგორებიც იყვნენ პროფესორები: გიორგი გოცირიძე, იოსებ ვაწაძე, მარტინ კასიანი, ვლადიმერ ბარქაია და სხვები.

1958-1989 წწ. კათედრას ხელმძღვანელობდა ამავე კათედრის აღზრდილი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი თეიმურაზ ლოლაძე. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა კათედრის ძირითადი სამეცნიერო მიმართულებები: ლითონების ჭრის პროცესების მექანიკა, მასალების ჭრის პროცესში კონტაქტური მოვლენების კვლევა და ეფექტური საიარაღო მასალების შექმნა, მაღალ ტემპერატურაზე ლითონების დამუშავების და აბრაზიული პროცესების ახალი მეთოდები, პლაზმური და ლაზერული დამუშავების მეთოდები, ტექნოლოგიური პროცესების ოპტიმიზაცია მანქანათმშენებლობაში. კათედრაზე აღიზარდა მეცნიერებათა მთელი თაობები, მათ შორის მეცნიერებათა რვა დოქტორი და მრავალი ათეული მეცნიერებათა კანდიდატი. ათზე მეტი მათგანი უცხოელია. კათედრაზე აღზრდილი მეცნიერების პროფესორების გ. ბოკუჩავას, ვ. ცოცხაძის, ა. ბეთანელის და სხვების მიერ გაღრმავდა და განვითარდა თეორიული და ექსპერიმენტული კვლევები. ქართულმა სამეცნიერო სკოლამ მანქანათმშენებლობის დარგში მსოფლიო აღიარება მოიპოვა. საქვეყნოდ ცნობილი გახდა არა მარტო კათედრის თეორიული კვლევები, არამედ პრაქტიკული შედეგებიც. ამერიკაში, გერმანიაში, ინგლისში, იაპონიაში, ჩინეთში, პოლონეთში და სხვა უცხოეთის ქვეყნებში გამოიცა ათამდე მონოგრაფია და ასზე მეტი ფუნდამენტური ნაშრომი, გაიყიდა ოთხი ლიცენზია, მიზნობრივი ტექნოლოგიური პროცესების შესასრულებლად შეიქმნა ახალი მანქანა დანადგარები და საიარაღო მასალები. კათედრაზე სამეცნიერო-კვლევითი პოტენციალის გაძლიერებამ განაპირობა და ხელი შეუწყო მთელი რიგი დარგობრივი ლაბორატორიების შექმნას.

1989-94 წწ. კათედრას სათავეში ედგა პროფესორი ანზორ სირაძე, შემდეგ 2002 წლამდე პროფ. თამაზ გეგეჭკორი, ხოლო 2002 წლიდან დღემდე პროფ. რაულ თურმანიძე.

1945 წელს პროფ. გიორგი გოცირიძის თაოსნობით ჩამოყალიბდა ლითონსაჭრელი ჩარხების კათედრა, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა 1959 წლამდე. 1959 წლიდან კათედრას სათავეში ჩაუდგა ტ.მ.დ. პროფ. გიორგი ჩიხლაძე, 1991 წლიდან კათედრა გადაკეთდა ამძრავთა სისტემების, ჩარხებისა და კომპლექსების კათედრად და დღემდე მას ტ.მ.დ. პროფ. თამაზ მჭედლიშვილი უდგას სათავეში.

კათედრა წლების განმავლობაში, 1988 წლამდე, მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის კათედრასთან ერთად, როგორც თანამაპროფილებელი ემსახურებოდა ინჟინრების მომზადებას საერთო სპეციალობით „მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, ლითონსაჭრელი ჩარხები და იარაღები“ შემდგომში – 1988 წლიდან კი, როგორც მაპროფილებელი – ხელმძღვანელობს ლითონსაჭრელი ჩარხების და იარაღების სპეციალისტების გამოშვებას.

კათედრის თანამშრომლების და მათ მიერ მომზადებული სპეციალისტების სამეცნიერო და პრაქტიკულ მოღვაწეობას მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ახალი სრულყოფილი მანქანა-დანადგარების კონსტრუირების, ამძრავთა სისტემების, ჩარხებისა და საჩარხო მოწყობილობების შექმნასა და სრულყოფაში.

საქართველოს რესპუბლიკის კვების მრეწველობის განვითარებამ ომის შემდგომ პერიოდში დღის წესრიგში დააყენა ამ დარგის ინჟინერ-მექანიკოსების მომზადების აუცილებლობა და მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე დოც. ბურჯანაძის ინიციატივით 1947 წ. შეიქმნა კვების მრეწველობის საწარმოთა მანქანებისა და აპარატების კათედრა. კათედრის მიერ მომზადებულია მრავალი სპეციალისტი, თანამშრომელთა სამეცნიერო სამუშაოებმა კი ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა რესპუბლიკის ჩაის, ყურძნისა და სხვა პროდუქტების გადასამუშავებელი მრეწველობის პროგრესში, კათედრას სხვადასხვა დროს ხელმძღვანელობდნენ აკად. ნიკოლოზ ლანდია, ტ.მ.დ. პროფ. ალექსანდრე კაკალაშვილი, ტ.მ.დ. პროფ,

ნოდარ ზალდასტანიშვილი, ამჟამად კათედრის გამგეა ტ.მ.დ. პროფ. თამაზ მეგრელიძე,

ინჟინერ-მექანიკოსთა მომზადების საფუძველთა საფუძველია მექანიზმებისა და მანქანების თეორიული საფუძვლები. ქართული სამანქანათმშენებლო სკოლის ჩამოყალიბებაში და კვალიფიციური სპეციალისტების აღზრდაში გადამწყვეტი როლი შეასრულა და დღესაც ასრულებს მექანიზმებისა და მანქანების თეორიის კათედრა, რომელიც დამოუკიდებელ ერთეულად ჩამოყალიბდა 1953 წ. აკად. დავით თავხელიძის ხელმძღვანელობით. კათედრას მჭიდრო კავშირი აქვს მსოფლიოს მრავალი ქვეყნის შესაბამის სამეცნიერო დაწესებულებებთან და ითვლება, რომ კათედრის სამეცნიერო პოტენციალი შეესაბამება მსოფლიო სტანდარტებს. საკმარისია ითქვას, რომ კათედრაზე აღიზარდა მეცნიერებათა ექვსი დოქტორი და მრავალი კანდიდატი. 1990–2006 წ.წ. კათედრას ხელმძღვანელობდა პროფ. დავით თავხელიძე (უმცროსი). დღეისათვის კათედრას ხელმძღვანელობს პროფ. ვახტანგ გოგილაშვილი.

საქართველოს მრეწველობის მზარდი მოთხოვნილებების შესაბამისად 1968 წლიდან დაიწყო თვითმფრინავმშენებლობის ინჟინერ-მექანიკოსების მომზადება. ამავე წლიდან პროფ. გივი ბოკუჩავას მეთაურობით შეიქმნა თვითმფრინავმშენებლობის კათედრა, რომელსაც იგი ხელმძღვანელობდა 1977 წლამდე, ხოლო 1977-1992 წ.წ. – პროფ. არჩილ ბეთანელი. ამ კათედრამ თავისი არსებობის მანძილზე დიდი წვლილი შეიტანა რესპუბლიკის ავიასაწარმოთა უზრუნველყოფაში კვალიფიციური კადრებით და საფუძველი მოუმზადა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შემადგენლობაში დამოუკიდებელი, საავიაციო ინსტიტუტის ჩამოყალიბებას, შემდგომში კი – 2005 წლიდან დაფუძნდა, როგორც საავიაციო უნივერსიტეტი.

მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის წიაღში აღმოცენდა და ცალკე ფაკულტეტად გამოიყო მსუბუქი მრეწველობის ფაკულტეტი – 1958 წ., ხოლო საავტომობილო-საგზაო ფაკულტეტი – 1971 წ.

1976 წლიდან გაიხსნა ახალი სპეციალობა ინჟინერ-მექანიკოსი სამანქანათმშენებლო დისციპლინების პედაგოგი. ამ სპეციალობების სტუდენტთა დაოსტატებას უძღვებოდა მანქანათმშენებლობის კათედრა, რომელიც შეიქმნა 1978 წელს პროფ. ვლადიმერ ცოცხაძის თაოსნობით, დღეისათვის კათედრა გაერთიანებულია ამძრავთა სისტემებისა და ტექნოლოგიური მანქანების კათედრასთან.

საქართველოს სამანქანათმშენებლო საწარმოთა აღჭურვამ პროგრამული მართვის ჩარხებით, ავტომატური ხაზებით და კომპიუტერული ტექნიკის დანერგვამ დღის წესრიგში დააყენა შესაბამისი კვალიფიკაციის სპეციალისტების მომზადება. ამ მიზნით 1978 წელს შეიქმნა მანქანათმშენებლობაში პროგრამული მართვის კათედრა, რომლის ხელმძღვანელი იყო პროფ. ილია მიქაძე.

კათედრა დაკომპლექტდა ახალგაზრდა მზარდი მეცნიერ-მუშაკებით, რომელთა უმრავლესობას გავლილი აქვს ასპირანტურა, სამეცნიერო სტაჟირება და დაცული აქვს დისერტაციები გერმანიის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის და ბულგარეთის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში. ამ კათედრის სამეცნიერო და სასწავლო მიმართულებანი ფრიად აქტუალურია თანამედროვე სამანქანათმშენებლო ინდუსტრიის განვითარებაში, კათედრის თანამშრომლებმა განსაზღვრეს რა ქვეყნის მომავლისათვის საჭირო ფართო პროფილიანი სპეციალისტების მომზადების აუცილებლობა, თავიანთი სასწავლო და სამეცნიერო სამუშაოები დაუკავშირებს კვების საწარმოთა მანქანებისა და სამაცივრო ტექნიკის კათედრას.

დამოუკიდებელი საქართველოს მრეწველობის მშენებლობისათვის ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ენიჭება ეკონომიკური განათლების მქონე კადრებს. ამ მიზნით 1990 წლიდან პროფ. გივი დიდიშვილის თაოსნობით ინსტიტუტში დაიწყო ინჟინერ-ეკონომისტების მომზადება სპეციალობით „მენეჯმენტი მანქანათმშენებლობაში“. ამ სპეციალისტების სტუდენტთა დაოსტატებას სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით ამჟამად ხელმძღვანელობს მანქანათმშენებლობის მენეჯმენტის N 112 კათედრა – გამგე, პროფ. გოდერძი ტყეშელაშვილი.

ქვეყნის ადგილობრივი რესურსების გადამუშავების აუცილებლობიდან და მრეწველობის დარგების განვითარების მთავრობის მიერ აღებული კურსიდან გამომდინარე მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტს დაევალა ხის დამუშავების ტექნოლოგიის და სატყეო-საინჟინრო საქმის და მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის კონსტრუირებისა და ტექნოლოგიის ინჟინრების მომზადება. ამ მიზნით გაიხსნა ხის დამუშავების საწარმოთა მოწყობილობებისა და ტექნოლოგიის კათედრა 1991 წ., და მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის კონსტრუირებისა და ტექნოლოგიის კათედრა 1993 წ., კათედრის გამგეების პროფ. ზაურ ჩიტიძის და პროფ. ლეილა დემეტრაძის დიდი ძალისხმევით, მოკლე დროში, კათედრები დაკომპლექტდა მაღალკვალიფიციური პროფესორ მასწავლებლებით და ლაბორატორიები აღიჭურვა თანამედროვე მოწყობილობებით.

ამრიგად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე 2005 წლამდე მზადდებოდა შემდეგი სპეციალობის ინჟინრები: მანქანათმშენებლობის

ტექნოლოგია, სამანქანათმშენებლო ტექნოლოგიური მანქანები და კომპლექსები მანქანათმშენებლობაში, სამაცივრო ტექნიკა, პროფესიული სწავლება და ტექნიკური დისციპლინები მანქანათმშენებლობაში, მანქანათმშენებლობის კომპლექსური ავტომატიზაცია, ხის დამუშავების ტექნოლოგია და სატყეო-საინჟინრო საქმე, ეკონომიკა და მართვა მანქანათმშენებლობაში, მსუბუქი მრეწველობის ნაწარმის კონსტრუირება და ტექნოლოგია, პოლიგრაფიული მრეწველობის ტექნიკა და ტექნოლოგია.

მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი, თავის რიგებში აერთიანებდა ერთ-ერთი უძველესი და უმდიდრესი ტრადიციების მქონე კოლექტივს.

თავისი არსებობის პერიოდში ფაკულტეტმა მოამზადა 15000-ზე მეტი ინჟინერ-მექანიკოსი, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოს მანქანათსაშენებელი დარგის განვითარებაში. კურსდამთავრებულთაგან რამდენიმე ათეული მეცნიერებათა დოქტორი და ასეულობით მეცნიერებათა კანდიდატი ეწევა ნაყოფიერ სამეცნიერო მოღვაწეობას. მათი ნაწილი, კერძოდ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ოთხი აკადემიკოსი, ორი წევრ კორესპონდენტი, თხუთმეტი მეცნიერებათა დოქტორი – პროფესორი, ცხრა პროფესორი და 80-ზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატი-დოცენტი მოღვაწეობდა ფაკულტეტზე და ემსახურებოდა მომავალი სპეციალისტების აღზრდას. მათმა სამეცნიერო შრომებმა დიდი აღიარება მოიპოვა არა მარტო რესპუბლიკაში, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში.

ფაკულტეტის კურსდამთავრებულთაგან ბევრმა თავი გამოიჩინა როგორც ცნობილმა სახელმწიფო მოღვაწემ, მათ შორის არიან ალექსანდრე მელაძე და ზაურ მესხიშვილი (სხვადასხვა დროს თბილისის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარეები), ვალერი ვადაჭკორია (საქართველოს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე), თენგიზ მენთეშაშვილი (თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი), დიმიტრი კიკნაძე (გაერთიანება ჩარხმშენებლის გენერალური დირექტორი), ვლადიმერ კერესელიძე (საიარაღო ქარხნის მთავარი ინჟინერი), ბორის სარალიძე (საავტომობილო გზების მინისტრი) და სხვა.

დღესაც წარმატებით მოღვაწეობენ ბიგი ჩხოლარია (შპს ჩარხმშენებლის დირექტორი), გიორგი გოშაძე (იმავე შპს-ს მთავარი ინჟინერი), ზურაბ სესკურია (საავიაციო ქარხნის დირექტორის მოადგილე), მამუკა ხაზარაძე (თიბისი ბანკის პრეზიდენტი), ვასილ სუხიაშვილი („ნიკორას“ პრეზიდენტი) და სხვა.

მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის 90-იანი წლების კურსდამთავრებულები ბესო სიხარულიძე და დავით ჭელიძე წარმატებით მოღვაწეობენ აშშ-ს წამყვან ფირმებში, ხოლო გიორგი ჭუმბურიძე „მერსედეს“-ის წამყვანი სპეციალისტია. ჩეხეთის უმაღლეს სასწავლებლებში სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევიან გიორგი ფარცხალაძე და გიორგი სულამანიძე.

მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სასწავლო პროცესში ჩართულია 30-მდე თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი სასწავლო ლაბორატორია, მათ შორის: მექანიზმების კინემატიკის დინამიკისა და სინთეზის, ჭრის თეორიის, მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის, ლითონსაჭრელი ჩარხების ურთიერთშეცვლადობისა და ტექნიკური გაზომვების, სამაცივრო მანქანების, სამაცივრო დანადგარების, ჰაერის კონდიცირების, კვების მრეწველობის დანადგარების ტექნოლოგიური მოწყობილობების, უნივერსალური სამარჯვების, ელექტრონული ავტომატიკის, ლითონსაჭრელი ჩარხების პროგრამული მართვის, მიკროპროცესორული ტექნიკის, ტექნოლოგიური პროცესების დაგეგმარების და სხვა.

ფაკულტეტზე იკითხებოდა 60-ზე მეტი დასახელების სპეცდისციპლინა:

სასწავლო პროცესის პარალელურად მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე მიმდინარეობდა დიდი სამეცნიერო სამუშაოები ბრტყელი და სივრცითი მექანიზმების კინემატიკისა და დინამიკის კვლევის, მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის პროცესების ოპტიმიზაციის, ახალი მჭრელი საიარაღო მასალების შექმნის, მაღალმწარმოებლური და სპეციალური ჩარხ-დანადგარების შექმნის, კვების მრეწველობის მანქანებისა და აპარატების შექმნისა და სრულყოფის, ხის დასამუშავებელი მრეწველობის ტექნიკისა და ტექნოლოგიის სრულყოფისა და წარმოების ავტომატიზაციის მიმართულებით.

უკანასკნელი წლების განმავლობაში ფაკულტეტზე ჩატარებული სამეცნიერო კვლევითი მუშაობის შედეგების საფუძველზე მიღებულია შვიდასამდე საავტორო მოწმობა გამოგონებაზე. მათ შორის 12 გამოგონება დაპატენტებულია, ოცამდე გამოგონება აღნიშნულია საკავშირო დანერგვის აქტით და გაყიდულია სამი ლიცენზია.

სამეცნიერო კვლევითი სამუშაოები, რომელსაც ასრულებდა ჯგუფი აკად. თ. ლოლაძის ხელმძღვანელობით საფუძვლად დაედო ახალი ჩარხების მთელი გამის დაპროექტებასა და დამზადებას. რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, დონის როსტოვის ბურთულა საკისრების, სვერდლოვსკის სალი შენადნობების, დნეპროპეტროვსკის „დნეპროსპეცსტალისა“ და სხვა ქარხნებში დამონტაჟდა და მუშაობს ზემოთაღნიშნული ჯგუფის მიერ შექმნილი უცენტრო სახარატო, მოსაჭრელი ფენის პლაზმით გახურებული ლილვების შავად დასამუშავებელი სახარატო; კოსმოსური

ნამზადების მექანიკური დამუშავების ხაზისათვის, როტოსარანდი; მილების ბოლოების ჩამოჭრის ავტომატიზირებული მოწყობილობა დგან „140“ გლინვის ხაზზე და ა.შ. ჩარხები. პროფ. ბ. ბათიაშვილის ხელმძღვანელობით შექმნილი „სალი ლითონური და არალითონური მასალების ნაკეთობათა ხეხვით პრეციზიული დამუშავების ჩარხის ლიცენზია მიეყიდა იაპონიას, კუბას და საფრანგეთს“.

პროფ. ვ. ცოცხაძის ხელმძღვა-ნელობით დამუშავდა თუჯის ნამზადების მაღალმწარმოებლური ჭრის რეჟიმები და იარაღები, რომელიც დაინერგა ქუთაისის ავტოქარხანაში, ხოლო სინთეზური გზით მიღებული ტიტანის კარბიდის საფუძველზე შექმნილი სალი შენადნობების გამოსაშვებად ორგანიზებულ იქნა თბილისის კარბიდების ქარხანა, რომელიც სალშენადნობიანი მჭრელი იარაღით ამარაგებდა ნაგლინი მილების მწარმოებელ მეტალურგიულ ქარხნებს.

პროფ. თ. მჭედლიშვილის ხელმძღვანელობით და უშუალო მონაწილეობით შექმნილი „ვიბრო-უსაფრთხო კიდული სახეხ-საჩორტნი ჩარხი“ დანერგილია ქარხანა „ელექტროსტალში“; „ვიბრიუსაფრთხო ბაქანი და ოპერატორის სავარძელი“ – საქართველოს საზღვაო სანაპირო გემებზე, „წყლის ტურბინების ნიჩბების რთული პროფილის სახეხი ჩარხი“ – „ურალჰიდრომაშის ქარხანაში“, „რთული პროფილის ორნამენტების მოსაჭრელი“ და „რთული პროფილის დეტალების სახეხი“ ჩარხები – საქართველოსა და დსთ-ს რესპუბლიკების საავეჯო საწარმოებში.

თბილისის შპს ჩარხსაშენებელში დანერგილია „ძრავხრახნიანი უნივერსალური სახარატო ჩარხი“ და „პროგრამული მართვის სახარატო ავტომატი 345/83“, ხოლო მეტროლოგიის ინსტიტუტში „ფილოვანი ნამზადების საფარის სისქის საზომი მოწყობილობა“. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია „რიცხვითი პროგრამული მართვის სახარატო-საფრეზო ჩარხი-ტრენაჟორი“, რომელიც შექმნილია ფაკულტეტის ძალებით, სერიულად უშვებდა თბილისის სამსხმელო მექანიკური ქარხანა და იყიდებოდა საერთაშორისო ბაზარზე.

საქართველოს კვების მრეწველობის საწარმოებში დანერგილია მთელი რიგი დანადგარები, მათ შორის „ჭაჭის გადამუშავების ნაკადური ხაზების ბუნკერ-დოზატორი“; „ციტრუსების ნარჩენების შენახვის, დოზირებული გადმოტვირთვის. ჭრისა და შემდგომი გადამუშავების ნაკადური ხაზი“; „სწრაფადფუჭადი ნედლეულის უტარო შენახვის სასაწყობო მეურნეობა“; „ნახევარფაბრიკატული და დახარისხებული ჩაის უტარო შენახვისა და შერევის მექანიზირებული ხაზი“ და ა.შ.

ფაკულტეტზე შეიქმნა არალითონური მასალების ჭრით დამუშავებისათვის საჭირო მაღალმწარმოებლური იარაღები და ჩარხები, რომლებსაც უშვებდა თბილისის საინსტრუმენტო ქარხანა, ხოლო ფაკულტეტზე ფუნქციონირებს მერქნისაგან მაღალმხატვრული ნაკეთობების გამომშვები სასწავლო-საწარმოო ლაბორატორია.

მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე დამუშავებულ და დანერგილ ორ სამუშაოს მინიჭებული აქვს საქართველოს სახელმწიფო პრემია. ესენია: „ყურძნის გადამუშავების მაღალმწარმოებლური ნაკადური ხაზის შექმნა და დანერგვა“ (პროფ. ა. კაკალაშვილი, ნ. ზალდასტანიშვილი) და „სამანქანათმშენებლო წარ-მოების კომპიუტერული პროექტირების, უზრუნველყოფის და მართვის სისტემების შექმნა და დანერგვა“ (პროფ. ზ. გუმბერიძე).

მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატები არიან აგრეთვე ფაკულტეტის თანამშრომლები: პროფ. დავით თავხელიძე და ნოდარ აბულაძე.

მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში საქართველოს სახელმწიფო პრემია 1996 წელს ავტორთა კოლექტივთან ერთად მიენიჭა აკად. თ. ლოლაძეს.

პირველი ქართული კომპიუტერის შექმნისათვის საკავშირო ლენინური კომკავშირის პრემია მინიჭებული აქვს პროფ. ზ. გუმბერიძეს.

ფაკულტეტს სამეცნიერო კავშირურთიერთობები აქვს აშშ-ს, ინგლისის, გერმანიის, იაპონიის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, პოლონეთის და სხვა ქვეყნების წამყვან უმაღლეს სასწავლებლებთან. ფაკულტეტის თანამშრომლები აკად. თ. ლოლაძე და პროფ. ვ. ცოცხაძე იუნესკოს ეგიდით ხანგრძლივი დროის განმავლობაში მონაწილეობდნენ განვითარებადი ქვეყნების უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო სამუშაოთა პროგრამების შედგენა-განხორციელებაში.

ფაკულტეტს კურსი აქვს აღებული სამეცნიერო კვლევითი ლაბორატორიების ბაზაზე შექმნას მცირე წარმოებები, რომლებშიც გამოშვებული იქნება საქართველოს მოსახლეობისათვის საჭირო პროდუქცია.

მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის სტუდენტებს უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში არ დაუთმიათ I-II ადგილები საუნივერსიტეტო სპორტულ სპარტაკიადებში და საპრიზო ადგილები სტუდენტთა თვითმოქმედი კოლექტივების ოლიმპიადებში.

ეს გახლავთ მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დაარსე-ბიდან 2005 წლამდე სასწავლო და სამეცნიერო მოღვაწეობის მოკლე, ენციკლოპედიური მიმოხილვა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ 2004 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა მიიღო

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონი, რომლის შესაბამისადაც განისაზღვრა უმაღლესი სკოლის რეფორმის პერიპეტიები.

1992 წლიდან, როცა ქვეყანაში შეიქმნა ქაოსი და ყველაფერი საბჭოურის ნგრევა პირველივე დღეებიდან ძირითადი დარტყმა მიიღო მრეწველობამ და სოფლის მეურნეობამ, როგორც შეიძლებოდა, რომ მთელი ქვეყნის აღწერა შეფასდა 150 მილიონ დოლარად და თითოეულ მოქალაქეს არგუნეს 30 დოლარიანი ვაუჩერი და ვისაც ხელი მიუწვდებოდა, ძირითადად მაღალი და საშუალო რანგის ჩინოვნიკებს, ჩალის ფასად ჩაიგდეს ხელში ე.წ. „საერთო სახალხო საკუთ-რება“. რა თქმა უნდა, ისტორიამ იცის ნაციონალიზაციის პრეცენდენტი, როცა 1917 წლის რევოლუციის შემდეგ სოციალისტურმა სახელმწიფო თავის საკუთრებაში მოაქცია კერძო საკუთრება, მაგრამ უკუპროცესი მხოლოდ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში და, მათ შორის საქართველოში, ბარბაროსულად განხორციელდა. ვარდების რევოლუციამდე ქვეყანაში აღარ დარჩა არც ერთი დიდი და მცირე საწარმო საიდანაც ჯართად არ გაიყიდა ძირითადი საშუალებები და უმუშევარი არ დარჩა ასი ათასობით კვალიფიციური მუშა და ათასობით ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი. ამან საფუძველი მოუმზადა ახალგაზრდობას ზურგი შეექცია ტექნიკური განათლებისათვის. ეჭვს გარეშეა, რომ განათლების საბჭოური წესი, განსაკუთრებით კი, მისაღები გამოცდების არსებული კორუფციული სისტემა მოითხოვდა აუცილებელ რეფორმირებას, მაგრამ ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მხოლოდ უნარ ჩვევების, ქართული და უცხო ენების ჩაბარების პრიორიტეტმა, განსაკუთრებით 2008 წლამდე გამოიწვია საშუალო სკოლის მოსწავლეების მიერ მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის და სხვა საგნების შესწავლის იგნორირება და ახალგაზრდების მიერ აქცენტი გადატანილ იქნა ძირითადად იურიდიული და ეკონომიური სპეციალობების დაუფლებისაკენ.

რა თქმა უნდა, არავის არა აქვს ახალგაზრდობის არჩევანში ჩარევის უფლება, მაგრამ სახელმწიფოს განსაზღვრული უნდა ჰქონდეს ქვეყნის განვითარების სხვადასხვა ძირითადი მიმართულებები და აქედან გამომდინარე, ახალგაზრდობის წინაშე გადაიშლება სპეციალობათა ფართო არჩევანი. ძირითადი ყურადღების გადატანა ტურიზმის განვითარებაზე ახალგაზრდების უმრავლესობას, აიძულებს დასაქმდეს მომსახურების სფეროში, ეს კი თავის მხრივ, გამოიწვევს შემოქმედებით დარგებში მომუშავე სპეციალობების გაქრობას.

უმაღლესი სკოლებისადმი წინა ხელისუფლების მიერ ზერელე დამოკიდებულებამ, როცა საბიუჯეტო სფეროში დასაქმებული თანამშრომლებიდან ყველაზე დაბალი ხელფასი 14-50 ლარი თვეში ეძლეოდათ პროფესორ-მასწავლებლებს, გამოიწვია ახალგაზრდობის მხრიდან სამეცნიერო მუშაობისადმი ზურგის შექცევა. ამის ნათელი მაგალითია ის, რომ 1995-2000 წწ. მექანიკა-მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე 25-27 წლის ასაკში წარმატებული ახალგაზრდა მეცნიერებიდან (ვაჟა ქირია, დავით ნადარაია, დავით ჟორჟოლიანი, დავით მანჩხაშვილი, გიორგი ფარცხალაძე); ვერც ერთი, ვაჟა ქირიას გარდა ვერ შევინარჩუნეთ ფაკულტეტზე. ისინი დასაქმდნენ კერძო წარმოებებში ძალიან მაღალ ანაზღაურებად თანამდებობებზე.

2005 წელს, სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტების გაერთიანების შემდეგ, ჩამოყალიბდა მანქანათმშენებლობის დეპარტამენტი, რომელიც უძღვება მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის, ტექნოლოგიური მანქანების, სამშენებლო საგზაო მანქანების, კვების მრეწველობის მანქანებისა და აპარატების, სამაცივრო ტექნიკის, მერქნის დამუშავების მოწყობილობებისა და ტექნოლოგიის, პოლიგრაფიული მრეწველობისა და მსუბუქი მრეწველობის დარგებისათვის პროფესიული, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო სასწავლო პროგრამების განხორციელებას.

სამწუხაროდ, ამ დარგების შესაბამისი ფაბრიკა-ქარხნების განადგურებამ ინჟინრული განათლების მიღებისადმი ნაკლები ინტერესი გამოიწვია. ახალგაზრდა მეცნიერების მიერ, მცირე ანაზღაურების გამო, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მუშაობისადმი თავის არიდებამ გაზარდა დეპარტამენტში მომუშავე პროფესორ-მასწავლებელთა საშუალო ასაკი (60 წელზე მეტი). და თუ დროზე არ გადაიდგა საჭირო ნაბიჯები უახლოეს 10-15 წლის შემდეგ დადგება სავალალო შედეგი.

აუცილებელია იმის პროპაგანდა, რომ ქვეყანა არ აწარმოებს მანქანა-დანადგარებს, მაგრამ მას არსებობისათვის სხვადასხვა წარმოებებში მანქანა-დანადგარები მაინც სჭირდება. ამიტომ, მათი მიღების, ექსპერტიზის, ექსპლუატაციისა და რემონტისათვის კი აუცილებელია კვალიფიციური ტექნიკური პერსონალი, რომელიც უნდა მომზადდეს შესაბამისი პროგრამებით; ამის გათვალისწინებით მანქანათმშენებლობის დეპარტამენტმა სასწრაფოდ უნდა შეუსაბამოს სასწავლო პროგრამები თანამედროვე მოთხოვნებს;

და ბოლოს, ასაკოვანი პროფესორ-მასწავლებლებისათვის ძალიან ძნელი იქნება დაკავებული აკადემიური თანამდებობების დატოვება და 110 ლარიან პენსიაზე ცხოვრება, მაგრამ ქვეყნის და ფაკულტეტის განვითარების ინტერესებიდან გამომდინარე თანდათანობით გზა უნდა გაუხსნან ახალგაზრდა მეცნიერებს.

BORIS BOQOLISHVILI

BRIEF HISTORY AND PERSPECTIVES OF MECHANICAL ENGINEERING

Summary

The article reviews the basics of machine-education in Georgia Briefly presented the basics of education. It is shown that in order to revive high education in Georgia the movement began since 17th century, by the time of Vakhtang VI - whose encyclopedic knowledge and vigorous educational activities make foundation in science and education.

Cronology has given establishment of number institutions and their role in forming of the Georgian educational tradition. It is shown the disturbing conditions which prevented the creation of high-educational institution.

It is considered a brief history of the establishment of the first Polytechnical Institute,Comparative with politechnical faculty of Tbilisi State University, in detail transmitted the contribution of the - mechanical engineering faculty of Georgian Technical University for the mechanics staff training,. Briefly has shown the present day and perspektives and the role of this institution for the creation of the today"s Technical University.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჭავჭავაძე ი., ერი და ისტორია. თხზულებათა სრული კრებულის ათტომეული. 1951-1961.ტ. IV.
2. ყიფშიძე ი., ნ. ნიკოლაძის წიგნის გამო. ჟურნ. „ტექნიკა და ცხოვრება".N 5–6, 1925.
3. Саришвили И.Ф., Тодуа Г.Г. Грузинский сельско-хозяйственный институт. Сабчота Сакартвело, Тб. 1072.
4. ნებიერიძე ნ., დიდიშვილი გ., პავლიაშვილი ს. ტექნიკური უმაღლესი განათლების განვითარების საწყისები საქართველოში. თბილისი, 1997.

ბადრი ცხადაძე

ხალიბების ნაკვალევს არ ეღალატების...

ქართველი საზოგადო მოღვაწისა და ლითონმცოდნის, პროფ. ფერდინანდ (ფრედი, ფილიმონ) თავაძის თქმით, «ლითონმცოდნეობა ჩაისახა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ადამიანმა პირველად შეიცნო და განასხვავა ლითონი ქვებისაგან» [1, 8-9]. ლითონისა და ქვის გამომცნობთაგან კი, უცილობლად, ერთ-ერთი პირველი «ლითონმცოდნე» ქართველთა წინაპარიც უნდა ყოფილიყო. ამაზე მეტყველებს ჩვენი, როგორც ძირძველი კულტურული ქვეყნის, წიგნმცოდნეობით-პალეოგრაფიული და მეტალურგიული წარსული, თავად ქართული ენა (ქართველური ენების მონაცემები), რომელიც მსოფლიო ენებს შორის უმდიდრესი ლექსიკური მარაგითაც გამოირჩევა, ყოველივე ეს კი, ცხადია, განპირობებულია ქართველების წინაპრების სასოფლო-სამეურნეო, სულიერ-გონებრივი შემოქმედებითი ყოფითი, მეტალურგიული... საქმიანობით. ამას ცხადყოფს თუნდაც ძველი ქართველური ერთ-ერთი ტომის ხალიბების მეტალურგიული შემოქმედების დასახელებაც [იხ. 2, 160-163]. ლითონის დამუშავების თვალსაზრისით, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მრავლად არის დადასტურებული მეტალურგიის კერების არსებობა. ასეთი კერები აღმოჩნდა მდ. რიონის და მისი შენაკადების ხეობაში. აქ ნაპოვნია დიდძალი წიდები და ლითონის სადნობი ღუმლების ფრაგმენტები, ასევე ბრინჯაოს სამოწათმოქმედო, სახელოსნო და სამონადირეო იარაღები. კოლხური რკინის მეტალურგის (ძვ. წ. აღ. VI-IV სს.) არქეოლოგთა მიერ აღმოჩენილი მაშინდელი ნაწარმი ინახება ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში [3,86-87]. ამავე მუზეუმს დიდძალი არქეოლოგიური მასალა შესძინა 1963-1965 წლებში ქუთაისში არქეოლოგიურმა ექსპედიციამ, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის და ქუთაისის მუზეუმის თანამონაწილეობით ჩატარდა (ექსპედიციის ხელმძღვანელი პროფ. ო. ლორთქიფანიძე), ქალაქშივე, მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე – გაბაშვილის გორაზე ძ. წ. აღ. VIII-VII სს. ნამოსახლარში აღმოჩნდა ადრეანტიკური ხანის რკინის მეტალურგიის აყვავების დამადასტურებელი ძეგლები, რომელთა შორის განსაკუთრებით ფასეულია ლითონსადნობი ქურისათვის განკუთვნილი თიხის ბოლოდამწვარი საბერვლის საქშენი მილები, ყალიბების ფრაგმენტები, რკინის ზოდები და წიდები. ამ მასალებს ქუთაისში «ცაცხვების» ქუჩაზე ადრე აღმოჩენილ რკინის თოხებთან ერთად, ისტორიული ქუთაისის საქალაქო ცხოვრების შესწავლის თვალსაზრისით, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება [3, 30].

უხსოვარი დროიდანვე საქართველო (წინაქრისტიანული, წარმართული ხანა), როგორც დიდი წარსულის მქონე ქვეყანა (კულტურა, წიგნიერიება თუ მეტალურგიული შემოქმედება....), დღემდე მსოფლიო სპეციალისტთა ყურადღების ცენტრშია. ისტორიულად, არქეოლოგიურ აღმოჩენებზე დამყარებით, მეცნიერები ვარაუდობენ, რომ პალეოლითიდან მოყოლებული სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში კულტურული ცხოვრება იყო ფეხმოკიდებული, ამ არეალში ძველი წელთაღრიცხვის II ათასწლეულის პირველ ნახევარში უკვე ლითონს ამუშავებდნენ [4, 21-22]. კერძოდ, სინოპეს ადგილობრივი პირვანდელი მოსახლეობა (პირველწყაროების მიხედვით «არაბერძნულ-ეთნიკური ჯგუფები»), ძირითადად და არსებითად ხალიბებისაგან შედგებოდა, რომელთა ნახელავმა რკინის ნაწარმმაც პირველად მიიქცია ბერძენთა ყურადღება. ღირსსაცნობია ისიც, რომ ბერძნებმა რკინას, ფოლადს იმ ხალხის სახელი უწოდეს, ვისი სახელიდანაც მათ იგი პირველად მიიღეს და გაიცნეს. ძველი ანტიკური ავტორები (ჰეროდოტე და სხვ,.) ხალიბებს, მოსხებს, ტიბარენებს, მაკრონებს, მოსინიკებს კაპადოკიად წოდებულ ტერიტორიაზე ასახელებენ. ყველა მათგანი, როგორც საყოველთაოდ აღიარებულია ქართველ და უცხოელ მეცნიერთა მიერ, ქართველური ტომები არიან.

ქართველები ტრადიციულად წარსულის ერთგულნი არიან. ამიტომაც გასაკვირი არ უნდა იყოს ძველი მეტალურგების ნაკვალევზე გავლებული ხნულის შედეგად აღმოცენებული ქართული მეტალურგიის კერა ქალაქი რუსთავი და მისი საამქროები, საამქროები და მარტენის ღუმლები. საკუთრივ ქართული ფოლადის მასიურმა წარმოებამაც არ დააყოვნა და XX საუკუნეში მსოფლიო რაკურსით ცნობადი გახდა – აქ გაღვივებული და დანთებული ცეცხლი ხომ პრომეთეს მითიდან ათასწლოვანი ხვეულებიდან იღებს სათავეს.

XIX საუკუნემ შვა მეოცე საუკუნე. ნიკო ნიკოლაძის ნაღვაწმა და მისმა ნაშიერებმა გიორგი ნიკოლაძის, რუსუდან ნიკოლაძის, სახით, აგრეთვე პროფესორ ნიკოლოზ ქაშაკაშვილისა და სხვათა თაოსნობის ქართულმა მეტალურგიულმა მრეწვე-

ლობამ საკავშირო და მსოფლიო მასშტაბები შეიძინა.

სწორედ მათ მხრებზეა ამოზრდილი და მეტალურგიული ,,წიდიდან'' შობილი არაერთი ,,ლითონმცოდნეობითი ტერმინი'', რომლის საბოლოო სახემ ჯერ ხუთენოვან [5], შემდეგ კი ექვსენოვანი ლექსიკონების სახით იჩინა თავი. ეს უკანასკნელი პროექტი კი ახლახანს განხორციელდა. მისი სულისჩამდგმელები სტუ-ს პროფესორები, ცნობილი მეტალურგი მეცნიერები ირაკლი და გურამ ქაშაკაშვილები (და მისი კოლეგები) არიან.

მაინც რა მოხდა ისეთი? იკითხავს ამ ვრცელი შესავლის შემდეგ დაინტერესებული მკითხველი.

მოხდა ის, რომ მსოფლიოში პირველად, ქართველ მეცნიერთა წამოწყებით, თანამონაწილეობითა და გულმოდგინე მეცადინეობით, ,,მეტალურგიულ სამყაროს'' მოევლინა ლექსიკოგრაფიული ნაშრომი – ,,მეტალურგიული ტერმინების ლექსიკონი'' – სიტყვის კონის ორტომეული (თითოეული ტომი ათას გვერდს აღწევს: ტ. I – 904, ტ. II – 999, ფორმატი A-4, კომპაქტდისკითურთ). ორტომეულის ორივე ტომის ანოტაცია გვამცნობს, რომ იგი შეიცავს 18560 მეტალურგიულ ტერმინს ქართულ ენაზე, ახლავს შესატყვისები რუსულ, უკრაინულ, ინგლისურ, გერმანულ და ფრანგულ ენებზე. ამრიგად, ლექსიკონი ექვსენოვანია, მასში ჩართულია ზოგადტექნიკური ტერმინებიც მეტალურგიის მომიჯნავე დარგებიდან, ეძღვნება ცნობილი მეტალურგი პროფესორების, საქართველოში მძიმე მრეწველობის დარგის საწარმოების, ქართული ტექნიკური და მეტალურგიული ტერმინოლოგიის ფუძემდებლების გიორგი ნიკოლაძისა და ნიკოლოზ ქაშაკაშვილის 125 წლის იუბილეს [6].

ეს კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროფ. გურამ ქაშაკაშვილის თაოსნობითა და ხელმძღვანელობით განხორციელებული გრანდიოზული პროექტია, მისი სამეცნიერო-ლექსიკოგრაფიული ჯგუფის მიერ XX საუკუნის მიწურულს დაწყებული.

აღსანიშნავია ისიც, რომ ეს ლექსიკონი სხვა მსგავს გამოცემებთან შედარებით უფრო სრულყოფილი და, რაც მთავარია, ისტორიულია იმ მხრივაც, რომ მეტალურგიული ტერმინების პირველი ფიქსაცია მოხდა უკრაინულ ენაზე. სარეცენზიო ლექსიკონის ამ გამოცემაში დიდი და გამორჩეული წვლილი მიუძღვის უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ე. ო. პატონის სახელობის ელექტროშედუღების ინსტიტუტს და ამავე აკადემიის უკრაინულ ენობრივ-საინფორმაციო ფონდს, რომელმაც გამოსცა ამ ლექსიკონის ელექტრონული ვერსია. მეტიც: არა მარტო მათ, არამედ ასევე მადლობა ეთქმით დნეპროპეტროვსკის ო. გონჩარის სახელობის ნაციონალურ უნივერსიტეტსა და მეტალურგთა ნაციონალურ აკადემიას, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ა. ა. ბაიკოვის სახელობის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტს, ფოლადისა და შენადნობების მოსკოვის უნივერსიტეტს, ი. პ. ბარდინის სახელობის შავი მეტალურგიის ცენტრალურ კვლევით ინსტიტუტს.

აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეტალურგიული განხრის, ქართული, რუსული, უკრაინული, ინგლისური, გერმანული, ფრანგული ენების ყოფილი კათედრების მეცნიერ-თანამშრომლებმა, უკრაინელ და რუს კოლეგებთან ერთად, ექვსენოვანი ლექსიკონის შექმნისას გაწეული მრავალწლიანი ერთობლივი გულმოდგინე შრომით განამტკიცეს არა მარტო სხვადასხვა ქვეყანაში მოღვაწე კოლეგებს შორის მეცნიერული კავშირები, არამედ სამი მართლმადიდებელი ხალხისა და ქვეყნის – რუსეთის, უკრაინისა და საქართველოს მრავალსაუკუნოვანი, ღრმა, საიმედოდ ფესვგადმული მეგობრობაც.

და მაინც, საგანგებოდ უნდა გამოვყოთ ამ ექვსენოვანი ლექსიკონის მთავარი რედაქტორისა და გამომცემლის პიროვნული ღვაწლი, საქართველოს საინჟინრო, უკრაინის მეცნიერებათა და რუსეთის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიების წევრის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის გურამ ბენედიქტეს ძე ქაშაკაშვილის ძალისხმევა და რუდუნება, ორგანიზატორული და დიპლომატიური ნიჭი, დაუცხრომელი ახალგაზრდული შემართება, რომ არა ის, რომ არა მისი მრავალგზისი საქმიანი კომუნიკაცია-ვიზიტი რუსეთ-უკრაინის სამეცნიერო წრეებთან, ამ ქვეყნების მეტალურგ-კორიფეებთან, სარეცენზიო ლექსიკონს დიდხანს საგამოცემოდ სპონსორობა, სამეცნიერო დასტური (მანდატი) – ე. წ. ,,მწვანე გზა'' ვერ ექნებოდა.

და ბოლოს, ამ შესანიშნავი ორტომეულის გამოცემის სამეცნიერო-სარედაქციო საბჭოს, ბატონ გურამ ქაშაკაშვილთან ერთად, ამშვენებენ (თავიანთ სამეცნიერო დარგებში აღიარებული) ისეთი მეცნიერები, როგორიც არიან: თამაზ გამყრელიძე (თავმჯდომარე), არჩილ ფრანგიშვილი, ირაკლი ჟორდანია, ნუგზარ წერეთელი, ოლღა მეტრეველი-როჟკო, ომარ მიქაძე, ვოლოდომირ შიროკოვი, სამეცნიერო-რედაქტორი ირაკლი ქაშაკაშვილი, აგრეთვე: ვ. არენსი, ვ. ბოიკო, მ. გასიკი, ს. გლაზიევი, ს. გრიშენკო, კ. კოსირევი, ო. კუზნეცოვი, ვ. მაზური), ბ. პატონი, ო. სოსკოვეცი, ვ. შახპაზოვი.

დასასრულს, ერთ პროფესიულ შენიშვნასურვილს გავუზიარებთ პატივცემულ კოლეგა-სპეციალისტებს: მიღწეულით არ უნდა დავკმაყოფილდეთ, საჭიროა ახლა მეორე ეტაპზე გადასვლა, რაც გულისხმობს თითოეული ტერმინის სრულ განმარტებას სათანადო კონტექსტითურთ.

მადლიერების გრძნობით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენი მეტალურგი-კოლეგები ღირსეულად ატარებენ წინაპარ კოლეგათა ტრადიციულ, პროფესიულ და მეცნიერულ ჩვევებს. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება მათ ახალ წარმარტებაში. ხალიბების ნაკვალევს არ ეღალატების!

BADRI TSKHADADZE

DON'T ALTER THE FOOTSTEPS OF CHALYBES

Summary

This article deals with the six-language (Georgian-Ukrainian-Russian-German_English-French) "Dictionary of metallurgical terms" (two-volume book), that has been prepared and just recently published by the professors of GTU. The total number of dictionary units in it reaches 18560 terms. According to the author's conclusions, the up-to-date scientific-terminological and lexicographical searching of Georgian metallurgist scientists is the continuation of the work of ancestos, Georgian public persons and scientists (Niko, Iakob and Rusudan Nikoladze, Nikoloz Kashakashvili…), metal extraction and treatment, that springs from ancient Kartvelian epoch, it was a time, when the human for the first time had perceived and differed the metal from the stones; this is evidenced by the enlightened–paleographical and metallurgical past of our country, country of ancient culture, as well as by the Georgian language data, and metallurgical activity of one of the first Georgian tribes – the Chalybes.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ჯ. ხანთაძე**, ლითონთა სამყაროში ფერდინანდ თავაძესთან, თბ., 2003
2. **ბ. ცხადაძე**, ტერმინოლოგიური ძიებანი (1. თაგვისარა // მაუსი, 2. წიდა, წიტა, წიდოვანი). საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის (ჟურნალ «მოამბის» დამატება) და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის შრომები. №11, თბ., 2008
3. **მ. ნიკოლეიშვილი**, განძი და საგანძური (ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი), პირველი გამოცემა. გამომცემლობა «საბჭოთა საქართველო», ქუთაისის ფილიალი, 1986.
4. **М. Максимова**, Античные города юго-восточного Причерноморья, М., 1957
5. მეტალურგიის ტერმინოლოგიური ლექსიკონი (ქართულ-რუსულ-ინგლისურ-გერმანულ-ფრანგული), შეადგინა ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატმა **ომარ შურაძემ,** პროფ. ***გ. ქაშაკაშვილის*** საერთო რედაქციით, «მეცნიერება», თბ., 1999
6. მეტალურგიული ტერმინების ლექსიკონი ორ ტომად (ქართულ-რუსულ-უკრაინულ-ინგლისურ-გერმანულ-ფრანგული), პროფ. ***გ. ქაშაკაშვილის*** საერთო რედაქციით. თბ., 2011

ნიკა ბოჭორიშვილი

მადნის მიწისქვეშა მოპოვების მათემატიკური მოდელის შემუშავება ფენობრივი ტიპის მადნეული საბადოების პირობებისათვის

საზღვარგარეთის სამთო კომპანიებში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 60-ან წლებში დაიწყეს ე.წ. კორპორატიული მართვის სისტემების (Busines Management Systems, BMS) გამოყენება [1], რომელიც ემყარებოდა ეკონომიკურ-მათემატიკური მეთოდებს და იძლეოდა საწარმოს საქმიანობის ანალიზის საშუალებას.

კომპიუტერული ტექნიკის განვითარებასთან ერთად შეიქმნა სტანდარტული პროგრამები, რომლებიც განკუთვნილია სამთო საწარმოების მართვის ცალკეული ამოცანების გადასაწყვეტად. ბოლო ათწლეულში მნიშვნელოვნად გაფართოვდა ავტომატიზებული საინფორმაციო სისტემებისა და კომპიუტერული პროგრამების გამოყენება სამთო კომპანიების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით. კომპიუტერული უზრუნველყოფა მოიცავს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების პრაქტიკულად ყველა სფეროს. იგი ქმნის სამთო საწარმოს ერთიან საინფორმაციო სივრცეს, რომელიც მოიცავს გეოლოგიური და სამარქშეიდერო მონაცემების ბაზას, სამთო სამუშაოების ოპტიმალური დაგეგმვის პროგრამულ უზრუნველყოფას, საწარმოს ფინანსური მდგომარეობის მართვისა და მარკეტინგის კომპლექსურ სისტემას. იგი უზრუნველყოფს საწარმოს მართვის სტრატეგიული და ოპერატიული ამოცანების დასაბუთებულად გადაწყვეტას და ხელს უწყობს მიღებული გადაწყვეტილებების რეალიზაციას.

კომპიუტერული მოდელირება წარმოადგენს რთული სამთო პროცესების ანალიზისა და დაპროექტების მძლავრ საშუალებას. იგი იძლევა სამთო ობიექტის კვლევისა და ექსპერიმენტების საშუალებას იმ პირობებში, როცა რეალურ ობიექტში ეს შეუძლებელია ან არ არის მიზანშეწონილი.

სამთო საწარმოებისათვის განკუთვნილი პროგრამული კომპლექსების ანალიზისას სპეციალისტები მიუთითებენ, რომ სამთო პროგრამები იძლევიან ბაზური მოდელირების საშუალებას, მაგრამ რთულ პრობლემას წარმოადგენს მათი ადაპტირება სამთო საწარმოს ფუნქციონირების კონკრეტული პირობებისადმი. ხშირ შემთხვევაში საჭირო ხდება ბაზური პროგრამის მნიშვნელოვანი გარდაქმნა და სრულყოფა კონკრეტული საწარმოს პირობების მიხედვით. გარდა ამისა, არსებული სამთო პროგრამები ვერ ასრულებენ მრავალ ფუნქციას, რომელსაც ახორციელებენ სხვა კლასის პროგრამები [2,3].

საქართველოში სამთო სამუშაოების დაპროექტებისას კომპიუტერული მოდელირების მეთოდების შემუშავების პირველი მცდელობა ჯერ კიდევ 1980-იან წლებში განხორციელდა გ. წულუკიძის სამთო ინსტიტუტში პროფ. ი. ზურაბიშვილის ხელმძღვანელობით [9]. ამ სამუშაოებში გამოკვლეულია ფენობრივ მადნეულ საბადოთა გახსნისა და მომზადების ოპტიმიზაციის ამოცანები მათემატიკური მოდელირების მეთოდების გამოყენებით. ბუნებრივი, ტექნოლოგიური და ეკონომიკური ფაქტორების ანალიზის საფუძველზე შემუშავებულია მათემატიკური მოდელი, რომელიც საშუალებას იძლევა განისაზღვროს დასამუშავებელი პანელების, ბლოკების და საწარმოო უბნების ოპტიმალური პარამეტრები.

სამუშაოს მიზანია ფენობრივი ტიპის მადნეული საბადოს დამუშავების საწარმოო პროცესების ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელის შემუშავება, რომელიც შესაძლებელია გამოყენებული იყოს კაპიტალური და საწარმოო დანახარჯების მინიმიზაციისათვის და სამთო სამუშაოების დასაბუთებილად დაგეგმისათვის.

თანამედროვე სამთო საწარმო წარმოადგენს რამდენიმე ერთმანეთზე დამოკიდებულ ქვესისტემას, რომელთა შორის კავშირი შეიძლება წარმოვადგინოთ 3-დონიანი იერარარქიული სტრუქტურით. პირველ დონეს წარმოადგენს საწმენდ და მოსამზადებელ გვირაბებში მიმდინარე საწარმოო პროცესები და მათი მართვის ლოკალური მეთოდები. იერარქიის მეორე დონე გულისხმობს მაღაროს ველის (ბლოკის, პანელის) დამუშავების ტექნოლოგიური პროცესების ერთობლიობას და ცალკეულ საწარმოო უბნებზე სამთო სამუშაოების დაგეგმვას. მესამე, უმაღლესი დონე არის მაღაროს (ან მაღაროების) ორგანიზაციული და ოპერატიული დაგეგმვა და მთლიანი საწარმოს მართვა [4,5,6].

სამთო საწარმოს კომპიუტერული მოდელირება ეყრდნობა სისტემურ ანალიზს, რაც გულისხმობს ტექნოლოგიური პროცესების დაგეგმვისა და მართვის სხვადასხვა დონის ამოცანების გადაწყვეტას ერთიანი სტრატეგიით. ამ სტრატეგიის

მიზანია წარმოების მაღალეფექტიანობის მიღწევა [7,8].

კომპიუტერული მოდელირების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

1. ობიექტის განსაზღვრა – საზღვრებისა და შეზღუდვების დადგენა, ობიექტის ფუნქციონირების ეფექტიანობის მაჩვენებლის განსაზღვრა;
2. ობიექტის ფორმალიზაცია – რეალური ობიექტიდან გადასვლა ლოგიკურ სქემამდე (მოდელის შექმნა);
3. მოდელში შემავალი მონაცემების შერჩევა და მათი წარმოდგენა ანალიზური ფორმით;
4. სამოდელო ალგორითმისა და კომპიუტერული პროგრამის შემუშავება;
5. მოდელისა და რეალური ობიექტის ადეკვატურობის შეფასება – მოდელირების შედეგების კორექტურობის წინასწარი განსაზღვრა;
6. სამოდელო ექსპერიმენტების დაგეგმვა, რიცხობრივი მოდელირება და შედეგების ანალიზი;
7. რეალიზაცია – მოდელისა და მოდელირების შედეგების პრაქტიკული გამოყენაბა.

ფენობრივი ტიპის მადნეულ საბადოთა მიწისქვეშა დამუშავებისას ძირითადად გამოყენებულია დამუშავების სვეტური სისტემა. სვეტების გამომუშავება ხდება ლავებით ან მოკლე საწმენდი სანგრევებით - სპირაჯოებით.

საწმენდ სანგრევებში მადნის მოპოვების ეფექტიანობა განისაზღვრება დაყვანილი საოპერაციო ხარჯებით 1 ტონა მოპოვებულ მადანზე ციკლში:

$$C = \sum_{i=1}^{m} \frac{C_i}{Q_c}$$

სადაც

m არის მადნის მოპოვების სხვადასხვა ოპერაციული ხარჯების სახეობათა რაოდენობა;

C_j – საოპერაციო ხარჯები ციკლში, დოლარი/ციკლი;

Qc – საწმენდი სანგრევის ციკლური მწარმოებლობა, ტონა/ციკლი;

დაყვანილი საოპერაციო ხარჯები ლავში 1 ტონა მოპოვებულ მადანზე ციკლში წარმოდგენილია შემდეგი სახით:

$$C = \frac{C_1 + C_2 + C_3 + C_4 + C_5 + C_6 + C_7 + C_8}{Q_c}, \quad \text{დოლარი/ტონა}$$

სადაც C_1– დანახარჯი ფეთქებად მასალაზე, დოლარი/ციკლი; C_2 – დანახარჯი დეტონატორებზე, დოლარი/ციკლი; C_3 – დანახარჯი ცეცხლგამტარ ზონარზე, დოლარი/ციკლი; C_4 – დანახარჯი ელექტროენერგიაზე, დოლარი/ციკლი; C_5 – სამაგრი ხე-ტყის დანახარჯი, დოლარი/ციკლი; C_6 – გაუთვალისწინებელი მასალების დანახარჯი, დოლარი; C_7 – ხელფასის დანახარჯები, დოლარი/ცილში; C_8 – მუდმივი დანახარჯები, რომლებიც არ არის დამოკიდებული ლავის მწარმოებლობაზე (ჩიხების შენახვა, სარემონტო სამუშაოები და სხვა).

დაყვანილი საოპერაციო ხარჯები სპირაჯოში 1 ტონა მოპოვებულ მადანზე ციკლში წარმოდგენილია შემდეგი სახით:

$$C' = \frac{C_{1s} + C_{2s} + C_{3s} + C_{4s} + C_{5s} + C_{6s} + C_{7s}}{Q_{cs}}, \quad \text{დოლარი/ტონა}$$

სადაც C_{1s} – დანახარჯი ფეთქებად მასალაზე, დოლარი/ციკლი; C_{2s} – დანახარჯი დეტონატორებზე, დოლარი/ციკლი; C_{3s} – დანახარჯი ცეცხლგამტარ ზონარზე, დოლარი/ციკლი; C_{4s} – დანახარჯი ელექტროენერგიაზე, დოლარი/ციკლი; C_{5s} – სამაგრი ხე-ტყის დანახარჯი, დოლარი/ციკლი; C_{6s} – გაუთვალისწინებელი მასალების დანახარჯი სპირაჯოში, დოლარი; C_{7s} – ხელფასის დანახრჯი, დოლარი/ციკლი;

პანელის (ბლოკის) დამუშავების პროცესების მოდელირებას საფუძვლად დაედო 1 ტონა მადნის მოპოვებისათვის საჭირო დაყვანილი საოპერაციო და კაპიტალური დანახარჯების ჯამი მოპოვების სხვადასხვა ტექნოლოგიების გამოყენებისას:

$$C = \sum_{i=1}^{m} \sum_{j=1}^{m} \frac{C_{ij} + KR_{ij}}{Q}$$

სადაც, m არის პანელის (ბლოკის) დამუშავების სხვადასხვა ხარჯების სახეობათა რაოდენობა;

C_{ij} – პანელის (ბლოკის) დამუშავების საოპერაციო ხარჯები j ტექნოლოგიის დროს, დოლარი;

Q – პანელის (ბლოკის) სამრეწველო მარაგი, ტონა;

K – კაპიტალური დაბანდების დისკონტირების კოეფიციენტი;

R_{ij} – პანელის (ბლოკის) დამუშავების კაპიტალური ხარჯები j ტექნოლოგიის დროს, დოლარი.

კაპიტალური ხარჯები დროის მიმდინარე მომენტისათვის დაიყვანება დისკონტირების კოეფიციენტის K–ს საშუალებით[10, 11, 12].

$$K = \frac{1}{1 + \left(\frac{E}{100}\right)^t}$$

სადაც t - არის კაპიტალური ხარჯების დაგეგმვის ინტერვალი, წელი; E -დისკონტის ნორმა, %.

პანელი (ბლოკის) დამუშავების მოდელირების ეტაპები ნაჩვენებია სქემაზე (ნახ. 1).



ნახ. 1. პანელი (ბლოკის) დამუშავების მოდელირების ეტაპები

მოდელში კაპიტალური დანახარჯები პანელის (ბლოკის) ლავებით დამუშავებისას განისაზღვრება შემდეგი მონაცემების მიხედვით:

- პანელის (ბლოკის) სამრეწველო მარაგი Q, ტონა;
- პანელის (ბლოკის) საპროექტო წლიური მწარმოებლურობა Q_p, ტონა/ წელიწადი;
- ლავის წლიური მწარმოებლურობა

$$Q_l = cpiL,$$ ტონა/წელიწადი

სადაც c – ამოღების კოეფიციენტი;

p – ფენის ნაყოფიერება, ტ/მ^2;

i – ლავის სანგრევის წინსვლის სიჩქარე, მ/წელიწადი

L – ლავის სიგრძე, მ

ერთდროულად მომუშავე ლავების რაოდენობა

$$n = \frac{Q_p}{Q_l}$$

მოდელში პანელის (ბლოკის) დამუშავებისათვის საჭირო ლავების რაოდენობის დაანგარიშების შემდეგ იანგარიშება R კაპიტალური ხარჯები ლავში:

$$R = K_1 + K_2 + K_3 + K_4 + K_5 + K_6 + K_7$$

სადაც K_1 – მექანიზებული სამაგრების ღირებულება; K_2 – საბურღი მანქანების ღირებულება; K_2 – სასკრეპერო დანადგარების ღირებულება; K_4 - მექანიზებული სამაგრის სატუმბო სადგურების ღირებულება; K_5 – მაღაროს ელმავლების ღირებულება; K_6 – ვაგონეტების ღირებულება; K_7 – სხვა კაპიტალური დანახარჯები.

მოდელში კაპიტალური დანახარჯები პანელის (ბლოკის) სპირაჯოებით დამუშავებისას იანგარიშება საწყისი მონაცემების შეტანით, რომელშიც იგულისხმება:

- პანელის (ბლოკის) სამრეწველო მარაგი Q , ტონა;
- პანელის (ბლოკის) საპროექტო წლიური მწარმოებლურობა Q_p, ტონა/წელიწადი;
- სპირაჯოს წლიური მწარმოებლურობა
- $Q_s = cpiB,$ ტონა/წელიწადი

სადაც c – ამოღების კოეფიციენტი; p - ფენის ნაყოფიერება, ტ/მ^2; i - სპირაჯოს სანგრევის წინსვლის სიჩქარე, მ/წელიწადი; B – სპირაჯოს სიგანე, მ.

ერთდროულად მომუშავე სპირაჯოების რაოდენობა

$$n' = \frac{Q_p}{Q_s}$$

მოდელში პანელის (ბლოკის) დამუშავებისათვის საჭირო ლავების რაოდენობის დაანგარიშების შემდეგ იანგარიშება R' კაპიტალური ხარჯები ლავში:

$$R' = K_{1s} + K_{2s} + K_{3s} + K_{4s} + K_{5s}$$

სადაც K_{1s} – საბურღი მანქანის ღირებულება; K_{2s} – დამტვირთავი მანქანის ღირებულება; K_{3s} – ელმავლების ღირებულება; K_{4s} – ვაგონეტების ღირებულება; K_{5s} – სხვა კაპიტალური დანახარჯები.

მოდელის რეალიზაცია განხორციელდა Visual C#-ის საშუალებით. შემუშავებული კომპიუტერული პროგრამა საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ:

მექანიზებული სამაგრით აღჭურვილ ლავში მადნის მოპოვების დაყვანილი საოპერაციო დანახარჯების დამოკიდებულება ლავის სიგრძეზე და სანგრევის წინსვლის სიჩქარეზე. სპირაჯოებში მადნის მოპოვების დაყვანილი საწარმოო დანახარჯების დამოკიდებულება სპირაჯოს სიგანეზე და სანგრევის წინსვლის სიჩქარეზე;

პანელში (ბლოკში) 1 ტონა მადნის მოპოვებისათვის საჭირო დაყვანილი საოპერაციო და კაპიტალური დანახარჯების ჯამი მოპოვების სხვადასხვა ტექნოლოგიების გამოყენები-სას;

პანელში (ბლოკში) ლავებით და სპირაჯოებით მადნის მოპოვებისას 1 ტონა მოპოვებულ მადანზე დაყვანილი საოპერაციო დანახარჯები, ხოლო პანელის ველის გამომუშავებისას 1 ტონა მოპოვებულ მადანზე დაყვანილი კაპიტალური და საოპერაციო ხარჯები დროის ფაქტორის გათვალისწინებით;

მაღაროების ახალი ველების ათვისების ტექნოლოგიების მრავალვარიანტული ანალიზი და მის საფუძველზე რაციონალური ტექნოლოგიური სქემების შერჩევა.

NIKA BOCHORISHVILI

DEVELOPMENT OF MATHEMATICAL MODEL OF UNDERGROUND GETTING OF ORE FOR CONDITIONS OF LAYERED ORE DEPOSITS

Summary

The goal of the work is development of economic-mathematical model of production processes of development of layered ore deposit, which may be used for minimization of capital and production expenditures necessary for getting ore.

A computer program for analysis of technological schemes was developed, which was based on the analysis of operational expenditures needed for getting 1 tone of ore. For economic analysis of development of panel (block) the program is created according to operational and capital expenditures. By using the program it is possible to carry out multivariate analysis of technologies of adoption of new fields of manes and on its basis rational technological schemes should be chosen.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Business Management Systems http://www.bmsi.com/
2. Шек В.М, Конкин Е.А. Открытые программные системы с применением геоинформационных технологий в горной промышленности, http://www.swsys.ru/index.php?page=article&id=409
3. Астахов А.С. Экономическая оценка запасов полезных ископаемых. М.Недра, 1981
4. Астахов А.С. Критерий и система показателей Экономической эффективности производственных решений. М.1987.
5. Галаев Н.З., Крапивин В.Н. Определение оптимальных параметров систем разработки рудных месторождений. Ленинград, 1979.
6. Иванов Н.И. Оптимальное планирование производства на рудниках. Киев, 1973
7. Рогов Е.И. Оптимизационное моделирование в горном деле. Алма-Ата, 1987.
8. Квон С.С. Адамов К.Н. Методы анализа и оптимизации технологических схем угольных шахт. М. Недра, 1974.
9. Зурабишвили И.И., Микадзе Л.Б. Оптимизация вскрытия и подготовки пологих рудных месторождений. М. Недра, 1983.
10. Manual for the preparation of Industrial Feasibility Studies. UNIDO, Vienna 1986
11. Manual for Evaluation of Industrial Projects UNIDO, Vienna 1986
12. ე. მატარაძე სამთო საწარმოთა რეაბილიტაციისა და განვითარების საინვესტიციო პროგრამების ეფექტიანობის შეფასების მეთოდები. სამთო ჟურნალი, №2 1998.

ახალი წიგნები

წიგნი «საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება
(«საინჟინრო-ჰიდროეკოლოგიური და ეკონომიკური პრობლემები)»
თბილისი «უნივერსალი», 2011

ამ სათაურით ახლახან საზოგადოებას წარმოუდგინეს სქელტანიანი მონოგრაფია ცნობილმა მეცნიერებმა ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა თეიმურაზ გველესიანმა და ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა დემურ ჩომახიძემ. წიგნი განხილულ და მოწონებულ იქნა საქართველოს საინჟინრო აკადემიის სამი განყოფილების – «საინჟინრო ეკონომიკის და მენეჯმენტის», «ენერგეტიკისა» და «ჰიდროინჟინერიის» ერთობლივ სხდომაზე.

წიგნის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტებმა რ. არველაძემ და გ. აბდუშელიშვილმა, აგრეთვე განყოფილებათა ხელმძღვანელებმა და სხვ. წევრებმა. წიგნის რედაქტორია საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსმდივანი, აკადემიკოსი ო. ნათიშვილი. რეცენზენტია საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის პრეზიდენტი რ. არველაძე.

მონოგრაფია შედგება ორი ნაწილისაგან, 13 თავისაგან და სულ 474 გვერდს მოიცავს. პირველი ნაწილის ავტორია თ. გველესიანი, მეორე ნაწილის კი – დ. ჩომახიძე.

მონოგრაფიის *პირველ ნაწილში* - «საინჟინრო ჰიდროეკოლოგიური საკითხები» აღინიშნულია, რომ ენერგეტიკული უსაფრთხოების ტექნიკურ-ეკოლოგიური ამოცანების გადაწყვეტა შესაძლებელია ძირითადად, ჰიდროკვანძის რაიონში სტიქიური (ბუნებრივი) და ტექნოგენური ფაქტორებით გამოწვეული ჰიდროდინამიკური კატასტროფების მათემატიკური მოდელების და შესაბამისი პროგნოზირების მეთოდების დამუშავების საფუძველზე, საფრთხის პრევენციის ან მინიმიზაციის განხორციელების მიზნით.

საქართველოს, ისევე როგორც სხვა ქვეყნისათვის, ენერგეტიკული, კომპლექსური და სხვა დანიშნულების ჰიდროკვანძების მშენებლობა უშუალოდ განპირობებულია ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების აუცილებლობით. გასათვალისწინებელია აგრეთვე, ის ნიშანდობრივი ფაქტიც, რომ ჩვენი ქვეყანა პოტენციური ხვედრითი (1კმ^2-ზე მოსული) ჰიდრორესურსების ოდენობით ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში. მაგრამ ეს რესურსები, დღეისათვის ბევრ განვითარებულ ქვეყანასთან შედარებით, ჯერ კიდევ არასაკმარისად არის ათვისებული.

ამასთან ერთად, აღნიშნული მშენებლობის შედეგად იქმნება ეკოლოგიური წონასწორობის დარღვევის საშიში ტექნოგენური ფაქტორი, ისეთი როგორიცაა სისტემა «კაშხალი-წყალსაცავი», რომელიც თავის მხრივ სტიქიური მოვლენებით გამოწვეულ ზემოქმედების სიმძაფრეს, კერძოდ კი, მოსალოდნელი კატასტროფების წარმოქმნის რისკს ზრდის.

ჩვენს ქვეყანაში ჰიდროკვანძები განთავსებულია, ძირითადად მთიან და სეისმოაქტიურ რაიონებში (რომლებიც ტერიტორიის დიდ ნაწილს შეადგენს), სადაც სტიქიური და ტექნოგენური ფაქტორებით გამოწვეული მოვლენების რიგს მიეკუთვნება: წყალსაცავის ფერდობზე პოტენციური მეწყერების კერების აქტივიზაცია და მეწყერების წყალში ჩამოზვავება, სეისმური პროცესების გახშირება, მათ შორის ძლიერი მიწისძვრების წარმოქმნა, ღვარცოფული ნაკადების შემოდინება წყალსაცავში, ინტენსიური წყალმოვარდნების დროს წყალსაგდები ნაგებობების მწყობრიდან ავარიული გამოსვლა (მათი გამტარუნარიანობის მკვეთრი დაქვეითება) და სხვ.

ყველა აღნიშნული ფაქტორი განაპირობებს წყალსაცავში ექსტრემალური ტალღური პროცესების გენერაციას და წყლის დონის სწრაფ აწევას, რასაც თან მოსდევს წყლის გადაღვრა კაშხლის თხემზე. ბეტონის კაშხლების შემთხვევაში, ეს იწვევს წყლის მოულოდნელი დიდი ხარჯების წარმოქმნას და მათ გავრცელებას ქვედა ბიეფში, გრუნტის კაშხლების შემთხვევაში კი – მათ წარეცხვას და დამანგრეველი (კატასტროფული) ნაკადის ზემოქმედებას ბიეფში (სატრანსპორტო, საირიგაციო, საკომუნიკაციო სისტემების, შენობა-ნაგებობების და სხვ. ნგრევა, ადამიანთა მსხვერპლი და სხვ.)

მსოფლიოში ჰიდროენერგეტიკული მშენებლობის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ასეთი კატასტროფული შედეგების რიცხვი საკმაოდ დიდია. ასე მაგალითად, ორ კაშხლაზე (იტალია და აშშ) წყლის გადაღვრამ გამოიწვია 5200 ადამიანის ლეტალური შემთხვევა, მატერიალურმა ზარალმა კი გადააჭარბა 1 მილიარდ დოლარს. უფრო მცირე მასშტაბის კატასტროფას ადგილი ჰქონდა საქართველოშიც (1969 წ), როდესაც წაირეცხა წყნეთის 7-8მ სიმაღლის მიწის კაშხალი, რასაც მოყვა რამდენიმე ადამიანის დაღუპვა და საცხოვრებელი სახლების ნაწილობრივი ან მთლიანი ნგრევა.

აღნიშნული პროგნოზირების მონაცემების (ანუ მეცნიერულად დასაბუთებელი ინფორმაციის) არსებობის შემთხვევაში ხელისუფლებას ექნება შესაძლებლობა წინასწარ, საგანგებო სიტუაციის წარმოქმნამდე, დასახოს მოსახლეობის ევაკუაციის გეგმა და საშუალებები, კატასტროფის შემთხვევაში კი, მოახდინოს ოპერატიული რეაგირება მის შედეგებზე უმცირესი დანახარჯებით.

წიგნის პირველ ნაწილში დამუშავებულია წყალსაცავში მეწყერისა და მიწისძვრის დროს წარ-

მოქმნილი ექსტრემალური ტალღების გეომეტრიული პარამეტრების (მაქსიმალური ამპლიტუდა, სიგრძე) მათემატიკური პროგნოზირების ახალი მეთოდები. შესწავლილია ექსტრემალური ტალღების მოძრაობისა და ტრანსფორმაციის სპეციფიკურობა, აგრეთვე, მათი კაშხალზე დინამიკური ზემოქმედების სიდიდე და სიღრმის მიხედვით განაწილების ხასიათი. დამუშავებულია ორიგინალური მეთოდები ტალღის კაშხალზე გადაღვრის პროცესის პარამეტრების პროგნოზირებისათვის. შედგენილია კომპიუტერული პროგრამა კაშხლის რღვევით გამოწვეული კატასტროფული ნაკადის ქვედა ბიეფში გავრცელებისა და ტერიტორიის დატბორვის ინტენსივობის იმიტაციისათვის. აღნიშნული მეთოდები გამოიყენება მეწყერული და სეისმოგენური ტალღების პროგნოზირებისათვის ჟინვალის წყალსაცავის შემთხვევაში, აგრეთვე კაშხლის გარღვევის შედეგად წარმოქმნილი ტალღის მოდელირებისათვის ხუდონის კაშხლის მაგალითზე. წარმოდგენილია სხვადასხვა რეკომენდაცია ზედა ბიეფში ექსტრემალური ტალღების შემცირების და მათი კაშხალზე საშიში ზემოქმედების მთლიანად ან ნაწილობრივ თავიდან აცილების მიზნით.

მონოგრაფიის *მეორე ნაწილი* - «სოციალურ-ეკონომიკური საკითხები» - შედგება 7 თავისაგან. ავტორის განმარტებით, ენერგეტიკული უსაფრთხოების ცნებაში იგულისხმება ქვეყნისა და მისი თითოეული მოქალაქის მუდმივი, გარანტირებული და ეკონომიკურად ხელმისაწვდომი უზრუნველყოფა საკმარისი რაოდენობისა და ხარისხის მოთხოვნილი ენერგეტიკული რესურსით. აქვე, საუბარია ენერგეტიკული უსაფრთხოების განსაკუთრებულ როლსა და მნიშვნელობაზე, მის ინდიკატორებზე და მოქმედ ფაქტორებზე.

წიგნში დაწვრილებითაა დახასიათებული საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების რესურსული პოტენციალი: მდინარეთა ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი, მინერალური სათბობ-ენერგეტიკული და ალტერნატიული რესურსები; ცალკეა გამოყოფილი საქართველოში ენერგეტიკის განვითარების ეკონომიკური პირობები; შეფასებულია ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების თანამედროვე მდგომარეობა. ამ თვალსაზრისით გაანალიზებულია 2000-2010 წლების კრებსითი ენერგეტიკული და ელექტრო ბალანსები, აგრეთვე საგარეო ენერგეტიკული კავშირები.

მონოგრაფიაში მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი ენერგეტიკის დამოუკიდებელ რეგულირებას, როგორც უსაფრთხოების აუცილებელ პირობას. გამოკვლევაში კონკრეტულად გაშუქებულია: ენერგეტიკის, როგორც ბუნებრივი მონოპოლიის რეგულირების თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, ენერგეტიკაში ფასწარმოქმნის თავისებურებები, ჩამოყალიბებულია წინადადებები საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების დონის ამაღლების მიზნით. პრიორიტეტულადაა მიჩნეული ადგილობრივი რესურსების, მათ შორის ჰიდროენერგეტიკული და ალტერნატიული წყაროების უკეთ ათვისების საკითხები, როგორიცაა: ენერგოეფექტიანობის ამაღლება, ენერგორესურსების დივერსიფიკაცია, ბუნებრივი გაზის მიწისქვეშა საცავის მოწყობა, ადილობრივი და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, მყარი ენერგეტიკული კავშირების დამყარება მეზობელ ქვეყნებთან, ენერგო-დამზოგი ტექნოლოგიების დანერგვა და სხვ.

ზემოაღნიშნულ სხდომაზე ერთხმად აღინიშნა, რომ წარმოდგენილი მონოგრაფიის სახით საქმე გვაქვს ენერგეტიკული უსაფრთხოების საინჟინრო-ჰიდროეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური საკითხების კომპლექსური გაშუქების წარმატებულ მცდელობასთან. ორივე საკვანძო ნაწილში განხილულია საკითხთა ფართო წრე, გაანალიზებული და განზოგადოებულია დიდძალი ფაქტობრივი მასალა და გაკეთებულია თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის ფრიად საგულისხმო დასკვნები. აღინიშნა, რომ ამ თემაზე ავტორებს წინა წლებში გამოქვეყნებული აქვთ რამდენიმე მონოგრაფია და მრავალრიცხოვანი სამეცნიერო ნაშრომები. ამ მონოგრაფიით კი ეს მრავალწლიანი შრომა სისრულეშია მოყვანილი.

ორგანიზაციებს, რომლებიც ისარგებლებენ ნაშრომის შედეგებით (ანუ ბენიფიციარებს) წარმოადგენენ: ცენტრალური ხელისუფლება და ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოები, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტი, ენერგეტიკის და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო, ადგილობრივი არასამთავრობო და ქვეყანაში აკრედიტებული საერთაშორისო, მათ შორის USAID-ს, ორგანიზაციები. ნაშრომი განკუთვნილია აგრეთვე, სამეცნიერო-ტექნიკურ სფეროში მომუშავეთათვის, უმაღლესი სასწავლებლების, მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის.

სარედაქციო კოლეგია

<u>ჩვენი ავტორები:</u>

ალექსანდრე სიჭინავა – stu-s ruli profesori

ზურაბ ჩხაიძე – stu-s sruli profesori
შოთა ვეშაპიძე – stu-s asocirebuli profesori
დალი სეხნიაშვილი – stu-s asocirebuli profesori
ნინო ჩიკვილაძე – stu-s asistent-profesori
რობერტ ვინთერი – galenis universitetis (Sveicaria)
sruli profesori
ევგენი ბარათაშვილი – stu-s sruli profesori
როზეტა ასათიანი – stu-s sruli profesori
ივანე ჯაგოდნიშვილი – stu-s sruli profesori
გიორგი ძიძიგური – stu-s sruli profesori
ზურაბ ზურაბიშვილი – stu-s sruli profesori
ნუგზარ ჩადუნელი – stu-s magistranti
მარიამ კვაჭანტირაძე – stu-s magistranti
შორენა ლომიძე – stu-s magistranti
ლევან იმნაიშვილი – stu-s sruli profesori
მაგული ბედინეიშვილი – stu-s doqtoranti
ალინა ტიტვინიძე – stu-s doqtoranti
აკაკი გიგინეიშვილი – stu-s sruli profesori
თემურ ჩიჩუა – stu-s asocirebuli profesori
იური პაპავა – stu-s asocirebuli profesori
ბადრი ცხადაძე – stu-s asocirebuli profesori
ალექსანდრე ედიბერიძე – stu-s sruli profesori
მიხეილ ქანთარია – stu-s doqtoranti
ალექსი ბურდულაძე – stu-s sruli profesori
მანუჩარ შიშინაშვილი – saqarTvelos erovnuli
Tavdacvis akademiis asistent- profesori
პეტრე ნადირაშვილი – stu-s asocirebuli profesori
მანანა თავხელიძე – stu-s doqtoranti
თემურ თათარიშვილი – stu-s asocirebuli profesori
გიორგი სალუქვაძე – stu-s sruli profesori
მამუკა სალუქვაძე – stu-s doqtoranti
ქეთევან არჩვაძე – saqarTvelos agraruli universitetis
doqtoranti
დავით ჯაფარიძე – stu-s sruli profesori
ზვიად გაჩეჩილაძე – stu-s doqtoranti
ნინო მაღრაძე – stu-s foqtoranti
ოთარ ვეზირიშვილი – stu-s sruli profesori
ელენა კოტორაშვილი – stu-s doqtoranti
თინათინ კაიშაური – stu-s sruli profesori
ოთარ შონია – stu-s sruli profesori

ზებურ ბერიძე – stu-s doqtoranti
მანანა ვასაძე – stu-s doqtoranti
თინათინ ზაქარაშვილი – stu-s doqtoranti
გიორგი მალაშხია – stu-s sruli profesori
კახაბერ ციმინტია – soxumis universitetis asocirebuli profesori
ბესიკ ბარკალაია – stu-s asocirebuli profesori
რამაზ ოთინაშვილი – stu-s sruli profesori
გიორგი ბაბრატიონი – stu-s doqtoranti
ნინო ვანიშვილი – stu-s doqtoranti
ნატო გეგენავა – stu-s doqtoranti
თინათინ ღოლაძე – stu-s doqtoranti
იგორ კვესელავა – stu-s sruli profesori
ჯემალ გახოკიძე – stu-s sruli profesori
ნინო ჩუხრუკიძე – stu-s doqtoranti
ვალერი მოსიაშვილი – stu-s doqtoranti
მიხეილ მამნიაშვილი – stu-s sruli profesori
თამაზ გაციკაძე – stu-s sruli profesori
დავით თავხელიძე – stu-s sruli profesori
კობა სოხაძე – stu-s sruli profesori
გურამ ჯოლია – stu-s sruli profesori
ნინო ჯოლია – stu-s doqtoranti
გიორგი როდონაია – stu-s doqtoranti
ლევან ტატიშვილი – stu-s doqtoranti
ზურაბ ვაშაკიძე – stu-s asocirebuli profesori
მერაბ მიქელაშვილი – stu-s doqtoranti
ინგა სიჭინავა – stu-s doqtoranti
ვანო ჭიაურელი – stu-s sruli profesori
რუსუდან სტრელკოვა – stu-s doqtoranti
ბორის ბოქოლიშვილი – stu-s sruli profesori
ნიკა ბოჭორიშვილი – stu-s doqtoranti